ნოდარ გრიგალაშვილი

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

მეოთხე გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი – 2004

განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია XI კლასის დამხმარე სახელმძღვანელოდ

ეს წიგნი ქართული ლიტერატურის მასწავლებლების, XI კლასის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის დაიწერა. ვფიქრობთ, მას სიამოვნებით გაეცნობიან ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრეებიც. ახალ გამოცემაში შესულია ზოგიერთი ისეთი მასალაც, რომელიც XI კლასის პროგრამიდან ამოღებულია, მაგრამ გამოადგებათ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და იმ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რომლებიც ქართული ლიტერატურის კურსს გადიან.

© ნ. გრიგალაშვილი, 2004

© გამომცემლობა „უნივერსალი", 2004

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@posta.ge

ISBN 99940-32-02-X

წინასიტყვაობა

„სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების“ I გამოცემის წინათქმაში (1990 წ). ვწერდი: „წინამდებარე წიგნს, რომელიც საუბრების ფორმითაა დაწერილი, სახელმძღვანელოს არ ვარქმევ, დაე, თვით ქართული ლიტერატურის მასწავლებლებმა, XI კლასის მოსწავლეებმა და აბიტურიენტებმა, რომელთათვისაც იგი დაიწერა, განსაზღვრონ, გაიხდიან თუ არა მას სახელმძღვანელოდ“.

ფრიად მახარებს ის ფაქტი, რომ წიგნმა თავისი მიზანდასახულობა გაამართლა. მადლობას ვწირავ ქართული ლიტერატურის მასწავლებლებს, რომელთაც ეს წიგნი ფაქტიურ სახელმძღვანელოდ აქციეს სკოლებში. მადლობას ვწირავ პრესაში გამოქვეყნებული დადებითი რეცენზიების ავტორებს: მეცნიერებს, მწერლებს, განსაკუთრებით, პრაქტიკოს პედაგოგებს.

წლების განმავლობაში ემუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად. მოსწავლეებსა და სტუდენტებთან ცოცხალი ურთიერთობა დიდად დამეხმარა იმ ფორმის მოსაძებნად, რომლითაც ხსენებული სახელმძღვანელო იწერებოდა. ეს არის საუბრების ფორმა. მართალია, მეთოდი არ ახალია, მაგრამ, ვფიქრობ, სავსებით გამართლებული იმ მიზნისათვის, რომელსაც „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების“ გამოცემა ისახავს.

აქვე დავძენ, სახელმძღვანელოს, რა თქმა უნდა, პირობითად ვუწოდებ ამ წიგნს, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ქართული ლიტერატურის სწავლებისას მასწავლებელსა თუ მოწაფეს წინ უნდა ედოს არა ერთი, როგორც იტყვიან, სამაგიდო წიგნი, არამედ — რამდენიმე.

ზუსტი მეცნიერებების ათვისების მიზნით, რასაკვირველია, საჭიროა სახელმძღვანელოების შექმნა უპრიანი და აუცილებელი გახლავთ. მაგრამ ჰუმანიტარულ დარგებში მასწავლებელს სჭირდება არა საჭიროებისამებრ, არამედ რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო, რომელთაც იგი შეხედულებისამებრ გამოიყენებს. არ შეიძლება, ვთქვათ, „ლურჯა ცხენების“ „სახელმძღვანელო“ განხილვა არსებობდეს და მხოლოდ ამ გარჩევის სწავლება იყოს დოგმის დონეზე აყვანილი...

სხვათა შორის, მწერალთა ბიოგრაფიების სწავლებაზეც იგივე

ითქმის. განა ანეკდოტური არ იყო ერთ თარგზე მოჭრილი ბიოგრაფიების სწავლება, რომლებითაც ბაგშვებს ვაზუთხინებდით მხოლოდ იმას, თუ როდის და სად დაიბადა, როდის და სად გარდაიცვალა ესა თუ ის მწერალი, თან ისეთი ხაზგასმული ყურადღებით, თითქოსდა ვინმე, უკაცრავად პასუხია და, მიწის ზეით დარჩენილა ამ დუნიაზე...

რატომ არ შეიძლება მთხრობელიც რამდენიმე იყოს და არა ერთი?

ამ წიგნის წერისას მე თვალწინ მედგა მე-11 კლასელი მოსწავლე და მქონდა შემდეგი განზრახვა:

1) გამეღვივებინა მის სულში ქართული სიტყვის, ქართული მწერლობის, საზოგადოდ, ლიტერატურის სიყვარული.

2) მიმეცა მისთვის საშუალება, ჩაზიარებოდა ნაწარმოების მიერ აღძრულ საფიქრალს, განეგრძო ფიქრი ჩემეული ანალიზის შემდეგ. რაც შემთხვევებში განმეწყო საკამათოდაც...

3) თაყად გაუჩნდეს მოწაფეს სურვილი მეტოქეობისა, — საკუთარი თვალსაწიერიდან შეაფასოს განსახილველი ნაწარმოები და თაყად წარმოიდგინოს თავი კრიტიკოსის როლში.

4) გაუჩნდეს ლტოლვა ჰუმანური, მარადღირებული ფასეულობებისადმი და ორგანულად შეიმეცნოს ვისი გორისაა, საიდან მოდის, საით უნდა იხედებოდეს...

თუ წიგნმა ეს ამოცანა შეასრულა, მე ბედნიერად ჩავთელი თავს, რაც წინაპირობა იქნება იმისა, რომ მომავალში ღლეგანდელი მეთერთმეტეკლასელი უკეთეს წიგნებს დაწერს.

წინამორბედის ჰეშმარიტი გამარჯვება სწორედ ეს არის...

ნოდარ გრიგალაშვილი

ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი

ქართული ლიტერატურა, როგორც ცნობილია, პირობითად სამ პერიოდად იყოფა: 1) ძველი ქართული მწერლობა — V — XVIII სს., 2) ახალი ქართული მწერლობა — XIX ს. და უახლესი ქართული მწერლობა — XX ს.

ქართული ლიტერატურის ამგვარ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს ჩვენი ერის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მოვლენები, რომლებიც თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენენ ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ყოფაზე.

ასე, მაგალითად: ქართული მწერლობის I პერიოდის დასასრულად მიჩნეულია ის დრო, როდესაც ძველი საქართველოს მზე ჩაესვენა. XVIII საუკუნის უკანასკნელი წლები საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის უკანასკნელი წლებიც აღმოჩნდა. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, სულ მალე იველიის დასავლეთმა ნაწილმაც ქართლ-კახეთის მწარე ხვედრი გაიზიარა. საქართველო აღმოჩნდა რუსეთის მიერ დაპყრობილი, ანექსირებული ქვეყანა. დავითისა და თამარისდროინდელი დიდების მქონე ერთიანი ამერ-იმერი იქცა რუსეთის დიდი იმპერიის განაპირა პროვინციად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად.

ამ ტრაგიკულმა ფაქტმა, ცხადია, შეცვალა ქართველთა სულიერი და მატერიალური ყოფა. ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისათვის მონიშნულ იქნა ახალი ორიენტირები, რამაც ეროვნულ ლიტერატურაშიც ახლებური გზების ძიება განაპირობა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ტრაგიკული ფაქტი იქცა იმ სამანად, რომელიც ყოფდა ერთურთისაგან ძველსა და ახალ ქართულ ლიტერატურას. ყოველივე ეს თქვენთვის უკვე ცნობილია, ცნობილია ისიც, რომ, მიუხედავად თვისობრივი სხვაობისა, XIX საუკუნის ქართული მწერლობა არ კარგავს წარსული კულტურის საუკეთესო ტრადიციებს. იგივე შეიძლება ითქვას XX საუკუნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა მიმართებაზე ძველი და ახალი ქართული მწერლობის მიმართ.

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას სხვაგვარად უახლეს ლიტერატურად მოვიხსენიებთ.

უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ რატომ ვმიჯნავთ ერთმანეთისაგან ძველსა და ახალ მწერლობას, ახლა კი ორიოდე სიტყვა შესახებ იმისა, თუ რა განაპირობებს ახალსა და უახლეს ქართულ მწერლობას შორის ზღვარის გავლებას.

ვიდრე ამ საკითხზე ვისაუბრებთ, უნდა გვახსოვდეს ის, რომ ლიტერატურულ ცხოვრებაში ყოველგვარ ზღვარსა თუ სამანზე საუბარი მეტისმეტად პირობითია. ცხადია, 1801 წელს ძველი ქართული მწერლობა ერთბაშად არ დასრულებულა. არც ახალი ქართული მწერლობა დაბადებულა მაინცადამაინც მე-19 საუკუნის დასაწყისში. უფრო მეტიც, შესაძლოა ამა თუ იმ მწერლის მოღვაწეობა წინამორბედისაგან დროის დიდი ინტერვალით იყოს დაცილებული, მაგრამ ამ უკანასკნელს თავისი მწერლური თუ ესთეტიკური პრინციპებით ათასგზის მეტი ჰქონდეს საერთო წინამორბედთან, ვიდრე მის კბილა, მის ტოლ-სწორ კოლეგასთან. ლიტერატურის ისტორიისათვის ასეთი რამ ჩვეულებრივიც კია, რადგან მწერლობა არ არის მხოლოდ ცხოვრების ასახვა. ეს რომ ასე იყოს, ერთი თაობის მწერლები, იმის გამო, რომ ერთსა და იმავე დროში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემოში, ერთ საზოგადოებაში ცხოვრობენ და საერთო პრობლემების წინაშე დგანან, შემოქმედებითად ერთმანეთს დამსგავსებული, როგორც იტყვიან, ერთმანეთის ალი-კვალნი იქნებოდნენ. საბედნიეროდ, არ გახლავთ ასე და, აი, რატომ: ცხოვრებას, რეალობას, მწერალი მხატვრულად ასახავს, რაც გულისხმობს სამყაროს არა ფოტოგრაფიული ასლის შექმნას, არა გარემოში მიმდინარე მოვლენების უბრალოდ გაცხადებას, სიტყვიერად დაფიქსირებას, არამედ არსებულის ასახვით, არსებულზე დაკვირვებით ახალი რეალობის შექმნას. ამ აზრით ხელოვანი არის არა ცხოვრების ამსახველი, არამედ ახალი, მხატვრული სამყაროს შემქმნელი. შემოქმედი ქმნის სრულიად ახალ, მანამდე არარსებულ მშვენიერ სამყაროს, ქაოსისაგან — კოსმოსს. მის მიერ შექმნილი სამყარო არის მანამდე არარსებული და, ამდენად, ხდება ჩვენთვის მომხიბლველი, დამატყვევებელი, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი.

ყოველივე ზემოთქმულს თუ დავეთანხმებით, კიდევ უფრო პირობითად მოგვეჩვენება ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხი. პირობითად წარმოგვიდგება ამა თუ იმ კონკრეტული წლისა და თუნდაც ათწლეულის დასახელება სხვადასხვა პერიოდის მიკუნად. სწორედ ამ პირობითობასთან არის დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ ეგნატე ნინოშვილის სახელი დაკავშირებულია უახლეს ქართულ ლიტერატურასთან, ანუ მე-20 საუკუნის ქართულ

მწერლობასთან, მაშინ, როცა თვით ეგნატე მე-20 საუკუნეს არ მოსწრებია, მე-19 საუკუნეში დაიბადა და ამავე საუკუნის მიწურულს აღესრულა. ნინოშვილი XX ს. ქართველ მწერლებთან ერთად ისწავლებოდა სკოლაში, ვაჟა-ფშაველა კი XIX საუკუნისა. ამ ერთი შეხედვით პარადოქსულ ვითარებას ადვილად ეძებნება ახსნა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ახალი და უახლესი ქართული მწერლობის მიჯნად იქცა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები: საქართველოში მარქსისტული მოძრაობის დაწყება, ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფის, ე.წ. „მესამე დასის" ჩამოყალიბება. მესამედასელთა ორგანიზაცია, მართალია, XIX საუკუნის 90-იან წლებში გაფორმდა, მაგრამ მათი იდეა მე-20 საუკუნეში შლის ფრთებს და, საერთოდ, მე-20 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურისა და, ნაწილობრივ, კულტურული ცხოვრების ავანსცენაზე მესამედასელები ჩნდებიან. ეგნატე ნინოშვილის სახელი ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას იმთავითვე დაუკავშირეს და ამიტომ უახლესი ქართული მწერლობის თავფურცელიც მესამედასელებმა ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებით გადაშალეს.

არის თუ არა მიზანშეწონილი ახალსა და უახლეს ქართულ მწერლობას შორის ზღვარის გავლება, თუნდაც პირობითი ზღვარისა, XIX საუკუნის 90-იან წლებში? ეს სადავო საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად ორი ლიტერატურული ეპოქის მიჯნად 90-იანი წლებია მიჩნეული, მაგრამ რა პირობით, რის გამო, რის საფუძველზე? იქნებ იმიტომ, რომ მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მართლა უახლესი, ანუ ახალ ქართულ მწერლობაში დასმული პრობლემებისაგან სრულიად განსხვავებული, საკითხების წრე შემოდის? იქნებ ასახვის მეთოდები შეიცვალა რადიკალურად? ნაწილობრივ ერთ მოვლენასაც ჰქონდა ადგილი და მეორესაც. ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას: ნაწილობრივ.

ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება. დროთა ბრუნვა ახალი და ახალი პრობლემების წინაშე აყენებს ადამიანებს. ცხადია, XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ეს ცვლილებები აისახა. ცხადია, იყო ახალი თემებისა და ახალ ფორმათა ძიების გზა, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში, მაგრამ ყოველივე ეს ხელოვნების, კერძოდ, მწერლობის განვითარებისათვის ბუნებრივია, ყოველი დროისათვის დამახასიათებელი პროცესია. სხვაგვარად მწერლობა ჩიხში მოექცეოდა, ლიტერატურას ეპიგონები, მიმბაძველები წალეკავდნენ. ხელოვანი, რომელიც სათქმელის ახლებურად გააზრებას და ახლებურად გამოხატვას არ ესწრაფვის, ნამდვილ ხელოვანად ვერც ჩაითვლება, მწერლობის განვითარების ეს ბუნებრივი პროცესი კი ორი პერიოდის გასამიჯნავად არ გამოდგება. მით უფრო, რომ ლიტერატურულ

ცხოვრებაში განვითარების ცნებაც სწორხაზობრივად არ უნდა გვესმოდეს. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლიტერატურაში ახალი ნიშანაც იმავდროულად კარგს, უკეთესს.

ახლა რაც შეეხება მწერლის მიერ სინამდვილის ასახვის ფორმასა და მეთოდს. დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ისეთ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, როგორიცაა რომანტიზმი, რეალიზმი და კრიტიკული რეალიზმი, რაც ჩვენმა ლიტერატურამ XIX საუკუნეში განვლო, XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ძირითადად შეენაცვლა ასახვის ახალი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი. რამდენად სწორია ეს თვალსაზრისი და ზემოაღნიშნული მიმდინარეობანი დარჩა თუ არა მხოლოდ XIX საუკუნის ლიტერატურის კუთვნილებად, ამაზე პასუხი გვექნება მას შემდეგ, როდესაც სრულყოფილად გავეცნობით ამ ე.წ. სოციალისტური რეალიზმის არსს და როცა შევამეცნებთ, გავაანალიზებთ უახლესი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა თხზულებებს.

წინასწარ დასკვნებს შესავალში მოვერიდოთ, რადგან იდეური სიმწრელისა და ზიგზაგების ისეთი გზა, როგორიც XX საუკუნემ შემოგვთავაზა, ქართულ მწერლობას არასოდეს ჰქონია.

და მაინც, რა უნდა მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურის II და III პერიოდის, ახალი და უახლესი მწერლობის, გამოკვეთა-გამოყოფის საფუძვლად?

1801 წლიდან, როგორც ითქვა, საქართველოს ბედის ბორბალი სხვაგვარად დატრიალდა. XIX საუკუნის საქართველოს ისტორიამ განსაზღვრა ჩვენი ერის ლიტერატურული ცხოვრების ახალი ისტორიაც.

საქართველოს საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღარ ჰქონდა. იგი რუსეთის ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ ჩვენს სამშობლოში მიმდინარე მოვლენები განსაზღვრული გახლდათ იმით, თუ რა ხდებოდა და რა მოხდებოდა რუსეთის ვრცელი იმპერიის ცენტრში — პეტერბურგში. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი რუსეთში, და შესაბამისად საქართველოშიც, ახალი მოძრაობა დაიწყო.

ამ დროიდან ბედის მწერალი საქართველოს ისტორიას ახლებურად დაწერს. ასე რომ, გასული საუკუნის 90-იანი წლები კიდევ ერთი გზაჯვარედინია ჩვენი ერის საზოგადოებრივ, პოლიტიკურსა და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. ალბათ, გახსოვთ, გზაჯვარედინთან მისული ზღაპრის გმირები ქვაზე რომ წარწერას კითხულობენ, წარწერას, რომელიც ადამიანებს სიკვდილისა თუ სიცოცხლის, ბედნიერებისა თუ უბედურების ალტერნატივის, არჩევანის წინაშე აყენებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, განსაკუთრებით XX საუკუნის პირველ ხანებში, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხები და, მათ შორის ქართველი ერი, არჩევანის წინაშე იდგა. ზღაპრის გმირს ამ გზაჯვარედინისაკენ, ანუ ბედის საძიებლად, გაჭირვება ექარება. გაჭირვება გამოიყვანს სახლიდან და წუთისოფლის გზებზე ახეტიალებს. იგი ან მარცხდება, ვერარ ბრუნდება უკან, ან გამარჯვებული, სვებედნიერი მოაშურებს თავის ჭერს, თავის კერას, თავის სახლ-კარს.

ამ გზას ცალკეულ პიროვნებათა დარად ერიც გადის.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში შექმნილმა გაუსაძლისმა ვითარებამ ცალკეული ერები, მათ შორის ქართველი ხალხი, აიძულა ენერგიულად შესდგომოდა ახალი გზის ძიებას. ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. ახალი ცხოვრების სიავკარგე კი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ბედის რომელ ვარსკვლავს გაჰყვებოდა ქართველი ხალხი. ამ საქმეში ლომის წილი ქართულ მწერლობას უნდა დაედო. მაგრამ, ვიდრე აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრებთ, ზოგადად გავეცნოთ იმ ვითარებას, რომელიც სუფევდა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში.

ისტორიის გზაჯვარედინი, ანუ 1890-1900-იანი წლების ზოგადი მიმოხილვა

დანტე ალიგიერის სიტყვით, ჯოჯოხეთის კარს აწერია: „დასტოვე ყოველივე იმედი, ვინც აქ შემოდიხარ“. დიდი იტალიელი ჰუმანისტის ეს მოსწრებული ფრაზა რუსეთის იმპერიის ყველა შემოსასვლელ კარზე რომ წაეწერა ვინმეს, იმპერიის შინაგანი ცხოვრების ნამდვილ, რეალურ სურათს დახატავდა. ოდნავადაც არ გადაუჭარბებია ბოლშევიკების ბელადს, როდესაც ცარისტულ რუსეთს ხალხთა საპყრობილე უწოდა. ამ საპყრობილეში უხდებოდა ცხოვრება ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს XIX საუკუნის დასაწყისიდან. XIX საუკუნის დასასრულს კი ხალხს ბორკილები უფრო დაუმძიმდა. ტირანიის სუსხი უფრო და უფრო აუტანელი გახდა.

რადგან საქართველო რუსეთის ნაწილი იყო, ვითარების სრულად წარმოსადგენად უნდა ვიცოდეთ, რა ხდებოდა XIX საუკუნის 90-იანი წლების რუსეთში. შემდეგ კი ვისაუბრებთ იმაზე, თუ „ცენტრში“ მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა როგორი გამოძახილი პოვა ჩვენს სამშობლოში.

„შავბნელი დრო იყო ის დრო რუსეთში და, მაშასადამე, ჩვენშიაც — ვკითხულობთ იმდროინდელი ქართველი მოღვაწის, გლასხიშვილის, მემუარებში. — ის იყო, რუსეთის ტახტზე ავიდა ახალი თვითმპყრობელი ნიკოლოზ მეორე. როცა ეს უკანასკნელი, წარმომადგენელი რომანოვების სამეფო გვარისა, მემკვიდრედ იყო, რუსთა ლიბერალურ საზოგადოებაში დაჯინებით იმეორებდნენ, არავინ იცის, რაზე დამყარებულ ლეგენდას, „ცესარევიჩი ნიკოლოზი“ ლიბერალი არისო და პაპამისის ალექსანდრე მეორის ლიბერალურ რეფორმების განგრძობის მომხრეაო.

ტახტზე ასვლისთანავე ახალმა თვითმპყრობელმა უმოწყალოდ დაამსხვრია ეს ლეგენდა. 1895 წელს მას წარუდგინეს ერობისა და ქალაქების წარმომადგენლები ცნობილი მოღვაწის სვიატოპოლკ-მირსკოის მეთაურობით, მიუ-

ლოცეს ტახტზე ასვლა და გადაკვრით მოახსენეს ის იმედი, რომელიც ლიბერალურ საზოგადოებაში ღვიოდა.

ნიკოლოზმა ამის საპასუხოდ წაიკითხა წინათვე მომზადებული მოკლე სიტყვა, რომელშიც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ის განაგრძობს მამის, ალექსანდრე მესამის პოლიტიკას და „ყოველგვარი „უაზრო ოცნება“ უკუგდებულ უნდა იქნასო“.

ეს სიტყვა ნიკოლოზ მეორისათვის დაუწერია მის მასწავლებელს, რუსეთის ობერ-პროკურორს კონსტანტინე პობედონოსცევს, რომელიც ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ რუსეთის ფაქტიური განმგებელი იყო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ უკიდურესი რეაქციონერის, პობედონოსცევის, სიტყვაში ნაცვლად „უაზრო ოცნებისა“, „უნიადაგო ოცნება“ ეწერა. ნიკოლოზი კი უფრო შორს წავიდა, — თქვენი ოცნებები ამჟერად კი არ არის უნიადაგო, საერთოდაც უაზროაო — ფაქტიურად ასე მიახალა პირში ქვეშევრდომთ. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პობედონოსცევის ხსენებაზე მისი კაცთმოძულეობის გამო რუსეთის დემოკრატიულ ძალებს ტანში სიცივე უვლიდათ, ნათელი გახდება, რომ მოსწავლეს მასწავლებლისათვის, იმპერატორს ობერ-პროკურორისათვის რეაქციონერობასა და კონსერვატიზმში გადაუჭარბებია კიდეც. შედეგმაც არ დააყოვნა. მოვუსმინოთ იმავე გიორგი ლასხიშვილს: „მართლაც, ახალი მეფობა გამოდგა უფრო დაბალი ხარისხისა და დამახინჯებული კოპით ძველის რეაქციული პოლიტიკისა. ნიკოლოზ მეორე, ისე, როგორც მამამისი, ცდილობდა ფეოდალურ-პოლიტიკური რეჟიმის გამაგრებას, სასტიკად სდევნიდა და ანადგურებდა ლიბერალიზმის ყოველგვარ ნასახს.

რა თქმა უნდა, როცა რუსეთში გაძლიერდა რეაქცია, ჩვენს ქვეყანას უარესი დღე დაადგა. დაახლოებით იმ დროიდან დაიწყო საერთოდ განაპირა ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში გაშმაგებული რეაქცია. თუ რუსეთში ამ რეაქციამ მაშინდელი ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი ამოიღო ნიშანში, ჩვენში დევნა და განადგურება მთელს ერს არგუნეს, მეფის მოადგილეების — დონდუკოვ-კორსაკოვის, შერემეტიევის, გოლიცინის და სხვათა მიზანი გახდა ძირიან-ფესვიანად აღმოეფხვრათ ეროვნული კულტურა და გაეძლიერებინათ გამარუსებელი პოლიტიკა“.

კავკასიაში გამოგზავნილი მთავარმართებლები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ სისასტიკეში. მძვინვარე დონდუკოვი, რომელმაც მოხუცი დიმიტრი ყიფიანი დაასკვნევინა, კიდევ უფრო მძვინვარე მთავარმართებელმა გოლიცინმა შეცვალა. მოვიტან ერთ ვრცელ ამონაწერს დავით კლდიაშვილის მოგონებებიდან, რომელშიც კარგად ჩანს სისხლიანი მმართველის სახე, რომელსაც

გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი კავკასია სახრჩობელების ტყედ ექცია. ,,ელიზავეტოპოლის გუბერნიაში (დღეს განჯა) სხვებთან ერთად დათარეშობდა ბრბო ყარაღ აბუზარ-ოღლის მეთაურობით. ვერასგზით ეს ბრბო ვერ მოსპო მთავრობამ და ბოლოს იშოვეს ერთი გადავარდნილი, სახელად სალიხა, რომელსაც შეპირდნენ ყველაფრის პატიებას და დასაწყალებასაც, თუ ის მოჰკლავდა აბუზარას, ან ხელს შეუწყობდა მთავრობას მის მოსაკლავად. სალიხა დათანხმდა, შევიდა აბუზარას ბრბოში და ერთ დღეს აბუზარა ღალატით მოჰკლა.

ბრბოს შემადგენლობა დაიშალა და მათში სალიხა. სასწრაფოდ ბრძანება გაიცა, რომ სამხედრო სასამართლოს განჯაში გაერჩია დაწერილების საქმე. სასამართლო გაემგზავრა განჯაში. განჯის გუბერნატორის კირეევს დაეკისრა ბრძანება მიეცა, დაემზადებინათ თერთმეტი სახრჩობელა დაწერილ ყარაღთა ჩამოსახრჩობად.

გოლიცინმა ეს წინასწარ გადაწყვიტა და ეჭვიც არ ჰქონდა, რომ სასამართლოც ასე გადაწყვეტდა, ბრძანება, რასაკვირველია, აღსრულებულ იქნა, — კირეევმა დაამზადა თერთმეტი სახრჩობელა, მაგრამ საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა მხოლოდ ოთხ ყარაღს მიუსაჯა, მათ შორის სალიხასაც, დანარჩენებს კი სხვადასხვა სასჯელი. გუბერნატორი კირეევი შიშისაგან ჭკუაზე აღარ იყო. იგი დიდი ხნიდან მეგობარი იყო გოლიცინის, კაცი რბილი; გოლიცინმა გადმოიყვანა რუსეთიდან განჯაში, მეგობარი იყო გოლიცინის, მაგრამ ძლიერ ეშინოდა მისი და მუდამ თან უბით ატარებდა სამსახურიდან გადადგომის თხოვნას; რბილ გენერალს არ შეეძლო სასტიკი მეგობრის ნების აღსრულება; რამდენიმეჯერ კიდეც შეეცადა გაენთავისუფლებინა თავი სამსახურიდან, მაგრამ მკაცრი უფროსი თხოვნას უკან უბრუნებდა და ეუბნებოდა:

— სამსახურიდან გადადგომა კი არაა საჭირო, საჭიროა სამსახურის აღსრულება!

დამფრთხალმა კირეევმა ახლაც გაამზადა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა, — ამით ფიქრობდა გოლიცინის რისხვის აცდენას.

სასამართლოს თავმჯდომარე თბილისში ჩასვლის მეორე დღეს წარუდგა გოლიცინს საქმის მოსახსენებლად: გოლიცინმა უკვე იცოდა, რომ ჩამოსახრჩობი მხოლოდ ოთხი ყარაღი იყო თერთმეტის მაგიერად.

მოსამართლენი მიიღო დამშვიდებულად, დაწყნარებულად, დაუდა და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ დაიწყო: — ,,თქვენ, ბატონებო, კანონის ხალხი ხართ, მაგრამ ნუ გაივიწყებთ, რომ მეც კანონის კაცი ვარ (იგი სენატორი იყო), რომ მეც მესმის რაიმე კანონის და მსურს კანონიერება დავამყარო ამ

მხარეში, თქვენ კი ხელისშეწყობის მაგივრად ხელს მიშლით და გიცხადებთ, რომ მე თქვენ ამის ნებას არ მოგცემთ და გაფრთხილებთ შემდეგისათვის. — იგი თანდათან ბრაზდებოდა: — მე მოველოდი თერთმეტ სახრჩობელას, თქვენ კი დამცინეთ და ოთხ კაცს მაძლევთ. ჩემი განზრახვები არ გადის თქვენთან. ტყუილია, მე ჩემსას ვიზამ, ჩემსას გავიყვან! — თითქმის ყვირილით დაასრულა თავისი მიმართვა. როცა სასამართლოს განაჩენი წარედგინა დასამტკიცებლად, თავმჯდომარემ მოახსენა, რომ ჩამოსახრჩობ ოთხთა შორის არის სალიხა, რომელსაც მთავრობა შეპირდა ყველაფრის პატიებას.

გოლიცინი მიუბრუნდა მოსამართლეს და წამოიყვირა:

— აბა სამი რჩება!.. მხოლოდ სამი? სამასხარაოდ მიხდით საქმეს?! ყველა ჩამოახრჩონ! არ ვიცი მე თქვენი დაპირება, გაბრაზებით მოუსვა კალამი განაჩენს და ამრიგად, სალიხაც სხვებთან ერთად, დასაჩუქრების ნაცვლად, ჩამოსახრჩობილ იქნა".

ისეთი სალახანა, სალიხა რომ ყოფილა, ბუნებრივია, თოკზე ჩამოკიდების ღირსი იყო, მაგრამ არაბუნებრივი ის გახლავთ, — მთავარმართებელი, მთელი კავკასიის ბედის განმგებელი რომ წინასწარ გეგმაზე ჯერ კიდევ დაუპატიმრებელი და დანაშაულდაუდგენელი ადამიანისადმი სასჯელის უმაღლეს ზომას, წინასწარ გეგმაზე ჩამოსახრჩობ ყაჩაღთა რიცხვსაც კი — მაინცდამაინც 11 კაცი ჩამოახრჩვეთო. კარგა ხანს განაგრძობდა ამგვარ „კანონიერების" განმტკიცებას გოლიცინი, სანამ თავი არ გაუხეთქეს კოჯრის გზაზე და დაავადმყოფებული იძულებული არ გახადეს, თავი დაენებებინა კავკასიისათვის და ისევ პეტერბურგში დაბრუნებულიყო. თუმცა პეტერბურგი გოლიცინებისმაგვარ „წესრიგის მოყვარული" პიროვნებების ნაკლებობას არ განიცდიდა. უკეთესი დღე ჩვენს ქვეყანას არც ოდესმე ხნის შემდეგ, ვარანცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობის ჟამს დასდგომია. საქართველოს ცოტა მოგვიანებით ისეთი დროც დაუდგა, დონდუკოვ-კორსაკოვები, გოლიცინები, ვარანცოვ-დაშკოვები სანატრელიც რომ გაუხდა. გოლიცინმა, როგორც ვნახეთ, აიკვიატა და 11 კაცის ჩამოხრჩობა ბრძანა წინასწარ, საქმის გამოუძიებლად. თუმცა კი სასამართლოს იმ დროში იმდენი წონა და ავტორიტეტი მაინც ჰქონია, რომ მთავარმართებლის ბრძანებაცა და გუბერნატორის თხოვნაც თემიდას მსახურებმა კანონად ვერ მიიჩნიეს. 11-ის ნაცვლად მხოლოდ 4 კაცი ჩამოახრჩვეს. გაიცლის რამდენიმე ათეული წელი და ახალი, წითელი „მეფისნაცვლები" 11 კაცის, ისიც ყაჩაღების კი არა, ასჯერ, ათასჯერ, ათი ათასჯერ უფრო მეტის, სრულიად უდანაშაულო ადამიანების მოკვდინებას ბრძანებენ. მათ ბრძანებას კი სასამართლოს ჩინოვნიკები კი არა, თვით მაღალი ღმერთიც ვერარ აღუდგება. თუმცა მოვლენებს ცოტა წინ გაუსწარით. დავუბრუნდეთ კვლავ

XIX საუკუნის 90-იანი და 900-იანი წლების საქართველოს ვითარებას.

რეაქციის სუსხი, მთავარმართებელთა და იმპერიის ერთგულ ლაქიათა მედგარი ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ მატერიალური და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე გავრცელდა. რუსიფიკატორული პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქართველი ერის სრულ მოსპობას, სრულ განადგურებას.

დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში

საქართველოს თავისი უმშვენიერესი ბუნების, წიაღისეულის, ადგილმდებარეობის გამო მუდამ მოპყრობილი ჰქონდა მოსაზღვრე სახელმწიფოთა ხარბი მზერა. ყველას ეწადა, ერთი უცხოელი მწერლის მოსწრებული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, თავისად დაეგულვებინა ეს „ნარინჯებისა და მყინვარების ქვეყანა“. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და სილამაზე მისივე უბედურების მიზეზად ქცეულიყო. სამშობლოს ამ ტრაგიკულმა განცდამ ათქმევინა დიდ ილიას:

„კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ.
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.
გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ ძღება;
მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.
რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი?
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?
მაგრამ რამდენად მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.
ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება;
მაგრამ რამდენად მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.“

მოგვიანებით კი ტიციან ტაბიძე დაწერს:

„სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!“

იარალაყრილ, ხუნდებდადებულ საქართველოზე სახელმწიფოებრივი მასშტაბის ნადირობა გამოცხადდა_ მეფის რუსეთი გასული საუკუნის ბოლო წლებიდან განსაკუთრებით გააქტიურდა. დაიწყო უფრო შემტევი ბრძოლა ძველი მიზნების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რაც გამოიხატა ქართული მიწების მიტაცება-დასაკუთრებაში. ეს პროცესი ადრე დაიწყო. სამხრეთ საქართველოდან მკვიდრ მოსახლეობას თურქეთისაკენ ერეკებოდნენ და აქ სომხების ჩამოსახლება ხდებოდა, ჩვენი შედოვლათი თავადაზნაურობაც მამაპაპის სისხლით მორწყულ მიწა-წყალს ჩარჩ ვაჭრებზე გროშის ფასად ყიდდა, საუკუნის ბოლოს კი ახალი დემოგრაფიული კრიზისის საშიშროება გაჩნდა. კლავე შეუდგნენ მკვიდრი მოსახლეობის აყრას და შიდა რუსეთიდან ხალხის გადმოსახლებას. განსაკუთრებით თვალი დაადგეს საქართველოს საკურორტო და შავიზღვისპირა რეგიონებს. დავით კლდიაშვილი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში მსახურობდა. იგი თვითმხილველი იყო ყველაფერ იმისა, რაც შავიზღვისპირეთში ხდებოდა, ამდენად, მისი მონათხრობი იმნდროინდელი დემოგრაფიული პოლიტიკის ზუსტ სურათს წარმოგვიდგენს: „მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ, რაც შეიძლება, მეტი გადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან და დაებინავებინა. მკვიდრნი აეყარა და სხვაგან გადაეგდო. აქაურობას მოეშორებინა_ ამდაგვარი უცნაური შემავიწროებელი განკარგულების ქვეშ იყო ქართველობა თვით ბათუმშიაც. მაგალითად, ბათუმის განაპირა უბანში, ეგრეთ წოდებულ გოროდოკში, არარუსს ნება არ ჰქონდა ეყიდნა ადგილი და სახლი აეშენებინა. სოფლიდან აყრილს, ქალაქს შემოხიზნულს, ერთადერთი ადგილი ჰქონდა დასაბინავებლად, — ეს იყო როტშილდის ქარხნის გადაღმა, მდინარე ბარცხანას ნაპირზე. ამ დათმობაში გადაცდა მთავრობა, თორემ აქ არავის გაუჭაჭანებდა — არ ეგონა, თუ აქ თავს მოიყრიდა ერთგვარი ელემენტი, რომელიც 905-ში ერთ ალიაქოთს აუტეხავდა, გამოაცხადებდა თავის ნებას უჩინარი „ბარცხანის გუბერნატორის“ სახელით და თავისი ნების და ბრძანების ქვეშ მოიქცევდა ბათუმსაც და მის მთავრობასაც.

მეტად მტრულად უხვდებოდნენ სოფლიდან მოსულებს უკვე არტელებში თავშეყრილი შორი ქვეყნიდან გადმოსახლებულები“.

რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა გარდა მთავრობა დიდად უწყობდა ხელს ადგილობრივ რუს ჩინოვნიკებს, რომ აქ, საქართველოში, დიდი და საშვილიშვილო მამულები შეეძინათ. „მიწა მუქთად იშოვებოდა, — აგრძელებს თხრობას დავით კლდიაშვილი, — ხშირად არც კი იცოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ადგილი: მოწონებულ ადგილს კაფავდნენ და აწყობდნენ მოსახლეობას. განსაკუთრებით დიდი ადგილები შემოიფარგლეს

ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა, სამსახურს გადამდგარმა პოლკოვნიკ-ინჟინერმა სალოვცოვმა, ბათუმის ნოტარიუსმა გერენშტეინმა, ექიმმა ოლინსკიმ, მილიონერმა სიბირიაკოვმა და სხვებმა". ცხადია, დღევანდელი მკითხველისათვის ნაკლებად საინტერესოა დირექტორ სტოიანოვის, ინჟინერ სალოვცოვის, ვინმე ნოტარიუსისა თუ ყოფილი მილიონერის, სიბირიაკოვის, ბედი და ავანჩაანი. ჩვენთვის საგალალო და გულგასახეთქი ის არის, რომ ჩვენივე წინაპრების სისხლით გაჟღენთილი მიწები ჩრდილოელთა ხელში გადადიოდა და უცხონი ქართველ კაცს მშობლიური მიწა-წყლიდან ერეკებოდნენ. ასეთი გულსაკლავი ფაქტები, სამწუხაროდ, მაშინდელი დემოგრაფიული პოლიტიკისათვის გამონაკლისი არ გახლდათ. მეფის მთავრობამ ერთი ასეთი პროექტიც შეიმუშავა ქართველების აყრა-გადასახლების მიზნით: ტირიფონის ველის გარშემო მიმდებარე სოფლებიდან განზრახული იყო 40000 ქართველი გლეხის აყრა და იქ სამხედრო პოლიგონის მოწყობა. ამას წინ უსწრებდა იმავე მთავრობის მიერ შედგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ოსი ხიზნებისათვის ქართული მიწების სამუდამო მფლობელობაში გადაცემას.

კავკასიის ქედიდან მეკერისხევამდე (მდ.მეკუდა), საციციანოსა და საკავახოში, ათიათასობით დესეტინა მიწა უფასოდ უნდა გადასცემოდათ ოსებს. ეს მაშინ, როცა ქართველი გლეხები ბატონყმობის გადაარდნის შემდეგ კიდევ გამოსასყიდ ფულს იხდიდნენ იმ მიწებისას, რომელზედაც ცხოვრობდნენ.

იმჟამად პოლიგონის მოწყობისა და ხიზანთა საქმე მთავრობას ჩაეფუშა, ჩაშალა ქართველ პატრიოტთა შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად, მაგრამ მეფის მთავრობა ამ მარცხით ბედს არ შერიგებია. საქართველოს დემოგრაფიული აღრევისათვის კიდევ უფრო საშინელი გეგმა იქნა ჩაფიქრებული. „არ იფიქროთ, რუსის მთავრობა დაკმაყოფილდა „ხიზანთა" და "პოლიგონის" პროექტით — წერს რევაზ გაბაშვილი — არანაკლებ ვერაგული პროექტი შეიმუშავა მეფისნაცვლის „კანცელარიაში", რომლის განხორციელება მშრალზე დასვამდა მთელს საქართველოს. მაგრამ არც ჩვენ და არც ისტორიულმა გარემოებამ დაუცალეს. მუღანის უდაბნოში მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ორი კურდღლის დაჭერას, ბამბის პლანტაციების მოშენებას და რუსეთიდან მოყვანილი ხალხის კიდევ ერთი დიდი „პუნქტის" შექმნას კავკასიაში. მრავალი ოქრო, შრომა და სიცოცხლე ჩაჰყარეს რუსის გლეხობისა ამ, თითქმის უიმედო ავანტიურაში. და მაინც პირველი შემოსავლებით გაბარტყებული აზერბაიჯანის აყვავება მოინდომეს. ხალხი ტყუილად იხოცებოდა მალარიისაგან, ბამბის მაგიერ მარილის ზეწარი ეფინებოდა ზეადგს და... მოინდომეს მესამე და მეოთხე კურდღლის

დაჭერა ახალი პროექტით: უმაღლესი ბრძანებით უნდა შეკრულიყო მტკვრის მთელი ხეობის წყალი — მუღანის უდაბნოს მოსარწყავად. აკრძალული უნდა ყოფილიყო კანონით, მტკვრის სათაყიდან დაწყებით, ყველა შემდინარე ტოტებით, წყლით სარგებლობა მოსახლეობისათვის. „ჩტობი ნი ადნა კაპლია ლიშნი ვადი ნე პრაპადალა, — ვსე დღია მუგანსკოი სტეპი"_ ასე ეწერა პროექტში".

საბედნიეროდ, ამ პროექტმა ჩაიღურის წყალი დალია, მისი განხორციელება ვერ შეძლეს, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ყოველი ახალი მმართველის მოვლინებისას ხელახლა დგებოდა საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის პრობლემა. ხელახლა იწყებოდა უცხოტომელთათვის ახალ-ახალი „პუნქტების" შექმნელად გულმხურვალედ ზრუნვა. ვორონცოვ-დაშკოვი იკვეხნიდა: საქართველოში 250 ახალი „პუნქტი" შექმნიო. ეს რიცხვი შემდგომ წლებში, სტალინურ ეპოქაში, უფრო და უფრო იზრდებოდა. მეფის მთავრობის მიერ უცხოტომელთათვის პატარ-პატარა „პუნქტების" შექმნა სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ პატარ-პატარა „სახელმწიფუკოების" შექმნით დასრულდა_

სახელმწიფო — ეს არის ენა, მამული, სარწმუნოება, ტერიტორია, დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა.

დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა საქართველოს უკვე დიდი ხნის წინ წართმეული ჰქონდა. აღნიშნული აქციებით კი, ტერიტორიის დანაწილება-დაქუცმაცებით, დემოგრაფიული კრიზისის შექმნით, ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფადობისათვის კიდევ ერთი ბოძი უნდა მოერყიათ და გამოეცლიათ. თუმცა უნდა ვთქვათ ერთი რამ: ერს შესაძლოა აღარ ჰქონდეს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, შესაძლოა ტერიტორიაც დაუნაწევრონ და დაუქუცმაცონ, მაგრამ ასეთი ერი, შესაძლოა, მაინც ერობდეს, ცოცხლობდეს, იბრძოდეს, ვითარდებოდეს, უკეთუ იგი ინარჩუნებს ენას, სარწმუნოებას, მამულის შეგრძნებას. ისე კი, ერის სრულყოფილი არსებობისათვის მხოლოდ ენა, მამული და სარწმუნოება არ არის საკმარისი, ეს რომ ასე იყოს, დიდი ილია არ იტყოდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?" სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩაო — ბრძანებს ილია. ყურადღება მიაქციეთ ამ ფრაზას, დაგვრჩა და არა გვქონდაო. ქონებით კი ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებლობაც, სახელმწიფოებრიობაც, საკუთარი ისტორიული ტერიტორიაც. პირველიც, მეორეცა და ნაწილობრივ მესამეც დავკარგეთ. სამი ღვთაებრივი საუნჯე კი, რომელთა წართმევა შედარებით უფრო ძნელია — ენა, სარწმუნოება, მამულის შეგრძნება შევინარჩუნეთ. თუ ამათაც არ უპა-

ტრონეთ, რა კაცები ვიქნებითო? – მთელი საქართველოს გასაგონად ამბობს ერის მოძღვარი. „ამათაც“ – ამ სიტყვაში ნოსტალგიაც გამოსჭვივის იმისადმი, რაც უკვე დავკარგეთ. ეს სიტყვა იმაზეც მიგვანიშნებს, რომ საქართველო ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, 900-იან წლებამდე მაინც, იძულებულია მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლები აწარმოოს, ის შეინარჩუნოს, რაც აქვს, რაც ჯერ კიდევ ვერ წაურთმევიათ, ვერ წაუგლეჯიათ, – „ამათ“ მაინც უპატრონოს.

თავის მხრივ, იმპერიას ახლა უკვე ამ სამ საუნჯეზე აქვს მოტანილი იერიში. როცა ქართველ კაცში წაიშლება მამულის გრძნობა, ანუ როცა გადაუგვარდება ეროვნული ცნობიერება, როცა ქართველი კაცი დაივიწყებს მშობლიურ ენას, აი, მაშინ ჩაითვლება საქართველო სრულიად ანექსირებულად. მხოლოდ მაშინ გახდება დაპყრობილი ქვეყანა იმპერიის ორგანული ნაწილი, მანამდე კი დამპყრობელს დაპყრობილი ხალხისა ეშინია, მანამდე ყოველი ბუჩქის უკან ჩასაფრებული „ბუნტოვჩიკი“ ელანდება. ამიტომ, ბუნებრივია, ცარიზმი განსაკუთრებული გულმოდგინებით იბრძვის ქართველთა სამი ღვთაებრივი საუნჯის – ენის, მამულისა და სარწმუნოების ალმოსაფხვრელად. შესაძლოა ეს ცოტა პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, დამპყრობელიცა და დაპყრობილნიც ხომ ერთმორწმუნენი ვიყავით და ვართ. ასეა, მაგრამ მეფის რუსეთში არც ჩვენს სარწმუნოებას დასდგომის კარგი დღე, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბრძოლა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ

როგორც უკვე ვთქვით, დაპყრობილ ერს თუკი შერჩენილი აქვს ეროვნული ცნობიერება, ეროვნული თვითშეგნება, ერთიანობის შეგრძნება და მამულისადმი სიყვარულის, მსახურების გრძნობა, საბოლოოდ დაპყრობილად და დამორჩილებულად ვერ ჩაითვლება. ამა თუ იმ ერის სრული ანექსია ხდება მაშინ, როდესაც ეს ერი კარგავს საკუთარი მამულის შეგრძნებას, რაზედაც ნამდვილ სამშობლოდ მიიჩნევს არა საკუთარ ბედკრულ ქვეყანას, არამედ იმ იმპერიას, რომლის არტახებშიც მისი მიწა-წყალია მოქცეული. ერი, რომელმაც კოლექტიური მეხსიერება დაკარგა, რომელმაც საკუთარი თავი დაივიწყა, საკუთარ ფესვებს მოსწყდა, საკუთარ საკურთხეველს ზურგი აქცია და სხვის ტაძარში ლოცულობს, ილიას თქმისა არ იყოს, „უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამორჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს

ვერ დაინდობს... სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მექონი ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა".

თქვენ უკვე კარგად უწყით, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოში ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურებოდა. მმართველობამ, ცხადია, კარგად იცოდა — „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა" — ამ სიტყვებსაც დიდი ილია ბრძანებს.

ჭკვიანი დამპყრობელი, ხალხების სწორედ სულით და ხორცით მოშლას ცდილობს. შინაგანად თავისუფალი, სულიერად დაუმორჩილებელი კაცისა თუ ერის გარეგნული დამონება დამმონებელს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. დამპყრობელი შიშით ცხოვრობს, ვულკანზე დგას და არ იცის, როდის ამოაფრქვევს ეს ვულკანი. ამიტომ ყოველი დამპყრობლის მახვილი იმ ფესვების მოსაჭრელადაა აღმართული, რომლითაც ერი ერობს და თავს იწონებს. ეს ფესვი მშობელი მიწის, მშობელი კულტურის, ყოველივე მშობლიურის მძაფრ განცდას გულისხმობს.

მახსენდება ერთი არცთუ გავრცელებული ხალხური გადმოცემა რომელიღაც შაჰისა და ქართველი მეფის შესახებ. იმ შაჰს ჩვენი მეფე დაუბარებია. მეფეს შაჰის უერთგულესი ვეზირი ღალატში სდებდა ბრალს. ირანის მბრძანებელმა ყველაფერი დაწვრილებით გამოიძია და, ის-ის იყო, ქართველი მეფის ერთგულებაში დარწმუნებული, მის გაშვებას აპირებდა, რომ სასოწარკვეთილმა ვეზირმა ცალკე საუბრის ნებართვა სთხოვა. მოახსენა: „გატყუებს, მბრძანებელო, გულში ამ გიაურს ნამდვილად შენი ღალატი უდევს. ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში თუ გსურს დარწმუნდე, ხალხი გაგზავნე, საქართველოდან ტომრით მიწა ჩამოატანინე, იმ მიწაზე შეგაყენოთ ორპირი მეფე და მხოლოდ ამის შემდეგ დაკითხე".

შაჰი მრჩეველს დაყაბულდა.

შორეულ ისპაჰანში მართლაც ჩაიტანეს ქართული მიწა. ჩვენი მეფე იხმეს და სწორედ იმ ადგილზე უბრძანეს დადგომა, სადაც ეს მიწა იყო მობნეული. მოხდა სასწაული: მეფე, აქამდე რომ ერთგულ ქვეშევრდომად და თვინიერ კაცად აჩვენებდა თავს მბრძანებელს, ახლა „კადნიერად" ალაპარაკდა. სისხლიან შაჰს თამამად, უშიშრად მიახალა პირში, რასაც ფიქრობდა და განიზრახავდა... ყოველ ადამიანს ასევე უნდა ჰქონდეს თავისი ეროვნული ნიადაგი, რომელიც ძალასა და ენერგიას ანიჭებს მას. ასეთი საფუძვლის გარეშე საერთოდაც ძნელია სრულყოფილი არსებობა.

უამფესეებოდ, უამნიადაგოდ, გარეგნულად იქნებ გაიადვილოს კიდეც კაცმა ცხოვრება, მაგრამ ცხოვრების ამდაგვარი ხერხით გაიოლება ისეთი მარადიული ღირებულების დათმობის ხარჯზე ხდება, რომ ასეთი ადამიანის ყოფა ნამდვილად ვერ იქნება შესაშური.

ინდოეთის დიდი მოაზროვნე ვივეკანანდა ფიქრობს: „ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება– თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საკუთარ ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გენს, ეს ერი კვდება“.

ამ ერთადერთი თემის შესახებ ჩვენი დიდი მოაზროვნენიც წერდნენ. პოეტის შესახებ აკაკი ფრთიანად ბრძანებდა:

„ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების“.

ხოლო რა არის ქართველი კაცისათვის ეს „ერთი საგანი“, მკაფიოდ ჩანს ილიას ალთქმადადებულ სიტყვებში —

„ჩვენი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები“.

ჩვენი „ზრუნვის საგანი“, ის „ერთი საგანი“, ის „ერთადერთი თემა“, ის „ცენტრალური ბგერა“, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება, ქართველისათვის არის სამშობლო, მამული.

90-იანი და 900-იანი წლების რეაქციის ხანაში რუსული პოლიტიკა ცდილობს ამ ცნების სრულ დეფორმაციას, სრულ გაუკუღმართებას, ანუ ქართველთა ეროვნული ცნობიერების მოშლას. ვინც გასული საუკუნის უკანასკნელი წლების პრესას თვალს გადაავლებს, ვერსად წააწყდება საქართველოს სსენებასაც კი. რა თქმა უნდა, თითო-ოროლა პუბლიკაციაში ეს სიტყვა ცენზორს შემთხვევით თუ არ გაეპარა. ცენზორი ვალდებული იყო, ეს „საშიში“ „საქართველო“ გადაეშალა და მის ნაცვლად დაეწერა „ჩვენი ქვეყანა“. ნაცვლად „საქართველოს გეოგრაფიისა“, ისტამბებოდა „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გეოგრაფია“ და ა.შ.

მართალია, ამას ცენზორი აკეთებდა, მაგრამ იგი განტევების ვაცი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი დამნაშავე. ცენზორის ნება-სურვილზე ძალზე მცირე რამ გახლდათ დამოკიდებული. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ისეთი სულგაყიდული კაცის შემდეგ, როგორიც ლუკა ისარლიშვილი იყო, ცენზორებად ისეთი პატრიოტებიც მსახურობდნენ, როგორებიც იყვნენ, ვთქვათ,

რ.ერისთავი, გ.ყურული, პ.გოთუა, ან.ღულაძე, მაგრამ ფაქტიურად არავითარი ძალა არ გააჩნდათ. „თვითმპყრობელობის დროს წიგნებისა და გაზეთების ცენზურას განაგებდა ეგრეთ წოდებული საცენზურო კომიტეტი, — გადმოგვცემს სამსონ ფირცხალავა თავის მემუარებში, — რომლის ნების დაურთველად ერთი სტრიქონი ვერ დაიბეჭდებოდა. ამ კომიტეტს თბილისში შეადგენდნენ თავმჯდომარე, ორი უფროსი ცენზორი: ერთი ევროპული ენებისა, მეორე — რუსულისა, ორი უმცროსი ცენზორი — ქართულისა და სომხურის. სტამბების და წიგნის მაღაზიების მეთვალყურე ინსპექტორი და მდივანი, სულ შვიდი კაცი. ქართული ენის ცენზორი ქართველი იყო— რომელსაც ზევიდან დირექტივები ეძლეოდა და იმყოფებოდა კომიტეტის უშუალო კონტროლის ქვეშ.

ცენზორს დავალებული ჰქონდა სასტიკად ედევნებინა თვალყური განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობისათვის. რომელიმე უბრალო მოვლენა პატარა ერის ცხოვრებაში მთელ ალიაქოთს იწვევდა. არარუსული წიგნი და გაზეთი თავისთავად არასასურველი საქმე იყო.

თვით არსებობა არარუსი ერებისა უკანონობად და დანაშაულად იყო მიჩნეული. „ინოროდცებს“ ითმენდნენ, მხოლოდ ითმენდნენ იმის მოლოდინში, რომ ისინი ყველანი მალე გარუსდებოდნენ.

ასეთი მტრული განწყობილების პირობებში ქართული პრესა (ისე როგორც სხვა ბევრი) დიდ შევიწროებას განიცდიდა ცენზურისაგან. საქართველოში ცენზურა უფრო მძაფრი იყო, ვიდრე შიდა რუსეთში. ხშირად ხდებოდა, რომ ქართულ გაზეთს უკრძალავდნენ ამოეღო ცნობები რუსული გაზეთებიდან და გადმოეთარგმნა რუსული ლიბერალური გამოცემების თუნდაც მეტად ფრთხილი და ზომიერი წერილები.

ცენზურას (ან, უკეთ, მის პატრონს, თვითმპყრობელობას და იმპერიალიზმს) ორი რამ აფრთხობდა — რევოლუციური მოძრაობა ეკონომიკურ-სოციალური ხასიათისა მუშებსა და გლეხებში და არარუსი ხალხების ეროვნული გამოღვიძება.

ცენზურა არ უშვებს ცნობებს გაფიცვების შესახებ რუსეთსა თუ უცხოეთში. არ შეიძლება დაიბეჭდოს ამბავი გლეხების შეტაკებისა მემამულეებთან. ცენზორი წითელი მელნით გადახაზავს, როგორც მავნებელს, ასეთ უბრალო ცნობას: თბილისის ცხენის რკინიგზაზე მომუშავეებს ხელფასი დაუკლეს, ისინი გაიფიცნენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ვეღარ გაუძლეს გაჭირვებას და დამორჩილდნენ პატრონებს; სერბიაში მუშებმა სოციალ-დემოკრატიული პარტია დააარსეს და ამის გამო მანიფესტაცია გამართეს. — ამის გამოქვეყნება უკანონობად მიიჩნია ცენზურამ. ასევე შეუძლებლად დაინახა

გამეცნობა იმის, რომ ქუჩაში მთვრალი ჟანდარმი ნახეს, რომ ამა და ამ სპატიმროში დიდი უსუფთაობა აღმოაჩინა პროკურორმა, რომ ციხიდან ტუსალი გაიქცა, რომ ოდესაში სექტანტებმა ითხოვეს ნებართვა სალოცავად შეკრებისა და სხვა. აკრძალულია დაბეჭდვა ისეთი სურათებისა, რომლებიც გამოხატავენ იმპერატორის ჯარის დამარცხებას რუსეთ-იაპონიის ომში.

მაგრამ ასეთ ამბებს, როგორც საზოგადო მოვლენებს, ცენზურა შედარებით უფრო ლმობიერად უყურებს, მათი ეშინია, ხოლო ფიქრობს, ეს საყოველთაო „ჭირი და უბედურებაა". მას უფრო აშფოთებს არარუსი ერების ამოძრავება, საზოგადოდ ეროვნული გრძნობის გამოცხადება".

როცა ქართველმა სწავლულებმა იგრძნეს, რომ სახელმწიფომ მძიმე ურდულით გადაუკეტა პრესის კარი ეროვნულ პრობლემებს, ასეთ ხერხს მიმართეს: წერდნენ ხაზღვარგარეთის დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, ევროპის ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე და ამ გზით ცდილობდნენ საკუთარი სატკივარის გამოხატვას. ამიტომ არის, გასული საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პუბლიცისტიკაში დიდი ყურადღება რომ აქვს დათმობილი უცხო ქვეყნების პრობლემებს. რომელიმე ფრანგსა თუ ინგლისელს, გერმანელსა თუ ამერიკელს ჩვენი კლასიკოსების პუბლიცისტური წერილები რომ წაეკითხათ და იმავდროულად ჩვენი გაჭირვებული ყოფის შესახებ სცოდნოდათ რაიმე, ალბათ, ირონიულად იტყოდნენ: თქვენ ჩვენთვის რა გატირებდათ. რა და ჩვენივე გაჭირვება გვატირებდა. ერთი ანდაზის არ იყოს, „ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო" — ისე იყო ჩვენი საქმე. საქართველოს ვერ ვახსენებდით და ბულგარეთზე ვწერდით, თავისუფლებას ვერ ვახსენებდით და საფრანგეთის რესპუბლიკაზე ვმსჯელობდით, თუმცა რესპუბლიკაც ისეთივე საშიში სიტყვა იყო ხელისუფალთათვის, როგორიც საქართველო და ამიტომ, სადაც ეწერა „საფრანგეთის რესპუბლიკა", ცენზორი სასწრაფოდ გადააკეთებდა „საფრანგეთად"—

ეროვნული ცნობიერების, ეროვნული მთლიანობის შეგრძნების ყოველგვარ გამოვლინებას რუსიფიკატორული რეჟიმი, ცხადია, ებრძოდა არა მხოლოდ პრესაში, ეს ბრძოლა მთელი სიმძაფრით გადატანილი იყო სკოლებში. სკოლის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა ქართველისა და, საზოგადოდ, ყველა არარუსი მოზარდის გარუსება.

ძველი რომაელების ცნობილი დიდმპყრობელური მეთოდი — გათიშე და იმეფონე - აქტიურად იქნა გამოყენებული ჩვენს სინამდვილეში. სხვადასხვა ეროვნების მოწაფეთა ჩამოთვლის დროს, სასწავლებლების საანგარიშო ცნობებში, ცალ-ცალკე იხსენიებიან ქართველი, იმერელი, გურული, მეგრელი თუ

საქართველოს სხვა კუთხეთა წარმომადგენლები. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი 1902 წელს ერთ-ერთ სკოლაში გაკვეთილს დასწრებია. იგი გულისტკივილით წერს: „მოწაფეს რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ წააკითხეს და, როცა ჰკითხეს, შენი სამშობლო სად არისო, მოსწავლემ თამამად თავისი სოფელი დაასახელა და მასწავლებელიც ფრიად კმაყოფილი დარჩა ასეთი „პასუხით“. სამსონ ფირცხალავა იგონებს: „რუსი მასწავლებლები არ გვიწონებდნენ, თუ გიმნაზიელები ერთმანეთს ქართულად დაელაპარაკებოდით. თუ ქართულ წიგნს გვინახავდნენ ბინაზე, დანაშაულად ჩაგვითვლიდნენ. გვიკრძალავდნენ ჩვენი თავისთვის ქართველები გვეწოდებინა, აი, ამის ერთი მაგალითი: მეექვსე კლასში ერთი მოწაფე (ვასო თუმანიშვილი) რუსული ენის მასწავლებელს პუშკინის „პოლტავის“ შინაარსს უყვებოდა და იქ, სადაც ამბავია რუსების და შვეიცარიელების ომის, იმის მაგიერ, რომ ეთქვა, როგორც ავტორს აქვს, „ჩვენ“ (ე.ი. რუსის ჯარი), მოწაფემ თქვა — „რუსები“, მასწავლებელმა მაშინვე შეაჩერა და ჰკითხა: რატომ „რუსებს“ ამბობ და არა „ჩვენ“? მოწაფემ მიუგო: მე ხომ რუსი არა ვარ და როგორ უნდა ვთქვა „ჩვენ“?

„როგორ თუ რუსი არა ხარ!“ — შეუყვირა მასწავლებელმა, პედაგოგიურ საბჭოში დააბეზღა და მოწაფე რამდენიმე საათით კარცერში ჩასვეს“.

ვფიქრობ, ამ ორიოდე ფაქტითაც კარგად ჩანს ის ვერაგული, შეუნიღბავი პოლიტიკა, რაც ხორციელდებოდა იმდროინდელ საქართველოში.

ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ

1878-1901 წლებში კავკასიის სახალხო განათლების მზრუნველად იმყოფებოდა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი. იანოვსკის რუსეთის სატახტო ქალაქში, საიდანაც იგი იქნა მოვლინებული, ენერგიული და ნიჭიერი მუშაკის სახელი, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. იგი საქართველოში მოვლინებამდე პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის ამხანაგის თანამდებობაზე მსახურობდა. „ნეტარება იმათ, საითაც შენ მიდიხარ“. ამ სიტყვებით გამოაცილეს ჩვენკენ და თბილისის ინტელიგენციაც „კეთილი“ განწყობით შეხვდა ახალ მზრუნველს. ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი თითქოს წინასწარ თანამზრახველად იხდიან, თითქოს თამამად აძლევენო, იმედებით აღსავსე წერილებს უძღვნიან განათლების ახალ მესვეურს. მზრუნველიც თავს იკატუნებდა, ქართველი ხალხის მეგობრად და მოსიყვარულედ მოჰქონდა თავი, ქართველ მოღვაწეებთან დაახლოებას ცდილობდა და იფიცებოდა, რომ წინარე მზრუნველთაგან განსხვავებით სწავლა-აღზრდის საქმეში პოლიტიკა

კი არა, წმინდა განმანათლებლური მიზნები ამოძრავებდა. მაგრამ შუბი ხალთაში დიდხანს არ დაიმალა. კირილე პეტრეს ძემ მალე გაამეღავნა თავისი ნამდვილი სახე. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო", აქა-იქ ამურჩულდნენ იანოვსკით უკმაყოფილო ქართველი მასწავლებლები და უკმაყოფილება სულ მცირე დროში დაუნდობელ ბრძოლაში გადაიზარდა.

ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, სერგეი მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა მზის სინათლეზე გამოიტანეს განათლების თავკაცის ბნელი მიზნები. მაგრამ რა შეეძლოთ ჩვენს მოღვაწეთ, როცა უზარმაზარი იმპერიის პირისპირ ისინი ბედის ანაბარა იყვნენ მიტოვებულნი. პირველი, რაც იანოვსკიმ გააკეთა, იყო ის, რომ სრულიად განდევნა ქართული ენა სასწავლებლებიდან. 90-იანი წლებიდან კი იგი უფრო ვერაგული გეგმის განხორციელებას შეუდგა. კაცი, რომელიც ყოველივე ქართულს ებრძოდა, მეგრელთა „ინტერესების" „დამცველად" მოგვევლინა.

პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი დაიქირავა კირილე პეტრეს ძემ და რუსულზე დაყრდნობით მეგრული „ანბანი" შეაქმნევინა. შემდეგ შინაც გამოგვიჩნდა დამპყრობლის მსახური და ლაქია. 1899 წელს ქართველმა მასწავლებელმა თადა აშორდიამ ასევე რუსულზე დაყრდნობით კვლავ შექმნა მეგრული ანბანი — „დედანინა".

გაზეთი „ცნობის ფურცელი" წერდა: „1899 წელს დაიბეჭდა „მინგრელსკაია აზბუკა", რომელიც სამეგრელოს სკოლებში მიუღიათ ამა სასწავლო წელიდან, როგორც სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად მეგრელი ბავშვებისათვის. დამახინჯებულია რუსული ასოები. გ.კტ. ჩ და სხვა ასოებისათვის რაღაც კუდები მიუბამთ. ეს კუდები, როგორც შემდგენელი განმარტავს, ვითომ მეგრული ენის განსაკუთრებულ ხმებსა ჰნიშნავს".

ამ ანტიქართულ ღონისძიებას ის შედეგი მოჰყვა, რომ პროვოკაციული წიგნის შექმნისათვის მეგრელებმა თადა აშორდიას სასტიკად სცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს და ამით სამუდამოდ ამოაგდებინეს გულიდან იანოვსკის „განმანათლებლური იდეებისადმი" ერთგულებისა და მსახურების გრძნობა.

1902 წელს იანოვსკი აღესრულა. პეტერბურგის პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ ყოფილი წევრის პატივსაცემად კრება გამართა, სადაც აღინიშნა მისი „დიდი დამსახურებანი". „3 ნოემბერს — გადმოგვცემს „ნოვოე ობოზრენიეს" კორესპონდენტი — პეტერბურგის პედაგოგიურ საზოგადოებას გარდაცვალებულ იანოვსკის პატივსაცემად კრება მოუხდენია, რომელზედაც ორ წევრს მოგონებანი წაუკითხავს განსვენებულის მოღვაწის შესახებ_ ვინმე ბატონ ველიანოვს უთქვამს — „კავკასიაში თითხმეტ წელიწადს ვცხოვრობ-

დიო. ამ თითხმეტ წელიწადს ისე შევისწავლე კავკასია, როგორც ჩემი ხუთი თითი, ყოველი მხარე დავიარე, არაფერი არ დამრჩენია უნახავი და უნდა გაუწყოთ, რომ კავკასიელები არ ივიწყებენ თავის ენას, და ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ დრომდის მათ რუსულ ენას არ ასწავლიდნენ „ბუნებრივის მეთოდითო“ (ამ „ბუნებრივ მეთოდში“ იგულისხმება იანოვსკის მიერ შემუშავებული დებულებები), მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქართველები ცდილობენ, (დღემდის მაინც ცდილობდნენ!) მთელის კავკასიის გაქართველებას! წარმოიდგინეთ, ქართველებს უნდათ, რომ ქართული ლაპარაკი იყოს, ქართულად სწირავდნენ სამეგრელოსა და გურიაშიო!“

აი, ამ ვინმე ველიჟანოვის „გულისტკივილითა“ და „მწუხარებით“ აღსავსე სიტყვაში პატიოსნად არის გამოცხადებული ის „დანაშაული“, რაც ქართველ ხალხს მიუძღოდა დამპყრობელთა წინაშე. ქართველებს თურმე სდომიათ, რომ ქართული ლაპარაკი ყოფილიყო გურიასა და სამეგრელოში, ქართველებს თურმე სურდათ ქართველ მღვდლებს ქართულად ეწირათ და ქართულად ელოცათ. წარმოიდგინეთ, — აი, ასეთი მკრეხელური აზრები აწუხებთ ამ უმადურ ქართველებსო — აღშფოთებულია ის კაცი. ჰქონდა კიდეც აღშფოთების საფუძველი, რადგან ის, რაც ქართველებს უნდოდათ, ჯიუტად არ სურდათ ცარიზმის ერთგულ აგენტებს, მათი სურვილი სრულიად მარტივი იყო: გურიაშიც რუსულად უნდა ელაპარაკა ხალხს, სამეგრელოშიც, რაჭაშიც, კახეთშიც, ქართლშიც, სვანეთშიც, აჭარაშიც, აფხაზეთშიც, მესხეთშიც და, საზოგადოდ, საქართველოს ყველა კუთხეში, საერთოდ, მთელს კავკასიაში. დამპყრობელთა ამ „ადამიანური“ სურვილის გაგება კი არა და არ სურდა „ჯიუტსა“ და „გამოუსწორებელ“ ქართველ ერს.

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ

მაჰმადიანური აღმოსავლეთისაგან შევიწროებულმა საქართველომ ერთ დროს იმედის თვალი რუსეთის დიდ სახელმწიფოს იმის გამო მიაპყრო, რომ ეს უკანასკნელი ქრისტიანული, ერთმორწმუნე ქვეყანა იყო. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგაც თითქოსდა რჩებოდა შესაძლებლობა იმისა, რომ სარწმუნოების, საეკლესიო ინსტიტუტის საქმეებში დამპყრობელი ხელის ფათურს არ დაიწყებდა, მაგრამ მოხდა პირიქით. ერთმორწმუნე რუსეთმა საქართველოში შემოჭრიდან სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ, 1811 წელს, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, დამოუკიდებლობა და თბილისში საკათალიკოსოს ნაცვლად შექმნა საეგზარქოსო. ქართველი კათალიკოსი შეცვალა რუსი ეგზარქოსით, რომელიც ემორჩილებოდა რუსეთის

სინოდს.

ეკლესიას ქართველი ერის ცხოვრებაში მუდამ ჰქონდა ქვეყნის კულტურული და ზნეობრივი ცხოვრების მესაჭის როლი. ეს მისია ახლა უკვე უცხო ძალამ იკისრა, უცხო ძალა კი ძველის აღმოფხვრის ხარჯზე ახალი „კულტურის", ახალი „ზნეობის" შემოტანისა და დამკვიდრებისათვის იღვწოდა.

ანტიოქიაში შეკრებილ წმინდა მამათა მიერ დადგენილ კანონთა კრებულში არის ერთი ასეთი მუხლიც: „ეპისკოპოსი ნუ შევა უცხო ქალაქში, რომელიც თავიდან მის ხელქვეით არ იყო, ნურც იმ სოფელში, რომელიც მის მრევლს არ ეკუთვნის. ხელს ნუ დაასხამს ვისმე, ნურც მღვდელს და დიაკონს დანიშნავს სხვა ეპისკოპოსის განსაგებელ ადგილებში_

თუ ვინმემ გაბედოს ამისი მსგავსი რამ, ხელდასხმა არ უნდა დამტკიცდეს და დამნაშავე უნდა დაისაჯოს კრების მიერ საეკლესიო კანონის მიხედვით". ახლა კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო კრების მამათა მიერ დადგენილ კანონთა ერთ მუხლსაც გავეცნოთ:

„ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა_ კანონთა თანახმად ალექსანდრიის ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიებს_ აზიის სოფლების ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ აზიის ეკლესიებს. პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი — მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს". საუბედუროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაპყრობილი ქვეყნების მიმართ საერთო სამართლებრივი კანონები ძალას კარგავენ და ყოველგვარი უკანონობა დაბეჩავებულ ხალხს „კანონად" ექცევა. არათუ უცხო ქალაქში მობრძანდნენ დაუპატიჟებელი ეგზარქოსები, — თვით ქრისტიანობის წინაალმდეგაც გაილაშქრეს, როცა ეს მეფის პოლიტიკამ მოითხოვა. მე-19 საუკუნე, როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის თითქმის პერმანენტული ომების ეპოქაა. როცა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მიწა-წყალი საქართველოს შემოუერთდა, გამაჰმადიანებულმა ქართულმა მოსახლეობამ თავის „ბუნებით შეკულზე", კლავე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მონათვლა ისურვა. ქრისტიანულმა რუსეთმა კი არათუ ხელი შეუწყო მათ, არამედ ყოველნაირად ეცადა, მაჰმადიანი ქართველი არ დაებრუნებოდა ქრისტეს სარწმუნოებას, რადგან ისტორიული ბედუკუღმართობით რჯულშეცვლილ ქართველთა მოქცევა კი არა, მათი აყრა და გასახლება სურდა და ეს მიზანი განახორციელა კიდეც.

საქართველოს ეგზარქოსთა ბრძანებით გადაღებეს ან ჩამოფხიკეს და გაანადგურეს ეკლესია-მონასტრების უნიკალური ფრესკები, რათა სრულიად

წაშლილიყო ეროვნული კულტურის კვალი. ხოლო საუკუნის დასასრულს რეაქციონერ საერო პირს იანოვსკის მხარს უჭამდა რეაქციონერი სასულიერო „მოღვაწე" ვოსტორგოვი, რომელიც ყველაფერს ცდილობდა იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა რუსულად წარმართულიყო. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მრევლს ადგილობრივი ენის უცოდინარი მღვდელი წინამძღოლობდა. მღვდლის წირვა-ლოცვა მრევლს არ ესმოდა, მღვდელთან კი აღსარების სათქმელად რომ მისულიყო მორწმუნე, რაც უნდა დიდი ცოდვა, დიდი დანაშაული ეღიარებინა, მღვდლისაგან საიდუმლოს შენახვის სრული გარანტია ჰქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვის „ქალაქში" თუ სხვის „სოფელში" შეჭრილ მღვდელს ერთი სიტყვაც არ ესმოდა ქართველი კაცის ნაუბარიდან...

ამგვარად, ქრისტიანობა, ეს ყველაზე ჰუმანური და კაცთმოყვარული რელიგია, ეგზარქოსებისა და „ბლაღოჩინების" მეოხებით ცარიზმმა თავისი მიზნების ასასრულებლად გამოიყენა. ქრისტიანული რელიგია ჩააყენა იდეოლოგიის სამსახურში და ისევ ქრისტეს სახელით ქრისტესავით აცვა ჯვარს მცირერიცხოვანი ერი.

თუ სარწმუნოების საერთოობა, ერთი და იმავე რელიგიის არსებობა ქართველთა და რუსთა შორის თავის დროზე ამ ორი ერის ურთიერთთან კავშირის საფუძვლად იყო მიჩნეული, ახლა, პირიქით, საქართველოსთვის უბედურების მიზეზად ქცეულიყო. იმდენად, რომ, მაგალითად, გიორგი წერეთელს მიზნად ჰქონია, ქართველთა შორის პროპაგანდა გაეწია, რათა ჩვენს ხალხს მართლმადიდებლური სარწმუნოება შეეცვალა, — მართლმადიდებლობის ნაცვლად მიეღო კათოლიკური აღმსარებლობა, „რათა ამით ცოტაოდნავ მაინც თავი დაეღწია რუსთა ყოველმხრივი თვითმპყრობელობისაგან".

ასე რომ, საქართველოში რუსეთის თითქმის ასწლიანი ბატონობის შემდეგ ალარავისთვის საეჭვო აღარ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის საოცრად წინასწარმეტყველური სიტყვების სიმართლე:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს".

რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგები

აქამდე, ძირითადად, იმის შესახებ ვსაუბრობდით, თუ რა მიზნები ამოძრავებდათ ცარიზმის აგენტებს საქართველოში და შესაბამისად როგორ

ცდილობდნენ თავიანთი მიზნების განხორციელებას. ახლა კი თქვენი ყურადღება იმაზე მინდა შევაჩერო, თუ რა კონკრეტული შედეგები გამოიღო რუსეთის პირველმა ასწლიანმა ბატონობამ ჩვენს ქვეყანაში.

როგორც ჩვენი საუბრებიდან გაირკვა, მართალია, ცარიზმმა ვერ მიაღწია რუსიფიკატორული პოლიტიკის სრულად განხორციელებას საქართველოში, ქართველი ვერ კიდევ ქართველად თვლიდა თავს და ველიკანოვებისათვის გულისგასახეთქად, კლავაც დედა ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ქართველთა სულიერი გადაგვარების საუკუნოვან მცდელობას არცთუ უშედეგოდ ჩაუვლია. საზოგადოების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით არისტოკრატია, ცნობილი პირები, ივიწყებენ, ზურგს აქცევენ მშობლიურ ენას. ეს პირები როგორც ილია წერდა, ცნობილნი იმით იყვნენ, რომ დიდი თანამდებობები ეკავათ. მათი წამხედურობით მრავალი ქართველი „უგუნური თაგუნას“ როლში აღმოჩნდა. დაიწყეს „თეის ტომის უარმყოფლობა“. სკოლაში, სამსახურში, საზოგადოებაში ქართულის გარეშეც იოლად გადიოდნენ, რადგან სახელმწიფო დაწესებულებები მხოლოდ რუსულად მუშაობდა. ასეთი „მამულიშვილები“ აღარც მომავალ თაობაში ცდილობდნენ ეროვნული გრძნობის გაღვივებას. იმდროინდელი პრესის ფურცლები სავსეა ასეთი სევდისმომგვრელი პუბლიკაციებით: „რა პირით უნდა ვითხოვოთ ქართული ენის სწავლების გაძლიერება, როცა იქაც კი უარს ვამბობთ დედა-ენაზე, სადაც მისი ხსენება მაინც არის!? განა უფლება არა აქვთ გვითხრან: — სტყუით, ქართული თქვენთვის სასურველი არ არის; სასურველი რომ იყოს, ისწავლიდით კიდეც, სადაც ეხლა ასწავლიანო (იანოვსკის საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართული ენის საათებს სკოლებში კვლავ დაეთმო ადგილი. ნ.გ.) თვითონ მოსწავლენი აქ არაფერ შუაში არიან; ვკერ მათ რა მოეთხოვებათ! მაგრამ რა უნდა ეთქვას იმ ქართველ მშობლებს, რომლებიც შვილს დედა-ენას არ ასწავლიან! რა სახელი დავარქვათ იმ მამას, რომელიც თხოვნას აძლევს გიმნაზიის მთავრობას, ჩემ შვილს ქართულს ნუ ასწავლითო (ასეთი მაგალითებიც ყოფილა).

თაეის თაეის უარმყოფელს ვინ სცემს პატივს, ვინ ჩააგდებს რამედ?“ ნათქვამია, თეზი თავიდან ყროლდებაო. ასე ხდება საზოგადოების გადაგვარებისა და ზნეობრივი დაცემის დროსაც, გადაგვარება ზედაფენებიდან იწყება. მით უფრო, როცა ეს საზოგადოება სხვისი მორჩილია, სხვისი დიქტატით ცხოვრობს. ასეთ ვითარებაში მმართველი კლასი, იმისათვის, რომ თავისი პრივილეგიები შეინარჩუნოს, უფრო მეტად არის იძულებული, და ამდენად, უფრო მეტი საშიშროების წინაშეც დგას, მოძხდურთა ნებას რომ დაჰყვეს, მოძხდურთა გეგმებს რომ შეუსაბამოს თავისი ცხოვრების წესი. როგორც უკვე ითქვა, ასე მოხდა ჩვენს

სინამდვილეში. რუსი არისტოკრატები რუსულს იწუნებდნენ და რუსულის ნაცვლად ფრანგულად საუბარს არჩევდნენ, ჩვენი თავადაზნაურობა კი სწორედ რუსულად ჟღურტულებდა შინ და გარეთ, მსახურობდა, ჩინ-მედლებზე ზრუნავდა, ხოლო სამშობლო, საუბედუროდ, არცთუ ცოტას, სულაც ფეხებზე ეკიდა.

საინტერესოა ამ მხრივ ერთი დეტალი იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებიდან: „გარდაიცვალა დიდი თავადი ლევან მელიქიშვილი, კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის თანაშემწე (ლ.მელიქიშვილს უფრო დიდი თანამდებობებიც ეკავა სხვადასხვა დროს: იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1883 წელს ასრულებდა მეფის მოადგილის, ანუ კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც. ნ.გ.), ის ლ.მელიქიშვილი, რომელმაც ქართულ მწერლობას უწყალობა ცნობილი ლუკა ისარლოვი. დასაფლავების წესი, რასაკვირველია, დიდი ზარითა და ზეიმით იყო გადახდილი. ქება-დიდებას უხვად უძღვნიდნენ, საკმეველს უკმევდნენ მის დიდსულოვნებას, მის დიდ ჭკუას. გამოვიდა ბოლოს ეპისკოპოსი ალექსანდრე. კაცი მართალი, პირში მთქმელი, მოურიდებელი და ასეთი სიტყვით მიჰმართა მიცვალებულს ცოცხლების გასაგონად: დიდი გვარის კაცი იყავ, სამსახურშიც დიდ წარჩინებას მიაღწიე, მდიდრულად, ფუფუნებაში ცხოვრობდი, შენს ოჯახს არას აკლებდი, მხოლოდ რა მიგაქვს თან? რა სიკეთე დასთესე ამქვეყნად, რა შესძინე შენს სამშობლოს, საქართველოს?

დიდი სიმდიდრე გქონდა შეძენილი და ფიქრადაც არ მოგივიდა, რომ ამ სიმდიდრისაგან ცოტაოდენი წვრილმანი მაინც გამოგეღო შენს გაჭირვებულ, ღატაკ სამშობლოსათვის, ქველმოქმედობის სახელი გამოგეჩინა.

და კიდევ ბევრი ამისთანა მართალი და მწარე სიტყვები უძღვნა მიცვალებულს. რასაკვირველია, მას ეს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ ძალლსა სცემენ, რძალს ასმენდნენო, იტყვიან, ნიშანში ამოღებულთ მოხვდათ შხამიანი ისარი, იგრძნეს ტკივილი, ეს სიმართლე შეურაცხმყოფელად მიიღეს და ასტეხეს ერთი განგაში, ორომტრიალი: როგორ თუ გაბედა მაგ ვიღაც ცვერცამეტა ბერმა და მკვდარი შეურაცხყოო“.

ახლა ისიც გაიხსენოთ, ვინ იყო ლევან მელიქიშვილი, ვინ გახლდათ ლუკა ისარლიშვილი, ისინი ხომ ტატო ბარათაშვილის მეგობრები, მისი თანატოლები იყვნენ. ყმაწვილკაცობაში ტატოსავით სამშობლოს უბედობით გულატკივებულნი. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდობასთან ერთად მათ ეს ტკივილიც დაკარგეს, ანდა გულის სიღრმეში ჩამარხეს, რომ ერის კვნესა მათს ყურთასმენას არ მისწვდენოდა, არ დარღვეულიყო დიდი იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომთა მშვიდი ცხოვრება. კონფორმიზმის, შემგუებლობის სენი მთელ ქვეყანას მოედო, საქვეყნო ინტერესზე თითო-ოროლა თავგამოდებული კაცის გარდა აღარავინ ფიქრობდა. უკვე ხანში შესულ ილიას გულისტ-

კოვლით აქეს ნათქვამი: „ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი. იმათ ქართველიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ. ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნებოდაო.

ჩვენ რუსულ ინსტიტუტებში გამოზრდილ, თუ სხვა ამგვარ ნასწავლ ქალებისათვის? ესენიც სულ მთლად დაკარგულები არიან ჩვენთვის და, სამწუხარო უფრო ის არის, რომ ესენი თავიანთ შვილებსაც გადაგვარების გზაზე დააყენებენ. ამათთვის ვსწეროთ? ეს ხომ ენის უაზრო მრგვლვა იქნებოდა. აბა რას გავაგებინებთ იმათ, ვისაც ისიც კი დავიწყებია, თუ რას ჰქვიან პანტა. განა საჭალალო და სამწუხარო არ არის, რომ ქართველი ადამიანი ქართულ სოფელში მიდიოდეს და კითხულობდეს, რა არის პანტაო?

იქნებ ჩვენი ინტელიგენციისათვის ვსწეროთ? მაგრამ ამათაც რუსული გაზეთების კითხვა უფრო ეხერხებათ, ვიდრე ქართულისა, ამათთვისაც წერა ყრუთათვის ზარის რეკვას მიემსგავსებოდა.

მაშ ვინღა დაგრჩა? ის, ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარტეხილს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა. ეს არის ჩვენი მუშა ხალხი, რომელიც თავის მარჯვენით თავსაც ინახავს და ქვეყანასაც საკვებს აძლევს. ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს“. გლეხობა, მშრომელი კაცი, მართლაც, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეროვნულ ტრადიციებს, ენას, მაგრამ ერის ბედისადმი საყოველთაო ინდიფერენტიზმი, გულგრილობა ალარც მიწის მუშისთვის იყო უცხო გრძნობა. სამწუხარო სურათი დაიხატება, თუ შევადარებთ ლიტერატურულ გმირს, გლეხკაც ლელთ ღუნიას და ნამდვილად არსებულ, რეალურ სინამდვილეში მოქმედ მშრომელ კაცს, ამ ცხოვრების „ლელთ ღუნიას“.

მეტი მკაფიოობისათვის შევადაროთ ერთმანეთს ორი სიუჟეტი: ლიტერატურული, მწერლისეული სიუჟეტი და ნამდვილი, დოკუმენტური ამბავი, რომელნიც ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენენ.

ლიტერატურული სიუჟეტი: ალბათ, ყველას გახსოვთ „მგზავრის წერილებიდან“ ილიას დიალოგი გლეხკაც ლელთ ღუნიასთან (გთავაზობთ შემოკლებით, კუპიურებით):

— მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო? — ეკითხება დამგზავრებულ მოხუცს სამშობლოსაკენ მომავალი ახალგაზრდა ილია.

— რაიდ არა? — პასუხობს ლელთ ღუნია.

— რით იყო უკეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეკუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეკუდნით. ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს (ეშმაკს) გარედ მანვეს დავულაგმნდით. ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძნდით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით...

აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერიენის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის, აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არინ კაცნი და, თუ არინ-პირად და გულად ჯულურ არინ. ერი დავარდნილ, გალახულ არინ, ერდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი... წარხდა, მოძირნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ... სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჭავი მახვევ?

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით, რაი არინ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭიაჭუაი, ქვემძრომნი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არინ შვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არინ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის".

როგორც ვხედავთ, მოხევეს წარსულისათვის მიუპყრია სევდიანად თვალი. აწინდელი დრო, მყოობადი, გულს უსივებს. მშვიდობა გვაქვს, მაგრამ ესეც მოჩვენებითი, ცარიელი მშვიდობაო. თუ უწინ მტერი გვაწიოკებდა, ავად თუ კარგად, ვიგერიებდით. ახლა კი ჩარჩ-ეაჭარი ტყაეს გვაძრობს: „აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების?"

ამ დიალოგში ნათლად ჩანს ფუნქციადაკარგული კაცის ტრაგედია, კაცისა, რომელიც ერთ დროს თავისი მიწის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს, ახლა კი მის ნაცვლად სხვა ფიქრობს, სხვა აზროვნებს, სხვა განუწესებს ცხოვრების წესს. მშვიდობა კი სუფევს, შიშიანობა აღარ არის, მაგრამ მოხევეს ამ „ცარიელ", დამყაყებულ მშვიდობას ისევ მოძრაობა, მოქმედება, ბრძოლა ურჩევნია, რადგან ქვეყანა, უკაცრავი შედარებაა, საქონელივით ბაგაზე დაუბამთ და თან თოკი მაგრად წაუკრიათ

ულში იმ მოტივით, აქ მშვიდად მაინც გამოიცოხნები, რომ აგიშვათ, თავისუფლად ნავარდისას ან მგელი შეგჭამს, ან მგლისფერიო.

ახლა ერთ დოკუმენტურ სიუჟეტს გაგაცნობთ.

ილიასთან, საგურამოს მამულში, ხევსურები მუშაობდნენ. ხევსურებსა და უკვე ხანში შესულ მწერალს შორის ასეთი დიალოგი გამართულა:

„— უწინდელი დრო გახსოვთ, — ეკითხება ილია: აი, ჩვენი მეფეები რომ გყვანდა?

— ხსოვნით კი აბა, რა გვეხსომება და გაგონით კი გაგვიგონია.

— მერე? მაშინდელი დრო სჯობდა თუ ეხლანდელი?

— რა სათქმელია? გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა, ან შინაური აი კაცი, სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შველა არსაიდამ იყო. აი, დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა რა გვიშავს, აი, თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაც დავიარებით. თუ რომ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ გვახლებს.

ცოტა არ იყოს, წახდა ილია: მოულოდა წარსულის დიდებას, აწმყოს დაგმობას, პასუხი კი სულ სხვა მიიღო_“ (ი.მანსვეტაშვილის მოგონებიდან).

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, ამ ამონარიდებით იმდენად საკალაოდ არის წარმოჩენილი სასურველი და არსებული სინამდვილის კონტრასტული სურათი.

იქნებ დაბალი და უმაღლესი კლასებისაგან განსხვავებით საშუალო ფენას, ცხოვრების ასპარეზზე ახლად გამოსულ, ახლად წამოჭიტულ ე.წ. ბურჟუაზიას სტკიოდა ქვეყნის ტკივილით გული? არა, საშუალო ფენაც ამასვე ფიქრობდა, რასაც სხვა, — ჯერ პირადი საქმე და მერე ქვეყანა, ჯერ პირადი სიკეთე და მერე ქვეყნის სიკეთე. თუმცა, ესეც არ არის მართალი, უფრო სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, ისინი „ჯერაც“ და „მერეც“ მხოლოდ პირად საქმეზე, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდნენ, საკუთარ ჯამს ჩასცქერიდნენ. მამას შვილი მხოლოდ „ადიცრად“ ან ჩინოვნიკად სურდა გამოეზარდა, ხელმწიფე-იმპერატორის ორგულობას თვით მამა არ აპატიებდა შვილს, იმას კი აღარ დაგიდევდათ, დამპყრობელი ქვეყნის მეფის ერთგულება საკუთარი სამშობლოს ორგულობას რომ გულისხმობდა, რუსის ჯარის „ადიცრობით“ მამულს რომ ვერას წაადგებოდა. აი, ერთი კონკრეტული და იმავდროულად ტიპური მაგალითი იმისა, თუ რაზე ოცნებობდნენ ჩვენი საშუალო წრის წარმომადგენლები: ერთხელ ქუთაისის გიმნაზიის უფროსკლასელებს ახალ წელთან შეხვედრა გადაუწყვეტიათ. შესულან ქალაქის ერთ რესტორანში და გაუწაღებიათ ქართული ქეიფი. ყოფილა აღტაცე-

ბული სიმღერები და მგზნებარე, პატრიოტული სიტყვები. ქეიფის დროს მათთან კაბინეტში შესულა რესტორნის პატრონი. ახალგაზრდებს წესისა და ტრადიციის მიხედვით შემოსწრებულის სადღეგრძელოც დაულევიათ. გიმნაზიელ ივანე რატიშვილს (რატიშვილი შემდეგში იყო ცნობილი პედაგოგი) რესტორნის პატრონისათვის მხურვალე, პატრიოტული სიტყვით მიუმართავს, ალავერდს გადასულა და უთხოვია, დაგველოცე სამშობლოს სამსახურისთვისო. „რესტორატორმა ჭიქა ჩამოართვა და დაგველოცა — იგონებს იმ სუფრის ერთი ამფსონთაგანი: — ღმერთსა ვსთხოვ, თქვენს აფიცრობას მალე მოამასწროს"-ო.

— წადი შენც და შენი აფიცრობაცო, — მიუძახებია გაბრაზებულ რატიშვილს ძალზე გაკვირვებული და განცვიფრებული რესტორნის პატრონისათვის.

ორიოდე სიტყვა სამღვდელოების მისამართითაც ვთქვათ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა მიზნებს ისახავდა უმაღლესი სინოდი არარუს ხალხებთან დაკავშირებით და როგორ ცდილობდნენ ადგილობრივი ეგზარქოსები ამ მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას. მაგრამ ხომ იყვნენ საქართველოში ქართველი ეპისკოპოსები, მღვდელები, დიაკვნები? როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რამდენად წმინდად ვლიდნენ „იწრო და საჭირველ" გზაზე, რითაც საკუთარი და სხვათა სულები უნდა ეხსნათ ეშმაკეულისაგან თუ მდაბალ ადამიანურ ცდუნებათაგან?

მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი ვითარება ჩვენი ქვეყნისა ადასტურებს სენტენციას — როგორიცაა ერი, ისეთივეა ბერი. სასულიერო სასწავლებლებში იმავე მიზნით აგზავნიდნენ მშობლები შვილებს, რა მიზნითაც, ვთქვათ, სამხედრო სასწავლებლებში: შვილებს როგორმე უზრუნველყოფილი უნდა ჰქონოდათ მომავალი მატერიალური ცხოვრება. მატერიალური ცხოვრების უზრუნველსაყოფად კი საჭირო იყო არა ქრისტეს სამსახური, არამედ ხელმწიფე იმპერატორისა. ეკლესია მთლიანად მოიქცია სახელმწიფომ თავის გავლენაში. ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, მართალია, საქართველოში არ მომხდარა, მაგრამ იმ დროისათვის დამახასიათებელია და ტიპური: სევასტოპოლში დახვრიტეს ოფიცერი შიდტი, რომელმაც მთავრობის წინააღმდეგ ჯარი აიყვანა. მთავრობამ მთელი იმპერიის მასშტაბით ყველა მღვდელს ბრძანება გაუგზავნა, არ გაებედთ, შიდტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდები არ გადაეხადოთო. ცხადია, შიდტის პანაშვიდისათვის თავს არავინ გაწირავდა და დამარხეს ის კაცი წესის აუგებლად. აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: როცა სასულიერო პირი თავის საქმიანობაში ხელისუფლების ბრძანებებითა და

ინსტრუქციებით ხელმძღვანელობს, იგი ქრისტეს მსახურად ვერ ჩაითვლება. ასე რომ, სასულიერო წოდება რუნის არა თვით ქრისტიანულ მრწამსს, არამედ თავისი გარყვნილი ბუნებით ეფარება ქრისტეს სახელს. როცა ეს ასეა, საზოგადოებაში ზნეობრივი პიროვნება უკვე სანთლით საძიებელი ხდება.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში, რომელიც დაწერილია 1906 წელს, სასულიერო წოდების ასეთ სურათს ხატავს:

„ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზირი, ნ.გ.) რომ სობორია აშენებული, ის ნახევარი მილიონი ღირს (ეს „სობორი", ანუ სამხედრო ტაძარი, საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაანგრიეს, ახლა იქ მთავრობის სასახლე დგას, ნ.გ.). მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ამ ეკლესიების ამშენებლებს რად უნდათ მარმარილოს კედლები, ძვირფასი თეღებით მოჭედილი ხატები, ოქროს ბარძიმ-ფეშხუმი და სხარება? განა ქრისტე ასეთ ძვირფას შენობაში ლოცულობდა? რად უნდათ მღვდლებს ათას და ათი ათას მანეთიანი სამოსელი? განა ქრისტეს ისე უბრალოდ არ ეცვა, როგორც ყველას? მღვდლებს რომ ჰკითხო, ძვირფასი მორთულობა და ძვირფასი ეკლესია მლოცველს სასოებას უმატებსო. ჩვენი აზრით ეს ფარისეფურთი, ბრჭყვიალა ზიზილ-პიპილოები და ძვირფასი მორთულობა ხალხის თვალის მოსატაცებლად არის მოგონილი. აი ამაზე ხარჯავენ წვეთა და დაგვით შეგროვილ ხალხის ფულს.

არქიელები და დიდრონი მღვდლები წელიწადში რამდენიმე ათას მანეთს იღებენ, მშვენიერ სასახლეებში ცხოვრობენ და ძვირფას ეტლებით დადიან. ერთი ჰკითხეთ ამ სულიერ მამებს, ვისა ჰბაძავენ ისინი? ქრისტესო, გეტყვიან, მაგრამ როდის ცხოვრობდა ქრისტე ხალიჩებით მორთულ სამსართულიან სახლებში? როდის ჰყავდა ქრისტეს ათი ხელზე მოსამსახურე? როდის დადიოდა ქრისტე მშვენიერ კარეტებით? ზოგი არქიელია, ბანკებში ათასობით უწყია, მაგრამ აბა ერთი მოდი ამასთან და შველა ითხოვე? ის მაშინვე საიქიოს „გაგისტუმრებთ" და მომავალ ცხოვრებით განუგეშებთ".

ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მიხეილ ჯავახიშვილი სასულიერო პირთა ანდა ნებისმიერი კლასის წარმომადგენელთა ადამიანურად ცხოვრების წინააღმდეგი იყო, არა, აქ საუბარი იმაზეა, რომ, როცა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საარსებო მინიმუმის მოპოვებისათვის მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე განუწყვეტელ ჭაპანწყვეტაშია, სახეზე ხვითქი გადასდის და კუჭი მაინც ვერ ამოუვსია, არავის, და განსაკუთრებით სასულიერო პირს, რომელიც უნუგეშოთა და დავრდომილთა მანუგეშებლად არის მოწოდებული, არ აქვს ნება, თავს ბედნიერების უფლება მისცეს, თუკი ეს ბედნიერება სხვის უბედურებაზეა აღმოცენებული. უფრო მეტიც, როცა ქვეყანას უჭირს, როცა

სამშობლო უბედურია, დამონებული, დაგლეჯილი, ასეთი ერის შვილს, თან სულიერ მოძღვარს, თავის სამშობლოზე უკეთ ცხოვრების უფლება არ აქვს, მისი ადამიანური, მოქალაქეობრივი უფლება ერთადერთია — სამშობლოსათვის ცხოვრება. „ჯერ ქვეყანა, მერე — დედა და მამა, როცა მზე ამოდის, ვარსკვლავები აღარ სჩანან“ — ბრძანებს დიდი ილია. მაგრამ ერთია სურვილი იმისა, როგორი უნდა იყოს კაცთა ცხოვრება და მეორეა რეალობა — როგორ ცხოვრობენ კაცნი ამ „ცოდვა-ბრალიან“ წუთისოფელში.

„დღეს ყველაფერი იყიდება: — აგრძელებს თხრობას მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მიხეილ ჯავახიშვილი — პური, ღვინო, საცმელი, საჭმელი, თივა, ქერი, მარილი, ლოცვა, კურთხევა, პანაშვიდი, პარაკლისი და წირვა. თუ მღვდელს ერთი მანეთი არ მიეცი, პანაშვიდს არ გადაიხდის, თუ თუმანი ან ხუთი მანეთი არ მიეცი, ჯვარს არ დაგწერს, შვილს არ მოგინათლავს, ჭირნახულს არ გიკურთხებს და შენთვის არ ილოცებს. თუ ბევრი ფული გაქვს, მდიდარი ხარ და ყოველდღე მღვდელს თითო თუმანი აძლიე, დილიდან საღამომდე შენი სულისთვის ილოცავს და ღმერთს თავს მოაბეზრებს_

მღვდლები მოვალენი არიან არავის აღსარება არ გასცენ, მაგრამ მათ მთავრობისაგან ნაბრძანები აქვთ გასცენ ის კაცი, რომელიც აღსარებაზე იტყვის, რომ მე მთავრობის წინააღმდეგი ვარო. მღვდლებიც ასრულებენ ამ ბრძანებას (ცხადია, თუ აღმსარებლის ენა ესმით, ნ.გ.) ხოლო ის მღვდელი, რომელიც უფრო ხშირად აბეზღებს აღსარების მთქმელს, ჯილდოს იღებს მთავრობისაგან. მას უფრო კარგ მრევლს აძლევენ და თავზე ხელს უსვამენ“.

როცა ერისა და ბერის ასეთ საყოველთაო დაცემაზე ვსაუბრობთ, ცხადია, ის არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში არისტოკრატიას, მუშებსა და გლეხობას, სასულიერო პირებს, ინტელიგენციას ერთიანად ბოლო ჰქონდა მოღებული. ღმერთმა ნუ ქნას, ეს რომ ასე ყოფილიყო, ახლა სურვილიც აღარ გვექნებოდა ჩვენი წარსულის შესახებ სჯა-ბაასისა, გადავგვარდებოდით და სულ ერთი იქნებოდა ჩვენთვის, რანი ვართ და ვისი გორისანი ვართ. საქართველოში ყველა წრეში, ყველა წოდებაში იყო ძალები, რომელთა მხრებზეც რუსიფიკატორული პოლიტიკის წნეხის მთელმა სიმძიმემ გადაიარა, მაგრამ მათი სულიერი სიმტკიცე ვერ გატეხა; რომელნიც გარეგნულად დამონებული ერის შვილები იყვნენ, შინაგანად კი ამ მონობას არასოდეს შეჰგუებიან. შინაგანად ცხოვრობდნენ ისე, როგორც თავისუფალი და ზნემაღალი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს თავისუფალსა და ზნემაღალ საზოგადოებაში. ხაზს ვუსვამ, შინაგანად ცხოვრობდნენ ასე, თორემ დროისა და გარემოებისათვის იძულებითი ანგარიში, ცხადია, მათაც უნდა გაეწიათ. სხვაგვარ-

ად მათი საქმიანობა მშვენიერი რომანტიზმის ფარგლებში დარჩებოდა. რეალური სიტუაცია კი მკაცრ რეალისტურ დამოკიდებულებას ითხოვდა. თუმცა ამაზე უმჯობესია ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი ის საერთო, ერთგვარად შემაჯამებელი სურათი წარმოვაჩინოთ, რომლითაც მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პანორამა იხურება:

რუსეთის იმპერიის ხელისუფლების სათავეში ზის იმპერატორი. „ყველაზე მდიდარი კაცი მთელ ქვეყანაზე. მარტო იმას და იმის ოციოდე ნათესავს მთელ რუსეთში აქვთ სამოცი მილიონი დესეტინა მიწა, ე.ი. ათჯერ მეტი მთელ საქართველოზე. წელიწადში შემოდის რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი, აქვს აუარებელი სასახლე, ბაღები, ვენახები და სხვა. მაგრამ მეფე ამას არ კმარობს და წელიწადში ხაზინიდან 14 მილიონ მანეთს იღებს_

მეფის პირველი მოსამსახურენი არიან მინისტრები და სენატორები. მინისტრებს მოსდევს გუბერნატორები, გუბერნატორებს — მაზრის უფროსები, მაზრის უფროსებს — ბოქაულები, ბოქაულებს — მამასახლისები, მამასახლისებს, — გზირები, ხოლო გზირებზე ქვევით სდგას ას ორმოცი მილიონი ხალხი, რომელიც მუშაობს და ოფლს ღვრის ერთი მუჭა მთავრობისათვის და მდიდრებისათვის". ამ ას ორმოც მილიონ ხალხში ერია ერთი მუჭა ქართველობა, ქართველობა, რომელსაც ამ მზისქვეშეთში თავისი სახელმწიფოებრივი მისია დაეკარგა და კატასტროფის წინაშე იდგა. მწარე დიაგნოზი იმ შედეგისა, რაც რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მოგვიტანა, დასძა ილია ჭავჭავაძემ: „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, — ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ ამოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს; აზნაური — თავადსა, ორივე გლეხსა — ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო_

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას,

საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი!“

ასე სავალალოდ გაგვიხდა საქმე. ყველაფერ ამის ლოგიკური შედეგი კი ის იყო, რომ ახალ საუკუნეს, ქრისტეს აქეთ მეოცე ასწლეულს, სამარცხვინო ზეიმით შევხვდით. 1901 წლის სექტემბერში ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის ინიციატივით გადახდილ იქნა საქართველოს რუსეთთან შეერთების მე-100 წლისთავის იუბილე. ეს იყო პირველი შეურაცხმყოფელი იუბილე საქართველოს ისტორიაში. ერი თავისი დამონების მე-100 წლისთავს ზეიმობდა... თუმცა ნურც უკიდურესად პესიმისტები ვიქნებით, ეს არ გახლდათ ერის ზეიმი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ეს იუბილე ქართველმა ხალხმა კი არა — ქართველი ხალხის სახელით გადაიხადეს... რა საბუთი მაქვს, როცა ამას ვაცხადებ? მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ესოდენ უნუგეშო სურათი დაიხატა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული კლასები, წოდებები, ფენები ესოდენ გულგრილნი იყვნენ საქვეყნო ინტერესებისადმი, გადაგვარებულნი და გათითოკაცებულნი, მთელი ერის მისამართით იმავეს თქმა მაინც არ იქნებოდა მართებული. ალბათ, დაგებადებათ მართებული კითხვა: კი მაგრამ, ერი ხომ ცალკეული პიროვნებების, სხვადასხვა წოდებისა და სხვადასხვა ფენისაგან შედგება? პასუხისათვის დავესესხები ერთ მშვენიერ, ჩემი აზრით, ზუსტ მოსაზრებას: „ეროვნება შედგება ცალკე პიროვნებათაგან და მხოლოდ მათზე არის დაფუძნებული მისი არსებობა. მაგრამ როგორც მელოდია მეტია, ვიდრე უბრალო ჯამი შემდგენელი ტონებისა, ისე ეროვნებაც მეტია, ვიდრე ინდივიდუალობათა კონგლომერატი; თუ გნებავთ იგი სოციალური მელოდიაა, მხოლოდ უფრო თვითმოქმედი და დიადი, ვიდრე მუსიკალური მელოდია. მისი ფსიქოლოგიური შემოქმედების სალაროში შედის აუცილებლად ისიც, რასაც ცალკე პიროვნება ჰქმნის, მაგრამ მის სიმდიდრეს, მრავალმხრივობას ახასიათებს ისეთი რამ, რაც ცალკე პიროვნებას არასოდეს შეუძლია წარმოქმნას“. აი, სწორედ ამ აზრით ვამბობ, რომ, მიუხედავად ათასგვარი სენისა, ავადმყოფობისა, მიუხედავად ცალკეულ პიროვნებათა გადაგვარებისა, თვით ქართველმა ერმა მაინც შეინარჩუნა ის ჯანსაღი აზრი, ის ჯანსაღი „გამმა“, ურომლისოდაც ერი სიცოცხლეს ვერ განაგრძობდა, ურომლისოდაც ვერ დაირწევა თავისუფლების აკვანი.

სწორედ ამიტომ, ვინც გადაიკითხავს 1901 წლის სექტემბრის პრესას და ნახავს ზემოაღნიშნული სამარცხვინო იუბილესადმი მიძღვნილ მასალებს,

უნდა იფიქროს, რომ ეს იუბილე მაღალი წოდების ქართველ ჩინოვნიკთა სინდისს აწუხებს და არა მთელ საქართველოს. სხვათა შორის, იუბილეს ინიციატორები ფიქრობდნენ, რომ ამ აქციით ხელმწიფე — იმპერატორის სიყვარულს დაიმსახურებდა ქართველი ხალხი და რაიმეს გამორჩებოდა მომადლიერებულ განმგებელს. მადლიერმა მთავრობამ კი ის გააკეთა, რომ ოცოცი ათასი მანეთი სტიპენდიები დაუნიშნა თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა შვილებს და რუსეთის კადეტთა კორპუსებში გაგზავნა გასარუსებლად.

გზა ხსნისა

ალბათ ყველას გახსოვთ ერთი ბიბლიური სიუჟეტი, სოდომის ცოდვის სახელით რომ არის ცნობილი. ერთხელ კიდევ გაგახსენებთ ბიბლიაში აღწერილ ამბავს, როგორც იტყვიან, გამეორება ხომ ცოდნის დედაა:

ქალაქებში — სოდომსა და გომორში — ვერაც არგაგონილი ცოდვა ტრიალებდა. ადამიანები გაირყვნენ, გათახსირდნენ, ზნეობა, სინდისი დაიკარგა. აღარ ჰქონდათ ღვთის შიში და რიდი. სიბილწის მორევში გადაეშვნენ. მეზობელი მეზობელს არ ინდობდა, ძმა — ძმას, შვილი — მშობელს და მშობელი — შვილს. განრისხებული ღმერთი — იაჰვე — სოდომისა და გომორის ზნედაცემულ მცხოვრებთა დასასჯელად მიუშურება. აბრაჰამმა გაბედა და ჰკითხა უფალს თვისას:

— ნუთუ მტყუანსა და მართალს ერთნაირად გაანადგურებ? თუ ორმოცდაათი მაინც იქნება მათ შორის ღმრთისმოსაცი და პატიოსანი, მათაც წაწყმედ?

მიუგო უფალმა პასუხად:

— თუ ერგასისანი (ორმოცდაათი) იქნებიან მართალნი, გადარჩება ქალაქი იგი.

გათამამებულმა აბრაჰამმა კვლავ შებედა უფალს.

— მიწა ვარ და ნაცარი შენი. თუ ორმოცდახუთი კაცი იქნება ღმრთისმოსაცი და პატიოსანი, მაშინ?

— თუ ორმოცდახუთი იქნება, არც მაშინ გაგანადგურებ.

— თუ ორმოცი?

— არ მოვსპობ.

— თუ ოცდაათი? თუ ოცი?

— ოციც საკმარისია შესაბრალებლად.

— თუ ათი:

— ათი მართალი და ღმრთისმოსავი კაცისათვის ვაპატიებ მთელ ქალაქს დანაშაულს.

ამ სიუჟეტს ღრმად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ერი, რომელსაც ღვთის მიერ ხელდასხმული ადამიანები ჰყავს, მართალნი, პატიოსანნი, საქვეყნო ინტერესებისათვის მზრუნველნი, მოყვასისათვის თავშეწირულნი, უმრავლესობა გადაგვარებული და ზნედაცემულიც რომ იყოს, ღირსია არსებობისა. საბედნიეროდ, ქართველ ხალხს ასეთი შვილებით თავმოსაწონებელი და საამაყო დიახაც ჰქონდა. ბიბლიურმა მოსემ ებრაელ ხალხს უწინამძღვრა და მონობიდან გამოიყვანა. ყოველ ერს, რომელიც მონობაში იმყოფება, თავისი მოსე, თავისი მხსნელი, გნებავთ, თავისი მესია ესაჭიროება.

საქართველოში რუსეთის ასწლიანი ბატონობის შედეგებმა, როგორც ვთქვით, ერი კატასტროფის წინაშე დააყენა. ამიტომ მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა საკითხი ხსნის გზის მოძიებისა. ვის შეეძლო ეკისრა მოსეს როლი? ვის შეეძლო გასძღოლოდა ერს და მიეყვანა იგი სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებამდე? რა გზით, რა ხერხებით, რა მეთოდებით შეიძლებოდა მონარქისტული რუსეთის იმპერიაში თავისუფლებისათვის ბრძოლა? ეს კითხვები მოითხოვს ჩვენებას იმისას, თუ რომელი ჯგუფები და პარტიები მონაწილეობდნენ გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოში ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ამ ჯგუფებსა და პარტიებს 90-იან და 900-იან წლებში ძირითადად წარმოადგენენ:

1) I დასი

2) II დასი

3) ხალხოსნები

4) III დასი, ანუ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

5) სოციალ-ფედერალისტური პარტია.

ამ ცალკეულ ჯგუფებსა და პარტიებს აქვთ პრეტენზია ქართველი ერის წინამძღოლობისა. ამ ცალკეულ ჯგუფებსა და პარტიებს აქვთ საკუთარი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული პროგრამები, ერთურთისაგან განსხვავებული მრწამსი, მსოფლმხედველობა, იდეალები.

ამ ცალკეულ ჯგუფებსა და პარტიებს შორის გააფთრებული, დაუნდობელი ბრძოლით არის დაღდასმული საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება. ვეცდები, მოკლედ წარმოგიდგინოთ ამ ბრძოლის პერიპეტიები, რისი ცოდნა დიახაც გვმართებს, რადგან სწორედ ამ ბრძოლის შედეგებმა განსაზღვრეს საქართველოს შემდეგდროინდელი საზოგადოებრივი,

პირველი დასი

XIX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში ქართული ერის წინამძღოლად კლავაც რჩებოდა ჯერ კიდევ 60-იან წლებში ერთი აზრით, ერთი მრწამსით გაერთიანებული სამო — I დასი, რომლის მედროშე გახლდათ ილია ჭავჭავაძე.

პირველი დასი იყო იდეურ-ლიტერატურული დაჯგუფება და არა პარტია. ილია ჭავჭავაძესთან ერთად I დასს ამშვენებს აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას უკვდავი სახელები.

პირველდასელთა მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ჯერ კიდევ 1861 წელს ახალგაზრდა ილია „მგზავრის წერილებში" წამოჭრის ეპოქალურ ლოზუნგს — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ამასთანავე პირველდასელთა იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა მიზნად ისახავს სოციალური ჩაგვრის აღმოფხვრას, საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყოველმხრივ განვითარებას, ქვეყნის დემოკრატიზაციას, ადამიანის უფლებების დაცვას.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი წინა პლანზე აყენებდნენ რა ეროვნულ საკითხს, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, ყველა დანარჩენ საკითხს განიხილავდნენ ამ უზენაესი მიზნიდან გამომდინარე. ერთ მუჭა ქართველ ხალხში კლასობრივი ანტაგონიზმის გაღრმავება, ცალკეულ კლასებსა და ფენებს შორის ურთიერთობის გამწვავება და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება ერთმანეთისადმი ხელს შეუშლიდა ეროვნულ მთლიანობას, ქვეყნის ყველა ძალის გაერთიანებას ერთი საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ. ამიტომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის მედროშენი მოღვაწეობენ არა როგორც რომელიმე ცალკეული კლასის წინამძღოლნი, ვთქვათ, თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის, გლეხების ან მუშებისა, არამედ გვეელინებიან მთელი ქართველი ერის ინტერესების დამცველებად, ისინი ერთიანი საქართველოს იდეოლოგები არიან. მიაჩნიათ, რომ ქართველი ერისათვის კლასთა ბრძოლა არის საზიანო. ჯერ უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი, ქართველმა ხალხმა უნდა მოიპოვოს თვითგამორკვევის უფლება,

თავად უნდა იყოს თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი და მხოლოდ ამის შემდეგ, მხოლოდ ეროვნული ჩაგვრისაგან თავდაღწეულ ადამიანებს შეძლებათ, რომ გადაჭრან სოციალური პრობლემები. შემდეგ უნდა აღმოიფხვრას კლასობრივი უთანასწორობა, გაუქმდეს კლასობრივი პრივილეგიები.

ადამიანი არ გაჩენილა მონად და ბატონად, ჩაგრულად და მჩაგვრელად. ეს ბოროტება კაცობრიობის ისტორიამ მოიტანა. პირველდასულთა აზრით, ახალ ეპოქას უნდა მოესპო ეს დამამცირებელი, კაბალური დამოკიდებულება ადამიანთა შორის.

შრომა უნდა იქცეს ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად და არა ერთის მიერ მეორის დამონებისა და დაგლახაკების საშუალებად. „შრომისა ახსნა — ეგ არის ტკივრით ძლევამოსილის ამ საუკუნის“ — ასე სწამდა ილია ჭავჭავაძეს.

ამასთანავე, პირველდასულები როგორც ეროვნული, ისე სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ითვალისწინებენ რეალურ პირობებსა და გარემოებას, შესაძლებელსა და შეუძლებელს შესაბამის ეტაპზე. საბოლოო მიზანს და არსებული სიტუაციისათვის შექმნილ პირობებს.

900-იან წლებამდე საქართველოში ცარიზმის განუკითხავი ბატონობის გამო ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს და მათს თანამოაზრეებს ფაქტობრივად თავდაცვითი ბრძოლები უხდებათ. მათ წინაშე დგას პრობლემა, როგორმე შევინარჩუნოთ ენა, მამული, სარწმუნოება. ცდილობენ ქართველი ერის გამოფხიზლებას, ქართველის ეროვნული ნერვის შერხევას. საჭირო იყო ადამიანებს დაენახათ ნამდვილ, მარადიულსა და ყალბ, დროებით ღირებულებებს შორის სხვაობა. მათ უნდა აეხადათ ნილაბი მოყვარად მოსული მტრისათვის. „სატრფო“ უნდა აერიდებინათ ეკალ-ბარდებისათვის, სადაც იგი იასა და ვარდს ეძიებდა (აკაკის ლექსი „აღმართ-აღმართ“). ხალხს უნდა სცოდნოდა ნამდვილი სახე გადიად დამდგარი მოსისხლისა. უნდა შეძლებოდა გარჩევა მშობელი დედისა და დედინაცვლისა.

ამასთანავე, I დასი ცდილობს კლასთა შორის ურთიერთობის მოგვარებას არა სისხლის ღვრით, არამედ მშვიდობიანი, ევოლუციური გზით. სამოქალაქო ომი, კლასობრივი ბრძოლა, ძმათა შორის სისხლის ღვრა, მათ მიაჩნიათ ერისათვის მხოლოდ და მხოლოდ უბედურების მომტანად. მართალია, ილია ერთგან ამბობს, რომ „თავისუფლების მშობელი ამ ქვეყნად მარტო თოფია“, მაგრამ აქ ლაპარაკია ეროვნულ თავისუფლებაზე, დამპყრობლისაგან თავდასხნის საშუალებაზე. ამასთანავე ეს აზრი თვით ილიასთვისაც არ იყო ყველა სიტუაციაში სახელმძღვანელო დებულება.

პირველდასულები კაცობრიობის განვითარების არსებულ ეტაპზე იცავდნენ კერძო საკუთრებას, როგორც ადამიანის უფლების შეულახველობის გარანტიას. ისინი დასაშვებად თვლიდნენ კერძო საკუთრების გაუქმებას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი განვითარება მაღალ დონეს მიაღწევდა, ეს კი შორეული მომავლის პერსპექტივაში იყო წარმოსადგენი.

პირველდასულთა ბრძოლის ფორმა გახლდათ განმანათლებლური იდეების ქადაგება, თანამოძმეთა სულიერ სამყაროზე ზნეობრივი ზემოქმედება, რისთვისაც ისინი საკუთარი სახსრებითა და საზოგადოების მხარდაჭერით აარსებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დრამატულ საზოგადოებას, საგამომცემლო ჯგუფებს, ამხანაგობებს, სკოლებს. ცდილობენ უმაღლესი სასწავლებლების შექმნას. ერთდროულად გველინებიან მწერლებად, ლიტერატორებად, ჟურნალისტებად, ისტორიკოსებად, პედაგოგებად, ეკონომისტებად და სხვ. ფართოა მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სპექტრი, რადგან სამკალი ფრიადი იყო, მუშაკნი კი — ერთობ მცირედნი.

პირველდასულები ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით ცდილობენ შექმნან ბანკები თბილისში, ქუთაისში. თბილისის სათავადაზნაურო ბანკს განაგებს მათი მეთაური ილია ჭავჭავაძე. ეს ბანკი, მართალია, თავად-აზნაურთა სახსრებით შეიქმნა, მაგრამ ბანკის მოგება ხმარდებოდა მთლიანად ქართველ ერს.

პირველდასულები შეძლებულ თანამემამულეთა მხარდაჭერით ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას. უთანგარო ქართველ მოღვაწეთა შორის უნდა გავხსოვდეს წმინდა სახელი ისეთი დიდი მეცნიერისა და ქველმოქმედისა, როგორიც იყო დავით სარაჯიშვილი – ილია ჭავჭავაძის მეგობარი, დამხმარე და თანამდგომი ყოველ ეროვნულ საქმეში.

პირველდასულთა იდეალებს იზიარებენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ ქართული ეკლესიის საუკეთესო მოძღვარნი, რომელთა შორის დაუვიწყარია სახელი გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა.

უკვე ვთქვით, რომ 900-იან წლებამდე პირველდასულთა საქმიანობა უფრო თავდაცვითი ხასიათისა იყო. მთავარი გახლდათ ერს ერთობა შეენარჩუნებინა, არ გადაგვარებულიყო, ეფხიზლა. ქართველი ხალხის გამოღვიძებისა და ეროვნული შეგნების გაღრმავების მიზნით 90-იან წლებში პირველდასულთა ინიციატივით ყურადღება მიექცა ორ დიდ ამბავს. ორივე დაკავშირებულია 1895 წელთან. პირველი გახლდათ კრწანისის ბრძოლის მოგონება, მეორე — კი რუსეთის ერისთავის იუბილე. აღნიშნულ მოვლენათა შესახებ

უმჯობესია თვითმხილველის, გლასხიშვილის, მოგონება გაგაცნოთ, რომლითაც ცოცხლად წარმოგვიდგება თითქმის 100 წლის წინანდელი ამბები:

„შესრულდა ასი წელი იმ საშინელი დროიდან, როცა სპარსეთის მბრძანებელმა აღა-მაჰმად ხანმა აოხრა და მიწასთან გაასწორა საქართველო. განრისხებული იმ ურთიერთობით, რომელიც მაშინ დამყარდა რუსეთსა და საქართველოს შორის, აღა-მაჰმად ხანი დიდძალი ჯარით შემოესია ამიერკავკასიას, სწრაფად გადმოლახა სომხეთის პროვინციები და მოადგა ტფილისს. ერეკლე მეფე მედგრად დაუხვდა მტერს და კრწანისის ველზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელშიაც ერთმუშა ქართველთა ლაშქარმა, ერეკლე მეფის წინამძღოლობით, თავი ისახელა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირულობით. ერეკლე დამარცხდა, იძულებული შეიქმნა ტფილისი დაეტოვებინა და მთაში გახიზნულიყო.

ხორცით და სულით მახინჯი აღა-მაჰმად ხანი შეიჭრა ტფილისს და ქვაქვაზედ არ დასტოვა.

აი, ეს საშინელი დრო მოივონა ქართველობამ 1895 წელს.

დადგა 11 სექტემბერი — იმ დღის მოგონებისათვის დანიშნული ვადა. ადრე დილიდანვე ტფილისს დაეტყო რაღაც არაჩვეულებრივი გამოცოცხლება, ღოძრაობა. 10-11 საათიდან დაიწყო ხალხმა დენა, პატარა ხნის შემდეგ ვორონცოვის ქუჩით დიდძალი ხალხი ამოძრავდა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, მუშა თუ ხელოსანი, ვაჭარი და მოქალაქე, ინტელიგენტი, თავაზიანური, ერთი სიტყვით, თითქო მთელი ტფილისი ამოძრავდა განურჩეველად წოდების, მდგომარეობისა და ეროვნებისაც კი — (დიდძალი სომხობაც დაიძრა). ვორონცოვის ქუჩა და შემდეგ გზა კრწანისის დიდ მინდვრამდე აესილი იყო მიმავალ ხალხით. როცა მე და რედაქციის თანამშრომლებმა მივაღწიეთ დანიშნულ ალაგს, გადაგვეშალა თვალწარმტაცი სურათი: დიდ მანძილზე თავი მოეყარა ზღვა ხალხს. გარდა ტფილისელებისა აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულნი გლეხებიც. აქა-იქ მოსჩანდა ამქრების გაშლილი ბაირაღები. აქეთ-იქით ისმოდა ზურნის სევდიანი ხმა... იმ ხანებში არავის უნახავს ამდენი თავმოყრილი ხალხი და ყველაზედ უფრო საგულისხმიერო ისაა, რომ ეს ამოდენა ხალხი თავისი ნებით იყო მოსული: არავის არ უზრუნია წინასწარ მისი შეკრებისათვის. ხალხი მოვიდა, აღტკინებული საზარელის მოგონებით, რათა პატივი ეცა თავდადებულ გმირთათვის.

შუადღის შემდეგ დაიწყო პანაშვიდი. ალექსანდრე ეპისკოპოსმა „საუკუნო ხსენება" წარმოსთქვა მეფე ერეკლესი და იმ გმირთა, რომელთაც თავი დასდვეს კრწანისის ველზე სამშობლოს დასაცავად. ხალხის აღელვებამ უმაღლეს

წერტილამდე მიაღწია. ბევრმა დაიჩოქა, გაისმოდა სამგლოვიარო მარში, მუსიკისა და ზარნის სევდიანი ჰანგები.

ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე, ხოლო ქართველმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით ჩვენ, ახალგაზრდებმა, დიდი ეროვნული აღტკინება განვიცადეთ".

იმავე წლის ოქტომბერში ჩატარდა რაფიელ ერისთავის იუბილე. ეს იუბილე ეროვნულ დღესასწაულად იქცა, რადგან იგი იყო საერთოდაც პირველი დღესასწაული, რომელსაც ქართველი ხალხი თავის ეროვნულ მოღვაწეს უხდიდა. იუბილეს ინიციატორი გახლდათ აკაკი წერეთელი. მერე და მერე იუბილეები მოხშირდა, გაუფასურდა და შაბლონად იქცა. პირველ იუბილეს კი საერთო ეროვნული დღესასწაულის სახე მიუღია. „მშვენიერი მზიანი და თბილი შემოდგომის დღე იყო — აგრძელებს თხრობას გლასხიშვილი — 11 საათისათვის იწყო დენა ხალხმა ქართულ თეატრისაკენ... თეატრის შესავალი და თვით თეატრი მორთული იყო ყვავილებით, გირლიანდებით და გვირგვინებით. პატარა ხანში თეატრი სრულიად აიკსო ხალხით, სადღესასწაულოდ მორთულ მანდილოსნებითა და მამაკაცებით.. ტევა აღარ იყო და მრავალი ხალხი თეატრის დერეფანში და ეზოში დარჩა.

აიხადა ფარდა და შეკრებილთა თვალწინ გადაიშალა ვკერ უნახავი სურათი: მშვენიერად მორთულ და მძლავრად განათებულ სცენაზე მარჯვნივ და მარცხნით იდგნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დეპუტატები გვირგვინებით, საჩუქრებითა და ადრესებით ხელში. ნაირ-ნაირი ტანისამოსით სადღესასწაულოდ გამოწყობილი ქალები და კაცები: გურიიდან და ქობულეთიდან გურულ ტანისამოსში, ფშავ-ხევსურნი — ვაჟაშანში, იმერნი — თეთრ ჩოხა-ახალუხში, ქართლ-კახელნი — ძველებურ ყურთმაჯებში და ტფილისელ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სტუმრები — ევროპულ სადღესასწაულო ტანსაცმელში. საუცხოოდ ირეოდნენ ერთმანეთში. შუა ადგილას იდგა იუბილარისთვის გამზადებული საყარძელი.

მოისმა გარედან „ვაშას" ძლიერი ხმა, გაისმა მუსიკა, ილიამ და აკაკიმ თეთრ ცხენებმული ლანდოთი მოიყვანეს რაფიელი. გამოჩნდა თუ არა იუბილარი სცენაზე, მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა და გაისმა ძლიერი, ხანგრძლივი ტაშისცემა და „ვაშას" ძახილი, აღტაცებული საზოგადოება არ ცხრებოდა... ბოლოს საზოგადოება დაწყნარდა და იუბილარმა თავისი ადგილი დაიჭირა: მარჯვნით და მარცხნით მოუსხდნენ აკაკი და ილია და დაიწყო მილოცვები".

ასეთი ფაქტები (უფრო ადრე კი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან ტფილისში) ქართველთა ეროვნულ გრძნობას ქსალ-

ბუნებოდა, ვოსტორგოველებისა და იანოვსკების, კორსაკოველებისა და გოლიცინებისაგან შეწუხებულთ დროდადრო საკუთარ ვინაობაზე დააფიქრებდა და გულში იმედს უღვივებდა. ამაზე შორს ეროვნული მოძრაობის ლიდერები იმხანად ვერ მიდიოდნენ, რადიკალურ მოთხოვნებს ვერ აყენებდნენ, რადგან იმ ვითარებაში, როცა საქართველოს ხსენებაც კი აკრძალული იყო პრესაში, უფრო მეტს ვერას გახდებოდნენ. იძულებულნი იყვნენ ნაბიჯ-ნაბიჯ ეცლოთ წინ. ის კი არა, როდესაც სოციალ-ფედერალისტებმა თავის პროგრამაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა შეიტანეს, ილიას დაუწუნებია მათთვის ასეთი ნაბიჯი. ავტონომია გულში უნდა გქონოდათ, ჩვენი მიზნების საქვეყნოდ გამოცხადება ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს, მტრებს მოგვიმრავლებსო. — უთქვამს მას. ცხადია, ახალგაზრდა ფედერალისტებს გააცებდათ ილია ჭავჭავაძის ასეთი სიფრთხილე, იმ ილიასი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე ეროვნული თავისუფლების მიზანს უქვემდებარებდა ყოველ საზოგადო საქმეს. მაგრამ, კიდევ მინდა გავიმეორო, პირველდასაწყისები იმ კონკრეტული სიტუაციიდან ამოდიოდნენ, თუ როდის რას ითხოვდა სამშობლოს ბედი, ილია წინაალმდეგი იყო არა მარტო კლასობრივი გათიშულობისა, სოციალური დაყოფისა და დაქსაქსულობისა, არამედ სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა პარტიის სოკოებივით მომრავლებისაც, რადგან, მისი აზრით, შინაპარტიული ბრძოლები კიდევ უფრო გათიშავდა ისედაც პატარა და დანაწევრებულ ერს. ყველა პარტიას, საზოგადოების ყველა ფენას, ყოველ ქართველს, პირველდასაწყისთა აზრით, ერთი დროშის ქვეშ მართებდათ დგომა, ვიდრე ქართველ ხალხს საერთო მტერი ჰყავდა.

ილიას მიერ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის დაწუნების შემდეგ გადის სულ 2-3 წელიწადი. რუსეთში პოლიტიკური ვითარება იცვლება.

1904 წელს უზარმაზარი იმპერია სამარცხვინოდ აგებს ომს პატარა იაპონიასთან.

კაპიტალიზმის განვითარებამ მოამრავლა მუშათა კლასი, — პროლეტარები. იწყება სიდუხჭირით შეპირველებული მუშების პერმანენტული გაფიცვები იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

რევოლუციური პარტიები ყოველ წუთს ემუქრებიან მმართველთა სიმშვიდესა და კეთილდღეობას.

მოთმინების ფიალა აესო ორმაგად — ეროვნულად და სოციალურად დაჩაგრულ არარუს ხალხებს. ბორკილების ახსნას ცდილობს პოლონეთი, ფინეთი.

ქვეყანაში მძვინვარებს ტერორი, მოკლეს პლევე — ცხრაასიანი წლების მორიგი რეაქციის სულისჩამდგმელი.

ომში დამარცხებული და შინ აშლილი იმპერია ეკონომიკურად სულს ღაფავს. იძულებულია ევროპის ქვეყნებს ეხვეწოს სესხს.

დემოკრატიულ ქვეყნებს კი დესპოტური რუსეთის ნდობა არა აქვთ და სესხსაც არავინ იძლევა. იმისათვის, რომ დემოკრატიული ქვეყნების ნდობა მოიპოვონ და როგორმე მიიღონ სასურველწიფოსათვის მხსნელი სესხი, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გრაფი ვიტე, აიძულებს იმპერატორს, ნიკოლოზ მეორეს, ხელი მოაწეროს მანიფესტს და, აი, 1905 წლის 17 ოქტომბერს ხალხს გამოუცხადეს სიტყვის, პრესის, კრებების, სინდისის თავისუფლება.

ეს თავისუფლება ხალხს მხოლოდ რამდენიმე დღით ებოძა. სულ მალე მთელ იმპერიაში ისევ რეაქცია დაიწყო. სულ მალე საქართველოში საგანგებო, სამხედრო წესები იქნა შემოღებული, მაგრამ იმპერიის რღვევა უკვე დაწყებულია, მას ველარაფერი შეაჩერებს.

ახლა კი შექმნილი სიტუაციით სარგებლობენ პირველდასაწყისელები და პირველი სწორედ ილია ჭავჭავაძეა, რომელიც იმ დროისათვის ყველაზე რადიკალურ მოთხოვნას მიაღებინებს თავად-აზნაურთა კრებას. რეალურად დადგა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის დრო და ეს საკითხი პირველმა სწორედ „ფრთხილმა“ ილია ჭავჭავაძემ წამოჭრა, მაშინ როდესაც ე.წ. უკიდურესი რადიკალების მოთხოვნა დამფუძნებელი კრების მოწვევის ოცნებას ვერ სცილდებოდა.

1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოს სხვადასხვა პარტიასა და ჯგუფს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდა. პირველდასაწყისელებს რევოლუციის სიკეთისა, რევოლუციონერთაგან შეპირებული ძმობის, თანასწორობის, თავისუფლების პრინციპზე აგებული საზოგადოების რეალურობისა ბევრი არაფერი სწამდათ. ილიას მიაჩნდა, რომ ასეთი საზოგადოების აშენებას რუსეთის ჩამორჩენილობის გამო ორი ასწლეული მაინც დასჭირდებოდა. ილია ფიქრობდა, რომ ნამდვილი, კონსტიტუციური წყობილების დამყარება და სოციალური საკითხების მოგვარება მოკლე დროში ილუზია იყო. მისი მრწამსით, რუსული მარქსიზმი საქართველოს არაფერში წაადგებოდა. ამიტომაც ილია ჭავჭავაძე ძველ და ახალ თანამოაზრეებთან ერთად მტკიცედ ადგა ნახევარი საუკუნის წინ პირველდასაწყისელთა მიერ არჩეულ გზას. რუსეთი ინგრევა, ჩვენ, ქართველებმა კი, ჩვენს თავს უნდა ვუშველოთ — ფიქრობდნენ პირველდასაწყისელები, მაგრამ ისტორიამ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის სათავეები რუსეთში და, შესაბამისად, მთელ იმპერიაში, სხვა ძალებს გადასცა. ეს ძალები გაერთიანებულნი იყვნენ მარქსისტულ ორგანიზაციებში. მათ შექმნეს ორგანიზებული პარტია სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სახელწოდებით. ეს გახლდათ რუსული პარტია, რომელსაც განსაკუთრებით ძლიერი წარმომად-

გენლობა ჰყავდა საქართველოში. აი, სწორედ ამ ძალებმა შეიწირეს ილია ჭავჭავაძე 1907 წლის 30 აგვისტოს. ილიას სიკვდილით კი ფაქტობრივად ლახვარი ჩასცეს იმ იდეასაც, რომელსაც პირველი დასი ემსახურებოდა. პოეტის თქმისა არ იყოს, „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ თუ რა ედო ამ არაადამიანურ აქტს საფუძვლად, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, ამჯერად კი შევჩერდებით სხვა დაჯგუფებათა მოღვაწეობის შესახებ.

მეორე დასი

საკითხები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, თქვენ შესწავლილი გაქვთ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე. ამჯერად ამ საკითხებზე კვლავ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ამ იდეურ-ლიტერატურულ მიმდინარეობებს, რომელნიც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გაფორმდა, თავისი კუთვნილი ადგილი ეკავა 90-იან და 900-იან წლებშიც.

მეორე დასი, რომლის იდეური მეთაურები იყვნენ გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და ნიკო ნიკოლაძე, არსებითად იმავე მიზნებს ისახავდა, რასაც პირველდასელები. მეორედასელებს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იგივე მეთოდები ჰქონდათ, რაც პირველდასელებს. ამდენად, ყველაფერი ის, რაც ზემოთ პირველდასელთა შესახებ ითქვა, ახასიათებს მეორე დასის წარმომადგენელთა მოღვაწეობასაც. ამასთანავე იყო საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც ამ ორ იდეურ-ლიტერატურულ მიმდინარეობას განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. მეორედასელები წინა პლანზე წამოწევდნენ ასპარეზზე ახლად გამოსულ წვრილ მესაკუთრეთა ინტერესებს და ფიქრობდნენ, რომ მომავალის, თავისუფალი საქართველოს შემოქმედნი იქნებოდნენ მშრომელი, განათლებული წვრილი მესაკუთრენი. გაიხსენეთ ვაჭართა ფენის ორი წარმომადგენელი — მიკირტუმ გასპარიჩი და ბახვა ფულავა. თუ მიკირტუმ გასპარიჩისადმი გიორგი ერისთავი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს, გიორგი წერეთელი იმავე ვაჭართა წრის წარმომადგენელს, ბახვა ფულავას, უკვე დადებით გმირად წარმოგვიდგენს, არის კიდევ ერთი მომენტი, რასაც მეორედასელებზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას, — მათი ფიქრით, რუსეთის დემოკრატიზაცია გახდებოდა საქართველოსთვის ხსნის საშუალება.

გლასხიშვილის გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს კი ასეთი რამ უთქვამს: „რუსეთში საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება ჩვენთვის, ქართველებისათვის, სასურველ სრულიადაც არ იქნება. თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა თანასწორობის, ერთობისა და ძმობის, უმაღლესი სამართალიანობის სამეფო ჯერ

ძლიერ შორს არის, არა თუ რუსეთისთვის, არამედ განათლებულ და განვითარებულ ინგლისისა და საფრანგეთისთვისაც. ხოლო დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება რუსეთში ჩვენ, ქართველებს, დიდ საშიშროებას გვიქადის. რუსის საზოგადოებაში და ხალხში დიდი პოტენციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს და ამიტომ ჩვენ, არარუსებს, შესაძლებლობა გვაქვს ვიარსებოთ და ვისუნთქოთ, ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ, ჩვენც ვახერხებთ და მივდევთ უკან. იმდენი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გაგვისწროს და მერე, როგორც ჩამორჩენილი, ველური ხალხი, გადაგვყლაპოს. ხოლო, თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფლებას მოიპოვებს, იგი ძლიერის სიჩქარით წავა წინ, ჯერ ეკონომიურად დაგვიპყრობს და მერე ან გაგვარუსებს, ან აღგვგვის დედამიწის პირისაგან, აი, პოლონელებს და ფინლანდიელებს ვერას უზამს. ისინი ძლიერი არიან როგორც ეკონომიურად, ისე ეროვნულის შეგნებით. აი, ამათთვის საკონსტიტუციო რეჟიმი სასარგებლო იქნება, რადგან შესძლებენ და დიდ მეტოქეობას გაუწევენ რუსებს. ჩვენ კი იმდენად სუსტნი ვართ ეკონომიურადაც და ნაციონალურის თვითშეგნებითაც, რომ თავისუფალი რეჟიმით წათამამებული და წახალისებული რუსეთი თავის ქერქში ველარ დაეტევა, სამხრეთ მდიდარ ქვეყანას გადმოხეთქავს და ჩვენ ადვილად წაგვლეკავს–

საკონსტიტუციო რეჟიმი ძლიერებს ამაგრებს, ხოლო სუსტებს მონებად აქცევს".

დიდი ადამიანები იმითაც არიან დიდნი და ჩვეულებრივ მოკვდავებზე აღმატებულნი, რომ წინასწარ შეუძლიათ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის განჭვრეტა. ილიას აქ წარმოდგენილი აზრი ჭეშმარიტად წინასწარმეტყველის, ნათელმხილველის აზრია. 20-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველო არა მარტო პოლიტიკურად, ეკონომიკურად დაპყრობილიც აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფიქრობდა ილია, ჩვენ ჩვენს ვინაობას მიეხედოთ, ჩვენი შინაგანი სიძლიერით დავდგეთ სხვა ერთა შორის და ხსნის საბოლოო გზა შემდეგ გამოჩნდებაო. მეორე დასი კი, როგორც ვთქვით, მთელ იმედებს გარეშე ძალების გარდაქმნაზე ამყარებდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ისეთმა დიდმა ქართველმა მოღვაწემ და ღრმა პოლიტიკურმა მოაზროვნემ, როგორიც ნიკო ნიკოლაძე იყო, რამდენიმე წელი რუსეთსა და საფრანგეთში გაატარა და, როგორც ერთი ლიდერთაგანი, რუსეთის ინტელიგენციასთან ერთად იბრძოდა რუსეთის დემოკრატიულ გზაზე დასაყენებლად–

პირველი და მეორე დასის პოზიციების სხვაობა აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით მკაფიოდ ჩანს ერთი დეტალიდან: 1897 წელს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომი ატყდა. ამ ომმა ქართველ სტუდენტებში ერთგვარი იმედი გამოიწვია. საერთაშორისო მდგომარეობას, რუსეთის ომში ჩარევას, შესაძლო იყო, ცარიზმის პოლიტიკური სისტემის ნგრევა მოჰყოლოდა. ამ იმედით ფრთაშესხმულმა ქართველმა სტუდენტებმა გააკეთეს საბერძნეთის დროშა, მოიწვიეს სათვისტომოს სხდომა (რომლის თავმჯდომარეც იყო სამსონ ფირცხალავა) და გადაწყვიტეს საბერძნეთისათვის, როგორც დაჩაგრული ქვეყნისათვის, თანაგრძნობა გამოეცხადებინათ. სტუდენტებს თავიანთი განზრახვა წერილობით უცნობებიათ „იერიის" რედაქტორის, ილია ჭავჭავაძისა, და „კვალის" რედაქტორის, გიორგი წერეთლისათვის, რჩევა უკითხავთ მათთვის, რადგან ეს საქმე გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. იცოდნენ, რომ საბერძნეთში თანადგომის გამომხატველი წერილის გაგზავნის შემდეგ არ იქნებოდა მოულოდნელი მათი უნივერსიტეტიდან გამორიცხვა.

გიორგი წერეთელი 1897 წლის 3 აპრილს პეტერბურგის სტუდენტობას უგზავნის პასუხს.

წერეთელი უწონებს კეთილშობილურ გადაწყვეტილებას ქართველ სტუდენტებს და ასკვნის: „ვაი საქართველოს დამცირებას და დამდაბლებას, რომ ამ დროში მას არ შეუძლია უფრო ნამდვილი საქმით მიეშველოს დაჩაგრულ ხალხს, გაგზავნოს საბერძნეთს თავისუფალი რაზმი ქართველთა მებრძოლთა. თქვენი თანაგრძნობის წერილი ჩინებულია და დიაღაც უნდა გაგზავნოთ".

ილია ჭავჭავაძე 1897 წლის 5 აპრილს ქართველ სტუდენტებს ასევე უგზავნის წერილს. უწონებს მათ „ყოველად პატიოსან გულთაძვრას საქვეყნოს", „გულთაძვრას ბრწყინვალესა და დიდებულს, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა", მაგრამ რჩევით კი, აი, რას ურჩევს მათ:

„მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა... მაგრამ რა ვქნათ? ბედმა იმისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისთვის ვერ გავწირავთ ვერარას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და მისთვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ. ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელითა: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადიხვეთ, ნურც იქით, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ამ ორის უძლიერესის ფარხმალით მოდით და ეპატრონეთ თქვენსა ქვეყანას, რომელსაც ჯერ სხვა საედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს–და და რომელიც ამ გზით

მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებასა. ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი, თქვენი თავი რად გვილირს ასე ძვირად და სიძულწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთის თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ. თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი_ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონე-მიხდილი და ჯანმილებული. უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, არ ამოგიდრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულთა-თქმას_

გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი. ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა".

კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია.

ხალხოსნები

ერთ პატარა სიუჟეტს გაგაცნობთ: რუსეთიდან ჩამოსულ სტუდენტს ქუთაისში, ახლობლის ოჯახში, ჯანდარმერია დასხმია თავს. ეჭვი ჰქონდათ, ეს სტუდენტი „ნაროდნიკული" მოძრაობის აქტიური წევრიაო. ოჯახი აიკლეს, აქოთეს, ყველაფერი მიჩხრიკ-მოჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ჩხრეკის დროს ჯანდარმერიის უფროსი ოფიცერი უცებ მობრუნებულა და სტუდენტისთვის უკითხავს:

— ხშირად დადიხართ ხოლმე სოფელში?

დაბნეულ სტუდენტს პასუხი არ გაუცია.

— მე თქვენ გკითხავთ, სოფლებში ხშირად მოგზაურობთ? — კვლავ გაუმეორა ოფიცერმა.

— ათი დღეა, რაც ოდესიდან ქუთაისში ჩამოვედი და ჯერ-ჯერობით ქალაქიდან ფეხი არსად გამიდგამს — პასუხობს გაკვირვებული სტუდენტი.

— მაშ ეს რა არის, რად გინდა? — უთითებს ჯანდარმი უნაგირზე, რომელიც იქვე, დერეფნის კუთხეში, დაუნახავს. როცა გაიგეს, უნაგირი სახლის პატრონისა იყო, დამშვიდებულან_

რატომ მოგიყვანეთ ეს უმნიშვნელო ამბავი? ამ პატარა დეტალში კარგად ჩანს ერთი რამ: სოფელში რომ ინტელიგენტი გამოჩნდებოდა, პოლიცია და ჯანდარმერია ცხრა ყურსა და ცხრა თვალს გამოისხამდა ხოლმე, არიქა, „ტეტიათა მოტრფიალე" (ასე უწოდებდნენ ხალხოსნებს) არ იყოს, გლეხების გონების ასარევად და მათს ასაბუნტებლად ჩამოსულიო. უნაგირის დანახვაზე ის ჯანდარმიც ამიტომ დაეჭვებულა — ეს ახალგაზრდა სოფელ-სოფელ ხომ არ დახეტიალობს ხალხში რევოლუციური იდეების გასავრცელებლადო. დიახ,

ხალხოსნები მათ სწორედ სოფელთან, უბრალო ხალხთან კავშირის გამო შეერქვათ.

„ნაროდნიკული", „ხალხოსნური" მოძრაობა რუსეთში დაიწყო. ქართველი ხალხოსნებიც რუსულ „ნაროდნიკულ" იდეებზე აღიზარდნენ, მაგრამ საქართველოში თავიანთი მოღვაწეობა მათ ეროვნულ პრობლემებს შეუხამეს და უკრიტიკოდ არ მიუღიათ რუსული იდეები.

როგორი იყო „ნაროდნიკების" პოლიტიკური მრწამსი? „ნაროდნიკებს" მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ლომის წილი უნდა ჰქონოდა გლეხობას. ისინი გლეხობაში ხედავდნენ მომავალი რევოლუციის მამოძრავებელ ძალას. ფიქრობდნენ ჯერ განათლების შეტანას გლეხებში, შემდეგ კი მათს აჯანყებას და ამ გზით სოციალიზმის დამყარებას. დასახული მიზნის მისაღწევად არ უარყოფდნენ ისეთ საშუალებას, როგორიცაა ტერორი. სწორედ ნაროდნიკებმა მოკლეს 1881 წლის 1 მარტს იმპერატორი ალექსანდრე II.

ქართველი ხალხოსნები, რომელთა წინამორბედებად საქართველოში ითვლებიან დანიელ ჭონქაძე და ანტონ ფურცელაძე, ხალხოსნურ პარტიად ჩამოყალიბდნენ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. თავდაპირველად რუსული პარტიის მსგავსად, რომლის ნაწილადაც თვლიდნენ თავს, ქართველი ხალხოსნებიც უარყოფდნენ წოდებათა შორის საკითხის მშვიდობიან მოგვარებას. თავდაპირველად მათი იდეალიც იყო გლეხთა აჯანყების გზით სოციალიზმის დამყარება. მაგრამ მალე ისინი დასცილდნენ ჩერნიშევსკისა და ლავროვის იდეებს და მხარში ამოუდგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს: ილიას, აკაკის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ განსახილველად აღებულ ეპოქაში მათს პოზიციებზე დგანან.

I და II დასი ერის გადარჩენით ცდილობდა გლეხკაცთა ინტერესების დაცვას, ხალხოსნები კი გლეხობის დაცვით — ერის გადარჩენას. არსებითად მათ საერთო იდეალი ამოძრავებთ — თავისუფალი საქართველოს იდეალი.

ხალხოსნური მოძრაობის საიდუმლო ორგანიზაცია ასეულობით წევრს ითვლიდა საქართველოში. ქართველ პოლიტიკურ ლიდერთა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი), რომლის ფათერაკებით, ტანჯვით აღსავსე ბიოგრაფიაში ვხედავთ თავისუფლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლ კაცს.

რაც შეეხება ხალხოსან მწერლებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირადად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხალხოსნურ მოძრაობაში, მათი ნაწარმოებების ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის დებულებათა არტახებში მოქცევა მაინც საფრთხილო საქმეა, რადგან ნამდვილი მწერალი, როგორც

შესავალ ნაწილში ვთქვით, ქმნის ახალ რეალობას, ახალ სამყაროს, რომელიც ხშირად არ თავსდება ჩვენ მიერ წინასწარ მომზადებულ სქემებში. მხოლოდ ამ თეზის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში ამა თუ იმ „იზმსა“ და მიმდინარეობაზე, კერძოდ, ხალხოსან მწერლებზეც, — ანტონ ფურცელაძე იქნება ეს თუ ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი თუ სტეფანე ჭრელაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი თუ ნიკო ხიზანიშვილი.

სოციალ-ფედერალისტური პარტია

მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთმანეთს ებრძვის ორი მიმდინარეობა — ეროვნული იდეის მატარებელი ძველი თაობა და სოციალისტური იდეების მქადაგებელი ახალგაზრდა მარქსისტები. ე.წ. მესამედასელები.

ამ ჯგუფის, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდების, ერთი ნაწილი დაირაზმა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო.

ეს ახალგაზრდები მამათა თაობის თანამგრძნობნი იყვნენ ეროვნულ საკითხში, მაგრამ არ ეთანხმებოდნენ მათ სოციალური პრობლემებისადმი დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ დარაზმული პატრიოტები საერთო ენას ნახულობენ სოციალ-დემოკრატებთან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მათგან განსხვავებული რადიკალური პოზიციები აქვთ ეროვნულ საკითხში. აქედან გამომდინარე, ისინი ქმნიან ახალ პარტიას, რომელსაც ჯერ „სოციალ-ფედერალისტური“, ხოლო შემდეგ „სოციალ-ფედერალისტური სარევოლუციო“ პარტია ეწოდა. ამ პარტიის მოქმედების პროგრამა განისაზღვრა შემდეგნაირად: საქართველოს ავტონომია, კავკასიის ერთა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაცია, სოციალიზმის მინიმუმი და მაქსიმუმი პროგრამები.

თავდაპირველად დაისვა საკითხი, რომ მომავალ პარტიას ებრძოლა საქართველოს სრული გამოყოფისათვის, მაგრამ ახალგაზრდა პატრიოტებმა უფრო რეალურად მიიჩნიეს არა სრული გამოყოფისაკენ ლტოლვა, არამედ ავტონომია რუსეთის ფედერაციის ფარგლებში.

1901 წლის შემოდგომაზე არჩეულ იქნა მომავალი პარტიის საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტში შედიოდნენ არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ანდრია დეკანოზიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი ლასხიშვილი.

ამ პარტიის თანამგრძნობნი ან სხვადასხვა დროს აქტიური წევრნი

იყვნენ: სამსონ ფირცხალავა, ალექსანდრე ჯაბადარი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ილია ნაკაშიძე, ივანე გომართელი, თედო სახოკია, ნიკო ქართველიშვილი, ვალერიან გუნია და სხვები. ეს ის პირებია, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში.

1902 წელს არჩილ ჯორჯაძის წინადადებით გადაწყდა, ახლად დაარსებულ პარტიას გამოეცა არალეგალური გაზეთი, რადგან ლეგალურ პრესაში იმ იდეალებზე წერა, რასაც პარტია ისახავდა მიზნად შეუძლებელი იყო.

თანამგრძნობ პირთა შორის მოაგროვეს თანხა 6-7 ათასი მანეთის ოდენობით და საზღვარგარეთ, პარიზში, გაგზავნეს არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი, რომელთაც 1903 წლის მაისში გამოსცეს გაზეთი „საქართველო". ეს გაზეთი არალეგალური გზით შემოდიოდა საქართველოში. გაზეთი გამოიცა აგრეთვე ფრანგულ ენაზე, რათა საფრანგეთისათვისაც ცნობილი გამხდარიყო ქართველი ერის მისწრაფებანი.

რის ვაი-ვაგლახით საქართველოში ჩამოტანილი გაზეთის ტირაჟს ხელისუფალთა გარდა გულმოდგინედ უკეტავდნენ გზას სოციალ-დემოკრატები, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, მუშებში სახელი გაეტეხათ ამ გაზეთისა და მათი გამომცემლებისათვის. სოციალ-დემოკრატთა ამდაგვარი საქციელის მიზეზი კი იყო გაზეთის პოზიცია ეროვნულ საკითხში.

ასე რომ, გაზეთის გამოსაცემად ახალგაზრდები პარიზში წავიდნენ. აქ კი, ჩვენში, გაზეთის გამოცემა კი არა, ამ გაზეთის ხალხში გატანაც სარისკო საქმედ იყო ქცეული.

გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით ერთ კონტრასტულ სურათზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: არჩილ ჯორჯაძე პარიზში ავად გახდა. მეგობრის მისასვლელად და გაზეთ „საქართველოს" გამოცემის გასაგრძელებლად პარიზს ჩასულა გიორგი ლასხიშვილი. იქ მას ნიკო ლოლობერიძე უნახავს, რომელსაც ლასხიშვილი პარლამენტში წაუყვანია და ერთ-ერთ სხდომას დასწრებიან. „იმავ სხდომაზე პალატაში დიდი სკანდალი მოხდა — გადმოგვცემს გლასხიშვილი — ერთმა დეპუტატმა, მონარქისტმა, სილა გაარტყა სამხედრო მინისტრს ანდრეს. ამ ამბავმა თავის დროზე დიდი სენსაცია გამოიწვია მთელ ევროპაში. გამაკვირვა შემდეგმა გარემოებამ: სხდომა რომ გათავდა და ქუჩაში გამოვედით, გაზეთის დამტარებლები არა თუ ჰყიდიდნენ იმ ახალ ამბავს, უკვე ცალკე ფურცლებად დაბეჭდილს, არამედ მეტად ხელოვნურად გაკეთებულ სათამაშოსაც, — მუყაოდან გაკეთებულ ფიგურას, ჩამოსწევდი თუ არა ძაფს, ერთი მათგანი სილას უთავაზებდა მეორეს".

პარიზში ფრანგული გაზეთები დღეში სამჯერ გამოდიოდა თურმე იმ

დროში. ამ ინფორმაციებს რომ კითხულობ, ჩვენი სამშობლოს უბედურება კიდევ უფრო მძაფრად აღიქმება და კიდევ ერთხელ გახსენდება დანტეს სიტყვები, თითქოსდა ჯოჯოხეთის კარს რომ აწერია: დასტოვე ყოველგვარი იმედი, ვინც აქ შემოდიხარო.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლებში, როცა იმპერიის ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ დათმობებზე წასულიყვნენ, არალეგალურ ორგანიზაციებს მოქმედების მეტი შანსი გაუჩნდათ. ამიტომ გაზეთ „საქართველოს" გამოცემა პარიზში შეწყდა და ფედერალისტებმა ერთიანი ძალებით საქართველოში განაგრძეს ბრძოლა.

მესამე დასი

მესამე დასმა, ანუ სოციალ-დემოკრატიამ, ანუ მარქსისტულმა ორგანიზაციამ, მათივე სიტყვებით თუ ვიტყვით, იტვირთა, რომ ბოლო მოეღო ბრძოლისათვის, რომელიც ატეხილია „კაპიტალსა და შრომას შუა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის" და „უდაბნოში მოტანტალე კაცობრიობა აღთქმულ ქვეყანაში" მიეყვანა.

როგორც ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა იკისრეს ბიბლიური მოსეს როლი, რომელმაც ებრაელი ხალხი უდაბნოდან გამოიყვანა, ტყვეობიდან იხსნა, იმ განსხვავებით, რომ მოსე თავისი ხალხის ხსნაზე ფიქრობდა, სოციალ-დემოკრატიამ კი კაცობრიობის ხსნის კეთილშობილური მიზანი დაისახა_

ეს მიზანი კეთილშობილური იყო იმდენად, რამდენადაც მესამე დასის დროშას ეწერა: ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

მაგრამ თავისთავად ამ კეთილშობილური იდეალების განსახორციელებლად მათ მიმართეს ბრძოლის არაკეთილშობილურ ფორმებსა და მეთოდებს. სიაუით კი სიკეთისათვის კაცობრიობას არასოდეს მიუღწევია.

მესამე დასი საქართველოში ოფიციალურად გაფორმდა 1894 წლის მაისში. ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე თავი მოიყარეს ახალგაზრდა მარქსისტებმა, საზოგადოებას სიტყვით მიმართა სოციალ-დემოკრატიის ერთერთმა პიონერმა საქართველოში სილიბისტრო ჯიბლაძემ. ნინოშვილის დაკრძალვის ცერემონიალმა მიიღო მიტინგის სახე. ეს დღე ითვლება ქართველ მარქსისტთა ჯგუფის ოფიციალურად გაფორმების დღედ.

90-იან და 900-იან წლებში ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ: ფმპხარაძე, ს.ორჯონიკიძე, ი.ჯუღაშვილი, ნ.ჟორდანია, კ.ჩხეიძე, მ.ცხაკაია, ს.ჯიბლაძე, ა.წულუკიძე და სხვები. მათ დიდი

მუშაობა ჩატარეს საქართველოში მარქსისტული იდეების გასაერცელებლად. მათი პირველი ორგანო იყო გიორგი წერეთლის მიერ დაარსებული ჟურნალი „კვალი“.

აქ მოკლედ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორი იყო ქართველი მარქსისტების პოზიცია და რა გზებით, რა ფორმებით, რა მეთოდებით აპირებდნენ ისინი იმპერიის დანგრევასა და კომუნისტური საზოგადოების აშენებას. ყურადღებას გავამახვილებ ძირითად საკითხებზე, რადგან მე-20 საუკუნის შემდგომი მონაკვეთების მიმოხილვაში, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პოზიციების შესახებ კვლავ და კვლავ გვექნება საუბარი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და შემდეგ პარტია რუსული პარტიის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. ეს პარტია იყო ყველაზე რადიკალურ-ოპოზიციური არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატიის პროგრამა მაქსიმუმი — შეიარაღებული აჯანყების გზით ცარიზმის დამხობა და გარდამავალი პერიოდის შემდეგ ჯერ სოციალიზმის, მერმე კი კომუნიზმის აშენება. ცარიზმის მოწინააღმდეგე იყო საქართველოში ყველა ოპოზიციური ძალა, მათ შორის, ცხადია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა წარმომადგენელი და, მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატია ეწეოდა გააფთრებულ ბრძოლას არა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგაც. ამ ერთი შეხედვით პარადოქსულ ვითარებას ადვილად ეძებნება ახსნა მესამე დასის პოზიციების გაცნობის შემდეგ. ეს პოზიციები მოკლე სქემის სახით ასე წარმოგვიდგება:

1) კაცობრიობის დღემდე არსებული ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია. რაკი ეს ასეა, საქართველოში, ისე როგორც ყველგან, აუცილებელია და უნდა გაიშალოს კლასობრივი ბრძოლა.

2) ისტორიის მამოძრავებელი ძალაა მუშათა კლასი, პროლეტარიატი. რაკი პროლეტარიატი დაურწევს მომავალ რევოლუციას აკვანს, ახალ საზოგადოებაში უნდა დამყარდეს პროლეტარიატის დიქტატურა.

3) ქვეყანა გაყოფილია მრავალრიცხოვან და ჩაგრულებად, ექსპლოატატორებად და პროლეტარებად. ექსპლოატატორი მტერია პროლეტარისა. რაკი ეს ასეა, ქართველი პროლეტარი არის ძმა რუსი, ინგლისელი, უზბეკი, ჩუვაში და ა.შ. პროლეტარისა და არის მტერი ქართველი ბურჟუისა და თავადისა, აქედან გამომდინარეა ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, აქედან გამომდინარეა ლოზუნგი — „პროლეტარს არ აქვს სამშობლო“.

4) ადამიანის უპირველესი მიზანია არა ეროვნული, არამედ სოციალური

თავისუფლება.

მათი აზრით, რადგან ისტორიის მამოძრავებელ ძალას — პროლეტარიატს — არა აქვს სამშობლო, სოციალ-დემოკრატია ეწევა კოსმოპოლიტიზმში გადასული ინტერნაციონალური იდეების პროპაგანდას, იბრძვის ადამიანთა გონებიდან ნაციონალიზმის ამოსაფხვრელად. ამიტომ ნაციონალიზმი დღემდე რჩება სალანძღაო ცნებად, ეს მაშინ, როცა ნაციონალიზმი არის უაღრესად ადამიანური გრძნობა და მას არაფერი აქვს საერთო შოვინიზმთან. ნაციონალიზმის კლასიკური გაგებაა გადმოცემული აკაკის სიტყვებში —

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა".

ქართველ მარქსისტთა პოზიციაზე ეროვნულ საკითხში შემდგომში უფრო საფუძვლიანი საუბარი გვექნება, ახლა კი ერთი მრავალისმეტყველი სიუჟეტის მოხმობით დავკმაყოფილდეთ, რომელიც მახვილგონიერულად გვისატაცებს სოციალ-დემოკრატის შინაგან სამყაროს.

დავით კლდიაშვილი იგონებს: „მახსოვს, ერთხელ ერთმა ყმაწვილმა გატაცებით წამოიძახა: მარქსისტი ვარ და ეროვნებაზე ძალა მას ვერ ჩამომაშორებს! დაბადებიდან ღარიბ ოჯახში, ეიზრდებოდი სიღარიბეში, გაჭირვებაში ესწავლობდი. თვალი აეხილე — სიღარიბის და სისაწყლის მეტს გარშემო ვერას ხედავდი... — მოითმინე, მოითმინე, მოითმინებითა შენითა ჰპოვებთ სასუფეველსა, რომ მოკვდები, იქ, საიქიოს, ზეცაში მოგეზღვება სამაგიერო ბედნიერებაო. ვინ იცის, იმ საიქიოს, ზეცას, რა ამბაოა?! ვის უნახავს, ვის მოუტანია იქაური ამბაო?! ტყუილი დაიმედება, თაყვის მოტყუება... მარქსმა კი სამოთხე ზეციდან დედამიწაზე ჩამოიტანა, აქ გამიჩინა, აქ მომცა ჩემს სიცოცხლეში, — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! მიგვაგნებია გზა და, ყველა რომ შეერთდებით, ყველა გაჭირვებულები, სამოთხეს აქ გაიჩენთ, სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგ კი არავ ამისთანა მქადაგებელს ჩამოუშორდებით? — არასოდეს, არაფის გულისთვის. მე არ ვიცი, ვინ ვარ ახლა — ქართველი ვარ, რუსი, სომეხი თუ სხვა ვინმე — არც მინდა ვიცოდე: მე ვარ პროლეტარი! — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! აქ არის, ამაშია ჩვენი ხსნა".

ახლა მარქსისტული ლიტერატურის პოზიცია ვნახოთ ეროვნულ საკითხთან მიმართებაში.

ერთხელო, — აგრძელებს თხრობას კლდიაშვილი — ვოლსკის (იგულისხმება მწერალი გრიგოლ ვოლსკი, უმწიფარიძე — ნ.გ.) მოუტანეს ერთი ყმაწვილის ხელნაწერი წასაკითხავად და თავისი აზრის გამოსათქმელად. ნაწარმოების სათაური იყო „ის"... მოთხრობას წამძღვარებული ჰქონდა წინასიტყვაობა, რომელშიც ავტორი ამბობდა, რომ დღევანდელი ცხოვრება ეწინააღმდეგება კაცობრიობის ერებად დაყოფას. სჯობს იმ მრავალ ენათ, რომელზედაც ლაპარაკობენ ეს ერები,

რაც სულს უშლის შეცოდებას, აშორებს ადამიანს ადამიანისაგან, და ამის მაგიერ შემოაქვს ახალი ენა ხმარებაში — ქსპერანტო, რომელიც მისცემს საშუალებას ერთმანეთთან დაახლოებაში და გაგებაში. ჩემს მოთხრობას, საუბედუროდ, ვწერ უკვე ქართულად, რადგან ქსპერანტოს ცოდნა უკვე არ არის იმდენად გაცრცელებული და შემოღებული და უკეცრობით არც მემარჯვება მისი ხმარებაო. მომაყალი კი მისიაო. ჩემი მოთხრობის გმირს სახელად ვარქმევ „ის“, რადგან პეტრე რომ დამერქვა, ის იქნებოდა ქართველი, პიოტრ რომ დამერქვა, იქნებოდა რუსი, პიერ იქნებოდა ფრანგი. „ის“ კი საერთო იქნებაო. აგრეთვე მოთხრობა უნდა აშენებულ იყოს ისეთ მოვლენაზე, რაც ყველასთვის საერთოა, მაგალითად, ამ ნაწარმოებში — შიმშილზე. შიმშილი ყველას ერთგვარად აწუხებს და ყველასათვის უბედურებაა ერთნაირად. ამიტომ ამ მოთხრობაში იგი იქნება მთავარი ღერძიო. სად იმყოფება ჩვენი გმირიო? — ქსაა ზღვა, აზოვის ნაპირი, რადგან ზღვა დიდებულია და მძლავრიო. ამ შესავლის, განმარტების შემდეგ იწყებოდა თვით მოთხრობა „ის“.

სოციალ-დემოკრატიის იდეები ზოგს ოჯახის შექმნაშიც „დაეხმარა“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. „ზოგიერთნი კი მათებურად გაგებული კომპოზიტიზმის მიხედვით აშენებდნენ თავიანთ ოჯახებს, — ეკითხულობთ იქვე — როტშილდის ქარხნის ერთმა მუშამ, გერონტი ელ-იამ, რომელმაც რუსული ენა იმდენად იცოდა, რომ ძლივს ორ სიტყვას თუ გადააბამდა დიდი წვალებით ერთმანეთს, უკუაგდო თავისი ეროვნება და მოიწადინა კომპოზიტური ოჯახის შექმნა. მისი აზრით, ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ სხვა ეროვნების ქალის შერთვა და კიდეც ასე მოიქცა. შეირთო ქალი, რომელმაც ერთი სიტყვა ქართული არ იცოდა“.

გავიდა დრო, ეს მუშა ერთხელ აღელვებული მისდგომია დავით კლდიაშვილს და გაუჩერებია.

— რა ამბავია, გერონტი? — ეკითხება მწერალი.

„— თქვენი დარიგება მინდა, თქვენი რჩევა მჭირია, ძვირფასო დავით, რარიგად მოვიქცე, რა გზას დავადგე იმ გაჭირვების ასაცილებლად, მე რომ ჩავვარდი ჩემი დაოჯახებით— ოჯახს მოვეკიდე, მეგონა გაებედნიერდებოდი— შევცდი, გადავცდი, მე ისეც ჩვენიანი ვიმე უნდა მომეყვანა, ახლა ვხედები, რომ ის უცხო ქალი და მე არ უნდა შევყრილიყავით— ნამეტანი ეჭირიეთ, ერთმანეთის არაფერი გეცმის, იმას ნამეტურ ჩემი სწყინს, როცა ჩემთან მოსული ამხანაგები ქართულად დაიწყებენ ლაპარაკს— ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩვენი შეიძლება უცნაურად და გული მიკვდება, ცუცხლი მეკიდება, ამას რომ ვხედავ— პირდაპირ ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრება— რას ვფიქრობდი და რას შევცარე?!“

ეს პატარა, ნამდვილი ამბავი სიმბოლური მნიშვნელობისაც კი არის. „რას ვფიქრობდი და რას შევცარე?!“ — ეს სიტყვები მთელი სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის მიმართ განაზოგადა შემდეგ ცხოვრებამ. ისინი ხომ ძმობაზე, ერთობასა

და თავისუფლებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ბევრ მათგანს, ხელისუფლების სათავეში ალმოჩენის შემდეგ თვითმკვლელობით რომ დაემთავრებ ცხოვრება, შესაძლოა თვითმკვლელობის წინ წამოსცდათ კიდეც, შესაძლოა ერთხელ მაინც გაუტყდნენ თავს – „რას ვფიქრობდით და რას შევცარეთო?!".

სოციალ-დემოკრატიას, მიუხედავად იმისა, რომ ის ყველა ოპოზიციას შორის ცარიზმის უპირველესი მოწინააღმდეგე იყო, მეფის მთავრობა ნაკლები გაფიქრებით ებრძოდა, ვიდრე ვთქვათ, ერიონულ პარტიებს. პრესაშიც სოციალ-დემოკრატიას მეტი თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე რევოლუციური განწყობით ნაკლებად რადიკალურ ერიონული საკითხის მქადაგებელებს, რადგან ცარიზმი თავის დაუძინებელ მტერში, სოციალ-დემოკრატიაში, ერიონულ საკითხთან დაკავშირებით მოკავშირეს ხედავდა. რუსეთის იმპერიის ერთიანობას თვით ცარიზმი ვერ იცავდა ისე გულმოდგინედ, როგორც ამას სოციალ-დემოკრატები აკეთებდნენ, რადგან, მათი ფიქრით, რუსეთის იმპერიის დაშლა, ცალკეული ერების გამოყოფა გამოიწვევდა პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის გათიშვას, პროლეტარები „ყველა ქვეყნისა" ვეღარ შეერთდებოდნენ_ ეს კი რევოლუციის საქმეს მოუტანდა ზიანს.

აი, სწორედ ამიტომ სოციალ-დემოკრატია ისეთივე გაფიქრებით ებრძვის ერიონულ მოძრაობას, როგორც ებრძოდა ცარიზმს.

რადგან საქართველოში დიდია ავტორიტეტი ერიონული მოძრაობის ლიდერების – პირველდასელების და მათი თანამოაზრეებისა, საჭიროა მათი გზიდან ჩამოშორება. სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი იყო ტერორი.

90-იანი წლების ბოლოს ტერორისტული აქტით იყო მცდელობა აკაკი წერეთლის ჩამოშორებისა. საბედნიეროდ, შემთხვევის წყალობით აკაკი გადარჩა.

ერთ ტერორისტულ აქტს მოსდევდა მეორე. მოკლეს ილიას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ნიკო ხიზანიშვილი. ამ მკვლელობით გააფრთხილეს თვით ილია, ამ გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო_ რასაც მოჰყვა წიწამურის ტრაგედია.

ილიას სიკვდილის შემდეგ მათ „გახსნეს" გზა, რომელზედაც უდაბნოში მოტანტალე კაცობრიობა, კონკრეტულ შემთხვევაში – ქართველი ერი, უნდა გამოეყვანათ_

როგორც ვნახეთ, ერიონულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თაყვანცემა მიერ ხსნის სხვა გზაც იყო დასახული, მაგრამ მეოცე საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, საუბედუროდ, ერიონული საკითხის უარმყოფელმა „მესამე დასმა" წარმართა. საქართველოს, მარტიროლოგის პირით, დანანებით შეეძლო ეთქვა:

ხსნა ყველგან იყო „მაგრამ გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა"_



ეგნატე ნინოშვილი

ცხოვრება და მოღვაწეობა

ვიდრე ეგნატე ნინოშვილის ბედნაკლი ცხოვრების ამბავზე ვისაუბრებთ, მის ბიოგრაფთაგან მონათხრობი ორი ფაქტი მინდა გაგაცნოთ.

1965 წელს იოსებ მეგრელიძეს ჩაუწერია 80 წლის მოხუცის ნაამბობი. ბერიკაცს უთქვამს:

„— ეგნატე რომ მოკვდა, 8 წლის ვიყავი.

მიცვალებულთან მოვიდა ერთი ჩემი სახლიკაცი და ჭირისუფალს ჰკითხა: ეგნატეს სეფეთი (ზანდუკი) სად არისო.

უპასუხეს, ეგერ დავწვით ბლის ძირშიო...

მოსამძიმრე მივიდა იმ ხის ძირში და ხმით დაიწყო ტირილი. შენ ჭლექს არ მოუკლიხარ, ძმაო ეგნატე. უვიცმა შენიანებმა მოგკლეს, შენი სეფეთი რომ დაწვეს, ამით მოსპეს, რაც შენ სახელს კიდევ უფრო გაზრდიდაო!..

დამნაშავეებმა თქვეს: ნუ უყურებთ მაგას, იგი აბდალია, მკვდარი კი არ იტირა, ქალალდებს მისტირისო...“

ნინოშვილის საუკეთესო თხზულებები მისსავე სიცოცხლეში უკვე სხვა სალხების ენებზე გახლდათ თარგმნილი და სადღაც, ათასობით კილომეტრით მოშორებულ ქვეყნებში, უცხო ადამიანები კითხულობდნენ. მისივე კარის

მეზობლებისათვის კი სისხლით ნაწერი ფურცლები უბრალო ქაღალდების გროვა იყო_ ამ ქაღალდებით გამოტენილი ზანდუკი ფეხქვეშ რომ არავის მოსდებოდა, გაიტანეს და ბლის ძირში დაწვეს_ ასეთ სიბნელეში უხდებოდა ცხოვრება ეგნატეს.

ახლა კი მეორე მოგონებას გაგაცნობთ, რომელიც ზემონახსენებ იოსებ მეგრელიძეს ეკუთვნის. 1929 წელს აღინიშნა ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან 70-ე წლისთავი. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, საქართველოს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძის, წინამძღოლობით ეგნატეს მშობლიურ სოფელს, ჩანჩეთს, ეწვივნენ. მწერლის ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა მიტინგი. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მიცვალებულის ერთ დამფასებელს მეორე ცვლიდა, ორატორი ორატორს ენაცვლებოდა. სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემაც. მიტინგის შემდეგ სტუმრებმა მწერლის სახლს მიაშურეს. ამ დროს გარეთ, ხალხში ყვირილი და ჩოჩქოლი ატყდა. ოზურგეთის პარტიის რაიკომის მდივანი ამბის გასაგებად გავიდა, აი, რა გაირკვა: სოფელ ცაცხვიანელების ერთი ჯგუფი ჩანჩეთელებს წაჰკიდებიან — ეგნატე უფრო ჩვენ გვეკუთვნოდა, ჩვენი სოფლის შვილი იყო და ჩვენსავე სოფელში უნდა გადავასვენოთო. ეს დავა იმდენ ხანს გაგრძელებულა, რომ ჩანჩეთელებს ნინოშვილის საფლავზე დარაჯიც კი დაუყენებიათ, ცაცხვიანელებმა მწერალი ჩუმად არ გადაასვენონო.

ამ ორი მოგონების გაცნობისას მკითხველი უთუოდ იფიქრებს, რომ გარდაცვალებიდან სულ რაღაც სამი ათეული წლის შემდეგ მაინც უგრძვნია სოფელს ჭუშმარიტი ფასი იმ მწერლისა, რომელიც მათი ღვიძლი შვილი იყო. მაგრამ ეს ასე არ გახლდათ. აი, რაში ყოფილა საქმე.

ვიდრე მეზობელი სოფლები ერთმანეთთან წაკინკლაობდებოდნენ, მთავრობის თავმჯდომარეს მიტინგზე უთქვამს: „ეგნატე ნინოშვილის სოფელს მთავრობა მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. უკეთესად იქნება. მოვლილი მწერლის ყოფილი სახლი და საფლავი, სოფელს ექნება კარგი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. გაუმჯობესდება სკოლის მდგომარეობა, შეკეთდება გზა სადგურ ჯუმათამდე“, და კიდევ სხვა აუცილებელი პირობების შექმნას შეჰპირებია სოფელს უმაღლესი რანგის მოხელე. საფლავთან დაკავშირებული დავის მიზეზი სწორედ ეს დაპირება გახლდათ. თვით ეგნატე ნინოშვილს კი არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ არ ჰქონდა ბედი_

მართალია, მწერალს ბედუკუღმართი სიცოცხლე არგუნა განგებამ, მაგრამ სიკვდილის შემდეგ არავინ ისე არ დაფასებულა ჩვენს საუკუნეში ოფიციალური ხელისუფლების მიერ, როგორც ეგნატე ნინოშვილი, მაშ,

რატომ ვამბობ, რომ მწერალს სიკვდილის შემდეგაც არ ჰქონდა-მეთქი ბედი?

საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ უპრეტენზიო და კეთილშობილი პიროვნების სახელი მისი სიკვდილის შემდეგ, პარტიული მოსაზრებებით, იდეოლოგიური სპეკულაციის საგნად იქცა. ეგნატეს ისეთი მრწამსისა და მსოფლმხედველობის მოთავეობა მიაწერეს, როგორსაც მისი ღრმად ჰუმანური ბუნება ვერასოდეს იგუებდა. ეგნატე ნინოშვილის სახელი დაუპირისპირეს ილიას და ეგნატე გამოაცხადეს XIX საუკუნის საქართველოს უპირველეს მწერლად. გადაჭარბებული ქება კი, იმავე ილიას თქმისა არ იყოს, თავმოყვარე კაცისათვის უფრო შეურაცხმყოფელია, ვიდრე უსაფუძვლო გინება და ძაგება. ნინოშვილი უაღრესად თავმოყვარე, რაინდული ბუნების პიროვნება იყო და მისი ნაღვაწით, მისი სახელით ესოდენ უსინდისო სპეკულაციის დანახვა რომ შეძლებოდა, ალბათ პირველი თვითონ აიმალლებდა ხმას თავისი ყოფილი მეგობრების წინააღმდეგ.

დაუმსახურებელ განდიდებას, მწერლისა იქნება თუ რიგითი პიროვნებისა,უკურეაქცია ახლავს, უზნეო პროპაგანდისტთა მიერ მწერლის სახელის ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა ის შედეგი გამოიღო, რომ ეგნატე ნინოშვილის სახელს მკითხველთა ერთი ნაწილის თვალში ჩრდილიც კი მიადგა. არადა, ამაში თვით ეგნატეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. თუ ვინ იყენენ მწერლის სახელით მოსპეკულიანტო პირები, რა მიზანი ამოძრავებდათ მათ და რამდენად ამახინჯებდნენ შემოქმედის მრწამსს თავიანთი იდეოლოგიური მოსაზრებების გასამაგრებლად, ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ, როცა უკეთ გვეცოდინება, თუ ვინ ვინ იყო, ვინ რომელი ღმერთის მსახური გახლდათ.

ჯერ კი მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ როგორი იყო ეგნატე ნინოშვილის, ამ მართლაცდა ნიჭიერი, მხოლოდ და მხოლოდ მწერლობისათვის დაბადებული ადამიანის გატანჯული ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა.

ოჯახი. წინაპრები. ინგოროყვათა გვარის ისტორია

სიცოცხლეში ეგნატე ნინოშვილი ადამიანთა ყურადღებით არ ყოფილა განებივრებული, სიკვდილის შემდეგ კი სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს დავა იყო იმის შესახებაც, თუ რომელ წელს, რომელ თვეში და რა რიცხვში დაიბადა იგი, შთამომავალი მწერლის ბიოგრაფიიდან ყველა ნაბიჯს

უკვე მისხალ-მისხალ აღნუსხავდა. სხვადასხვა გამოცემებში მითითებულია მწერლის დაბადების სხვადასხვა თარიღი – 1861 წლის 18 დეკემბერი, 1859 წლის 5 დეკემბერი, 1859 წლის 17 დეკემბერი. ზუსტი თარიღი კი უნდა იყოს 1859 წლის 5 თებერვალი, ის, რაც დაფიქსირებულია ეგნატეს დაბადების მოწმობაში.

ეგნატეს დაბადების ადგილადაც სხვადასხვა სოფელია გამოცხადებული: ჩიქვეთი, ჩანჩეთი, ჩოჩხათი, ყულა, ჯვარი, ესეც ბედის ირონია გახლავთ. კაცი, რომელმაც სიცოცხლეში ვერსად მოიკიდა ფეხი, ვერსად შექმნა საკუთარი კერა და ოჯახი, მერმე ხუთი სოფლის დავის საგნად იქცა.

ასეა თუ ისე, ეს სადავო საკითხი ახლა კარგა ხნის გადაწყვეტილია. ეგნატე თომას ძე ნინოშვილი დაბადებულა 1859 წლის 5 თებერვალს სოფელ ჩანჩეთში.

ეგნატეს მამისა და ბიძის, თომას და ალექსის, ოჯახი აქ სოფელ ყულადან გადმოსახლებულა. გადმოსახლების მიზეზი კი იყო შემდეგი: ეგნატეს დედა ჭლექით დაავადებულა. ხალხში გავრცელებული რწმენით, ჭლექიან ოჯახს, თუკი შესაძლებლობა ჰქონდა, ფუძე უნდა გამოეცვალა. სრულიად ახალგაზრდა იყო ეგნატეს დედა, ნინო ლაზარეს ასული ბარამიძე, როდესაც გარდაიცვალა, ეგნატე მას 5 თვისა დარჩა.

ეგნატეს, მამისა და ბიძის გარდა, ორი გაუთხოვარი მამიდა ჰყავდა – ნინო და როდამი. ბიძამ – ალექსიმ, მამიდებმა – როდამმა და ნინომ, იკისრეს დაობლებული ჩვილის აღზრდა. პატარა ეგნატესთვის განსაკუთრებული დედობრივი მზრუნველობა გაუწევია ნინოს.

ეგნატეს ნამდვილი გვარი არის ინგოროყვა, ნინოშვილი მისი ფსევდონიმია. ვარაუდობენ, რომ ეს ფსევდონიმი მწერალმა გამზრდელი მამიდის პატივისცემის ნიშნად აირჩია, თუმცა უფრო საგულისხმოა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო დაღუპული, უბედური დედის უკვდავსაყოფად წერდა ნინოშვილის ფსევდონიმით.

ეგნატეს ბაბუას გაბრიელი რქმევია, მამას, როგორც ვთქვით, თომა, ბიძას კი – ალექსი. ზნითა და ხასიათით დიდად განსხვავდებოდნენ თურმე მამა და ბიძა ერთმანეთისაგან. გაბრიელის ერთი შვილი, თომა, საოცრად გულჩვილი ხასიათისა ყოფილა, სულ უბრალო რამეზე ატირდებოდა. ჭიან-ჭველასაც კი ფეხს ვერ დაადგამდა. არ შეეძლო ვინმესთან ჩხუბი, ხმის აწევა, ვისიმე დაჩაგვრა ან მოტყუება. ამ თავისი კეთილშობილური ბუნების გამო ეგნატეს მამა ერთობ დაჩაგრულ კაცად გამოიყურებოდა, „მიდგომ-მოდგომის“ უნარი, პრაქტიკული ცხოვრების ნიჭი და ფხა თომას არ ჰქონია.

სრულიად საწინააღმდეგო ჰიროვნება ყოფილა მწერლის ბიძა ალექსი.

არც შეირჩენდა ვინმესას, არც შეარჩენდა, არც არავის დაჩაგრავდა, არც დაეჩაგვრინებოდა. ეგნატე ინგოროყვას ყოფილი მეგობარი, შემდეგ მისი ბიოგრაფი რ.კალაძე, წერს: იმ დროს, როცა ეგნატეს მამა-ბიძას უხდებოდათ ცხოვრება, გურულები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეგუებულნი რუსების აქ გაბატონებასო. ,,ყოველ მარჯვე ბიჭს ,,მაჭახელა'' ეჭირა ხელში და თუ სადმე დობილოში და მალალ გვიმრიან ხევში რუს ბიუროკრატს — ,,ჩინოვნიკს'' — შეხვდებოდა, თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა ჩასაფრებოდა მას და თოფისთვის ჩახმახი გამოეშალა, რომ ჩინოვნიკი იქვე გზაში ჩაეძალლებია...

— ერთხელ ბიძაჩემი, ალექსი, — მიამბო ეგნატემ, — ლანჩხუთის ბოქაულმა რაღაცაზე დაიბარა, ჩემს კანცელარიაში გამოცხადდიო.

— რას მიჩივა ,,პრისტავია'' თუ ვინცხა! — შეჰყვირა მოსულ პოლიციელს ,,გაელებულმა'' ალექსიმ და იქვე კედელზე ჩამოკიდებულ მაჭახელას წამოავლო ხელი.

— ასე უთხარი შენს გამომგზავნელს: თავი დამანებე, თვარა ერთი ტყვია შენთვის არ დამენანება-თქვა!

— ამის შემდეგ ბიძაჩემთან ბოქაულს კაცი აღარ გამოუგზავნიაო, — დაუმატა ეგნატემ".

მამისა და ბიძის განსხვავებულ ხასიათებზე დაკვირვება წლების შემდეგ ერთგვარ შემოქმედებით იმპულსად იქცა მწერლისათვის. როგორც ჩანს, გაბრიელა ძალაძის შვილისა და შვილიშვილის (მოთხრობა ,,სიმონა''), საყვარელსა და სიმონას, სახეები მწერალს მამისა და ბიძის ხასიათებზე დაკვირვებით გამოუძერწავს.

მწერლის უახლოეს ადამიანთა თვისებებზე შემთხვევით არ გამიმახვილებია ყურადღება. როგორი იყო პირად ცხოვრებაში ეგნატე ნინოშვილი? გარეგნულად ისეთივე წყნარი, მშვიდი, თავმდაბალი, გულჩვილი, როგორიც მისი მამა გახლდათ, შინაგანად კი ბიძასავით ბობოქარი, შეუპოვარი, მებრძოლი, ფიცხი, აფორიაქებული,წონასწორობის ადვილად დამკარგავი...

,,ეგნატე დაბადებითვე ჯანით სუსტი იყო, მეტად ნაზი, თმა ქერა, აბრეშუმივით ბრწყინვალე და წმინდა. ცისფერი დიდრონი თვალები. მოგრძო სახე. ფართე და მაღალი შუბლი მის სახეს მეტად მიმზიდველ იერს აძლევდა". ასე გვიხატავენ მწერლის თანამედროვენი მის პორტრეტს.

სულ რაღაც 35 წელი იცოცხლა ეგნატემ, მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, წყნარი და მშვიდი კაცის შინაგანად დაძაბულმა, ბობოქარმა და ნერვიულმა ცხოვრებამ, არსებობისათვის თავაუღებელმა შრომამ, ჭაპანწყვეტამ ისე გატეხა, ისე გაასავათა, რომ 30-35 წლის კაცი უკვე სახეზედ აღარ შეხედებოდა. მწერლობა, სულიერი ცხოვრების პრიმატი, მისი არსებობის ტრაგედიად

იქცა. მისი წინაპრები, გლეხკაცები, ცხოვრობდნენ სოფლად, ამუშავებდნენ მიწას, არჩენდნენ საქონელს, ნადირობდნენ, ნადიმობდნენ და, ავად თუ კარგად, გლეხკაცის კვალობაზე თავს ირჩენდნენ. ეგნატე კი იმ ხასიათის კაცად დაიბადა, რომელსაც აღარ სურდა ცხოვრება მხოლოდ არსებობისათვის, აღარ სურდა დილიდან დაღამებამდე ყანაში თოხი ებაყუნებინა, რათა მოსაყალი მოეწია, ეჭამა, ესვა და ეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდა მანამდე ათასობით და ათი ათასობით სხვა გლეხკაცი.

მის სულს რაღაც სხვა სწყურიდა, გული უფრო ფართო ასპარეზსა და უფრო ადამიანურ ცხოვრებას თხოულობდა. არც საკუთარი თავი და არც თანამოძმენი მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლისათვის არ ემეტებოდა. მოიწია მოსაყალი, ჭამე, სვი, იმეორე ასე დაუსრულებლივ ერთი და იგივე. იცხოვრე გაუნათლებლობაში, სიბნელეში, დანარჩენი ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილმა, ბოლოს მოვა მიქელ-გაბრიელი და წაგიყვანს იმ სოფლად. რა რჩება ადამიანისაგან, რისთვის მოვიდა ამ ქვეყნად, რა განასხვავებს მას ცხოველთაგან, თუკი მისი მიზანი მხოლოდ არსებობისათვის, კუჭის ამოყსებისათვის ბრძოლაა და მეტი არაფერი? ეს ფიქრი აეკვიატება ეგნატეს. წინაპართა „დღის წესრიგის“ შეცვლას შეეცდება. პირველ რიგში სოფელს უნდა დააღწიოს თავი, სადმე წავიდეს, ისწავლოს, კაცობრიობის უკეთეს ფიქრთა ზრახვათ ეზიაროს და ამ ფიქრსა და ზრახვასთან აზიაროს შემდეგ კარჩაკეტილი ცხოვრებით დაბეჩავებული ადამიანები, მაგრამ მისი გლეხკაცური გარემო ის მაგიური წრეა, საიდანაც დიდი ხნით გაღწევა არ ხერხდება. გლეხკაცს ფული არ აქვს. განათლების მიღებას, ქვეყნიერების მოვლას კი ფული სჭირდება. ეს დაწყეველილი ფული კი ნამუსიან შრომას არ მოაქვს. ეგნატე სინდისზე ხელს ვერ აიღებს, ამიტომ, საითაც გაიქცა, იქ წაიქცა. ყველგან შიმშილი და სილატაკე ულრნის სულსა და სხეულს. იძულებულია ისევ მარჩენალ სოფელს მოაშუროს ერთხელ, მეორედ, მესამედ...

ძვირად დაუჯდა ეგნატე ინგოროყვას იმ „დღის წესრიგის“ შეცვლა, რომლითაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ...

თუმცა, მოვლენებს ცოტა გავუსწარით. რადგან წინაპრები ვახსენეთ, ერთ საგულისხმო გარემოებაზე მინდა თქვენი ყურადღების შეჩერება.

ერთგან ეგნატეს ასეთი ფრაზა უწერია: „ჩემი აფხაზურ-გურული სისხლი თავის კალაპოტში დამაგრდა“... ეს ფრაზა ახსნას მოითხოვს, რათა მკითხველისათვის ბუნდოვანი არ გახდეს მწერლის გენეტიკური კოდის ისტორია. გვარი „ინგოროყვა“ სახეცვლილი ფორმაა „ინგოროყვო“-სი. ეგნატე ინგოროყვას გარდა ინგოროყვების გვარიდან ქართულ კულტურას ჰყავს ისეთი დიდი გამორჩეული მეცნიერი და მოღვაწე, როგორიცაა პაველ ინგოროყვა.

შემთხვევითი არ არის, რომ პაულე ინგოროყვასადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ: „ძმაო ინგოროყვ, პოეტო ადრე, ახლა კი დარდო წარსულ დიდების". ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიის კვლევისას მწერლის სახლიკაცისათვის, ბატონ პაულესთვის, 1925 წელს თხოვნით მიუმართავთ, სინათლე შეეტანა იმ საკითხში, თუ რატომ თვლის ეგნატე ინგოროყვა თავის სისხლს აფხაზურ-გურულად.

პაულე ინგოროყვამ, გვარში გავრცელებული გადმოცემისა და სათანადო წერილობითი წყაროების მოშველიებით, განმარტა შემდეგი: „გვარში დაცული გადმოცემით ჩერქეზეთში მომხდარი რაღაც არეულობის გამო სამი გვარის: ინგოროყუა-ს, რუყუა-ს (ანუ ერუყოს) და ათალუყუა-ს (გურიაში ართილაყუა) ოჯახი წამოსულან აფხაზეთში. იქიდან კი ზღვის გზით ოსმალეთში აპირებდნენ გადასვლას, მაგრამ „დროებით" შეჩერებულან შეკვეთილის ბოლაზში (გურიის სანაპიროზე). ისინი კარგად მიულია გურიელს, დაუსახლებია კიდეც მაკვანეთში და აქვე დარჩენილან. ინგოროყუოების თაყაცს ასმიდონ რქმევია. ჩერქეზული „ყო" უდრის ქართულ გვარებში არსებულ „ძე"-სა და „შვილ-"ს.

ჩერქეზეთში რუსების მოსვლამდე ინგოროყუას შუა ჩერქეზეთის მთელი თემი სჭერია. მათ ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრეც ჰქონიათ. რუსების დამკვიდრების შემდეგ კი ადგილზე დარჩენილი ინგოროყუოების თემის ნაწილი მაინც გადასახლებულა თურქეთში, დანარჩენი კი მდ.ყუბანის მიდამოებში გადაუსახლებიათ, სადაც მათ შექმნეს აული ინგოროყუა, რაც 1842 წელს შედგენილ რუკაზეც ყოფილა აღნიშნული".

ეგნატე ნინოშვილმა გვარში არსებული ეს გადმოცემა, როგორც ჩანს, იცოდა და თავის აფხაზურ წარმომავლობას იმდენად უსვამს ხაზს, რამდენადაც მან უწყოდა, რომ თვით აფხაზეთის ერთი ნაწილი იქიდან გადმოსახლებული, იმავე ჩერქეზული ტომების წარმომავლობისანი არიან, საიდანაც ინგოროყუოთა გვარი წამოვიდა.

ბავშვობა. ყრმობა. სიჭაბუკე

ტრადიციულად, მიღებულია აზრი, თითქოს ეგნატე ნინოშვილი ულარიბესი გლეხის ოჯახში იზრდებოდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგებს ნამდვილ ადამიანებად, ჭეშმარიტი მომავლის მშენებლებად, მხოლოდ და მხოლოდ არასმქონე, პროლეტარი, ულარიბესი ხალხი მიაჩნდათ და ყოველი გამოჩენილი პიროვნების ბიოგრაფიის აღწერისას ხაზს

უყვარდნენ მის განსაკუთრებულ სისაწყლესა და სიღატაკეს– არადა, ეგნატესთან დაკავშირებით საქმე პირიქით იყო. გლეხკაცის ოჯახის კვალობაზე პატარა ეგნატეს მამა, ბიძა და მამიდები ფუფუნებაში ზრდიდნენ. ვიდრე გომაული მწერალი თავის სახლ-კარს არ გამოსცილდა, რაოგორც თვითონვე იგონებს, მას უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა.

ანბანის სწავლა მამიდა ნინომ დაწყებინა. 7 წლის ბავშვი ღელის პირას წაიყვანა, ფეხები წყალში ჩაადგმევინა და ხელთ ქალალდის ნაგლეჯზე ჩამოწერილი ანბანი მისცა. საინტერესოა, რომ ქართულში არსებობს ასეთი გამოთქმა: ,,გაკეთილი წყალივით ვიცი". ეს გამოთქმა, ალბათ, რალაცით დაკავშირებული უნდა იყოს ზემოთ აღწერილ რიტუალთან, რომლის შესრულებაც წინათ სავალდებულო უნდა ყოფილიყო არა მარტო გურიაში, არამედ საერთოდ მთელს საქართველოში. წყალი მითოლოგიურად განახლებას, ახლად შობას, დაბადებას უკავშირდება. ადამიანი როდესაც ანბანის შესწავლას იწყებს, ამით საფუძველს ურის ბიოლოგიური არსებობის წილ ცნობიერი ცხოვრების დაწყებას. ეს არის ადამიანის ახლად შობის, ნათლით შემოსვლის გრძელი გზის სათავე. ძველი მითოლოგიური გადმოცემებითა და ბიბლიური წიგნებით კი, ეს სათავე დაკავშირებულია წყალთან.

,,ანბანის გაზეპირების შემდეგ წამიყვანეს ერთი აზნაურის ოჯახში, – იგონებს ავტობიოგრაფიაში მწერალი. – (ეს აზნაურის ოჯახი მეტად გარყვნილი რამ იყო) აქ ღვდელი მასწავლიდა რალაც ლოცვებს, მხედრული წერა-კითხვა თვითონ ღვდელმა არ იცოდა და არც შეეძლო ჩემთვის ესწავლებინა– თომცალა სახლში ბავშვობისას ძლიერ ფუფუნებით და სათუთად აღზრდილი ვიყავი, მაგრამ აზნაურის ოჯახში (დიდ-ჯალაბანი იყო) აუარებელ საქმეს მაკეთებინებდნენ, ერთ წამს არ მასვენებდნენ. ნახევარი წლის შემდეგ ღვდელთან ყოფნისა მშობლებმა გამგზავნეს ქუთაისს, ამ ღვდლის ძმისწულთან, რომელსაც ქალაქ ფოთში ხის ვაჭრობა ჰქონდა. მთელი ერთი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული, ვეგდე ამ ვაჭარი აზნაურის სამზარეულოში და ვაცხობდი მისი ბრძანებით მჭადს. წერა-კითხვის ან სხვა რამეს სწავლა კი ჩემთვის აღარსად იყო ამ დროს. უკანასკნელ მშობელმა (ბიძამ) მომაშორა ამ საშინელ ცუდ მდგომარეობას, წამომიყვანა შინ და მიმცა სოფლის სასწავლებელში".

1871-1875 წლებში ეგნატე სოფლის სკოლაში სწავლობს. ცხოვრობს გლეხი ბიჭის ცხოვრებით. ნავარდობს იალაღებსა და ტყე-მინდვრებში. დრო-გამოშვებით, როცა სკოლა მოენატრება, სკოლაში დადის. ერთი ხანობა სასწავლებელიც გამოიცვალა. ,,ერთი სოფლის სკოლიდან გადავედი მეორეში, რადგან მამაჩემი აღწერის დროს შეაწერეს მეორე სოფელს", – იგონებს მწერალი. მასწავლებლები არც ერთ სკოლაში ყოფილან ხეირიანნი და არც

მეორეში, არც ისინი იკლავდნენ მოსწავლეთა განვითარებისათვის თავს და არც მოწაფენი ამტვრევდნენ სკოლის კარებს. ეგნატე სხვა ბავშვებთან ერთად დადიოდა ტყე-მინდვრებში და ხან ცხვრებს მწყემსავდა და ხან ძროხებს. როცა ბუნების ეს ლალი შვილი წამოიზარდა, ათასი გაიძვერობითა და სიერაგით აღსავსე დიდი ცხოვრების პირისპირ აღმოჩნდა, ვერ გაუძლო, სრულ დეპრესიაში ჩავარდა.

1876 წელს ბიძამ ეგნატე ინგოროყვა სასწავლებლად ჩაიყვანა ოზურგეთში. ეგნატე, როგორც ნიჭიერი და განვითარებული ახალგაზრდა, შუა სწავლების დროს (თებერვალში) მოსამზადებელი განყოფილების მე-2 კლასში ჩარიცხეს. იგი ამ დროს უკვე 17 წლის ჭაბუკი იყო. მართალია, მაშინ ამ ასაკის ვაჟის მე-2 და თუნდაც პირველ მოსამზადებელ კლასში სწავლა არაჩვეულებრივი მოვლენა არ გახლდათ, მაგრამ ეგნატეს, ბუნებრივია, მაინც აწუხებდა ის ფაქტი, რომ უკვე ჭაბუკობის ასაკში მყოფი, ახლადა იწყებდა სწავლა-განათლების დიდ გზაზე გასვლას. გაცდენილ დროსა და წლებს გამუდმებული მეცადინეობით ანაზღაურებდა, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ მოსამზადებელი განყოფილებიდან, გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პირდაპირ მე-2 კლასში დასვეს. მე-2 და მე-3 კლასი მან წარმატებით დაამთავრა, მაგრამ, ეგნატეს საუბედუროდ, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი იმ წელს ოთხკლასიანი გახდა. საუბედუროდ-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ მე-4 კლასში სწავლა მას აღარ დასცალდა. ერთმა გარემოებამ სრულიად შეცვალა მომავალი მწერლის ცხოვრების გზა და ეკლიან გზებზე ახეტიალა. ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანის მიერ თუნდაც უნებლიეთ გადადგმული ერთი ნაბიჯი თავდაყირა აყენებს მთელს მის მომავალ ცხოვრებას.

1877-1878 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის ომი მძვინვარებდა. ოზურგეთი, დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრებთან ერთად, ჯარის, ათასი უცხო ჯურისა და ტომის ადამიანების მისვლა-მოსვლის ასპარეზად იქცა. გურიაში უკვე შემოაქვთ არალეგალური ლიტერატურა, ამ ლიტერატურას თან მოაქვს „არალეგალური“ იდეები. რევოლუციურად განწყობილი პირები ქადაგებენ ახალ მოძღვრებას, დამპალი იმპერიის შემყურე ახალგაზრდობა იმედის თვალით უმზერს ყოველივე ახალს. სასულიერო სასწავლებელში, სადაც მომავალი მღვდლები და ბერები უნდა გამოიზარდონ, ნელ-ნელა თავს იჩენან ულმერთობის, ათეისტური იდეების მქადაგებელნი, რევოლუციონერთა და ტერორისტთა ფარული თანამგრძნობნი. ამ სასწავლებელში უამრავი მომავალი რევოლუციონერი სწავლობდა, მათ შორის ნოე ჟორდანია, საქართველოს მენშევიკების მომავალი ბელადი და ფილიპე მახარაძე, ასევე მომავალი ბელადი საქართველოს ბოლშევიკებისა. ჩვენი ეკლესიების დამანგრეველი

ფამახარაძე ყმაწვილკაცობისას იმ მიზნით მიაბარეს სკოლაში მშობლებმა, რომ სასულიერო პირი გამოსულიყო.

უშუალოდ ეგნატეს კლასშიც სწავლობდნენ მომავალი რევოლუციონერები, მათ შორის იყო ერთ-ერთი ცნობილი სოციალ-დემოკრატი სილიბისტრო ჯიბლაძე.

სასწავლებელს იმ დროისათვის ხელმძღვანელობდა 70 წლის მოხუცი, დეკანოზი სიმონ ქიქოძე.

სასულიერო სემინარია სწორედ სიმონ ქიქოძის სახლში იყო გახსნილი. 1876 წელს მთავრობამ მას თანაშემწედ ანუ ინსპექტორად გამოუგზავნა თბილისის სემინარიის ახლად კურსდამთავრებული ვინმე ივანე ლიაძე. სიმონ ქიქოძე და ივანე ლიაძე სრულიად განსხვავებული ზნისა და ხასიათის, სხვადასხვა რწმენისა და მსოფლმხედველობის ადამიანები იყვნენ. ლიაძე, როგორც იმ დროის ახალგაზრდების ერთ ნაწილში იყო მიღებული, სოციალისტობდა, ძველსა და კონსერვატიულს ყველაფერს კრიტიკული თვალით უყურებდა, ქიქოძე კი ძველ ტრადიციებზე აღზრდილი, ამასთან უაღრესად მორწმუნე ბერიკაცი გახლდათ. ზედამხედველსა და თანაშემწეს შორის სიტუაცია თანდათანობით დაიძაბა. ლიაძე იწყებს ინტრიგების ხლართვას. პირველ რიგში მან გადაიბირა არსებული პირობებით უკმაყოფილო მოსწავლენი, დაამყარა მათთან მეგობრული კავშირი, რაც უცხო ხილი იყო იმ დროს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში. გააცნო მათ არალეგალური ლიტერატურა. ახალგაზრდა, ენერგიულმა ინსპექტორმა ყმაწვილების გული მოინადირა. მას მოსწავლეთა მიზიდვაში ხელს უწყობდა ისიც, რომ სასწავლებლის ზედამხედველი, როგორც ძველი ტრადიციების დამცველი, უაღრესად მკაცრი და სრული წესრიგის, მოწაფეთაგან სრული მორჩილების მოყვარული იყო, რასაც, თავის მხრივ, ცხადია, ვერ ეგუებოდნენ უკვე დაჭაბუკებული მოწაფენი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ივანე ლიაძემ ოფიციალურად უჩივლა ქიქოძეს თბილისში. ლიაძე მოითხოვდა სასწავლებლის გადატანას ქიქოძის ბინიდან. სკოლის პრობლემებთან დაკავშირებით აქვეყნებდა კრიტიკულ კორესპონდენციას გაზეთ „დროებაში“.

სიმონ ქიქოძის წინააღმდეგ ილაშქრებს ლიაძე გურიის სამღვდელოების დეპუტატთა კრებაზეც (1877 წლის 15 დეკემბერს). კრებას გადაწყვეტილება გამოაქვს სიმონ ქიქოძის სასარგებლოდ. ყოველივე ამის შემდეგ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი პედაგოგიურ საბჭოს იწვევს და ივანე ლიაძეს სამსახურიდან ათავისუფლებენ, აძევებენ ოზურგეთიდან. თანაშემწეს ისღა დარჩენია, რომ მთელი იმედები თავის მოწაფეებზე დაამყაროს. მიდის მათთან და დახმარებას თხოვს— აი, აქ იფეთქა ეგნატე ნინოშ-

ვილის გარეგნულად წუნარსა და მშვიდ ხასიათში მოკანკუ სულმა. მას თავისი მასწავლებელი უსამართლოდ დევნილად მიიჩნია და იწყებს ქიქოძის წინააღმდეგ მოქმედებას. მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ლიაძის დაბრუნებისა და სასწავლებლის საეპისკოპოსო შენობაში გადატანის მოთხოვნით გაიფიცება.

გაფიცება სასულიერო სასწავლებელში — ეს იმდენად მოულოდნელი, არაორდინალური, იმდენად გაბედული საქციელი იყო, რომ ყმაწვილები ქალაქგარეთ, ტყეში, მდინარის პირას, სადღაც მიყრუებულ ადგილებში იკრიბებიან, იქ მართავენ კონსპირაციულ შეკრებებს და იქ უმზადებენ ერთმანეთს მომავალი მოქმედების გეგმას. გაფიცულთა შორის ყველაზე აქტიური და გაბედულია სილიბისტრო ჯიბლაძე. ეს ყმაწვილი ხელმძღვანელობს მოსწავლეებს. ზოგს შეგონებით, ზოგს მუქარითა და შერცხვენით აიძულებს, რომ მონაწილეობა მიიღონ გაფიცვაში და ხელი მოაწერონ გაფიცულთა მოთხოვნას. მოწაფენი ორი დღე სკოლაში არ წავიდნენ. ხოლო გაფიცულთა მოთხოვნების დეკანოზისათვის წარდგენა სილიბისტრო ჯიბლაძემ, როგორც ორგანიზატორმა, სთხოვა ეგნატე ინგოროყვას_ ეს ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ სასწავლებლის ადმინისტრაციამ ყმაწვილები ერთად შეჰყარა და გარიცხვის შიშით ყველანი აიძულა დაეჩოქათ და ისე მოენანიებინათ დანაშაული. სხვებთან ერთად, როგორც ჩანს, „პროლეტარიატის მომავალი ინტერესებისათვის“ (?) დაიჩოქა სილიბისტრო ჯიბლაძემაც. ერთადერთი, ვინც გაკერპდა და არ დაიჩოქა, იყო ეგნატე ინგოროყვა. ამის შემდეგ, 1878 წლის გაზაფხულზე, ეგნატე „მგლის ბილეთით“ გარიცხეს სასწავლებლიდან. მოგვიანებით, როცა ეგნატეს ბიოგრაფიიდან ნარკვევს დასწერს ფილიპე მახარაძე, სიამაყით აღნიშნავს — 1890 წელს მეც ამავე „მგლის ბილეთით“ გამრიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიიდანო_ თვით ეგნატეს კი გარიცხვა „საამაყოდ“ ვერ დაუჯრია. „მგლის ბილეთით“ გარიცხვა ნიშნავდა გზის გადაკეტვას ყოველგვარი სასწავლებლისაკენ. „მგლის ბილეთით“ არავინ არსად აღარ მიგიღებდა, ხოლო ეგნატეს ერთადერთი სურვილი ჰქონდა: როგორმე სწავლა-განათლება მიეღო. როცა ოზურგეთში სწავლობდა, ფიქრობდა — დავამთავრებ, სწავლას თბილისში გავაგრძელებ, მერე თუ საზღვარგარეთ, ან პეტერბურგში ვერ მოვახერხე წასვლა, სემინარიიდან წამოღებული ცოდნითაც შევძლებ ჩემს გამზრდელ ოჯახს რამე ვარგო და სოფელ-ქვეყანას ვემსახურო. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — ნათქვამია. ეგნატე სწავლისთვის დაბადებული კაცი, სასწავლებლიდან გარეთ არის გამოგდებული, მის თანაკლასელებსაც კი ეკრძალებათ მასთან გავლა და ურთიერთობა, „ბუნტში“ მონაწილეობის გამო მათ სასტიკი საყვედურები დაიმსახურეს. ეგნატეს მაგალითიც წინ უდევთ, შორი სოფ-

ლებიდან აქ სასწავლებლად ჩამოსულან, იქნებ სწავლის მოწმობა მიიღონ დ
შრომისაგან წელში გაწყვეტილ მშობლებს მხარში ამოუდგნენ, ქვეყანა
ნასწავლ კაცებად მოევლინონ. ეგნატესთან ურთიერთობა კი უკვე სახიფათო
ხდება_ აი, ასეთ დღეში ჩავარდა ინგოროყვა. თუმცა სულიერად ჯერ არ
გატეხილა. ოზურგეთიდან ფეხს არსად დგამს. სილიბისტრო ჯიბლაძესთან
ერთად მე–4 კლასის გაკვეთილებს ამზადებს, იქნებ, ქიქოძეს გული მოუ
ბრუნდეს და კვლავ დამაბრუნოს სკოლაშიო, — ფიქრობს. სასწავლებლის
ზედამხედველს ერთხელ მიმართა თხოვნით, მეორედ, მესამედ, მაგრამ უშედე
გოდ. მოწაფეები, რომელნიც მასწავლებლის მხარდასაჭერად გაიფიცნენ
თანაკლასელისთვის იგივეს ვერარ იმეორებენ. ყველას თავისი ბედი და მო
ვალი აწუხებს_

ეგნატე ბინად იმ დროს ოზურგეთელ თოთიბაძეების ოჯახში ცხოვრობ
და, ამავე ბინაში ყოფილან თავშეფარებული მისი თანაკლასელები — მელუე
ბი. მასთან ურთიერთობით მელუებს რომ არაფერი დაშავებოდათ, სახლთან
ახლოს პატარა ქოხი დაუდგამს. სახელდახელოდ, თითო-ოროლა ფიცრი
შემოხურული ქოხი რა იქნებოდა, მაგრამ ეს პატარა ჯარგვალი სასწავლე
ბლის ზედამხედველობის თვალის ასახვევად აუგია, აქაოდა, მეგობრებს გავე
ცალე, მათთან კავშირი აღარ მაქვსო, თორემ იქ ადამიანიშვილს არ გაეძლე
ბოდა. სინამდვილეში ეგნატე თავს რამდენიმე ერთგულ და უშიშარ ამხანაგ
ი ფარებდა.

ახლა ძნელია ზუსტად, შეუცდომლად მსჯელობა იმის შესახებ, თუ რ
იყო სიმონ ქიქოძის ასეთი უკარებლობისა და გულქვაობის მიზეზი. ქიქოძე
რას არ აბრალებდნენ — მექრთამეობას, სახელმწიფო ფულის მითვისებას
რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგულებას, მაგრამ ქიქოძეზე დაწერილ
მოგონებები იმ დროს ეკუთვნის, როცა ფილიპე მახარაძე უკვე მთავრობის
თავმჯდომარე იყო და, შესაძლოა, ფილიპესთვის საძულველ პიროვნებაზე ის
წერდნენ და იმას თხზავდნენ, რაც თვით ფილიპეს ესიამოვნებოდა. ე
მოგონებები რომ ტენდენციურია, კარგად ჩანს ერთი ფაქტიდან.

ვინმე ესმა თოთიბაძეს (იმ ოჯახის რძალს, სადაც ეგნატე ცხოვრობდ
სწავლის დროს) მწერლის მოწაფეობის წლებზე მოგონება დაუწერია. ე
მოგონება იმდენად მოსწონებია ფილიპე მახარაძეს, რომ ავტორი დაუბარე
ბია და მისთვის პენსია დაუნიშნავს. ამ მოგონებას კი ეგნატეს ერთი თანამედ
როვე, ვინმე ესე მეგრელიძე უნდობლობას უცხადებს, როგორც ყალბსა დ
შეგნებულად მუქ ფერებში წარმოდგენილს. ასე რომ, ძნელია ახლა მაშინ
დელ „ბუნტში“ ტყუან-მართლის გარკვევა. იმასაც თუ გავითვალისწინებ
რომ სიმონ ქიქოძე ძმა იყო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის,

რომლის ბადალი სასულიერო მოღვაწე და წმინდა კაცი საქართველოს იშვიათად ჰყოლია, კიდევ უფრო შეგვეპარება ეჭვი მემუარისტთა ჩანაწერების სიმართლეში. გაბრიელ ქიქოძე მხარს უჭერდა ძმას, სიმონს, და მიუხედავად ამისა, დეკანოზი სიმონ ქიქოძე მომდევნო წელს მაინც გაათავისუფლა ეზარხოსმა. ცხადია, რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგულებისათვის ქართველ დეკანოზს არავინ მოხსნიდა_

ასე იყო თუ ისე, ქიქოძის წინააღმდეგ „ბუნტში" მონაწილეობისათვის ეგნატე გაირიცხა და უკან აღარავის დაუბრუნებია. სასოწარკვეთილ ახალგაზრდას ერთადერთი იმედი რჩება: ეს იმედი ივანე ლიაძეა, რომლის გამოც თავს უბედურება დაატყდა. იქნებ, ამ ახალი აზრების მქადაგებელმა, ამ „პროგრესულმა" კაცმა გამოიდოს მისთვის თავი. ეგნატე წერს მას წერილს, მაგრამ ჭირის ოფლში ცურავს. ისე არ გაუგონ, რომ ავალდებულებს, ამადლებს მასწავლებელს — შენი გულისთვის დამემართა, რაც დამემართა და ახლა გამოიღე ხელი, მიშველე რამეო. სწორედ ამ მიზეზით ძალიან უჭირს ლიაძესთან წერილის გაგზავნა, მაგრამ იძულებულია აღუწეროს თავისი უნუგეშო მდგომარეობა, მერე კი დანარჩენი ადრესატის სინდისის საქმეა. თუ ლიაძეს მაღალი სული აღმოაჩნდა, თვითონ გაინძრევა, თვითონ მიდგებ-მოდგება და რამე საშველს გამოუძებნის.

„თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ ივანე ლ.

პირველად მსურს თქვენი ბედნიერება, ყოველი კეთილი და კარგი შემთხვევა. — წერს ყოფილი მოწაფე მასწავლებელს. — გავბედავ და მოგახსენებ ჩემს უბედური მდგომარეობის ანბავს. ეს დიდი გაბედვაა ჩემგნით, რომ ვბედავ თქვენთან წერილის მოწერას და ჩემი ამბით თავს გაწუხებთ; მაგრამ უბედურება რას არ გააბედვინებს კაცს. თქვენ, რომ წარსული წლის სექტემბერში აქ ბრძანდებოდით, მაშინ კი შეიტყვეთ, რანაირი უბედურება დამაყენა დეკანოზმა სიმონ ქიქოძემ, მას მერმე, ყველანაირი საშუალებით ვცადე იმ უბედურების მოსაშორებლად; მაგრამ ვერც ერთით ვერა რა გავხრიგე; იმის მეტი, რომ საზრდო პური გავათავე, ჩემიც და საწყალი მამაჩემისაც_"

„ყოველად უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, ინებოთ ჩემზედ თქვენი მოწყალება და მომცეთ თქვენი კეთილი რჩევა, თუ რა ვქნა, ან რანაირათ მოვიქცე. იქნებ თქვენ იცოდეთ რამე ადგილი და მიქნათ მოწყალება, როგორც საწყალსა და მამცნოთ, კი ბრძანდებით ჩემისთანა საწყალის მოწყალე და არც მე დამამადლით, ეს დიდი გაბედვაა, მაგრამ გასაჭირი მაბედვინებს"_

დაბოლოს, ეს სასოწარკვეთილებით საკმე წერილი მთავრდება დამამცირ-

ებელი ღალადისით — „ეს დიდი გაბედვა არის, მაგრამ რაც უნდა გამიწყრეს, მაინც უნდა გთხოვოთ ერთი წერილის გამოგზავნა, რომელიც გაანათლებს ჩემს დახშულ გულს ვითარცა მზე დედამიწას.

საწყალი და უსამართლო დროით დაჩაგრული ეგნატე ინგოროყვა".

ეს წერილი დათარიღებულია 1879 წლის 19 იანვრით. გადის ერთი თვე, მეორე, პასუხი არ ჩანს. ეგნატე სრულიად სასოწარკვეთილია. უსაქმო, უმუშევარი, სამადლოდ სხვასთან შეკედლებული, ცხოვრების სახსარგამოლეული. თითქმის წელიწადი იწურება, რაც ამ დღეშია, სირცხვილით სოფელს ვერ ეკარება. გატყდა, დაკარგა ნებისყოფა. მობუზული, პირხმელი, გაძვალტყავებული, სამოსელშელახული დადის ოზურგეთის შუკებში. საცა ნაცნობს ნახავს, სუფრაზე სამადლოდ მიუჯდება, სვამს. თითქმის სრულ დაცემამდე მივიდა. ამ წერილების ტონიც აღნიშნული მდგომარეობითაა გამოწვეული. 27 მარტს ისევ მიმართავს ივანე ლიაძეს.

„თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ ივანე ლიაძევ!

უბედური ჩემი მდგომარეობა, რომელშიც ჩამსვა „ოზურგეთის უსამართლობამ", მაძლევს გაბედულებას იმისა, რომ თქვენ გაწუხებთ ხშირ-ხშირად ჩემი ანბის მოხსენებით.

ბატონო, გაბედე და ორი წერილი ამას წინათ გაახლეთ, რომელნიც მოგახსენებდათ ჩემი, სიცოცხლე მოძალებულს ამბავს. მაგრამ ის აღარ ვიცი მიიღეთ ის ორი წერილი თუ არა; ამისთვის ვბედავ ამ მესამეზეც თქვენთან წერილის მოწერას, რომელშიაც მოგახსენებ ზოგიერთი ჩემს ამბავს, სრულად კი ველარ გავბედავ. ან ამას როგორ ვბედავ! რა საქმე მიმიძღვის იმისთანა, ამასაც რომ ვბედავ! ამას იმით ვბედავ, რომ ვიცი თქვენი მაღალკეთილშობილების, კეთილი გონების ამბავი, რომ გაჭირვებული გეცოდებათ, სწორედ იმ იმედით ვბედავ ბატონო, თორემ სხვაფერ როგორ უნდა გავბედო!"

ეს იმ კაცის ბარათია, რომელსაც ხელი აღარ ემორჩილება, რომელსაც აწუწული ნერვები არ აძლევს საშუალებას დინჯად, დაფიქრებით დაწეროს წინადადება. „როგორ ვბედავ! რა საქმე მიმიძღვის იმისთანა, ამასაც რომ ვბედავ!" — ისევ თავის მართლება, არ იფიქრო რამეს გამადლებ, არ იფიქრო რამეს გემართლები, რაც დამემართა — დამემართა, ახლა, თუ შეგიძლია, მიშველე რამე — ეს არის დამარცხებული კაცის წერილში სტრიქონსა და სტრიქონს შორის ნაგულისხმევი სულის კივილი, მაგრამ ამ ფრაზაში — „რა საქმე მიმიძღვის იმისთანა, ამას რომ ვბედავ". — ყოფილ მასწავლებელს ისიც უნდა ამოეკითხა, რაც ქვეშეცნეულად იგულისხმებოდა კიდეც — შენს წინაშე

მადლი მიმიძღვის, ამ მადლს ვემსხვერპლე და ნუ მიმატოვებ გასაჭირშიო.

წერილი მთავრდება სრულიად უბრალო თხოვნით: „მე იმის ფიქრი როგორ გავბედო თქვენ წერილს გამომიგზავნით-მეთქი... ამის ღირსი მე არა ვარ, მაგრამ ეგებ ქე ინებოთ — თქვენ ყოვლად მოწყალე ბრძანდებით“. როგორიც თვითონაა, ჰგონია, რომ სხვასაც ისეთივე ცხელი გული უცემს მკერდში. სხვაც „ყოვლად მოწყალე“ ჰგონია.

ილია ფერაძეს ეგნატე ნინოშვილის მოწაფეობის წლებთან დაკავშირებული ერთი ასეთი მოგონება ჩაუწერია: „ერთხელ იღლიაში ჰქონდა ახლად ნაყიდი წუღები და მეტად წვიმიან დარში ოზურგეთის მთავარ ქუჩაზე მიდიოდა ძველი წუღებით, რომლებიც გაცვეთილი იყო. მან შეხედა ფეხშიშველ გლეხს — მეურმეს, რომელიც სიცივისგან გალურჯებულიყო... ეგნატემ თავისი ახალი წუღები მოულოდნელად აჩუქა გლეხს და თავისი ვინაობის გამოუცხადებლად გაშორდა“. რა გასაკვირია, რომ ასეთი ბუნების ყმაწვილს სხვისი ადამიანობის რწმენა და იმედიც ჰქონდა, მაგრამ არ აღმოჩნდა ეს ლიაძე „ყოვლად მოწყალე“ კაცი. ამაოდ ჩაუარა ეგნატე ინგოროყვას გარჯამ, თხოვნამ, მუდარამ. „საკაცობრიო იდეალებისათვის“ თავგამოდებული იუნე ლიაძის გული დახშული აღმოჩნდა თავისი გაჭირვებული მოწაფის თანაგრძნობისათვის. ეგნატე იქამდისაც მისულა, რომ თვითმკვლელობაზე დაუწყია ფიქრი, მაგრამ ბოლოს მოუხმო შინაგან ძალებს. აქცია ზურგი ოზურგეთს და ისევ მშობლიურ სოფელს მიაშურა. ერთი გზა კიდევ გამოიძებნა სწავლის გასაგრძელებლად. თუ სოფლის მამასახლისი ცნობას მისცემდა იმის შესახებ, რომ განათლება სოფელში, თვითგანვითარებით ჰქონდა მიღებული, მაშინ ნება ექნებოდა, გამოცდა ჩაებარებინა სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად. მამასახლისი ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა, ეგნატეს ეს ცნობა მისცა და გზაც დაულოცა. ეგნატემ 1879 წლის ზაფხულში მოწმობა წარუდგინა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს. გამოცდები ჩააბარა და იმავე წლის სექტემბრიდან ჩოჩხათის საზოგადოების სოფლის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა.

ბრძოლა არსებობისათვის. ეგნატე მასწავლებლად. „ფოდრაჩიკი“ — რკინიგზის მოხელე, ტელეგრაფისტი, ასოთამწყობი, კანცელარიის მწერალი

სოფელმა ეგნატეს სული მოათქმევინა, გამოკეთდა. ჯერ ხომ მხოლოდ

ოცი წლის ჭაბუკია, მომავალი წინ აქვს და შეუძლია კვლავ იოცნებოს, კვლავ დაისახოს დიდი გეგმები. ეკერეკერობით კი სოფელს სჭირდება მისი თაყვი, ბავშვებს ასწავლის, გზაზე დააყენებს, ამ პატრიარქალური სიბნელიდან, ცრუმორწმუნეობიდან იხსნის. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს დროში ბევრი უწერიათ ეგნატე ნინოშვილის ათეიზმის შესახებ.

ერთი სპეციალური წიგნიც კი არსებობს ამ საკითხისადმი მიძღვნილი ს.ყუბანეიშვილისა. ეგნატე ნინოშვილი ათეისტი იყო, არ სწამდა ღმერთისა და ასეთსავე პროპაგანდას ეწეოდა ხალხში, რის გამოც სოფელმა ურწმუნო კაცად მიიჩნია და ცოტა ალმაცერად დაუწყეს ყურება — აღნიშნავენ ნინოშვილის ბიოგრაფები და ამის დასტურად ერთი მაგალითი მოაქვთ: ეგნატეს ეკლესიაში წაუყვანია მოსწავლეები. ტრაპეზთან შემოდგმული საკურთხის სურნელი გარეთ სცემდა. ეკლესიაში მშიერი ძაღლი შევარდნილა და საკურთხისათვის პირი უტაცია. მრევლს, ცხადია, ძაღლი გარეთ გამოუგდია, ეგნატეს კი ხუმრობით უთქვამს, მაძღარი ხუცის დაპურებას ისევ მშიერ ძაღლს ეჭამა — მეტი მადლი არ იქნებოდაო? ამ მკრეხელური ხუმრობის გამო ეგნატე ბოქაულთან გამოუძახიათ_ დაჭერა მოუნდომებიათ მისი.

რატომ შევაჩერე ამ საკითხზე თქვენი ყურადღება? ისეთი კეთილშობილი სულის ადამიანი, როგორიც ეგნატე გახლდათ, არ შეიძლება ღვთისმგმობი და ურწმუნო ყოფილიყო. უბრალოდ, ურწმუნო კი არა, ცრუმორწმუნე არ იყო იგი. ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ისეთი ღვთისმოშიშობის არ სწამდა არაფერი, როცა ღვთის სახელით ადამიანი ადამიანს ჩაგრავდა, როცა ღვთის სახლის მშენებლობისათვის ადამიანს ცხოვრების სახსარს აცლიდნენ და უსახლკაროდ ტოვებდნენ. რწმენა ეგნატესთვის სიკეთე იყო, კაცთა შორის სათნოება და სიკეთე. მისი მთელი შემოქმედება არის ჩვენება იმისა, თუ როგორ გადაგვარებულან ადამიანები, როგორ დავიწყებიათ ნამდვილი რწმენა და რწმენის სახელით მისცემიან ცრუმორწმუნეობას.

სოფლის მასწავლებლად ნინოშვილს წელიწადნახევარი უმსახურია. წესით, ბედის მომდურაი არ უნდა ყოფილიყო, არსებობისათვის სახსარი გაუჩნდა, საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრობდა და არა სამადლოდ. ცოცხლები ჰყავდა მისთვის მზრუნველი მამა, ბიძა, მამიდები და მაინც სოფელში, ხიზანივით გრძნობდა თავს, ვერა და ვერ მოიცილა ეს გაუცხოების გრძნობა. გლეხკაცობას თავისი პრობლემები ჰქონდა, თითოეული გლეხი ახლად წამოჩიტულ ბურუჟას შენატროდა. მთელი ცხოვრების მიზანი მათთვის ერთი ლამაზი ოდის წამოჭიმვა, ცოტა ფულის დაგროვება, შვილების დაფრთიანება და უზრუნველი სიბერე იყო. ეგნატე კი არც ჩაცმა-დახურვას დაგიდევდათ, არც ახალ ოდაზე ფიქრს იყო გადაყოლილი და ეკერეკერობით არც ოჯახის

შექმნაზე მოუკლავს თავი. მას სხვანაირი ცხოვრება უნდა, მოაზროვნე ხალხში სურს იტრიალოს. წიგნის სიყვარულმა გააუცხოვა თანასოფლელთა თვალში. სოფლისთვის იგი „ნასტავალი“ კაცია, მაგრამ საქმისა და ოჯახისთვის გამოუსადეგარი. ველარც ეგნატე შეეთვისა იმ ხალხს, ვის წიაღშიც იშვა, გაიზარდა და ცდილობს, როგორმე „ალთქმულ ქვეყნამდე“ ჩააღწიოს, იქ დამკვიდრდეს. „ალთქმული ქვეყანა“ მისთვის თბილისია, დედაქალაქი, სადაც იბეჭდება წიგნი, გაზეთი, სადაც დუღს და გადმოდუღს გონებრივი ცხოვრება. მაგრამ თბილისშიც არ ივარგებს წასულა. იმ განათლებულ ადამიანებში გარევა მცირე ცოდნით არ მოხერხდება, ამიტომ კვლავ უნდა ისწავლოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უმაღლესი განათლება მიიღოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოიშოროს ის მონური კომპლექსი, განსწავლულ ადამიანებთან დალაპარაკებისას რომ უჭირდება. ეგნატე ყველა ადამიანის გათანასწორებაზე ოცნებობს. ჯერ კი საკუთარ თავს უნდა მოუხერხოს რამე, რომ თანასწორად იგრძნოს თავი სიცოცხლის დიდ ნადიმზე სხვა თანამეინახეთა შორის. განათლება, აი, ეს არის ერთადერთი საშუალება, რითაც იმ უფსკრულზე უნდა გადის ხიდი, რომელიც გლეხკაცის შვილს მემკვიდრეობით დახვდა. ყველაფერ ამისთვის კი ისევ ეს დაწყეველილი ფულია საჭირო. ფული, ურომლისოდაც სახლიდან ნაბიჯს ვერ გადადგამს გარეთ.

და, აი, ფულის შოვნის საშუალებაც გამოჩნდა. სადგურ ჯუმათთან რკინიგზის სამუშაოები მუშებს „ფოდრათით“ აუღიათ და ერთი კაცის შემხანაგება კიდევ სჭირდებათ. გაიგო თუ არა ეს ამბავი, მასწავლებლობა მიატოვა და 1881 წლის მეორე ნახევარში მას „ფოდრათჩიკებთან“ შემხანაგებულს ვხედავთ. თუმცა რა... აქედან ვალების მეტი არაფერი ჩამოეტანია სოფელში. შემდეგ ტელეგრაფისტობა სცადა. 1882-1883 წლებში სადგურ სუფსაში მსახურობდა ტელეგრაფისტად, მაგრამ ვერც ამ საქმეში ნახა ხეირი. ტელეგრაფისტად მუშაობის დროს ეგნატე ნოე ჟორდანიას მშობლების ოჯახს დაახლოებია. ჟორდანიას დედ-მამა იმდენად გაუმეგობრდნენ და ახლობელ კაცად თვლიდნენ მას, რომ, როცა ნოეს თბილისში გაშვება-არგაშვების საკითხი დამდგარა დედის წინაშე, ეგნატე ინგოროყვასთვის უკითხავთ აზრი და მისი რჩევით გადაუწყვეტიათ საქმე. ამ ამბავს თვით ნოე ჟორდანია იგონებს თავის მემუარულ ჩანაწერებში.

1884 წლის ზამთარში ეგნატე თბილისშია. მესტამბე არსენ კალანდაძესთან ასოთამწყობად დაუწყია სამსახური. მისთვის „ალთქმული ქვეყანა“ ორ ნაწილად იყო გაყოფილი. იქ, სადაც ეგნატეს უწევს გული, ჯერჯერობით არ მიესვლება. არც საამისო დრო აქვს, არც სხვა არავითარი შესაძლებლობა. ულაბავს სტამბაში ტყვიით დამძიმებულ ჰაერს და ათი, თერთმეტი საათი

უხდება შრომა. ყველაფერ ამის დღიური საზღაური კი არის 7 კაპიკი — პურის ფული. მესტამბეს იგი ზაქარია ჭიჭინაძისათვის წარუდგენია. ჯანგატეხილი, გაყვითლებული, ნერვებდასუსტებული ნიჭიერი ახალგაზრდა რომ ნახა ზაქარიამ, მოჰკიდა ხელი და სახლში წაიყვანა. ზაქარია მთაწმინდაზე ცხოვრობდა, მისი სახლი იყო ყველა ბოგანოსა და უპატრონოს თავშესაფარი, ზაქარია კი ყველა გზადაბნეულის მოძღვარი, პატრონი და ხელისგამმართავი. ერთადერთი სიკეთე, რაც ეგნატეს თბილისში ჩამოსვლას ახლავს, არის ის, რომ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს უხვად შოულობს წასაკითხად. მისი მასპინძელი ხომ წიგნის ყველაზე დიდი ტრფიალი და ბიბლიოფილია მთელს ქალაქში. ეგნატე, როცა დროს გამოძებნის, წიგნებში ჩარგავს თავს და ამ დაწყვეტილ წუთისოფელს დროებით მაინც აქცევს ზურგს. მაგრამ წიგნმა ვერც პურის მაგივრობა გასწია და ვერც ფულისა. სულის საზრდოთი კი გაძვალტყავებული ხორცის გამოკვება არ ხერხდება. ეგნატე იძულებულია მიატოვოს ეს „ალთქმული ქვეყანაც“ და ისევ დაბრუნდეს მშობლიურ სოფელში. მთელი ერთი წელიწადი სახლშია, სასოფლო სამუშაოებში ოჯახს ეხმარება, შემდეგ სოფლის კანცელარიაში მწერლის ადგილი გამოჩნდა და იქ იწყებს სამსახურს. მწერლის ადგილი სხვისთვის თუ საცნებოა, ეგნატე აქედანაც გაქცევაზეა, მაგრამ იძულებულია კანცელარიაში იყოდეს და „არზებში“ წეროს. პატიოსანი შრომითა და თანასოფლელებთან ალალ-მართალი დამოკიდებულებით ბევრი პატივისმცემელი და ქომაგი გამოუჩნდა. 6 თვე იმუშაა კანცელარიის მწერლად. ამ დროს კი, 1886 წლის შემოდგომაზე, მოულოდნელად გაჩნდა შანსი დიდი ხნის ოცნების ასრულებისა.

გამგზავრება საფრანგეთში. იმედების გაცრუება

1886 წლის 26 ნოემბერს ეგნატე ინგოროყვა ორ მეგობართან ერთად გაემგზავრა საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. მეგობრები საფრანგეთში მიიწვია ვინმე სიმონ სალარიძემ, რომელსაც წერილობით უცნობებია, აქამდე ჩამოაღწიეთ და მერე ყველაფერში მე დაგეხმარებითო. ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა ყოფილიყო ეგნატეს სიხარული. ბოლოს და ბოლოს, განათლებული ევროპის კულტურასთან ზიარების შესაძლებლობა მასაც ეძლეოდა. მგზავრობის და, პირველ ხანებში, რჩენისათვის საჭირო ფული სოფელმა გამოუძებნა: ცოტაოდენი ბიძას, ალექსის, ჰქონდა, ცოტაოდენი კი — 10-10 და 20-20

კაპიკობით თანასოფლელებმა შეაგროვეს. წავა, ისწავლის, დიდი კაცი გახდება და ისევ ჩვენ, საწყალ გლეხებს, დაგვეხმარებაო.

ცარიზმის დროს საზღვარგარეთ წასვლა-წამოსვლა ძნელი არ იყო– ჩაჯდა ეგნატე გემში „სამეგრელო-მარსელი“ და საფრანგეთისკენ აიღო გეზი.

მაგრამ დახეთ უბედურებას – მონპელიეში ჩასულ ახალგაზრდებს სალარიძე, ვისი იმედითაც ამოდენა გზა გამოიარეს, ადგილზე არ დაუხვდათ, შეცარიაში წასულიყო. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა საშინელ დღეში ჩავარდებოდნენ უცხო ქვეყანაში ახალგაზრდები, რომელთაც არც ფრანგული ენა იცოდნენ და არც სახსარი ეყოფოდათ დიდხანს.

რა მოხდა, თუ რატომ გაწირა სალარიძემ მეგობრები, ახლა ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, რაღაც გაუთვალისწინებელი უნდა შემთხვეოდა, ასე უნდა ვიფიქროთ, რადგან ეს სალარიძე ერთობ რიგიანი, პატიოსანი ადამიანი ჩანს.

1894 წელს იგი ოსმალეთის მთავრობას შეუპყრია. გადაურჩენია ერთ ფაშას, რომელიც გათურქებული ქართველი ყოფილა. წაუყვანია შინ. ორი კვირა შეუნახავს. შემდეგ გაუხსნია ლირებით სავსე ყუთი და უთქვამს – გდევნიან, რამდენიც გინდა წაიღე ეგ ფული და წადიო!

დევნილ სალარიძეს მხოლოდ იმდენი აუღია, რაც პარიზამდე გზისთვის ეყოფოდა და გამომშვიდობებია გაოცებულ მასპინძელს...

ასეთი ნამუსიანი კაცისაგან ღალატი ძნელი წარმოსადგენია. მით უფრო, რომ თავისი ინიციატივით გაუგზავნია გურიაში მეგობრებისთვის წერილი. ამიტომ ვამბობ, რალაც გაუთვალისწინებელი შეიძლება მომხდარიყო-მეთქი. შესაძლოა, ეგნატემ და მისმა მეგობრებმა დააგვიანეს წასვლა ან არ აცნობეს, როდის ჩავიდოდნენ მონპელიეში და „მასპინძელი“ მათ ველარ დაელოდა. ასე იყო თუ ისე, ეგნატე მძიმე ფაქტის წინაშე აღმოჩნდა.

„კიდევ ჩვენი ბედი, რომ აქ ქართველი და სომეხი სტუდენტები ვიპოვნეთ, თორემ შენი მტერია ჩვენ დავიხოცებოდით... ისე დაფაცურდნენ და იზრუნეს ჩვენთვის, ვითომც ძმები მისულოდნენ შინიდან. მეტადრე ერთი კახელი თავადია, გვარად ვახვახიშვილი, იმან, დიდიამ (მეგრელია) და ორმა სომეხმა აღარა რა დაიშურეს, ოთახები დასადგომად გვიშოვეს, რესტორანში საჭმელზედ გაგვარიგეს და სხვა“ – წერდა ეგნატე ბიძას.

სანამ ფული ჰქონდათ, ჩაიცვეს, დაისურეს, რიგიანად იცხოვრეს. ეგნატე სასწრაფოდ შეუდგა ენის შესწავლას. გამგზავრებიდან ოთხი თვის შემდეგ ალექსის სწერს: „ფრანციზული თითქმის გვარიანად შევისწავლე, ლექციების გაგება შემიძლია, სხვა ენები: ნემეცური, ინგლისური და იტალიანური ჯერ-ჯერობით ძლიერი ცოტა ვიცი“.

მაგრამ მეცადინეობა დიდხანს არ დასცალდა. რაც ფული ჰქონდა, ამოეწურა. წერილს წერილზე აგზავნის საქართველოში, უკვე იქ დასარჩენ თანხას კი არა, უკან წამოსასვლელ ფულს ითვეწება. თავი რომ საკუთარი შრომით ირჩინოს, ამის საშუალებაც მოსპობილი აქვს. მძიმე სამუშაოს ვერ ასრულებს ულონობის გამო, ჩვენებური „ტელეგრაფისტობა" კი იქ სასაცილოდაც არ ჰყოფნით. იქაურ სტუდენტებსაც თავისი გასაჭირი ადგათ და სხვისი რჩენა არ შეუძლიათ. იძულებულია, შიმშილით რომ სული არ გაძვრეს, ცოცხი აიღოს ხელში და ქუჩის დამგველად იმუშაოს. დროდადრო ვიღაც მასავით გაჭირვებულთან ერთად ქალაქის გარეუბნებში დადის და რუსულ სიმღერებს მღერის, ამ გზით აგროვებს ორიოდე გროშს_ „აქ რომ ვისწავლოთ, ჩვენი თვალები ისე განათლდება, რომ მტერს მტერათ გვაცნობებს და მოყვარეს მოყვრათ. ეხლა, ანუ ჯერე კი ვერც ერთს ვერ ვხედავთ! სიბნელის ფარდა გვახვევია თავზედ და გვეხვევა კიდეც, თუ აქაურმა სუფთა, ახალმა ჰაერმა არ გარეცა ჩვენი თავიდგან ეს ბნელი ბურუსი" — ამ სიტყვებს თავის შეძლებულ თანაკლასელს წერს. ეხვეწება, ჩამოდი, შენ თავსაც უშველე და მეც მიშველეო. მაგრამ სხვის იმედით ვის გაუტანია თავი ამქვეყნად. ეგნატეც მიხვდა, რომ ხსნა არსაით იყო და ნასესხები ფულით ისევ სამშობლოსაკენ გამოეშურა. ასე დამთავრდა მისი ოთხთვიანი ცხოვრება კიდევ ერთ „ალთქმულ ქვეყანაში"_

ეგნატე — გრიგოლ გურიელის მდივანი. სამსახური ბათუმში, ზესტაფონში. „საფილოქსერო დასი". გომის კანტორა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა

1887 წლის აპრილიდან ეგნატე ინგოროყვა მსახურობს გრიგოლ გურიელის მდივნად. გენერალ-მაიორი გრიგოლ გურიელი დიდად განათლებული კაცი ყოფილა. იცოდა უცხო ენები — ინგლისური, თათრული, რუსული. ჰქონდა საუკეთესო ბიბლიოთეკა. დიდად აფასებდა ინგოროყვას ნიჭს, ხშირად ბაასობდა და კამათობდა მასთან. ეგნატეს თავადთან ფაქტიურად არაფერი საქმე არ ჰქონია, მის გარდა გრიგოლს კიდევ ოთხი მდივანი ჰყავდა. ასე რომ, ეგნატეს დრო ბევრი აქვს. გურიელების საგვარეულო ბიბლიოთეკით სარგებლობს და „სულის პური" უხვად მოეპოვება. გრიგოლს გამოწერილი ჰქონია ქართული, რუსული და უცხოური ჟურნალ-გაზეთები. თვითგანვითარების

მხრივ, გურიელთან სამსახური ყველაზე ნაყოფიერი იყო ინგოროყვასათვის. სწორედ აქ დაუწყია მას 1841 წლის გურიის აჯანყების მასალების შეგროვება და რომანის — „ეკანყი გურიაში“ — წერა.

ეგნატეს ჩაცმა-დახურვაზეც გურიელს უზრუნვია. მართალია, ეგნატეს თეთრი შემოსავალი — თუმანი, არ ჰყოფნის და კვლავ ვალებშია, მაგრამ უკეთესი სამსახური არსად ეგულება და ვერკერრობით იძულებულია გრიგოლ გურიელის ხელის შემყურე იყოს. მალე ინგოროყვა აქედანაც აიბარგა. მიზეზი ამისა უნდა ყოფილიყო გლეხებსა და აზნაურებს შორის ტყით სარგებლობასთან დაკავშირებით ატეხილი დავა. ეგნატე, როგორც გლეხკაცთა ინტერესის დამცველი, მოშორდა გურიელს და მის ირგვლივ შემოკრებილ წრეს. ერთიც იყო, აგვისტოს თვეში გაზეთმა „ივერიამ“ გამოუქვეყნა პირველი „საოხუნჯო ფელეტონი“ სათაურით — „გურიის ამბები“. პირველმა პუბლიკაციამ ეგნატეს სიამაყე შეჰმატა და უკვე თავადის მდივნობა სათაკილოდ მიაჩნდა..

შემოქმედებითი ენერგიით ანთებული მიაშურებს მშობლიურ სოფელს და აქ ორმოცი დღის განმავლობაში დაწერს რომანს — „ეკანყი გურიაში“ ანუ „სამწუხარო შედეგი“. ეგნატე კმაყოფილი არ არის თავისი ნამუშევრით, არც ამ რომანით, არც მომდევნო თხზულებებით, მაგრამ აქვს რწმენა, რწმენა იმისა, რომ შექმნის ნამდვილ მხატვრულ ტილოს. დასაწყისისათვის, რაც დაწერა, ესეც საკმარისია, ახლა საჭიროა ფული, ცოტაოდენი ფული და შემდეგ ხელმეორედ ცდის ბედს დედაქალაქში, თავის „ალთქმულ ქვეყანაში“.

1889 წლის შემოდგომაზე ფულის საშოვნელად ჩადის ბათუმში. მუშაობას იწყებს ნავსადგურში, სადაც ეზიდება 5-6 ფუთის სიმძიმის ტვირთს. მძიმე სამუშაოს დიდხანს ვერ უძლებს და ხშირ-ხშირად იცვლის ადგილებს. ბოლოს ყოფილი თანაკლასელების — ძმები კალანდაძეების დახმარებით როტშილდის დიდ ქარხანაში იწყებს სამსახურს, რა თქმა უნდა, აქაც შავ მუშად. „ხან ზურგით ფიცრებს ეზიდებოდა, ხან ნავთის ყუთებს. ქარხანაში მუშაობდა და ხშირად ხელის თითებიდან სისხლი სდიოდაო“ — გადმოგვცემს ინგოროყვას მაშინდელი ყოფის შესახებ გიორგი წერეთელი. ბინძურ და ჩაბნელებულ ოთახში ეგნატესთან ერთად კიდევ ათი-თორმეტი მუშა ცხოვრობს. იძულებული ხდება ბათუმსაც გაექცეს.

მეგობრებმა რეკომენდაცია გაუწიეს ნიკო ღოღობერიძესთან, რომელსაც იმ დროს ჭიათურის შავი ქვის წარმოება ჰქონდა გახსნილი. ინგოროყვა მუშაობას იწყებს ზესტაფონში, ამ წარმოების ერთ-ერთ კანტორაში.

ყველა ნაბიჯზე ტყეული, ძარცვა, გლეჯა, მითვისება — აი, სურათი, რაც ეგნატემ აქაურ მუშა-მოსამსახურეებში ნახა. ეხებოდა თუ არ ეხებოდა,

ყველა საქმეში თვითონ უნდა ჩარეულიყო. დამჩაგვრელი უნდა ემხილა და დაჩაგრულისათვის ეთანაგრძნო. ამ არამკითხაობის გამო, ხალხი მასზე გაიძახოდა: ,,გადარეულია, გიჟია, ქვეყანა ვის გაუსწორებია, რომ ეხლა მაგან გაასწოროსო".

ეს ,,გიჟი" და ,,გადარეული" კანტორის გამგე (ამ თანამდებობაზე დანიშნა ნიკო ლოლობერიძემ ეგნატე) ღამ-ღამობით საწერ მაგიდას მისჯდომია და წერს მოთხრობებს: ,,უცნაური სენი", ,,პალიასტომის ტბა", ,,არშიყნი". აქვე დაიწყო მუშაობა ,,სიმონაზე" და ,,ქრისტინეზე". რა იციან ჩალვადრებმა, შავი ქვის მზიდავებმა, რომ ამ ძვალ-ტყავად ქცეული ახალგაზრდის ხელიდან ისეთი რამ დნება, რაზეც მერე მათი შვილებისა და შვილიშვილების თაობები გაიზრდებიან.

ეგნატე არც ზესტაფონში ღალატობს თავის ჩვეულებას, ისევ გამოიცვალა ადგილი. ,,მეტად ბევრი საქმე იყო, მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე დავლუპე მათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან მოწყობილი შემეჩვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგათ" — იგონებდა შემდეგ მწერალი.

ზესტაფონის კანტორიდან ინგოროყვა გადადის ,,საფილოქსერო დასში". ეს დასი მოგზაურობდა თითქმის მთელს კავკასიაში, მისი მიზანი იყო მევენახეობის აღორძინება. ამ დასის მეშვეობით ეგნატეს შეეძლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ემოგზაურა და ხალხის ცხოვრებას უკეთ გაცნობოდა, ამიტომ სიხარულით ჩაეწერა აგრონომ ტიმოფეევის ,,პარტიაში". აქვე მსახურობდნენ ეგნატეს ძველი მეგობრები — სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, მიხა ცხაკაია და სხვები. მათთან ერთად მოიარა დაღესტანი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეები.

წერდა პუბლიცისტურ წერილებს, კორესპონდენციებს და უგზავნიდა გაზეთ ,,ივერიას". ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტურ წერილებსა და კორესპონდენციებს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

საფილოქსერო დასში მუშაობისას ეგნატეს ,,პარტიის" ხელმძღვანელთან (დასში მრავალი ასეთი ,,პარტია" იყო გაერთიანებული), ვინმე ტიმოფეევთან უკმაყოფილება მოსვლია. ტიმოფეევს მისთვის რაღაც შეურაცხმყოფელი უთქვამს, რისთვისაც იგი დუელში გაუწვევია მწერალს. დუელი ჩაუშლიათ, მაგრამ დაძაბული და უსიამოვნო ურთიერთობა დიდხანს გაგრძელებულა არა მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელთან, ძველ მეგობართა შორისაც. ეგნატემ მიატოვა ამხანაგები და თბილისში ჩავიდა...

1891 წლის ნოემბერში ,,ივერიაში" დაიბეჭდა ნინოშვილის ორი მოთხრობა — ,,უცნაური სენი" და ,,პალიასტომის ტბა". ამ უკანასკნელმა თხზულებამ

მის ავტორს ერთბაშად დიდი სახელი მოუტანა. საზოგადოება ალაპარაკდა ამ ახლად გამოჩენილ ახალგაზრდა მწერალზე. ნინოშვილის სახელი „აღთქმულ ქვეყანაში" უკვე გახმაურდა. ეგნატე ერთი თვე თბილისში რჩება და თავის გამარჯვებას ზეიმობს, საფილოქსერო დასში დაგროვილ მცირე თანხას გულუხვად ხარჯავს მომავალი ჰონორარების იმედით, მაგრამ როცა სახსარი ამოწურა, მაშინღა მიხვდა, ჰონორარების იმედით ცხოვრება ამაო რომ იყო, ჩვენს გაჭირვებულ პრესას თავის შენახვა უძნელდებოდა და მწერლის ცხოვრებას იგი ვერ უზრუნველყოფდა.

ისევ ბათუმი, ისევ ზესტაფონი, ისევ სამუშაოს ძებნა და არსებობისათვის ბრძოლა– გაჭირვებამ კლავე ნიკო ღოღობერიძის კარზე მიიყვანა. ზესტაფონის „კანტორაში" ადგილი უკვე დაკავებული აღმოჩნდა, მაგრამ ნიკოს უარი არ უთქვამს გამრჯე და ნამუსიანი მუშაკისთვის. ახლა გომის „კანტორის" გამგედ დანიშნა. პირობები აქაც საშინელი ყოფილა. მისი ბინა, რომელშიც მის გარდა კიდევ ერთი კაცი ცხოვრობდა, პატარა, მოცუცქნული ოთახი, სავსე სამუშაო იარაღებითა და ათასი ხარა-ხურით, კარდონიერით თხელი ფიცრით ყოფილა გამოყვნული სამიკიტნოსაგან, საიდანაც დღე-ღამის განმავლობაში ისმოდა შეზარხოშებულ მოქეიფეთა ხმები. იყო ერთი განუწყვეტელი ჩხუბი, აყალ-მაყალი, გაწევ-გამოწევა. ამ პირობებში შემოქმედებით მუშაობაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. დღისით ოსი ჩალავადრები უჭამდნენ ნერვებს. ამ მისუსტებულ კაცს რომ ხედავდნენ, ყველა დიდ გულზე იყო ზედმეტი ფულის დაცინცვლის მიზნით, მიჰქონდათ მასთან გადაკეთებულ-გადმოკეთებული „კეტანციები" და თვალების ბრიალითა და ხანჯლის ტრიალით ცდილობდნენ მის შეშინებას. ერთხელ საქმე იქამდისაც მისულა, რომ ეგნატე, რომელსაც მუდამ ჯიბით დაჰქონდა რევოლვერი, იძულებული გამხდარა იარაღით ეფრინა ეს „ძალად მაცხონე" ჩალავადრები.

„ვგდივარ ათასი უხეირო მუშაობის და ოსებთან დაკიდარაბისაგან მოქანცული", – წერდა გაბეზრებული მწერალი თავის უნუგეშო მდგომარეობაზე თედო სახოკიას.

1892 წლის ზაფხულში საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გაჩნდა ქოლერა. ქოლერა მოედო გომსაც, რის გამოც ჭიათურიდან შაჟი ქვის გადმოზიდვა შეწყდა. ეგნატე ნინოშვილმა ისევ მშობლიურ სახლ-კარს მიაშურა.

უიღბლო სიყვარული. ეგნატეს ცხოვრების უკანასკნელი წლები

ეგნატე ნინოშვილი არა მხოლოდ იმით იყო ტრაგიკული ბედის კაცი, რომ მუდმივი გაჭირვება და ნაადრევი სიკვდილი ხვდა წილად, არამედ იმიტომაც, რომ უოჯახოდ, უძეოდ, უმემკვიდრეოდ წავიდა ამქვეყნიდან.

მხოლოდ ერთხელ იფეთქა მის გულში სიყვარულის გრძნობამ და ეს სიყვარულიც უპასუხო და უიღბლო გამოდგა. ვიდრე ეგნატე გათელილი იყო, საწყალი და ცხოვრებისაგან დაჩაგრული, სიყვარულზე და ოჯახის შექმნაზე სერიოზული ფიქრი არც გაუბედავს (ისე კი საარშიყოდ და სათრეველად, თანამედროვეთა გადმოცემით, ჰყოლია ერთი თანასოფლელი ქალი_). როცა ეგნატეს ეკითხებოდნენ, ცოლს რად არ ირთავო, მწარედ იტყოდა ხოლმე – მონებს ვერ გავამრავლებო. მის ფსიქიკაში ხვალინდელი დღისადმი ერთხელ და სამუდამოდ ჩამჯდარმა და ფესვგადგმულმა შიშმა ოჯახის შექმნა იქით და იქით გადაადებინა. მაგრამ ის დროც დადგა, როცა ეგნატეს მთლად საწყალი და ცხოვრებისგან დაჩაგრული აღარ ეთქმოდა. ახლა უკვე ველარც ვინმე ივანე ლიაძის სახელი გაუტოლდებოდა მის სახელს და ველარც სიმონ ქიქოძისა, რომელთაც ერთ დროს სულში ჩააფურთხეს ბოგანო ინგოროყვას. ქურაში უკვე ნაცნობები დიდის პატივით ხვდებიან, გამვლელები უთითებენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან – ეს არის „სიმონას“ და „პალიასტომის ტბის“ ავტორიო. ეგნატემ იგრძნო თავისი ღირსება. მაგრამ რამდენად თავმდაბალი დარჩა გარეგნულად, იმდენად გაამპარტავანდა შინაგანად. ადრე საკუთარი თავის არაფრობის შეგრძნება აწუხებდა, ახლა კი პლებეური ჩვევა დასჩემდა. თავის ნაწერებში გლეხკაცის ყოფას თანაუგრძნობდა, გაჭირვებულის ტკივილი სტკიოდა, ცხოვრებაში კი ვერა და ვერ შეესისხლხორცა ამ გლეხკაცებს, მათთან უკარება იყო. არც თავის წრეში ჰქონდა ადგილი და ვერც მაღალ საზოგადოებაში მოიკიდა ფეხი. ახალგაზრდა კაცის ეს შინაგანი გაორება და გაუცხოება მის პირველსა და, ვგონებ, ყველა დროის სატრფიალო ბარათებს შორის ყველაზე უცნაურ სასიყვარულო წერილში გამოისახა. აი, ეს წერილიც.

„ყუდ. პატივცემულო ნადასი.

არ მოყვეები გაჭრელებული ფრაზებით ლაპარაკს, რადგანაც ჭრელი სიტყვა-ფრაზები თქვენისთანა ინტელიგენტთან მეტად მიმაჩნია. აი მხოლოდ ესა მაქვს სათქმელი: თქვენმა გაცნობამ ერთგვარი გრძნობა დაბადა ჩემში, რომელსაც მდაბიურ ენაზე სიყვარულს ეძახიან. რას იტყვით თქვენის მხრით, შეგიძლიათ თუ არა ამ შემთხვევაში თანამიგრძნოთ?

თქვენი პატივისმცემელი ენინოშვილი (ეგნატე ინგოროყვა)“

დააკვირდით ამ წერილის სტილს, შინაარსს, ტონს. წინასწარ რომ არ ვიცოდეთ, როგორი ეული, მიტოვებული, ავადმყოფი, გაჭირვებაგამოვლილი კაცისაა ეს ბარათი, ვიფიქრებდით, რომ მისი ავტორი სასიყვარულო ხლართებითა და დიდებით დალლილი კაცია, ვინმე ლორდი, რომლის ერთი ხელის დაქნევა საკმარისია იმისათვის, რომ ქალმა გადალახოს თავშეკავების „მდაბიური“ გრძნობა და უკანმოუხედავად გაეკიდოს. ის კაცია, რომელიც ასეთ ბარათებს ცხოვრებაში ერთხელ კი არა, ყოველდღიურად გზავნის მარჯვნივ და მარცხნივ, ამიტომ, მომავალი გამარჯვებით გარანტირებულს, უფრო გრძლად წერა საკუთარ გრძნობებზე ზედმეტად მიაჩნია_ ახლა ისიც გაიფიქრეთ, რომ ნადასი კალანდაძე, ვისაც ეს ბარათი გაეგზავნა, მისი უახლოესი მეგობრების დაა (ნადასის ორი ძმა ეგნატესთან ერთად სწავლობდა ოზურგეთში). ქალს, რომელსაც ბავშვობიდან ესმის ოჯახში მისი სახელი და გვარი — ეგნატე ინგოროყვა, ახლა იგივე ინგოროყვა-ნინოშვილის ხელმოწერით უგზავნის სატრფიალო წერილს. აქაოდა, საწყალი ეგნატე ინგოროყვა კი არა, ცნობილი მწერალი ეგნატე ნინოშვილი ვარო.

დაბოლოს, კიდევ უფრო უცნაურია სატრფიალო წერილის მინაწერი: „უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილის პასუხი ერთ დღეზე მეტი არ დამიგვიანო, თუნდა „არა“ იყოს ანდა „კი“.

იმედი მაქვს როგორც განათლებული ქალი, პასუხის მოწერას არ ითაკილებთ და აგრეთვე არც დამიგვიანებთ“.

ეს წერილი სხვადასხვაგვარადაც შეიძლება აღვიქვათ. მასში ამაყი კაცის ხელწერა ჩანს, იმ კაცისა, რომელიც უფრო „არას“ ეღირსება სატრფოსაგან, ვიდრე თანხმობას და წინასწარ იზღვევს თავს, დამცირებული რომ არ აღმოჩნდეს_

ქალისაგან თავაზიანი უარი მიიღო. ჩემი გული სხვას, თან თქვენს ერთ მეგობარს ეკუთვნის და ვერ თანაგიგრძნობთო (ნადასი კალანდაძე მართლაც ცოლად გაჰყვა ეგნატეს მეგობარს, ისიდორე რამიშვილს. ესაის ისიდორეა, რომელიც შემდეგში ცნობილი სოციალ-დემოკრატი გახდა, რომელიც ასწავლიდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს). არსებობს ეგნატეს მეორე, საპასუხო წერილი, რომელიც უკვე უცნაური კი არა, შეუდარებელია სატრფიალო ეპისტოლეთა შორის თავისი ღრმა, ადამიანური სულისკვეთებით, გულწრფელობასთან შეზავებული მისატევებელი ეშმაკობით, გადაჭარბებამდე მისული თავმდაბლობითა და აქა-იქ გამომკრთალი ირონიით. ეს უკვე ეგნატე ნინოშვილია, არა პლებეური, არა ხელოვნური ეგნატე, არამედ ის, რაც არის.

„დანაშაულად, დიდ დანაშაულად ვთვლი თავისთავს თქვენს წინაშე სიყ-

ვარულის გამოცხადებისათვის. ვკიცხავ თავისთავს, რომ ვერ მოვახერხე გულის პატრონობა, ვერ მოვახერხე ჩემიეე გრძნობა ჩემიეე გულში ჩამეკლა". – ასეთი გულწრფელი, ნამდვილად გულწრფელი ღაღადისითაა საკმე წერილი, მაგრამ ეგნატეს ერთი წუთით არ ავიწყდება, რომ ასე საბოდიშოდ იმიტომ კი არ აქვს საქმე, რომ მართლა ყველაზე უკანასკნელია, მართლა არ არის სიყვარულის ღირსი. არა, ღრმად სწამს, რომ არა გაჭირვება, სილატაკე, შიმშილი – უარის ღირსი არ იქნებოდა და, თითქოს იქით შეიბრალებს, იქით დაამუნათებს ქალს: „ჩემი ამხანაგი იძულებული იქნებოდა იმ ეკლიან გზაზე ცხოვრებისა, რომელზედაც მე ვადგივარ, ტანჯული და წამებული ეკლის გვირგვინით, უსისარულოდ ჩასული სამარეში". ამ სიტყვებით ისიც უთხრა, უფრო დიდი სულის მქონე მეგონეო და თითქოს დაანამუსა კიდეც. დაბოლოს, წერილში სინანულის და თავმდაბლობის გამომხატველ ასეთ ფრაზებთან ერთად – „დანაშაულად ვსთელი", „ვკიცხავ თავისთავს", „ვერ მიმიცია ანგარიში" „რა ჩავიდინე" და ა.შ. – არის ერთი ფრაზა – ირონიული, გესლიანი ფრაზა – „ასე ნატასი (თუ ნადასი?)", სახელის ასე „გულმოდგინედ" დაზუსტება აქ შემთხვევით არ ხდება. უზარმაზარ საბოდიშო წერილში ორად ორი სიტყვა გამოურია – „ასე ნატასი (თუ ნადასი?)" და ამ „თუ"-ში, ამ შეკითხვაში, ამ სახელის აღრევაში ჩანს ხელნაკრავი, მიტოვებული ადამიანის იძულებითი ქედმაღლობა თუ სამაგიეროს გადახდის ბავშვური სურვილი.

იქნებ არც იყოს ასე, ცხადია, მე არ მაქვს პრეტენზია მწერლის სულიერი ბიოგრაფიის მთელი სიზუსტით დაფიქსირებისა, ფაქტი კი ის იყო, რომ ეგნატე იძულებული გახდა გრძნობა გულში ჩაეკლა და მარტოსულს თავისი ფიქრები ისევ ქალალდისათვის მიენდო.

33 წლის ასაკში უკურნებელი სენი გამოაჩნდა – მის ისედაც მისუსტებულ სხეულს ჭლექი ღრღნიდა. იგრძნო, დედასავით ისიც ჭლექს უნდა ემსხვერპლა, იგრძნო, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა და სასწრაფოდ მიაშურა თბილისს. იქნებ მოასწროს, დაწერილი თხზულებები გამოაქვეყნოს, დასაწერიც ბევრი რამ აქვს. ამდენ ხეტიალში კარგად გაიცნო ცხოვრება, გაიცნო „ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები". მისი კალამი დოსტაქრის დანად უნდა იქცეს, რომ ხალხის წყლულს უმკურნალოს და ამ გზით ემსახუროს მშობელ ქვეყანას. თბილისში ექიმებსაც მიაკითხავს, იქნებ, ცოტა ხნით მაინც გაუხანგრძლივონ სიცოცხლე. ვერ ცოდვაა მისი სიკვდილი. ათასი თემა, ათასი სიუჟეტი უტრიალებს გონებაში და არ აძლევს მოსვენებას.

1892 წლის შემოდგომაზე ეგნატე თბილისშია. ისევ მთაწმინდის ფერდობს აუყვა, კვლავ ზაქარია ჭიჭინაძეს მიაკითხა.

„მე დღეს მოვედი ქალაქსა სატახტოსა და დავემკვიდრე სახლსა ზაქარიასს_ — თვითირონიულად წერდა თედო სახოკიას — გზაში ცოტა უფრო ცუდად შეიქენი, მაგრამ იმედი მაქვს_ სრულიად გამოვმრთელდე. ვიპოვნე ისეთი ადგილიც, სადაც 7 კაპიკად ძალიან მაგრად ვძლები. ვიცი თქვენი ამბავი, პოეზია გიყვართ (ეკამმაკურიზმმა) ხომ ააყვავა ჩვენი პოეზია და ასეთი სადილის შესახებ შეუთხზავთ:

„რალაა იგი ნაცია,
რომლის ბელეტრისტმა უნდა ჭამოს
შვიდ კაპეიკიანი პორცია“_

ეგნატე ადვილად იახლოებდა ადამიანებს, მაგრამ გული დენთივით ჰქონია, მცირე წყენა და უცებ იფეთქებდა, უცებ მოიშორებდა და გულიდან ამოიგდებდა ახლობელს. ერთხელ, სულ უბრალო მიზეზით, ზაქარიას წაჰკიდებია და მისი ოჯახი მიუტოვებია_ გადასულა მიხა ცხაკაიასთან, სადაც სემინარიიდან გამორიცხული მომავალი სოციალ-დემოკრატები იკრიბებოდნენ. დღისით მუშაობდა, საღამო ხანს სვამდნენ. იცოდა, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა და სვამდა_ ხველება სულ უფრო და უფრო ახრჩობდა. „ივერიის“ რედაქციიდან თვეში 25 მანეთი ჰქონდა დანიშნული. იმ ფულით თაყსაც ირჩენდა და მიხა ცხაკაიას ბინაში შემოხიზნულთაც უნაწილებდა. მალე ცხაკაიასაც წაეკიდა. ამ ბინიდანაც აიკრა გუდა-ნაბადი_

ახალგაზრდები, რომელთაც ყმაწვილობიდან იცნობს, თბილისში არიან თაშეყრილნი: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია, ისიდორე რამიშვილი. ეგნატეს ამ წრეში უხდება ყოფნა, იგი მათ შორის ყველაზე გამოცდილია, ყველაზე ცნობილი. მათ მოღვაწეობას თვალს ადევნებს. ესწრება და აქტიურობს მათ მიერ მოწყობილ კრებებზე.

ნოე ჟორდანიას რევოლუციური საქმიანობისათვის ციხეში გამომწყვდევა ელოდა. ეგნატე ბათუმში ჩაიყვანს მას, ფულსაც თავად მოუგროვებს და საზღვარგარეთ გაისტუმრებს.

ახალგაზრდა რევოლუციონერები განსაკუთრებით ემტერებიან გაზეთ „ივერიას“. „ივერიის“ რედაქციაზე გულაყრილია ეგნატე ნინოშვილიც, ცალკე პონორარის გამოა განაწყენებული, ცალკე გაზეთის მიმართულება არ მოსწონს_ გაზეთის პოზიცია უკვე ყავლგასულად, რეაქციულად მიაჩნია_ „ივერიის“ რედაქციიდან გამდგარი ბოლომდე ვერც თავის წრესთან, ახალგაზრდა რევოლუციონერებთან ამყარებს სულიერ და იდეურ კავშირს. გრძნობს, რომ ისინი მეორე უკიდურესობაში არიან გადავარდნილნი და სოციალიზმის ინტერესს, რომლის განხორციელებაზე ეგნატეც ოცნებობს, მთლიანად სურთ ანაცვალონ ეროვნული ინტერესი. ამ ნიადაგზე ვერ თანხმდებიან და ესეც

იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მან მისა ცხაკაიას სახლი მიატოვა.

ეკატერე ირგვლივ რა ხალხი აღარ იყრის თავს. ყველა ბოგანო და გაჭირვებული ახლა მასთან მიდის რჩევისათვის. მუშებს ეამაყებათ სახელოვან ახალგაზრდა მწერალთან დუქანში ჩასვლა და დიდის მოწიწებით ესაუბრებიან. მის უამრავ უპოვარ ნაცნობთა შორის ერთი რუსი ყმაწვილიც იყო, გვარად პეშკოვი, რომელსაც დიდის გაჭირვებით ჩამოეღწია საქართველომდე და აქ სამადლოდ ცხოვრობდა. ეკატერე მოეწონა ეს ყმაწვილი, საინტერესო თავგადასავლების მისეული თხრობა და ურჩია, კალმისთვის მოეკიდა ხელი. ეს ბოგანო ყმაწვილი მომავალი დიდი მწერალი მაქსიმ გორკი გახლდათ.

ჭლექმა ისე შემოუტია ეკატერე, რომ მისი თბილისში დარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. აქ მომვლელი და პატრონი არ ჰყავდა, არადა, ლოგინს მიეჯაჭვა, ნახველი ახრჩობდა. გაეცალა თბილისს, რის ვაი-ვაგლახით სოფელში ჩაიყვანა.

ამ დროს, 1893 წელს, ალაც მამა ჰყავს უკვე და არც გამზრდელი მამიდა — ნინო. ისევ მისი ბიძა, ალექსი, უმაგრებდა ჭირს. მომაკვდავ ძმისშვილს თავს დასტრიალებდა, ცოტა ხანში კი ფეხზეც წამოაყენა. ეკატერემ ცოტა მოიკეთა თუ არა, ისევ გაექცა სოფელს. ახლა ბათუმს მიაშურა, მაგრამ არცერთმა ოჯახმა ბინა არ მიაქირავა. ჭლექს ისე დაელრღნა, ყველა შეძრწუნებული არიდებდა პირს და თავს შორს იჭერდა. ეკატე იძულებული გახდა, ბათუმელ მეგობრებთან ერთად, ღამღამობით ეყარა ბინის მოსაძებნად, რათა სახეზე არავის შეხვედა მისთვის და ასეთი ჯახირით ვიღაც გაჭირვებულთან იშოვა ერთი პატარა ოთახი. ბათუმში რასაც წერს, ახლად დაარსებულ (1893 წ.) „კვალის“ რედაქციას უგზავნის, რომლის რედაქტორს, გიორგი წერეთელს, უკვე რამდენიმე წელია კარგად იცნობს. მისი აზრები, მისი მიმართულება მიაჩნია იმდროინდელ სხვადასხვა მიმართულებათა შორის ყველაზე სწორი პოზიციის გამომხატველად.

ისევ შეუქცია ბათუმში ავადმყოფობამ, ისევ მიაშურა თავის სოფელს, მორჩენის პირი უკვე აღარ უჩანს. საზოგადოებას ემცნო — ახალგაზრდა, დიდებული ბელეტრისტი ეკატე ნინოშვილი უკანასკნელ დღეშია, წამლის ფულიც არ აქვს და დაეხმაროთ, ხელი გაუმართოთო. თბილისის ინტელიგენციამ გულთან ახლოს მიიტანა ეკატეს გასაჭირი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 15 მანეთს უნიშნავს თვეურად, გიორგი წერეთელი წინასწარ უგზავნის ჰონორარებს. იაკობ გოგებაშვილმა ვრცელი წერილი მისწერა, სადაც დიდ შეფასებას აძლევს მის მწერლურ ნიჭს და დიდის ტაქტით, ისე, რომ ეკატესთვის თავმოყვარეობა არ შეელახა, საკუთარი ჯიბიდან მიაწოდა 50 მანეთი.

მაგრამ ყველაფერი უკვე დაგვიანებული იყო. ეგნატე თავისი ცხოვრების ბოლო დღეებს ითვლიდა და რაცა იგრძნო, აღარ იყო საშველი, მალე უნდა გამოსალმებოდა წუთისოფელს, უკანასკნელ ძალას მოუხმო. ლოგინს მიეკაჭული გამუდმებით წერდა და ასე ებრძოდა სიკვდილს. ყოველივე ამან, ცხადია, მისი ნაწერების სტილისტურ მხარეზე გავლენა იქონია_ როცა სხეული მთლიანად დაუძლურდა, როცა ხელი აღარ ემორჩილებოდა, ჭერში მარყუჟიანი თოკი ჩამოაკიდინა, შიგ მკლავი გაუყარა და სასთუმალს მიყრდნობილმა ასე განაგრძო წერა_

1894 წლის 11 მაისს ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა. ეგნატეს დასაფლავების ცერემონიალი გადაიქცა დიდ დემონსტრაციად. დაკრძალვას დაესწრნენ სხვადასხვა რედაქციათა წარმომადგენლები. იმ ოცდათერთმეტ გვირგვინში, რომელიც ეგნატეს კუბოს წინ მიჰქონდათ, იყო ერთი, რომელსაც ეწერა — „ილია ჭავჭავაძისაგან“. ილიას იმ დროს ჯერ კიდევ მთელი საქართველო აღმერთებდა_ ახლაღა მიხვდა სოფელი, რომ კანცელარიის ყოფილი მწერალი — ეგნატე ინგოროყვა, თურმე, დიდი კაცი ყოფილა_

ნამდვილი და მოგონილი ეგნატე ნინოშვილის შესახებ

ახლა, შეპირებისამებრ, ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ რატომ იყო ეგნატეს, როგორც მწერლის, ბედი ტრაგიკული მისი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც.

რაკი მწერლის სიტყვას განუზომელი მნიშვნელობა აქვს მასისათვის, ყველი პოლიტიკური ორგანიზაცია სიამოვნებით უწევს პროპაგანდას იმ მწერლებს, რომელნიც ამ ორგანიზაციის იდეალებს იზიარებენ.

ეგნატე ნინოშვილს ურთიერთობა უხდებოდა იმ ახალგაზრდებთან, რომელნიც შემდგომში ქმნიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას თავისი ორი ფრაქციით — ბოლშევიკებითა და მენშევიკებით. მათთან ურთიერთობა და მეგობრობა ეგნატეს, როგორც მწერალს, ძვირად დაუჯდა. სიკვდილის შემდეგ იგი სოციალ-დემოკრატიამ გამოაცხადა თავის ბელადად, თავის მწერლად, პარტიის იდეალების მხატვრულ სიტყვაში განმახორციელებლად (რუსეთში იგივე როლში აღმოჩნდა ზემოთ ნახსენები მაქსიმ გორკი).

ვინ იყო, მათი აზრით, ეგნატე ნინოშვილი?

1) „აქვს მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარებისათვის ეროვნულ ბურჟუაზიას თუ არა?“ — ამ კითხვაზე, ამბობდნენ

სოციალ-დემოკრატები, ნინოშვილი ასე პასუხობსო:

„ჩვენთვის, ქართველების წარმატებისთვის ქართველ ბურჟუაზიას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ბურჟუაზია, ვინც უნდა იყოს, მტერია საზოგადოდ, და მას უნდა ვებრძოლოთ“.

ახლა ვნახოთ, სინამდვილეში რას ფიქრობდა ამ საკითხზე მწერალი, წერილში — „ძველი დავა ახალ ქერქში“, იგი წერს: „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდა კიდეც ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება ვერ შეაყენებთ, და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება, არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი ქვეყნისთვის“.

2) ეგნატე ნინოშვილი აღიარებდა მხოლოდ პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის ინტერესებს, ქადაგებდა კლასთა ბრძოლას — ამბობდნენ სოციალ-დემოკრატები.

მწერალი კი დასახელებულ სტატიაში წერდა: „ყოველი განათლებული კაცი, ყოველი ინტელექტი, რომელსაც მართლა გული შესტკივა თავისი ქვეყნის ავ-კარგიანობაზე და ბედ-იღბალზე, ამ თავითვე ცდილობდეს, რომ სიმდიდრეში და წარმატებაში წილი ედოს არა ერთ რომელსამე ნაწილს ერისას, არამედ მთელს ერს გამოუკლებლად და თანასწორად“.

3) სოციალ-დემოკრატების აზრით, ეგნატეს მრწამსი იყო შემდეგი: მანამ ვერ განთავისუფლდებიან დაჩაგრული ერები, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია არ გაიმარჯვებს და საზოგადოება სოციალისტურად არ გარდაიქმნება, ამიტომ ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა ეკრეკერობით დამღუპველია. ეკერ კაცობრიობის, საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესი და მერმე — ერისა, ეკერ ინტერნაციონალიზმი და მერმე — პატრიოტიზმი. ნაციონალ-სოციალისტები კი არ უნდა ვიყოთ, არამედ სოციალისტები.

ეგნატე ნინოშვილს კი სინამდვილეში სწამს ის, რაც მისმა იდეურმა მოძღვარმა — გიორგი წერეთელმა, ასე ჩამოაყალიბა: „ნამდვილი სოციალიზმი იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ტერიტორიიდან აებარგდეთ, ჩვენი ისტორია დაივიწყოთ, ჩვენი ტიპი უკუაგდოთ, ქართველი დაივიწყოთ, რუსული ენა შეითვისოთ და რუსები გახდეთ—

ჩვენ თუ ჩვენს პოლიტიკურად დაჩაგრულ გარემოებას არ მივაქციეთ ყურადღება და ვიყვირეთ საქართველოს და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა იყოს, ქართველი და რუსი ერთიაო, ამითი ძალმომრეობაზე დამდგარი რუსები ისარგებლებენ და გვეტყვიან— სოციალური პრინციპი მოითხოვს, რომ ყველას თანასწორი ადგილ-მამული მიეცეს, მაშასადამე, თქვენ მანდედან აიყარეთ და ციმბირში გაფართოვდით—

რას მიქვიან ერთობებად, რა საჭიროა ქართველობა, თქვენც რუსები ხართ, ჩვენც რუსები, მხოლოდ თანასწორად გავიანგარიშოთ ადგილ-მამულიო...

–ჩვენ ნუ ვუმტკუნებთ სოციალურ პრინციპს, მაგრამ იმდენათ, რამდენათაც ეს სოციალური პრინციპი არ გადაიქცევა ჩვენსავე დასაკლავ დანათ. ჩვენ ბედში მდგომარე ხალხი ორივე ხელით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას და ამასთანავე ჩვენსავე ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რაიმე ნაირათ მოვსპოთ. რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრჭყალებში ვყავართ გამოკლული და რუსი ხალხიც იმას ცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალ-ღონით ჩვენ წაგვართვას უხსოვარის დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება და თვითონ დაიჭიროს. აი, ამ გარემოების წყალობით ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორიც ჩვენცა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა უფრო ძლიერი ნაციის მონობისაგან".

4) არაო, – ამბობდნენ სოციალ-დემოკრატები, – ნინოშვილი ჩვენს ინტერნაციონალურ პლატფორმას ეთანხმებოდა, გიორგი წერეთელთან კი იძულებული იყო, რომ ეთანამშრომლა. საერთოდ, „კვალი" ნამდვილ რევოლუციურ იდეებს, იმას, რაც ეგნატეს სწამდა, მხოლოდ მაშინ გამოხატავდა, როცა იმ რედაქციას სათავეში ახალგაზრდები ჩაუდგნენო.

ნინოშვილი კი გიორგი წერეთელს წერდა: „რაც შეეხება საზოგადოდ ჩემს ნაწერებს, მე ყოველთვის მსურველი ვიქნები, რომ „კვალში" დაიბეჭდოს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კვალი ახალგაზრდობის ორგანოა. შეიძლება ბევრ ახალგაზრდობასთან მე საერთო არა მქონდეს რა. მე მხოლოდ პატივს ვსცემ „კვალის" მეთაურთ" (ჟურნალის ამ დროს მეთაურობს თვით გ.წერეთელი და მისი მეუღლე ანასტასია წერეთელი – ნ.გ.), მე თქვენგან დავალებული ვარ (ე.ი. გიორგისა და მისი მეუღლისაგან – ნ.გ.) არა მარტო ფულით, არამედ ზნეობრივადაც"...

5) სოციალ-დემოკრატები ამბობდნენ, რომ ეგნატე ნინოშვილი იყო მამათა თაობის – ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის იდეური მოწინააღმდეგე. განსაკუთრებით ილია და გაზეთ „ივერიის" თანამშრომელნი მტრულად იყვნენ განწყობილნი ეგნატეს მიმართ, ამიტომ მისი გარდაცვალებაც ფარისეველურად იგლოვეს და თუ ვინმემ დახმარება გაუწია, ესეც ფარისეველობა იყოო. მისი ნამდვილი თანამგრძნობნი ჩვენ ვიყავით და ჩვენ ვართ – პროლეტარიატის წინამძღოლებიო.

სინამდვილეში კი ეგნატე ნინოშვილი აღზრდილი იყო ქართველ გან-

მანათლებელთა იდეებზე. მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით დიდადაა დავალებული ილია ჭავჭავაძის და გიორგი წერეთლის შემოქმედებიდან. იზიარებდა ილიას იდეალს ეროვნულ საკითხში, ხოლო სოციალური საკითხისადმი ჰქონდა ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც მე-2 დასელებს, კერძოდ, გიორგი წერეთელს.

პროლეტარიატის „ბელადების“ „პატრონობამ“ ის შედეგი გამოიღო, რომ დიდ ილიასთან დაპირისპირებით, პირიქით, ჩრდილი მიაყენეს ამ მრავალტანჯულ და ტრაგიკული ბედის მწერალს. ერთ წერილში კრიტიკოსმა ბენიტო ბუაჩიძემ ეგნატეს ილია ჭავჭავაძის ღირსეული მემკვიდრე უწოდა. ამ ფაქტით აღშფოთებული ფილიპე მახარაძე დაწერს: ეს რომ ეგნატეს გაეგო, სირცხვილით ხომ საფლავშიაც გაწითლდებოდა...

„ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია“ — გაჰკიოდნენ სოციალ-დემოკრატები. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ეგნატე ნინოშვილი არც ერთი ცალკე დაჯგუფების მწერალი არ ყოფილა, იგი მთელს საქართველოს ეკუთვნის და, როგორც ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე, მთელი ერის ინტერესების გამომხატველია.

6) „დიდი ნიჭია ეგნატე ინგოროყვა, როგორც ბელეტრისტი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის, როგორც რევოლუციონერი მარქსისტი, კომუნისტი“ — წერდა მიხა ცხაკაია. ფილიპე მახარაძე კი დასძენს: „1882 წლიდან ეგნატე ხდება ნამდვილი მარქსისტი, ამიერიდან იგი ეძლევა რევოლუციის საქმეს... ეგნატე ნინოშვილი იყო დიდი რევოლუციონერი, მარქსისტი, რომელიც ფიქრობდა უკვე პროლეტარული რევოლუციის მოხდენაზე“. სოციალ-დემოკრატები ერთ ხმაში შეწყობილად დიდ რევოლუციონერსა და დიდ კომუნისტს ტერორის დიდ მომხრედაც აცხადებდნენ.

იყო თუ არა ეს ასე, ამაზე და სხვა ზემოთწამოჭრილ საკითხებზე უფრო ნათელი წარმოდგენა გვექნება მწერლის მხატვრული სამყაროს განხილვისა და ანალიზის შემდეგ.

«სიმონა»

„მოთხრობებში მე ვცდილობ, შეძლების და გვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები“ — წერდა ეგნატე ნინოშვილი.

ამ განცხადებით მწერალი განსაზღვრავს შემოქმედის მისიას, როლსა და ადგილს საზოგადოებაში, მწერლის მისია მკურნალისას ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ მკურნალი ადამიანის ფიზიკურ სიჯანსაღეზე ზრუნავს, შემოქმედი — კი ადამიანის სულიერ სიმრთელეზე. მკურნალი ხორციელ ტკივილს გვირჩევს, მწერალი კი — სულის ტკივილს, მორალურსა და ზნეობრივ ორიენტირებს გვისახავს.

ავადმყოფის მკურნალობისას, უპირველეს ყოვლისა, ავადმყოფობის მიზეზის ძიება და ზუსტი დიაგნოზის დასმაა საჭირო, სხვაგვარად მკურნალი მკურნალობას ვერ შეძლებს. XIX საუკუნის საქართველო ავადმყოფი იყო. ერის მთლიანი ორგანიზმი უცხო ძალის აქტიური ჩარევის შედეგად დაიშალა და გადაგვარდა. მონა მხოლოდ იმიტომ კი არ არის საცოდავი, რომ იგი ჩაგრულია სხვის მიერ, არამედ უფრო დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ იგი ნელ-ნელა ჰკარგავს ადამიანურ ღირსებებს. გადარჩენის, თვითშენახვის იმპულსი, მზის ქვეშ ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლა, მონას ავიწყებს მისივე ბედში მყოფს (ცხადია, ზნემაღალი პიროვნებები ყოველნაირ საზოგადოებაში არსებობენ, მაგრამ ერთეულები საყოველთაო ამინდს ვერ ქმნიან). თანალმობას, ძმობას, მოყვასის სიყვარულს, ნდობას, სხვისი გასაჭირით შეძრწუნებას მონურ საზოგადოებაში საფუძველი ეცლება, რადგან თანალმობაც, ძმობაც, მოყვასის სიყვარულიც, ნდობაცა და სხვისი ტკივილის გულთან მიტანაც ჭეშმარიტად ადამიანური თვისებებია. ადამიანი კი თავის თავს, თავის მშვენიერ არსს სრულყოფილად მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს, როდესაც იგი თავისუფალია, როდესაც საკუთარ ნებას თვითონ განაგებს, ანუ მაშინ, როცა შეუძლია უსმინოს ღვთის ხმას და აღასრულოს უზენაესის ნება — არა კაც კლას, არა იმრუშოს, არა ცილ სწამოს, არა იპაროს და ასე შემდეგ.

საზოგადოება, რომელიც თვითგადარჩენის ინსტინქტით ცხოვრობს, საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ არსებობაზე ზრუნავს — მო-

ქმედებს მგლის კანონით, იმარჯვებს ფიზიკურად ძლიერი, ფეხს იკიდებს შური, გაუტანლობა და უნდობლობა, ბოროტება. ასეთ საზოგადოებაში კი ბედნიერი საბოლოოდ არავინ არის. ერთ ბოროტებას მეორე მოსდევს და ამა თუ იმ პიროვნების ბედნიერება დროებითი და ილუზორულია. ასეთ საზოგადოებაში გამარჯვებულნი არ არსებობენ, უბედურება ზნედაცემულ საზოგადოებაში საყოველთაოა. სწორედ ასეთ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება ეგნატე ნინოშვილს.

„მოთხრობებში მე ვცდილობ, შეძლების და გვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები"-ო, როცა ამას აცხადებდა მწერალი, გულისხმობდა იმას, რომ დაესვა ავადმყოფი ერის ავადმყოფობის ზუსტი დიაგნოზი. თუ ჩვენ გვინდა ადამიანს ვუთხრათ, როგორი უნდა იყოს იგი, ამისთვის, პირველ ყოვლისა, მას უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორია ის. ეს დებულება საზოგადოებაზე და მთელს ერზეც ვრცელდება. თუ ერს ვაჩვენებთ როგორია, რა სჭირს, რა სენი ულრღნის ორგანიზმს, ეს უკვე ნიშნავს გზის გაწმენდას სამომავლო ცხოვრების პერსპექტივისათვის.

ავადმყოფობის დიაგნოზის დასმა წინასწარ აკვიატებული სქემებითა და მოსაზრებებით უბედურების ნამდვილ მიზეზთან ვერ მიგვიყვანს. ამიტომ, ჭეშმარიტი მწერალი ცხოვრებას ხატავს არა წინასწარ აღებული სქემის მიხედვით, არამედ ისე, როგორიცაა ცხოვრება არსებითად. იგივე ითქმის ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების შესახებ.

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობაში „სიმონა" სწორედ ჩვენი „ხალხის ბნელი მხარე და წყლულებია" ნაჩვენები: დახატულია ღირსებადაკარგული საზოგადოება, სადაც ერთ მხარეს დგანან ჩაგრულნი, მეორე მხარეს კი — მჩაგვრელები. ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მკითხველმა შეიძლება გამოიტანოს ასეთი დასკვნა: ძალმომრეობაზე აგებულ საზოგადოებაში არავინ არის ბედნიერი, ძალმომრეობით იღუპება არა მხოლოდ რომელიმე კერძო პიროვნება ან ითრგუნება არა მხოლოდ რომელიმე კლასი, ეთქვათ, გლეხობა, არამედ, საერთოდ, ადამიანში კვდება ადამიანი, ზნეობრივად იღუპება ყველა — ერიცა და ბერიც, ზნეობრივ დეგრადაციას განიცდის მთელი საზოგადოება. ასეთ ვითარებაში კი არ შეიძლება ბედნიერად ცხოვრობდეს ვინმე, როგორც ვთქვით, უბედურია ყველა — ზნეობადაკარგული კაციცა და ის პიროვნებაც, ვისთვისაც ჯერ კიდევ ძვირფასია სინდისი, ადამიანური ღირსებები. თუ ზნეობადაკარგული კაცი უბედურია იმის გამო, რომ არსებობისათვის ბრძოლაში დაკარგა უმთავრესი — ადამიანობა, ზნეობრივი და მორალური პიროვნება, რომელსაც წამხდარ „სამეზობლოში" უხდება ცხოვრება, ორმაგად დატანჯულია, რადგან მას უწევს ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლაც და სულის

გადარჩენაზე ზრუნვაც. ცხოვრება მას ხშირად სთავაზობს არჩევანს: ან შეელიოს სიცოცხლეს სულის გადარჩენის ფასად, ან უარყოს პიროვნული ღირსება, მამა-პაპათაგან გადმოცემული ჯანსაღი ტრადიცია, მორალურ-ზნეობრივი პრინციპები და დაემსგავსოს სხვებს, იცხოვროს, როგორც ყველამ და ტყუილით, ეშმაკობით, მავანთან ძალმომრეობით, მავანთან მლიქვნელობით გალიოს ეს წუთისოფელი. ეგნატე ნინოშვილის თხზულებებში და, კერძოდ, მოთხრობაში „სიმონა“ ნაჩვენებია ორივე მხარის ცხოვრება. იმ ადამიანებისა, ვისაც ცხოვრების წესად უზნეობა გაუხდიათ და იმათი, ვინც ზნეობის პრინციპით ცხოვრობენ. საბოლოოდ იღუპება ყველა. ნინოშვილის სამყარო უბედური ადამიანებით არის დასახლებული. ეს ის სამყაროა, რომელშიც ერთი ფასი აქვს როგორც მორჩილებას, ისე ქედუხრელობას, სადაც ერთი ბოლო აქვს ყველას — მჩაგვრელსა თუ ჩაგრულს, სადაც გამარჯვებული არავინაა.

ამ დებულებათა საილუსტრაციოდ თვალი მივადევნოთ მოთხრობის ცალკეულ პერსონაჟთა ცხოვრებას.

გაბრიელა ძალაძე

სოფელ წაბლისერში ცხოვრობდა ქებული და მძლავრი ოჯახი გაბრიელ ძალაძისა. გაბრიელი (გაბილა), როგორც მას სოფელში ეძახდნენ, ძლიერი და ამაყი გლეხკაცი იყო. „გაბილა ძალაძეს ხმამაღლა ვერავინ ჩასძახებს ოჯახში, ბატონსაც კი ეშინია მისიო“ — ამბობდნენ ძალაძის მეზობლები იმ დროს, როცა ბატონყმობა ჯერ კიდევ შეურყეველი იყო ჩვენში. ბატონი, ან მისი მოურავი, როცა გაბრიელას სხვა შინაყმებივით დაჩაგვრას მოუნდომებდნენ, გაბრიელა თოფით უხვდებოდა წინ: „გიჯობს შენს ტყავში დიუტიო, გეუთფა იგიც, რომ შენ ბატონი ხარ და მე ყმა“-ო.

მიუხედავად პიროვნული ღირსებისა, თავმოყვარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ გაბილა ძალაძე უბრალოდ არავის დაუჩაგვრინებია, იგი მაინც იძულებულია კვირაში ოთხი დღე თავის ბატონს, თხლეძირაძეს, ემსახუროს. თვით ეს გვარები — ძალაძე და თხლეძირაძე შემთხვევით არ შეურჩევია მწერალს. საერთოდ, ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში პერსონაჟის გვარზე შინაარსობრივ-იდეური აქცენტის გადატანა დამახასიათებელი მხატვრული ხერხია. პერსონაჟის ხასიათი კონცენტრირებულია მისსავე გვარში. ეს ნინოშვილის პერსონაჟებზე ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს — ძალაძე, უშვილი, მუნჯაძე, უქმაძე, ტევრიძე, თაფლაძე, მკლავაძე, მცირიშვილი,

დროიძე, გულფუჭაძე, თხლეძირაძე, არწივაძე, მამალიძე, კოლოშვილი და სხვა. ახლა კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ. გვარები: ძალაძე და თხლეძირაძე — მწერალს შემთხვევით არ შეურჩევია–მეთქი. ძალაძე, ნინოშვილის ხატვის პრინციპებიდან გამომდინარე, მოძალადე თუ არა, ძლიერი, სხვისაგან დაუჩაგვრელი გმირი მაინც უნდა იყოს, ერთი შეხედვით ეს ასეც ჩანს თითქოს, გაბრიელა ძალაძეს ზედმეტს ვერავინ უბედავს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი უკეთურ დროს იგი თხლეძირაძის ყმად უქცევია. მისთვის ნამდვილი ადამიანური ცხოვრება არ არსებობს, ბატონის „ყმაია“ და იძულებით შრომობს. მისი ძალაძეობა კი იმაში გამოიხატება, რომ დღენიადაგ იმის ცდაშია, თავი დაიცვას. არ გაქცლონ, ის მცირე უფლებაც არ წაართვან, რაც შერჩენია.

საყვარელა ძალაძე

საყვარელამ, გაბრიელის ვაჟმა, მორჩილებითა და თავმდაბლობით მოინდომა ცხოვრების ლელოს გატანა. არ გაჰყვა მამის გზას. ვერ იყო მამასავით „ფხიანი“. ცხვირი რომ გაიტეხათ მისთვის, ხმას არ ამოიღებდა, ხელს არ შეუბრუნებდა. თვინიერებითა და მოკრძალებით, გულჩვილობითა და ადამიანებისადმი ადამიანური დამოკიდებულებით კი საყვარელამ იმას მიაღწია, რომ ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ამ დღენიადაგ მშრომელ კაცს უტყაპუნებდა. რაკი ასეთ დაბალ ღობედ მიიჩნიეს, ერთი ბატონის ნაცვლად ყველამ ბატონობა მოუნდომა. მის ბედში მყოფი, მასავიც დაჩაგრული გლეხები, საყვარელასთან ურთიერთობისას ზვიადი ბატონები ხდებოდნენ, ჩაგრავდნენ და ჰქელავდნენ. თავდადრეკილობა არც ქეთევანმა აპატია მეუღლეს და ჩუმჩუმად ღალატობდა კიდეც. ასე რომ, საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი ძალმომრეობაზეა აგებული, ადამიანი მისივე თანამოძმისგანაც იჩაგრება, იჩაგრება საკუთარ ოჯახშიც, რადგან ოჯახიც ამ საზოგადოების ნაწილია და ოჯახშიც ის მდუღარე დულს, რაც გარეთ, რაც სხვაგან.

საყვარელას მეუღლე ქეთევანი

ყველა უბედურება, რაც შეიძლება განგებამ ადამიანს მიუსართოს, თავს გადახდა ქეთევანს. ჯერ იყო და, ახალგაზრდობაშივე დაქვრივდა, ოჯახს მარჩენალი გამოეცალა.

ქეთევანმა უმამობა არ აგრძნობინა ობლებს. დღე და ღამეს ასწორებდა, ვაჟკაცივით შრომობდა და იმდენი ქნა, ოჯახი ფეხზე დააყენა. მაგრამ უბედურება მუდამ მის სიახლოვეს იყო ჩასაფრებული. უფროსი ვაჟი გიგოია უბედურმა შემთხვევამ ხელიდან გამოაცალა. ოჯახი გაპარტახდა. ქურდებმა და ავაზაკებმა მოსაპარი მოიპარეს. ყოველივე ეს იმ დროს მოხდა, როცა გიგოია მომაკვდავი იყო და დაოსებულ დედას ოჯახის მისახედად აღარ ეცალა. ქეთევანს ქალიშვილი ჰყავდა მეზობელ სოფელში გათხოვილი, ამ შეჭირვების ჟამს კი შვილი დედის სანუგეშებლად, დასახმარებლად და მომაკვდავი ძმის სანახავად ვერ მოდიოდა, რადგანაც მის ქმარს ერთხელ ჩხუბი მოსვლოდა გიგოიასთან_

გავიდა დრო. ქეთევანმა მეორედ წამოაყენა ფეხზე დაქცეული ოჯახი. წამოეზარდა უმცროსი ვაჟი სიმონა, გაუბედურებული დედის ერთადერთი ნუგეში. ქეთევანმა ახალგაზრდობა სიმწარეში, ტანჯვასა და ვაი-ვაგლახში გაატარა, მოუკვდა ქმარი, შვილი, სამი ქალიშვილიდან, როგორც ვთქვით, ერთი დედისაკენ ველარ იბრუნებდა პირს ქმრის შიშით, ორი კი ვერ კიდევ პატარა იყო, როცა ოჯახიდან მოსტაცეს, ერთი ბატონმა გაუყიდა, მეორე კი — ყაჩაღებმა.

ტანჯული ქალი სიმონას იმედითღა ცოცხლობდა, მაგრამ უბედურება ისე წამოეწია ქეთევანს, სიმონს სამგზის დასწამეს ცილი, მოაშორეს სოფელს და სასტიმროებში გაატარებინეს ჭაბუკობის წლები. ამითაც არ დასრულდა ქეთევანის ტრაგედია. რძალი გაუბახეს, რის შემდეგაც ნამუსშეგინებულმა რძალმა სიცოცხლე მოისწრაფა. მერე ის იყო — უსამართლოდ დასჯილი და გამორიტებული სიმონა სახლში დაბრუნდა, იარაღი აისხა, გაყაჩაღდა, ფირალის გამოზრდის გამო კი ქეთევანს, მოხუცებულსა და ჯანგატეხილს, როზგის ქვეშ ხდიდნენ სულს. გატყდა ოდესღაც ლამაზი და ენერგიული, ჯან-ღონით სავსე ქეთევანი, გაუყიდეს სიმწრით ნაშენები სახლ-კარი. სიკვდილი სანატრელად და ხსნის ერთადერთ გზად ექცა შვილებისთვის გადამკვდარ ქალს, რომლისთვისაც ეს წუთისოფელი ახალგაზრდობიდანვე დედინაცვლად იქცა.

სიმონა ძალაძე

ისე წამოიზარდა ქეთევანის უმცროსი ვაჟი სიმონა, სიბეჩავე და გაჭირვება, დედის წყალობით, არ უგრძვნია. ლამაზი, ტანადი, ვაჟკაცური იერის ჭაბუკი მხარში ამოუდგა ნატანჯ დედას და საოჯახო ტვირთი შეუმსუბუქა. სიმონა გამორჩეული გლეხკაცი იყო, დიდი სინდისისა და ზნეობის მქონე,

სიმართლის მოყვარული. აი, სწორედ ეს თვისება იქცა მისი ყველა უბედურების მიზეზად. სიმონას ოჯახის გვერდით ცხოვრობდა ახალ დროსა და ვითარებას მორგებული ყოფილი გლეხი დავით დროიძე, რომელსაც ფული და ქონება ეშოვა და სოფელს „პატარა მეფედ" მოევლინოდა. დავითისადმი სოფელს შიში და ხათრი ჰქონდა, ყმაწვილი სიმონა კი ამ კაცმა რატომღაც ამოიჩემა და ავი თვალით უყურებდა. „რავარ კაცის ჩამომავლობაა, რომ ამისგან კაი რამე გამევიდეს, გაბილა ძალაძემ უდროოთ დააბერა თავისი ბატონიო" — ამბობდა ძალაძიანებზე.

„ერთ ზაფხულს, — მაშინ სიმონა თხუთმეტი წლისა იქნებოდა, — ერთ სიმონას მეზობელს ნალია გაუტეხეს და სიმინდი მოპარეს". დავითმა სიმონაზე მიიტანა ეჭვი. როცა ეს ეჭვი ხმამაღლა გამოაცხადა დროიძემ, გაცეცხლებული, გულმართალი ყმაწვილი წამოდგა და თვალებზე სიბრაზის ცრემლმოდენილმა უთხრა დავითს:

„— დავით, რა დაგიშავე, რომ პაწაობიდან შემიძულე?— შენ წაწყმედილო, ქვეყნის მყლაპაო, რას მერჩი რას?!"

იმ დღეს სიმონა დავითმა ერთი დღით დააჭერინა.

გავიდა დრო. სიმონა დაეაქაცდა, საცოლედ ემზადებოდა, გულისწორიც შერჩეული ჰყავდა — მეზობელი გლეხის ტანადი და პირმშვენიერი ქალიშვილი დარია, რომ ამ დროს დავითს თაფლა გაუტეხეს და ბედაური მოპარეს. ეს ქურდობაც სიმონას დააბრალა დავითმა და სამწლიწადნახევარი ციხეში გამოკეტეს სრულიად უდანაშაულო კაცი.

სიმონა გულს ასკდებოდა ასე არაადამიანურად გამეტებისთვის, მაგრამ დავითს მაინც ვერა ავნო რა. იცოდა, კანონი და სამართალი იმის ხელში იყო, ვისაც სამართლის ფულით ყიდვა შეეძლო. ოჯახში დაბრუნებულ სიმონს სახლი და ხარები გადასახადში გაყიდული დახვდა, მაგრამ შეეგუა ბედს, ცოლი შეირთო და შეუდგა გლეხი კაცის ცხოვრებას. ისე, როგორც ცხოვრობდნენ ჭაპანწყვეტაში ათასობით და ათიათასობით მის ბედში მყოფნი. „რაც სიმონა საპატიმროდან გამოვიდა, მას შემდეგ დავითს ტკბილად არ სძინებია"— ფოსტა გატეხეს და ეს საქმეც, თავიდან მოშორების მიზნით, დავითმა ისევ სიმონას გადააბრალა. კვლავ ხუნდები, კვლავ საპატიმრო. უპატრონოდ დარჩენილი ოჯახისა აღარავის ერიდებოდა. ამ უბედურებას დაემატა ის, რომ დავითის ბოროტებას მისმა შვილმა ტიტიკომ თავისი წილი ბოროტებაც მიუმატა. სიმონას ცოლი, დარია, თავის ბიჭებს ტყეში გაატაცებინა და მისი „ხორცით გაძღა". ნამუსსხდილმა ქალმა ამ ახალ უბედურებას ველარ გაუძლო და თავი დაიხრჩო.

დაბრუნდა სიმონა, დაბრუნდა ერთადერთი მიზნით: შური ეძია მტარვალ

დროიძის ოჯახზე. მის მკვდარ გულს ახლა სისხლი თუ გააცოცხლებდა, სისხლი დაედებოდა მალამოდ. ასეც მოიქცა, მისი გამაუბედურებელი დავით დროიძის ოჯახი თვითონაც გააუბედურა და დაღუპა. სიმონამ ტყეს შეაფარა თავი. ოდესღაც მშრომელი გლეხკაცი ფირალად იქცა.

ამ ყოფაში გალია თავისი უბედური ცხოვრების დღენი სიმონა ძალაძემ.

სიმონას მეუღლე დარია

დარია ერთი საუკეთესო სახელთაგანია ქართველ ქალთა ლიტერატურულ გალერეაში. მის ხანმოკლე და ტრაგიკულ ცხოვრებას სიწმინდის ნათელი მოსავს. აცხორცული ჟინით ატეხილი ტიტიკო ეკლესიიდან მომავალ ქალს ტყეში გადაათრევინებს. არც ძალა გაჰკიდა, არც ხვეწნა, არც ტირილი. ნამუსი ახადეს, გააბახეს და ასე შერცხვენილი გამოუშვეს შინ. „სიმონს უთხარი, — უბარებს დედამთილს შეძრწუნებული, ცხოვრებაზე ხელაღებული რძალი, — არ გიღალატებ, რომ გითხარი, ტყეული დარჩა, ქვეყანაში თავი მოგჭრა შენმა ცოლმა, ერთ ღამეს სხვის ხელში იყო-თქვა. მართალია, ნებით არა, მარა, სულ ერთია, ქვეყანა მაინც ეტყვის, გასცინებს, „ასეთ-ისეთის ქმარი ხარო“, მარა არ შეგარცხვენ, მე აწი კაცი ველარ მნახავს თქვა... სიმონს არ ეკადრება შერცხვენა, კაი ვაჟკაცია... იმედათ მიმყობა, რომ ჩემ წვალებას არ შეარჩენს ტიტიკოს. დედამთილო, იი ჩემი პაწია გაბრიელაი შენ იცი, შენ მიჩოჩოლი ხარ ობლების დაზრდას. ნეტაი ერთი მანახვა!.. არა არ იქნება, გვიან არის!.. ამ ჩემი შერცხვენილი თვალებით რავა შეეხედება იმ ანგელოზს! ჩემი წაპილწული ბაგე არ მიეკარება! ველარ ვნახავ! გათავდა. ველარ ვნახავ!.. მშვიდობით, ოჯახო, მშვიდობით სახლო, კარო!..“ საკარულს აკოცა და გულადღეგებული სამუდამოდ გაეცალა ამ გაუტანელსა და ცოდვიან წუთისოფელს დარია, ეს საოცარი ქალი, ხორცშესხმული ხატება სიწმინდის, ერთგულებისა და თავმოყვარეობის. ამ უწმინდურ ქვეყანაში დიდი სულის ადამიანები ზედმეტნი ჩანან და დარიასავით იძულებულნი ხდებიან, ან ხორციელი სიცოცხლე დასთმონ, ან ნადირივით ტყეს შეაფარონ თავი, ისე როგორც სიმონა ძალაძე მოიქცა.

დავით დროიძე

ბატონყმობის დროს მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის უფსკრულს წოდებრივი უთანასწორობა ქმნიდა. გაბრიელა ძალაძე დაჩაგრული იყო თხ-

ლეძირაძისაგან, რადგან თხლეძირაძე თავადი გახლდათ, გაბრიელა კი მისი ყმა. ბატონყმობის ინსტიტუტის მოსპობის შემდეგ, საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრისთანავე, ადამიანთა შორის ახალი უფსკრული გაჩნდა. ახალი დროის ბატონებად იქცნენ ის ადამიანები, რომელთაც ფული დააგროვეს. უსამართლო ქვეყანაში, სადაც დაუცველია ადამიანის უფლება და სადაც ყოველგვარ კანონზე ბატონობს ფული, ამა სოფლის ძლიერებად გვევლინებიან ფულკიბეგამობერილი ადამიანები. მათ შეუძლიათ ქრთამით გაანათონ ვკოვკოხეთი. ბოქაულიც მათია, მამასახლისიც, მაზრის უფროსიც, გუბერნატორიც და ასე შემდეგ. სიმართლე იმის მხარეზეა, ვისაც ძალაუფლება აქვს, ძალაუფლებას კი ასეთ საზოგადოებაში კაცს ანიჭებს ფული.

სოფელ წაბლისერში, რომელიც უსამართლო ქვეყნის ერთგვარი მოდელია, ცხოვრობდა ვინმე დავით დროიძე — მაღალი, რიხიანი, ენამეტყველი, შესახედაოადაც გამორჩეული კაცი. შთამომავლობით დავითი გლეხი იყო, ერთი აზნაურის „ნაკაცარი“. ყმაწვილობისას ერთ ბერძენთან მოუკამაგირედ ემსახურა, შემდეგ შემთხვევის წყალობით ფული მოუგდია ხელთ და თვითონაც ვაჭარი გამხდარა. გამდიდრებული დავითი „მობრუნდა სოფელში, შეისყიდა თავის მებატონისაგან მიწები, გაიკეთა კარგი ოდა და გაიჩინა ცოლ-შვილი“. მთელი სოფელი დავითის ხელის შემყურედ იქცა, თუ ვინმეს ფული დასჭირდებოდა, დავითს უნდა მისდგომოდა და პროცენტით ესესხა, თუ ვინმეს რაიმე გაჭირვება ადგა, დავითის გავლენის იმედი ჰქონდა და ეს ყოფილი გლეხიც, სიმდიდრის წყალობით საეკლესიო წოდებაში ჩაწერილი, გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ვისაც სურდა, ეხმარებოდა კიდეც. დავით დროიძე ხალხის თვალში დიდ და საპატივსაცემო კაცად იქცა, სოფელს იგი ახალ ბატონად მოევლინა. დავითის სიტყვა სოფლისათვის კანონი იყო. და, აი, ყოფილმა ბოგანომ შეამჩნია, რომ გაბრიელა ძალაძის შვილიშვილი სიმონა მის გავლენას აინუნშიაც არ აგდებდა. ბაბუას ჰგავდა თავმოყვარეობით და ბაბუამისივით ქედუხრელი იზრდებოდა. თუ თხლეძირაძემ ტკბილი სიტყვითა და ეშმაკობით იმსახურა გაბრიელი, ეს ვითომდა ურჩი ყმა, დავითს ღარიბ გლეხთან, რომელიც არც ყმაა მისი და არც ქვეშევრდომი, ეშმაკობა და ტკბილი სიტყვა ალარ სჭირდება. მას ფულის წყალობით კიდევ უფრო მეტად შეუძლია ავნოს თუ არგოს კაცს, ვიდრე მის ნაბატონარს შეეძლო. დავითისთვის სიმართლის ძალა აღარ არსებობს, მას შეუძლია უსამართლობა სამართლიანად გამოაცხადოს, სირეგვენე-სიჭკვიანედ და ა.შ. დავითის მხარდამჭერია ყველა, ვისაც ფული უყვარს, ვისაც კეთილდღეობა სურს და მზად არის პირად კეთილდღეობას ანაცვალოს მეორე ადამიანის ბედი. ასეთი კი მთელი საზოგადოებაა, დაწყებული ბიუროკრატიული აპარატით და დამთავრე-

ბული სოფლის ღარიბი გლეხობით. რაკი დავითს ამდენი მხარდამჭერი ჰყავს, თითო-ოროლა დაუმორჩილებელ გლეხთან ეშმაკობა და თავის მოქონვა აღარ სჭირდება. ჯიქურ შეუძლია მათ ელაპარაკოს და რასაც დაიქადნის, ასრულოს კიდეც. ამ კაცის მსხვერპლი აღმოჩნდა სიმონა ძალაძე და მისი ოჯახი. მაგრამ ბოროტებასა და სიავეს არც დავითისთვის დაუყრია ხეირი. გამწარებულმა, თავზეხელაღებულმა სიმონამ მას ორი ვაჟი მოუკლა. სახლკარი გადაუწვა. დავითის ერთი შვილი ყალბი საბუთის შედგენისათვის ციმბირში გაგზავნეს, მეორე — მოუკვდა, მესამე — გაკოტრდა, გალოთდა, ამისი ცოლი კი აჯხორცი გამოდგა და ქვეყნის სათრევად იქცა. დაბერდა, დაჩაჩანაკდა, დაგლახავდა ეს ერთ დროს მედიდური კაცი, დავით დროიძე. სიბერის ჟამს იძულებული იყო თოხი ებაყუნებინა მიწისთვის და გაჭირვებით ეთრია ნაკაცარი სული. ასე უბედურად დაასრულა სიცოცხლე ახალი დროის ბატონმა.

დავითის ვაჟი ტიტიკო

მამის ქონებითა და გავლენით გაზულუქებულ ტიტიკოს ერთადერთი საზრუნავი აქვს — იცხოვროს ნეტარებით, ალაღოს ხორცი — და ამ სურვილის აღსასრულებლად იგი მზად არის გააუბედუროს ყველა, ვინც მის ნებას არ დაჰყვება.

ტიტიკოს პრაპორშჩიკის სამხრეები „ამშვენებს“, იგი რუსის ჯარის ოფიცერია. ამ დეტალს შემთხვევით არ უსვამს ხაზს მწერალი.

დონ-ჟუანის ამ სულიერმა ნათესავმა, როდესაც დარიას დაადგა თვალი და მისი გაბახება გადაწყვიტა, სურვილი ძმას გაუმხილა. ძმა პასუხობს:

„— —იმის გულისთვის სხვებსაც ბევრს ადგება ყელზე ნერწყვი. მეც ბევრი ვსდიე, მარა არ იქნა, ვერას გავხდი. იმისთანა მიუკარებელი, ჯიუტი და გულგაუხსნელი არ მინახავს ჩემს დღეში! —

— —რას ვერ გავხთიო! ქალი მოვინდომო და ვერას გავხთე! გინდა ჩვენს თავადებში საუკეთესო ქალი შევაცთინო, თუ არა, ვინ არის ერთი ლატაკი გლეხის ცოლი! ნებით არ იზამს, ძალა აქნევინებს. ჩვენ, აფიცრებს, ასე არ გვიწერია კანონში: მოგვეწონა ქალი, ჩვენია!

— იქაურის რა მოგახსენოთ, არ ვიცი და აქ, ქეთევანის რძალთან ნებით ვერას გახთები...

— იცი, ლევან, — გააწყვეტინა ძმას სიტყვა ტიტიკომ, —სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენ წადილებს აისრულებ. თუ ჩემი

წადილები არ ამისრულდება, ხალხი, დედაბერი, ვილაც ბიჭი და ყველაი მე შემაშინებს, მაშვინ რა ჯანდაბად ვაქნევ სიმდიდრეს?!. არ იცი რომ სიცოცხლე ბრძოლაა? ბურთი და მეიდანი იმას რჩება, ვინც მძლავრია. სიმძლავრე ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია. ეს ფული თქვენ საკმაოდ გაქვთ, აიღეთ და მოიხმარეთ".

ამ კაცის „მრწამსი" არც მისი მამის, დავითისათვის, არის უცხო და არც ძმის, ლევანისთვის, მაგრამ უზნეობაში ტიტიკო დროიძეს კიდევ უფრო ღრმად აქვს შეტოპილი. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ერთდროულად ქართულ-რუსულად ლაპარაკობს. პრაპორშჩიკი დროიძე „იქაური" კანონებით ცხოვრობს, იგი რუსულ სამხედრო სასწავლებელში გაიზარდა და მათ, ადიცრებს, ის არ „უწერიათ კანონში", რისი ანგარიშის გაწევასაც ადგილობრივი ხასიათი და ტრადიციები ითხოვს.

ამდენად, თუ დავითის მიერ სიმონას პირველად დაჭერა მოტივირებული იყო (სიმონა მას მართლა ქურდი ეგონა), თუ მეზობლის ცოლს ლევანიც შეუჩნდება, მაგრამ ციცი უარის შემდეგ უკან იხევს, აი, ტიტიკოსათვის ბოროტების ჩასადენად არავითარი მოტივი არ არის საჭირო, რადგან ასე უწერიათ „იმათ" კანონში.

უსამართლოდ დაისაჯა სიმონა დავითისაგან? შური რომ არ იძიოს შეურაცხყოფილმა, საჭიროა იგი ფიზიკურადაც მოისპოს — ასე სჯის პრაპორშჩიკი.

მოეწონა სიმონას ცოლი დარია? — უნდა გააუპატიუროს კიდეც, ფიქრობს პრაპორშჩიკი.

უფრო მეტი, იგი მზად არის გარყვნილებაში ჩაითრიოს საკუთარი რძალიც, რადგან ის რძალი ლამაზი ქალია და ლამაზი ქალი კი ტიტიკოს ეკუთვნის_ მამა-პაპათა არცერთ წმინდა კანონს მისთვის ჩალის ფასიც კი არა აქვს, რადგან, როგორც ვთქვით, „იმათ" კანონში სხვა რამ წერია... ჰოდა, „იმათ" კანონსა და წესებზე აღზრდილი კაცი, რაც მოესურვება, იმას სჩადის, მაგრამ გარეგნულად მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ტიტიკო დროიძის გალაღებული ცხოვრება უდღეური აღმოჩნდა. იგი თავის სიყვარაგეს შეეწირა. სიმონა ძალაძემ ტიტიკოსა და მის ძმას ერთად მოუღო ბოლო.

როგორც ვნახეთ, ერთნაირად უბედურად ასრულებენ სიცოცხლეს როგორც ჩაგრულნი ამა ქვეყნისანი, ისე — მჩაგვრელნი. ბედნიერება, რომლისთვისაც სხვების უბედურების ხარჯზე მიუღწევიათ ახალი დროის ბატონებს, ხანმოკლეა და ისინიც ისეთივე სვეგამწარებულნი ხდებიან, როგორც მათ მიერ გათელილი უპოვარნი.

ალბათ, ლოგიკური იქნება დავსვათ ასეთი კითხვა: იქნებ, კერძო, გამონაკლის

შემთხვევასთან გვაქვს საქმე? იქნებ დავით დროიძის ოჯახში სუფევს მხოლოდ უზნეობა და ამ უზნეობის მსხვერპლი შემთხვევით გახდა მეზობლის ოჯახი? ასე არ გახლავთ საქმე, უზნეობას ღრმად გაუდგამს ფესვი მთელ სოფელში. ეგნატე ნინოშვილის მიერ დახატული სოფელი კი, როგორც ითქვა, ერთგვარი მოდელია მთელი საზოგადოებისა. ამ საზოგადოების მკაფიო სურათია ნაწყვეტები ნინოშვილის მოთხრობაში „სიმონა“. კონკრეტულად, როგორ წარმოგვიდგება ეს საზოგადოება?

ეგნატე ნინოშვილის სოფელი

ერთ-ერთ კორესპონდენციაში ეგნატე ნინოშვილი წერდა: „ჩვენში ჭკუა გონებას გადასცდა, აირია, აიპანტა ყველაფერი სრულიად. ვინ-ვის მტრობს და ჰკლავს, ვინ-ვის სახლსა და ზანდუკებს უმტერევს და აგლეჯს ყველაფერს, რაც ხელში მოებორკება, ვინ-ვის ნამუსსა და სახელს ულახავს, ვინ-ვის ყანყრატოში წურბელასავით მისწებებია და სისხლს უშრობს, ველარ არჩევთ. ამ უჭკუობის დროს ერთი ფასი დაედო გაიძვერობას, მატყუარობას, ღალატს და კეთილ კაცობას. პატიოსნებას და ქველობას“. კორესპონდენციაში წარმოდგენილი ეს შემზარავი სურათი მხატვრული სახეებით ხელშესახებად არის დასურათხატებული განსახილველად აღებულ მოთხრობაში.

მორჩილი და ბატონობას შეგუებული საზოგადოება, თუკი შესაძლებლობა მიეცემა, ამყლაენებს სრულ სისასტიკეს. საყვარელას, თვინიერი ხასიათის გამო, ყველა ჰქელავდა და თავში ურახუნებდა — ბატონიც და მეზობლებიც.

უზნეო ადამიანები „კეთილმოსურნე“ დამოკიდებულებას ამყლავნებენ „ბედში მყოფი“ პიროვნებისადმი, მაგრამ საკმარისია ამ პიროვნებამ წაიფორხილოს, ბედმა დაჩაგროს, რომ იგივე ხალხი ხდება სასტიკი და გაუტანელი.

ვიდრე ქეთევანი ორივე ფეხზე მტკიცედ იდგა, საქმე კარგად მიჰყავდა და მიწებიც საკმაო ჰქონდა, მეზობლები მის შესახებ ამბობდნენ: „ქალი კი არა, ეშმაკია! ხედავ რავა წამოაყენა ფეხზე ოჯახი და გამოზარდა შვილები! ქვრივობა კიდეც მოუხთაო“. მაგრამ, როცა უჭირდა, ყველა მის დაჩაგრას ცდილობდა — ნალია გაუტეხეს, გაძარცვეს, გაცალეს, კუდიანობაც დასწამეს. დავით, ერთ დროს რომ თვალებში შეჰყურებდა ხალხი, გალატაკებისა და გაუბედურების შემდეგ, ძალლადაც აღარავინ აგდებდა. სოფელი ისე იქცევა, როგორც ერთ ანდაზაშია თქმული: „იქცეოდეს — შეესიე, შენდებოდეს — შეწიე“. ვისაც მეტი აქვს, სოფელი მას უმართავს ხელს, მას ეფერება, მას ულაციცებს. ვისაც მეტი აქვს, იმის მეტი მატყლობს, ის მდიდრდება, ის

ივსება, ღატაკსა და ბოგანოს კი ყველა წართმევას, წაგლეჯას და გაქცევას უპირებს, ასეთია უზნეო საზოგადოების „ზნეობა“.

უზნეო საზოგადოება ან გულგრილია უსამართლობასთან გადაწყდომისას, ან იმას ემხრობა, ვის მხარეზეც სიმართლე კი არა, ძალა და გავლენაა.

როდესაც სიმონას დავით დროიძემ ქურდობა დააბრალა და დაჭერა გადაუწყვიტა, აღშფოთებულმა ყმაწვილმა შეუძახა:

„— დავით, რა დაგიშავე, რომ პაწაობიდან შემიძულე? ისე შენმა ცოლშვილმა ნახოს ხეირი, რავარც მე შენი ყურძენი, ან ხილი, ან იი დათიკაის სიმინდი მევიპარე! აა, შენ წაწყმედილო, ქვეყნის მყლაპაო, რას მერჩი, რას?!“

როგორ იქცევა ამ დროს სოფელი? ნაცვლად იმისა, რომ უსამართლოდ შეურაცხყოფილ, გულადულებულ ყმაწვილს გამოექომაგონ, მისცვივდებიან და პირზე ხელს მიაფარებენ ამ სიტყვებით:

— ბიჭო, ხომ არ გადაირიე, თავადიშვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისთანა სიტყვებს, შენი ტოლი ხომ არ გგონია! გაჩუმდი, გაჩუმდი!

გავიდა დრო, დავითმა კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ გასწირა სიმონა და კვლავ დააჭერინა. სოფელმა კვლავ პილატეს როლი აირჩია, დავითისათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. „ერთი იმიტომ, რომ ეხათრებოდათ და წყეინებას ვერ უბედავდნენ და მეორეც იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ერთხელ ვითომც სიმინდის მოპარვის გამო და მეორეხელ დავითის ცხენის მოპარვის მიზეზით სიმონა საპატიმროში იყო, დიახ, ამ ორ შემთხვევას შემდეგ მეზობლებს სიმონა მართლაცდა საეჭვო კაცად მიაჩნდათ. ხალხმა არ იცოდა, თუ სიმონა ორსავე შემთხვევაში ცამდის მართალი იყო. ხალხი უმეტეს შემთხვევაში ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს. გავლენიანმა დავითმა ჩასძახა, სიმონა მაგნებელია და ხალხიც იმეორებდა — მაგნებელიაო“.

უზნეო საზოგადოებაში დიდი გასავალი აქვს ჭორს, ტყუილს, ცილისწამებას. უზნეო საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთის ქირდვითა და გაკილვით ცხოვრობენ და ხშირად ბიწს სცხებენ, დასცინიან და კილავენ სწორედ იმ ადამიანს, ვინც განსხვავებულია, გამორჩეულია სხვათაგან ზნეობრიობითა და უბიწობით.

მეზობლებმა არ იცოდნენ, რომ დარიამ თავი მოიკლა. ეძებენ გაუჩინარებულ ქალს და მისი დაკარგვის მიზეზად ვარაუდობენ მხოლოდ და მხოლოდ სისაძაგლეს და არავითარ შემთხვევაში არ ფიქრობენ იმ ნაბიჯზე, რაც დამცირებულსა და გაუბედურებულ სუტაკ ადამიანს შეეძლო გადაედგა.

„— ქალი რომ გასუქდება, ძმავ, იი მერე ავი სამწუხაროა: ქალაქში წევიდოდა. წეესევიან რომ!— ამბობდა ერთი მეზობელი.

– შე დალოცვილო, ადამიანია იგიც, მისმა ქმარმა აღარ მეისვენა აქაცობისაგან და აღარც ნაობახიდან გამოაყოფინეს თავი. ველარ მეითმინა დედაკაცმა და აგია – პასუხობდა მეორე მეზობელი.

– ნამუსიანია, ნამუსიანია, კაცი ვერ მიეკარებაო, დეიჩემეს. ესეც თქვენი მიუკარებელი! თავის სოფელს აღარ დასჯერდა და ვინ ურჯულოებს ჩაუვარდება ახლა ხელში, ვინ იცის! – ეუბნებოდა ერთი მეზობლის ქალი მეორეს".

სულ მალე გაირკვა, რომ საცოდავ დარიას თავი დაეხრჩო. მოვიდა მამასახლისიც, რომელსაც აცნობეს, ტიტიკო დროიძემ გააუპატიურა და თავი იმიტომ მოიკლაო. მამასახლისი დავითის გავლენის ტყვე იყო, ამიტომ კინაღამ სცემა ქეთევანს: „შენ შენი ვეშაპობით თავი მოაძულე, დაარჩვე და ახლა გინდა პატიოსან ოჯახს ჩირქი მოსცხოო". მამასახლისი რომ ღვთისპირიდან გადავარდნილი კაცი აღმოჩნდა, ეს არ არის გასაკვირი, უბედურება ის იყო, რომ მთელმა სოფელმაც ის თქვა, რაც ჩასძახეს. – ოჯახის ვარამმა და ცუდმა მდგომარეობამ ქალი ჭკუაზე შეშალა და წყალში თავი იმიტომ დაიხრჩოო.

უზნეო საზოგადოება, თუ რამ უბედურება დაატყდება თავს, იბრძვის არა უბედურების ნამდვილი მიზეზის აღმოსაფხვრელად, ებრძვის არა მტარვალსა და მოძალადეს, არამედ კონკრეტულ პირებს, რომელნიც თავადაც მსხვერპლნი არიან და რომელნიც მხოლოდ საბაბად ქცეულან ტრაგედიისა და არა – მიზეზად.

სოფელმა თავისი გულგრილობით თვითონ აიძულა სიმონა მარტო ებრძოლა ბოროტების წინააღმდეგ. სიმონა ფირალი ხდება. წაბლისერში „ექსცესის" ჩაყენებენ. გლეხების ცხოვრება სოფელში ყაზახ-რუსების შემოყვანის შემდეგ ჯოჯოხეთად იქცევა. გამწარებული სოფლელები კი თავიანთი უბედურების მიზეზს დავითში კი არ ხედავენ, რომლის ბოროტებამ სიმონას თოხი გადააგდებინა და თოფი ააღებინა ხელთ, ან ყაზახ-რუსების განუკითხაობაში, არამედ თავიანთი ტრაგედიის მიზეზად სიმონას მიიჩნევენ. სიმონას დასდევენ გასათოკავად და მას რომ ვერ სწვდებიან, ჯავრს სიმონას დედასა და ცოლის ძმაზე იყრიან, ეს უკანასკნელი დააჭერინეს კიდეც, ხოლო ქეთევანი მთავრობასთან დააბეზღეს და გააროზგვინეს. „სულძაღლიანი! გამოზარდა ვეშაპმა ქვეყნის სიავკაცე და ახლა სულს გვხთიან მისი გულისთვისო". – სისინებენ დავრდომილ ქეთევანზე. ასე ახლომხედია სოფელი, რაც არცაა გასაკვირი, რადგან უზნეო საზოგადოება, პირველ ყოვლისა, უჭკუო საზოგადოებაა, რომელიც მტერ-მოყვარეს ძნელად არჩევს.

უზნეო საზოგადოებაში ზოგჯერ ისეთი რამ ხდება, ერთბაშად რომ

შესძრაჭს ადამიანებს, გამოაფხიზლებს, გამოაღვიძებს, საკუთარ სულში ჩაახედებს და გაახსენებს „იმ, პატარა ღმერთს, რომელსაც სინდისს ეძახიან“. მაგრამ ასეთი გამოფხიზლება, უეცრად, მოულოდნელად ახელა თვალისა და მტერ-მოყვარის გარჩევა — წუთიერია, გავა დრო, ყველაფერი ისევ თავის ადგილს იჭერს და უზნეო სოფელი კვლავ უბრუნდება თავის უზნეო ცხოვრებას. „ერთ ზაფხულის დილას წაბლისერში გაისმა: მოკლესო. ხალხი მიეჩქარებოდა მოკლულის სანახავად და უერთდებოდა ერთ ადგილას შეკგუფებულ ქალებსა და კაცებს. ხიდის თავში, გზის პირას, იდო ერთი ვაკაცური სახისა და ტანის გვამი, რომელსაც შავ წვერ-ულვაშში და ლომის ფაფარსავით გადაყრილ თმაში აგერ-აგერ თეთრი ბალანი გამორეოდა. მიცვალებულს ეტყობოდა, რომ მიმზიდველის შეხედულების კაცი უნდა ყოფილიყო სიცოცხლეში... ეს გვამი გახლდათ სიმონა ძალაძისა, რომელიც ერთ დროს სამაგალითო მუშა გლეხი იყო და შემდეგ განთქმული ყაჩაღი“. პოლიციის პრისტავი გამარჯვებას ზეიმობდა, ხალხი კი, ის ხალხი, ვინც სიმონას სოფლის ამოგდების მიზეზად თვლიდა, ვინც სიმონას დასაჭერად დასდევდა და დედას ულანძღავდა „ავკაცი“ შვილის გამოზრდისათვის, ახლა დადარდიანებული იდგა და მდუმარებდა. ბევრს ტირილიც მოსდიოდა, რომ გაახსენდათ „ია, კაი მარჯვე მუშა ბიჭი სიმონაი“. მაგრამ სევდა და სინანულის იმპულსური გრძნობა მართლა წუთიერი აღმოჩნდა. სოფელს გაახსენდა, თუ რისთვის იდგა მათთან „ეკუცია“ და რა ევალებოდა. ცრემლი დამალეს — გულჩვილობა არავინ შეგვიტყოს და ფირალის მომხრე არ ვეგონოთო. წაიღეს გვამი და დაუკურთხებელ მიწაში დამარხეს...

ამ მზისქვეშეთში პატიოსანი და ზნეობრივი კაცისათვის სიცოცხლეში ადგილი არ აღმოჩნდა, ხან ციხის საკანში ივლდა და ხან ნადირივით ტყეს აფარებდა თავს. მოკვდა და არც ნაკურთხი მიწა გაიმეტეს მისთვის, რადგან, ქრისტიანული მრწამსით, ყაჩაღსა და კაცისმკვლელს სასაფლაოზე ადგილი არ აქვს. უბედურება სწორედ ეს არის, უზნეო ადამიანები სიმონას და დარიკოსთანა ხალხს, მართალთ და ზნეობრივთ, ისევ სიმართლისა და ქრისტეს სახელით ებრძვიან.

დაბოლოს, უზნეო საზოგადოების ერთი თვისებათაგანი რწმენის ნაცვლად ცრურწმენაა. ორი ტიპის ცრუმორწმუნე არსებობს. ცრუმორწმუნეა ისიც, ვისაც ჭეშმარიტის ნაცვლად ყალბი იდეალი სწამს, ვინც ღვთის ნაცვლად კერპს ქმნის და ისიც ცრუმორწმუნეა, ვინც სიტყვით ჭეშმარიტ რწმენას, ჭეშმარიტ იდეალს ემსახურება, მაგრამ საქმით უარმყოფელია იმავე რწმენისა. ასეთი ცრუმორწმუნე უფრო საშიში და ვერაგია, ვიდრე ყალბი იდეალის სიტყვით და საქმით მსახური, რადგან იგი ყოველგვარ ბოროტებას

ისევ სიკეთის სახელით ჩადის. სიმონა ძალაძის ირგვლივ მცხოვრები ადამიანები, განურჩევლად წოდებისა, ყველანი ერთნაირად ცოდვილნი არიან.

ამ აზრის კიდევ უფრო გამოსაკვეთად ერთ რელიგიურ იგავს გაგახსენებთ: ერთ ღრმად მორწმუნე ქალს სიზმარში ზეციური სიძე, ქრისტე გამოეცხადა და აუწყა, რომ დაღამებისას ესტუმრებოდა. ქალი მთელი დღე მოლოდინში იყო, აფორიაქებული, გულათრთოლებული ემზადებოდა ძვირფასი სტუმრის მისაღებად. დაბნელდა, დაღამდა, ღვთაება კი არსად ჩანდა. ამასობაში კარს მართლაც მოადგა სტუმარი და მასპინძელი იხმო, ქალი ეცა ჭიშკარს, გამოაღო და ქრისტე ღმერთის ნაცვლად ჩამოკონკილ-ჩამოძონძილი მათხოვარი შერჩა, რომელმაც ქალს გასათენებლად თავშესაფარი სთხოვა. ქალმა უარით გაისტუმრა მათხოვარი, რადგან ზეციურ სტუმარს ელოდა. ღმერთი კი იმ ღამეს არ გამოჩნდა. გამთენიისას მოლოდინით მოთენთილ, დაღლილ ქალს ჩაეძინა და კვლავ იხილა უფალი. მორწმუნემ საყვედური ჰკადრა არსთა გამრიგეს, რატომ არ მოხველ შეპირებისამებრო. მოველ და არ მიმიღე. ის უპოვარი, რომელიც გააგდე და არ შეიფარე, მე ვიყავიო — იყო პასუხი. ამ იგავის არსი მკაფიოა და ადვილად დასანახი. ყოველი გაჭირვებული ადამიანის თანადგომა და სამსახური ღვთის სამსახურია. ღვთის რწმენა და სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის რწმენას, მოყვასის სიყვარულს გულისხმობს. სოფელმა კი ძალაძეთა ოჯახის უბედურებაში პილატესავით ხელი გადაიბანა, ამით ისინი ღმერთსაც გაუდგნენ.

ეგნატე ნინოშვილის სოფელში თითქოს მორწმუნე ადამიანები ცხოვრობენ. ეკლესიაში დადიან, რელიგიურ რიტუალებს არ აცდენენ და ღვთისმსახურებას არ აკლდებიან, მაგრამ იგივე ხალხი მზად არის დააბეზღოს, გაჰყიდოს, ცილი დასწამოს თავისივე მოყვასს.

ცრუმორწმუნეთა ნამდვილი სახე ნაწარმოებში ნაჩვენებია ერთი პატარა დეტალით. წაბლისერის წმინდა გიორგის ეკლესია ზოგიერთმა მდიდარმა კაცმა დაიწუნა — „არ გვეკადრება, ეკლესია კი არა, კარავიაო“, და გამოიწყეს ახალი ეკლესია. მაგრამ ხალხს შეექმნა საეკლესიო ადგილზე ცილობა, ზოგს უნდოდა ეკლესია სოფლის შუა ადგილზე აშენებულიყო; ზოგი — სადაც ძველი ეკლესია იდგა, ახალიც იქ უნდა აშენდესო_ ამ დავის გამო ბევრი რევიზორი და კომისია გამოგზავნა სასულიერო მთავრობამ. მოგახსენებენ, ბევრი მათგანი ფულით ჯიბეგაბერილი დაბრუნდაო. უკანასკნელად საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი მხარე ხალხის მოთავე მოწინააღმდეგეებმა საიქიოს გაისტუმრეს — ღამე დაუხვდნენ ჩუმად და გზაში მოჰკლეს“. ასე რომ, ღვთის სახლის ასაშენებელი ადგილის შერჩევას ადამიანთა სიცოცხლე შეე-

წირა. ადგილი, როგორც იქნა, შეირჩა და შემდეგ სოფლის მთელი მონაგარი (ვის ძროხა გაუყიდეს, ვის — ხარი, ვის — სარჩო სიმინდი) ეკლესიის მშენებლობას მოხმარდა. „ბოლოს ეშველა, აშენდა და უნდა მოგახსენოთ კარგი ეკლესიაც არის“ — მწარე ირონიით დასძენს მწერალი.

მაცხოვრის სახლს აშენებენ, თვით მაცხოვრის მცნება კი არავის ახსოვს!

საყდარში პირჯვარს იწერენ, საყდრიდან გამოსულნი კი მომძის სიცოცხლეს ჯვარს უსვამენ.

ასეთია ეგნატე ნინოშვილის სოფელი. ამ სამყაროში არ სახლობენ კარგი გლეხები და ცუდი ბურჟუები, ცუდი ბატონები. ამ სამყაროში ცხოვრობენ ზნეობრივი და უზნეო ადამიანები. უზნეობა ფესვგადგმულია და მთელი საზოგადოება მოუცავს, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ზნეობა კი გათითოკაცებულია. ერთეული ადამიანები, საკუთარი სინდისის ამარა დარჩენილნი, იძულებულნი არიან ან შეეგუონ თახსირ წუთისოფელს, ან სიცოცხლეს გამოეცალონ, ანდა თოფი აიღონ ხელში და მთელს ქვეყანას გამოუცხადონ ბრძოლა.

ასე იქცევა სიმონა ძალაძე. მისმა მამამ, საყვარელამ, თავმდაბლობითა და მოთმინებით ლელო ვერ გაიტანა. სიმონა კი ძალითვე დაუპირისპირდა ძალმომრეობას. იყო თუ არა ეს გზა ძალმომრეობიდან თავდაღწევის საშუალება, სიკეთის გამარჯვების საწინდარი? მწერალს ამ კითხვაზე მკაფიოდ აქვს გამოხატული თავისი პოზიცია.

ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობს

ადამიანი ქვეყნად სიკეთისა და სიყვარულისთვის არის მოვლენილი. მზის ამობრძანებაც, ვარსკვლავებით მოჭიქული ცაც, მდინარის ჩურჩულიც და, საზოგადოდ, ბუნების მშვენიერება ადამიანის სულს სილაღით ავსებს. პიროვნება გარემომცველი სამყაროს ნაწილად, მის შვილად გრძნობს თავს.

იყო დრო, როცა სიმონა ნეტარების მორევში ცურავდა, „ცასაც სხვა ფერი ედო, მიწასაც, დღესაც და ღამესაც, ასე ეგონა, ფრინველებიც ჩემს სიყვარულს მღერიანო“, — ასე გვიხასიათებს მწერალი სიმონას სულის მოძრაობას მაშინ, როცა იგი შეყვარებული იყო, როცა მის გულში კაცისკვლის, შურისძიების ფიქრი და ბოლმა არ იდო. გავიდა დრო და ბუნების ქსლალი შვილი ქვეყნისაგან მოძულებულ, იმავე ბუნების გერად გადაიქცა.

შურისძიებით ანთებული სიმონა მსხვერპლს ელოდება, მისი გამაუბედურებლები უნდა ჩაძალოს. „ეხლა კი, — გვიამბობს მწერალი, — მის

თვალში ფასი აღარ ედო არც ამ მშვენიერ დილას, არც მის ლამაზ სამშობლო სოფელს". ამ ერთადერთ ფრაზაში კონდენსირებულია მთელი ცხოვრება გაწამებული სულისა, სინამდვილემ ბუნების ლაღი შვილი მოიგლიჯა და შურისძიებით გამეხებულ მკვლელად აქცია.

ვიდრე შვილებს დაუხოცავდა, თავისთვის, დანანებით იტყვის სიმონა: „რა გიშავდა, დავით, ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში მეც მეცხოვრა და შენც! ორივე დავეტეოდით, ჩემი გასრესა რომ მოინდომე, არ იცოდი მეც სამაგიეროს გადაგიხდიდი!" ხომ წამალია სიმონასათვის მტარვალთა სისხლის აღება, მის დაჭრილ სულს ხომ მალამოსავით დაედება შურისძიების შედეგი, მაგრამ უკანასკნელ წამს შინაგანი ხმა მაინც ჩასძახის, რომ კაცისკვლით გაუსაძლისი ტვირთით უნდა დაიმძიმოს სული. ამიტომ, თითქოს თავს იმართლებსო საკუთარი სინდისის წინაშე, იხსენებს ერთი პატიმრის ნათქვამს. პატიმრისათვის სიმონას უკითხავს: „სულის წაწყმედის არ გეშინია ადამიანს რომ კლავ?" პატიმარმა თურმე უპასუხა: „ჩემთვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეს და ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობს". სიმონასაც ჯოჯოხეთად გადაუქციეს ეს ქვეყანა და იძულებულია, არც მან იფიქროს სულზე. შურისძიება სისასტიკის გამო ისეთივე ადამიანური გრძნობაა, როგორც სიყვარული სიყვარულის წილ. ამიტომ უზნეო საზოგადოება კიდევ ერთი რამითაა საშიში: უზნეო და ძალმომრეობის პრინციპზე აგებული საზოგადოება მრავლად წარმოშობს შურისმაძიებელთ, თავზე ხელაღებულთ, ერთი სისასტიკე განაპირობებს მეორეს და ერთი ბოროტება ათი ბოროტების დედად იქცევა. ასე რომ, საბოლოო შედეგი სისასტიკისა არის ორმხრივი უბედურება. უბედური ხდება მჩაგვრელიცა და ჩაგრულიც. გაფირალებული ნაბატონარს მოჰკლავს, გაფირალებულს კი — ვილაცის ბრმა ტყვია. შემდეგ კი კვლავ ახალი სიმონები და დავითები გამოდიან ასპარეზზე და არაფერი იცვლება. გარდა იმისა, რომ იწყება მცირე მასშტაბის „სამოქალაქო ომი" — მეზობლებს შორის სისხლის ღვრა. სიმონამ, მართალია, სისხლი აიღო და გულისწყრომა ნაწილობრივ დაიცხრო, მაგრამ ტერორის გზით არც დავითები მოსპობილა და, აქედან გამომდინარე, არც მომავალი სიმონები, სწორედ ამიტომ უსვამს ხაზს მწერალი, რომ დავითის დაჩაჩანაკების შემდეგ „სხვა დავითები და სიმონები გამოვიდნენ სცენაზე-ო". აქედან უკვე კარგად ჩანს მწერლის ტენდენციაც და პასუხიც ზემოთ დასმულ კითხვაზე, იყო თუ არა ეგნატე ნინოშვილი ტერორის მომხრე? იყოო — პასუხობენ ეგნატეს „ჭირისუფალნი". არ იყო — ასეთ დასკვნამდე მივყავართ „სიმონას" ანალიზს. ტერორის გზა, გაყაჩაღება — სიმონა ძალაძისათვის იძულებითია. ადამიანს, რომელსაც ეს ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაუქციეს, აღარ ჰყოფნის ძალა

სულზე იფიქროს. ეგნატე ნინოშვილი რეალისტი მწერალია და მან ობიექტურად აღწერა ის პროცესი, რაც მის თანადროულ საზოგადოებაში ხდებოდა, იმავდროულად ისიც მიგვანიშნა, რომ შურისძიებით, თუნდაც სამართლიანით, ბოროტება ვერ აღმოიფხვრება. უფრო მეტიც, ეგნატე ნინოშვილი არ იყო მომხრე სოციალური უთანასწორობის რევოლუციური ანუ მასობრივი აჯანყების გზით მოსპობისაც კი, რაც კარგად ჩანს მისი დამოკიდებულებით საფრანგეთის 1793 წლის რევოლუციისადმი. ეს დამოკიდებულება მწერალს გამოხატული აქვს რომანში „ჯანყი გურიაში“. საფრანგეთის რევოლუციის ბელადებს — რობესპიერს, დანტონს და მარატს იგი ხალხის ბედ-ილბლის საქელავად მოევლენილებს უწოდებს.

ეგნატეს იდეალი არის არა ერთი კლასის მიერ მეორის ძალმომრეობით მოსპობა, არამედ მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი, ძმური თანაარსებობა. ეს ძალზე მარტივად და მოკლედ აქვს ნათქვამი სიმონას: „რა გიშავდა, დავით, ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში მეც მეცხოვრა და შენც! — ორივე დავეტეოდით“.

მაგრამ „ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში“ ადამიანები „ვერ ეტევიან“, ებრძვიან, აბეზღებენ, წეწავენ და გლეჯენ ერთმანეთს. ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევენ, ჯოჯოხეთში კი სულზე აღარავინ ფიქრობს.

სად არის ასეთი ჯოჯოხეთური ყოფისაგან თავდაღწევის, ხსნის გზა? რა გადაარჩენს ხალხს, ერს, ქვეყანას?

ამ კითხვებზე პასუხი რომ გაეცა ეგნატე ნინოშვილს, იმის ჩვენება დასჭირდა, თუ როგორ ცხოვრობს საზოგადოება, რა არის მიზეზი საზოგადოების სულიერი დეგრადაციისა.

მწერლის მიერ დასმული დიაგნოზი ასეთი გახლდათ: „უსწავლელობა და სიღატაკე ჰბადებდა ხალხში შურს, მტრობას, გაუტანლობას, სიმხდალეს, გარყვნილებას და ათას სხვა ცუდ ზნე-ჩვეულებას“. რაკი დიაგნოზი დაისვა, მკურნალობაც შესაძლებელი იყო და ეგნატე ნინოშვილმა თავის ვალად იტვირთა — განათლებისა და თვითშეგნების გზით განკურნება ჩვენი ხალხის წყლულებისა. ეგნატემ შექმნა მხატვრული ტილო, რომელიც გვაჩვენებს, რანი ვართ ანუ რანი არ უნდა ვიყოთ.

მესამე ძალა

უსწავლელობამ და სიღატაკემ, რომელიც ჰკვებავს სისასტიკეს, შურს, მტრობას, გაუტანლობას, სიმხდალეს, გარყვნილებას და ათას სხვა ცუდ ზნეს,

საბოლოოდ ადამიანები უბედურებად აქცია. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ასეთ საზოგადოებაში ბედნიერი არავინ არის, მაგრამ არსებობს მესამე ძალა, რომელიც ადამიანთა სასოწარკვეთაზე ხელს ითბობს. ეს არის სახელმწიფოს დასაყრდენი — ბიუროკრატიული აპარატი და ჯარი — ყაზახ-რუსები.

პოლიცია თითქოს თავგამოდებით იბრძვის მაზრაში სიმშვიდის დამყარებისათვის, მაგრამ სინამდვილეში მაზრაში რომ მართლა სიმშვიდე დამყარებულიყო, წესრიგის დამცველთ, ალბათ, დარდი მოჰკლავდათ, რადგან პირველი ქურდები და ყაჩაღები თვით პოლიციმეისტერები არიან. ქურდს კი სიბნელე, არეულობა და შფოთი უყვარს.

სიმონა ძალაძის მოკვლა პრისტავმა დაიბრალა. სამი დღის მიცვალებულს ტყვია დაახალა, ხმლით აჩეხა, ჭრილობაში ქათმის სისხლი ჩაასხა და ამ გზით, როგორც ფირალის მკვლელმა, ორდენი მიიღო. ასე რომ, ფირალი რომ არ არსებობდეს, მესამე ძალა თვითონ გამოიგონებდა, რადგან ადგილობრივ მოსახლეობასთან წესრიგის დასამყარებლად მიბრძანებული უცხო ძალა ფირალის დევნის საბაბით და მშვიდობიანობის აღდგენის მიზნით მუსრს ავლებს დაპყრობილ მოსახლეობას. ეგნატე ნინოშვილი ასეთ სრულ განუკითხაობას მწარე ირონიით აღწერს ერთ პუბლიცისტურ წერილში.

მოვიყვან ვრცელ ამონაწერს ამ წერილიდან:

„— ეშველა, მოჰკლეს! — მოდის გურიიდან ამისთანა ამბავი.

ვინ მოჰკლეს? აი, ღლონტი, მუხუზლაი, დათუნაშვილი, გოგიტიძე. დარჩია და, რა ვიცი, რამდენი კიდევ სხვაი.

მერე ვინ არიან ეს ღლონტი, მუხუზლაი, დარჩია, თათრები, „ბუსურმანები", თუ ჩვენივე მოძმენი?

ყაჩაღი გახლავთ, ჰო, ყაჩაღი...

გასული წლებისას რომ არ გამოვუდგეთ, მარტო შარშან და წრეულს აგერ ათზე მეტი „ფირალი" მოჰკლეს გურიაში, მერე იცით ვინ არიან ეს ფირალები? ცოლ-შვილიანი კაცები, რომლებიც გუშინ მშვიდი მიწის მუშა იყვნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდნენ და თავის მოძმეებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდნენ.

აი, ასეთი ადამიანი, რაღაც უხილავი, უბედური გარემოების მიზეზით დღეს ტოვებს ცოლ-შვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირივით გარბის ტყეში, — ფირალდება! ასეთ ფირალებს უდგებიან კვალში და ხოცავენ „დუუნობით". ეს „ფირალების ჟლეტა" ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა დღეს გურიაში, რომ არ შეიძლება ადამიანს ეჭვი არ დაებადოს: — ბიჭოს, ასე წამდაუწუმ თუ ჟლიტეს ეს „ფირალები", ადრე ხალხიდან დასცლიან გურიას და დასაცავიც აღარავინ დარჩებათო...


ისეთ ერთგულებამდე მივიდა გურიაში ყაჩაღის დევნა, რომ ძნელად თუ ერთ მტყუანს ორი ალალ-მართალი ადამიანი არ წაატანონ თან“.

ახლა ისევ მოთხრობას დავუბრუნდეთ და ვნახოთ, ე.წ. მესამე ძალამ რა დღეში ჩააგდო მშვიდობიანი მოსახლეობა, რომლის „დასაცავადაც“ სოფელს „ესტუმრენ“.

„სოფელს წაბლისერში რამდენისამე მოსახლე კაცისას იდგნენ ყაზახები თავისი ცხენებით. მასპინძლები შეკუჭულიყვნენ პატარა სახლებში, ოდას დაჰპატრონებოდნენ ეს მოუწევარი სტუმრები და თავისებურად მოეწყოთ. ისეთი პალოები და ლურსმნები კი დაეკრათ სუფთა ხის კედლებში უნაგირებისა და სხვა რამეების დასაკიდად, ისე დაეხეთქათ კედლის ფიცრები, რომ მნახველს გული მოუკვდებოდა. იმათი შიშით ქალები გარეთ ფეხს ვეღარ ადგამდნენ, ამბობდნენ, სახლებშიაც მიდიან და ურიგოდ ეპყრობიან მანდილოსნებსო. გლეხობაში დათარეშობდნენ მამასახლისი და მისი ხელქვეითები „ეკუცის“ ხარჯისთვის. ამ „ეკუცის“ ხარჯს თავიანთი ჯიბისთვისაც ბევრი გამოაყოლეს და აყოლებდნენ კიდეც. ხალხს წელში სწყვეტდა ეს ხარჯი. ფული რომ აღარ აუთავდათ, სარჩოს — სიმინდს, ღომს და საქონელს აძლევდნენ, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ აუვიდნენ. თუ ცოტა დაუგვიანდებოდათ ეგზეკუციის ხარჯი, სადაც წაახელებდნენ ხარს, ძროხას, ღორს კლავდნენ და მიჰქონდათ, თუ პატრონი გამოცხადდებოდა და დავას დაუწყებდა, ჩემიაო — მათრახი და მისი ჯვანი! ისეთს ააყოლებდნენ ზურგზე, რომ ცოლ-შვილი რომ დაეკლათ, ამის შემდეგ ხმას ვერ ამოიღებდა. „ვაი, ჩვენს გაჩენას, ამოგვართვეს პირში სული!“ — გმინავდა ხალხი და ცდილობდა ერთს მეორე აეფარებინა წინ, ესე იგი, თავისი თავი გამოეტანა და მძიმე ტვირთი მოძმესთვის დაეტოვებინა. როცა ერთს ევანიკას ადგებოდნენ კარზე ხარჯისთვის, ის მეორე ევანიკასკენ იშვერდა ხელს — იმას გადაახდევინეთ, მე არაფერი მაქვსო. მაგრამ ვერც ერთი თავს ვერ იფარავდა, — ყველას ახდევინებდნენ“.

დავითი და ტიტიკო დროიძე წესრიგის დამცველ ამ ახალ ბატონებთან შედარებით ანგელოსებს ჰგვანან. თუ დავითი გაძარცვეს და ამან გააბოროტა, აღარ გაარჩია მტყუანი და მართალი, ყაზახები თვითონ ძარცვავენ ხალხს. თუ ტიტიკო ქურდულად, ღამით ჩაუსაფრდება დარიას, რუსები დღისით, მზისით, საკუთარ ოჯახებში უცვივდებიან მანდილოსნებს. ბოროტებამ, შურმა და გაუტანლობამ ეს შედეგი გამოიღო. როცა ადამიანებს სხვისი ჭირი არაფრად უღირთ, ეს ჭირი საყოველთაო ხდება. სიმონას უფროსი ძმა გიგოია, დამტვრეული და დასახიჩრებული, შობის წინა დღეს გარდაიცვალა. წესის აღსრულების შემდეგ მეზობლებმა ქეთევანი მარტო მიატოვეს შვილის ცხედართან და სახლებს მიაშურეს. რადგან „დღესასწაული თენდებოდა, რომელ-

საც სხვისი გულისთვის არ ჩაიმწარებს სოფელი“. შობა დღე კი იმის დღესასწაულია, ვინც მოყვასისთვის ეწამა და ჯვარს ეცვა. ღვთის სიყვარული, უპირველესად, იმაში გამოიხატებოდა, დღესასწაული რომ ჩაემწარებინა სოფელს „სხვისი“ გულისათვის. არ მოიქცნენ ასე. დაივიწყეს სიკეთე, დაივიწყეს ღმერთი და საბოლოოდ დავიწყებულნი იქნენ თვითონაც ღვთისაგან. ყველა უბედურება, რაც უზნეო საზოგადოებას თავს ატყდება, ამავე საზოგადოების წიაღში მზადდება. ასეთი ხალხის დამორჩილება ადვილია, ასეთ საზოგადოებას ადვილად იმონებს უცხო ძალა, რადგან უზნეობა მონობისათვის პოხიერ ნიადაგს ქმნის. ხსნის გზა არსებობს, ეს გზა გულისხმობს თანამემამულეთა შორის არა ანგარიშსწორებას, არამედ სიყვარულს, თანადგომას, თანალმობას. ამ შემთხვევაში ადგილი აღარ ექნება მესამე ძალის პარპაშს. ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში ყველანი დავეტევით, თუ ჩვენი ადგილი გვეცოდინება და მოძმის შეჭმას არ მოვინდომებთ. თუნდაც ერთი უდანაშაულო ადამიანის გამეტებით საზოგადოებას განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისადმი — ეს განაჩენი მკაცრია და სავალალო — ასეთ სატკივარს აღძრავს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „სიმონა“.



დავით კლდიაშვილი

ცხოვრება და მოღვაწეობა

გზის დასაწყისი

„ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია, მთავარია რას და როგორ წერ – უთქვამს დავით კლდიაშვილს შვილთან საუბარში – თუ მწერალი განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს.

გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე“.

„ადამიანისადმი სიყვარულით სავსე“ მოთხრობების ავტორი, დიდი ჰუმანისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ამასთან რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელე, პოლკოვნიკის ეპოლეტებიანი, ვიწრო მუნდირით დამშვენებული დავით სამსონის ძე კლდიაშვილი - ასეთია უცხო თვალისთვისაც ადვილად დასანახი პორტრეტი მწერლისა.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წლის 11 სექტემბერს ქვემო იმერეთის სოფელ სიმონეთში. 7 წლის დავითი მშობლებმა ქუთაისის გზას გაუყენეს, რომ შვილი „უსტავლელი“ არ დარჩენოდათ. ეს გზა მალე უფრო გართულდა, გაიწელა, გაგრძელდა შორეული ჩრდილოეთისაკენ.

მომავალი მწერალი ნაადრევად ტოვებს უზრუნველ, სიხარულით სავსე ბავშობას, სიმონეთისა და ხომულის (დედულეთი) იდილიურ სალამოებს, ჯერაც გაუყოფელი აზნაურული ოჯახების სითბოს და განსხვისებული — სხვისი როლით, სხვისი ყოფით — იწყებს ცხოვრებას. ცხრა წლის ბავშვის ხალასი, ცოცხალი ბუნება მუნდირში იმარხება. მუნდირში, რომლის მოსაპუებლად მისმა მამამ, იმპერიის ჩინოვნიკმა სამსონ კლდიაშვილმა, დედის კალთას ხანგრძლივად მოჰგლიჯა და შორს გაისტუმრა ერთადერთი ვაჟიშვილი.

იმ ერთგულების „საფასურად“, თავად-აზნაურობა რომ იჩენდა ტახტისადმი, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიიდან სამხედრო სასწავლებლებში მთავრობის ხარჯით ყოველწლიურად იგზავნებოდა თავად-აზნაურთა ორმოცამდე ბავშვი.

კიევის სამხედრო გიმნაზიაში, სადაც პატარა დავითი გაამგზავრეს, თვითდამკვირვებლის, თვითშემმეცნებლის თვალი კლდიაშვილს ნაადრევად გაუმახვილდა, როგორც ყოველგვარ მშობლიურს მოწყვეტილსა და მარტოდ დარჩენილ ყმაწვილს. საყურადღებოა, რომ მომავალი მწერალი, რომელმაც პირველი ორიგინალური ნაწარმოები მხოლოდ 32 წლის ასაკში დასტამბა, ჯერ კიდევ მეორე კლასში წერს მოთხრობას (რუსულ ენაზე). სამწუხაროდ, სამხედრო გიმნაზიის პედანტურად გამოზომილი დროისა და ჩრდილოეთის ერთფეროვანი დღეების მდინარებაში, განუწყვეტელ, გაოგნებამდე მისულ წვრთნაში და შოვინისტურ გარემოცვაში ქართველი ბავშვები თანდათანობით იეწყებდნენ მშობლიურ ენას.

სამი წლის შემდეგ საქართველოში არდადეგებზე ჩამოსულმა დავით კლდიაშვილმა ქუთაისიდან თარჯიმანი გაიყოლა სოფლად, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა.

ამის შესახებ მოგონებათა წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მწერალი წერდა: „სამი წელიწადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მინახავს, სამი წლის შემდეგ გაზაფხულზე მომივიდა ფული და ეგზამენების შემდეგ არდადეგებზე გამოვსწიე სახლისაკენ. ქართული უკვე დავიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და, რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან.

სალამო იყო, ჩვენ რომ მივედით. მთლად ეზო და ბალკონი სავსე იყო თაშეყრილი მეზობლებით. სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯაერისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოდ გულში მიხუტებდნენ ქალები და დედაჩემი მახსენებდა: ეს ბებია

მელანაა, შენ გენაცვალე, ეს მარია, ეს ელენე, ეს მაია, ეს დავით და ასე. ყველა თვალცრემლიანი სიყვარულით მეხვეოდა და მეალერსებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალ ჩემ პიძაშვილს, მრავალად თავშეყრილი კაცები იძლეოდნენ ათას კითხვას და ყველასთვის პასუხი იყო საჭირო. ერთმა იოხუნჯა, რომ ბავშს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დაეამწყვდევდი ოთახში, რალა რუსეთში აგზავნიდით, თქვე დალოცვილებო". ამ დღეში იყვნენ ის ბავშვები, რომელთაც თავისი ხარჯით ზრდიდა მთავრობა რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში საქართველოს თავად-აზნაურთა ერთგულების საპასუხოდ...

თუ პატარა ბავშვების გარუსება შედარებით იოლი საქმე იყო, სამაგიეროდ პრობლემები ჩნდებოდა იმ რიგით არარუს ჯარისკაცებთან, რომელნიც სამხედრო სამსახურში გაწვევის დროისათვის მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ. ამიტომ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა დავით კლდიაშვილი უკვე ოფიცრად მსახურობდა ბათუმში, გამოიცა განკარგულება, რომლის ძალითაც ქართველი ჯარისკაცები უნდა აერიათ რუსებში (ადრე ცალ-ცალკე არსებობდა ქართული, სომხური თუ სხვა ეროვნულ უმცირესობათა საჯარისო ნაწილები). „ჩვენს ნაწილში ამ ახალი წესის გამო მოვიდა ერთი პარტია ოზურგეთის მაზრიდან — იგონებს დ.კლდიაშვილი — ჯარისკაცებად გამოწვეული ახალგაზრდები ერთიმეორეს სჯობნიდნენ შეხედულებით. რუსულის მცოდნენი მათ შორის ნაკლებად ერივნენ. დაანაწილეს გუნდებში და ჩააბარეს სასწავლად ეგრეთ წოდებულ „დიადკებს". პირველ ხანებში თითქო ყველაფერი კარგად იყო, ორი თვის შემდეგ კი... თითქმის ყველამ მიატოვა ნაწილი და გაიპარნენ. შეიქმნა ერთი გამოძიება, გამოკითხვა, რატომ მოხდა ასეთი რამ, მიწერ-მოწერა. ერთი კვირის შემდეგ ყველანი უკლებლივ დაბრუნდნენ. დაინიშნა გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რამ აიძულა ისინი ასეთ მოქმედებაზე, გამოძიება მომანდვეს მე.

მოვუყარე ყველას თავი და სათითაოდ დავკითხე გაქცევის მიზეზი. ყველა იმას ჩიოდა, რომ ენის უცოდინარობის გამო მეტისმეტად უმძიმდათ სწავლა — მეცადინეობა და უკიდურესად წვალობდნენ.

— ბატონო! — მითხრა გამწარებით ერთმა მათგანმა... ბატონო, რუსული არ ვიცი, არ მესმის არაფერი. დამიდგება წინ ჩემი დიადკა საველიევი, რალაცას მეუბნება, რალაცას, ალბათ, მასწავლის. მე კი არაფერი მესმის, ვდგევარ გაყეყეჩებული, გაშტერებული, ჩემს გულს ვაწყდები, ისიც იღლება და გაჯავრებული მიყვირის და მიძახის: დურაკ! დურაკ! დურაკი რატომ ვარ? რუსული რომ არ ვიცი, იმიტომ? აბა ქართულად დამელაპარაკოს, მაშინ გავიგებთ, ვინაა უფრო დურაკი, მე თუ ის! ველარ გავუძელ ამდენ გინებას. ქართულად მელაპარაკოს და დურაკობას მაშინ გაიგებს, გაიქცევი კი არა,

ვინ იცის, რას იფიქრებ კაცი“... იმავე მემუარებში მწერალს მოჰყავს ერთი სიუჟეტი, რომლითაც ცოცხლად წარმოგვიდგება ის შეუნიღბავი მეთოდი, რომლითაც ყველა არარუსისა და ყოველგვარი არარუსულის მოსპობასა და გადაჯიშებას ცდილობდნენ.

„მართლმადიდებლობა და რუსი — ამის გარეშე არაფერი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის სახელმწიფოში.

ერთხელ, რაღაც პარაკლისის შემდეგ, მღვდელმა მოინდომა ნაკურთხი წყლის შხურებით ჩამოვლა გუნდებისა. მინდორში ვდგავართ. გუნდებში ებრაელებია და მუსულ7მანებიც. ვუბრძანეთ ჩვენ-ჩვენ გუნდებს, მწკრივებად გასულიყვნენ ისინი და უკან დამდგარიყვნენ, რათა აგვერიდებინა წყლის შხურებას. პოლკოვნიკმა დაინახა და იყვირა — ჩამდგარიყვნენ მწკრივში თავიანთ ადგილას.

— ისინი ებრაელები და მუსულმანებია. — ვუთხარით.

— მერე რა? რა ნება აქვთ ერიდონ წმინდა წყლის შხურებას? გთხოვთ, ფხიზლად უყუროთ საქმეს! — მწყრალად გადმოგვძახა, ჩაყენა ყველა მწკრივში და მღვდელმაც გულმოდგინედ აშხურა „წმინდა წყალი“ და აჩრიდა სამთხვევად ჯვარს ებრაელებსაც და მუსულმანებსაც.

გასაცარი გულმოდგინებით უნერგავდა ყველას, რომ რუსეთის იმპერიაში ყველა რუსია და რუსი უნდა იყოს...

ერთხელ ოთხთვიანი სწავლის დამთავრებული ახალგაზრდა ჯვარისკაცები გუნდად გვყავდა დაყენებული მინდორში. გამომცდელი, ეგზემენატორი, რუსი პოლკოვნიკია, რასაკვირველია.

მოვიდა პირველი გუნდის ახალ ჯვარისკაცთან. თოფის ვარჯიშობის შემდეგ მისცა სხვადასხვა კითხვა და ბოლოს ჰკითხა:

— ვინ ხარ შენ?

ებრაელმა მიუგო, ებრაელიო.

პოლკოვნიკი გაუკვირდა და მიაყვირა: — დურაკ!.. კაკოი ტამ ევრეი?! აბა, შენ ვინ ხარ, შენ?

შეეკითხა მეორე ებრაელს. ეს მიუხვდა პოლკოვნიკს და ხმამაღლა, თამამად შესძახა:

— რუსი!

— რასაკვირველია, რუსი!.. რუსი!.. ეს კარგად უნდა იცოდე, რომ რუსი ხარ!

ახლა გადავიდა მეორე გუნდის ახალგაზრდების გამოსაცდელად. რამდენიმე კითხვის შემდეგ ისევ შეეკითხა ერთ ჯვარისკაცს.

— ვინ ხარ შენ?

მწკრივის მეორე რიგში იდგა ჯარისკაცი როსტომაშვილი.

— ვინ ხარ შენ? — გადაუძახა მას პოლკოვნიკმა.

— როსტომაშვილი!

— დურაკ! მე გეკითხები, შენ ვინ ხარ? გესმის თუ არა? — მიაყვირა პოლკოვნიკმა.

ჯარისკაცი გაშრა შიშისაგან.

— მე შენ გეკითხები, ვინ ხარ შენ?

— არმიანინ! — მიუგო გაუბედავად როსტომაშვილმა.

— კაკოი ტამ არმიანინ?! — გდე ტვოი როდინა, დურაკ?

ბიჭი დაიბნა, ხმას ვერ იღებდა, პოლკოვნიკმა მძლავრად მიაყვირა: — ია ტებია, სპრაშივაიუ, დურაკა — გდე ტვოი როდინა? — სლიშიშ ტი!.. გდე ტვოი როდინა?

— გორი, — წაილულღლულა როსტომაშვილმა.

— კაკოი ტამ გორი? ია ტებია სპრაშივაიუ, გდე ტვოი როდინა? — არ ეშვებოდა გაჯავრებული პოლკოვნიკი — ნუ!

როსტომაშვილმა მიაშტერა თვალები პოლკოვნიკს და „ნუს" შეძახებაზე წამოიძახა:

— არმენია!

— არმენია! — იყვირა პოლკოვნიკმა, — არმენია?! კაკოი ტამ არმენია... ეტო ჩტო ტაკოე, კაპიტან უსპენსკი (როსტომაშვილის გუნდის უფროსი), გესმით რას ამბობს ეს თქვენი ჯარისკაცი?! ვინ ასწავლა მას ეს არმენია? სად გამონახა ამან არმენია? ეტო ჩტო ზა ნოვოსტ! გდე ტვოი როდინა, დურაკ, გდე?!

დამფრთხალი როსტომაშვილი იდგა გაშტერებული, გამშრალი.

— ვინ ეტყვის მას, სად არის მისი სამშობლო, ვინ არის იგი?

— მე შემიძლია! — მოისმა ხმა და პირველი გუნდის ახალგაზრდებიდან წამოიჭრა შავგვრემანი ჯარისკაცი.

— ნუ, სკაჟი ემუ! — პოლკოვნიკმა უკმაყოფილებით მიაპყრო თვალი, ეტყობოდა არ ესიამოვნა, რომ მის წინ ებრაელი იდგა.

— აბა, უთხარი! — კუშტად უბრძანა პოლკოვნიკმა.

— მისი სამშობლო რუსეთია და იგიც რუსია! — თქვა ებრაელმა.

— რასაკვირველია, წამოიძახა პოლკოვნიკმა, — რასაკვირველია. შენი სამშობლო რუსეთია და შენ, დურაკო, რუსი ხარ, რუსი!.. არმენია!.. კაპიტან უსპენსკი, აწი აღარ გაიგონო ასეთი სისულელე! ეს ვაჟბატონი კი დასაჯეთ, რომ გადაივიწყოს მისი არმენია!.. ია ტებე პოკაჟუ არმენიუ!

გამოსაცდელ ჯარისკაცებს დაუარეს ოფიცრებმა და გააფრთხილეს, რომ

პოლკოვნიკის შეკითხვაზე, თუ სად არის სამშობლო, ანდა ვინ ხარ — ეპასუხნათ: რუსეთი და რუსი ვარო. მეხუთე გუნდის ახალ ჯარისკაცებში მოქცეულიყვნენ რამდენიმე ყირგიზი და ბაშკირი: — ამობუსკული პირისახის ძვლები, წვრილი, მოჭუტული თვალები.

— ვინ ხარ შენ? — მიმართა ერთ ამათთაგანს პოლკოვნიკმა.

— რუსი, — იყო პასუხი.

— რასაკვირველია, — კმაყოფილებით წამოიძახა პოლკოვნიკმა.

— შენ? — შეეკითხა მეორეს.

— რუსი — ძლივს წარმოსთქვა შეშინებულმა ყირგიზმა.

— რა ასე გაუბედავად ამბობ... თითქო გერცხვინება, თუ უნდა გიხაროდეს, რომ რუსეთში ხარ და რუსი ხარ!..

ასეთი შეკითხვით მიმართა დანარჩენებსაც და, რა მიიღო მათგან პასუხად, რომ რუსები ვართო, პოლკოვნიკი კმაყოფილი დარჩა და გუნდის უფროსს უთხრა: ეტყობა გიმაცადინიათ და საკმაოდ შეგითვისებიათ მათთვის მათი ვინაობაო". ზუსტად სამხედრო „განმანათლებელთა" მსგავსად იქცეოდნენ სამოქალაქო „განმანათლებლებიც". მაგალითად, დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს ზავადსკის საუბარს ერთ ქართველ მოსწავლესთან. ეს ის ზავადსკი გახლავთ, რომელიც ეროვნებით პოლონელი იყო, მაგრამ თვით რუსებზედ უფრო მეტად რუსობდა, როგორც საერთოდაა დამახასიათებელი გადაჯიშებული ადამიანისათვის. ეს ის ზავადსკია, რომელმაც 1902 წელს კავკასიის სახალხო განათლების მზრუნველის თანამდებობაზე შეცვალა კირილე იანოვსკი და ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა იანოვსკის შოვინისტური მოღვაწეობისა.

ერთხელ, ბათუმში ჩასვლისას, სამოქალაქო სასწავლებლის ერთი მოწაფისთვის მზრუნველს პოლკოვნიკის მსგავსად უკითხავს:

— ვინ ხარ შენ?

— აჭარელი! — მიუგო მოსწავლემ.

— აჭარელი, აჭარელი, სხვა არაფერი?

ბავშვი დაიბნა.

— თათარი! — თქვა მან გაჩუმების შემდეგ.

— თათარს აქ რა უნდა? — მოლუშვით წარმოსთქვა ზავადსკიმ.

— მუსულმანი ქართველი! — გაასწორა მოწაფემ.

— შენ არ გცოდნია შენი ვინაობა! — მოიტა ხელი!

მოწაფემ ხელი გაუბედავად გაუშვირა. ზავადსკიმ მოჰკიდა ხელში ხელი. გადაუბრუნა აღმა ხელისგული და ზედ დაადო მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი. ბავშვი გაშტერებით მისჩერებოდა.

— გაიმეორე ჩემთან: მე ვარ რუსი! მე ვარ რუსი! რუსი! რუსი! — და

ბავშვი რომ თრთოლვით იმეორებდა: მე ვარ რუსი, ზავადსკი ხელისგულზე უკაკუნებდა საჩვენებელ თითს.

— ახლა ხომ გაიგე, ვინცა ხარ?! დაიმახსოვრე კარგად და სხვასაც გააგებინე!– ჩასძახა მან შეშინებულ ბავშვს.

ეს არცთუ მცირე ეპიზოდი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა დღეში ჩავარდებოდა უცხოობაში გადახვეწილი პატარა დავით კლდიაშვილი. იგი მწარედ განიცდიდა ბედუკუღმართობის გამო მშობლიური ენის გადავიწყებას, მაგრამ, როდესაც გონების თვალით შეხედავს მოვლენებს, როდესაც შეიტყობს საკუთარი ვინაობის, წარმოშობის, მშობელი ხალხის მდგომარეობისა და მისი დიდი კულტურის შესახებ, მის არსებაში იღვიძებს ეროვნული სიამაყის გრძნობა, თანდათანობით თვალს აჩვევს ქართულ წიგნებს, გაჭირვებით კითხულობს „იერრიის“ გადაცრეცილ გვერდებსა და მისი ღვთაებრივი რედაქტორის თხზულებებს, ადგენს საქართველოს მოკლე ისტორიას.

დავით კლდიაშვილის ეროვნულ თვითშეგნებაზე განსაკუთრებული კეთილისმყოფელი გავლენა იქონიეს იმ დროს კიევში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა: პოლიკარპე ჩხიკვიშვილმა, კონსტანტინე (კოწია) ლორთქიფანიძემ, ნიკო ლომოურმა, მიხეილ ილურიძემ, ივანე გაფრინდაშვილმა (პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მამა), გიორგი საძაგლიშვილმა (კათალიკოსი კირიონი) და დავით ალადაშვილმა (ეპისკოპოსი გიორგი).

1880 წელს კლდიაშვილი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გადადის. კვლავ გულგრილი გარემო და მოსაწყენი დღეების წყება. „ყველაფერი თავიდან იწყებოდა, იწყებოდა ჩვეულებრივად, ჯარისკაცული, ყაზარმული ცხოვრება, ერთი და იმავე სისულელის მეთოდური გამეორება: ეფრეიტორების ღრიალი, აღლუმები და განუწყვეტელი წვრთნა“.

1881 წლის 1 მარტს მოკლეს ალექსანდრე მეორე. რუსეთის იმპერიამ გამოიტირა ხელმწიფე. მოსწავლეებმა ეკლესიაში ახალი ფიცი მიიღეს ახალი იმპერატორის წინაშე. „რამდენიმე თვის შემდეგ სასწავლებელს მოუვიდა მოკლული მეფის მუნდირი, რაიც დიდი მოწიწებით ჩამოატარეს გუნდებში“. გადაფითრებულ, აცრემლებულ, აკანკალებულ მომავალ ოფიცერთა შორის გულგრილად იდგა დავით კლდიაშვილი–

ალექსანდრე მეორე ალექსანდრე მესამემ შეცვალა, ამით სამყაროს არაფერი დაჰკლებია, არც მიმატებია. კლდიაშვილის მშობელი ხალხის მძიმე, დუხჭირი ცხოვრება იმგვარადვე გრძელდებოდა. არაფერი შეცვლილა ქამუშაძეებისათვის, მორბელაძეების, მანველაძეების, თუ სამანიშვილებისათვის. შეიცვალა კლდიაშვილის რწმენა, ახლა უკვე სულ ერთი იყო მისთვის, ვინ იჯდა ტახტზე: „მეორე“ თუ „მესამე“–

„სახინის სარკმზე აღზრდილი ოფიცრის ერთგულებისა და მადლიერების გრძნობა გულგრილობამ და უნდობლობამ შეცვალა, მოვალეობისა — იძულებამ, რადგან იმ მუნდირში, მას რომ აცმევდნენ, ადამიანური ნების დამთრგუნველი ძალა შეიცნო; ძალა, რომელიც ყოველ მეორე ხეზე სახრჩობელას აღმართავდა, რომელიც მშვიდობიან მუშათა დემონსტრაციას დახვრეტდა და დაჭრილ-დასახიჩრებულ მუშებს ეტლების ბორბლებით აზელდა, საზარელ, „გასისხლიანებულ მიწას ცომებად აქცევდა“; ძალა, რომელიც „საკუთარი აკვნის წაბილწვასა და საკუთარი სამარის გადახვნას დაავალებდა“. ეს რომ უფრო მტკივნეულად ეგრძნო, უფრო ღრმად გაეაზრებინა, „ცხრა წლის გულიდან უნდა მოეგლიჯათ და სხვათა ღირსებათა მოსპობაში გაწაფული მასწავლებლებისთვის უნდა გადაეცათ, რომელთაგანაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ისწავლიდა, უცხო რომ იყო იმათთვის“.—

დავით კლდიაშვილი ბათუმში

ასე, ამგვარი განწყობით, შეცვლილი რწმენით (ანუ დაკარგული რწმენით) ბრუნდება დავით კლდიაშვილი საქართველოში — ბათუმში, დედასაქართველოსთან ახლად შემოერთებულ აჭარაში. ბრუნდება გრიგოლ ვოლსკის, კიტა აბაშიძის, ლუკა ასათიანის, ივანე მესხის, ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკის, ვაჟას, ილიას თანამოაზრედ.

დავით კლდიაშვილი — ახალი ბათუმის ისტორიის ერთი დამწყებთაგანი, საქველმოქმედო მიზნით „ნინოობის“ სახალხო დღესასწაულის მოწყობის ინიციატორი, ბათუმისა და საქართველოს კულტურული ცენტრების დამაკავშირებელი, სკოლებისა და კლუბების მოამაგე. ბათუმის ქართული თეატრის შექმნის თაოსანი, დავით კლდიაშვილი — ოფიცრის ფორმით - მწერალთა, მსახიობთა, საზოგადო მოღვაწეთა წრეში; ოფიცრის მუნდირით — აღელვებულ მუშათა შორის, თავისი გაუბედურებული სამშობლოს ჭირისუფალი. კლდიაშვილი — ჯარისკაცებთან მზრუნველი, ქომაგი, განმანათლებლური იდეების მქადაგებელი.

ეს იყო „საჭვო ოფიცრის“ საბედისწერო „თამაში“ გაბოროტებული იმპერიის წინაშე, რომელსაც ტახტის ერთგულად, მისი სიძლიერის დამადასტურებლად სურდა გამოეზარდა იგი. ბათუმში დავით კლდიაშვილმა სხვისთვის შეუვალი, შეუცვლელი ადგილი დაიმკვიდრა.

მწერალი — ოფიცერი დიდი ნებისყოფით, სიმტკიცით და გამბედაობით გამოირჩეოდა. იმ დროს ბათუმში გამოდიოდა გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომლის შოვინისტი რედაქტორი, ვინმე პალმი, საქართველოსა და

ქართულის ხსენებას პირად შეურაცხყოფად თვლიდა. მწერალმა არ აპატია ქართველობის სიძულვილი რედაქტორს და ქართველთათვის შეურაცხმყოფელი ერთი წერილის გამო იგი დუელში გაიწვია...

ამ შემთხვევაზე მაშინ მთელი ბათუმი ლაპარაკობდა. ქალაქი ორ ნაწილად გაიყო, ქართველობამ კლდიაშვილს დაუჭირა მხარი, რუსები კი თავისთავად „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორის საშველად გამოეფინნენ. ყოველივე კი ასე დაიწყო: „1886 წელს, ზამთარში, გარდაიცვალა ყველასაგან დიდად პატივცემული და საყვარელი მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი — იგონებდა შემდეგში მწერალი — ზამთარი იყო სასტიკი, გარდამეტებული თოვლიანი, ისე, რომ ყოველნაირი მისვლა-მოსვლა შეიკრა და მოისპო. თვეზე მეტი ესვენა გაბრიელი ქუთაისის სობოროში, რადგან გელათში მისი წასვენება ყოვლად შეუძლებელი იყო და სოფლებიდანაც ხალხი ითხოვდა, რომ გასვენება გადაედოთ იმ დრომდე, სანამ გზები არ გაიხსნებოდა და ხალხს მიეცემოდა საშუალება, დასწრებოდა საყვარელი მოღვაწის გასვენებას. თვენახევრის შემდეგ შესაძლებელი გახდა მიცვალებულის წასვენება გელათის მონასტერში. გასვენებაზე დასასწრებლად ყოველი მხრიდან აუარებელი ხალხი მოემართებოდა ქუთაისისკენ რკინიგზითაც და სასოფლო გზებითაც. გელათის სადგურთან სოფლებიდან ჩამოსული ზღვა ხალხი სოფელ-სოფელ ჯარებივით იდგა მინდორში. სადგურზე საგანგებო მატარებლები ერთიმეორეზე მოდიოდა ხალხით ავსილი. პირველმა მატარებელმა მოასვენა მიცვალებული. თბილისიდან წინა დღით ჩამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი, აკაკი და მრავალი წარჩინებული მოღვაწე. მწირველი იყო თბილისიდან ჩამოსული ეგზარქოსი ვლადიმერი, ცნობილი ქართველთა მოძულე. მან ერთი მეტად არასასიამოვნო ინციდენტი გამოიწვია გასვენებაზე: როცა სიტყვებს ამბობდნენ, ჯერი მიდგა ქუთაისის სომეხთა ეკლესიის დეკანოზ ტერ-დავითზე. მას უნდა ეთქვა სიტყვა. დეკანოზმა კიდეც დაიწყო და მოასწრო მხოლოდ წარმოთქმა ორიოდე სიტყვის, როცა საკურთხეველიდან გამოსულმა ეპისკოპოზმა დადიანმა შეაჩერა იგი.

— მოითმინეთ, მამაო, — უთხრა მან ტერ-დავითს, — ეგზარქოსმა გთხოვათ, სანამ ის არ გავა ეკლესიიდან, კათედრაზე არ ახვიდეთ, ის ახლავე გაეა!

დეკანოზმა იმწამს მიატოვა კათედრა და გაეშურა კარებისაკენ. ამ დროს ეგზარქოსიც გამოვიდა საკურთხეველიდან და მეორე კარებისკენ წავიდა. ეკლესიაში შეიქნა ერთი ყაყანი, ატყდა ყიჟინა. ყვიროდნენ ყოველმხრიდან.

— თქვას ტერ-დავითმა სიტყვა, თქვას სიტყვა! ნურვინ უშლით! ეგ არ შეიძლება! — გულმოსულმა ხალხმა მიაყვირა ეპისკოპოზს, რომ მას ნება არა

აქვს ასე ირჯებოდეს. ეპისკოპოზი დაიბნა. გაეკიდნენ ტერ-დავითს, სთხოვეს დაბრუნებულიყო და წარმოეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ მან უარი განაცხადა და თქვა:

– მე ვერავინ დამიშლის პატივი ვცე დიდებულ მიცვალებულს და მომაყვლ კვირას მე ჩემს ეკლესიაში ჩემი მრევლით მუხლს მოვიდრეკ მის წინაშე!

მან კიდევაც საქსებით და შეენებით აასრულა თავისი სიტყვა პირველ კვირასვე.

ამ ინციდენტმა დიდი აღელვება გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ რა უნდა ექნათ ძლიერი ეგზარქოსისათვის. მისი საქციელი პირდაპირ შეურაცხყოფა იყო დიდებული მოღვაწისა, რომელსაც ამგვარი რამე რომ შეხვედროდა სადმე სიცოცხლეში, მთელი თავისი არსებით წინ აღუდგებოდა და სასტიკად შეაჩვენებდა. ეპისკოპოსი გაბრიელი მეტად დაშორებული იყო ისეთ თვისებებს, რომელიც გამოიჩინა სარწმუნოების უმაღლესმა წარმომადგენელმა, იგი უყვარდა ხალხს მისი კლერიკალური მიმართულებების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადო მოღვაწე, მებრძოლი ბერი, რომელსაც არც ერთ თავის ქადაგებაში ეშმაკი არ უხსენებია, რომელიც თავის მიმართვაში ხალხისადმი არკვევდა ცხოვრების პირობებს და ქადაგებდა მაღალი ზნეობის პრინციპებზე. გაბრიელი იყო, რომ ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში ქადაგებდა მხურვალე სიტყვებით ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ ქადაგებამ გამოიწვია განრისხება ერთი მდიდარი აზნაურისა, გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა:

– ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენს დამღუპველს! – და გავარდა ეკლესიიდან და ხმალზე ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოსის გამოსვლას. გაბრიელს უთხრეს, ეკლესიაში მოეთმინა, არ გამოსულიყო (კანდელაკი მოკლას გიპირებსო). ამის გაგონებაზე იგი გავიდა ეკლესიიდან და გაბედულად, უშიშრად ჩაუარა კანდელაკს. გაბრიელის მოსაკლავად გამზადებული კანდელაკი სახტად დარჩა, ხელი ხმალზე შერჩა.

ხალხს ღრმად უყვარდა გაბრიელი, ტკბილი მოუბარი, უბრალო, თავმდაბალი, მისი კეთილისმყოფელი, მისი დამცველი და ქომაგი, ყველამ ზედმიწევნით იცოდა, რა სასტიკი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მზრუნველს, ცნობილ იანოვსკის. რა გაბედულად გადმოუშალა მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოჰქონდა ჩვენს სასწავლებელში ერის გადაგვარების წადილით. ყველამ კარგად იცოდა, რა წინააღმდეგობას უწევდა გაბრიელი უმაღლეს სასულიერო მთავრობას, რომელიც ისე რყვნიდა ქართულ ეკლესიას და მის მსახურებს. ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო შეიძრა მისი სიკვდილის გაგონებაზე და განსხვავებული გრძნობით

მიაბარა მიწას.

გათახსირებულმა, ჭუჭყიანმა გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“ ვერც ახლა შეძლო დაემალა თავისი გათახსირებულობა და ყოვლად უმგვანო, ყოვლად შეუწყნარებელი წერილი მოათავსა თავის ფურცლებზე ამ გასვენების შესახებ. წერილი იყო კორესპონდენცია, როგორც შემდეგ გამოირკვა, დაწერილი ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის, ვინმე იურკევსკის მიერ. სასაცილოდ იყო აგდებული ხალხის მგლოვიარობა, გასვენების მსვლელობა, მონაწილენი და ბოლოს დამწერი ირწმუნებოდა, რომ შეთქმულება იყო გამზადებული ამ დღისათვისო, მაგრამ ფხიზლად მყოფმა მთავრობამ დროზე გაიგო ყველაფერი და მიიღო საჭირო ზომები, რომ არაფერი გაებედნათ და ვერ გაბედესო. ერთი სიტყვით, წერილი იყო ყოვლად საზიზღარი, ურცხვი, მახინჯი.

ბატალიონის კანცელარიაში ვიყავი, ეს რომ წავიკითხე, ძლივს დავთავე წაკითხვა, მივვარდი გადამწერთა ოთახში ტელეფონს.

— ცენტრალური — „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქცია— რედაქტორი პალმი— პალმი ხართ?! რა სინდისმა მოგცათ ნება ისეთი უგვანო წერილი მოგეთავსებინათ გაზეთში, როგორიც არის დღეს გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენების შესახებ?! თქვენ არ იშლით კლოუნობას და გირჩევნიათ დაუბრუნდეთ ჯამბაზობას, როგორც იყავით აქამდის! თქვენისთანა გათახსირებულ, ყოვლად გაფუჭებულ კაცს რა ხელი აქვს რედაქტორობასთან— თქვე სინდისგარეცხილო!

ტელეფონი დაიკეტა. აღელვებულ ლაპარაკზე ჩემს გარშემო მოგროვდნენ კანცელარიაში მრავალად მყოფი ოფიცრები და მეკითხებოდნენ, თუ რამ გამაჯავრა ასე მძლავრად. მე ვანიშნე გაზეთის წერილი და თითქმის ყველანი იმ აზრის იყვნენ, რომ პალმი არათუ გასალანძღავია — პირდაპირ საცემი, შეუბრალებლად საცემი“.

ცხადია, ქართველთა სულიერი მოძღვრის აუგად მომხსენებელი რედაქტორი მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ვილაც ქართველი ოფიცრის გაგულისებაზე არ შეფუცხუნებულა. პალმი ადგა და სასწრაფოდ, მეორე დღესვე თავისივე გაზეთში დაბეჭდა, რა თქმა უნდა დამახინჯებულად, წინა დღის სატელეფონო საუბრის შესახებ, ამასთან ლანძღავდა და აუგად იხსენიებდა გვარის დაუსახელებლად იმ პირს, ვინც გაბედა და რედაქტორს სიმშვიდე დაურღვია— როდესაც ეს პუბლიკაცია წაიკითხა, დავითმა სასწრაფოდ სეკუნდანტები აირჩია და რედაქციაში გაგზავნა. დუელის გაგონებაზე პალმი დაფრთხა, შეშინდა, აიწურა, მით უფრო, უკვე ისიც გახდა ცნობილი მისთვის, რომ ოფიცერი დავით კლდიაშვილი შესანიშნავი მსროლელი იყო და

ტყვიას ტყვიაში სვამდა.

შვრაზმელი რედაქტორი მიხვდა, რომ მისი ბედი ბეწვზე ეკიდა. დაუყოვნებლივ გაემართა სამხედრო ნაწილის გენერალთან და შველა სთხოვა. იგი ყველაფერზე მზად იყო, ოღონდ ტყავი გადაერჩინა. საქმეში გენერლის ჩარევის შემდეგ გადაწყდა: პალმს საჯაროდ მოეხადა დავითისათვის ბოდიში და ეს მობოდიშება გაზეთშიაც გამოექვეყნებინა. ამ პირობით კლდიაშვილს ხელი უნდა აეღო დუელზე. მართლაც ასე მოხდა, ოფიცერთა საკრებულოში გამოცხადდა პალმი, თვითმპყრობელობის ეს გაიძვერა აგენტი და შესაბრალისად შეპლალადა პატიება დავით კლდიაშვილს. თუმცა ინციდენტი ამით არ დასრულებულა. შეიტყვეს რა ბათუმში მცხოვრებმა რუსმა ჩინოვნიკებმა შეშინებული თანამემამულის დამცირებული მდგომარეობის შესახებ, სასწრაფოდ მაკითხეს რედაქციაში და საბოდიშო ტექსტის გაზეთში გამოქვეყნება აუკრძალეს, ნომრიდან ამოაღებინეს აწყობილი წერილი და ქართველ ოფიცერს აქეთ შემოუტიეს: თბილისში უმაღლეს მთავრობასთან დაასმინეს იგი, როგორც იმპერიის ორგული და ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი. დავით კლდიაშვილთან ერთად დაბეზღებულ იქნა რუსი გენერალიც, რომელმაც დროულად არ ალაგმა თავისი ქვეშევრდომი და პალმს ურჩია, დავითისათვის ბოდიში მოეხადა. მდგომარეობა გამწვავდა. შეშინებულმა გენერალმა ახლა დავითს ურჩია, ბათუმს დროებით მაინც გასცლოდა და ამით ზემდგომთა რისხვისაგან აერიდებინა გენერალიცა და საკუთარი თავიც, მაგრამ ოფიცერ კლდიაშვილს ბათუმიდან გაქცევაზე ერთი წუთითაც არ უფიქრია...

ამ ამბავმა, როგორც იტყვიან, ჩაილურის წყალი დალია, მაგრამ ყოველი ახალი ნაწილის უფროსი ეჭვის თვალით უცქერდა ოფიცრის მუნდირში გამოწყობილ საზოგადო მოღვაწეს და იმის ცდაში იყო, როგორმე თავიდან მოეშორებინა იგი.

სისხლიანი სიუჟეტები

1902 წელს ბედმა მკაცრი და მძიმე გამოცდა მოუწყო დავითს: ისეთი გამოცდა, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი პიროვნება, რომელსაც ოფიციალურად დედინაცვლის სამსახური და ერთგულება ევალება. ამ დროს კი დედა ითხოვს შველას, რომელსაც მტრის ტალავარი აცვია. ამ ტალავრის ქვეშ კი სამშობლოს სიყვარულით ანთებული გული ძგერს.

ეს საშინელი გამოცდა დავით კლდიაშვილის ცხოვრებაში შედგა 1902 წლის 9 მარტს. 9 მარტის წინა დღეებში ბათუმში გაიფიცნენ როტშილდის ქარხნის მუშები. გაფიცვის მეთაურები პოლიციამ დააპატიმრა. აღელვებული

ხალხი ციხისკენ გაემართა და ტუსაღების გამოშვება ითხოვა. ვერავითარი მუქარით მუშები ვერ გაფანტეს, არც მმართველობამ დაიხია უკან. გამოიძახეს ჯარი და მისცეს განკარგულება, მუშებს გარს შემორტყმოდნენ, დაეტუსაღებინათ ყველა. ოთხას კაცზე მეტი დააპატიმრეს და შეყარეს ყაზარმებში. ამ საქციელით მმართველობამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. აურაცხელმა მუშამ თავი მოიყარა და გასწია თანამოძმეთა საშველად.

დემონსტრანტებმა გუბერნატორს წაუყენეს მოთხოვნა. მუშებისა და გუბერნატორის დიალოგი ასეთი იყო:

— გაათავისუფლეთ დაკავებული ჩვენი ამხანაგები... თუ არა და ჩვენც შეგვყარეთ მათთან ამ ყაზარმებში!

— თქვენ რისთვის უნდა დაგაკავოთ?- ტყუილა მოგიყრიათ თავი, გირჩევნიათ, დაიშალოთ. — პასუხობს გუბერნატორი.

— ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ ჩვენი ამხანაგები დამწყვდეულნი იქნებიან! — იყვირეს მეწინავეებმა. — ჩვენ უნდა მოგვისმინოთ! — შეიქმნა ყიჟინა.

— ილაპარაკეთ რუსულად! — თქვა გუბერნატორმა.

— რუსული არ ვიცით, — წამოიძახა რამდენიმემ, — ტვინი გვერყევა, სად ვეძიო მე რუსული სიტყვები ჩემი ცეცხლის გამოსათქმელად. — უცნაური ხმით წამოიძახა წინ წამომდგარმა მაღალმა მუშამ — იმ დროს სახელგანთქმული მოჭიდავე გლდანელის ძმამ. მუშების მოთხოვნით თარჯიმნად უხმეს დავით კლდიაშვილს, რომელიც ეიმედებოდათ და რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად მოახსენა გუბერნატორს მუშების გასაჭირი და მღელვარების მიზეზი, მაგრამ შეკრებილმა ხალხმა, უიარაღო მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა, მმართველთაგან უსასტიკესი, არაადამიანური პასუხი მიიღეს. გუბერნატორმა გამოიძახა დამატებითი რაზმი და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჯარისკაცებმა სროლა ატეხეს. ,,საზარელი კივილი, წივილი!.. აირია ყველაფერი! გარბიან გონებადაკარგულები შიშით, ჟლეტენ ერთმანეთს. დაცარიელდა იქაურობა. ქუჩა კი მოფენილია დაჭრილებით, მომაკვდავებით და მოკლულებით. სისხლში გდიან დევი ახალგაზრდები. ზოგი უძრავად, ზოგი სიკვდილს ებრძვის, გულშემზარავი კვნესა დაჭრილების, საზარელი სურათი. — მოიყვანეს ეტლები, დროგები მკვდარი დაჭრილების წასაღებად. სისხლით მოთხვრილ ადგილებს აყრიდნენ მიწას, ეტლების ბორბლებით იზილებოდა ეს ადგილები და საზარელი რამ სანახავი იყო ეს გასისხლიანებული მიწის ცომები". — ყოველივე ამას აღწერს თვით დავით კლდიაშვილი, თვითმხილველი ამ საზარელი მასობრივი ჟლეტისა. მართალია, იმ რაზმიდან, რომელსაც იგი მეთაურობდა, მისი ბრძანებისამებრ ერთი ტყვიაც არ გავარდნილა,

მაგრამ ამით ვერ დაიმშვიდებდა იგი სინდისს. იგი ხომ იმ ჯარში მსახურობდა, იმ გენერლების ქვეშევრდომი იყო, იმათ შორის ცხოვრობდა, ვინც ასე დაუზოგავად, გამეტებით, სიხარულით ესროდა და კლავდა მუშებს არა იმის გამო, რომ ისინი გაფიცული და „აბუნტებული“ მუშები იყვნენ, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ ქართველები იყვნენ, საძულველი ქართველები. დავითს თვალწინ დაუსვრიტეს თანამემამულენი და მასაც ხომ მკვლელის მუნდირი ეცვა...

განა შეიძლება უფრო მეტად უბედური იყოს ადამიანი. „გულადუღებული, თვალცრემლიანი ვუყურებოდი ჩემს გარშემო შეყრილ ჯგუფს, თუ როგორ მოულოდნელად მოხდა ასეთი საშინელი ამბავი — აგრძელებს მწერალი თხრობას და იქვე ისეთ რამეს იხსენებს, რითაც მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგენს ორ სკამზე მჯდომი ადამიანის ტრაგიკულ ბედს. — ახლა სტირი?! პატიოსანი კაცი რომ ყოფილიყავი, იქ არ იქნებოდი! — მომესმა უკანიდან. ამის მთქმელი ვილაც დედაკაცი იყო.

ადუღდა გული უარესად.

— შეგაჩვენა გამჩენმა, — მივაყვირე, — მხეცო! შეუბრალებელო! გესმის შენ შენი სიტყვები?

გაგონილმა სიტყვებმა რეტი დამასხა... ჩემი გუნდიდან ტყვია არ გავარდნილა, ათრთოლებული, გონებადაბნელებული, თვალცრემლიანი ვიმეორებდი: შეუბრალებელო, შეუბრალებელო!..

— დაწყნარდი დავით!.. ნუ მიიღებთ გულთან ახლოს... არ იცის, ვის ეუბნება მაგისთანა სიტყვებს! — მამშვიდებდნენ ჩემთან მდგომნი. მაგრამ გული გადამეტებით დუღდა მწარე სიტყვების გაგონებით.

დიახ, რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვარი საშინელებისა! ამ საზიზღრობისა! ო, რა ტანჯვა გამოვიარე!“

„ო, რა ტანჯვა გამოვიარე!“ — ეს სიტყვები არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნებისა. ამ სიტყვებს სხვადასხვა დროს გულმდუღარედ იმეორებდნენ უბედური საქართველოს უბედური შვილები, ამ სიტყვებში იმ თაობის ფატალია გაცხადებული, რომელიც მოსისხლედ დამდგარ გადიას ეშასპრებოდა. „ო, რა ტანჯვა გამოვიარე!“ — ეს რომ არ ეთქვათ, სამშობლოს ტკივილით რომ არ ასტკივებოდათ გული და ამ ატკივებულ გულში დედინაცვლისადმი ბოღმა რომ არ ჩაედოთ, სწორედ ამიტომ იკლავდნენ თავს თვითმპყრობელობის დამქაშები, ამიტომ სურდათ, ერთიანად გადაერუსებინათ ყველა არარუსი და ძირიან-ფესვიანად ალმოეფხვრათ მათში ეროვნული შეგნება.

ეს სისხლიანი სიუჟეტი ჯერ არ სრულდება. დამპყრობლის სისასტიკეს ცინიზმი ცვლის. ნაწილის უფროსი დავითთან მიდის და უბრძანებს: რაზომი

ყაზარმაში სიმღერით წაიყვანოს.

— ეგ შეუძლებელია, — ყვირის სულში ჩაფურთხებული ქართველი ოფიცერი.

— ბრძანება გაქვთ მიღებული... უნდა შეასრულოთ! — მოკლედ პასუხობს გენერალი და შორდება.

დავითი, ცხადია, ბრძანებას არ ასრულებს...

მეორე დღეს კიდევ უფრო დამამცირებელი მითითება: კლდიაშვილს აცალებენ, მოხსენებითი ბარათი დაწეროს, თუ რამდენი ჯარისკაცი დაიჭრა მუშების თავდასხმის დროს...

დავითი ვეღარ უძლებს ამდენ ფარისევლობას და ბოროტებას და ლოგინად ჩავარდება. მოგვიანებით შეიტყობს: მუშათა დემონსტრაციის დამხვრეტნი დაუჯილდოვებიათ, მსროლელთა მეთაურს კი წმინდა ანას ჯვარი უბოძეს.

9 მარტის ამბებთან დაკავშირებით პეტერბურგში საგანგებო კომისია შეიქმნა. დავითი იმ წელს სწორედ პეტერბურგში იყო მივლინებული კურსებზე, იქ მოღვაწე ქართველ სწავლულებს ყველაფერი დაწვრილებით აღუწერა, მათ შორის ცნობილ იურისტს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. კომისიის მუშაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ სრულიად უდანაშაულო მუშები ვექილებმა გაამართლეს და მართალ ხალხს საზეიმოდ გაუხდა საქმე იმისათვის, რომ მთავრობამ კატორღაში არ გაამგზავრა...

მუშათა დახვრეტები, ხალხის დაშინება და იარაღის ჟღარუნი ცხოვრების ავფთონ, ავად მღელვარე ტალღებს ვეღარ აკავებდა. იმპერია ინგრეოდა და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ხელისუფლებამ სახელმწიფოს გადარჩენა განიზრახა დამპყრობლური ომის წამოწყებით. დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. პარაკლისები პარაკლისებს ცვლიდა. რუსეთის ყველა სამხედრო ნაწილში მიჰყავდათ მღვდლები და ჯარისკაცებს აგალობებდნენ „ს ნამი ბოგ", „ს ნამი ბოგ", მაგრამ ღმერთი მათთან არ იყო. მანჯურიიდან ცხვრებივით გამორეკეს რუსეთის „უძლეველი" იმპერიის ჯარები. „ვერ უყურებთ ამ „ქონდრისკაცებსო?", — იძახდნენ, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული პოლიტიკოსები. გაბოროტებულმა მმართველობამ ისევ შინაურზე იყარა ჯავრი. დაიქცა უამრავი სისხლი, აღიმართა სახრჩობელების ტევრი. ჯავრის საყრელად ჯერ ებრაელები აირჩიეს. დაიწყო ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ოდესაში ებრაელებს გამოექომაგა ქართველი სწავლული, დავითის თანასოფლელი და ნათესავი საბა კლდიაშვილი. ებრაელებს საბაც ზედ დააკლეს. მიცვალებულის გვამი ბათუმში ჩამოასვენეს. აქ დავით კლდიაშვილმა უჭირისუფლა ღირსეულ თანამემამულეს, რაც საჭვო ოფიცერს არ მოუწონეს იქ, „სადაც ჯერ არს"— არც ბათუმი ცხოვრობდა მშვიდად, მუშათა გამოსვლებს თან სდევდა გამძაფრე-

ბული რეაქცია. აპატიმრებდნენ ყველა შემჩნეულ პირს. საპყრობილეები, დილეგები ხალხით აივსო. ციხეები პატიმრებს ვეღარ იტევდა. ბათუმის ხელისუფალნი ახლა იმაზე იმტვრევდნენ თავს, თუ სად წაეყვანათ დაპატიმრებულთა და მომავალში დასაპატიმრებელთა ახალ-ახალი პარტიები.

დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს ერთი საზღვაო ოფიცრის ნათქვამს, მას ასეთი რჩევა მიუცია გუბერნატორისათვის. ციხეების განთავისუფლება „მაინცადამაინც დიდი თავსატეხი საქმე არ არის! სულ უბრალო საშუალებით მოვიშორებთ ამ არასასურველ ელემენტს თავიდან და ახლობლებისთვისაც ადგილი გვექნება„. გადმომეცით თქვენი ტუსაღები მე, გადმოიყვანეთ ერთერთი ბარკასზე, ბარკასს გავიყვანთ შუა ზღვაში და თქვენ თავისუფალნი იქნებით იმ არამზადებისაგან!“. ამ არაადამიანური ჩანაფიქრის განხორციელება უცდიათ კიდეც, მაგრამ ოფიცერი, რომელსაც მუშების ზღვაში ამოხრჩობა დაავალეს, ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა და, არათუ დავალება არ შეასრულა, შეურაცხყოფილი გუბერნატორს დაემუქრა კიდეც: თუ განახორციელებთ ამ ბარბაროსულ აქტს, მთელ ქვეყანას მოვდებო, ამით გადაარჩინა საზარელ სიკვდილს ტუსაღები.

ყოველივე ამის ატანა ქართველი კაცისათვის უკვე შეუძლებელი გახდა. დავით კლდიაშვილი საბოლოოდ აქცევს ზურგს ამ დამპალი იმპერიის მსახურთ, ღალატობს იმპერატორისათვის მიცემულ ოფიცრის ფიცს და სიცოცხლის გარისკვის ფასად იარაღსა და ტყვია-წამალს უგზავნის როტშილდის ქარხნის მუშებს.

1905 წელი სრული ანარქიის ხანაა მთელ იმპერიაში. ხალხის დამშვიდება უკვე შეუძლებელი ხდება, ამიტომ მთავრობა მიმართავს ვერაგულ ხრიკს: რუსეთის განაპირა მხარეებში ხელს უწყობენ მეზობელ ერთა შორის შუღლის გაღვივებას და ამ გზით მათი ძალების დასუსტებას, დაქსაქსვას. ცენტრის მიერ ინსპირირებულია სომეხ-თათართა შეტაკება ბაქოში. სადაც მოისვლეთ ბენ სომხები, თათრებს ხოცავენ, თათრები კი სომხებს ავლებენ მუსრს. ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა უფრო დიდ მასშტაბს ღებულობს. სომეხ-თათართა შორის შეტაკებები იფეთქებს თბილისშიც, იფეთქებს ბათუმში და, საზოგადოდ, ყველა იმ ადგილში, სადაც ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ. ორი მეზობელი ერის მორიგება თავს იდვეს ქართველებმა. იმართება მიტინგები. იქმნება შემრიგებელი კომიტეტები. ქართველი კაცი სარდაფში ლტოლვილ სომეხს მალავს, სხვენზე კი – ლტოლვილ თათარს. მერე, როცა ყველაფერი მშვიდდება, ან სომეხი ცდილობს მასპინძლის საკუთრების დაპატრონებას, ან - თათარი. ან ერთი ახერხებს ამას, ან – მეორე, უფრო სწორად, სომხეთიდან გამოქცეული აზერბაიჯანელი ლტოლვილიც საქართველოს მკვიდრი ხდება

და ბაქოდან გამოძევებული სომეხიც აქ სახლდება...

ბათუმში სომეხ-თათართა მომრიგებელ ერთ მიტინგში დავით კლდიაშვილიც ღებულობს მონაწილეობას. მოულოდნელად ხალხში შეიჭრებიან ყაზახ-პლასტუნები და სოდომ-გომორის ცოდვას დაატრიალებენ. კლდიაშვილი ძლივს გადაურჩება სიკვდილს.

სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა კარგად ხედავს, რომ ამ საეჭვო ოფიცრის ნდობა აღარ შეიძლება. საოლქო სამხედრო შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი ბრძანებას წერს, რომ სამი დღის განმავლობაში დავით კლდიაშვილი გაგზავნილ იქნეს დაღესტანში, უდაბურ ადგილას დაბანაკებულ პოლკში. ბედად, თბილისიდან ბრძანების გაგზავნა შეგვიანდა. კაცთმოძულეობით სახელგანთქმულ გენერალ გრიაზნოვს, რომელსაც მთელი კავკასიის ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული, არსენა ჯორჯიაშვილის მიერ ნასროლმა ხელყუმბარამ სული გააცხებინა.

ეს შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, დავითს დაღესტანში უსათუოდ დაღუპვა ელოდა, რადგან იმ ნაწილში, სადაც მას აგზავნიდნენ, რამდენიმე კვირის შემდეგ ჯარისკაცთა აჯანყება მოხდა და ოფიცრები ერთიანად ამოხოცეს. ასე რომ, ჯორჯიაშვილმა გრიაზნოვის მოკვლით არა მარტო ქვეყანას მოაშორა ჭირი, არამედ მისდაუნებურად დიდი ქართველი მწერლის სიცოცხლეც იხსნა.

გრიაზნოვს დაშკოვი შეენაცვლა, რომელმაც უფრო მშვიდობიანად დაასრულა „ურჩი ოფიცრის“ საქმე: ერთ დღეს დავით კლდიაშვილს ცივად გადასცეს დედაქალაქიდან მოსული ბრძანება, რომელიც იტყობინებოდა: მისმა ბრწყინვალებამ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა (კავკასიის მეფისნაცვალი იყო იმ დროისათვის) დროულად დაინახა თქვენი წასვლა სამხედრო სამსახურიდან“. ეს იყო 1908 წელს.

ამ ბრძანებამ ბოლო მოუღო მწერლის ტანჯვას. მას უკვე შეეძლო ცეცხლისთვის მიეცა პოლკოვნიკის მუნდირი, რომელმაც ამდენი სულიერი ტკივილი მიაყენა და რომლის ქვეშაც დათრგუნვილად გრძნობდა თავს. ამიერიდან მას შეეძლო შორს გასცლოდა იმ ტვინგალაყებულ ოფიცრებს, რომელთა შორის ბათუმში 26 წლის განმავლობაში ტრიალებდა. რომ არა ბათუმის ქართველი მოღვაწენი, რომლებთანაც სულს იოხებდა დავითი, ამ ოფიცრებთან ურთიერთობით შეიძლებოდა ჭკუიდან გადასულიყო კაცი. მათი გონებრივი ავლა-დიდება კარგად აქვს მწერალს დახატული თავის მემუარებში.

ერთი რუსი ოფიცერი, სულით და ხორცით გარყვნილი, სახლში ცოლის გვერდით ეკურკურებოდა თავისი შვილების „გუვერნანტკას“, ხასად დასმულ

მასწავლებელს. იმავდროულად კი თავის ქვეშევრდომს, რომელმაც რამდენიმე ინდაური შეიძინა და ეზოში გაუშვა, უბრძანა, — დაეკლა მამალი ინდაური, რადგან დედალს ეფაფხურება და ჩემს ქალიშვილებზე ამას ცუდი გავლენა აქვსო. „ასეთი ჭკუასუსტი კაცები სულაც არ იყვნენ გამონაკლისნი.

ასეთი უცნაური ზნეობის ხალხი მრავლად ჰყავდა იმპერიის „უძლეველ არმიას". ამ ჩიტირეკია ოფიცრებთან განშორება, ცხადია, დავითს გულს არ დასწყვეტდა.

1908 წელს მწერალი ქუთაისში გადადის საცხოვრებლად, სადაც იწყება მისი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა, იწყება ის ცხოვრება, რისთვისაც იყო დაბადებული დავითი. არადა, მისი სიცოცხლის საუკეთესო წლები ყაზარმულმა ცხოვრებამ შეიწირა.

„1914 წელს სარაევოში დასცალეს დამბაჩა და ხელყვეს ავსტრიის კრონპრინცის, ფერდინანდის და მისი მეუღლის სიცოცხლე, დამბაჩის გავარდნა აკლდა, რომ წამოშლილიყვნენ, ერთმანეთს დარეოდნენ კბილებამდე შეიარაღებული, წერას აყოლილი, გონებადაკარგული სახელმწიფოები".

ომის ხანძარი რუსეთსაც გადმოსწვდა. კვლავ გაიხსენეს და სამხედრო გზას გაუყენეს დიდი იმპერიის ერთ პატარა გუბერნიაში მოღვაწე „საეჭვო ოფიცერი" — დავით სამსონის ძე კლდიაშვილი.

ოსმალეთის ფრონტზე გაგზავნილი მწერალი თავის თანამოძმე ლაზებზე უფრო მეტს ფიქრობდა, რომელნიც საქართველოს ბედუკუღმართობამ „იქითა" ბანაკში მოაქცია, ვიდრე მთავარსარდლობის უხეირო საომარ გეგმებზე. მას ლაზების გამოსარჩლებისათვის სამხედრო სასამართლო ელოდა, რადგან ლაზი რუსისათვის მტერი იყო, დავითი კი მასში სისხლს სისხლთაგანს და ხორცს ხორცთაგანს ხედავდა. განგებამ ამჯერადაც დაინდო ოფიცერი — მწერალი, თუკი ამასაც დანდობა შეიძლება ერქვას. იგი დასნეულდა, მძიმედ გახდა ავად და სამუდამოდ გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან.

მწერლის ხასიათი, ოჯახი

ახლა დროა, ცოტა რამ ვთქვათ დავითის პირადი, ოჯახური, ცხოვრებისა და ხასიათის შესახებაც.

1892 წელს დავითმა ცოლად შეირთო შეძლებული აზნაურის, პავლე მაჭავარიანის, ქალიშვილი მარიამი. ამ სათნო და მშვენიერმა ქალმა უერთგულესად ზიდა ცხოვრების ტვირთი, უსაზღვროდ უყვარდა მეუღლე. იცოდა, ამ ტანმორჩილი კაცის მკერდში რა სათნო და დიდი გული ძგერდა, იცოდა ქმრის ფასი და მის არცთუ იშვიათ ჭირვეულობას ღიმილით ხვდებოდა.

დავითი თავისი სიალალით, მოსიყვარულე ბუნებით, გულწრფელობით, სიყვარულით, მიმნდობლობით, ჭირვეულობითაც დიდ ბავშვად რჩებოდა. მედიდურობა სრულიად უცხო იყო მისი ხასიათისთვის, დიდისა და პატარის გარჩევა არ იცოდა, ყველასთან ერთნაირად გულწრფელი და მოსიყვარულე იყო. თუ ვინმე არ მოუვიდოდა თვალში, იმასთან კი ერთი წუთით ვერ გააჩერებდით, ტყუილი და სიყალბე ჭირის დღესავით სძულდა და ვერც ყალბ ურთიერთობებს იტანდა., ბავშვივით გაიბუტებოდა და განზე გადგებოდა. დავითის ამ თვისებას, რომელიც მის მოხუცებულობაში უფრო შესამჩნევი გახდა, შთამბეჭდავად გვიხასიათებს მწერლის ვაჟი, თავადაც ცნობილი მწერალი სერგო კლდიაშვილი:

„ქუჩაში გამაცნეს წკიპად ჩაცმული მოქალაქე, ყელსახვევს ხშირად ქაჩადა, ალბათ, აწუხებდა.

— ხომ კარგად ბრძანდება ბატონი დავითი! არ მქონია შემთხვევა გამეცნო. წარმოდგენილი მაქვს, რა საინტერესო იქნება მასთან საუბარი_ალბათ, ენამახვილი კაცია. შეიძლება მოვიდე მასთან?

ერთ დღეს ეს მოქალაქე სრულიად მოულოდნელად დავითთან შემოვიდა. მამამ უცნობი თავაზიანად მიიღო. თითქოს კიდეც გაუხარდა. მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა.

რამდენ სიტყვას იტყოდა დავითი, მოქალაქე იმდენს გაიცინებდა. საცინარი არაფერი იყო, სტუმარი კი სიცილით იხრჩვებოდა.

უცბად მამა ადგა, ნერვიული ნაბიჯით კარისკენ წავიდა და მეორე ოთახში გავიდა. მოქალაქე ერთხანს დავითის დაბრუნების მოლოდინში იყო, იგონებდა დავითის ნათქვამს და იცინოდა. ვუყურებდი და მიკვირდა, რა აცინებდა, ვერ გამეგო.

მამას ხუმრობა არასოდეს ჰყვარებია და არც ახლა უხუმრია_

— მოკვდი კაცი, აღარ შემიძლია მეტი, — ბრიხინებდა მოქალაქე. როცა მეორე ოთახში გავედი, მამა წარბშეკრული დავინახე.

— ვინაა ის ჩიტირეკია? — მეკითხება გაბრაზებული, — მე არ გამოვალ. უთხარი, წავიდეს! ოციოდე წუთის უნაყოფო ლოდინის შემდეგ მოქალაქე წავიდა ჩემმიერ დარწმუნებული, რომ დავითი უეცრად წერის ხასიათზე მოვიდა და მისთვის ხელის შეშლა შეუძლებელია“.

დავითი ბავშვივით ალალი, მიმნდობი, გულუბრყვილო და გახსნილი იყოო, ვთქვით. აი, ერთი დამახასიათებელი დეტალი შვილის მოგონებიდან:

დავითი რუსთაველის პროსპექტზე მიდის, ჩქარი, მოკლე ნაბიჯით საქმეზე იჩქარის. შეხვდება ნაცნობს, გაჩერდება, ელაპარაკება, გულს ერთ წუთში გადაუშლის. ავიწყდება, რომ საქმეზე იჩქაროდა. ყოველი შეხვედრა უხარია.

– გაგვიანდება! – ფრთხილად ვახსენებ.

– მოვდივარ, მოვდივარ! – ისევ მობაკუნობს თავისი პატარა, სწრაფი ნაბიჯით, – რა მშვენიერი კაცია, რა დიდებული კაცია! – იგონებს ახლად განშორებულს.

წუთის შემდეგ ასეთივე შეხვედრა მეორესთან, მეოთხესთან– დაუსრულებელი შეხვედრა, ლაპარაკი და აღტაცება. მამას უამრავი ნაცნობი ჰყავს. ზოგიერთის არც გვარი იცის, არც სახელი. ელაპარაკება, გულს გადაუშლის, გაშორდება და მერე მეკითხება:

– „ვინ იყო, თუ იცი?“

ზემოთ მწერლის უბრალოებასაც გავუსვით ხაზი, უბრალო იყო, თავმდაბალი, იმდენად მოკრძალებული, რომ უკვე დამსახურებული, მხცოვანი, ყველასათვის საყვარელი მწერალი, ვერაფრით ეგუებოდა იმ აზრს, რომ მისი იუბილეს გადახდა შეიძლებოდა. რა საჭიროა, ხალხს შევაწუხებ, ვის ვაინტერესებო, – ამბობდა სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი პოზიორობის გარეშე, ეს ბუნებით მადლცხებული უდიდესი მწერალი. არ ჰქონია ის შემაწუხებელი განცდა, რომ სხვაზე მეტი იყო და „მაღლა“, „ღირსეულად“ უნდა სჭეროდა თავი. „სადაც და რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო, სულ მცირე ხანში გაიჩენდა მეგობრებს. – წერს სერგო კლდიაშვილი – საავადმყოფოშიც იგივე მოხდა. პალატაში ავადმყოფები ბლომად იყვნენ. უმეტესობას არც მწერლობა აინტერესებდა, არც ის გაუგონია, რომ დავითი მწერალი იყო. ავადმყოფებში მრავალი კუტი ერია, ზოგი დამბლადაცემული, ან ნერვული სისტემის აშლილობით დაავადებული. რამდენიმე დღეში მამამ ამათ შორისაც გაიჩინა მეგობრები. ერთ დღეს, როცა მის ოთახში შევედი, ასეთი სურათი დავინახე: დავითი ლოგინზე წამომჯდარა, გარშემო კი ავადმყოფები დამსხდარან. ზოგი სკამით მოუგორებიათ, ზოგი თვითონ მოფორთხებულა. სხედან დავითის საწოლის გარშემო და უსმენენ. დავითი მათ მწერლობაზე ელაპარაკება.

1918 წლის შემდეგ დავითი და მარიამი სიმონეთში ცხოვრობდნენ. დავითის მამა, ღრმად მოხუცებული სამსონი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, შვილსა და რძალს არ იკარებდა.

– მე ჩემს ნებაზე მინდა ცხოვრება! – ამბობდა იგი, – ეს ქალაქელები კი ახალ წესს შემოიღებენ აქ.

რამდენადაც სათნო და ღვთისნიერი ქალი იყო დავით კლდიაშვილის დედა კესარია ღოღობერიძე, იმდენად უცნაური და კოლორიტული პიროვნება ყოფილა აზნაური სამსონ კლდიაშვილი, ამიტომაც ღირს ორიოდე სიტყვით ამ პიროვნებაზე შევაჩეროთ ყურადღება.

1908 წელს დავითს დედა გარდაეცვალა. მამამისმა მეორე ქალი შეირთო, რის გამოც დავითს ერთი ხანობა მამასთან ურთიერთობა გაუწყვეტია. მწერალს ეხუმრებოდნენ თურმე: „სამანიშვილის დედინაცვალი“ საკუთარ თავს უწინასწარმეტყველეო. ახირებული სამსონის ხელში ორ კვირაზე მეტს ვერ უცოცხლია დავითის დედინაცვალს. სერგო კლდიაშვილი უამრავ უცნაურ საქციელს იგონებს სამსონის ცხოვრებიდან.

როცა 9 წლის დავითი ოჯახს მოჰგლიჯა და შორეულ რუსეთში გაისტუმრა, ატირებული კესარიასთვის სამსონს უყვირია: ან კაცი გამოვიდეს, თუ არა და ჯანდაბას მისი თავიო.

სამსონი დიდად მომლხენი, ჭკვიანი, მოხერხებული და თავისქეიფა კაცი ყოფილა. ერთხელ ქუთაისში, ბულვარში, სასეირნოდ გამოსულს თავისი ყოფილი უფროსი დაუნახავს, რუსი ჩინოვნიკი, რომელმაც სამსონი სამსახურიდან გაათავისუფლა. დასტაკებია აზნაური კლდიაშვილი ჩინოვნიკს, ამოუდია ფეხქვეშ. ყვირილზე პოლიცია გამოქცეულა, მაგრამ სამსონი თვითონაც წაქცეულა, მიბეგვილი უფროსი ზემოდან შემოუგდია და ახლა თვითონ მოურთავს ყვირილი: არიქა, მიშველეთ, მომკლაო. საჩივარიც იქით აღუძრავს „დაზარალებულ“ სამსონს და მისი ყოფილი უფროსი ქუთაისიდან გაუძევებიათ...

ქუთაისში სამსონს ვაჭრები მოუმდურებია, ისინი დაემუქრენ და აზნაურმა კვლავ ხერხი მოიშველია: ქუთაისის მთელი დიდი ჩინოვნიკობა და თვით გუბერნატორი მთელი მისი კანცელარიით საქეიფოდ დაპატიჟა. დიდი ლხინი გადაიხადა, როცა შუა ქეიფში იყვნენ, კაცები გაგზავნა მომდურავ ვაჭრებთან, გუბერნატორი საჩქაროდ გიბარებთო, ვაჭრები მივიდნენ და ხედავენ, ღვინონასვამი გუბერნატორი სამსონს ეხვევა. ამის შემდეგ ვაჭრებმა ისევ შერიგება არჩიეს... მრავალი ასეთი უცნაური და სამხიარულო ამბავი გადახდენია თავს აზნაურ სამსონ კლდიაშვილს.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებია. სიმონეთში, მამაპაპეულ სახლში, ზის ორი მოხუცი — მამა და შვილი სამსონ და დავით კლდიაშვილები და ისიზმრებენ წარსულს. მამა უფრო ყინჩად არის, უფრო იმედიანად, მხიარულად. დავითი ჯანგატეხილია, მოწყენილი, მარტოობით შეწუხებული. დროდადრო დავითი სამსონისა და მისი ძველი მეგობრების საუბარს უგდებს ყურს და ერთობა ძველი, ტიპური აზნაურების ტრაბახით. სერგო კლდიაშვილის მოგონება: „დავითის მამას, ბაბუა სამსონს, სიმონეთში ძველი მეგობარი ესტუმრა. მაღალი, ტანწვრილი, გრძელწვერა აზნაური, ჩოხა ქამართან გაცრეცილი, რუსული ჩექმები. ქამარი ოდესლაც ვერცხლით მოჭედილი ჰქონია. ახლა უმეტესად ტყავი დარჩენილა...

მრავალი წელიწადია ბაბუა და მისი სტუმარი ერთმანეთს იცნობენ! წარსულში რამდენი ტკბილი დღე ახსოვთ!

ბაბუა სამსონი მეგობარს გვერდით უზის, უმასპინძლდება, ღვინოს ისხამს და უამბობს:

– არაფერი მაკლია, ჩემო სიმონ... აქ შემომხედე, ხომ კარგად გახსოვარ მე, სამსონ კლდიაშვილი? ჰოდა, ახლა უფრო უკეთესად ვარ. საქმე ვარ ყველაფრით!

ბაბუა სამსონი პირდაპირ ზღაპარს უამბობს თავისი ვენახის, ყანების, ციცქასა და კრახუნას ღვინით საქმე ქვევრების შესახებ.

მეგობარიც ცდილობს, გაახაროს ბაბუა სამსონი:

– ვერც მე დავემდურები ღმერთს, ჩემო სამსონ, შვილებმაც ძალიან შემიწყეს ხელი. ისე ვცხოვრობ, რომ ჩემთან მოსვლა გესიამოვნება. ასი კაცი რომ უცრად მესტუმროს, მეზობლისას ერთი ჭიქის სათხოვნელადაც არ დამჭირდება გადასვლა, მე გეტყვი – არ მაქვს. ორივე დიდხანს ტრაბახობს. საქმე ერთმანეთის სადღეგრძელოს, წარსულს იხსენებენ და ერთმანეთს ულოცავენ კმაყოფილ ცხოვრებას.

– დათიკო, დაღლილი ხარ, მოისვენე! – ეუბნება ნასადილევს დედაჩემი.

– ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს! – არ დგება მამა, ასე მგონია, ჩემი მოთხრობიდან მესტუმრენ!..

დახრილი თავი გრძელი თითების სვეტებზე დაუნდვია და თვალდახუჭული უსმენს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს".

დროს თავისი მიაქვს, დავითი სრულიად მოტყდა, დროდადრო მახსოვრობას კარგავს, თვალის ჩინი სრულიად დაუქვეითდა. გაუსაძლისი მარტოობის განცდა აქვს. ყველა წუხილი, რაც ოფიცრის მუნდირმა მოუტანა, გონებაში უფუთფუთებს. ომები, გზებზე თრევა, სროლა, დაჭრა, სისხლი, კაცთა კვლა, - აი, მოგონებები, რომელნიც ხორცმეტივით შესთვისებიან მის ღრმად მგრძნობიარე და ჰუმანურ ბუნებას. მარტო ვერ რჩება, მარტოობას ვერ იტანს, ბავშვობის მეგობრები, გლეხკაცები აკითხავენ და მხიარულ ამბათა გახსენებით ცდილობენ გაუქარვონ გაუსაძლისი სევდა. ღამით მარტო დარჩენილს როცა მარტოობის გრძნობა მოეძალება, პირდაპირ გულიდან ამოსდის მალალი, ძლიერი ხმა, ყვირის, ყვირის გაბმით, გუგუნით.

„როცა ერთხელ ვკითხე, რად ყვირის ასე უცნაურად – იგონებს დავითის ვაჟი სერგო – გულაჩუყებით მითხრა:

– მარტო ვარ!

მერე გაკვირვებით შემომხედა.

– მე რომ არ მესმის ჩემი ხმა?"

უცნაურია ადამიანის ბედი, ძნელია გამოიცნო წერა-მწერლის ჩანაფიქრი, ძნელია მიხვდე იმას, თუ რა უნდა ტანჯავდეს ყველასაგან პატივცემულ, ბედნიერ, მოხუცებულ, ცოლისა და შვილების სიყვარულით გულსავსე კაცს. სიყვარულით მცხოვრებსა და სიყვარულით დაბერებულს, რატომ უნდა გრძნობდეს ასეთი კაცი თავს მარტოდ, ქარისაგან ხეს მოგლეჯილი ფოთოლივით განაპირებულად. რა სტანჯავს, რა უწეწავს სულს ადამიანს?

იქნებ სინდისის ის მწარე ქენჯნა, რომელმაც 9 მარტის დაწყევლილ დღეს ცხოვრებისაგან მტრის ჯარში გადაგდებულ დავითს ათქმევინა: — „ოხ, რა ტანჯვა გამოვიარე!“ მოხუცებული დავითი ხედავს, ამ სატანჯველს გადის მისი შვილების თაობაც. ეს თაობაც სხვისი მუნდირით არის „დამშვენებული“. მისი ღირსებაც სხვამ უნდა შეაფასოს. სხვამ უნდა უბრძანოს, უკარნახოს, სხვამ უნდა მოსთხოვოს ერთგულება. ეს ახალი თაობა კიდევ უფრო უბედურია იმით, რომ იმის უფლებაც აღარ აქვს, ხმამაღლა განაცხადოს — „ოხ, რა ტანჯვა გამოვიარეთ!“. მათ მხოლოდ ბედნიერებისა და კმაყოფილების გამომხატველი შორისდებულების წერისა და თქმის უფლება დაუტოვეს...

დავითის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. თვალის ჩინი სულ წაერთო. სოფელში სტუმრად ჩასული სერგო კლდიაშვილი იმდენს ეცდება, ფეხზე წამოაყენებს. მხარში შეუდგება და ეზოში ჩაიყვანს. უეცრად დავითის თვალი ერთ წერტილზე მიჩერებული ჩერდება. ეს სულ ერთი წუთით გრძელდება. დაყინებით იყურება პირდაპირ, მერე ისევ მოდუნდა და შვილს მიმართა:

— საკვირველი რამ მოხდა, სერგო. ჩემი ბრმა თვალებით ძალიან გარკვევით დავინახე ხეობა, მთები. რამდენი ხანია, აღარ დამინახავს! მენატრებოდა და ვერ ვხედავდი. დავინახე, საკვირველად დავინახე. ერთხელ, ბავშვი ვიყავი, სწორედ ამ ადგილიდან დავინახე ის მთები, აი, იმ ბავშვის თვალით დავინახე ახლა. იმ დღეს რაღაც ბალახის სუნი ვიგრძენი და ახლაც სწორედ ის სუნი ვიყნოსე. პირდაპირ უცნაურობა მოხდა! მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ გაირბინა. რამდენი წლისა ვარ ახლა? სამოცდაშვიდის? საკვირველია, როდის გავიდა ეს დრო, როგორ გავიარე ეს ცხოვრება! როდის მოვხუცდი!

მეტი აღარ დაუნახავს დავითს მთები. ამის შემდეგ მისი თვალი, ასე უეცრად რაღაც საკვირველებით განათებული, ისევ უძლური გახდა. ეს მხოლოდ წუთის საქმე იყო. ეს წუთი აღარასოდეს განმეორებულა.

1931 წლის 24 აპრილს, დღის 12 საათზე, დასრულდა სიცოცხლე დავით კლდიაშვილისა, კაცისა, რომლის ნაღვაწისა და ნააზრევის გარეშე ქართული მწერლობის წარმოდგენა დღეს შეუძლებელია.

დავითის ცხედარი სიმონეთის გლეხკაცობამ გამოაცილა სოფლის ორღობეებს. „ხალხმა წაიღო მისი კუბო თბილისისაკენ მიმავალ მატარებელში მოსათავსებლად. ამიერიდან მისი ჭირისუფალი საქართველო იყო“.

შემოქმედება

დავით კლდიაშვილის სასიცოცხლო ინტერესები უკავშირდებოდა ხელოვნებას: მუსიკას, თეატრს, მწერლობას, მწერლობას, რომლის წიაღში ხელმეორედ დაიბადა იგი. განსხვავებით რთული, დაძაბული, გაწამებული ჯოფითი ბიოგრაფიისაგან, მწერლის შემოქმედებითი გზა სვებედნიერად წარიმართა, მის თხზულებებს ინტერესით, გულთბილად, სიყვარულით შეხვდა როგორც მკითხველთა ფართო საზოგადოება, ისე სალიტერატურო კრიტიკა.

„ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია“, — იგონებდა დავით კლდიაშვილი. ბავშვივით გულღია და მიმნდობი მწერლის შემოქმედებისადმი სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულება ერთგვარ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენდა. მკითხველის დიდი სიყვარულის დადასტურება იყო ის ფაქტი, რომ დავით კლდიაშვილს ქართველ მწერალთაგან პირველს მიენიჭა სახალხო მწერლის სახელი.

დავით კლდიაშვილს აქვს ცალკეული მოთხრობები („სამანიშვილის დედინაცვალი“, „სოლომან მორბელაძე“, „დარისპანის გასაჭირი“, „ქამუშაძის გაჭირვება“), რომლებშიც სრულყოფილად გამჟღავნდა მისი შესაძლებლობები, გამორჩეული ნიჭი, ტალანტი, მაგრამ მწერლის განუმეორებელსა და თავისთავად სამყაროს ყველა თხზულების ერთობლიობა ქმნის. კლდიაშვილის ნაწარმოებები ერთი ციკლია, ერთი გაბმული სევდაა ცხოვრებისაგან გაწამებული, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემოში დასახლებული ერთი და იმავე სოციალური ფენის ადამიანებისა. მწერალი ერთ საგანს დასტრიალებს, თითქოს ერთ დიდ, ტკივილებით სავსე მოთხრობას წერს სხვადასხვა სათაურითა და ქვესათაურით. „მოთხრობის“ პერსონაჟები მეორდებიან, ერთი კონკრეტული სიტუაციიდან მეორეში გადაინაცვლებენ. განსხვავებულ ეპიზოდებში ჩვენთვის უკვე ნაცნობი, ახლობელი გმირები მოქმედებენ. გმირთა გალერეა ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება. დაბოლოს, დავით კლდიაშვილის სამყაროს ავანსცენაზე რჩება ერთი პროტაგონისტი — ეკონომიკური პირობებით შეჭირვებული ადამიანი, რომელიც განწირულია, რომლის ისტორიული

მისია ამოწურულია, რომელიც უფუნქციოდ დარჩენილა მზის ქვეშ; ადამიანი, რომლის საცხებით გასაგები, ჩვეულებრივი, მიწიერი ოცნებები, სურვილები, მისწრაფებები მუდმივ, განუწყვეტელ ჭიდილსა და წინააღმდეგობაშია რეალურ შესაძლებლობებთან; ადამიანი თავისი არსებობის კრიზისულ წუთებში.

მიუხედავად დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების თემატიკის მსგავსებაიგივეობისა, რაც მთავარია და მნიშვნელოვანი, მისი პროზა სრულიად არ არის ერთფეროვანი. კლდიაშვილის პროზა იქმნებოდა ერთიანი შინაგანი კომპოზიციით, მაგრამ თითოეული ნაწარმოები თავისი განსაკუთრებული გზით, სიუჟეტით, განსხვავებული ნაირ-ნაირი ეპიზოდებით, ხასიათების ახალ-ახალი ნიუანსების წარმოჩენით ხდება მიმზიდველი და განუმეორებელი. დავით კლდიაშვილი ყოველდღიურ პროზაზე წერდა. „მან მწარე, მდარე და მდაბალი ამბები გვიამბო ლამაზად“. დავით კლდიაშვილი სინამდვილის მწერალია, სინამდვილის, რომელსაც „გადაუხრელად“ ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე და მისი პროზაც იმდენად არის ერთფეროვანიც და მრავალფეროვანიც, რამდენადაც სინამდვილე და, მით უფრო, პოეტიზირებული სინამდვილეა ასეთი.

დავით კლდიაშვილის სამყარო უბრალო ადამიანებით არის დასახლებული. მისთვის „ყოველ სახლსა და ეზოს საინტერესო ისტორია ჰქონდა: ყოველი მცხოვრები თავისი ჩხუბით, თავისი განცდებით, თავისი სითბოთი და დარდით გამოირჩეოდა, დ.კლდიაშვილისათვის შენობა და ეზო-გარემო მარტო შენობა და ეზო-გარემო არ იყო — იქ დადარდიანებული ადამიანი დადიოდა“ (გრ.კიკნაძე). კლდიაშვილის გმირებს არც ტიტანური ვნებათაღელვა, არც დიდი ზრახვა, აზრი და, საზოგადოდ, არც რაიმე მაღალი იდეალები არ ამოძრავებთ. ისინი საკუთარ ეზო-კართან, პატარა მიწის ნაჭერთან მილურსმნული, ყოველდღიური სარჩო-საბადებლისათვის გამუდმებით მზრუნველი და მოფუსფუსე ადამიანები არიან. სხვა ფიქრისათვის მათ არ სცალიათ, საკუთარ სადარდელს კი ვერაფრით შველიან და ამ ფონზე უფრო საცოდავად გამოიყურებიან. სიყვარულს, პატიოსნებას, ნდობას შინაარსი ეცლება, ყალი გასდის მაშინ, როდესაც ადამიანები მზის ქვეშ ადგილის დასამკვიდრებლად, გადარჩენისათვის, ხსნისათვის, ლუკმაპურის მოსაპოვებლად იბრძვიან. ახალგაზრდა, განათლებული ყმაწვილი, რომელსაც სოლომან მორბელაძემ სასურველი ცოლი შერთო, გულწრფელად არის შეწუხებული იმის გამო, რომ მამამისის, ქაიხოსრო ქათამაძისა და სიმამრის, ბესარიონ საქარაძის, ორპირობის წყალობით სოლომანმა შეპირებული გასამრჯელო ვერ მიიღო, მწარედ მოტყუებული დარჩა.

„– სოლომან, ენდე ჩემს ყმაწვილკაცობას, არ დაგიკარგავ შენს გასამრჯელოს– ერთ დღეს იქნება, გაგისწორდები... მედვას ვალად ეგ შენი სამსახური!“ – სთხოვს ყმაწვილი, მაგრამ გამწარებული სოლომონისათვის ნდობა უფრო მეტად გამაღიზიანებელი სიტყვაა.

– „ვალად გედვას! კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება! ახლა მინდა საჭმელი– ვალად გედვას... მაგის იმედი რას მომეშველება, როცა, ეს არის, კვდები კაცი!“

ადამიანს, რომელსაც „კუჭი უხმება“, აღარ სჯერა პატიოსნებისა, აღარ სურს იგი და კარგავს მას. ადამიანი თავისუფალია არჩევანის წინაშე, მაგრამ ასეთ სიტუაციაში „არჩევანის თავისუფლება“ მორალური კატეგორიის მხოლოდღა თეორიულ ნაწილად რჩება. ადამიანს პრაქტიკულად ფიქრისა და განსჯის მეორე ან მესამე გზა, არჩევანის საშუალება აღარ გააჩნია, ცხოვრობს გადარჩენის ინსტინქტით და კარგავს ყოველივე ძვირფასს, ადამიანურს. ეს არის მწარე სინამდვილე. „ჰმ, პატიოსან სიტყვას ვენდე– მშიერ კაცს სად აქვს ღონე, თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვეს... მე სულელმა ეს რავა ვერ ვიფიქრე!“ – ასეთი მწარე ჭეშმარიტება აღმოაჩინა სოლომანმა.

დავით კლდიაშვილის სხვა ნაწარმოებთა გმირებიც მსგავს გაჭირვებას განიცდიან. ან, უკეთ, სოლომან მორბელაძე სახეს, სახელსა და პროფესიებს იცვლის სხვადასხვა მოთხრობაში, საარსებო პირობებს კი - ვერა.

დავით კლდიაშვილმა შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მოხაზა პრობლემები, სახეები, იდეები, რომლებითაც მისი მოთხრობების ციკლი თანმიმდევრობით იძერწებოდა. მწერლის ადრეული მოთხრობები: „შერისხვა“, „მსხვერპლი“ (1894 წ.) ერთგვარი კონტურები, საწყისი შტრიხებია იმ კოლორიტული სამყაროსი, რომლის ფასადი შემოქმედის სპეციფიკური ნიჭით აღბეჭდილმა მოთხრობამ „ბაკულას ღორებმა“ დაასრულა (1920 წ.).

კლდიაშვილის ნაწარმოებებზე მსჯელობისას თანამდევ ცნებად იქცა სიტყვა ტრაგიკომიკური. „შერისხვასა“ და „მსხვერპლში“ მხოლოდ ტრაგიკული სიტუაციებია გამოხატული. მწერლის სტილის ევოლუცია „სოლომან მორბელაძით“ დაიწყო, ტრაგიკული და კომიკური, მსუბუქი იუმორი და გაბმული სევდა, უბოროტო ღიმილი და სასოწარკვეთა გვერდიგვერდ ბინას პირველად „სოლომან მორბელაძეში“ დაიდებს. ადრეულ ორ მოთხრობაში გადმოცემული ამბები კი უაღრესად ტრაგიკულია. ტრაგიკულია იმდენად, რომ „მსხვერპლის“ შესახებ ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორს დავით კლდიაშვილისათვის ბარათი გაუგზავნია. „მოთხრობისათვის დიდ მადლობას მითვლიდა – იგონებს მწერალი – თან იმასაც მწერდა, რომ აღწერილი სურათი მეტად შავბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო და ამასთანავე უმატებ-

და: ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო? საჭიროა შენელება სურათისა. – ეს რჩევა მიუღებელი დარჩა ჩემგან. ის კი არა, ვნანობდი, რომ ბევრი რამ გამომრჩა აჩქარების გამო".

როგორც „შერისხვაში", ისე „მსხვერპლში" ადამიანები იღუპებიან სიბნელის, გაუნათლებლობის, ცრურწმენის (ცუდად გაგებული რწმენის) ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტების გამო. იმავე თემაზე ცოტა მოგვიანებით დაიწერა „მიქელა" და „უბედურება". ამ ნაწარმოების დამშეულ გმირთა უბადრუკ ცხოვრებას კიდევ მეტად ამძიმებს საერთო სიბნელე და გაუნათლებლობა.

„შერისხვის" მთავარი გმირი, კაცია საგუნაშვილი, უაღრესად ტრაგიკული სახეა. იგი მშრომელი გლეხია და, როგორც ყველა გლეხისათვის, მისთვის მიწა „მეექვსე გრძნობაა." ორი მტკაველი მიწისათვის კაცია მთელ სოფელს გადაემტერება. ერთ გლეხს ხატზეც გადასცემს და შემდეგ იმ ხატისა და ღმერთის მაგინებელიც ხდება, რადგან ღმერთმა არ დასაჯა „დამნაშავე" მეზობელი. ხატზე გადაცემული, შეშფოთებული, შეშინებული გლეხი კაცის მიმართავს:

„– რა დაგიშავე, კაცია, ეს გამაგებინე, რა დაგიშავე, რომ ასე ამომიჩემე– რომ აღარაფერით მზოგავ... თქვი მაინც, შე კაი კაცო... ამ ხალხს მაინც კარგად გააგებინე– ამათ გასაჯონ, თუ რაიმეში მტყუანი ვარ შენთან! – კაცია საგუნაშვილმა უზენაეს მოსამართლეს შეატოვა მეზობელი".

„მსხვერპლში" ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მარინე ვერა და ვერ ამყარებს კონტაქტს გატანჯულ, ცხოვრებისაგან გაპირქუშებულ დედამთილთან, რომლისთვისაც მეზობლებს კუდიანებთან, ავ სულებთან, ბოროტ ძალებთან კავშირი შეუწამებიათ.

„რა ვქენი, მაგისთანა რა დაგაშავე?", – კითხულობს დედამთილის დაუსრულებელი საყვედურების გამო სრულიად უდანაშაულო მარინე, მისი უდანაშაულობა კი არ ესმით, იგი მარტო რჩება საკუთარი თავის წინაშე.

ასევე მარტოა მოთხრობა „მიქელაში" საიქიოდან „დროებით გამობრუნებული" ახალგაზრდა გლეხი სპიდონა, რომელიც ცრუმორწმუნე პაპამ ცალკე კარავში გადაიყვანა და მოირიდა, როგორც კეთროვანი; „უბედურებაში" ცრურწმენის გამო მეზობლები მეზობელს კლავენ.

ყველა ზემოაღნიშნულ მოთხრობაში უდანაშაულო ადამიანი კვდება, სრულიად უბრალოდ იღვრება სისხლი, განუკითხაობას, შიშს, ცრურწმენას, სიბნელეს ეწირება ყველაზე ძვირფასი — ადამიანის სიცოცხლე. ეს ნაწარმოებები სიბნელით მოცული ჩვენი სოფლის უმწეობაზე, საშინელ სილარიბეს და ცრუმორწმუნეობაზე მოგვითხრობენ. ეს ყველაფერი თითქოს წარსულს

ჩაბარდა, ასეთი გარემო იყო და აღარ არის, მაგრამ მოთხრობები არ გახუნებულან, ამ დროის მდინარებით ყავლი არ გასვლიათ. ისინი დღესაც თანამედროვენი არიან. თანამედროვე და საინტერესო — არა განსაკუთრებული ამბის გამო, არამედ იმ პრობლემატიკის მარადიულობით, რომელიც ჩაუდინა უცნაური ამბების ქსოვილში.

ამ ნაწარმოებთა ტრაგიკული პერსონაჟები ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. ისინი ერთმანეთის გვერდით ან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. მათ ერთნაირად შიათ და სცივათ. ერთი სადარდებელი აწუხებთ. ამიტომ თითქმის თანაუგრძნობენ, უყვართ ერთმანეთი, მაგრამ საკმარისია მცირედი კონფლიქტი, მცირედი უკმაყოფილება, რომ ისინი გაღიზიანდნენ, გაბოროტდნენ, გაიმეტონ ერთურთი. „რა დავაშავე?“ — ეს კითხვა მათ გულთან არ მიაქვთ, სხვის პოზიციას არ ზომავენ, არ ითვალისწინებენ. ადამიანებს სხვისი გასაჭირი არ აკვირვებთ, არ აწამებთ, რადგან საკუთარს გადაუფარავს ყოველივე, ისინი, ასე ახლობელნი, ერთმანეთისათვის უცხონი არიან. თურმე „ხიდ-ჩატეხილობას“, გაუცხოებას იწვევს არა მარტო წოდებრივი იერარქია, არა მარტო პიროვნულ ღირსებათა სხვადასხვაობა, არამედ გაუნათლებლობა და ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელიც კვებავს სისასტიკეს, შეუბრალებლობას, მშიერ ადამიანებს აღარ სცალიათ ერთმანეთისათვის.

დავით კლდიაშვილის სხვა ნაწარმოებებში ტრაგიკულის გვერდით ვხედავთ კომიკურს. ადამიანთა შინაგანი, ტრაგიკული ცხოვრება გამოვლენილ იქნა კომიკურ სიტუაციებში. ტრაგიკომიკური იქცა დავით კლდიაშვილის ამპლუად, ამ ხერხით იქმნება მწერლის განსაკუთრებით გამორჩეული, კოლორიტული სამყარო.

„სიტყვიერი ხელოვნება, კერძოდ, მოთხრობა და რომანი განსაკუთრებით უნდა აკმაყოფილებდნენ „ცხოვრებასთან სიახლოვის“ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნა ყოველთვის არ შეიძლება დაკმაყოფილდეს პირდაპირი გამოხატვის მეთოდებით იმიტომ, რომ პირდაპირი გამოხატვა არაიშვიათად დაიყვანება სრულიად უსიხარულოს, ანდა მდაბალის, სამწუხაროსა და გამაღიზიანებლის ასწერამდე. არიან პოეტები, რომლებიც აუტანელი ხდებიან ბევრის მნახველი ადამიანისათვისაც კი, რადგან ისინი ამ მიმართულებით ძალიან შორს მიდიან. აი, სწორედ აქ ჩვენდა საშველად მოდის კომიზმი, რადგან მძიმე მოვლენები კომიკურ პლანში გადმოიცემიან და, მართალია, ამით სიმკაცრე ვერ ნელდება, მაგრამ ამ მოვლენათა ატანა უკვე შესაძლებელი ხდება“ (ქვრ.კიკნაძე).

„შერისხვისა“ და „მსხვერპლის“ შემდეგ კომიზმი იქცევა გზად, რომლი-

თაც ვუახლოვდებით სოლომან მორბელაძის, პლატონის, დარისპანის ცხოვრებას, გვესმის და ვიზიარებთ მათს საწუხარს.

თავად-აზნაურთა ერთ დროს ზვიადი წარმომადგენლები ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გასაცოდავებულან. დახვეწილი შინაგანი კულტურის, არისტოკრატული სულის პლატონ სამანიშვილი იძულებულია ზურგგატყავებულ ცხენზე შეეკდეს და აჩქარებულმა, როსინანტზე ამხედრებული ლამანჩელი აზნაურივით, სოფელ-სოფელ იხეტიალოს „ბერწი“ სადედინაცვლოს საპოვნელად. იმერეთის აღმართ-დაღმართებში გაჭირვება დაატარებს სოლომან მორბელაძეს. ქალამნები დაცვითა დარისპანმა, რომელიც კარდაკარ დახეტიალობს თავისი ქალიშვილით, რათა ვინმეს მიასაღოს უმზითვობის გამო შინ ჩარჩენილი, „მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა“.

კლდიაშვილის გმირები ბევრს მოგზაურობენ, მოგზაურობენ იძულებით, ყოველგვარი სურვილის გარეშე. მოგზაურობა მხატვრული ხერხია მწერლისათვის. ვეცნობით სხვადასხვა სოფელს, სხვადასხვა ოჯახს, ყველგან ერთნაირი გაჭირვება, ერთნაირი სიღატაკე სუფევს.

„მტვრიანი გზების, შეხვედრებისა და დამგზავრებულთა მუსაიფის მოარული სიუჟეტი დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს თავისებურ კოლორიტს უქმნის. მწერლის ბევრ მოთხრობაშია დახატული იმერული სოფლის ორღობეებში გრძელი ჯოხით მიმავალი მგზავრები: ჯორით მოჩიქჩიქე მღვდლები და მაშვლები, ბეხრეკ ცხენზე ამხედრებული აზნაურები, მოხეტიალე ადვოკატები...

გზებსა და საუბრებს ერთგვარი ხალისი შეაქვთ დავით კლდიაშვილის შეჭირვებულ პერსონაჟთა ცხოვრებაში“ (გ.ბარდაველიძე).

კლდიაშვილის გმირები ტრაბახობენ, ტყუიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავს იქებენ და წარბს არ იხრიან. ისინი გარეგნულად ამაყები არიან, რათა შინაგანი, ნამდვილად არსებული, მაგრამ შეურაცხყოფილი სიამაყე და შინაგანი სისუსტე დაფარონ. მათ აღარაფერი გააჩნიათ, მაგრამ იხსენებენ, ისიზმრებენ დიდებულ წარსულს („ქამუშაძის გაჭირვება“, „როსტომ მანველიძე“), რათა ყოფითი, მწარე სინამდვილე შენილბონ, თვალი მოუხუჭონ მას.

დავით კლდიაშვილის გმირები სტუმარს სახლში იწვევენ, ეპატიჟებიან, ემუდარებიან. შინ კი არაფერი ეგულებათ სამასპინძლოდ. ამგვარი სიტუაციები კომიკურია, სასაცილო, მაგრამ რაოდენ მტკივნეულია იგი ტრადიციებთან შესისხლხორცებული ქართველი კაცისათვის, რომელიც გახიდულა მოვალეობისა და საშუალების, სურვილებისა და რეალური შესაძლებლობების წინაალმდეგობრივ გზაზე.

დავით კლდიაშვილს უსაზღვროდ ებრალება თავისი გაწამებული, დაძაბ-

ული, ნერვებდაჭიმული გმირები. სასოწარკვეთილი ადამიანები, ადამიანები, რომლებიც არ არიან ოდენ „შემოდგომის აზნაურთა“ წარმომადგენლები. ისინი ზოგადქართული, ზოგადადამიანური ხასიათებია, ხასიათები, რომელთაც კაცობრიობის კრიზისული სიტუაციები გამოკვეთდა. მწერლის „სამყარო ამიტომ მხოლოდღა ფეხს თუ იდგამს იმერეთში, იგი შემდგომ მთელს ქვეყნიერებაზე მოძრაობს და თავისი ტრაგიკომიკური ტკივილი მიაქვს ყველგან. იგი მახლობელი და გასაგები ხდება ყველასათვის“.

დავით კლდიაშვილის გმირები მსოფლიო ლიტერატურის იმ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა გალერეაში, რომელთაც სევდანარევი ღიმილით შეჰმზერს მკითხველი, სავსებით განსაკუთრებულ და ორიგინალურ ადგილს იმკვიდრებენ.

«სამანიშვილის დედინაცვალი»

დავით კლდიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების შესახებ დიდებული მემუარები დაგვიტოვა, საკუთრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით მხოლოდ თითო-ოროლა მწირი ფრაზა გაიმეტა, ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მართალია, ვრცლად არც ამ მშვენიერი თხზულების შექმნის შესახებ მსჯელობს, მაგრამ მრავალმხრივ საყურადღებოა ის ჩანაწერიც, რომელსაც აქ წარმოვადგენთ.

„ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ – იგონებდა მწერალი – ზღვის პირას ვზივართ. ვოლსკიმ თქვა, – ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დავეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან. გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ: ვოლსკი რაღაცას მეუბნება – მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდი, ერთ წუთში გადამეშალა– დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი...

– მე არ მოვდივარ, გრიშა! – ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც იმხანად ვიყავი.

– რა იყო, რა მოგივიდა? – მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი. მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ, მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდები და გატაცებით დავიწყე წერა, გაცხარებული.

ეს მუშაობა კი არა, იყო უმაღლესი სიამოვნება.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“. ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის, ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობით. კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთაც ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, სუ-

რათქმა, წერილმანებს. განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

- აბა, მოყევი! - და მეც მოვყვებოდი. მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა, მუშავდებოდა იოლად, ხალისიანად.

„მოამბეს" რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა: ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდე პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია" - პლატონის სიზმარი. ჟუთხარი ჩხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი?" - ნუ სულელობ! - შემომიტია მან. - შენ ისეთ რამეს ყვები, რომ, თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება, არ გაგზავნო, იცოდე!

დაუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგივრად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან - პაველე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩახედული, ჭკვიანი, ენამახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ საცხე იყო სტუმრებით: მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი. (გაიხსენეთ ჯიმშერ სალობერიძის ოჯახის აღწერა „სამანიშვილის დედინაცვლიდან". ნ.გ.). მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი. მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნება.

აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

- ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პაველე მაჭავარიანის! - ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „მოამბეს" რედაქციაშიც. ჭყონიამ ვრცელი წერილი გამოგზავნა, განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით საცხე. ბედს ვერ დავემდურები - ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვლის" ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში. მასთან იყო არტურ ლაისტი.

- მე შენ ხმას არ გაგცემ! - შემომიტია პეტრემ. - რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ.

- რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? - შევეკითხე.

- რატომ და მიტომ, - ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა!

გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან - კახეთში, რა სურათი იქნებოდა?! რა იქნებოდა?! შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი.

- არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

- გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათიკო! - თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. - შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი".

ეს არის ყველაფერი ის, რაც თვით დავითის ნაწერებში შეიძლება მოიძიოთ „სამანიშვილის დედინაცვლის" შესახებ.

დაკვირვებული თვალი აღნიშნულ მოგონებაში ბევრ რასმე საგულისხმოს ამოიკითხავს. ჩანს, როგორ წერდა დავითი, როგორი იყო მისი შემოქმედებითი ლაბორატორია. „თითქოს ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე ერთ წუთში გადამეშალა". მწერალი თანამონაწილეა, ცოცხალ სურათებად წარმოიდგენს ყველა იმ სიუჟეტს, რომელსაც ნაწარმოებში განავითარებს. უხილავად ასდევნებია ბეხრეკ და ზურგგადატყავებულ ცხენზე ამხედრებულ სახეჩამოზეთილ პლატონ სამანიშვილს. არ ჩანს არსად და იგრძნობა ყველგან. ამიტომ არის, ვერსად, ვერც ერთ სიუჟეტში, ვერც ერთ დიალოგში ვერ იპოვით ყალბ, არაბუნებრივ ფრაზას, ამბის არამოტივირებულ განვითარებას. დავით კლდიაშვილის დიდი მწერლობის საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, მის ბუნებრივობაშია. მის ხელოვნებაში არაფერია ხელოვნური. დავითი ვირტუოზულად დააბიჯებს იმ ბეწვის ხიდზე, რომელიც ნატურალიზმსა და რომანტიზმს შორის პარნასიდან ჩამოუშვიათ მუზებს - ხელოვნების ქალღმერთებს.

მოგზაურობა რომ მხატერული ხერხია, იმერეთის ოკრობოკრო გზებზე სადედინაცვლოს საპოვნელად გამოსული პლატონის ხეტიალი რომ ბრწყინვალე მიგნებაა მწერლისათვის მხატვრული ამოცანის ხორცშესასხმელად, ეს თხზულების წაკითხვისთანავე შეუმჩნევია პეტრე უმიკაშვილს, მაგრამ, დახეთ, რა საინტერესო პასუხს იძლევა დავითი მეგობრის საყვედურზე - გადმოვიყვანდი პლატონს ქართლში, კახეთში, რა საინტერესო სურათები იქნებოდა, იმერეთში რად მოანახინე სადედინაცვლო.

დავით კლდიაშვილი ამბობს: არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

ხედავთ, როგორ მოთხოვნას უყენებს მწერალი საკუთარ თავს - ნიუანსებში, ძირისძირობამდე. თვალით უნდა ხედავდე, გუმანით, ყნოსვით, ტანით უნდა გრძნობდე იმას, რაზედაც წერ. ფლობერივით დარიშხანის გემო უნდა იგრძნო პირში, როცა მადამ ბოვარის „წამლავ". ცვაიგივით გულის გასკდომამდე უნდა გიყვარდეს, როცა უცნობ შეყვარებულ ქალს წერილს დაწერინებ, გრძნობებს ისევე ბუნებრივად უნდა ამოჰყვნენ ის ერთადერთი და კონტექს-

ტისათვის შეუცვლელი სიტყვები, როგორც ბუნებრივად სწყდებიან ცაზე ამოგორებულ ცხელ დისკოს სხივები.

ასე ხდება კლდიაშვილის შემოქმედებაში.

ვინ იცის, პავლე მაჭავარიანმა რამდენ სტუმარს მოუთხრო ბერწი სადედინაცვლოს საძებნელად სოფელ-სოფელ მოხეტიალე პლატონ სამანიშვილის სიუჟეტი, ისე, როგორც პუშკინს, ვინ უწყის, გოგოლის გარდა, რამდენი მეგობარი უხითხითებია ჩიჩიკოვის გაუგონარი მოგზაურობით, მკვდარი სულების საყიდლად მეძებარი ძალღივით ენაგადმოგდებული რომ დაქოშინობდა ერთი თავადის სამფლობელოდან მეორე, მეათე და მეასე თავადის სასახლისაკენ. მაგრამ თავისთავად ამბავი, თუნდაც საკვირველი მწერლობისათვის, არაფერს ნიშნავს. ყველაფერს ნიშნავს საკვირველი ნიჭი თხრობის, სურათების ცოცხლად ხატვისა და, რაც მთავარია, ამბის განზოგადების იშვიათი უნარი, რომლითაც ლიტერატურის ისტორიას სამუდამოდ შერჩა მაინცდამაინც გოგოლის სახელი, რომელსაც „მკვდარი სულების“ ფაბულა პუშკინმა უამბო, და სახელი დავით კლდიაშვილისა, რომლის გარდა, ვიმეორებთ, მის მიერ გადმოცემულ ამბებს იმერეთში მოყოლით, ალბათ, სხვაც ბევრი ვინმე მოგიყვებოდათ.

აქედან გამომდინარე, რაკი ნაწარმოების განხილვა განვიზრახეთ, ლიტერატურის მასწავლებელმა და ლიტერატურის შემსწავლელებმა ერთად დავსვათ კითხვა და ერთმანეთს გავუზიაროთ ფიქრი იმ ამოცანის ამოსახსნელად, თუ რაში დევს ნაწარმოების წარმატების საიდუმლო.

ჩვენ არ გაგვიჭირდება მოვძებნოთ თემა ან თემები, ანუ ამოვიკითხოთ ის შინაარსი, რაც ჩაფენილია „სამანიშვილის დედინაცვალში“. ჩვენ მწერლის სათქმელის მიხვედრასა და განზოგადებასაც მოვახერხებთ, არც ეს არის ძალიან ძნელი საქმე, რადგან, თუ ოდნავ გონიერი მკითხველი ვერ მიხვდება, რა უნდა, რაზე წერს და რისთვის წერს შემოქმედი, ეს თითქმის ყოველთვის მწერლის პრობლემაა და არა მისი მკითხველისა (ბუნებრივია, ღმერთი უკლას ვერ აკოცებდა შუბლზე და ასეთი ვითომ მწერლებიც არსებობენ).

უმთავრესი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში არის არა „რა“, არამედ „როგორ“. უმთავრესია არა გრძნობა, განცდა, რომელიც ჩვენც გაგვაჩნია, უბრალო მოკვდავთ, არამედ იმ გრძნობათა, განცდათა და ამბაუთა ისე გადმოცემა, როცა თხზულების კითხვისას პერსონაჟთა ცხოვრების სრულუფლებიანი წევრი ვხდებით ჩვენც და იმდენად რეალისტურად, ჩვენეულად და ბუნებრივად გვეჩვენება მხატვრის მიერ შეთხზული სამყარო, რომ უნებლიეთ წამოგვცდება: „ამას ხომ მეც დავწერდი“ – ან უკეთეს შემთხვევაში ლიტერატურაში კარგად ჩახედული პროფესიონალი იტყვის: „აი, ამას მე ვერ დავწერდი“.

მწერლისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტოქე მკითხველის გაჩენა წარმატების დასტურია, უბედურება ის არის, როცა ამა თუ იმ მწერლის თხზულების კითხვისას ყალბი დიალოგებისა და არამოტივირებული, კაბინეტიდან წარმოდგენილი, თანაგანცდის გრძნობის გარეშე აღწერილი, სიუჟეტების გადამკიდე მკითხველი იტყვის: „ამას მე არ დავწერდი“.

მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე არავის აზრი არ გაქვთ მოსმენილი.

ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ, რა ქმნის იმ ესთეტიკური სიამოვნების საიდუმლოს, რაც „სამანიშვილის დედინაცვალის“ კითხვისას მოგვენიჭა.

ლიტერატურისმცოდნეობას, ისე როგორც, საზოგადოდ, ხელოვნებისმცოდნეობას, ცხადია, არ გააჩნია ის ზუსტი ბარომეტრი, რომლითაც მხატვრული აზროვნების რაობა შეფასდება. ამიტომ თითოეულ თქვენგანს შეუძლია იპოვოს ის საიდუმლო, რომლითაც მხატვრული თხზულების ახალ სამყაროს ეზიარებით. სულაც არ არის საჭირო, მწერლის სამყაროს კარს ყველამ ერთნაირი გასაღები მოარგოს. ამ სამყაროში შესვლაც თავისებური შემოქმედებაა და იმდენივე ზღურბლი არსებობს იქ შესაბიჯებლად, რამდენი გონიერი მკითხველიც ჰყავს დიდ მწერალს.

დავარღვიოთ ტრადიცია და „სამანიშვილის დედინაცვლის“ განხილვა დავიწყოთ საკითხით – „როგორ“. როგორ გადმოსცემს მწერალი ამბავს, მოვლენას, საგანს, ხასიათს.

როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ყველაზე ძნელი ყოველთვის საქმის დაწყება, პირველი ხნულის გავლებაა. დავითს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ჩემთვის პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო. ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას“.

აბა, გავიხსენოთ, როგორ იწყება „ქამუშაძის გაჭირვება“:

„სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა“.

პირველივე ფრაზა დავით კლდიაშვილის განუმეორებელი სტილისტიკის დასტურია, აი, რატომ: შინაარსი ხომ ძალიან მარტივია ამ ფრაზისა, საშუალო ნიჭი, ვთქვათ, ასე გამოხატავდა: „აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლის თხოვის დრო დაუდგა“, რითაც, ერთი შეხედვით, არსებითად არაფერი იცვლება, მაგრამ საქმეც ის არის, რა სიტყვებით შეუდგება მწერალი თავისი ფიქრის ხორცშესხმას. კლდიაშვილისეულ დასაწყისში მისთვის დამახასიათებელი ისეთი ირონიაა ჩაქსოვილი, ერთდროულად ემპირიულ, ხილულ სინამდ-

ვილასაც რომ გულისხმობს, ამ სინამდვილისადმი ირონიულ დამოკიდებულებასაც, ხოლო შემდგომი მოვლენების ჩვენებით – თვით ამ სინამდვილის ტრაგიკომიკურ არსს. ბევრია, არა, ერთ ფრაზაზე ამდენი „ტვირთის აკიდება?“ დავუკვირდეთ: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა“...

აბა, რა უნდა ექნაო, – პირველივე ფრაზით მწერალი თითქოს ირონიით ამართლებს ოტიას გადაწყვეტილებას, არც ერთი სიტყვა სიყვარულზე, ჭაბუკის გულის თრთოლვაზე, ქალის შეყვარებაზე თუ არა, მოწონებაზე მაინც. ასე ხომ ჭირნახულის აღების პროცესზეც შეიძლებოდა თქმულიყო: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა აზნაურ ოტია ქამუშაძეს მოსავალი აეღო“. საქმეც ის არის, რომ ოტიასთვის ცოლის თხოვნა მორიგი, აუცილებელი ყოფითი საკითხის გადაწყვეტაა (ვთქვათ, როგორც ჭირნახულის აუცილებლად აღებაა საჭირო) და არა ადამიანის ცხოვრების გზაჯვარედინზე სიყვარულის შედნიერად დაგვირგვინების აქტი. კლდიაშვილის კუშტამხმარი გმირების ფიქრებში სიყვარულს არ გააჩნია თავისი წილი სამკვიდრო.

პირველივე ფრაზაში კიდევ ერთი სიტყვაა, ვერც ერთი სხვა სიტყვით რომ ვერ შეცვლით. „საჭიროებაც მოითხოვდა“-ო. „სწორედ დროც იყო და გარემოებაც მოითხოვდა“ – რომ დაეწერა ავტორს, რალაც ძალიან დიდი ნიუანსი დაიკარგებოდა. კი, ბატონო, „გარემოება მოითხოვდა“ ნიშნავს იმას, რომ ვითარება ხელს უწყობდა ჭაბუკს საქორწინოდ, ნიშნავს იმასაც, რომ მოხუცებული დედის ამარა დარჩენილ ოჯახს ახალგაზრდა ქალის ხელი სჭირდებოდა და ა.შ. მაგრამ ეს სიტყვა „საჭიროება“, მოიცავს ყველაფერს ზემოთქმულს ერთი დამატებითი, ასევე ყოფითი, თან ირონიზებული ნიუანსით – სოფელში გამოკეტილმა, ჯელემა ოტიამ, ყანაში განუწყვეტლივ თოხის მობაყუნემ, ქალის საჭიროება იგრძნო...

ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობის სრულად ჩაკითხვის შემდეგ მკითხველი რწმუნდება – საჭიროების მიხედვით კი, მაგრამ გარემოების გამო სწორედ დრო არ ყოფილა საწყალ ოტიას ცოლი ეთხოვა, ნაწარმოების დასაწყისი საერთოდ ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს.

ასე რომ, კლდიაშვილის ჩანაწერი – „დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას“ – მხოლოდ თეორიული განაცხადი არ არის.

ასევე მრავლისმეტყველია „სამანიშვილის დედინაცვლის“ დასაწყისი, პირველივე სულ რალაც რვასიტყვიანი წინადადებაც.

„ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც“.

მწერალი თავისი პერსონაჟის სილარიბეზე ხაზგასმას არ სჯერდება. მეო-

რევკერ აკეთებს აქცენტს – გვარიანი ღარიბიო – წერს და ეს აქცენტი თხზულების საერთო სტილისტიკაში ბეკინას გაუთავებელი ტრაბახის ფონზე, საკუთარ „სიმდიდრეს“ რომ აღუფრთოვანებია, თანდათანობით იძენს მხატვრულ ეფექტს.

მეორე გარემოებასაც მიაქციეთ ყურადღება: „ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო“. ერთადერთი სიტყვა გამოვტოვე – „რასაკვირველია“. არადა, ეს უკვე აღარ არის კლდიაშვილისეული ფრაზა. ერთი სიტყვით – „რასაკვირველია,“ – დავითი თხზულების დასაწყისშივე კავშირს აბამს თავის წინა, უკვე დაწერილ, და მომდევნო, ჯერაც შესათხზავ ნაწარმოებებთან.

ჩვენ ხომ ადრეც ვთქვით, რომ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში ზოგადად ერთი ხალხი ჩანს ავანსცენაზე: შიმშილით, სიღატაკით გაწამებული ადამიანი, რომელსაც წართმეული აქვს მზისქვეშეთში ადამიანურად ცხოვრების უფლება და იბრძვის არსებობის უფლების შენარჩუნებისათვის, რომელიც მხოლოდ სახეს, სახელს და გადარჩენისათვის ბრძოლის ხერხებს იცვლის სხვადასხვა თხზულებაში. ამიტომ „ბეკინა სამანიშვილიც, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო“, ანუ მწერალი დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ წინა თხზულებებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ სამყაროში აღმოვჩნდებით.

თუმცა მწერლის დიდი ნიჭის წყალობით უკვე ნაცნობი სამყარო ერთფეროვნების საშიშროების ნაცვლად იმდენად ახლებური კუთხით, მოულოდნელი სიუჟეტებით წარმოჩნდება, თითქოს მწერალი საკუთარი შესაძლებლობების ამოუწურაობის აზარტით იყოს შეპყრობილი.

პლატონ სამანიშვილის საგა — ეს არის ტრაგიკომედიის ბრწყინვალე ნიმუში. მივყვეთ, მკითხველო, ბეხრეკ ცხენზე „ამხედრებულ“ (ესეც კლდიაშვილის სტილისტიკიდან არის), ბერწი სადედინაცვლოს მოსაძიებლად წასულ უბედურ პლატონ სამანიშვილს, მის უბედურებაზე რომ, აგერ, უკვე საუკუნეა, იცინის ქართველი მკითხველი და ამ სიცილით ან ამ სიცილთან ერთად გული რომ ეკუმშება.

ტრაგიკომიკური „სამანიშვილის დედინაცვალში“

„სამანიშვილის დედინაცვლის“ მთავარი პერსონაჟის, პლატონის აფორიაქებული სულის მოძრაობას ისე აღწერს მწერალი, რომ, თუ ამ ციტატებს ცალკე ამოვწერთ და გვერდიგვერდ დავალაგებთ, წარმოგვიდგება კაცი, რომელიც თავისი უსაშველო კაეშნით ლამის ოიდიპოსისა და ჰამლეტის ტრაგიზმს აჭარბებს...

„გამწარებული ყმაწვილი კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი

ტკინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა"_

მერედა რისთვის? თუმცა ვკერ მისი აწეწილი სულის უფრო სრულყოფილი სურათი წარმოვიდგინოთ.

პლატონი „ცხადად ხედავს თავისი უბედურების მომასწავებელ ნიშანს და ამ მოულოდნელი უბედურების წინ წამდგარს ენაც ერთმევა, გონებაც ეკარგება, სისხლიც უშრება_"

უბედურების შეგრძნებას სულით ხორცამდე ისე მოუცავს მისი არსება, რომ სიზმარშიც არ ტოვებს საშინელი განცდები.

არ ესმის თავისი ხმა პლატონს, თუმცა ყვირის, რაც ღონე აქვს. ხმა პირიდან არ ამოსდის. იქვე, გულში რჩება ულონო, სუსტი, გაუგონარი, და ეს უმატებს გაშწარებას, უფრო უკლავს გულს, უხუთავს სულს, უმწვერვალესად აღელვებული კაცის თვალწინ ყოველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა, აცახცახებული, ათრთოლებული ძლივს დგას ფეხზე. ეს რალა ამბავია?! რა არის ეს?! რა ამბავი ხდება დღეს ამ სახლში, ვინ შერება ამას?"

რისთვის-მეთქი ეს ყველაფერი, რა უბედურება დასტყდომია თავს ასეთი პლატონ სამანიშვილს?

მომხდური მიეჭრა და ოჯახის ნამუსი შეუგინა? - არა.

გადაწვეს, გადაბუგეს თუ თავად ხდიან ტანჯვა-წამებაში სულს? - არც ერთი ყოფილა, არც მეორე და არც მესამე.

იქნებ მსოფლიო და კაცობრიული სევდა აწუხებს და ველარ პოულობს ვერსად ადგილს? - გაგიგონიათ?!

მაშ რა უხუთავს სულს, რას გაუმწარებია და აუღელვებია ასე „უმწვერვალესად?"

იქნებ ქალი „შეიჭრა" მის ცხოვრებაში და უიმედოდ შეყვარებულს სიცოცხლე სატანჯველად ექცა?

იქნებ სიკვდილმა წაჰგვარა ოჯახის მამას პატარა და ზვავივით მიასკდა უბედურება მის დაწყევლილ ყოფას? - არა.

არადა, უმიზეზოდაც არ არის გადარეული ეს ჩვენი პლატონი. საფუძველი კი ის გახლავთ, რომ ღმერთმა მის დედინაცვალს შვილი, ხოლო თავად პლატონს ძმა უნდა აჩუქოს (?)

კი არ წაჰგვარა ოჯახს პატარა, არამედ მოუვლინა ახალი სიცოცხლე. ეს ბედნიერება კი პლატონის უბედურების პირობაა, ვინაიდან იგი ახლად მოვლენილ არსებაში ადგილის მოწილეს ხედავს მზისქვეშეთში.

ახლა კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ, ზემოთ მოხმობილი ციტატების მიხედვით, რა დღეშია პლატონ სამანიშვილი, რა უმწვერვალესია მისი ტანჯვა და, ამ ტანჯვის მიზეზზეც რომ დავფიქრდებით, გამოიკვეთება სურათი ტრაგიკომედიისა. სწორედაც შეგეცოდებოდათ პლატონი, თვით ამ-

ბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყოო-იტყვის ავტორი.

ერთი სიტყვით, ამ სიუჟეტით ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ის, რაც, ჩვეულებისამებრ, ბედნიერებაა, პლატონისთვის უბედურება გახლავთ.

იმას, რაც, ჩვეულებისამებრ, უბედურებად ითვლება, პლატონი და მის დღეში მყოფი, მისი ალი-კვალი მეზობლები, ბედნიერებად თვლიან, მაგალითად, ხალხის შემცირებას, გამეჩხერებას, გნებავთ სათანადო დოზით გაწყვეტას_

ვინ არიან ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი არსებანი? - იკითხავთ თქვენ და პარადოქსი ის არის, რომ სინამდვილეში არც კაცთმოძულენი გახლავან და არც ჭკუაზე აფრაკად მყოფნი (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ერთი შეხედვით, დავითი თითქოს საგანგებოდ ეძებს კომიკურ სიტუაციებს, რათა თავის პერსონაჟთა აუტანელი ყოფა საკითხავად ასატანი გახადოს მკითხველისათვის, მაგრამ ეს სიტუაციები იმდენად ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე, რომ ძნელია დაადგინოთ ზღვარი, სად მთავრდება ტრაგიზმი და საიდან იწყება კომიკური, სასაცილო ამა თუ იმ პერსონაჟის ქმედებისას.

ბეკინა სამანიშვილმა, ცოლის - მარიკას — დაღუპვის შემდეგ ითმინა, ითმინა, მაგრამ თავიდან ველარ ამოიგდო ფარისაგი აზრი ახალი ცოლის თხოვისა. „არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!_ მე რომ იმათ ვუყვარვარ!_" - ასე ფიქრობდა ბეკინა, როცა ვაჟიშვილი პლატონი და რძალი მელანთ გაახსენდებოდა ხოლმე საკუთარ თავთან მსჯელობის დროს.

მოხუცმა, როგორც იქნა, გულისნადები გაანდო შვილს, მაგრამ, ნახეთ, როგორი კომიკური სიტუაცია იქმნება:

არ შეიძლება, რომ ეწყინოთო - ამ ფიქრით უფრო თავს იმშვიდებდა ბეკინა, თორემ მშვენივრად ხვდებოდა, რა სიამოვნებითაც შეხვდებოდნენ შვილი და რძალი ბერიკაცის გულისთქმის გამყლავნებას. ხვდებოდა და ამიტომაც კაცი, მოციქული, მიუგზავნა პლატონს. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ მამა და შვილი. ახლა ის სურათი გავიაზროთ, მოხუცი მამა რომ კერიასთან ზის თაფრაღუნული, ხოლო მოციქული შვილს ბერიკაცის გულისფეთქვის ამბავს უხსნის, ან გარეთ მომლოდინე, აწრიალებული ბეკინა წარმოვიდგინოთ, შემდგომი მოვლენებით, ახალი ამბის მოსმენით გამწარებული შვილი რომ შუაკაცს გამოასწრებს გარეთ და აღშფოთებულ-სასოწარკვეთილი ჩასძახის მოხუცს: „მღუპავ, მამა? მღუპავ? დანას მიყრი ყელში?"

მოხდა ისე, რომ პლატონმა საკუთარი ხელით გაწლესა საკუთარ ყელში გამოსასმელი დანა, მის მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯი მისი ტრაგიკომიკური თავგადასავლის მიზეზად იქცა.

ზემოთ ვთქვით, ტრაგიკომიკური სიტუაციები ბუნებრივად იბადებიან

კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე. პლატონის მიზანი გასაგებია. – სიღარიბეში ხდება სული, ცოლ-შვილს საკმარისი ლუკმა არა აქვს და, თუ ბეკინას შვილი ეყოლება, თანაც ვაჟი, მაშინ მას მიწას გაუყოფენ, „ქონება“ ორად გადანაწილდება. ამიტომ, რაკი ბერიკაცს განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა, რადაც უნდა დაუჯდეს, ისეთი სადედინაცვლოს პოვნაა საჭირო, გარანტირებულად უშვილძირო რომ იქნება. და ეძებს პლატონი ორნაქმარევ, უშვილო მანდილოსანს, რომელიც იმავდროულად ოჯახში შესაშვები და თანაც სახეყირმიზა თუ არა, ჯოჯოხეთის მაშხალაც არ იქნება.

პლატონის ბუნებრივი, გარემოებით ნაკარნახევი მიზანი ბუნებრივად ქმნის კომიკურ სიტუაციებს მთელი თანმხლები პერიპეტიებით.

როგორ გინდა მიადგე ამა თუ იმ ოჯახს და აუხსნა, – ორნაქმარევი, უნაყოფო ქალი ხომ არ გყავთ შინ ან ახლომახლო ხომ არ გეგულებათ ასეთი საპატარძლო დედაბერიო.

ხასიათებიდან გამომდინარე, ბუნებრივად შექმნილი კომიკური სიტუაციები ხომ ურიცხვია კლდიაშვილის თხზულებებში.

აზნაური სამანიშვილის ქონება, მართალია, ვირის კურტანს აკიდება, მაგრამ კეთილშობილი სისხლი უჩქრიალებს ძარღვებში და მთელი დუნიის დასანახად როგორ იკადრებს, თავის სასახელო წინაპართა შთამომავალმა ფეხდაფეხ შემოიაროს იმერეთის მთებსა და ბორცვებზე შეფენილი სოფლები.

ითხოვა ცხენი, მაგრამ რად გინდა? საამქვეყნო ცხენს აღარაფერი ეტყობოდა და თავის გამობუსკულ თეძოებს ძლივს დაალასლასებდა. ზურგიც სულ გადატყავებული ჰქონდა იმ შეჩვენებულ პირუტყვს, მაგრამ პლატონს ადვოკატი ივანე გვერდევანიძე დაემგზავრა. ცხენიც ლამის პლატონის კუდაბზიკობას შეეწირა. გადააჯდა მხედარი და პატრონ-ცხენმა მანამდე ტანჯეს ერთმანეთი, ვიდრე გვერდევანიძე არ ჩამოშორდათ გზაგასაყართან.

ის იყო, არაქათგამოლეულ „ბედაურს“ შელავათი მისცა მხედარმა, რომ მისი სიძის, კირილე მიმინაშვილის, სახლიც გამოჩნდა, საითკენაც პლატონი ეშურებოდა. რა ექნა კეთილშობილ აზნაურს, ისევ ცხენით უნდა შეეკირითეთბულიყო ეზოში...

მწერალი განუმეორებელ სურათს გვიხატავს თავმოყვარეობით გატანჯული კაცისა და ამ კაცით გატანჯული ცხენის ერთად „მგზავრობიდან“:

„შელავათმიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით აპოლიკდა ქვებიან ბრეკზე და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა შერჩენილი, მიჩანჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ჩამოქვეითებული მხედარი, რომ მტკივან ზურგზე არ შესკუპებოდა ხელახლად. რამდენსამე მანძილზე კიდევაც აუსრულდა წადილი გასაჭირში ჩავარდნილ პირუტყვს,

მაგრამ ბოლოს პლატონი მაინც დაეწია, გააჩერა და მარდად მოახტა ზურგზე. ამ კაცმა თავის თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრალებას და სიძის ჭიშკრამდის ამხედრებული მივიდა".

ძველი, არისტოკრატული ჩვევები, რაკი ახალ დროში აზნაურთა სიძლიერეს ყალი გასვლია, პირდაპირ ანეკდოტურ სიტუაციაში აგდებს მათ. თუმცა დაკარგულის კომპენსაციას დავითის გმირები „ახერხებენ" და ამას სრადიან ისეთი მეთოდით, რომლითაც მთლად სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს. მათი ცხოვრების წესისათვის ტრაბახი ქცეულა აუცილებელ ატრიბუტად.

ესთეტიური უდარდელობა, ანუ სიბრძნე კვეხნისა და ბაქიობისა

თქვენ გახსოვთ ეს უცნაური სინტაგმა – სიბრძნე სიცრუისა. სიცრუე, რა თქმა უნდა, არანაირ კავშირში სიბრძნესთან არ გახლავთ, პირიქით, სიცრუე ბოლოს თავს იჩენს, ყოველი დაფარული ბოლოს მაინც გაცხადდების. სიცრუე ავნებს სულსაც და ხორცსაც. ეს საუკუნეებში გამოტარებული სენტენციები გახლავთ. ცხადია, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" ამ სინტაგმაში სიცრუე არაპირდაპირი მნიშვნელობით, ფიგურალურად გამოიყენება. სიბრძნე სიცრუისა, ანუ სიბრძნე გამოგონილი ამბებისაო, ანუ იგაად მითქვამს და ნათქვამში რეალური, მართალი ამბავი ამოიკითხეთო. ჩვენ კი პირდაპირი მნიშვნელობით მოვიხმეთ აღნიშნული ქვესათაური. დიახ, კლდიაშვილის გმირების კვეხნასა და ბაქიაობას, ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათი ტრაბახის მიზეზი მათივე ხასიათი და ამპარტავნობაა. რაკი არსებულსა და შესაძლებელს შორის დიდი ზღვარია. მათ კი არსებული არ მოსწონთ და შესაძლებელი ეოცნებებათ– „იძულებულნი" არიან კვეხნა-ტრაბახით შეავსონ უფსკრული რეალურსა და სასურველს შორის. ზოგჯერ კი ისე შორს მიდიან, თავადვე სჯერათ ის, რის შესახებაც ტრაბახობენ. ბეკინა ასე მოძღვრავს შვილსა და რძალს: „ღმერთმა იცის და ყველა ხედავს, რომ არა გიჭირთ–რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა. წყალიც, სახლიც, კარიც– ტყეც და ველიც! (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას – ტყე სრულიად არა ჰქონებია)".

არისტო რომ არისტოა, ქვაშავიძე, მართლა შავ დღეზე გაჩენილი და ადამიანით სასირცხოზე ლამის ფოთოლაფარებული, ისიც კი სხვის სიღარიბეზე ლაპარაკობს ერთობ ამაყად.

არაფერს ვამბობთ კირილე მიმინაშვილზე, რომელთანაც მსოფლიო

ლიტერატურის ყველა ჭკუამხიარული პერსონაჟი მოწაფედ არ გამოდგებოდა, ხოლო მამის დანატოვარი რაკი სხვაზე მეტი, საერთოდ კი, ცოტაოდენი რამ გააჩნია, კვეხნა-ბაქიაობაში ტოლს ვერავინ დაუდებს.

ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, კლდიაშვილის პერსონაჟთა ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, რომელიც სრულად წარმოაჩენს ამ ადამიანების ყოფის ტრაგიზმს და რომელიც პლატონის პირით ასე გაცხადებულია: „თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!.. ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირალია, რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ, არაფრად ვაგდებთ ყველაფერს, არხეინად ვართ და იმას კი აღარ ვფიქრობთ, თუ რა მოგველის წინ... რას გვიპირობს მამაზეციერი!.. მარა თავს თუ არ მივეძალეთ, გული თუ არ შევიმაგრეთ, სულ წავხდებით, ბატონო, სულ ერთიანად და ის იქნება!“

ერთი სიტყვით, მთლად ისეც არ ყოფილა საქმე, ერთი ქართული ანდაზა რომ ამბობს, – გადარეულისათვის ნიადაგ ლხინიაო. ქართველი კაცი, გასაჭირის დროსაც ხალისიანი, ერთი შეხედვით ყოფილა მხოლოდ ხალისიანი და უდარდელი, თორემ კაეშანმოძალებულ მის ფიქრს და ზრახვას ზოგჯერ ნიღბად, გნებავთ, თავდაცვის საშუალებად სჭირდება „ესთეტიური უდარდელობის“ ის გრძნობა, რომლითაც გული თუ არ შევიმაგრეთ, ბატონო, სამანიშვილისა არ იყოს, სულ წავხდებით...

ესეც ერთი დასკვნა კლდიაშვილის პერსონაჟთა და იქნებ ჩვენი ტრაგიკომიკური ყოფის შესახებაც.

არსებული, როგორც შესაძლებლის კარიკატურა

დავით კლდიაშვილი რეალისტი მწერალია. მან სინამდვილე ასახა, ასახა იუმორით, გროტესკით, სატირით, იმავდროულად წერს: ჩემი გმირებისთვის არასოდეს დამიცინიაო. მართლაც, დავითს უყვარს თავისი გაწამებული, კუდაბზიკა და იმავდროულად გასაცოდავებული პერსონაჟები. ამიტომ არის მის თხზულებებში სიცილთან ერთად ცრემლი, კომიკურის გვერდით - ტრაგიკული, ან პირიქით. არადა, როგორ ეთავსება ერთმანეთს ერთი და იმავე პერსონაჟისადმი სატირული დამოკიდებულება და თანალმობა? საქმე ის არის, რომ თვით ის სინამდვილეა გროტესკული, თვით ის ცხოვრებაა ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა, რომელიც დავითმა დაგვიხატა. ცხოვრება, როგორიც იყო და ნაწილობრივ დღესაც არის სინამდვილეში.

ადამიანთა არსებობა ცისქვეშეთში არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ეჭამოთ, ვსვათ, შვილები გავაჩინოთ და როცა დრო მოვა, აქედან ავიბარგოთ.

ადამიანები სხვა სულიერთაგან განსხვავებით მხოლოდ ბიოლოგიური არსებანი არ არიან. არადა, სწორედ ის მისია აღარ გააჩნიათ კლდიაშვილის გმირებს, რომლითაც ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათაგან განსხვავდება. ამიტომაც ადამიანი ადამიანის, ხოლო ცხოვრება ცხოვრების კარიკატურად ქცეულა. კლდიაშვილის გმირები კი იმდენად არიან საცოდავნი და თანალმობის ღირსნი, რამდენადაც მათ „მზამზარეულად" დახვდათ ასეთი ყოფა და ხშირად მათი თავგანწირული შრომაც ველარაფერს ცვლის... სხვათა შორის, პირველი ზარი, ეს რომ ასე მოხდებოდა, ილია ჭავჭავაძემ ჩამორეკა. მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ერთ დროს ქვეყნის თავისუფლების დამცველ თავადაზნაურობას საკუთარ სტომაქზე ზრუნვის „მისიალა" დარჩა, გაჩნდა თათქარიძეობის სენი. ილიას მკვახე შეძახილმა, სამწუხაროდ, ვერ გამოიღო შედეგი. ვერ თავის ჯგამს ჩამაცქერალი, ფუნქციადაკარგული (კუჭის ფუნქციას არ ვგულისხმობ) ლუარსაბ თათქარიძის უარყოფითი იდეალის მაგალითი მივიღეთ იდეალური ავთანდილის მაგალითის ნაცვლად, შემდეგ კი თათქარიძეობის მეტასტაზების განვრცობით ნამდვილი ცხოვრების წილ ნამდვილი ცხოვრების კარიკატურალა შეგვრჩა.

კლდიაშვილის გმირები არსებითად მისიადაკარგული თათქარიძის შთამომავალნი არიან იმ განსხვავებით, რომ ახალმა დრომ კუჭის ფუნქციის გათვალისწინებით მათგან ფიზიკური შრომა მოითხოვა. სხვა ფუნქცია, როგორც ვთქვი, მათ არ გააჩნიათ. სწორედ ამ აზრით არის კლდიაშვილის მიერ ასახული ცხოვრება ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა; სწორედ ამიტომ არის გაძევებული დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან ყველაფერი ის, რაც ერთ დროს გაჩნდა ადამიანს, არა მხოლოდ როგორც ბიოლოგიურ, არამედ როგორც ღვთაებრივ არსებას.

გაძევებულია სიყვარული;

გაძევებულია მოყვასისათვის თანადგომის ბუნებრივი სურვილი;

გაძევებულია სიახლის, უკეთესის ძიების გრძნობა;

გაძევებულია საერთო ბედნიერების შეგნების უნარი.

ამასთან, კლდიაშვილის სამყაროში პირველიც გვხვდება, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. ოღონდ ნამდვილის კარიკატურული, გროტესკული ფორმით. როგორც ვთქვით, აქ ყველაფერი თავდაყირა დგას. თავდაყირა დგას იმავე მიზეზით, რა მიზეზზედაც ილიამ თათქარიძეობასთან მიმართებაში გაუსვა ხაზი: ადამიანები ჭამენ, სვამენ, ხორცზე ზრუნავენ არა იმიტომ, რომ იცხოვრონ, არამედ ცხოვრობენ, რათა ჭამონ და სვან, ანუ მათი ყოფიერების საზრისს წარმოადგენს არა ცხოვრება, არამედ არსებობა. ცალ-ცალკე გამოვყოთ თითოეული თემა.

სიყვარულის კარიკატურული არსი

კი, სიყვარული გაძევებულია დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან. თქვენ ჯერ ნახავთ მის თხზულებებში ამურის ისრით დაჭრილ ქალ-ვაჟთა თრთოლვასა და ჩურჩულს. სიყვარული მხოლოდ გარიგების, აღებმიცემობის, ქალის ოჯახისათვის კუდის რიკამდე გატყავების, ვაჟის ოჯახისთვის კი ქონების შეძენის საშუალებად ქცეულა. თუმცა, „სამანიშვილის დედინაცვალში“ ისეთი სიუჟეტია გამოყენებული, რომ არა მისი კარიკატურული ფორმა და არსი, შეა საუკუნეების საგმირო-სატრფიალო რომანები გაგახსენდებოდათ.

როგორია კლასიკური მოდელი სატრფიალო რომანებისა?

ვაჟი, ბედაურზე ამხედრებული, მიდის სატრფოს საძებნელად და გზადაგზა საგმირო ამბებს სჩადის. ბოლოს პოულობს თავის გულისწორს, მრავალფათერაკგამოვლილი გამოიტაცებს სატრფოს და შემოიქცევა შინ.

ეს ყველაფერი „სამანიშვილის დედინაცვალშიც“ არის, ოღონდ, ვიმეორებ, საოცრად გროტესკული ფორმით და არსით. რაც მთავარია, მწერალი ამ ფორმას შეგნებულად კი არ მიმართავს სასიყვარულო თავგადასავლების კლასიკური მოდელის ირონიზირების მიზნით, როგორც ეს სერვანტესის „დონ კიხოტშია“, არამედ თვით ცხოვრება, კარიკატურული სინამდვილე სთავაზობს ფათერაკიანი თავგადასავლების სასაცილო და გროტესკულ სიუჟეტს.

პლატონიც „ბედაურზე“ ამხედრებული გამოდის შინიდან. ოღონდ სანახევროდ ეს „ბედაური“ მიაჩაჩქაებს გამწარებით მხედარს, სანახევროდ კი მხედარი მიათრევს წყევლა-კრულვით თავის „რაშს“...

პლატონს უანგარო დახმარებას სთავაზობს კირილე მიმინაშვილი, ისე, როგორც ტარიელს ავთანდილი, იმ განსხვავებით, რომ ტარიელი და ავთანდილი ფათერაკიან გზაზე მტერს ავლებენ მუსრს, კირილე და პლატონიც, „რალა თქმა უნდა“, ოღონდ მეორე დღეს კარგა ნაბეგვნი და ჩოხაშემოფხრეწილნი იღვიძებენ და ირკვევა, რომ უაზრო გაწევ-გამოწევასა და დავიდარაბაში შეცდომით ერთმანეთისთვისაც ლაზათიანად უთავაზებიათ მუშტები (?). ეს ჩვენი გაჭირვებულებიც ქალს ეძებენ, ოღონდ ბერიკაცისათვის მისაგერელ უშვილძირო ბებრუხანას...

ამათი „ოცნების ქალიც“ გამოსატაცებელია, ოღონდ ყამარის კომკიდან ან ქაჯეთის ციხიდან კი არა, შიმშილით მისავათებული ბრეგაძეების ფარღალა ქოხიდან, რომელთაც ერთი სული აქვთ, იქნებ ზედმეტად სარჩენი დედინაცვალი გამოაკლდეს მათს საერთო სალაფავს...

ახლა ისიც გაიხსენეთ, პლატონი თავის საიდუმლოს („ხამს თავისსა

ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს") რა გაჭირვებით ამოუღერღავს არისტო ქვაშვიძეს... ერთი სიტყვით, „ყველაფერი" აქაც ისეა, როგორც საგმირო-სატრფიალო რომანებში, ანუ მთელი კურიოზულობა პლატონის საგანი უფრო თვალსაჩინოა ამ სატრფიალო-სარაინდო რომანების კონტრასტის ფონზე.

ფათერაკები, დავიდარაბა ბეკინას საცოლეს გამო ხდება. ცნობა ამ ქალის შესახებ თხზულების დასაწყისშივე გაიელვებს. პლატონს დამგზავრებული პირველივე კაცი, ივანე გვერდწინიძე, სწორედ ამ ქალს ახსენებს. მერე და მერე ისევ ამ ქალის სახელი გაიელვებს. მოკლედ, ქალი არ ჩანს, მის გამო კი, მის ძებნაში მთელი ოდისეის მოწმენი ვხდებით და, რადგან ოდისეა ვახსენეთ, კიდევ ერთ კურიოზსაც გავუსვათ ხაზი, – არ ვიცი, შეგნებულად გააკეთა ეს დავითმა თუ შემთხვევითობაა – იმ დედაბერს, რომლის ძიებაში სათავგადასავლო საგის მოწმენი გავხდით, ელენე ჰქვია. ის პირმშვენიერი ასულიც, ტროას ომისა და ჰომეროსის გმირების ფათერაკიანი თავგადასავლების მიზეზი რომ გახდა, ელენე იყო... ამ ორი ელენეს გვერდიგვერდ ხსენებით კი კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ: კლდიაშვილის სინამდვილე თავისი პერსონაჟებითურთ მართლაც ნამდვილი ცხოვრებისა და ვნებების კარიკატურული გამოვლინებაა. ტრაგიზმი თავისთავად უკვე ამ ფაქტშია გამოხატული...

მოყვასის ცრუ სიყვარული

როდესაც დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა ცხოვრების უკუღმართ წესზე ვლაპარაკობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ იციან, როგორია ცხოვრების წაღმართი წესი.

თეორიულად მათ მშვენივრად უწყიან, რომ უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი. კურიოზიც და მათი შინაგანი ტრაგიზმიც სწორედ იმაშია გამოხატული, რომ ვერ ახერხებენ ცხოვრობდნენ ისე, როგორც ბუნებრივია ადამიანისათვის. იმავდროულად კი თავს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს სწორედ ბუნებრივი, კეთილშობილი გრძნობებითა და ვნებებით ცხოვრობენ...

ნახეთ, როგორ უყვართ მამა, ნათესავი, მეზობელი, საერთოდ, ადამიანი „სამანიშვილის დედინაცვლის" გმირებს:

დედის გარდაცვალების შემდეგ პლატონმა და მისმა მეუღლემ „გაარკვევს მოხუცებული მამის პატივისცემა და მოვლა; ორივენი გაფაციცებით თავს დასტრიალებდნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალში შეჰყურებდნენ, რომ ყოველ მის სურვილსა და საწადელს მისგან

გამოთქმამდის მიმხვდარიყვნენ და იმწამსვე აესრულებინათ“.

აქ მოხუცი მამისადმი სიყვარულის გულისამაჩუყებელი სურათია გადმოცემული.

როცა კირილემ შეიტყო, თუ რა საქმეზე მიადგა მას პლატონი, მყის მზაობა გამოამჟღავნა თანადგომისათვის:

„მეც შენთან ვარ მძებნელი, როგორც კაცი! ძმობას გეფიცები, არაფრის გულისთვის არ დაგშორდები!“

აქ სიძე-ცოლისძმის ერთობა მოგხიბლავთ.

„პლატონ, სატირალში არ მიივიდეთ?“ - ესეც კირილეა, სხვისი ჭირიც რომ ახსოვს თავის გზაზე მიმავალს_

არისტო ქვაშავიძემ პლატონის მოგზაურობის მიზეზი რომ გაიგო, პირდაპირ მოყვასისთვის თავგადადებულ რაინდად იქცა, უანგაროდ სთავაზობს სამსახურს პატიოსანი კაცი პატიოსან კაცს:

„პირველი შეხედვიდანვე ჩემი გული მოიგე და ამიტომ განვიზრახე შენთან დამოყვრება, დანათესავება“-ო, — უცხადებს.

ახლა ამ მოყვასის სიყვარულით „დამდნარი“ ხალხის საქციელის ნამდვილი მოტივები გავიხსენოთ:

პლატონი და მელანო იმიტომ ევლებიან თავს მოხუც ბეკინას, რომ ამ უკანასკნელმა ცოლის მოყვანა არ გაიელოს გულში!

კირილე ერთობის გამო კი არა, ღვინისა და გართობის საძიებლად მიჰყვება სინამდვილეში სიძეს.

სატირალშიც, ცხადია, „ქელეხის ხათრით“ უნდა წასვლა და არა ცრემლების საღვარღვალოდ.

ამ შერვენებულ არისტო ქვაშავიძეს კი მამიდის გათხოვება და სამანიშვილების დამოყვრება ერთადერთი მიზნით სურს - როგორმე საქვრივო წაართვას ამის გარეშეც დაქცეულ ქვედურეთელ ბრეგაძეებს.

ასე რომ, დავითის გმირებში მოყვასის სიყვარულის წალმართი გრძნობაც უკუღმართი ვნებებითაა შეცვლილი.

სიძულვილი სიყვარულის წილ

ეს უკუღმართი ვნება სიძულვილი გახლავთ. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრებისაგან ერთნაირად გვემულმა ადამიანებმა საერთო ბედის გამო უფრო ახლოს მიიტანონ გულთან ერთმანეთის გასაჭირი, პირიქით, იმაზე გახლავთ გამეცადინებული, თუ რა წაჰგლიჯონ და რა მოატყუონ ურთიერთს. ძმები დაოჯახების შემდეგ იყოფიან და ერთმანეთის ჯინზე ქონებას ისე ინაწილე-

ბენ, რომ ერთიც მშრალზე რჩება და მეორეც. გაიხსენეთ არისტო ქვაშავიძე: „თურმე ძმები გაყოფილან, სულ ფიცარ-ფიცარ გაუტანიათ სახლი და ახლა ორსავე რომ მთელად აღარა აქვთ მასალა, ქე არიან ისრე უბინაოთ...“

ერთი დედ-მამის შვილები რომ ასე გაუბოროტდებიან ურთიერთს, რალა იქნება უცხო ან უბრალოდ ნაცნობ ადამიანებს შორის?

სტუმრის დანახვისას პირზე სულ „მობრძანდი, ბატონო“ და „შემოგევლე“ აკერიათ, მაგრამ ახლა მათს გულში ჩაიხედეთ:

„- ის ვინაა, აივანზე რომ წამოჭიმულა? - უსიამოვნოდ, წარბების შეხრით შეეკითხა დათია ცოლს სტუმრის დანახვისთანავე.

- რა ვიცი, ვილაც სამანიშვილიაო... არისტომ მოათრია!“

კლასიკური მაგალითი ამ „კეთილშობილი“ ადამიანების ურთიერთსიძულვილისა იმ სცენაშია გამოხატული, სტუმრის პატივსაცემად ქათმის დაჭერა რომ განუზრახავს მასპინძელს და ჭირიანი ქათმისთვის ნასროლი ჭოლოკით აკი სტუმარს მოსტეხს ბარძაყს. მოვუსმინოთ მწერალს: „ქათამს ისევ დასდევდნენ დასაჭერად და ამიტომ არისტო მორიდებით მიდიოდა წინ, რომ არავინ შეხვედროდა.

უეცრივ, რაღაცამ გაისისინა ჰაერში და არისტოს მძიმედ მოხვდა ჭოლოკი მარჯვენა კუნთში.

- არ მომკლა ამ ვირმა! - გამწარებით წამოიძახა მან და იქვე დაეცა მიწაზე გულშეწუხებული. - აი, თქვენი რჯული, აი თქვენი!.. ოოოჰ, ოოოჰ! ქე არ მომკლეს ამ ურჯულოებმა ერთი წრიპა ქათმის გულისათვის!.. ამოგივარდათ ოჯახი! ოჰ, ოჰ, ოჰ! - ტკივილისაგან მიწაზე წრიალებდა არისტო და ორივე ხელით იზელავდა კუნთს. - თქვენ დაგწყეველოთ ღმერთმა, თქვენ შეგაჩვენოთ დამბადებელმა, ვის გაუგონია ღამეში ჭოლოკებით ქათმის დევნა! ყველაფერში უხეიროები, ყველაფერში!..“

თეძომოტეხილი და გამწარებული სტუმრის წყევლა-კრულვა შეიძლება გაიგოს კაცმა, მაგრამ ამ სასაცილო სცენას ერთობ საინტერესო ფინალი აგვირგვინებს:

„- თითქოს განგებ ჩემთვის ესროლოს ამ შეჩვენებულს! - გაეცინა თვით არისტოს. - ძალიან არ გაუხარდება, რომ გეიგოს!..“

„და მან გადაწყვიტა, რაც შეეძლო, ძალა დაეტანებინა თავის თავისთვის, დაეძლია ტკივილი და მასპინძლისათვის, მათდა სასიხარულოდ, არ გაეგებინებინა ეს ამბავი“.

წარმოიდგინეთ ეს „მოსიყვარულე“ თანამეინახენი, მცირე ხნის შემდეგ ერთ მაგიდასთან შემომსხდარნი, ერთმანეთის „პატივისცემისა“ და „ძმობის“ მტკიცებით რომ მოიოხებენ გულს.

ყოველივე ზემოთქმულიდან კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ ადამიანებს კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა სხვა მისია არ აწუხებთ, მათ ერთ ბედს ქვეშ ყოფნა ერთმანეთის შეჭირვების თანაზიარებად კი არ ხდის და ერთ მუშტად კი არ კრავს, არამედ, პირიქით, ერთმანეთის მტრებად აქცევს. საერთო გაჭირვებიდან თავდასხმელად ურთიერთდახმარების ნაცვლად ისინი ურთიერთმოტყუებითა და მტრობით არიან დაკავებულნი.

იგივე შეიძლება განზოგადდეს და ითქვას მთელი ერის შესახებაც.

ხსნის ეშმაკეული გზა

არსებობისათვის მებრძოლი და არსებობისათვის ბრძოლაში სულიერებადაკარგული ადამიანის გაბოროტება კიდევ უფრო შორს მიდის.

კლდიაშვილის გმირები ისეთ ზრახვებს გაუტაციათ, თითოეული მათგანი მალთუსის ნამოწაფარი გეგონებათ.

ნამდვილი ცხოვრების დროს, ადამიანური არსებობის ვითარებაში, როგორც წესი, სიცოცხლის დაბადება დღესასწაული, სიკვდილი კი ყველაზე დიდი უბედურებაა. კლდიაშვილის სინამდვილე, როგორც ვთქვით, კარიკატურული სინამდვილეა და, შესაბამისად, აქ ბედნიერება–უბედურების ცნებებიც ამ სინამდვილესთან სრულ შესაბამისობაში გახლავთ.

თუ რამ საწყენი ჰქონდა ოჯახს, ეს იყო პლატონის ცოლის, მელანოს, ხშირი შვილოსნობაო – ვკითხულობთ ტექსტში.

საკუთარი შვილების სიმრავლეს რომ შეუწუხებია კაცი, რაღა გასაკვირია, იგი კაცობრიობის გამრავლების გამო მოთქვამდეს.

„– ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო! ხალხი მომრავლდა– ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა–“ – მიმართავს პლატონი ადვოკატ გვერდწითანიძეს, რომელსაც, თავის მხრივ, არაფერი აქვს საწინააღმდეგო, „ჩხუბით“ გაიწმინდოს ქვეყანა და მზისქვეშეთში უფრო დიდი ადგილი ხვდეს წილად.

გვერდწითანიძე პირდაპირ მოთქვამს იმის გამო, რომ „ი დალოცვილი ღმერთიც თავის მოწყალებას ჩვენზე ძველებური წესით გვიცხადებს: ხალხს ამრავლებს, ყოველ ოჯახს შვილებით ავსებს– მადლიანს თითო-ოროლა შვილი დაეკლო, ამათ მაგიერათ სარჩო მიემატებია, ის არ აჯობებდა?“

ერთი სიტყვით, ადამიანებს, რომელთაც არანაირი სულიერი ორიენტირი არ გააჩნიათ, აურჩევიათ ყველაზე მარტივი გზა: არ იქნება ის – ვიქნები მე, არ იქნება ის, მექნება მისი ქონებაც. ასევე ფიქრობს პირველზე მეორე –

მეორეზე მესამე და ა.შ. აქედან მოდის ის გაბოროტება და გაგულისება, რომელიც ხან ერთმანეთის ზურგს უკან დამუნათებით გამოიხატება, ხანაც დენთის კასრივით იფეთქებს ხოლმე და სრულიად უმიზეზოდ ცემა-ტყეპითა და სასიკვდილოდ გამეტებითაც კი მთავრდება.

ღვთის შიში

ერთადერთი, რაც ოდინდელი ცხოვრების ნორმებიდან კლდიაშვილის კარიკატურულ სინამდვილეში ჯერ კიდევ შემორჩენილა, ეს არის ღვთის შიში. ვამბობთ შიშს და არა რწმენას, ვინაიდან ქრისტიანული რწმენის თვალსაზრისითაც აქ ყველაფერი თავდაყირა დგას, რადგან ღვთისმორწმუნე ადამიანებს დღენიადაგ ულვთო ფიქრები უტრიალებთ გონებაში.

მათი რწმენა არსებითად ცრურწმენაა იმდენად, რამდენადაც სწამთ არა ღმერთი, ვითარცა სიკეთე, არამედ ღმერთი, როგორც ზებუნებრივი ძალა, რომელიც არსებობს არა ჩვენში, არამედ განყენებულად და რომელსაც შეუძლია ჩვენი ბედის ტრიალი ან ავად, ან კარგად. ეს კი ბადებს ადამიანის შიშს ღვთისადმი.

ადრე ვთქვით, რომ კლდიაშვილის გმირები უფუნქციოდ (კუჭის ფუნქციის ამარა) დარჩენილი ლუარსაბ თათქარიძის შთამომავალნი არიან იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელთ არსებობისათვის ბრძოლა ახალ დროში თავად უხდებათ. ნახეთ, როგორ ჰგავს პლატონის ფიქრები ლუარსაბისას: ლუარსაბი უშვილობის გამო შესჩიოდა არსთაგამრიგეს: არ მიპარავს, არ მიქურდია, კაცი მე არ მომიკლავს და რისთვის მსჯი, შე დალოცვილო ღმერთოო. პლატონი კი ახალი სიცოცხლის მოსალოდნელი მოვლინების გამო იმავე გრძნობით მოთქვამს: „რა დააშავა, რა აწყენია (ღმერთს – ნ.გ.) ამისთანა, რომ ასეთი სასჯელი მიესაჯა? რა ქნა ისეთი, რომ ამგვარი წყრომა დაიმსახურა? რისი გულისთვის ისჯება ასე მწარედ?.. და პლატონი ყოველ თავის ნამოქმედარს, ყოველ თავის წარსულს იხსენებდა და არჩევდა, თუ რით შეეძლო განერისხა ღვთაება და გამოეწვია მისგან ასეთი მისი შეუბრალებლობა. არაფერი, სრულიად არაფერი საამისო არ უქნია. კაცი არ მოუკლავს, არ დაუჩეხია, არ უეშმაკნია ჯერეთ. ჯერეთ არც უქურდნია, არაფერი მოუპარავს, არავისთვის არაფერი არ წაურთმევია... ამ სიტყვაზე კი შედგა, შეჩერდა პლატონი... არ წაურთმევია, მაგრამ ხომ ართმევს ბრეგაძეებს, კანონიერად კი, მარა ხომ მაინც ართმევს მასზე უფრო საწყალთ, მასზე უფრო გაჭირვებულთ...“

ამ ფიქრით გულგახეთქილი პლატონი ადვოკატ გვერდწინიძესთან გაიქცა და თავად გადაიხადა დაქცეული ბრეგაძეებისათვის წასართმევი „საქვრივოს“ წილი.

ამ დეტალით კაოგად ჩანს იმდროინდელი საზოგადოების ყოფაში ჯერ კიდევ არსებული ღვთის შიშის გრძნობა, რაც ბოლომდე წახდენისაგან აკავებდა უფსკრულის გზაზე შემდგარ ადამიანებს.

კიდევ ერთი დეტალი: ელენესაგან შვილის დაბადება და ოჯახში ქონების მოზიარის გაჩენა არც ბეკინას სურს, მაგრამ, როცა პლატონი მასთან იმ დროისათვის გაუგონარი წინადადებით მივიდა, მოხუცმა შეჰყვირა:

„- ღმერთი დეიცწყე, შე უბედურო?.. ღმერთი აღარ გაგახსენდა, მაგისთანა აზრები რომ თავში მოგივიდა?! მოხუცებულ კაცს მაძალებ სულის წასაწყმედი საქმე ჩავიდინო?.. ღვთის ჩასახული კაცი მოვკლა?.. გაგიჟდი, შე ღმერთგამწყრალო? რავა მეუბნები, დედაკაცს მუცელი მოვაშლევინო?! რამ გაფიქრებია ამნაირი ულვთო საქმე, რამ?“

სამწუხაროდ, მერმინდელმა დრომ ბევრი რამ იმემკვიდრა კლდიაშვილის მიერ აღწერილი სინამდვილიდან უკეთურების გზაზე იმ შემაკავებელი ფაქტორის გარდა, რასაც ღვთის შიში ჰქვია...

კმაყოფილება

სულიერად ძალიან ღარიბი და სულიერად მდიდარი ადამიანები, როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ერთ რამეში ერთმანეთს ჰგვანან - ერთიცა და მეორეიც მცირედითაც კმაყოფილები არიან.

აკაკის ზნესრული პერსონაჟი გაიხსენეთ - ბათუ,

„რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი“.

ახლა პლატონის ბედნიერ ყოფას მივადევნოთ თვალი, ვიდრე იგი ასეთად თელიდა თავს: „ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამ წამოძახილით პლატონი თავის გულითად მადლობას უცხადებდა ზეციერ მამას, რომ შემცილებელი არავინ გაუჩინა ღარიბ ლუკმაში. თავის ცოტაზედაც კმაყოფილი, ამ თავის მცირედითაც ბედნიერი, იგი გულმოდგინედ ურტყამდა თოხს მიწას და ოჯახში სრული კმაყოფილება სუფევდა“.

სულით ღარიბი და სამშვილველით მდიდარი პერსონაჟების კმაყოფილებას კი იმდენად განსხვავებული საფუძველი უდევს, რა სხვაობაც ჭეშმარიტ ყოფასა და კარიკატურულ ყოფას შორის გახლავთ.

ბათუს და მისნაირ ზნესრულ ადამიანებს იმდენად აკმაყოფილებთ მცირედი, რამდენადაც მათი კმაყოფილებისა და ბედნიერების განსასაზღვრავად

არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება ქონებრივ მონაპოვარს.

არსებობისათვის საკმარისი მატერიალური სახსარი მათთვის საკმაოთ უშფოთველად მისაღებია, რადგან ბედნიერების ცნება მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებებსა და ლტოლვებს უკავშირდება. ისინი მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რათა იცხოვრონ საკუთარი მრწამსითა და არჩევანით და ამ არჩევანის ბედნიერად დაგვირგვინების შემთხვევაში არიან ბედნიერნი.

პლატონი და პლატონის მსგავსი, საკუთარ ჯგამს ჩამაცქერალი პერსონაჟები კი იმდენად არიან მცირედითაც კმაყოფილნი, რამდენადაც მათი სულია, მოთხოვნილებებია ღარიბი.

მოუთხოვნელობით მოპოვებული გულის სიმშვიდე კი იმ კაცის ხვედრია, რომელიც ცხოვრობს, რათა იარსებოს და, თუ ეს არსებობა გარანტირებული აქვს, შეუძლია უშფოთველად მარცვლოს ჟამთასვლის კრიალოსანი.

ერთი სიტყვით, კლდიაშვილის გმირთა უბედურების საფუძველიც ნამდვილი უბედურების გროტესკად აღიქმება (უბედურების საფუძველია, ვთქვათ, ძმისთვის ძმის დაბადება) და ბედნიერების მათეული საზომებიც ღიმილის-მომგვრელია.

არადა, მწერალმა სინამდვილის პაროდირება კი არ შემოგვთავაზა, მაღალმხატვრულად აღგვიწერა თვით სინამდვილე, რომელიც თავისთავად იყო გროტესკული და უხეირო, დამახინჯებული ჩრდილი ნამდვილი ცხოვრებისა. იყო და, სამწუხაროდ, არის.

«ქამუშაძის გაჭირვება»

ჩვენ მიჩვეული ვართ იმას, რომ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ პრობლემას კონკრეტული პერსონაჟის ან პერსონაჟთა ცხოვრების ფონზე წარმოაჩენს. წყვეულაკრულვიანი საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს დავით კლდიაშვილის განსახილველ თხზულებას, ნაწარმოების სათაურშივეა გამოტანილი. ეს საკითხი, ეს დაწყევლილი პრობლემა გახლავთ გაჭირვება, სოციალური ბედუკუღმართობა. „ქამუშაძის გაჭირვება“ ამ თხზულებას იმდენად ჰქვია, რამდენადაც მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა გაჭირვებული აზნაური, – სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, მაგრამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ოტია ქამუშაძის ცხოვრების აღწერა მხოლოდ ფონია, მხოლოდ კონკრეტული მაგალითია საყოველთაო სილატაკის საჩვენებლად. ამიტომ დავით კლდიაშვილის აღნიშნულ მოთხრობას, ისე როგორც ყველა მის ნაწარმოებს, ერთი საერთო სათაური შეიძლება „დაენათლოს“ – „ცხოვრება მიუსაფართა და გაჭირვებულთა“.

დიახ, დავით კლდიაშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი დროის თავისებური „ჰაგიოგრაფია“ იმ განსხვავებით, რომ მაღალი იდეალებისათვის მარტვილ წმინდანთა ცხოვრებას კი არ აღწერს, არამედ ჩვეულებრივ, რიგით ადამიანთა არსებობისათვის ბრძოლასა და წამებას.

ადამიანი, რომელიც მაღალი იდეისათვის მარტვილობს, ინარჩუნებს, იძენს და სრულყოფს ყოველგვარ სიწმინდეს, მაღალ ადამიანურ თვისებებს, ხოლო მოქალაქენი, რომელნიც, უბრალოდ, ფიზიკური ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე დგანან, რომელთაც კუჭი უხმებათ შიმშილით და ემუქრებათ შიმშილით სიკვდილი, მთელი ცხოვრების მანძილზე მარტვილობენ, მთელი ცხოვრების მანძილზე ეწამებიან. ეს წამება ყველა სხვა ტანჯვაზე უფრო მტანჯველია და გულისმომკლელი, რადგან ამ ტანჯვაში ისინი ვერაფერს იძენენ, დაკარგვით კი კარგავენ ყველაფერს იმას, რაც ადამიანს ადამიანად ქმნის.

„ქამუშაძის გაჭირვება“ 1900 წელს დაიბეჭდა. ნაწარმოებში დასმულია მწვავე სოციალური პრობლემა, ეს პრობლემა დღესაც, თითქმის საუკუნის

შემდეგაც, არანაკლებ აქტუალურია თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის. ამდენად, თუ თხზულება მთელი სიმძაფრით განიცდება თანამედროვე მკითხველისაგან, ნაწარმოების მაღალმხატვრულ ღირსებებთან ერთად ამაში ლომის წილი უდევს თვით პრობლემის აქტუალობასა და თანადროულობას.

„ქამუშაძის გაჭირვება" არ არის მხოლოდ ისტორიიდან გარიყულ კლასზე „შემოდგომის აზნაურებზე" დაწერილი მოთხრობა. მწვავე სოციალური სურათის ნეგატივზე აზნაურიცა და გლეხიც ერთნაირად უბადრუკ მდგომარეობაშია აღბეჭდილი იმ განსხვავებით, რომ ოდესღაც მაძღარი, ახლა კი ახალ პირობებთან „შეგუებული" აზნაური უფრო გასაცოდავებული გამოიყურება.

დავით კლდიაშვილის უმთავრესი თემაა არა ცალკე აზნაურის ან ცალკე გლეხკაცის, არამედ, საზოგადოდ, ადამიანის შეჭირვებული ყოფის ასახვა.

შიმშილით სული სძვრებათ არა მარტო აზნაურებს: ქამუშაძეებს, ქველიძეებს, სანიკიძეებს, ქუთათელაძეებს და სხვებს, არამედ გლეხკაცთაც.

ყველას ოჯახში ერთნაირი „მდუღარე დუღს". ყველა სასოწარკვეთილია. „მთელი სოფელი შეწუხებული იყო, - ვკითხულობთ მოთხრობაში, - შიმშილობა კარზე მომდგარი იყო. ყოველი მხრიდან გულის ამრევი ამბები ისმოდა. ჭირნახულის ფასი დღე-ღამეზე მატულობდა. ხელმოკლე სოფლელებისათვის მიუწვდომელი ხდებოდა სარჩოს ყიდვა. ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ თამარაშენის ზემო კუთხის გლეხი, პავლია მერაბიძე, ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა შიმშილის გამო და ცოცხალ-მკვდარი ბაწრიდან ჩამოიღესო, - დროზე მიესწროთ. რამდენიმე კაცი, კიდევაც ასახელებდნენ, - სოფლიდან წასულიყო სამათხოვროდ ქალებით და ბავშვებით".

ამ საზოგადო გაჭირვების წარმოდგენის შემდეგ, ცხადია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ დავით კლდიაშვილის სამყაროში მხოლოდ გალატაკებული აზნაურები გმინავენ, გლეხებს კი, როგორც უფრო მშრომელებსა და ამტანთ, ულხინთ. არა, ასე არ გახლავთ საქმე. თუმცა გლეხობასა და აზნაურებს შორის დაპირისპირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ეს პროცესი ასახა კიდეც დავით კლდიაშვილმა, მაგრამ რა კუთხით და როგორ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი, შესავალშივე, ერთი რამ უნდა განვაცხადოთ: დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა და მათ შორის „ქამუშაძის გაჭირვების" ძირითადი თემაა არა კლასობრივი ანტაგონიზმის ჩვენება, არამედ ის, თუ რა სჭირს, როგორი ხდება ადამიანი, როგორი ხდება საზოგადოება შიმშილის, გაჭირვების, ეკონომიკური სიდუხჭირის ჟამს.

რა სჭირს ადამიანს?

სოციალურად ავადმყოფი საზოგადოება ავადმყოფ ადამიანებს შობს. „ქამუშაძის გაჭირვების“ მიხედვით პირველი, რაც ასეთ საზოგადოებაში თვალშისაცემია, არის ტოტალური გაუცხოება. გაუცხოება, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა წოდებრივი, ქონებრივი, ზნეობრივი, გონებრივი სხვადასხვაობა. უფრო მეტიც, ასეთ საზოგადოებაში შესაძლოა ადამიანები ერთი წოდების წარმომადგენლებიც იყვნენ, თანაბარი ქონების, ზნეობისა და გონების პატრონნი, მაგრამ მათ შორის მაინც სრული გაუცხოება სუფევდეს, რადგან გაჭირვებულ ადამიანებს ერთმანეთისთვის არ სცალიათ... ადამიანი, ბუნებისა და საზოგადოების ნაწილი, სწყდება ბუნებასა და საზოგადოებას და საკუთარ თაში გამოკეტილი, თავის მძიმე ფიქრებთან დარჩენილი სრულ მარტოობას განიცდის. ასეთ იძულებით მარტოობაში, ერთი შეხედვით, თვინიერად გამოკეტილი ადამიანი ხაფანგში გაბმულივით წრიალებს, საკუთარ თავს აწყდება, ბორგავს, ნერვიულობს და მგელივით აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თუ ვის მიუხტეს, ვის წაჰგლიჯოს, ვინ გააუბედუროს, რომ თავისი დაწუვლილი ცხოვრება ცოტა მაინც გამოასწოროს. გადარჩენის ინსტინქტით მცხოვრები კაცი მხეცი ხდება და იმარჯვებს ის, ვისაც შეუძლია მოხერხებულად, სხვათა შეუმჩნეველად მოირგოს მხეცის ნიღაბი. მოხერხებულად და შეუმჩნეველად, რადგან სხვებმა ეს არ უნდა შენიშნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვები ალარ გაცუცურაკდებიან, ალარ მოტყუვდებიან.

საყოველთაო გაჭირვების ჟამს მეზობელი მეზობელს არ ინდობს, ძმა - ძმას, დედა - შვილს, შვილი - დედას.

ასეთ შემზარავ სურათს ხატავს მწერალი „ქამუშაძის გაჭირვებაში“.

დაბოლოს, ყოველივე ამას ემატება შელახული თავმოყვარეობის გამო ძლიერი სულიერი ტანჯვა, რისგან „თავის დაღწევაც“ ისევ გაუცხოებით ხდება. ადამიანი გაურბის საკუთარ თავს, არ სურს დაინახოს თავისი რეალური მდგომარეობა, არ სურს შეეგუოს თავის ყოფას და ცდილობს თავი წარმოგვიდგინოს არა იმად, რაც არის, არამედ ისეთად, როგორიც სურს იყოს. ამით კი იგი ემსგავსება იმ სირაქლემას, რომელსაც თავი ქვიშაში ჩაურგავს, შეუმჩნეველი რომ გახდეს...

იმდენად დიდია კლდიაშვილის გმირებში ადამიანურად ცხოვრების ჟინი, რომ ოდესლაც მართლა არსებული, მაგრამ ახლა მხოლოდ ოცნებებში

გამონაკლისი სასურველი ყოფა რეალურად ეჩვენებათ. მათთვის დარღვეულია ზღვარი ილუზიურსა და ნამდვილს შორის, ის, რაც სურთ იყონ, ჰგონიათ, რომ მართლა არიან. ეს არის თავისებური გაქცევა სინამდვილიდან, ზურგის შექცევა, პროტესტი მკაცრი რეალობის მიმართ. ამ თვითდაჯერებას, ასეთ თვითდარწმუნებას ისინი განიმტკიცებენ ტრაბახით, ბაქიაობით, ამპარტავნობით. იმდენად გათავისებული აქვთ სასურველი როლი, რომ ჰგონიათ, ეს როლი კი არა, მათი ნამდვილი სახეა და ცხოვრობენ ასე – „კმაყოფილნი“. ეს გამაოგნებელი „კმაყოფილება“ აქცევთ მათ კომიკურ პერსონაჟებად. ეს „კმაყოფილი“ გმირები მკითხველში იწვევენ სევდანარევი ღიმილის გრძნობას. დროდადრო კი ცხოვრება მთელი თავისი სიმკაცრით წამოიფოფრება და კლდიაშვილის პერსონაჟთა კმაყოფილებას ერთი დაკვრით აცამტვერებს. სასურველი როლით, სინამდვილედ წარმოდგენილი ილუზიებით მცხოვრებნი ამ დროს უბრუნდებიან საკუთარ თავს და ხაფანგში გაბმულებივით წრიალებენ. სულის სიღრმემდე შეძრავთ თავიანთი ყოფის ტრაგიკული განცდა, მაგრამ გამოსავალი მათთვის არ ჩანს.

ტოტალური სიღარიბე და გაჭირვება ადამიანს შლის, ანადგურებს სულიერად და ზნეობრივად. მისთვის აღარ არსებობს მეგობრობა, სიკეთე, სიყვარული, სინდისი.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ მავანი თხოვდება, მავანს ცოლი მოჰყავს, მაგრამ ამ ნაწარმოებში თქვენ ვერ ნახავთ პერსონაჟებს, რომელთაც სიყვარულით უთრთით გული. სიყვარული კლდიაშვილის სამყაროდან გაძევებულია, რადგან ლუკმაპურის მოსაპოვებლად გამთენიიდან დაღამებამდე ყანაში ჩამდგარ, წელში გაღუნულ ადამიანებს სულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ სცალიათ, მათს ცხოვრებას კუჭი განაგებს, მშიერი კუჭი. დამშეული ადამიანი კი საშიშია, დაუნდობელი. აი, იმ საფიქრალთა წყება, რომელსაც აღძრავს „ქამუშაძის გაჭირვება“. ზოგადად, ყოველივე ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

უბედურია ქვეყანა, სადაც უპირველესი პრობლემა კუჭის პრობლემა, არსებობისათვის ბრძოლაა.

უბედურია დამშეული საზოგადოება, ცოდვიანია, უსიყვარულო და გაუტანელი. ასეთ საზოგადოებაში ნიჭიერიც ის არის, ძლიერიცა და კეთილდღეობაში მყოფიც, ვინც რიგით მატყუარებზე უფრო მეტი მატყუარაა, ვინც ყველაზე გაქნილი და მოხერხებულია.

„ქამუშაძის გაჭირვება“, როგორც ვთქვი, 1900 წელს დაიბეჭდა. საუბედუროდ, ყველა ზემონახსენები პრობლემა დღევანდელი დღის პრობლემაც არის.

ახლა კი ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ ის საკითხები, რომელნიც „ქა-ნმუშაძის გაჭრვების“ სიუჟეტშია ჩაფენილი.

გაუცხოება წოდებათა შორის

თამარაშენში, კანცელარიის წინ, შაბათობით იკრიბებოდნენ გლეხები და ღარიბი აზნაურები. ეს ხალხი არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან. თითეული მათგანის ჩაცმულობა და დაღვრემილი სახე მათს სიდუხჭირეს ადასტურებდა. მაგრამ აზნაურებს სისხლსა და ხორცში გამჯდარი უპირატესობის გრძნობა უბიძგებდათ განკერძოებულიყვნენ. მათ აქ ცალკე ადგილი ჰქონდათ აჩენილი - იმ ცაცხვს, რომლის ქვეშაც ჯდომა იცოდნენ, „აზნაურების ცაცხვის“ სახელიც კი დაერქვა. ეს მცირე დეტალი ზუსტად ხატავს წოდებათა ურთიერთობის სურათს. ერთნაირად დამშეულ აზნაურსა და გლეხს შორის, ნაცვლად იმისა, რომ თანალმობის ხიდი გაიდოს, შეუვალი კედელი აღმართულა. აზნაური გლეხს არ კადრულობს, მასთან ჯდომას და მუსაიფს თაკილობს.

ასეთი ამპარტავნობა კი მეტისმეტად კომიკური ჩანს გალატაკებულ აზნაურთა ცხოვრების ფონზე. აზნაურები იძულებულნი არიან ისევე თავდაუზოგავად ებრძოლონ მიწას, როგორც გლეხი შრომობს. ოტია ქამუშაძე გამთენიიდან გადის ყანაში და ზედ აკვდება სახნისს ისე, როგორც მის მეზობლად მისსავე დღეში მყოფი აზნაურები და გლეხები. ასეთ დროს ოტიას „ულაფერი დავიწყებული ჰქონდა: თავისი წოდებაც, გვარიშვილობაც, სიამაყეც. იგი იყო მუშა, გულმოდგინე, თავდაუზოგველი მუშა“.

ერთხელ ამ ყოფაში ნახა ოტია მისმა ახლადშერთულმა მეუღლემ. შეურაცხყოფილ აზნაურის ქალს ბოლომით გული გაუსკვდა. „იგი თავისი თვალით ხედავდა, ამ წამში, ამხანად, მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველი მხრივ ისეთივე გლეხი, როგორც აი, გადაღმა ყანაში მომუშავე პეტრია დინარაძე...

გულმოკლული, დაღონებული, გარეტიანებული დაბრუნდა სონია სახლში და თვალწინ მოუშორებლად უდგა მისი ქმარი - გლეხი, ყაზახი გარეგნობით, შეხედულებით, საქციელით, მოქმედებით და შეძლებით... შეძლებითაც“.

როგორც ვხედავთ, შრომა, გლეხივით შრომა, აზნაურისათვის სულის სიღრმემდე შემძვრელი და შეურაცხმყოფელია, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, სხვა გამოსავალი არ ჩანს, უნდა „გაყაზახდეს“ და მიწის მუშად იქცეს. აკი ასეც ხდება, მაგრამ აზნაურობას, ბატონობას მაინც ვერ ივიწყებს და კუდაბზიკო-

ბა სასაცილო დღეში აგდებს.

ოტიას ბიძა, ლევან ქამუშაძე, შიმშილით მოკვდა, „გოგო“ ოტიასთან შემოირბენს და ყვირის: არიქათ, გვიშველეთ, ბატონი კვდება, ბატონიო.

შიმშილით კაცს სული სძვრება, მას კი ისევ „ბატონად“ იხსენიებენ. ეს ერთადერთი სიტყვა მთელი სისრულით ხატავს აზნაურთა ტრაგიკომიკურ ყოფას. ხომ ასე გაჭირვებულია ოტია და მისი ოჯახი და მაინც, როდესაც სონია შეიტყობს, რომ ოტიას სურს შეძლებულ გლეხს, სამადაძეს, მოანათვლინოს შვილი, შეურაცხყოფისაგან გადაირევა. გლეხთან დანათესავება მისთვის უბედურების ტოლფასია.

როგორც იქნა, სონია დაიყოლიეს. სამადაძეს ბავშვი მოანათვლინეს.

ნათლობის სუფრაზე თანამეინახენი ერთმანეთს აუშარდნენ. გამობრუჟული, აბანცალებული სამადაძე მოჩხუბართა გაშველებას მოინდომებს და აჭინჭყლებულ აზნაურს, ბესარიონ ქამუშაძეს, აჩუმებს.

– გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! – წამოენთო აზნაური და გულმოსულმა მუშტი წაჰკრა „გათავხედებულ“ გლეხს.

– ყაზახი ვარ! – შეჰყვირა სამადაძემ, – ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოურიშვილს კიდევ ვჯობივარ!

ამ „შემოდგომის აზნაურის“ ხსენებამ ბევრი ააპილპილა.

– გააგდეთ მაგ– გააგდეთ მაგ ქინქლიანი ყაზახი!..

ოტიას ოჯახს როცა უკიდურესად გაუჭირდა, როცა ცივი მჭადიც სანატრელი გაუხდა, ამპარტავანი ეკვირინე იძულებული გახდა, „ქინქლიან ყაზახს“, სამადაძეს, მისდგომოდა და მისთვის ეთხოვა სიმინდი. გლეხმა უარი არ უთხრა, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ღამით, ჩუმად გადაუტანა, მეზობელს რომ არ დაენახა და ქამუშაძეებს სოფელ-ქვეყანაში თავი არ მოსჭროდათ–

აი, ასე თავაღერილნი დაჰყურებდნენ „შემოდგომის აზნაურები“ მეზობელ გლეხებს. გაჭირვებას, ერთ ბედქვეშ ყოფნას ისინი თითქოს უნდა დაეახლოვებინა, წოდებრივი განსხვავებულობის უკვე ბალავარგამოცლილი კედელი უნდა მოერყია და დაენგრია, მაგრამ ასე არ მოხდა. სიღატაკე, როგორც ჩანს, ადამიანთა თანალმობის საფუძვლად ვერ იქცევა, პირიქით, იგი უფრო თიშავს და აბოროტებს სხვადასხვა წოდების ადამიანებს. მაგრამ იქნებ ერთი წრის წარმომადგენლებს კრავს ერთ მუშტად საერთო სატკივარი? იქნებ თვით აზნაურები პოულობენ ერთურთთან საერთო ენას? არა და არა. ერთი და იმავე წრის წარმომადგენლები კიდევ უფრო გულდახშულნი არიან ერთმანეთის მიმართ. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ შესაბამისი მაგალითები სანთლით საძებნელი არ გახლავთ.

„ჩვენ ალარც კი ვეკარებით ერთმანეთს“

ამ სიტყვებით გამოხატა ოტიას დედამ, ეკვირინემ, თავის მაზლსა და სანათესაოსთან დამოკიდებულება. დიახ, ერთი წრის ხალხი, მეზობლები, ნათესავები ერთმანეთის უბედურებით ხარობენ.

უცნაური რამ სჭირს გაუბედურებულ ადამიანს. თუ უბედურება საყოველთაოა, უფრო უძლებს პირად გაჭირვებას. ხოლო თუ „მარტოისად“ მასზე „არიან ჭირნი ესე“, სხვანი კი დალხენილად ცხოვრობენ, მაშინ ორმაგად ბედკრულად მიიჩნევს თავს. ერთიც არის: დატანჯულმა კაცმა თუ კიდევ უფრო მეტად გაწამებული იხილა, როგორღაც თვითმყოფილების გრძნობა უჩნდება, აქაოდა, ჩემზე უბედურებიც ყოფილან ქვეყანაზე და, მადლი უფალს, მათსავით რომ არ ვარ დაცემული და იმათებურად რომ არ მიჭირავს სული კბილითო.

სიკეთის მადლისგან დაცლილი ადამიანებისთვის ასეთი ფიქრი ჩვეულებრივია და „ადამიანური“. ასე ხდება „ქამუშაძის გაჭირვებაშიც“.

ოტიას ბიძის, ლევან ქამუშაძის ოჯახი სრულიად გაპარტახებულია, მოხუცი აზნაური სიკვდილს ნატრობს. უფრო მეტი სიღატაკე, რაც ამ სახლში სუფევს, წარმოუდგენელია. მათი ხილვით გულდათუთქული სონია ქმრის ნათესავებს შეიბრალებს. ეს არ ესიამოვნება მის დედამთილს, ეკვირინეს და ნიშნის მოგებით ლაპარაკობს: „ახლა ტირის მაგ შავ დღეზე გარინილი თავის საქმეს? აქამდისინ სად იყო?“.

მოხუც ლევანსა და მის ცოლს ეფროსინეს ასევე მტრად გადასდგომია ოტიას მეორე ბიძის, ომანის, სახლეული.

ეკვირინე კი, თავის მხრივ, მხოლოდ ლევანის კი არა, ომანის ოჯახსაც დღედაღამ წყევლის და თაქავს.

- რა საცოდავი ყოფილა, ბეჩა, ეს უბედური ომანი! - ახლა ომანის სიღატაკის ხილვას აუჩვილებია სონიას გული.

- საცოდავი არიან, აბა!.. მარა მაინც არ წყნარდებიან, ყოველთვის ერთ შფოთსა და უბედურებაში არიან. ვერაფერმა ვერ დაამშვიდა– ვერც სიღარიბემ და ვერც სიღატაკემ, - იქედნურად უპასუხა რძალს ეკვირინემ.

ომანს შვილი გარდაეცვალა. დამწუხრებულ სონიას ეკვირინე მიმართავს: „შენ კარგად მყავდე და მაგათ თავი უტეხიათ, ერთმანეთიც ამოუწყვეტიათ– წყდებიან ხომ მაინც! ღმერთო, ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, კაცმა

რომ თქვას, მადლიცაა - რა ცხოვრება მოელოდა საწყალს, რომ გაზრდილიყო... იმდენ სულში, რაც იმ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვედებოდა საწილოში?..“

არ იფიქროთ, ეკვირინეა გაბოროტებული და მხოლოდ მას არ მიაქვს სხვისი ჭირი გულთან. არა, ასეთია ყველა. სილატაკემ გამოკვება სისასტიკე. გაუცივა გული მეზობლებს, ნათესავებს. თუ ახლო სანათესაო ასე გადაკიდებულია ერთმანეთზე, რა ურთიერთობა უნდა იყოს მეზობლებს შორის?

სისასტიკეს თვით ოჯახის წევრთა ურთიერთობებშიც შეუღწევია. ერთ ოჯახში ერთი კერის პირას მიმსხდარ ხალხს აღარაფერი აკავშირებს ერთმანეთთან. ყველა თავ-თავის საფიქრალს მისცემია და მათ შორისაც სრული გაუცხოება სუფევს.

გაუცხოება ოჯახის წევრთა შორის

ჩეხოვის ერთ პატარა მოთხრობაში „არქიელი“ ასეთი სიუჟეტია გადმოცემული:

დედა სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურზე დაწინაურებულ შვილს ხვდება. მოხუცებული ქალი დაბნეულია. აღარ იცის, შვილს თქვენობით ელაპარაკოს თუ შენობით, გაიცინოს თუ არა. მოხუცი ვერ ივიწყებს, რომ გლეხის ცოლია და თავის გადიდკაცებულ შვილთან სრულიად უმწეოდ, გაუცხოებულად გრძნობს თავს.

- მენატრებოდით საზღვარგარეთ ყოფნისას - მიმართავს შვილი დედას.

- მადლობას მოგახსენებთ, - მოწიწებით პასუხობს მოხუცი.

ეს საკვირველი ურთიერთობა დედა-შვილისა „ქამუშაძის გაჭირვებაში“ აღწერილმა ერთი ოჯახის ყოფამ გამახსენა.

გაიხსენეთ ბეგლარ ჯინჭარაძის ურთიერთობა დედასა და დასთან: „ეს ბედნიერი არსება, ეს რჩეული შვილი - ირონიით წერს მწერალი, - იყო №-ის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის უმცროსი თანაშემწე“. ბეგლარი პაწაწა ჩინოვნიკი კი იყო, მაგრამ გაღატაკებულ ჯინჭარაძეთა გვარში დიდ კაცად ითვლებოდა, რადგან, რაც უნდა იყოს, მაინც ხელმწიფის სამსახურში ედგა ფეხი და „დასაფასებელ“ ხალხში ტრიალებდა.

ეს გაქნილი და გაიძვერა კაცი, უფროსთა წინაშე მიწამდე თავდადრეკილი და მათი ფერხთა მტვერი, რიგით ადამიანებს პირდაპირ ოლიმპოს სიმაღლიდან დასცქერდა. „შინაურობაში იგი ღმერთი იყო, ალბათ, თავის აღმატებულებაში რომ იყო დარწმუნებული, იმიტომ არ ეხერხებოდა არც დედასთან და არც დასთან გრძელი ლაპარაკი. არც უყვარდა მათთან თავის

გულის ნადების გაზიარება და შინ მყოფი, საზოგადოდ, მარტოდ იყო, დედაცა და დაც მორიდებით იყვნენ მასთან და არიდებდნენ ყოველ უსიამოვნებას ამ სასიქადულო და სათაყვანებელ ოჯახის წევრს".

ბეგლარი რომ სამსახურიდან მობრძანდებოდა, ნაცნობი ფეხის ხმის გაგონებაზე დედა-შვილი, პელაგია და სონია, ხმას გაიკმენდდნენ, მოვიდა! - წამოიძახებდა დედა და დაფაცურდებოდნენ.

ბეგლარ ჯინჭარაძე საკუთარ ოჯახში თითქმის არ საუბრობდა. მისგან ორიოდე სიტყვა და გაღიმება ღვთის წყალობად აღიქმებოდა სახლში.

ისეთი მოკრძალებით შემზერს ამ გულდახურულ ახალგაზრდას დედა, მისმა „სახელოვანმა შვილმა ერთი პატარა საფეხურით რომ წაიწიოს წინ და მოსამართლის თანაშემწე კი არა, მოსამართლის მდივნის უფროსი თანაშემწე რომ გახდეს, - თქვენო მაღალკეთილშობილებავო - ალბათ, ასე მიმართავენ მერე ახლობლები.

პელაგიას, ისე როგორც ჩეხოვის ზემოთნახსენებ მოთხრობაში არქიელის დედას, თითქოს არ ავიწყდება, რომ იგი მშიერი აზნაურის ცოლია და „დიდი კაცის" დედობას ვერარ „იფერებს". მოსამსახურესავით გრძნობს საკუთარ შვილთან თავს.

ბეგლარ ჯინჭარაძე თავის სახლში შემთხვევით მოხვედრილი საპატიო სტუმარივით იქცევა. ასეთი ადამიანები თავისზე „მდაბალ" ხალხთან საერთოდაც ყოველთვის სტუმარივით გრძნობენ თავს, ოღონდ მადლიერებით დაბნეული სტუმარივით კი არა, იმ ღირსებით წარმოგვიდგებიან, ყველას რომ მოსამსახურეობას ავალებენ. მათთვის ქვეშევრდომი ყველგან მასპინძელი უნდა იყოს - შინაც და გარეთაც.

ბეგლარ ჯინჭარაძის სიახლოვეს დედაცა და დაც ვალდებულად თვლიან თავს, ქვეშევრდომული ფეხაკრეფით იარონ...

რატომ ხდება ეს ასე? რატომ გაუცხოებულან ოჯახის წევრები ერთმანეთისგან? რამ შეცვალა ქართული ოჯახის წევრთა შორის ტრადიციულად დამახასიათებელი ალალ-მართალი, გულწრფელი, ლაღი დამოკიდებულება ქვეშევრდომული ურთიერთობით?

პირველი: საყოველთაო გაჭირვების ფონზე ჯინჭარაძეს საკუთარი ოჯახი დამშეული არ ჰყავს, აქედან იბადება მასში უპირატესობის გრძნობა.

მეორე: ოჯახს რომ არაფერი გაუჭირვოს, უნდა ითაღლითოს, ამიტომ დილა-საღამოს თავის სათაღლითო გეგმებზე ფიქრობს და ოჯახთან თბილი, ადამიანური ურთიერთობისათვის მას არ სცალია.

და მესამე: რაკი მისი სარჩენია დედა და და, მოვალეობის გრძნობა

აიძულებს მეტი იშოვოს, მეტის შოვნა კი მეტ ტვინის ჭყლეტასა და მეტ შრომას ითხოვს. ყოველივე ამაში კი თითქოს დედა და დაა „დამნაშავე“. თავის თავზე ნარცისივით შეყვარებულ ჯინჭარაძისთვის უკანასკნელნი ზედმეტ ადამიანებად ქცეულან და მათდამი სიყვარულს შენაცვლებია მოვალეობის გულგრილი გრძნობა.

ასე რომ, ოჯახის წევრთა შორის გაუცხოების საფუძველი ამ შემთხვევაში ისევ სოციალურ უკუღმართობაშია საძიებელი. არსებობისათვის ბრძოლაში ბეგლარ ჯინჭარაძემ დაკარგა ზნეობა. უზნეოდ ცხოვრება კი უსიყვარულოდ ცხოვრებას ნიშნავს. მას ადამიანებთან აკავშირებს მხოლოდ პრაგმატისტული, გამოყენებითი დამოკიდებულება.

რაკი დედასა და დასთან ეს დამოკიდებულება ვერ ექნება, ამიტომ არც აქვს მათთან საერთოდ დამოკიდებულება. არის უცხო, მედიდური და თავის ნაჭუჭში გამოკეტილი.

თუ ბეგლარ ჯინჭარაძე თავის თავს ამადლის ახლობლებს, ოტია ქამუშაძე პირიქით, უპოვარობისა და ცხოვრების მოუწყობლობის გამო გაუცხოებულა საკუთარ ოჯახში.

გულისმომკვლელია ოტიას ოჯახური ყოფის წარმოდგენა. ვიდრე ცოლს შეირთავდა, ოტია ქამუშაძეს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა იმდენად არ აფიქრებდა, რადგან ხმელ ჭადზე და ლობიოზეც იოლად გადადიოდა, როგორც ყველა მისი მეზობელი. მაგრამ, აი, ოტიამ ქალაქელი ქალი შეირთო, ბეგლარ ჯინჭარაძის და სონია. თუ აქამდე სოფლის ღარიბულ ცხოვრებას მიჩვეული ოტია გულარხეინად ცხოვრობდა, ახლა უკვე, ოჯახში უცხო ადამიანის შემოსვლის შემდეგ, იძულებული გახდა, თვითონაც სხვა თვალით შეეხედა თავისი ყოფისათვის და მთელი სისრულით იგრძნო, თუ როგორ მჭიდროდ ეჭირებოდა მის ოჯახს თანდათანობით სილატაკის მარყუჟი.

„თვალი რომ აეხილა და ეს ფიქრი რომ დაებადა გულში, სწორედ იმ წამიდან რაღაც დამნაშავედ ჩასთვალა თავისი თავი ცოლის წინაშე და მოვალედ გრძნობდა თავის თავს, საქმე გამოეკეთებინა და მოტყუებული ადამიანის წინაშე მაინც რამოდენადმე პირნათლად გამოსულიყო. ოტიას რცხვენოდა ცოლის, მეტად მორიდებით იყო მასთან და მუდამ რაღაც საქმიანობაში, მუშაობაში იყო“.

რას არ ეცადა ღარიბი აზნაური, როგორ არ იდგამდა წელებზე ფეხს, მაგრამ ვერა და ვერ წაწია წინ საქმე. ოტია დამნაშავესავით ჩუმად შემოიპარებოდა ღამით სახლში, დაღლილ-დაქანცული ფეხაკრეფით მოიპარებოდა საწოლთან, რომ ცოლს არ დაენახა და მისთვის ყველაზე თავზარდამცემი კითხვა არ მიეცა: რას გვიპირებ, რა ვქნათ, რა გვეშველებაო. ამ კითხვაზე ვერა და ვერ გამოეძებნა პასუხი და იმასღა ცდილობდა, დარცხვენილს

ცოლისთვის თვალი აერიდებინა. „დანაშაულის“ გრძნობამ ეს უდანაშაულო კაცი გააუცხოვა, საკუთარ თავში გამოკეტა, მეუღლის წინაშე გაუბედავ, ნირწამხდარ პიროვნებად აქცია. არის ერთი პატარა დეტალი ნაწარმოებში, რომელიც სრულყოფილად წარმოგვიდგენს სილატაკის ნიადაგზე ცოლ-ქმრის გაუცხოების მთელ საცოდაობას. ცოლი ხედავდა, რომ მისი ქმარი ცდას არ აკლებდა, ხელებს იტყავებდა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით და ამიტომ ეცოდებოდა, ვერაფერს საყვედურობდა, მაგრამ ერთხელ ველარ მოუთმინა გულმა. ალაპარაკდა, პასუხი მოითხოვა. მაგრამ გულიც ამოუკდა და მწარედ ატირდა. ამის შემხედვარე ოტიას გული აუდუღდა:

„- ოღონდ შენ ნუ მოიქცევი აგრე... შენ ნუ შემახედვინებ, რომ სატირლად გაქვს ჩემს ოჯახში ფეხის შემოდგმა, ჩემთან ცხოვრება... ყველაფერს ვცდი... ყველაფერს ვიღონებ...“

ჩვენი შვილები ღმერთმა ნუ აცხოვროს ასე, ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ. რალა კაცი ვიქნები მაშინ! არა, არა შენ არ მომიკვდე, შენ! - და მან გადაუწია პირზე მიფარებული ხელი და სიყვარულით აკოცა სახეზე, ჯერ მოუხერხებლად, გაუბედავად, რადგან ეს პირველად იყო, რომ იგი ესიყვარულებოდა ქალს, პირველად ეალერსებოდა თავის ცოლს“.

ახლა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ახალგაზრდებს მთლად ახლადდაქორწინებულები აღარ ეთქმით, უკვე შვილს ელოდებიან, ნათლად წარმოგვიდგება ის საშინელი გაუცხოება, რაც ოტია ქამუშაძის ოჯახში სუფევს, რასაც საფუძვლად უდევს სილარიბით დარცხვენილი კაცის კომპლექსი.

თვითგაუცხოება

საუკუნეთა წიაღიდან მოგვდევს ბრძნული შეგონება – „შეიცან თავი შენი“. ეს მცნება ადამიანს ყველაზე დიდი დილემის წინაშე აყენებს. გაფაციცებული, გარეშე მოვლენებზე მიყურადებული ადამიანი ყველაფრის შეცნობასა და გაგებას ცდილობს, საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად კი დრო არ რჩება. უფრო სწორად, საკუთარი სულის გაშიშვლებას გაურბის. ნაცვლად იმისა, რომ შეიცნოს თავი თვისი და იყოს ის, რაც არის, ან ეცადოს - გახდეს უკეთესი, ადამიანს ურჩევნია იცხოვროს პიროვნული „მე“-ს მიმართ ილუზიური დამოკიდებულებით.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ წარმოჩენილი გაუცხოება წოდებათა შორის, გაუცხოება ერთი წრის ადამიანთა და, საზოგადოდ, პიროვნებათა შორის და გაუცხოება ოჯახის წევრთა შორის იმდენად თვალშისაცემი არ არის, რამ-

დენადაც პიროვნების გაუცხოება საკუთარ თავთან.

მოთხრობის პერსონაჟები დაჟინებით ცდილობენ მიჩქმალონ თავიანთი ნამდვილი სახე. თვალი მოუხუჭონ რეალურ ვითარებას და თავიც დაირწმუნონ, პირველ ყოვლისა კი სხვა დაარწმუნონ თავიანთი ილუზიური წარმოდგენების რეალობაში. დავით კლდიაშვილის სამყაროს ტრაგიკომიკური არსი სწორედ ამაშია გამოხატული.

„სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა“ - კლდიაშვილისათვის დამახასიათებელ ამ ბუნებრივ, უშუალო ფრაზას, ამ პირველივე მოხდენილ წინადადებას შევყავართ „ქამუშაძის გაჭირვებაში“ აღწერილ სამყაროში. გავეცნობით, დავათვალიერებთ ამ სამყაროს, დავხურავთ წიგნს და ვფიქრობთ: არც დრო ყოფილა და არც გარემოება უწყობდა ხელს საწყალ ოტია ქამუშაძეს, რომ ცოლი ეთხოვა. მთელი ეს სამყარო ასეთი პარადოქსებითაა სავსე. არა ბუნებრივად, მიზეზშედეგობრივად განპირობებული პარადოქსებით, არამედ ხელოვნურით, რომელიც ცხოვრებას შემოუგდია ადამიანთა დასაცინად და გასაწამებლად.

ბუნებრივი იყო მართლაც, "დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა“ ნამდვილად, რომ უკვე შეღერებულ ახალგაზრდას ცოლი ეთხოვა, მაგრამ ეს ბუნებრივი სურვილი თურმე სასაცილოდ უნდა აეგდო ცხოვრებას. დავით კლდიაშვილის გმირებისათვის ბედნიერების ბუნებრივ მოთხოვნილებას შედეგად მოსდევს უბედურება. ეს არის ამ გმირების ტრაგედია. მაგრამ მათ არ სურთ შეეგუონ უბედურებას და თავს იმხნევებენ, სანამ სულ არ დაზაფრავთ ცხოვრება, მანამდე ძალიანაც კმაყოფილად გრძნობენ თავს - ეს უკვე კომედიაა.

ასე რომ, როცა კლდიაშვილის გმირების თვითგაუცხოებაზე ვლაპარაკობთ, ამის საფუძველი მათს ბოროტებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მათს გაუნათლებლობაში, უფრო მეტად კი ბუნებრივ, ადამიანურ სურვილში - იყვნენ არა ის, რაც არიან, არამედ ის, რაც სურთ, რომ ყოფილიყვნენ.

„ქამუშაძის გაჭირვების“ გმირთა თვითგაუცხოების საფუძველი რეალურსა და შესაძლებელს შორის ზღვრის მოშლაში დევს, რისი შედეგიცაა ტრაბახი, ბაქიაობა, უბოროტო ტყუილების რაკრაკი:

„ვაი დედასა!.. რა ოჯახის შვილი ვის ნაცარში ვიქექები და კიდევ ასეთ გაჭირვებაში?!“ - ამოიოხრებდა ხოლმე ოტიას დედა, სანიკიძის ქალი ეკვრინე. მწერალი კი იქვე დასძენს: „თუმცა, სიმართლე უნდა ეთქვა კაცს, მაინცდამაინც სანიკიძეებიც ვერაფრით უსწრებდნენ ქამუშაძეებს. მაგრამ ეკვრინეს ღრმად სწამდა თავისი ჩამომავლობის უპირატესობა“.

ოჯახში ახლად შემოყვანილ რძალს ეკვრინე სრული რწმენით ეუბნება:

„ქმარი კაი იშოვე, დედა, და ოჯახი ისეთი, რომ..." მერე კი რძლის ძმას მოუტრიალდება:

- არაფერი მას აქ არ მოაკლდება, შენი ჭირიმე, არაფერი! - ბაქიაობს ეს მოხუცებული, შრომისაგან წელში გაწყვეტილი, არასმქონე დედაკაცი.

ერთ რამედ ღირს ეკვირინეს საუბარი რძალთან, როცა თავისი უძრავ-მოძრავი ქონების დასათვალიერებლად წაიყვანა: „ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა"_ „ბოსტანი მქონდა, შენ გენაცვალე, ისეთი ბოსტანი_" „ხასვი, ეხლა ამას რომ ხედავ, ეს რაა იმასთან, შარშან რომ იყო..." „ეს სალათა... ჰმ, იმდენი იყო". მქონდა, იყო, გვექნება, ღმერთი მოგვცემს - სულ წარსული ან მომავალი დროის შესახებ ლაპარაკობს მოხუცი, აწმყოზე კი, აწმყოზე ხმას არ იღებს. არაფერი აქვს და რა თქვას, მაგრამ არც გულს იტეხს. ეს უსაფუძვლო ოპტიმიზმი არა მხოლოდ სასაცილო მდგომარეობაში აგდებს აზნაურის ამპარტავან ქალს, ოჯახის კიდევ უფრო გაპარტახების საფუძველიც ხდება. ამ ოპტიმიზმის გამო იყო, როგორც კეთილშობილმა ქალმა, თავი რომ არ შეირცხვინა და შვილის ქორწილზე მეტისმეტად დიდი ხარჯი გაწია, რასაც შედეგად სრული გაღატაკება მოჰყვა.

ეკვირინე არ არის მხოლოდ ასეთი. კუდაბზიკა და ამპარტავანია ყველა ამ სოფელში, ვისაც „კეთილშობილის სისხლი" უდუღს ძარღვებში.

„- შენ არ მომიკვდე, ღარიბი აზნოურიშვილი, რატომ? შევარცხვინე ღარიბი აზნოურიშვილი, შევარცხვინე, ვინც ღარიბი იყვეს_" - გაიძახის ერთი შემთვრალი აზნაური, რომელსაც გაცრეცილი ძველი ჩოხა ეცვა და ჯუჯუთ გაზინთული ყაბალახი ებურა. ამ აზნაურს, ისე როგორც სხვებს, მართლა სჯერა, რომ თავად არაფერი სჭირს სხვისგან შესაცოდებელი და რომ „შესარცხვენი ღარიბი აზნოურიშვილი" თვითონ არამც და არამც არ არის_

დავით კლდიაშვილის გმირები იმდენად გაუცხოებულან საკუთარი თავისაგან, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი სცენაზე, სხვის დანასანახავად, სხვასთან თავმოსაწონებლად ცხოვრობენ.

„ხალხს ისეთი უნდა ეჩვენო, შვილო, რომ მტერს თვალი დოუდგეს, გული მოუკლა და ენა მუცელში ჩაუგდო!_ ძალათი რომ არ უნდოდეს, მაინც ათქმევინო შენი თავის ქება, აბა!_" - არიგებს ეკვირინე სონიას. ამ სიტყვებში გაცხადებული აზრით ცხოვრობს სოფელი.

ოტია ქამუშაძეს, ამ მშრომელსა და საწყალ (კინაღამ წამომცდა, გლეხსმეთქი) აზნაურს ისე დარევს ხელს ამპარტავნობის გრძნობა, რომ ცოლსაც კი მეზობლის ჯინით ირთავს. მეზობელი აზნაურისგან, სარდიონ ქველიძისაგან, დაწუნებულ ოტიას პორფირ ბიაშვილი ქალაქელი ქალის გარიგებას

შეჰპირდება.

„ოტიას გული ძალზე სცემდა იმ მოულოდნელი ბედნიერების მოახლოებით, რასაც ჰპირდებოდნენ მას“. მაგრამ ალარ იკითხავთ, რაში გამოიხატებოდა ოტიასთვის მოულოდნელი ბედნიერება? თურმე იმიტომ კი არ სცემდა მისი გული ძალზე, რომ ცოლს რთავდნენ, არა, იმის გამო უფართხალებდა გული, რომ ქალაქელი ქალის შერთვით საშუალება ეძლეოდა „გულის ჯავრი ამოეღო ქველიძეზე“.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გაუცხოებული, სხვის შესახედად მცხოვრები კაცის ფსიქიკიდან.

ქალაქელ საპატარძლოსთან საქმის კეთილად დაგვირგვინების შემდეგ ოტია ასეთი თხოვნით მიმართავს თავის მაშვალს, პორფირ ბიაშვილს:

„რომ გული მოვუკლა იმ ოხრისშვილსაც (სარდიონ ქველიძეს, ნ.გ.) და ზოგიერთებს სხვებსაც... თქვენთვის ეგ არაფერი იქნება, ჩემთვის კი ძვირად რადმე ღირება, – იყოს ისე თქმულობად, ცარიელ სიტყვად, რომ ვითომც ბეგლარს დისთვის ხუთასი მანეთი მიეცქა მზითვად– ცარიელი სიტყვა ქვეყნის გასაგონად, თორემ ფულის თხოვას როგორ გავუბედავ... ისიც არ კმარა ჩემს თავზე?! ქვეყნის გასაგონად ითქვას ოლონდ!“ ასე იტყუებენ და იბითურებენ თავს ადამიანები, ვითომდა მეზობლის გულის გასახეთქად. მეზობლებიც ამასვე სჩადიან და მიდის ასე ცხოვრება ერთმანეთის ჯიბრით, ერთმანეთის კილვით, შურით, ზვაობით.

უსიყვარულოდ, უმეზობლოდ, უთანამდგომოდ ცხოვრება კი მარტოობის სუსხით აყინებს ადამიანთა სულებს და მათს ეკონომიკურ გაჭირვებას ემატება მარტოობის უსასოო განცდა...

ეს ყოვლისმომცველი მარტოობა იმთავითვე თვალშისაცემი გახდა ქალაქელი რძლისთვის. მწერალმა ერთგვარ მხატვრულ ხერხს მიმართა და უცხო ადამიანის თვალით შეგვახედა სოფელს. ზამთარში კერას მიფიცხებული ადამიანები გასაცოდავებულნი გამოიყურებიან ერთფეროვნებისა და სიმარტოვის აუტანელ გარემოცვაში.

„დღეები მიიზლაზნებოდნენ, მიჰყვებოდნენ ერთმანეთს ერთფეროვნად, განუსხვავებლად, გულის მომკვლელ მოსაწყენად– დილით ადრე ადგომა, ცეცხლის დანთება. გასათბობად კერიასთან ჯდომა, ცოტა ხნის შემდეგ სადილის თადარიგი, სადილი, იქვე როგორც შებინდდებოდა, ვახშმის მზადება, ვახშამი და მაშინვე ძილი; მეორე დღესაც იგივე, მესამესაც; ასე ატარებდნენ კვირეებს და თვეებსაც“.

ადამიანები ზამთარში თავ-თავიანთ „ბუნაგებში“ შეყუჟულან, რათა გამოზამთრების შემდეგ ისე დაეტაკონ მარჩენალ მიწას, მომავალ ზამთარშიც რომ ჰქონდეთ ცივი მჭადი და ლობიო. სხვა ცხოვრება მათ არ გააჩნიათ,

რადგან სიცოცხლეს, თუნდაც უსახსროსა და შეჩერებულს, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული ალამაზებს და აკეთილშობილებს, სიყვარული კი ღატაკთა და მიუსაფართა ქვეყნიდან გაძევებული და დასჯილია.

ზედმეტი ადამიანები

ლიტერატურა ე.წ. „ზედმეტ ადამიანთა“ მრავალგვარ ტიპს იცნობს. XIX და XX საუკუნეების მწერლობაში უხვად გამოიკვეთა ასეთი სახეები. „ზედმეტი ადამიანის“ სახელით ვიცნობთ ისეთ პერსონაჟებს, როგორებიცაა პუშკინის – ონეგინი, ლერმონტოვის – პეჩორინი, ტურგენევის – ლავრეცკი, გიორგი ერისთავის – ივანე დიდებულიძე, ილია ჭავჭავაძის – გიორგი, ვაჟა-ფშაველას – მინდია, ალუდა ქეთელაური, მიხეილ ჯავახიშვილის – თეიმურაზ ხეისთავი, ნიკო ლორთქიფანიძის –თავსაფრიანი დედაკაცი, კონსტანტინე გამსახურდიას – თარაშ ემხვარი, კონსტანტინე საყარსაძიე, ნოდარ წულეისკირის — პანტე ჯაჯა და სხვ. კიდევ მრავალი მწერლის პერსონაჟთა დასახელება შეიძლება ასეთ სიაში.

ეს პერსონაჟები ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულნი არიან და მაინც მათ ერთი საერთო, „ზედმეტი ადამიანის“ სახელით მოვიხსენიებთ ხოლმე. განმაზოგადებელი ნიშანი, რითაც აღნიშნული გმირები ხასიათდებიან, თვით „ზედმეტი ადამიანის“ ცნებაში მოიაზრება (ეს ცნებაც, ცხადია, გარკვეული პირობითობის შემცველია, რადგან ბუნებაში არაფერი და, მით უფრო, არავინ შეიძლება იყოს „ზედმეტი“).

XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ წარმოშვა „ზედმეტი ადამიანები“, რომელთა ცოდნა, განათლება, მიზნები, ოცნებები და იდეალები უნაყოფო იყო. ისინი მოსწყდნენ პრაქტიკას, სინამდვილეს და იმავე სინამდვილის ულმობელმა ლოგიკამ ოცნებაში ჩამონაკვთული მათი სამყარო, მათი ილუზიები სასაცილოდ საცოდავი გახადა (ამგვარ პიროვნებათა ლიტერატურული ხატია ივანე დიდებულიძე).

XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ მოგვცა ისეთი ტიპის „ზედმეტი ადამიანები“, რომელთა სახეები აკაკის „რუსეთუმესა“ და „ლამურაში“ აირეკლა.

ყოველდღიურ წვრილმან, ყოფითს გაწამაწიაში ჩაფლული საზოგადოებისათვის ზედმეტ ადამიანებად ქცეულან ისეთი ზნემაღალი და „უცხო“ თვისებების პირები, როგორებიცაა: ოთარაანთ ქვრივის გიორგი, ალუდა ქეთელაური, მინდია, რომელთა მთელი „დანაშაული“ ის არის, რომ ზურგი აქციეს დროებითს ღირებულებათა მქონე მიზნებს და მარადიული იდეალების ერთგულ მსახურებად გეევლინებიან.

XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა მწერლობამ „ზედმეტი ადამიანის“ სხვაგვარი ტიპი გამოკვეთა. საუკუნის დასაწყისში ინტელიგენცია იბრძოდა დიდი შემართებითა და მონდომებით. მაგრამ, როცა თვით ხალხი მოექცა ბრძოლის ავანგარდში, ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც ადრე იღვწოდა „ხალხისათვის და არა ხალხთან ერთად“, ბრძოლის შედეგით შეძრწუნებული, მოძრაობას გამოეთიშა, გაირიყა. საერთო ბრძოლის შედეგში წილი აღარ ედო, ზედმეტ ადამიანებად იქცნენ. ასეთ მოღვაწეთა სახეთვისმურაზ ხევისთავი.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა ეპოქაში და თუნდაც ერთსა და იმავე დროში პიროვნების ზედმეტ ადამიანად ქცევას განსხვავებული ობიექტური საფუძველი განაპირობებს.

„ზედმეტ ადამიანებად“ ქცეულან დავით კლდიაშვილის აზნაურებიც, რომელთა ცხოვრებაშიც კრიზისული სიტუაცია დგება და ისტორიის ლოგიკა მათ მზისქვეშეთში ადგილს აცლის.

აზნაურობას თავისი ისტორიული ფუნქცია ერისა და ქვეყნის წინაშე აღარ აქვს. წასულია ხმალთა კვეთებისა და აბჯრის ჟღრიალის დრო. ახლა გუთანს უნდა მოეკიდონ და მუშაკებად იქცნენ. შრომა კი მათთვის სათაკილოა და დამამცირებელი. გავიხსენოთ, ყანაში ყაზახივით მომუშავე ოტიას დანახვა ცოლისთვის თუ როგორ ტრაგედიად აღიქმება.

აზნაურობა გამოუვალ მდგომარეობაშია. თუ არ იშრომებენ, შიმშილით სული გასძვრებათ. იძულებულნი არიან იმუშაონ, მაგრამ ფიზიკური შრომაც ტრაგედიაა მათთვის, რადგან „ყაზახობა“ მათ კეთილშობილებას შეურაცხყოფს.

ასე რომ, ერთ დროს სანუკვარი წოდებრივი პრივილეგია ახლა აზნაურთა სულიერი შეჭირვების ერთ-ერთ მიზეზად ქცეულა.

პრივილეგირებული წოდებისათვის კრიზისული სიტუაციები ყოველი ცივილიზებული ერის ისტორიამ განვლო. ასე რომ, „ზედმეტ ადამიანთა“ ისეთ ტიპებს, როგორსაც დავით კლდიაშვილი გვიხატავს, ცხადია, სხვაგვარი ხასიათებით სხვა ქვეყნების წარსული ცხოვრებაც გამოკვეთს, მაგრამ „ქამუშაძის გაჭირვებასა“ თუ მწერლის სხვა თხზულებებში სრულიად განსხვავებულ საფუძველზე წარმოშობილ „ზედმეტ“ ადამიანთა გულისმომკლელ სახეებსაც ვხედავთ.

ასე მაგალითად: კლდიაშვილის სამყაროში ოჯახის წევრები ერთმანეთთან არა მარტო გაუცხოებულად გრძნობენ თავს, არამედ ამ ოჯახებში კიდევ მეტი უბედურება ტრიალებს. ოჯახში რომელიღაც წევრის ან წევრების „ზედმეტ ადამიანებად“ ქცევას არავითარი დიდი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური საფუძველი არ უდევს. უბრალოდ, ისინი ზედმეტნი არიან

ეკონომიკური გაჭირვების გამო.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ ახალგაზრდა შვილები ოჯახებიდან გარბიან და მოხუც მშობლებს, რომელთა რჩენა მათ არ შეუძლიათ, ღვთის ანაბარა მიატოვებენ. ასეთი ბედი ხვდა მოხუც ლევანსა და მის ცოლს ეფროსინეს. ეს უბედური ადამიანები აღარავის სჭირდება, არც მეზობელს, არც ნათესავს და საკუთარი შვილებისთვისაც ზედმეტ ბარგად ქცეულან_

კიდევ უფრო გულისმომკლელია იმის წარმოდგენა, რომ საკუთარ ოჯახში ზედმეტ ადამიანებად გრძნობენ თავს სიცოცხლით სავსე, მშვენიერი ყმაწვილი ქალები, რომელთა გათხოვებას ფული სჭირდება. ვინც ნაკლებ ფულს მოითხოვს, მშობელიც ნივთივით იმას მისცემს თავის ქალიშვილს. ის ნაკლები ფულიც თუ არ აქვს, მაშინ სულაც ვერ გაათხოვებს და შინ დაუბერდება_

როცა სონიას დედამ, პელაგიამ, შეიტყო, რომ მის ქალიშვილს საქმრო გამოუჩნდა, გულაჩუყებული ოჯახის მარჩენალი ვაჟის სურათთან მივიდა და ამოფრიფდა: „აწი განთავისუფლდები, შენ გენაცვალე, განთავისუფლდები“_ ქალაქიდან შვილის სოფელში გათხოვება კი განსაკუთრებით უხარია. რა მოტივით, აღარ იკითხავთ? „ახლოსაც არ გეყოლება – მიმართავს ბეგლარს, - წელიწადში შეიძლება ერთხელ, ორჯერ მეტად ვერ შემოდგამს ფეხს შენს სახლში_“ მხოლოდ ეს სიუჟეტი რომ აღეწერა დავით კლდიაშვილს, ამითაც თვალნათელი გახდებოდა, თუ რად შეიძლება აქციოს ადამიანი მხოლოდ კუშის ინტერესებით ცხოვრებამ. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ არის ერთი პერსონაჟი, სარდიონ ქველიძის ქალიშვილი ნინო, რომლის ზნეობრივ სამყაროზე ვერაფერს ზეგავლენა ვერ მოუხდენია, მის სულს ბიწი არ ეკარება. ამ მშვენიერი ქალიშვილის ცხოვრების მაგალითით მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ ადამიანს ადამიანურობის შენარჩუნება ყოველგვარ სიტუაციაში შეუძლია. მაგრამ თანასოფლელთა შურიანობის, ჭორის, ამპარტავნობის, ზაკვისა და ზვაობის ფონზე ნინოს ზნემაღლობა გამონაკლისად აღიქმება, გამონაკლისი კი წესს მხოლოდ ადასტურებს.

დამშეული საზოგადოების ცხოვრების წესად კი უზნეობა ქცეულა.

ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს

რაკი სოფელში ყველა ერთნაირად გაჭირვებულია, აქ ცხოვრების სახსარის შეძენა ჭირს და ამიტომ ბედის საძიებლად სოფლელები ქალაქისაკენ მიეშურებიან. ქალაქში მრავალად ცხოვრობს ხალხი, ამიტომ აქ გამორჩენის

მეტი საშუალებაც უჩნდება კაცს.

სოფელს ჯერ კიდევ არ აუღია თავზე ხელი და სინდის-ნამუსს ცოტაოდენს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ხალხი. ქალაქმა კი სრულიად ახალი ტიპის ადამიანები შობა, ადამიანები, რომელთათვისაც სინდისი და პატიოსნება ცარიელი სიტყვების რახარუხია. იქ, სადაც უსამართლობა, გაუნათლებლობა და საყოველთაო გაჭირვებაა, ცხოვრების მდინარე ასეთ კაცებს ამოაგდებს ზედაპირზე. მათ იციან, როგორ დაძარცვონ და მოატყუონ თანამოძმე, რაკი ისინი ქალაქში მომრავლდნენ, ამიტომაც მათი პირით, როგორც მწერალი წერს, ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს.

იქ, სადაც პატიოსანი, მუხლჩაუხრელი შრომა შედეგს არ იძლევა, მოხერხებულობას, გაქნილობას, გაიძვერობას ეთმობა ასპარეზი. ვისაც ეს თვისებები საკმაოდ აღმოაჩნდება, ცხოვრების ლელოც იმას გააქვს. ასეთია ბეგლარ ჯინჭარაძე, რომელიც ,,უგუნოდ ეპყრობოდა ყველაფერს, რისგანაც რამე სარგებლობას არ გამოელოდა თავისათვის, კაცს აფასებდა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად მისგან რამე უსარგებლია, ან გამოელოდა რამე სარგებლობას. მისთვის ყველაფერი უმნიშვნელო იყო და ,,სისულელე", თუკი პირადად მას არ ასარგებლებდა. არაფერს სხვა რაიმეს მის თვალში ფასი არ ედებოდა. გუნებაში ათასჯერ წინ წაუყენებია თავი იმ ,,ნასწავლებზე და ნაწვალებებზე", რომლებსაც მასავით ვერ მიუგნიათ გზისთვის, რომელსაც საჭიროა კაცი ადგეს, თუ უნდა თავისი თავის ბედნიერება".

ეს გზა, როგორც ვთქვით, გაიძვერობისა და თაღლითობის გზაა. ამ გზაზე შემდგარი მეორე პერსონაჟი, ბეგლარის ალი-კვალი პორფირ ბიაშვილი სოფელ თამარაშენში ჩასულა და, როგორც ნაპოლეონ ბონაპარტე მორიგ დასაპყრობ ქვეყანას, ისე გადასცქერის მაღალი სერიდან სოფელ თამარაშენის მცხოვრებთ. ,,ამ მაღალ სერიდან რომ დასჩერებოდა აქაურ მოსახლეებს, იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა და თავის გუნებაში ზომავდა იმას, თუ რამდენ გამოსარჩენს იშოვიდა ამათგან და რამდენს საშოვარს შესძენდა ამათი გაჭირვებული, შევიწროებული და ვაგლახი ცხოვრება".

ამ გაჭირვებულ, შევიწროებულ და ვაგლახ გლეხკაცთა და აზნაურთა სოფელს თამარაშენი ჰქვია. ,,ქამუშაძის გაჭირვებაში" სოფლის სახელწოდებას სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. თამარაშენი დიდი მეფის – თამარის — სახელს უკავშირდება. თამარი ქართველთა სიძლიერის, სილაღის, სიმდიდრის, ზნეობის, პატიოსნების, სიყვარულის სიმბოლოა. სოფელს მხოლოდ სახელწოდება შერჩენია ძველი. ქართველებსაც მხოლოდ სახელად შერჩენიათ ქართველი. ახალ დროში სოფლის სახელწოდება თამარაშენი უკვე მწარე ირონიად ჟღერს.

«სოლომან მორბელაძე»

ბედნიერება-უბედურებას შორის არჩევანის უფლებაწართმეული ადამიანი

სოლომან მორბელაძე, დავით კლდიაშვილის სხვა გმირების მსგავსად, ტრაგიკული კაცია. არადა, ნაწარმოების სიუჟეტი რომ სქემატურად გადმოსცეს კაცმა, გაგეცინებათ, რა ტრაგიკული ამბავი არის აქ მოთხრობილი - იფიქრებთ.

როგორც წესი, ტრაგედიის კლასიკურ სიუჟეტში ხომ დიდი, ამაღლებული ვნებები ბობოქრობს და მთავარი გმირები ან თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს, ან თვალების დათხრით, ან სხვა უღებს მათ ბოლოს. ვინც ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს კლასიკურ სიუჟეტებზე აგებულ ტრაგედიებს წაიკითხავს, სწორედაც ეჭვი გაუჩნდება, ოიდიპოსის, ორესტეს, ელექტრას ტრაგედიასთან ამ ჩვენი სოლომანის უბედურება რა მოსატანიაო. ან რაღა შორს წავიდეთ, გაიხსენეთ, რა ამაღლებული განცდები იქცა ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურის ტრაგედიის საფუძვლად.

მაინც როგორ პერსონაჟს შეიძლება ვუწოდოთ ტრაგიკული და როგორ სიუჟეტს — ტრაგედია? განა შეიძლება ყველა გმირს, რომელსაც ფათერაკი და, გნებავთ, უბედურება გადახდება თავს, ტრაგიკული პერსონაჟი დავარქვათ? ცხადია, არ შეიძლება.

უბედურსა და ტრაგიკულ პერსონაჟს შორის განსხვავება ის არის, რომ, თუ პირველს უბედურება შეიძლებოდა თავიდანაც აეცილებინა ან თუ პირველს შემთხვევით დაატყდა თავს ფარსაგი ამბავი, მეორე, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონზომიერადაა განწირული, ანუ მეორეს არჩევანის უფლება ბედნიერება-უბედურებას შორის არ გააჩნია.

უფრო კონკრეტულად: ვთქვათ, დათიკო (ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“) უბედური კაცია და არა ტრაგიკული, ვინაიდან, რომ გამოეჩინა ელემენტარული კეთილგონიერება და ცხოველურ ჟინს აყოლილს ფეხქვეშ

არ გაეთელა სხვათა ღირსება, სიცოცხლეს ძუძუმტის ტყვიით არ დაასრულებდა.

ტრაგიკულ პერსონაჟს კი, როგორც ვთქვით, არჩევანის უფლება არ გააჩნია.

ოიდიპოს მეფე წერამწერლის მიერ წინასწარ განსაზღვრული განაჩენით უნებლიეთ მამის მკვლელი და დედის სარეცლის მოზიარე აღმოჩნდება. ამ ამბის შეტყობის შემდეგ თებელთა მეფეს ბედნიერება-უბედურებას შორის არჩევნის უფლება აღარ რჩება. არჩევანი მხოლოდ ორ უბედურებას შორის აქვს — თავლაფდასხმულ, უბედურ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და იგი თვალებს ითხრის, რათა დაიბნელოს მისთვის დედინაცვლად ქცეული სამზეო.

არც ალუდა ქეთელაურს აქვს დატოვებული არჩევანის უფლება - თუ თემს დაემორჩილება, საკუთარ თავს ზნეობრივ აუტოდაფეს მოუწყობს, ხოლო თუ უერთგულებს სინდისის ხმას, თემისაგან იქნება მოკვეთილი და ოჯახიანად სოფლიდან ოტებული. ალუდას არჩევანიც ორ უბედურებას შორისაა გახიდული - ან ზნეობრივი სიკვდილი, ან ფიზიკური. იგი ამ უკანასკნელს ირჩევს:

„ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა“...

სოლომან მორბელაძეც ტრაგიკული გმირია. კლდიაშვილის პერსონაჟებსაც არ გააჩნიათ არჩევანის უფლება ბედნიერება-უბედურებას შორის, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც დავითის სამყაროში ყველაფერი თავდაყირა დგას. არსით ყველაფერი ისეა, როგორც კლასიკურ ტრაგედიებში: ცხოვრების გზაჯვარედინზე დგას ადამიანი და არ აქვს გზის არჩევის უფლება, ვინაიდან ყველა გზა უბედურებისაკენ მიდის, უფრო სწორად, ერთადერთი უფლება აქვს შერჩენილი: რომელი აირჩიოს ფიზიკურსა და ზნეობრივ სიკვდილს შორის.

ვიმეორებ, არსით ასეთივე რამ ხდება კლდიაშვილის სინამდვილეშიც. აქ გმირებს გამოსავალი ვერ უპოვიათ, ან შიმშილით დაცემა, ან ზნეობრივი წახდომაა მათი ხვედრი, რათა პირველს ასცდნენ.

მაგრამ კლდიაშვილის პერსონაჟების ტრაგედია თუ არსით - არჩევანის არარსებობა ბედნიერება-უბედურებას შორის - ჰგავს კლასიკურ ტრაგედიათა პროტაგონისტებისას, იმავდროულად ეს არსი ახალ დროში კარიკატურულ სახეს იძენს. თუ იქ, ვაჟასთან, ესქილესთან დიდი ვნებები ბობოქრობს, აქ, დავითის სამყაროში, ტრაგიკული გმირი მაშვალია, რომელსაც თავის სამაშვლო საქმეში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სასაცილო და სატირალი კი ის არის, რომ კლდიაშვილის გმირები, მიუხედავად თავიანთი ფიქრების, მიზნების,

ოცნების სიპატარავისა, მიუხედავად არათუ ჰეროიკული, არამედ ძალიან ყოფითი, წვრილმანი თავგადასავლებისა, სულაც არ არიან ნაკლებ ტრაგიკულნი, ნაკლებ ფიქრაწეწილნი, ვიდრე ზემონახსენები ტრაგედიების პერსონაჟები, რადგან ცალკეული ადამიანის ტრაგედიის ხარისხი იმით კი არ გაიზომება, ამაღლებულია თუ დამდაბლებული თვით მიზეზი ტრაგედიისა, არამედ იმით, თუ რა დღეშია თვით ადამიანი. ჩვენ რა დიდ სხვაობასაც უნდა ვხედავდეთ, ვთქვათ, ალუდა ქეთელაურის თემიდან მოკვეთის მიზეზსა და იმ როყიოდ ნათქვამ ფრაზას შორის, რაც შვილმა უთხრა თავსაფრიან დედაკაცს ერთი წყვილი წინდის გამო – „შეგენანა განა?“ — ამით თვით ამ ორი ადამიანის სულიერი ღელვის ხარისხი არ იცვლება.

კლდიაშვილის გმირებისთვის იმ წვრილმანი გეგმებით, რომელთა აღსასრულებლადაც დაჩაქჩაქებენ სოფელ-ქვეყანაში, მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. ამიტომ ამ შერჩენებული სოლომან მაშვლის გაცუცურაკებას, თავად რომ სამყაროს დაქცევად აღიქვამს, ტკივილიანი თანაგანცდით ხვდება მკითხველიც.

რამდენიმე წინადადებით გადმოვცეთ „სოლომან მორბელაძის“ ფაბულა.

ნაწარმოები იწყება იმით, რომ სოლომანის ოჯახს მოხუცი, გაძვალტყავებული აზნაური მისდგომია და ლამის ყელგამოწეული ეჟვერება ვალს, რომელიც მისი მართებთ.

სოლომანი პირობას მისცემს მევალეს, რომ სამაშვლო საქმის ჩამთავრების შემდეგ, საიდანაც სამოცი თუმანი ერგება, მოვალეს გაისტუმრებს.

ამ საქმის მოკვარახჭინებაზეა დამოკიდებული თავის მხრივ გაბეზრებული და სოლომანისათვის მომაბეზრებელი მოვალის მოშორებაც და თვით სოლომანის ოჯახის მომავალი არსებობაც, რაკი ამ უკანასკნელს სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნია.

სოლომანი თავს არ ზოგავს, დაწანწალებს მომავალ მოყვრებს შორის, რათა დროულად შერთოს ბესარიონ საქარაძის მშვენიერი ასული, ელპიტე, ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს, ნიკოიას, და ამ გარიგებიდან ერთსაც დასცინცლოს სამაშვლო და მეორესაც.

ახალგაზრდები კი გააბედნიერა აზნაურმა მორბელაძემ (ვარიც მაშვლის, შუაკაცის, სოფელ-სოფელ მორბენალი კაცის კვალობაზე აქვს მწერალს შერჩეული), მაგრამ თავის გაჭირვებას ვერაფერი უშველა.

ხრიკებსა და მშრალზე დატოვებაში უცადნი არც მისგან შეგულებული „გაფცქვნის“ ობიექტები აღმოჩნდნენ. ბესარიონმაც ჩაილურის წყალი დაალევინა შუაკაცის ოცნებას და ქაიხოსრომაც.

ქორწილის მხიარული სუფრიდან გამოქცეული, გაწიწმატებული სო-

ლომანი მოაკდა ჯორს და სულ ჭენებ-ჭენებით მოარბენინებდა ოღრო-ჩოღრო გზებზე საწყალ პირუტყვს შავ ფიქრებში წასული: „ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! – თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მაშვალი. – მშიერ, გაღატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?! პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგღლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით... დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირუტყვობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გველირსოს... ღმერთო, ღმერთო! – სასოწარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა და მისი გული თითქმის სიბრალულით აივსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავისი ჯორისადმიც, რომელიც თურმე ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა ღარიბი პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულ ბატონსა“.

დავიმახსოვროთ სურათი ერთგული ჯორისა და მისი აღელვებული ბატონის დუეტისა. ამასთან, პირველთქმულს დავუბრუნდეთ.

რაში გამოიხატება სოლომანისა და თხზულების სხვა პერსონაჟების ტრაგედია?

მოხუცი პლატონი, რომლის ვალიც სოლომანს მართებს, არადა უფულობის გამო შვილს სასწავლებლიდან გამოურიცხავენ, იძულებულია ან ეხვეწოს სოლომანს, ვალი დამიბრუნეო, ან სამართალს მიმართოს და ძალით წაართვას მიცემული. არც მუდარით გამოსდის არაფერი კუდის რიკამდე გატყავებულ აზნაურ მორბელაძესთან და „სამართალშიც“ უფრო მეტს წაართმევენ და გააწამებენ, როგორც ამას სოლომანი იქადნება.

რა გზას დაადგეს პლატონი?

ბესარიონ საქარაძემ ან უნდა ითაღლითოს და ატყუოს მაშვალიცა და მოყვარეც, ანუ ან სული ანდა წაიწყმიდოს ყოველდღიური ტყუილებით და სხვაც გაამწაროს, ან მშვენიერი ელპიტე უნდა დაიტოვოს სახლში შინაბერად.

სოლომან მორბელაძემ კი ან უნდა აბითუროს ყველა: მოვალეც, სიძის ოჯახიც, საპატარძლოს სახლეულიც, და ამით ორიოდ გროში იშოვოს, ან ამ

ამბებზე უნდა აიღოს ხელი და დაელოდოს მამაზეციერს, როდის ამოხდის შიშმილით სულს, ან იმედგადაწურული მოვალე როდის მოუღებს ბოლოს.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ტრაგედიების დარად არჩევანის უფლება კლდიაშვილის გმირებსაც მხოლოდ ორ უბედურებას შორის აქვთ იმ განსხვავებით, რომ ისინი იმავდროულად სასაცილონი არიან პატარა ამბების გამო გამოწვეული დიდი სულიერი ღელვისა და იმ თავგადასავლების გამო, რომელთაც, როგორც წესი, უშედეგოდ ირჩევენ მდგომარეობიდან თავდასაღწევად. ამასთან, როგორც წესი, ტრაგედიის კლასიკურ გმირთაგან განსხვავებით ყოველთვის არჩევანის იოლ გზას მიმართავენ. ეს ტრაგიკომიკურობა, ცხოვრებისაგან შემოთავაზებული გროტესკი მაღალი ადამიანური ვნებებისა ყველაზე ლაკონიურად კაცისა და ჯორის დუეტის იმ სურათშია გამოხატული, რომელზედაც ზემოთ შევაჩერეთ თქვენი ყურადღება.

ერთგული ჯორი „თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულ ბატონსა“.

ეს ფინალია თხზულებისა. სხვაგანაც გვხვდება ნაწარმოებში ამგვარი პასაჟი. მღელვარე ფიქრებით შეპყრობილი სოლომანი გადამჯდარა ჯორზე, რომელიც „გაფრინდა, რაც ღონე ჰქონდა, და თან თავისი აღელვებული მხედარიც გაიტაცა“.

არ შეიძლება ამ სურათმა და ამ ლექსიკამ — „გაფრინდა“, „აღელვებული მხედარი“, „თავდაუზოგველად მიაქროლებდა“, „ნაღვლიანი, შავ-უკუღმა ფიქრები“ — რემინისცენცია არ აღძრას იმ ნამდვილი მხედრისა ნამდვილ მერანზე ამხედრებული, შავად მღელვარე ფიქრით, სახლისკენ კი არა, სახლიდან რომ მიქრის შავ ბედთან საბრძოლველად.

ახლა წარმოვიდგინოთ, როგორია კონტრასტი მერანით მიმქროლ, მაღალი იდეალებით ანთებულ, შავ ბედთან მებრძოლ ბარათაშვილისეული ოცნების მხედარსა და ჯორით სახლისაკენ გაქცეულ ასევე ბედთან მებრძოლ მაშულად ქცეულ აზნაურს შორის.

ასე რომ, დავით კლდიაშვილმა, თუკი ეს რემინისცენცია სხვისთვისაც გასაზიარებელია, თავისი გენიალური კალმით ვიზუალურადაც შეუდარებლად წარმოგვიჩინა ახალი დროის კნინობითი და ერთდროულად ტრაგიკომიკური ყოფა.

ცოდნა სიკეთისა და სინათლის წინააღმდეგ

ცხოვრება არსებობისათვის და არა არსებობა ნამდვილი ცხოვრებისთვის, რაც ქსოდენ მაღალმხატვრულად ასახა დავით კლდიაშვილმა, სხვა უამრავ

პარადოქსს შორის ერთ უკუღმართობასაც ხდის საცნაურს:

ცასმოწყვეტილი, სულიერებადაკარგული ადამიანი ყველა ქმედებას, ყოველგვარ მიზანს, ოცნებას, იდეალს უკავშირებს ერთადერთს – როგორმე გადარჩინოს ფიზიკური არსებობა და, აქედან გამომდინარე, ადამიანური ვნებების ასპარეზზე, როგორც პოეტი იტყოდა, მგლური კანონი ღმუის.

სულიერ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ცოდნის შეძენის წყურვილიც კი მგლური კანონის აღსრულებას ემსახურება. კლდიაშვილის სინამდვილეში როგორც სხვა განზომილებები ქცეულა ჭეშმარიტის კარიკატურულ გამოვლინებად, ასევე დამართნია იმას, რასაც ცოდნა ჰქვია.

ზნეობადავიწყებულ საზოგადოებაში ცოდნა გამოდის განათლების, ამაღლებულის, სიკეთის წინააღმდეგ.

იქ, სადაც მეფობს მგლური კანონი, ჭკუა ალარ არის გონიერების სინონიმი. ჭკუას, მოხერხებულობას, საზრიანობას ენაცვლება საქმის მოკვარახჭინების, ხრიკების გაბმის ოსტატობა.

გაიხსენეთ მოხუცი პლატონის ვედრება სოლომანისადმი: „რაცხა ეშმაკად შვილი შევიყვანე სასწავლებელში, ქე ვნანობ ახლა, ნამეტანი ხარკი უნდება– ბოვშვიც ტირის და იხვეწება, სასწავლებლიდან არ გამომიყვანოო... სწავლის ფული მაქვს შესატანი და ამისთვის მოვედი შენთან... რომ არ შეგაწუხო, მეტი გზა არა მაქვს. ვადაც ქეა გადასული, შენ რომ ფულების დაბრუნებას შემპირდი...

ბოვშს გამომიგდებენ და ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში...“

იმ სიბნელეში, დავითის პერსონაჟები რომ ცხოვრობენ, გამოჩნდა კაცი, სწავლის სიკეთე რომ შეუგნია და არაფერს იშურებს, რათა შვილი სასწავლებლიდან არ გამოუგდონ და სხვებივით ყრუელა არ დაურჩეს. მაგრამ თხზულების სრულად გადაკითხვის შემდეგ თქვენ ხვდებით – სწავლის მოთხოვნილება მხოლოდ იმ მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული, რომ სწავლულმა უფრო მოხერხებულად ატყუოს სხვა, ვიდრე ამას ყრუელა „უსტაველი“ იზამდა.

ბესარიონ ქათამაძის სასიძო, მართალია, აზნაური არ არის, მაგრამ მასზე პირდაპირ ნადირობენ, რადგან სიძედ „იმისთანა ყმაწვილები ასთუმნიან ქალებს არ ჯერდებიან“, – ამბობს მაშვალი სოლომანი. რატომ მაინც, რომელი ავთანდილი ან ტარიელი ჰყავს ქაიხოსრო ქათამაძეს გაზრდილი?

საქმე ისაა, რომ ნიკოია სასულიერო წოდების კაცია, მღვდლებს კი საერთო გაჭირვების ფონზე უზრუნველი ლუკმა აქვთ. ეპისკოპოსი ნიკოს მღვდლად კურთხევას უპირებს, თანაც დიდმრევლიან ეკლესიაზე ამწესებს.

ტყუილია თუ მართალი მაშვლის ეს სიტყვები, მთავარი არ გახლავთ. მთავარი ის არის, რომ მღვდლად შესაგულებელი კაცი სასურველი სასიძო ხდება, ვინაიდან სხვა გაჭირვებულებივით არ იცხოვრებს. მთავარი ის არის, რომ სასულიერო განათლებას იმიტომ ეწაფება ახალგაზრდა, იმის გამო იკლავს მშობელი თავს, რათა შვილს სასწავლებელი დაამთავრებინოს, რომ იცის, ღვთისმსახური ღვთის სხვა შვილებზე უკეთ იარსებებს, ცხადია, მათივე გაჭირვების ხარჯზე_

მართალია, ნიკო ჯერჯერობით სხვებს არ დამსგავსებია, მაგრამ მთავარია ის მუშტრის თვალი, რომლითაც მას უყურებს სოფელ-ქვეყანა, როგორც ნასწავლ, ანუ მომავალში უშრომლად ცხოვრების შემძლე კაცს.

ამდენად, „სოლომან მორბელაძის“ მიხედვით, ისე როგორც ეს „ქამუშაძის გაჭირვებასა“ თუ „სამანიშვილის დედინაცვალშია“, ცოდნა სწორედ იმის ანტიპოდადაა წარმოდგენილი, რასაც განათლება, ანუ სხვისი ჭირით შეჭირვების უნარი, ჰქვია. გაიხსენეთ „სწავლულები“: პორფირ ბიაშვილი, ბეგლარ ჯინჭარაძე, ივანე გვერდწვანიძე, რომელთა ჭკუაც ფლიდობასა და ჯრუელა ხალხის გაცუცურაკებაშია გამოხატული.

ერთი სიტყვით, დავითმა არსებობისათვის მებრძოლი ადამიანების ცხოვრების გადმოცემის ფონზე გვიჩვენა, რომ ასეთ საზოგადოებაში თვით ცოდნაც კი, ადამიანის სრულყოფილების საფუძველი, ადამიანისავე დეგრადაციის მიზეზად არის გადაქცეული. სამწუხაროდ, ჩვენი დროისათვისაც ესეც ერთ-ერთი ნაცნობი წყევლაკრულვიანი საკითხი გახლავთ.

დაბოლოს, ყველაზე ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში, კლდიაშვილის სინამდვილის მიხედვით, ახალგაზრდა ქალები არიან.

საგმირო-სარაინდო და სატრფიალო რომანებზე აღზრდილი ქართველი გოგონა, რომლის თვალზე ცრემლი აკიაფებულა ვისისა და რამინის, ტრისტანისა და იზოლდას, ტარიელისა და ნესტანის სასიყვარულო თავგადასავლების თხრობისას, ვინც ელოდება თავისი ოცნების რაინდს, ახალ გაჭირვებულ ყოფაში აღმოჩნდება მწარე რეალობის წინაშე - რამდენ თუმნად გაიყიდება იგი?

„მაღალი, შავთვალწარბა, ლამაზი პირისახის ყმაწვილი ქალიშვილი, წელზე გადაგდებული ორი გრძელი ნაწნავით“ - ამ ერთადერთი ფრაზით წარმოგვიდგენს მწერალი დარცხვენილ, დედის ზურგს ამოფარებულ ელპიტეს, რომლის გამოც ისეთი ვაჭრობა გაუმართავს სოლომან მორბელაძეს, ისე დაჟინებით იტყობინება სამამამთილო, შეთანხმებულ ფასს კაპიკი არ დააკლდესო, თითქოს მშვენიერი ასულის ნაცვლად ჯოჯოხეთის მაშხალას თხოულობდნენ.

იმ „ღირსსახსოვარ“ დიალოგებში, მაშვალსა და ქალ-ვაჟის მშობლებს შორის რომ იმართება, ლაპარაკია მხოლოდ ფულზე.

ბესარიონმა, ქალიშვილის მამამ, უნდა მისცეს ქაიხოსროს, სასიძოს მშობელს, ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი!..

მაშვალს, თავის მხრივ, წილად უნდა ხვდეს ექვსი თუმანი.

როგორ იშოვოს ბესარიონმა ამდენი ფული? ხომ არ დაუკლებს ერთ ას მანეთს ქაიხოსრო საწყალ ბესარიონს? ხომ არ დაალევინებენ ჩაილურის წყალს სოლომანის სამაშვლო 60 მანეთს?

აი, დიალოგების თემა, ამ ადამიანებს რომ გაუმართავს, თითქოს საქმე მშვენიერი ასულის გათხოვებას კი არა, საახალწლოდ დასაკლავი ბურვაკის ყიდვა-გაყიდვას ეხებოდეს...

ერთადერთი, ვისაც არაფერს ეკითხებიან, ეს თვით ელპიტეა. ის კი არა, თუ ისეთი მსურველი გამოჩნდება, რომელიც ქალის მშობლებს ცოტა ნაკლებ თანხას დასჯერდება, მზად არიან „ნივთი“ ამ ახალ მსურველს უბოძონ. თავის მხრივ, პროტესტსაც აზრი არ აქვს, ვინაიდან ასეა წესი — ან უნდა გადაიხადო, ან შინაბერად დაიტოვო ქალიშვილი...

რუსთაველის ქვეყნის ამაზე შორს წასვლა, ამაზე უარყოფითი სურათის წარმოდგენა აღარც შეიძლება.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები მშვენივრად მორგებიან...

* * *

მიაცილებს დიდი მწერლის მზერა სოფლის მტვრიან შარაზე ჯორითა თუ ბეხრეკი ცხენით მოჩაქჩაქე მოტყუებულ მხედარს და თვალებში ირეკლება სინანულის, სიყვარულის, აღშფოთების ცრემლი მისი ყოფის გამო. მოიხედე უკან, შე მადლიანო, ჯორიდან ცხენზე, ცხენიდან ავტოზე, ავტოდან თვით-მფრინავზე ამხედრებულს, ის მზერა ისევ მიგაცილებს! ისევ სინანულით, ისევ სიყვარულით, ისევ აღშფოთების ცრემლით, რადგან შენში არაფერი შეცვლილა ჯერაც—



ნიკო ლორთქიფანიძე

ცხოვრება და მოღვაწეობა

მწერლის პორტრეტი თანამედროვეთა თვალით

იმ სამყაროს მიხედვით, რომელსაც შემოქმედი ქმნის, დაკვირვებულ თვალს შეუძლია ამოიცნოს თვით შემოქმედის პიროვნული ხასიათი და სულიერი რაობა. ამ აზრით ამბობენ, რომ მწერალი სტილია, ანდა პირიქით, სტილში ჩვენ ვხედავთ შემოქმედს თავისი ბუნებით — სიმშვიდითა თუ აღგზნებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ,,ვითარცა ხატებისაგან იცნობების მხატვარი, აგრეთვე დაბადებულთაგან იცნობების დამბადებელი''.

,,ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი''.

ასეთი განცდის მიღმა მხოლოდ უნაზესი და უფაქიზესი სულის ავტორი უნდა დავიგულვოთ.

,,ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტიალი,

მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი“.

ამ სტრიქონების ნაზად წაკითხვა კი სასაცილო ეფექტს შექმნიდა. დამბადებელი ამ ლექსისა ლექსივით ომახიანი ბუნებისა წარმოგვიდგება. აკი ასეც იყო. ცხადია, რისთვისაც ვწერ ყოველივე ამას.

გადაიკითხეთ ნიკო ლორთქიფანიძის პროზა და თქვენ შეგიძლიათ გონების თვალით წარმოიდგინოთ მწერლის პორტრეტი. სტილი მისი — ლაპიდარული, სადა, ნათელი, შთამბეჭდავი. ფრაზა — მრავალისმეტყველი. სიტყვა — არსის გადმომცემი. მის ნაწერებში ვერსად იპოვით წინადადებას - გადაპრანჭულს, აზრს — გაბუნდოვანებულს, მეორედ და მესამედ რომ უნდა მოუბრუნდეს მკითხველი. ვერ იპოვით ჰაიჰარად ნათქვამ ფრაზას, რომლის ამოგდებითაც არაფერი დაიკარგებოდა...

არ არსებობს მწერალი, რომლის ხელიდან მხოლოდ ოქროს მონეტები იჭრება, მაგრამ იშვიათია ისეთი მწერალიც, რომელიც ოქროსთან ერთად მხოლოდ ვერცხლს გუთობს და რკინას თუ სპილენძს არ იკადრებს. ამ იშვიათ მწერალთა შორის ნიკო ლორთქიფანიძეც უნდა დავასახელოთ.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს კარგი და უკეთესი ნაწარმოებები. მაგრამ მის ტომეულებში ვერ იპოვით სუსტ ნოველას, სუსტ მოთხრობას, სუსტ მინიატურას. არა იმიტომ, რომ თვით დიდ მწერლებსაც არ მოსდით შემოქმედებითი მარცხი. - არა, უბრალოდ, ნიკო ლორთქიფანიძე ასეთ თხზულებას სააშკარაოზე არ გამოიტანდა, რადგან „ბუნებით ბატონი“, შინაგანად დიდი არისტოკრატი იყო და, ცხადია, ასეთად რჩებოდა პროფესიონალიზმის თვალსაზრისითაც.

ახლა კი დროა სიტყვა მის თანამედროვეთ მივცეთ.

კოლაუ ნადირაძე: „ქუთაისის ერთ-ერთ კაფეში ჩვენს მიერ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე პირველად შევხვდი ნიკო ლორთქიფანიძეს. პატარა იაშვილმა და შალვა ამირეჯიბმა გამაცნეს იგი. ამ საღამოზე ნიკო კითხულობდა ვენის საზოგადოებისათვის საყვარელი მწერლის არტურ შნიცლერის ერთ-ერთ ნოველის თარგმანს, აღარ მახსოვს, რომელს. ქუთაისის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ესწრებოდა ამ საღამოს. გამიკვირდა, თუ როგორი ყურადღებით და პატივისცემით უსმენდნენ მას. თუმცა ნიკო ლორთქიფანიძე კიდევ არ იყო არც „მრისხანე ბატონის“, არც „უამთა სიავისა“ და არც „ბებრების“ ავტორი.

დაინტერესებული ვაკვირდებოდი მას. რაღაც თავდაჭერილი არისტოკრატული იერი, ბუნებრივი არისტოკრატული ქცევა ახასიათებდა და მკვეთრად განასხვავებდა ყველასაგან. ჩემს წინ იდგა მწერალი, დენდიზმის დამახასიათე-

ბელი თეისების მატარებელი. იმ წუთშივე ვიგრძენი ეს და, მართალი გითხრათ, ამ მოულოდნელობით გაკვირვებული დავრჩი.

დენდიზმი... ეს ხომ არისტოკრატიზმის უმაღლესი საფეხურია და განირჩევა მისგან მეტი ბუნებრიობით, თავშეკავებით და კეთილშობილური უბრალოებით. იგი, რასაკვირველია, ფეოდალური რაინდული ეპოქის ტრადიციებით არის წარმოშობილი, მაგრამ დენდიზმს არასოდეს არ ახასიათებდა ქედმაღლობა, შეუწყნარებლობა, მყვირალა ტანკაზმულობა, რაც მთავარია, წოდებრივ პრივილეგიებზე დაყრდნობა, რადგან ეს ყოველთვის დონკიხოტურ ფორმებს ღებულობს და აუტანელი ხდება თავისი სიცარიელით.

ჩვეულებრივ არისტოკრატიზმისაგან განსხვავებით - და ეს მთავარია – დენდიზმს ახასიათებს დემოკრატიზმი, ჰუმანური მიდგომა ადამიანისადმი, უმართებულოდ ჩაგრულის დაცვა, რაც შერწყმულია შეუბღალავ პატიოსნებასთან და გამორიცხავს ყოველგვარ ვულგარულ და მერკანტილურ საქმიანობას.

რასაკვირველია, დენდიზმი გულისხმობს ქონებრივ საყრდენს, რომლის გარეშე იგი ნაწილობრივ კარგავს თავის ბრწყინვალებას, მაგრამ არასოდეს მხოლოდ ქონებრივ საყრდენს არ შეუქმნია და არ განუპირობებია დენდიზმი. მოვიგონოთ ბაირონი, შელი, უაილდი...

ჩვენი დროის ქართული დენდიზმის წარმომადგენლებად შეიძლია დავასახელო კონსტანტინე ერისთავი, ულამაზესი კაცი დავით მიქელაძე, იასონ გელოვანი, კოტე მაყაშვილი, გიორგი შერვაშიძე, კოტე აფხაზი, და, რასაკვირველია, ნიკო ლორთქიფანიძე“.

იმავე აზრს გამოხატავს ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ მშვენიერ ლექსში პაოლო იაშვილი:

„ხარ მოელვარე, ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს,
მომეცი ნება, როგორც მწევარი
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.
გაგვიძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი.
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი...“

ყურადღება მივაქციოთ ამ სიტყვებს: „და იშვიათი ჩვენში პროფილი“.

ეს ფრაზა შეიძლება გადატანითი მნიშვნელობით უფრო პირდაპირ ხვდებოდეს მიზანს და უფრო გამოხატავდეს პოეტის სათქმელ-სატკივარს, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ პაოლო იაშვილი მწერლის იშვიათ პრო-

ფილზე ამახვილებს ყურადღებას ამ ფრაზის უშუალო გაგებით.

ნიკო ლორთქიფანიძეს, ქართველ დენდსა და ბუნებით ბატონს, ცხოვრება მოუხდა იმ დროში, როცა მიმართვის ზრდილობიან ფორმას — „ბატონო“, ცვლიდა რუსულიდან კალკირებული — „ამხანაგო“. როცა დენდიზმი პლებეიზმით იცვლებოდა; როცა არისტოკრატიზმი დანაშაულად აღიქმებოდა, სიუხვეშე კი - პირდაპირობად; როცა კოლაუ ნადირაძის მიერ ზემოთ მოხსენიებულ ერისთავებს, მიქელაძეებს, გელოვანებს, მაყაშვილებს, შერვაშიძეთ, აფხაზებს, ლორთქიფანიძეებს და სხვათა, არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლებს, მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ერთ დროს აღზევებული გვარების მატარებელნი იყვნენ — ხვრეტდნენ.

როცა ახალი იდეებით ჭკუადაბინდული კომკავშირელთა თაობა ჰალსტუხიან მოქალაქეთ ქუჩაში პერანგს ახევდა და შეურაცხყოფდა.

ამ ფონზე „დენდი“ და „ბუნებით ბატონი“ მართლაც აღიქმებოდა, როგორც „იშვიათი ჩვენში პროფილი“. იქნებ ამასაც გულისხმობდა ნიკო ლორთქიფანიძე, როდესაც გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე შვილის თხოვნით დაწყებულ მემუარებს, რომლის ერთადერთი გვერდის ჩაწერა მოასწრო მხოლოდ, ერთ-ერთ ეპიგრაფად წარუმძღვარა ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „რა დრო დაგიდგათ, ყოვებო“...

წინაპრები

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ერთი პატარა ანეკდოტური მოთხრობა „თაგვის წერილი“ (1928 წ.). მოთხრობას ცოტა ირონიული, ცოტა გაღიზიანებული კაცის ხელწერა გასდევს.

„ჩემს გმირს, ქოსა იოსებს მეეტლეს, იქნებ არ ეყოლოს თავისი ბიოგრაფი — ვინმე მაკოლეი ან პლუტარხი.

ღირსი კი არის!“ — ასე იწყებს თხრობას მწერალი.

„საიდან დავიწყო ბიოგრაფია?

იოსებას ბაბუიდან?

ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ბაბუამისი უეჭველათ იცხოვრებდა ბატონყმობის დროს...

და ბატონყმობის დროს, ცნობილია, — როგორც დაგვიმტკიცა სახელმწიფო კინომრეწველობამ და ზ.ჭიჭინაძემ, — ბატონები დილით ჭამდნენ ფარეშს, შუა დღეზე უღელში აბამდნენ შინაყმას და ღამე კი აუპატიურებდნენ მოახლეებს, ზოგჯერ თავის საკუთარ ქალებს და უფრო ხშირათ კი ყმების ცოლებს და ქალიშვილებს.

მაგრამ მე, როგორც საბიოგრაფიო მასალების შემკრებს, მომეცეს ნება ვკითხო:

რა წოდებისაა იოსება?

თუ თავადები და აზნაურები (მათი რიცხვი საქართველოში ყოველთვის დიდი იყო) ასე საუზმობდნენ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მამრობითი სქესის გლეხი მეტად იშვიათ სულიერს წარმოადგენდა".

მწერალი ამ პასაჟით მოურიდებლად დასცინის იმ კლასობრივი ანტაგონიზმის თეორიას, რომელიც ფარზე აზიდეს სოციალიზმის მქადაგებლებმა და რომლის მიხედვითაც კაცობრიობის წინარე ისტორია ცხადდებოდა კლასთა ბრძოლის ისტორიად. ამ თეორიის მიმდევართა თვალსაზრისით ბატონი აუცილებლად კაციჭამია უნდა ყოფილიყო, გლეხი კი სათნოების განსახიერება. სწორედ ასეთმა თვალსაზრისმა განაპირობა ის ფაქტი, რომ 15 - საუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიას იმ დროში დანიელ ჭონქაძით იწყებდნენ. პირადად ფილიპე მახარაძის ბრძანებით სასკოლო სახელმძღვანელოებიდან 20-იანი წლების დასაწყისშივე ამოიღეს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება, რადგან გრიგოლი თავადი იყო და ამასთან - მეფის არმიის გენერლის სამხრეებით „დამშვენებული".

ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც თავადთა შთამომავალი, მწვავედ განიცდიდა თავისი წრის აბუჩად აგდებას. მას თავისი წარმომავლობა სამარცხვინოდ კი არა, საამაყოდ მიაჩნდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ მის წინაპართა მოწოდება ფარეშების „ჭამა" და მათი ცოლების გაუპატიურება კი არ იყო, არამედ სამშობლოსათვის სისხლის დაღვრა, რაინდობა და სიჩაუქე. მართალია, ნიკო ლორთქიფანიძე „დანგრეული ბუდეების" მწერლად ითვლება, მართალია, ხშირად წინაპართა მიმართ სიტყვა „რაინდებს" ირონიული მნიშვნელობითაც ხმარობს, მაგრამ ამას სწორედ იმიტომ ჩადის, რომ ხაზი გაუსვას, როგორი იყო რაინდი თავისუფალ და ძლიერ საქართველოში და როგორად იქცა იგი დაჭუცმაცებულ, გათითოკაცებულ, საერთოძარღვგამწყდარ ქართველში.

ნიკო ლორთქიფანიძეს თავისი წინაპრების, „ჩუნეშელი ლორთქიფანიძეების" მხრივ დიახაც ჰქონდა საამაყო. „ჩუნეშელი ლორთქიფანიძეები იყვნენ სწორედაც „ფიცის კაცები". ისინი, ვინც თავიანთი ვაჟკაცობისა და ერთგულების გამო განსაკუთრებული ნდობით იყვნენ აღჭურვილნი იმერეთის სამეფო კარზე. როგორც ცნობილია, „ფიცის კაცები" სასახლის გვარდიის როლს ასრულებდნენ და ყველაზე საპასუხისმგებლო ოპერაციების ჩატარებას მათ ანდობდნენ. „ფიცის კაცთა" მეთაური ლორთქიფანიძე იყო ნიკოს ბაბუა, გიორგი ბერის ძე. ბავშვობიდანვე თანშეზრდილები - მეფე სოლომონ მეორე და გიორგი მუდამ ერთად იყვნენ, ჭირშიაც და ლხინშიაც. ბრძოლის დროს

გიორგი ედგა მხარში სოლომონს, ხოლო მშვიდობიანობისას საჭირო რჩევა-დარიგებასაც აძლევდა მას.

„გიორგი იყო, — მოგვითხრობს ნიკო, — ტფილისიდან რომ სოლომონი გააპარა, სოფელ ალთან რომ ბარძაყში ხიშტგაყრილმა ჯერ მეფის შემტევი გაჩეხა და მერე, თავის მოპირდაპირეს სიახლოვის გამო ხმლით რომ ვერ მიუდგა, დაახრჩო მარცხენა ხელით“. (იხ. ელ.აბრამიშვილის წიგნში „ნიკო ლორთქიფანიძე“, თბ. 1977 წ.)

გიორგი ბაბუა გახლდათ ნიკო ლორთქიფანიძისა. მამამისიც ღირსეული კაცი ყოფილა. მერაბ ლორთქიფანიძე, ნიკოს მამა, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო თავადთა შორის, ვინც საგლეხო რეფორმის გატარებამდე გაათავისუფლა გლეხები ბატონყმობის უღლისაგან. შალვა დადიანი, რომელიც დეიდაშვილი იყო ნიკოსი, იგონებს: „საერთოდ, ეს ოჯახი ითვლებოდა ერთ მოწინავე ოჯახად. ნიკოს მამა, მერაბ ლორთქიფანიძე მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად და მრავალრიცხოვან შვილებს (ნიკოს ხუთი და და ორი ძმა ჰყავდა, — ნ.გ.) მიაღებინა სათანადო სწავლა, ვაჟები ხომ სუყველა მშვენიერი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ, ალექსანდრე, იასონი და თვითონ ეს ნიკო“.

ნიკოს დედა წულუკიძის ქალი იყო. თავის წინაპრებს დედის მხრიდან მწერალი ახასიათებს იმ მოღვაწეებად, „რომელთა სახელი ისტორიაში შედის ორი-სამი სტრიქონით, მაგრამ რომელთა მნიშვნელობა განუზომელი, აუწონელი, ღრმად და ფართოდ მნიშვნელოვანია.

ისინია, თავისი დაკვირვებით და სამშობლოს უანგარო სიყვარულით რომ პირველად მიიქცევენ ყურადღებას; ისინია, რომ გათიშულ ძალებს რაღაც მათთვის მხოლოდ შესაძლებელი ძალებით გადააბამენ ერთმანეთს; გაჭირვების დროს ურყევად დგანან თავის ადგილზე, ვით უჩინარი მედროშე და ზეიმის ჟამს ახალ საქმეზე, ახალ გამარჯვებაზე ჰფიქრობენ“.

ერთი სიტყვით, მომავალი მწერალი შესანიშნავი მშობლებისა და ნათესავების გარემოცვაში იზრდებოდა. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მერაბ ლორთქიფანიძის მეგობრები და მისი ოჯახის არცთუ იშვიათი სტუმრები ყოფილან ისეთი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით მიქელაძე, ნიკო დადიანი, გასაგები გახდება, თუ რა ზნეობრივსა და ინტელექტუალურ გარემოცვაში უნდა აღზრდილიყო ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძე.

ადამიანი თავის წინაპართა მემკვიდრეობის ტყვეა. მისი ცხოვრება მნიშვნელოვანწილადაა განსაზღვრული იმ გენით, რომლის მატარებლადაც გვევლინება. პიროვნება დაბმულია თავისი წარსულით, იმ ერთობ გრძელი საბელით, როგორც ამას ნოე ჟორდანია წერდა, — „რაც მას არ ანებებს

მიხვედ-მოხვევას, შორეულ გზებზე გადასვლას, რომ საბელს მოსწყდეს და სადმე უცნობ და უცხო ნიადაგზე გადავარდეს, ის ტრიალებს თავის ცენტრის გარშემო და მას ვერ მოწყდება. შეიძლება ის მოწყდეს თავის წინაპართა კულტურას, მათ ენას და ზნე-ჩვეულებას, მათ სამშობლოს და ქერას, მაგრამ ვერ მოწყდება მათ ბიოლოგიას, მათ სისხლს და ხორცს, მათ ბუნებას. აი, ეს ძირითადი საფუძველია, რომლის მოშლა ადამიანის ხელთ არ არის".

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იმპერიის ხელისუფალნი გამუდმებით იმის მცდელობაში იყვნენ, რომ ქართველი ერი თავისი ისტორიის, თავისი წარსულისათვის მოეწყვიტათ, ხოლო პიროვნება - წინაპართა გენის, ადათ-წესებისათვის, რადგან, როგორც ერის, ისე პიროვნების გადაგვარება მაშინ იწყება, როდესაც იგი საკუთარ ფესვებს მოიკვეთს. ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ნიკო ლორთქიფანიძე თავისი შემოქმედების მიხედვით თითქოს მთლიანად წარსულში სახლობს, წინაპართა აჩრდილებს ესათუთება.

არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს, ამ მშვიდსა და დახვეწილ ინტელიგენტს, ახალგაზრდობის ჟამს ორჯერ მოუხდა დუელიანტის ბარიერთან მისვლა. ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბავშვობისა და ყრმობის წლები

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 17 სექტემბერს სოფელ ჩუნეში. ბავშობა მისი არ ყოფილა ეკონომიკური სიდუხჭირით დაღდასმული. მწერლის მშობლებს გამართული ოჯახი ჰქონდათ და პატარა ნიკო უზრუნველად იზრდებოდა. „მახსოვს დღენი სიამოვნებისა, ცხოვრების პირველ ხანას ეკუთვნის, თითქოს პირველი მოგონებაც კი იყოს.

ერთი კალთიდან მეორე კალთაში გადავდივარ; ზოგან ჯდომა მომწყინდება. დავაყრდნობ კალთას ხელებს, მივაყრდნობ იდაყვს და ასე თითქოს ზმორებით შევყურებ მოცეკვავეთა. განათებულია ყველაფერი. მშვენიერებაა ირგვლივ- ყნოსვა ტკბება". — იგონებდა მწერალი თავისი სიყრმის პირველ შთაბეჭდილებას.

წერა-კითხვა მომავალ მწერალს ოჯახშივე შეასწავლეს.

მწერლობისადმი მიდრეკილებაც ადრეულ ასაკშივე გაჩენია, „რადგან ქართული წიგნები მაშინ ძალიან ცოტა იყო, განსაკუთრებით საბავშვო, — ვკითხულობთ მის ჩანაწერებში, — მე ვკითხულობდი რუსულ წიგნებს და, რადგან ყოველი დამწყები მწერალი ტრაფარეტული წინადადებით სარგებლობს, მეც რუსულად დავიწყე პირველად წერა".

ბავშობის წლებიდან მწერალს უამრავი თხზულება შერჩენია, მაგრამ

დაჭაბუკებულს თავისი ნაწერები, ცხადია, ალარ მოეწონებოდა და განაჩენიც ერთობ მკაცრი გამოუტანია – ერთიანად ცეცხლისთვის მიუცია ბავშვობის წლებში ნაწერ-ნაღვაწი, რაზეც მოგვიანებით უკვე გულდაწყვეტილი დაწერს: „მგონია, ზოგიერთი მათგანი შემდეგში ყურადღების ღირსი შეიქმნებოდა, თუნდაც გადაკეთების შემდეგ“-ო.

ნიკო ლორთქიფანიძე ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ კი ვლადიკავკაზში (ახლანდელი ორჯონიკიძე), სადაც დაამთავრა გიმნაზიის სრული კურსი. ვლადიკავკაზში ნიკოს ძმა იასონი მსახურობდა იმ დროს და ჩუნეშელი ყმაწვილი სწორედ ამის გამო აღმოჩნდა ოჯახიდან ასე მოშორებით.

გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ ნიკო ხარკოვის უნივერსიტეტში გაემგზავრა, სადაც ჯერ მათემატიკის ფაკულტეტზე ჩარიცხულა, შემდეგ კი იურიდიულზე გადასულა. მაგრამ უნივერსიტეტის დასრულება ნიკო ლორთქიფანიძემ ვერ შეძლო. სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის გამო იგი უნივერსიტეტიდან გამორიცხეს.

თუ როგორი ბუნებისა იყო ნიკო, ეს კარგად ჩანს მისი ახალგაზრდობის დროინდელი რამდენიმე ეპიზოდიდან.

ნიკო ლორთქიფანიძე განსასჯელის სკამზე

თბილისის სასამართლო პალატამ 1902 წლის 2 მაისის განაჩენით სტუდენტ ნიკო ლორთქიფანიძეს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენის მიზეზი შემდეგი გახლდათ:

1901 წლის გაზაფხულზე ქუთაისში ჩამოვიდა ომარსკის მოხეტიალე დასი, რომელმაც 16 აპრილს წარმოადგინა ვ.კრილოვის და ს.ლიტვინას პიესა „შვილი ისრაელისა“. ამ პიესის წარმოდგენის დროს დარბაზში დიდი არეულობა მოხდა. არეულობის მიზეზი კი შემდეგი გახლდათ: მე-20 საუკუნის დასაწყისში კიდევ ერთხელ იფეთქა ანტისემიტურმა მოძრაობამ რუსეთში. იმართებოდა ებრაელი ხალხის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. სხვათა შორის, ერთ მორიგ ასეთ ანტისემიტიზმის აქციას შეეწირა ოდესაში ქართველი სწავლული საბა კლდიაშვილი, რომელიც ებრაელთა დაცვას ეცადა. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ებრაელი ხალხი საშიშროების წინაშე არ იდგა და მკვიდრი მოსახლეობისაგან კეთილმოსურნეობითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, იყო საქართველო. რუსმა შოვინისტებმა განიზრახეს ქართველებისა და ებრაელების წაკიდებაც. ამით ისინი ორ მიზანს შეასრულებდნენ ხორცს: ჯერ ერთი, საქართველოშიც აეშვირთებდნენ ანტი-

სპიტურ მოძრაობას და მოაწყობდნენ ებრაელთა რბევას, და მეორე: საქართველოში შექმნიდნენ ერთაშორისი ბრძოლების კიდევ ერთ ბუდეს.

ვ.ჟრილოვისა და ს.ლიტვინას პიესის – „შვილი ისრაელისა", პათოსი ასეთი იყო: პიესის გმირი — რაბინი სედნერი ქადაგებს: „არა კაც კლა" სრულებითაც არ უკრძალავს ისრაელებს მკვლელობას, რადგანაც იქ არის ნათქვამი — ვისი მოკვლა შეიძლება და ვისი არა. ე.ი. შეიძლება მოკლა ქრისტიანი, ხოლო ებრაელის მკვლელობა აკრძალულია". პიესის ეს იდეა თავისთავად იმისთვის იყო გამიზნული, რომ ქრისტიანები ებრაელთა წინააღმდეგ აემხედრებინათ და ის, რაც პრაქტიკულად ხდებოდა რუსეთში (ებრაელთა ხოცვა), თეორიულადაც გაემართლებინათ. ქართველი ხალხი ამ პროვოკაციაზე არ წამოეგო.

ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევაა გამოქვეყნებული ჟურნალ „სამჭოთა სამართლის" 1974 წლის პირველ ნომერში. აღნიშნულ ინციდენტზე წერილები დაიბეჭდა იმდროინდელ პრესაშიც (იხ. გაზ. „კვალი" 1901 წ. №21, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901 წ. №1511).

მოკლე ცნობები, ამ მასალებიდან ამოკრეფილი, ასეთი გახლავთ:

„ქუთაისის პოლიცმეისტერმა ლისოვსკიმ გაითვალისწინა მოსალოდნელი კონფლიქტი და სთხოვა გუბერნატორს, ნება არ დაერთოთ დაედგათ პიესა „შვილი ისრაელისა".

გუბერნატორი არ დაეთანხმა პოლიციის მოთხოვნას და მიიღო ზომები, რომ წარმოდგენა არ ჩაშლილიყო. მოამრავლა ჯაშუშები თეატრის ირგვლივ, გააძლიერა პოლიციელთა რაზმი, რათა თეატრში არ განმეორებულიყო იმავე წლის 16 აპრილის შემთხვევა, როცა ამ პიესის ჩვენებისას წარმოდგენა ჩაიშალა. დასი გაფრთხილებული იყო, რაც უნდა ხმაური ატეხილიყო დარბაზში, ფარდა არ დაეხურათ და წარმოდგენა დაემთავრებინათ.

და, აი, 5 მაისს კვლავ წარმოდგენაა. აიწია თუ არა ფარდა, მოაჯირზე მყოფმა სტუდენტებმა: ნიკო ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე კანდელაკმა (შემდეგში ბათუმის თეატრის მსახიობი), კირილე ნინიძემ (შემდეგში ცნობილი ვექილი) და სხვებმა, ისეთი ხმაური ატეხეს, რომ წარმოდგენის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. პოლიციის ღონისძიებას შედეგი არ მოჰყოლია.

მაყურებელი ახალგაზრდობა წარმოდგენის ჩაშლის მიზნით ყიჟინებდა, ხმაურობდა, უსტვენდა, აბრახუნებდა ჯოხებით, სცენაზე მსახიობებს ლაყე კურცხებს უშენდა. პოლიცმეისტერი ლისოვსკი იძულებული გამხდარა, ასულიყო მოაჯირზე და ხალხისათვის შემდეგი წინადადებით მიემართა: „ან დაწყნარდით, ანდა თეატრიდან წადით, ძალით ნუ გამაყვანინებთ თავსო". ამაზე სტუდენტებმა უპასუხეს: „დაგვიჭირეთ და ძალით გაგვიყვანეთ, მაგრამ ნებით კი არ გავალთ, სანამ მაგ უმსგავსო წარმოდგენას არ შეწყვეტთო".

ნიკო ლორთქიფანიძემ თეატრში მყოფ ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმა
რთა: „ვთხოვ პატიოსან საზოგადოებას — ნუ უყურებს ამ საზიზღარ წარ
მოდგენას, რომელიც რყვნის დრამატულ ხელოვნებას, ამცირებს ერსა დ
შეურაცხყოფს სარწმუნოებრივ გრძნობას. ვინც თქვენში რიგიანია, წაიდე
თეატრიდან და, ვინც უპატიოსნოა, ის თუნდაც დარჩეს“.

ხმაური კვლავ გრძელდებოდა. გაიცა ბრძანება — სტუდენტები ძალი
გაერეკათ გარეთ. წინასწარ მოწვეულმა პოლიციელთა რაზმმა, დარაჯებმ
ჯარისკაცებმა ცემა დაუწყეს სტუდენტებს. ამ ინციდენტს მაშინდელი გაზე
თი შემდეგი სიტყვებით აღგვიწერს: „სტუდენტ ლორთქიფანიძეს მისცივდ
რამდენიმე პოლიციელი და დაუწყო აქეთ-იქით წევა, თითქოს გახლეჩ
უნდოდათო, მერე ასწიეს, ორ საქენზე სკამების თავზე გადაისროლეს დ
დაცემულს ისე დაუწყეს ცემა, რომ ვიღაც ამირეჯიბი იძულებული იყო
თურმე, საშველად ნაბადი გადაეფარებინა იმისათვის. გამწარებული ლორთ
ქიფანიძე წამოდგა თუ არა, მარშალ ერისთავს მივარდა ხანჯალზე: „ან თავ
მოვიკლავ, ან სხვას მოვკლავო“...

რაკი სტუდენტები ხმაურს არ წყვეტდნენ და წარმოდგენის შეჩერებას
მოითხოვდნენ, პოლიცმეისტერმა ლისოვსკიმ კვლავ განმეორებით გასცა კატე
გორიული ბრძანება, ძალით გაერეკათ ისინი. ამ დროს სტუდენტებმა ყვირილ
მორთეს: „არ გაბედოთ მოკარება, ხელი არ გვახლოთო“. ამასთანავე დაიწყე
მუშტების, სკამებისა და ჯოხების ხმარება მათს მოსაგერიებლად. ხმაური გა
ძლიერდა. წარმოდგენა შეჩერდა. ფარდა დაუშვეს.

ამ არეულობის დროს გასასვლელი კარის წინ თავი შეეყარა დიდძალ
ხალხს. დაპატიმრებული ახალგაზრდები პოლიციას გარეთ რომ გაჰყავდა
ხალხი გაიძახოდა: „არ დაანებოთ დასატუსაღებლადო“.

პოლიცმეისტერმა ლისოვსკიმ გარეთ გამოსვლისას გამოიძახა დამატები
თი პირველი ხოპერის პოლკის 150 ჯარისკაცი და გასცა განკარგულება
„გარეკეთ და დაშალეთ ხალხიო!“ პოლიცია და ჯარისკაცები ბრძანების
შესრულებას შეუდგნენ, გარს შემოერტყნენ ქალაქის ბაღს, სადაც ხალხი იყო
შესული. მათ ისარგებლეს და ქვები დაუშინეს პოლიციელებსა და ჯარისკა
ცებს. როგორც იქნა, ხალხი დაიშალა.

ამ საქმის გამო ერთი დღე-ღამის განმავლობაში 200-მდე კაცი იყო
დაკავებული, ხოლო სტუდენტები: ნ.მ.ლორთქიფანიძე, კ.ნ.ნინიძე, ა.ნ.კანდელაკი
და მოქალაქე ი.კ.აფხაიძე დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. მათ ბრალი
დაედოთ, რომ შიშინითა და ხმაურით წარმოდგენის დროს მყუდროება და
წესრიგი დაარღვიეს. გარდა ამისა, გარეთ გამოყვანისას, ამ შემთხვევის დროს
დაშავდა 15 ჯარისკაცი, 13 დარაჯი და პოლიციის მოხელე– აგრეთვე მცირედ

დაჭრნენ ხოპერის პოლკის 2 ოფიცერი, იასაული ნეკრასოვი და ასისთავი რიაბისი. ამასთან საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ნ.ლორთქიფანიძეს ბრალად ედებოდა სილის გარტყმა გოროდოვოისათვის, მუშტის დაკვრა ერთი ჯარისკაცისა და დარაჯისათვის, ხელის ჯიკავი დარაჯების უფროსისათვის და სხვა.

განაჩენი სასამართლომ 1901 წლის 20 სექტემბერს გამოაცხადა.

სტუდენტებს ბრალი დაედოთ პოლიციის მოხელეთა შეურაცხყოფაში და ისინი დამნაშავედ ცნეს მხოლოდ იმაში, რაც თვითონ აღიარეს. ეი. მყუდროების დარღვევაში და გადაუწყვიტეს ჯარიმა: ნ.ლორთქიფანიძეს — 150 მანეთი, კ.ნინიძეს — 100 მან. კანდელაკს — 50 მან. და აფხაიძეს — 5 მანეთი.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ, „თუ ბრალდებულნი აღნიშნულ ჯარიმის გადახდას ვერ შეძლებდნენ, მაშინ დაეკისრათ ციხეში დაპატიმრებით. ნ.ლორთქიფანიძე — 1,5 თვის ვადით, კ.ნინიძე - 1 თვით, ხოლო აფხაიძე პოლიციაში ერთი დღის ვადის დაკავებით“.

ასეთი შეღავათიანი სასჯელი დამცველთა ენერგიული ბრძოლის შედეგი იყო. განაჩენით კმაყოფილი არ დარჩა ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის მოადგილე მანილოვსკი. მან იგი გაასაჩივრა და მოითხოვა სტუდენტთა მკაცრი დასჯა. საპროტესტო განცხადებაში წერდა, რომ „სტუდენტების ფულით დაჯარიმებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ საქმეში, რადგანაც ეს დასჯა იქნება მათი მშობლებისა და არა მათი“. იგი მოითხოვდა ბრალდებულთა დაპატიმრებას.

თბილისის სასამართლო პალატის დადგენილებით, წარმოდგენაზე უწესობის ჩადენისათვის, სამსახურის აღსრულების დროს პოლიციის მოხელეთათვის შეურაცხყოფის მიყენებისა და ამავე დროს თეატრის წინ საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევისათვის, აგრეთვე სტრაჟნიკებისათვის შეურაცხყოფის მიყენებისათვის ბრალდებულთ მიესაჯათ ციხეში პატიმრობა: ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს — ორი თვით, კირილე ნინიძეს და აფხაიძეს - სამ-სამი თვით, ხოლო ალ.კანდელაკს - სამი კვირის ვადით.

ორი დუელი

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნული თვისებების შესახებ. აღვნიშნეთ, რომ თავმოყვარეობა და სულიერი არისტოკრატიზმი იყო მისი ხასიათის გამოკვეთილი ატრიბუტები. ვამბობ თავმოყვარეობას და არა პატივმოყვარეობას, რადგან, თუ პირველი ადამიანს ღირსებას მატებს, მეორე, პირიქით, ღირსებას ულახავს.

პატივმოყვარეობისაგან ნიკო ლორთქიფანიძე შორს მდგარა. როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, მას მუდამ ჩრდილში ყოფნა ერჩია. გაურბოდა რეკლამას და პომპეზურ სალამოებს. სიტყვაძუნწი ყოფილა. ერიდებოდა საჯარო გამოსვლებსა და საჯაროდ თავისი ქების მოსმენასაც. გულწრფელად იყო გაოცებული იმით, რომ ადამიანებს რამდენიმე საათის განმავლობაში გულისყურით შეუძლიათ ისმინონ მავანის მიერ გადმოფრქვეული ქება. მით უფრო მაშინ, როცა აქედან ნახევარი მაინც სიმართლეს არ შეეფერებაო. ილია ერთგან ბრძანებს: „თავმოყვარე კაცისათვის გადაჭარბებული ქება გადაჭარბებულ ლანძღაზედაც უარესია“. ნიკო ლორთქიფანიძე ფამილარობის ან გადაჭარბებული ქების უფლებას არავის მისცემდა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ფაქტი: ქართველებს, როგორც ცნობილია, უკიდურესობები დაგვჩემდა. ან ბოლომდე მოვთხრით და გავთათხავთ კაცს, ან ზღვარგადასულად აღვუყენთ ქება-დიდებას. ნიკო ლორთქიფანიძე პურობის დაწყების წინ ხშირად აფრთხილებდა, თურმე, მეგობარ მწერლებს, ამთავითვე შევთანხმდეთ, შენ ბოდლერი ხარ, შენ — მალარმე, შენ — ვერლენი, მე — მერიმე და საქებარი სადღეგრძელოები ამით მოვილიოთო...

ეს უველაფერი, როგორც იტყვიან, სიტყვამ მოიტანა. როდესაც ნიკო ლორთქიფანიძის თავმოყვარეობის შესახებ ვსაუბრობთ, პირველ ყოვლისა, სწორედ ის დამოკიდებულება უნდა გავიხსენოთ, რაც მას თავისი ჯიშის, გენის, წინაპრების მიმართ ჰქონდა.

„ფიცის კაცების“ შთამომავალი ღირსებას არავის შეალახვინებდა და სისხლით და ხორცით ინტელიგენტი კაცი შეურაცხმყოფელთან გულზვიად მებრძოლად იქცეოდა. შელახული თავმოყვარეობის აღდგენის მიზნით ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძე ორჯერ დადგა დუელიანტის ბარიერთან.

1902 წელს ლორთქიფანიძე ავსტრიაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. სწავლობდა ლეობენის სამთო აკადემიაში. სხვათა შორის, მომავალ მწერალს თავისი საცხოვრებელი ბინის კარზე ასეთი წარწერა გაუკეთებია — „პრინცი ნ.მ.ლორთქიფანიძე“. აი, ეს ჩვენი პრინცი ერთ მშვენიერ დღეს ლეობენის ერთ-ერთ სასადილოში ზის ქართველ მეგობრებთან ერთად და ხელში საშლელს ათამაშებს. ეს შეამჩნია ერთმა უცხოელმა ახალგაზრდა ლექტორმა, ნიკოს მიუახლოვდა და დაცინვით სთხოვა, ერუქებინა მისთვის საშლელი. ეს ჟესტი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „თავაზიან“ ლექტორს კარგა ბარაქიანი სილა მიეღო ქართველი „პრინცისაგან“. თვალთაგან ნაპერწკლებწამოყრილმა უცხოელმა ნიკო დაუყოვნებლივ დუელში გაიწვია.

მშვიდი ქართველი ახალგაზრდის ასე უეცრად აფეთქებას მისთვის შეძლებოდა საბედისწერო შედეგი გამოეღო. დუელზე უარის თქმა არ ეგებოდა,

არადა, ნიკო კარგად ვერ ხედავდა, იგი სათვალეებს ატარებდა...

დუელი მეორე დღეს დაინიშნა. ორთაბრძოლა უნდა შემდგარიყო დაშნით, რომელიც აქამდე სტუდენტ ლორთქიფანიძეს ხელში არ სჭეროდა...

მთელი ღამე მეგობრებმა ნიკო ფარიკაობაში აყარეჯიშეს, ბევრი ეჩხუბა შესწავლეს. მაგრამ „ფიცის კაცების" შთამომავლის გულმედგრობა ბრძოლის ჟამს გადამწყვეტი აღმოჩნდა. ნიკო ლორთქიფანიძემ მეორე დღეს კაიმარჯვა, მან პირველმა მოახვედრა მოწინააღმდეგეს დაშნა და მსუბუქად დაჭრა ხელში. მოწინააღმდეგენი ამით დაზავდნენ და შერიგდნენ.

1907 წელს ნიკო ავსტრიიდან თბილისში დაბრუნდა ისე, რომ მას უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია. იმავე წელს თბილისში იგი კიდევ ერთ ხიფათს გადაეყარა. კიდევ ერთხელ აღმოჩნდა დუელიანტის როლში რუსის ერთ ოფიცერ ვინმე აკიმოვთან. ამ ოფიცერს სასაცილოდ აუგდია ქართველები და მასთან მოსაუბრე ნიკო ლორთქიფანიძეც, რომელსაც მოთმინება დაუკარგავს და აკიმოვისთვის გაურტყამს კლუბში, საჯაროდ. სამხედრო პირის, თან ჩინოსანი ოფიცრისათვის, ეს იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ, თუ იგი შურს არ იძიებდა, ან თავი უნდა მოეკლა, ან სამუდამოდ გადაკარგულიყო. ასეთი გახლდათ იმ დროის ოფიცერთა დაუწერელი კანონი. აკიმოვმა ნიკო, ცხადია, დუელში გაიწვია.

ნიკო ლორთქიფანიძეს სეკუნდანტებად შეურჩევია ილია ზურაბიშვილი - სათავადაზნაურო საკრებულოს მდივანი და გიორგი ამირეჯიბი - კაცი თავადაც დიდი მოჩხუბარი და ჩაუქი.

ილია ზურაბიშვილმა ამ დუელის შესახებ მოგონება გამოაქვეყნა 1945 წელს, ჟურნალ მნათობში (№6). ამ მოგონებას ეყრდნობა ელ.აბრამიშვილი წიგნში „ნიკო ლორთქიფანიძე" (თბ.1977). აი, რას ვკითხულობთ აქ ამ ეპიზოდის შესახებ: ნიკო ლორთქიფანიძე და აკიმოვი თავიანთი სეკუნდანტებითურთ, შეთანხმებისამებრ, ზუსტად ექვს საათზე დანიშნულ ადგილას გამოცხადდნენ. ნიკოს თეთრი სერთუკი ეცვა და შავი ჰალსტუხი ჰქონდა გაკეთებული. სახეზე ოდნავ ირონიული ღიმილი დასთამაშებდა. ნიკოს სეკუნდანტები ღელავდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს დუელი „სახუმარო" დუელი არ იქნებოდა. ოფიცრის ცემა მისი სამხედრო კარიერის დაღუპვას მოასწავებდა და, ცხადია, აკიმოვი თავის მოწინააღმდეგეს არ დაზოგავდა. იცოდნენ ისიც, რომ კანონის თანახმად პირველი გასროლა შეურაცხმყოფილს, აკიმოვს ეკუთვნოდა. შეშფოთებული მეგობრები დუელის დაწყებამდე ურჩევდნენ ნიკოს, გეზად დამდგარიყო და არა პირდაპირ. სთხოვდნენ ასევე, ხელი აეღო სულგრძელობაზე და პირველი სროლის დროს დამბაჩა კარგად დაემიზნებინა მოწინააღმდეგისათვის, შთაგონებდნენ, რომ დიდსულოვნება, ბოლოს და ბოლოს,

მეორე გასროლისას შეიძლებოდა გამოეჩინა, რითაც უნდა დამთავრებულიყო დუელი.

ილია ზურაბიშვილს ნ.ლორთქიფანიძისათვის სერთუკის საყელო და „ლაცკანები“ აუწევია და, რაც მთავარია, დაუფარავს შავი ჰალსტუხი, რომელიც თეთრ „სერთუკზე“ კარგ სამიზნედ მოჩანდა. ნიკო ყველაფერზე უხმოდ უქნევდა თავს მეგობრებს და კვლავ ირონიულად იღიმებოდა.

დუელი დაიწყო.

აკიმოვმა საგულდაგულოდ დაუმიზნა დამბაჩა მოწინააღმდეგეს.

„და ამ დროს, — წერს ზურაბიშვილი, — ჩემდა შესაძრწუნებლად, დავინახე, რომ ნიკო პირდაპირ მკერდგამართული დგას და სერთუკის საყელო და ლაცკანები გადაუწევია. თეთრი გულისპირი და ზედ შავი ჰალსტუხი სასროლი ნიშანივით გამოირჩევა“.

სროლის ხმა გაისმა.

ნიკო არც კი შერხეულა. ის იდგა კვლავინდებურად მშვიდი, აუღელვებელი, „ნათლად გარკვეული ირონიული ღიმილით“.

საბედნიეროდ, აკიმოვის მიერ ორჯერ გასროლილი ტყვია ნ.ლორთქიფანიძეს ორჯერვე ასცდა. თვით ნიკომ კი დამბაჩები ჰაერში გაისროლა...

დუელი დასრულდა.

სეკუნდანტები ეტლით საარტილერიო დივიზიის შტაბში სადუელო აქტის შესადგენად გაემგზავრნენ.

დუელის უკანასკნელი რიტუალიც დამთავრდა.

და აქ, შტაბში, გამოთხოვებისას, შტაბს-კაპიტანმა — აკიმოვის სეკუნდანტმა — ასეთი სიტყვებით მიმართა ნ.ლორთქიფანიძის მეგობრებს:

„მოწყალეო ხელმწიფენო! ნება გვიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი და ჩემი ამხანაგების აღტაცება თქვენი რწმუნებულის განსაცვიფრებელი მოქმედების გამო. ჩვენ, სამხედრო ხალხი, ისე ვართ აღზრდილნი, რომ ყრმობიდანვე ვეჩვევით, საფრთხის დროს სიკვდილს ისე ვუყუროთ, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, რომლისთვისაც ყოველ წამს მზად უნდა ვიყოთ. მაგრამ როდესაც ვხედავთ ადამიანს, პარტიკულარულ ტანისამოსში, რომელსაც საბედისწერო წამს ისე უჭირავს თავი, თითქო სიკვდილს აბუჩად იგდებდეს თავისი ადამიანური ღირსების დაცვის დროს, ამას არ შეუძლიან ჩვენი აღტაცება და პატივისცემა არ გამოიწვიოს. ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს თავად ლორთქიფანიძის ყოფაქცევას დუელის დროს და თვითეულმა მისმა მოძრაობამ, ფიზიკურმა და სულიერმა, აშკარად გვიჩვენა, რომ იგი ჭეშმარიტად რაინდია და უმწიკვლო. სამწუხაროდ, ჩვენ ეს პირადად ვერ განეუცხ-

ადეთ მას ბრძოლის ველზე, რადგანაც ეს დიდი დამარცხება იქნებოდა ჩვენი ისედაც საკმაოდ დამცირებული ამხანაგისა, და ამიტომ თქვენ გთხოვთ, ბატონებო, გადასცეთ მას ჩვენი გულწრფელი სიტყვები და უღრმესი პატივისცემა".

როდესაც მეგობრებს ნიკოსთვის შტაბსკაპიტნის ეს სიტყვები გადაუცია თ, მას თავისებურად გაუღიმია და შემდეგ უთქვამს: „ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ის საბრალო ხომ დაიღუპა".

სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა. დაოჯახება. პედაგოგიური მოღვაწეობა. „სამშობლოს სამსხვერპლოზე"

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის თარიღად თავის ავტობიოგრაფიაში მწერალი 1902 წელს ასახელებს. ამ დროიდან იგი იწყებს პუბლიცისტური წერილების გეზდევას. მალე, როგორც ზემოთ ითქვა, ნიკო საზღვარგარეთ მიემგზავრება და 1907 წლამდე ავსტრიაში იმყოფება.

მწერლის ესთეტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ავსტრიელი იმპრესიონისტების შემოქმედებით დაინტერესებამ.

იმპრესიონიზმი ხელოვნებაში აღმოცენდა საფრანგეთში გასული საუკუნის მე-2 ნახევარში. ამ მიმართულებას მხატვრებმა ჩაუყარეს საფუძველი. თვით სახელწოდება „იმპრესიონიზმი" შეიქმნა კ.მანეს ერთ-ერთი ნახატის სახელწოდების მიხედვით, რომელიც ექსპონირებული იყო პარიზში 1874 წელს და რომელსაც ერქვა „იმპრესსიონ" — „შთაბეჭდილება".

თვით სახელწოდება მიგვითითებს, რომ იმპრესიონისტული მიმართულების მხატვრებს და, საზოგადოდ, ხელოვანთ აინტერესებთ ცხოვრების მფეთქავი რიტმის იმპულსური შეგრძნება. მნიშვნელოვანი წუთიერი შთაბეჭდილების, ან ფრაგმენტის დინამიკურობის ფიქსირება, დროის მარადიული მდინარებიდან გამორჩეულად დამმუხტველი წუთის შერჩევა, რომელიც თითქოსდა შემთხვევითია, მაგრამ ეს შემთხვევითობაა სწორედაც მოჩვენებითი.

იმპრესიონისტების შემოქმედებითი კრედო შეიძლება გამოიხატოს გოეთეს ცნობილი სიტყვებით: „შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ!".

ვენაში ავსტრიელი იმპრესიონისტების გაცნობამ ნიკო ლორთქიფანიძეზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა. ესენი იყვნენ: ჰერმან ბარი, ჰუგო ფონ ჰოფმან სტალი, პეტერ ალტენბერგი, არტურ შნიცლერი.

წამიერი შთაბეჭდილებით ანთება, სიტყვაძუნწობა, ექსპრესია სიტყვისა, ლაკონიზმი, აქცენტის ფერებზე გადატანა ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნულ

ხასიათს ესადაგებოდა. მცირე ფორმის მინიატურებით შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე ნიკო ლორთქიფანიძემ ორიგინალური ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაში.

მისი მინიატურების გამოჩენისთანავე მკითხველი მიხვდა, რომ ახალი სტილის შემოქმედებას ეყრება საფუძველი. 27 წლის ასაკიდან ლორთქიფანიძე უკვე პირველხარისხოვან მწერალთა ჯგუფში დგება. 1908 წელს აქვეყნებს საუკეთესო მინიატურებსა და ნოველებს. მათ შორის „გულს“.

1907-1908 წლებში ნიკო მასწავლებლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აგრეთვე ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. ჩვენ ვერ ვხედავთ ნიკო ლორთქიფანიძის გვარსა და სახელს მე-20 საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა სიებში. მაგრამ იმ საქმიანობით, რასაც მწერალი ეწეოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკაში, უფრო სწორად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგი ძალზე აქტიურად მონაწილეობდა. კერძოდ, ნიკო ლორთქიფანიძე რედაქტორობდა ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილ ისეთ გამოცემას, როგორიც იყო ჟურნალი „ერი“. ჟურნალი ხელისუფალთ დახურეს.

ნიკო ლორთქიფანიძე უშვებს ახალ გამოცემას — „ჩვენი ერი.“ ისიც დახურეს. შემდგომ ამისა გამოსცა „მოამბე“ — დახურეს!..

ამ გამოცემებით ნიკო ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს შინაური და გარეული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მაშინ, როცა იმპერიის ხელისუფალნი საქართველოს ნაკუწ-ნაკუწ დანაწილებას ცდილობდნენ, ხოლო ადგილობრივი მენშევიკები და ბოლშევიკები ქართულ ტერიტორიებს გულუხვად ჰპირდებოდნენ მეზობლებს თავიანთი ინტერნაციონალური შეგნების პრაქტიკულად დადასტურების მიზნით, რაც ცოტა მოგვიანებით ბოლშევიკებმა აღასრულეს კიდეც. ნიკო ლორთქიფანიძის „ჩვენი ერი“ საქვეყნოდ ქადაგებდა, — „საქართველოს ტერიტორიის საკითხი - ქ არის ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი“. ამ მტკივნეულ თემაზე ნიკო ლორთქიფანიძეს დაწერილი აქვს გულისშემძვრელი მინიატურა „საქართველო იყიდება“ (1910 წ.). ეს შედევრი იმავე 1910 წელს ავტორს წაუკითხავს ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე. სერგო კლდიაშვილი იგონებს: „დარბაზი გადაჭედილი იყო ხალხით. მე და ტიციანმა ბილეთები ვერ ვიშოვეთ, მაგრამ ასეთ საღამოს, აბა, როგორ მოვაკლდებოდით? როგორღაც თეატრში შეძვრომა მოვახერხეთ და იარუსზე წამოვიჭიმეთ. იმ საღამოს მონაწილეობდნენ: აკაკი წერეთელი, დავით მესხი (უმცროსი ძმა სერგეი მესხის, ჟურნალისტი, მწერალი, მთარგმნელი), დავით კლდიაშვილი, პარმენ ცახელი (გვარად თვალჭრელიძე), მეტად კოლორიტუ

ლი ფიგურა, კარგი პოეტი... აკაკიმ წაიკითხა თავისი ლექსი „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“. თითქოს ღმერთი, ისე გამოგვეცხადა სცენაზე. კითხულობდა ჩუმი, საცრად მელოდიური ხმით. დავით კლდიაშვილმა წაიკითხა ნაწყვეტი „როსტომ მანველიძიდან“, ცახელმა — პოემა, რომლის ბოლო სტროფი ისე არ მოგვეწონა მე და ტიციანს, რომ ჩუმად ხითხითი დავიწყეთ. ცახელის შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძე გამოვიდა. „საქართველო იყიდება“, — თქვა მან და დარბაზი გაინაბა. თითქოს ახლაც მესმის მისი ხმა: „იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორი-ით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით...“ ეს იყო მეტად გაბედული, დამაკვირებელი, შთამაგონებელი სიტყვები. თანაც ისეთ რიტმში დაწერილი, რომ თითქოსდა ზარის რეკვა გვესმოდა!“ ამ ზარის რეკვა, სამწუხაროდ, დღესაც ისევ გულისმომკვლელად ისმის...

1912 წლიდან ნიკო ლორთქიფანიძე საცხოვრებლად გადადის ქუთაისში, სადაც იგი 1925 წლამდე სახლობდა. თავდაპირველად მსახურობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში დამფასებლად. აქ გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე თამარ გიორგის ასული ჩხეიძე. თამარს და ნიკოს ოთხი შვილი შეეძინათ: სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. 1920 წელს მშობლებს პატარა ქალიშვილი ნაილი სიკვდილმა წაჰგვარა. მამის საშინელი ტკივილი გულის სისხლით დაწერილ ერთ ნოველაშია გადმოღვრილი:

„ბავშვი მომიკვდა: პატარა ქალი. ყოველთვის თვალწინ მყავს, ისე მჭირდე-ბა, ვით წამალი, ერთი მისი ალერსი. აი, ახლა რომ იგი ჩამომისობდეს ლოყებზე ხელს და მაკოცებდეს ლეღვივით გამობერილი ტუჩებით, სიმშვიდე დამყარდებოდა მთელ სხეულში, და წავიდოდი სახლში მოსასვენებლად და ხვალ ვიმუშავებდი ადამიანურად!..

ისე, ისე კარგი იყავი, ჩემო პატარა, რომ სასიცოცხლოდ არ დაბადე-ბულხარ.

მე არ დავდივარ შენ საფლავზე — შენ ხომ იქ არ ხარ.

აი, როცა გულუბრყვილოდ ტიტინებს პატარა ბავშვი — მაშინ გტირი, ჩემო! როცა ვიღაც ბავშვი თავის მამას მიუალერსებს, მაშინ მწყვეტ გულს!..“

ნიკო ლორთქიფანიძეს მთელი ცხოვრების მანძილზე ახალგაზრდებთან უხდებოდა ურთიერთობა. ქუთაისში გერმანული ენის მასწავლებლად მუშაობდა ბანკიდან წასვლის შემდეგ. მისი აღზრდილია მრავალი ქართველი მოღვაწე. ქუთაისშივე დაუახლოვდნენ მას ახალგაზრდა ლიტერატორები, შემდეგში ცნობილი სიმბოლისტი პოეტები: ტიციანი, პაოლო, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი, სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალი არსენიშვილი, შალვა

აფხაიძე. ნიკოსთან ურთიერთობა ჰქონდათ ჯერ კიდევ ყმაწვილ კონსტანტინე გამსახურდიასა და სიმონ ჩიქოვანს.

თბილისში გადმოსვლის შემდეგაც (1925 წ) ნიკო ლორთქიფანიძე კვლავ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მსახურობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უცხო ენების კათედრის გამგედ.

როგორი იყო ნიკო, როგორც პედაგოგი? მისი სტუდენტობისდროინდელი მეგობრის, სოლომონ ჩოლოყაშვილის ქალიშვილი ეკატერინე იგონებს:

„ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ნიკოსთან ინდუსტრიალურ ინსტიტუტში (ერთხანს ასე ერქვა დღევანდელ ტექნიკურ უნივერსიტეტს. ნ.გ) გერმანული ენის კათედრაზე. ნიკო რამდენჯერმე დამესწრო გაკვეთილებზე, მომცა შენიშვნები და მითითებები; მერე მითხრა: მე დამესწარი ხოლმე გაკვეთილებზეო. მე მართლაც დავესწარი. ვისაც მისი გაკვეთილები არ მოუსმენია, ის ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, რამდენად კარგი იყო, როგორც პედაგოგი.

ისეთი მშრალი და არასაინტერესო მასალა, როგორც უცხო ენის გრამატიკაა, მასთან საინტერესო იყო, რადგან მას ყოველთვის პარალელები გაჰყავდა გერმანულსა და ქართულ გრამატიკის საკითხებს შორის_ მისი გაკვეთილები იყო მეტად შინაარსიანი, ცოცხალი და საინტერესო_“

იქვე მოგონების ავტორი მწერლის პორტრეტს აღწერს: „ნიკოს მიმზიდველი სახე ჰქონდა. მასში იყო რაღაც ისეთი, რაც ძალაუნებურად იპყრობდა ადამიანს. მსუქანი არ იყო, მაგრამ თავისთავად იყო მსხვილი (წარმოსადეგი გარეგნობის)_ სრულიად არა ჰგავდა იმერელს, იცოდა ძალიან დინჯი ლაპარაკი_ ჰქონდა მსხვილი, მაგრამ ლამაზი მოყვანილობის ხელები. ეს მაშინ შევნიშნე, როდესაც ჩემს გოგონას უხმოდ ეალერსებოდა ხოლმე“.

„ჩემს გოგონას უხმოდ ეალერსებოდა ხოლმე“ — ეს სურათი ძალაუნებურად გვახსენებს შვილის სიკვდილით გულში დაჭრილი მწერლის სიტყვებს: „როცა გულუბრყვილოდ ტიტინებს პატარა ბავშვი, — მაშინ გტირი, ჩემო!“

დრო, რომელშიც გამორჩენილ ქართველ მწერალს ცხოვრება მოუწია, ვერაფერს სანუგეშოს ჰპირდებოდა მას. ერთადერთი სიხარული შემოქმედის რამდენიმე მეგობარ მწერალთან შეხვედრა და რესტორან „ორიანტში“ გულის მოოხება იყო. გასაბჭოების შემდეგ შორს იდგა საზოგადოებრივი აქტიურობისაგან, რადგან ის „სასახლესთან“ ახლოს ყოფნას გულისხმობდა, რაც ნიკო ლორთქიფანიძეს, ცხადია, არ შეეძლო. ეს ჩუმი და უპრეტენზიო მწერალი არც ხელისუფალთ ეჩხირებოდა თვალში. მათგან არასდროს მოწყალება არ უთხოვია. ბინაც კი სიყრმისდროინდელმა მეგობარმა დაუთმო შელამებისას ჩამოდიოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩიდან, სადაც ცხოვრობდა

იყი, და რუსთველის გამზირზე სეირნობდა მარტოდმარტო, თავის საყვარელ ოცნებებში ჩაძირული, გარდასულ აჩრდილებთან იდუმალ მოჩურჩულე.

მწერლისადმი მიძღვნილ ლექსში ალექსანდრე აბაშელი წერდა:

„შუაღამის ჟამს გამოჩნდება ჩაფიქრებული,
ნელის ნაბიჯით ამოყვება რუსთველის ქუჩას,
თითქოს უხილავ ჩვენებათა ახლავს კრებული,
ვერავინ ამჩნევს და თვალებში ნაღველი უჩანს“.

იმ ბიწიერ დროში ნიკო ლორთქიფანიძემ იცხოვრა ისე, როგორც ჭეშმარიტ ზნემაღალ პიროვნებას შეჰფეროდა. მის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „მე ვიცი, არც სასუფეველი მომელის ცათა შინა და არც სახელი, დიდება და თაყვანისცემა ამქვეყნად, მაგრამ მე ძეგლი უნდა დამიდგან არა იმიტომ, რომ მწერლობაში ვმუშაობდი, პოლიტიკაშიც ოდნავ ეღებდი მონაწილეობას, არამედ იმიტომ, რომ ტალახისა და ჭუჭყის ღელვა-ტორტმანში ჩემი ტვირთი ისე გავატარე, რომ არც ფეხი და არც ხელი არ გამისვრია და ისე მივიტანე, რაც კი შემეძლო, სამშობლოს სამსხვერპლოზე-“ ასე იცხოვრა მართლაც „ფიცის კაცების“ შთამომავალმა. ეს კი მაშინ გმირობის ტოლფასი იყო. გარდაიცვალა ნიკო ლორთქიფანიძე 1944 წლის 25 მაისს, 64 წლის ასაკში.

„სასიკვდილო სარეცელზე ის ისევე სიტყვაძვირი იყო და უდრტვინველი, როგორც ცხოვრებაში, — წერდა დემნა შენგელაია — და კვდებოდა ისე, თითქოს ახალ სიცოცხლეს იწყებდა. მან ისევე მოულოდნელად შეწყვიტა სიცოცხლე, როგორც ფრაზას ან მოთხრობას წყვეტდა ხოლმე.

მისი ცხედარი პროფესორს არ გაუკვეთია.

რომ გაეკვეთა, უსათუოდ აღმოხდებოდა:

— ბატონებო, გული? გული სადღაა?

და კედლიდან პატარა რუკა გაგვცემდა პასუხს:

— მე დავაჭკნე!

— ეს პატარა რუკა რუკაა მისი საყვარელი საქართველოსი, სურათია იმ მშვენიერი ქვეყნისა, ვისთვისაც ის ისე თავდაუზოგავად დაიწვა“.

«თავსაფრიანი დედაკაცი»

„თავსაფრიანი დედაკაცი“, ეს ისედაც მცირე მოცულობის ნოველა, რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება. ეს მონაკვეთები, ფაქტიურად, დამოუკიდებელი ლირიკული ჩანახატებია. თითოეულს თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი სათქმელი აქვს. მათი მთლიანობა კი ქმნის იმ გულისმომკვლელ სურათს, რომელზეც აღბეჭდილია ცალად დარჩენილი ადამიანის მძიმე და გაუხარელი ცხოვრება.

შვილთა უმადურობისაგან გულმკვდარი დედის, ცისქვეშეთში უკვე ყველასათვის ზედმეტადქცეული ადამიანის ტრაგედია.

უკვალოდ გადაგება სპეტაკი სულისა, რომელიც დავანებულია „უბრალო“ ადამიანში. ასეთებს არ გამოუჩნდებათ არათუ თავისი მარკოზი და იოანე, არამედ მათი სულიერი რაობა შეუმჩნეველი რჩება საკუთარი შვილებისთვისაც კი.

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“, — ეს აზრი ნიკო ლორთქიფანიძის არა მარტო ამ ნოველის, „თავსაფრიანი დედაკაცის“, განმაზოგადებელი დასკვნაა, იგი მწერლის სხვა რამდენიმე ნოველასაც მიესადაგება.

მწერალი ყველასაგან მივიწყებული, შემოდგომის ფოთოლივით უხმაუროდ მოწყვეტილი და გამქრალი სიცოცხლის მოსარჩლედ გვევლინება და იგი თავად უდგამს ძეგლს თავსაფრიან დედაკაცებს, რომელნიც დღესაც უჩუმრად ცხოვრობენ ჩვენს გვერდით.

ნოველა, როგორც ვთქვი, რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება. თითოეული დამოუკიდებელი ჩანახატიცაა და იმავდროულად მთელი თხზულების ორგანული ნაწილიც. ვერც ერთ მონაკვეთს ნოველიდან ვერ ამოაგდებთ ისე, რომ თხზულების ერთიანი ქსოვილი არ დაირღვეს, მაგრამ არის ერთი ძალზე მცირე ნაწილი ნაწარმოებში, ავტორის წინასიტყვა, რომელიც თხზულების დედაარსს არ გამოხატავს და ამიტომ ვერც ეპიგრაფად მივიჩნევთ და არც სიუჟეტთანაა თითქოს აუცილებელ კავშირში. ერთი შეხედვით, ამ წინასიტყვის გარეშე სიუჟეტი არაფერს კარგავს. ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც იმპრესიონისტი მწერლის, ხელწერისთვის კი არათუ მთელი ქვეთავის,

ერთადერთი ზედმეტი სიტყვის დაწერაც კი არ არის დამახასიათებელი. მაშ, რას უნდა მივაწეროთ მწერლის მიერ „ზედმეტი“ პასაჟის აღწერა?

საქმე ის არის, რომ ავტორის წინასიტყვა და ნოველის ძირითადი ტექსტი მართლაც ორი დამოუკიდებელი თხზულებაა. პირველი — მინიატურა, მეორე კი — ნოველა. უფრო მეტიც, როგორც მინიატურა, ისე ნოველა ერთსა და იმავე ინფორმაციას გვაწვდის. ამდენად, ერთ-ერთი, ამ შემთხვევაში ნოველის შესავალი ნაწილი, თითქოს ზედმეტად უნდა მიეჩნია ავტორს, მაგრამ იგი შესავალშივე სწორედაც შეგნებულად გვთავაზობს სიუჟეტის ძირითად სქემას და, აი, რატომ: ამ საკითხზე მსჯელობას ცოტა შორიდან დავიწყებ.

ნიკო ლორთქიფანიძის ვრცელ ნაწარმოებში „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“, არის ერთი ქვეთავი — „ცხრაას ხუთი უპათოსოდ“. აქ აღწერილია ალისანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის მიერ ქალის წამებისა და გაუპატიურების ამბავი.

ამ ფაქტის გადმოსაცემად მწერალი მიმართავს ორიგინალურ ხერხს:

„გაზეთი წერდა“:

„შორეული მეზობლები ამბობდნენ:“

„ბელეტრისტს შეუძლია დაადასტუროს“, — ამბობს ნ.ლორთქიფანიძე და ცალ-ცალკე აღწერს, თუ რას წერდა გაზეთი, რას ამბობდნენ შორეული მეზობლები და რა შეუძლია ბელეტრისტს, რომ დაადასტუროს. ამ ხერხით საცნაური ხდება ერთი რამ: გაზეთი წერდა იმას და წერდა ისე, რაც შეიძლებოდა დაეწერა ნებისმიერი ადამიანის შესახებ, რომელიც იმავე დღეში აღმოჩნდებოდა. მაგალითად, გაზეთი მშრალად წერდა, რომ „რკინიგზის დარაჯის პარმენ_ ძის ცოლი მართა გააუპატიურა და აწამა დამსჯელმა რაზმმა“.

შორეული მეზობლები კი ამბობდნენ: „რაც იქ ორომტრიალი იყო და ტყვიის ზუზუნი, ციებ-ცხელებიანი ქალი რავა გაუძლებდაო“_

გაზეთიცა და მეზობლებიც მთხრობელის როლში არიან. ასევე დაწერდნენ ან იტყოდნენ მეორე, მესამე, მეოთხე მართაზე, თუკი მათ იგივე უბედურება გადახდებოდათ, რადგან ყველა ისინი, ერთი შეხედვით, ერთმანეთს ემგვანებოდნენ თავიანთი უბედურებით, ერთმანეთს ემსგავსებოდნენ დალხინებულად ცხოვრების შემთხვევაშიც და ამიტომ მათზე ერთსა და იმავეს მოგვითხრობენ. სულ სხვაგვარად იქცევა ბელეტრისტი. მას არ აქვს უფლება, ვთქვათ, ორი მართას წამება და გაუპატიურება ერთი და იმავე სიტყვებით, ერთი და იმავე განცდით გადმოსცეს, რადგან ქვეყნად რამდენი ადამიანიც დადის, იმდენივე ტკივილი და სიხარულია. ტკივილები ერთმანეთს ჰგვანან

ისე, როგორც სიამენი, მაგრამ ადამიანები თავიანთ ტკივილებში, თავიანთ სიხარულში სრულიადაც არ ჰგვანან ერთურთს. ბელეტრისტიკა, შემოქმედება სწორედ აქედან იწყება. ამიტომ ბელეტრისტს გაზეთის ინფორმაცია – „რკინიგზის დარაჯის პარმენ... ძის ცოლი მართა გააუპატიურა და აწამა დამსვენებელმა რაზმმა“, შეუძლია „დაადასტუროს“, ვთქვათ, ამგვარად –

„პარმენი სალამოს გაჰყვა სადგურამდე საბარგო მატარებელს და, როცა განთიადისას უკან დაბრუნდა, კარები შეაღო და ფარანი შეაშუქა, პირველად დაინახა კარებთან კუთხეში ჯირკზე მჯდომი შემხმარი ცრემლით შეთხუპნული პატარა ანიკო, რომელიც განუწყვეტლივ სასოწარკვეთით იძახოდა: „დედა, მოდი“, „დედა, მოდი“...

როდესაც მამამ ბავშვი აიყვანა და ლოგინისკენ მიჰყავდა, ბავშვმა ყვირილი მორთო: „არ მინდა, არ მინდაო“...

თვით მართა ნახევრად გახდილი, თვალებგადატრიალებული, უკვე გაციებულ მკლავებგაშვებული ეგდო გადაუშლელ, საკმაოდ დაჭმუჭნულ ლოგინზე... საბანი სისხლით იყო გასვრილი. პირიდან წამოსკდა თუ...

სიკვდილს, ეტყობა, ბავშვის მეტი არავინ დასწრებია.

და ექიმს არ შეუმოწმებია.

ბავშვმა კი ხუთიოდე სიტყვის მეტი არა იცოდა რა.

ეტყოდნენ: „დედა მოკლეს?“

– დედა თვითონ წაიქცა?

– ჰო!

– დედა ხომ არ იყო გახდილი?

– არა...“

გაზეთს, იმისათვის რომ სხვა ადამიანზე თავსდამტყდარი იდენტური უბედურება გვამცნოს, შეუძლია დაბეჭდოს იგივე ზემომოხმობილი მშრალი ინფორმაცია, მხოლოდ გამოცვლის სახელსა და გვარს. ბელეტრისტმა კი ყველაფერი უნდა აღწეროს თავიდან, რადგან ადამიანების ცხოვრება არ ჰგავს ერთმანეთს. ჰგავს მხოლოდ იმით, რაც ჩვენს თავს და ჩვენ ირგვლივ ხდება, მაგრამ არ ჰგავს იმ თვალსაზრისით, თუ როგორი შინაგანი განცდით ეხვდებით მოვლენებს.

პიროვნების ცხოვრების განმსაზღვრელი კი არის არა „რა“, არამედ „როგორ“. ამ აზრის დასადასტურებლად კიდევ ერთი სიუჟეტი მინდა გაგიხსენო:

ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკის მფლობელმა მეფემ თავის მწიგნობართუხუცესს სთხოვა, შეერჩია მისთვის წასაკითხად ის წიგნები, რომელნიც სიბრძნეს აზიარებდა. სწავლულმა შეურჩია, მაგრამ ამ თხზულებებმა უმ-

რაკი თარო შეავსო. ზარმაც მეფეს ემცხეთა და სთხოვა, გაენახევრებინა შერჩეული წიგნები და მხოლოდ წასაკითხად აუცილებელი ლიტერატურა დაეტოვებინა. ბიბლიოთეკა კვლავ განახევრდა, მაგრამ დარჩენილი წიგნების წაკითხვაც ათეულ წლებს ითხოვდა. ხელმწიფის თხოვნით კვლავ შეამცირა ბიბლიოთეკის ფონდი სწავლულმა და ეს პროცესი კითხვასთან მწყრალად მყოფმა განმგებელმა იმდენ ხანს გააგრძელებინა, სანამ თაროზე ერთადერთი წიგნი არ დარჩა. ეს იყო ბიბლია.

ამ დიდი მოცულობის წიგნის წაკითხვა კვლავ დაეზარა ქვეყნის მპყრობელს და მწიგნობართუხუცესს სთხოვა: რაკი ამ წიგნში მთელი ქვეყნის სიბრძნეა გადმოცემული, ნულარ გამაწვალებ, რაც აქ წერია, დაეკუდეთ და ყველაფერი თვითონ მიამბეო.

„ხელმწიფევ, — მიუგო მეფის სიზარმაცით განაწყენებულმა სწავლულმა, — არამცთუ ამ წიგნში, არამედ მთელს შენს უზარმაზარ ბიბლიოთეკაში დაგროვილ ტომეულებში რაც კი წერია, ყველაფერ ამის თქმა სულ რამდენიმე სიტყვით შეიძლებაო, — ადამიანები იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, უყვარდათ, სძულდათ და იხოცებოდნენ“.

დიახ, ამ ნიშნით ადამიანების ცხოვრება მართლაც ერთმანეთის ალიკვალია. მაგრამ ცხოვრება იმით ხდება მრავალფეროვანი, საინტერესო და ტკბილ-მწარე, თუ როგორ უყვარდათ და უყვართ, თუ როგორ სძულდათ და სძულთ ადამიანებს ერთმანეთი. იმაზე, რაც ორი სიტყვით გამოითქმის — „უყვარდათ“, „სძულდათ“, უთვალავი ტომეულები სწორედ ამ „როგორ-“ის გამო შეიქმნა.

ახლა კვლავ პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ. რა ფუნქცია აქვს თხზულების საერთო ქსოვილში „თაქსაფრიანი დედაკაცის“ ავტორისეულ წინათქმას, ანუ იმ ამბის სქემატურ გადმოცემას, რაც ნოველის ძირითად ტექსტშია სიუჟეტურად ხორცშესხმული?

ნოველის შესავალში ვკითხულობთ:

„ვწერ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს.

თუ ოდესმე დანჟერეული ომნიბუსით გიმოგზაურნიათ სამტრედიიდან მახლობელი სოფლებისაკენ, თქვენ, უეჭველია, დაინახავდით, მესრის იქეთ, ეზოში მოფუსფუსე, შავად ჩაცმულ ქალს, რომელსაც თან დასდევდა ჭადის ნატეხით ხელში პაწია ბავშვი.

ეხლა იქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახაობა დამაკლდა.

გამოვიკითხე, და, აი, ძიებამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა.

ნუ დამიწუნებთ: არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე— ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს. შემდეგ ოდესმე, მათ აღ-

მოუწნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე.

მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე".

ეს წინათქმა ნიკო ლორთქიფანიძის ხელწერისათვის დამახასიათებელ მცირე ზომის ჩანახატს წარმოადგენს, რომლის ლოგიკური წერტილი დასმულია წინადადების შემდეგ. „ეხლა იქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახაობა დამაკლდა".

მაშასადამე, წინათქმით თქმულია ის, თუ რა მოხდა.

მკითხველის თვალწინ კადრივით გაიელვებს ორი სურათი: ოჯახი. ეზოში მოფუსფუსე შაოსანი ქალი, რომელსაც თან დასდევს ჭადის ნატეხით ხელში პატარა ბავშვი. მეორე სურათის ნეგატივზე კი შაოსანი ქალი აღარ ჩანს. ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა დაემართა შაოსან მანდილოსანს. ფიქრით ბევრი რამ შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ ფაქტად რჩება ერთი რამ - მესერს იქით, ერთ ოჯახში, რაღაც შეიცვალა, რაღაც მოხდა. დედაკაცი იქ აღარ დაფუსფუსებს, რაც უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ შაოსანი აღარ უნდა იყოს ცოცხალი. მერედა, განა ღირს ეს ყურადღების ღირსად? რამდენი რამ იცვლება ამ ქვეყანაზე, რამდენი ვინმე აკლდება ადამიანის თვალს როდესაც ამას მთხრობელი გადმოგვცემს, სწორედაც არ ღირს ყურადღების ღირსად. ვიღებთ ინფორმაციას, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ აღარასოდეს გაგვახსენდება. ამას შეგნებულად აკეთებს მწერალიც. ნოველის წინათქმაში იგი, უბრალოდ, ამბავს გვიყვება, არაფრის მთქმელს იმით, რომ ასეთი ამბავი ყოველდღიურად ხდება და ღირსი არ არის ყურადღებისა, მაგრამ ჩაიკითხავთ ნოველას, ხელმეორედ მივიღებთ იმავე ინფორმაციას, ვნახავთ, რომ მესერს იქით მოფუსფუსე ქალი მართლაც უბედურად აღესრულება და საშინელი სევდა გვიპყრობს.

როცა წინათქმით შევიტყვეთ შაოსანის გაუჩინარება, ამას არავითარი სულიერი აფორიაქება არ გამოუწვევია ჩვენში.

ხოლო როცა ნოველის ძირითადი ტექსტით უკვე დაწვრილებით ვეცნობით, რაც მოხდა, სიმშვიდე გვერღვევა და თანაგანცდის გრძნობა გვიპყრობს გმირისადმი. რატომ?

იმის გამო, რომ პირველ შემთხვევაში ავტორი მხოლოდ მთხრობელის, ინფორმატორის როლით კმაყოფილდება, შემდეგ კი ბელეტრისტის კალმით აღწერს იმას, — რა როგორ მოხდა. ერთ ნოველაში ორი ტექსტის გვერდიგვერდ არსებობა, მთხრობელისა და ბელეტრისტისა, მწერლის მხატვრული ამოცანის ხორცშესხმას ემსახურება.

ეს ამოცანა კი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ადამიანი, ახალი ქალაქების, ახალი ქვეყნების, ახალი ვარსკვლავების

მაძიებელი თუ ჭოგრიტით ცისკენ მზირალი, ვერ ხედავს მის გვერდით მცხოვრებ თუნდაც უახლოეს ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ, ყველასაგან განსხვავებულ სამყაროს. მის შესახებ მოგიყვებათ და მოგითხრობთ უფრო გულგრილად, ვიდრე ნაბუქოდონოსორის თავგადასავალზე ისაუბრებდა.

ადამიანმა შეიძლება ისე გალიოს მთელი სიცოცხლე, რომ მისი სული გადაუფურცლავი ძვირფასი წიგნივით ვერავინ წაიკითხოს. ამიტომ დიდებული ადამიანები ხშირად უძეგლოდ იკარგებიან არა მხოლოდ იმის გამო, რომ, ვთქვათ, სოციალურად უბრალო, რიგითს, გამოუჩინებელ ადამიანებს წარმოადგენენ, არამედ იმიტომაც, რომ მეორე ადამიანის შეცნობა არავის სურს, მისთვის არავის სცალია. აქედან მოდის სრული გულგრილობა და ინდიფერენტიზმი სხვისი ბედისადმი.

გულგრილობა კი ადამიანთა შორის პრაგმატიზმზე, გამოყენებით დამოკიდებულებებზე აგებულ ურთიერთობას შობს.

როცა შვილისათვის მშობელი მხოლოდ მარჩენლად არის აღქმული, მშობლის დაუძლურებისას შვილი მასთან ურთიერთობას წყვეტს, რადგან ამ ურთიერთობის საფუძველი პრაგმატისტული იყო. „თაესაფრიან დედაკაცში" აღწერილი ამბავი გამონაკლისი არ არის. თუკი შვილს პრაგმატისტული დამოკიდებულება აქვს მშობელთან, როგორილა იქნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან?

ყოველივე აქედან გამომდინარე, თანმიმდევრულად, ერთმანეთის მიყოლებით, ადამიანები მოხუცებულობასა და დაუძლურებასთან ერთად, როცა იძულებით წყდება გამოყენებითი ურთიერთობის ჯაჭვი, რითაც ისინი ოჯახსა თუ საზოგადოებას უკავშირდებოდნენ, ზედმეტ ადამიანებად იქცევიან_

თუ გაუჩინარდებიან, მათი არარსებობა თვალთ აღარავის აკლდება_

ხოლო არსებობით ყველას თვალში ეჩხირებიან_

ნოველის წინათქმაში, როდესაც მწერალი ამბობს, — „დედაკაცის უნახაობა დამაკლდა"-ო, ამ ინფორმაციას მკითხველი გულგრილად ხვდება.

ნოველის ძირითადი ტექსტის წაკითხვის შემდეგ კი მკითხველი სულშეძრული რჩება იმით, რომ თაესაფრიანი დედაკაცის, ამ დიდებული ადამიანის, ოჯახიდან წასვლა, მისი უნახაობა, მის მცნობთაგან თვალთ არავის დაჰკლებია.

ეს კი მონანიე მკითხველის პოზიციაც არის.

ნოველის ფინალის შემდეგ თითქოსდა შეცბუნებულნი ვართ იმის გამო, რომ წინათქმით მოწვდილი ინფორმაცია გულგრილად მივიღეთ. ამ შეცბუნებით იწყება თვითგანწმენდა, კათარზისი და ფიქრი იმაზე, თუ რამდენი ადამიანის უნახაობა არ დაგვკლებია თვალს_

რამდენი ადამიანი ცხოვრობს ჩვენ გვერდით თაესაფრიანი დედაკაცივით

დიდებული და მიუსაფარი...

ერთი სიტყვით, ნ.ლორთქიფანიძე წინათქმით გვამცნობს, რაც მოხდა – ერთი ადამიანი მოაკლდა თვალსაწიერს. ეს თითქოს ბუნებრივიც კია. წუთისოფელში ცას ვერავინ გამოეკერება, მაგრამ ვინ როგორ იცხოვრა და როგორ წავიდა ამ ქვეყნიდან – აი, ეს არის ღირსი ყურადღებისა. „როგორ" – ამის ანალიზის შემდეგ სხვაგვარი მოულოდნელობით ნათდება მანამდე გულგრილად მისაღები და აღსაქმელი ფაქტი.

სათაურის სიმბოლიკა

ნუთუ ყველაფერში სიმბოლოს ძიება შეიძლება? „თავსაფრიანი დედაკაცი", — ეს რაღა სიმბოლური სათაურია და რა ძიება აგიტყდათო, იკითხავს დაეჭვებული მკითხველი. ერთი შეხედვით, მართლაც ყველაფერი ნათელია. თავსაფრიანი დედაკაცი არის ქალი, რომელსაც თავსაფარი ჰბურავს. არც მეტი და არც ნაკლები. ცხადია, ეს ასეა. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას:

1) ნოველის მთავარ გმირს, მოხუც დედაკაცს, სახელით არ იხსენიებს მწერალი.

2) გმირის ეპითეტად გამოყენებულია არა მისი სულიერი პორტრეტის მახასიათებელი სიტყვები, ვთქვათ, „კეთილშობილი" ან „დიდბუნებოვანი", რაც უფრო გამოჰკვეთდა გმირის ხასიათს, ან გმირის ეპითეტად მოხმობილია არა მისი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები, ვთქვათ, „ქვრივი" ან „შაოსანი", არამედ ერთი შეხედვით „არაფრისმთქმელი" ეპითეტი – „თავსაფრიანი".

რომ არა ერთი ფაქტი, სიტყვა „თავსაფრიანი" სრულიად არაარსებითი მსაზღვრელი იქნებოდა ნოველის გმირის პორტრეტის გადმოსაცემად. ეს ფაქტი კი გულისხმობს შემდეგს: ქართველი კაცის შემეცნებაში „თავსაფრიანი", ისე, როგორც „თავზე ქუდის დამხურავი", უფრო მეტი შინაარსის მომცველია, ვიდრე იგი ვიზუალურად წარმოგვიდგება.

უქუდობა მამაკაცისთვის, ხოლო უმანდილობა ქალისთვის დიდ სირცხვილად იყო მიჩნეული.

გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნიდან" როსტევანისა და ავთანდილის ნიძლავი:

„ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღეს ვლიდეს".

თავშიშველი მამაკაცის ხალხში გამოჩენა მისთვის შერცხვენა და თავის მოჭრა იყო, რადგან ქუდი გახლდათ ნამუსის სიმბოლო.

ასევე მანდილი, თავსაფარი, ლეჩაქი სიმბოლო იყო დედაკაცის პატიოს-

ნებისა.

„მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმინდა შუშანიკ უხამური და თმა-გარდატეცებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი“, — ვკითხულობთ ჩვენი ლიტერატურის პირველსავე ძეგლში, — „და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მხედრ შეუდგა უკვანა კვალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სათაური, — „თაქსაფრიანი დედაკაცი“ გულისხმობს სინდის-ნამუსით, პატიოსნებით, კდემით, ღირსებებით აღჭურვილ მანდილოსანს. ქალს, რომელიც ერთი უკანასკნელი მოჰკანთაგანია ძველ, „ტკბილ-სახსოვარ“ დედათა გალერეიდან.

თაქსაფრიანი დედაკაცის ტრაგედიის ერთი მიზეზთაგანი ისიც არის, რომ ახალ დროში ძველ ღირსებებს ყავლი გასვლია.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნოველის ძირითადი ტექსტის პირველი და უკანასკნელი აბზაცები:

„ყველაფერი ჩატარდა ძველებურათ, სულ ძველებურათ, ისე როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწერდნენ, ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირათ, 20 წლის წინათ ზოგჯერ, 10 წლის წინათ იშვიათად და ეხლა კი შეუძლებელია“.

კონკრეტული რიტუალი, რაც წინათ ხდებოდა ყველგან — დღეს შეუძლებელია. მაშასადამე: ახალ დროში რაღაც მკაფიოდ შეცვლილა, ახალი დრო ძველს ალარ ჰგავს. ავტორს სურს, რომ ამ მომენტს გაუსვას ხაზი.

თაქსაფრიანი დედაკაცი, ანუ ის, რისი განსახიერებაც არის ეს ქალი, სინდისი და პატიოსნება, ახალ, „განათლებულ“ დროში აღარავისთვისაა საჭირო. თაქსაფრიანი დედაკაცი ახალ დროში ჟღერს, როგორც ძველი ქართველი დედაკაცი, ახალი დროისთვის უცხო. ამ წუთისოფელს გერად შემორჩენილი. დროისმიერი კავშირის ამ უცნაურ ცვალებადობას ხაზი აქვს გასმული ნოველის ფინალშიც. დედის გადაკარგვასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს: „მოხუცებისაგან ზოგიერთს გამოელევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებლად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის_ ამას ჩვენში „მხარის შეცვლას“ უძახიან, მეცნიერებმა კი „მანიაკალური მდგომარეობა“ უწოდეს“.

უბედურება ის არის, რომ უზნეობის გარემოცვაში მოხვედრილი ზნეობა ხშელეთზე ამოგდებული თევზივით სულს ღაფავს და მართლაც „მხარშეცვლილი“, მართლა „მანიაკალურ მდგომარეობაშია“.

,,დედა არ გვახსოვს შვილებსა“

,,თავსაფრიანი დედაკაცის“ წაკითხვის შემდეგ აღძრული ტკივილი შეიძლებოდა გამოგვეხატა ცნობილი ლექსის ორიოდე სტრიქონით —

,,დედას უყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა“.

ეს საოცრად პარადოქსული სიტუაცია იმავდროულად ცხოვრების ბუნებრივ, ჩვეულებრივ წესადაც ქცეულა, რის გამოც ,,წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა“, — თავსაფრიანი დედაკაცის შვილებს ისეთივე დამოკიდებულება ელით მათივე შვილებისაგან, როგორსაც თვით იჩენენ დედისადმი. ამ დამოკიდებულებას კი საშინელი სახელი — უმადურობა — ჰქვია.

ქალის დაქვრივების შემდეგ ,,იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ, და იგი დადის

პოლიციაში,
სასამართლოში,
მეზობლებთან,
მამკვახლისთან,
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე რომ ვერ აჩერებს კედელი.
მარკა,
სიშორე, —

გადაიფრენს, იშოვის, გადაივლის, გასცურავს, მიიფრენს, თავისას კი მიაღწევს:

ბავშვებს სამართალს მოუნახავს.
დახმარებას გამოითხოვს,
მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს.
ბევრი ეარშიყებოდა_ შორიდან
მაჭანკლებიც მიუგზავნეს.
— ,,როგორ უმტყუნო ობლებს?!“

ამ სიტყვებს აღარ სჭირდება კომენტარი და, მაინც, მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ ფრაზას, — ,,როგორ უმტყუნო ობლებს?!“ კითხვის ნიშანი კი არ უზის ფრაზას ბოლოში, — კითხვა-ძახილისა, ანუ შეჩივლების, თანაგრძნობის სურვილი კი არ ჩანს, გაკვირვებული, გაგულისებული, აღშფოთე-

ბებული ქალის პორტრეტი იხატება. როგორ მიბედავთ, როგორ ეუმტყუნებ ოცლებს! – ასეთი ინტონაცია უნდა დავიგულავოთ ამ ნაზი და უთქმელი ქმალის პასუხში.

„ბაუშეები დაზარდა.

ასწაელა ათჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო.

ერთი ვაჟი მოანგარიშეა კოოპერატივში.

მეორე სასამართლოს მოხელეა–

ჩამოისიძა სოფლის მასწავლებელი“.

მწერალი არაფერს ამბობს, ჩვენ კი ვგრძნობთ, რომ აღარ უჭირს ოჯახს, ადარ უჭირთ შვილებს. ამის ხაზგასასმელად წერია „მოანგარიშე“, „სასამართლოს მოხელე“, მაგრამ ისევ დედა ფორჯალობს მათთვის.

„წელში გახრილი, ყავარჯნით ხელში გადადიოდა ერთისაგან მეორესთან. ბაშვების მოვლა, ჭუკის წამალი“. და იქვე მრავლისმთქმელი ფრაზა: „...არსად იყო ზედმეტ სტუმრად“– ამ ფრაზით საცნაური ხდება, რომ იგი საკუთარ შვილებთან უკვე სტუმრად ქცეულა და სტუმრის კვალობაზე: ცდილობს, როგორმე თავი არ მოაბეზროს მასპინძლებს–

დაბოლოს, უკანასკნელი აკორდი: „მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით მოქსოვა წინდები, მიუტანა ბავშს“. შვილიშვილს წინდა არ მოურგო. გახადა, რათა მეორე შვილიშვილისთვის წაელო. ბავშვი ატირდა.

– მიეცი, სულერთია, ოლონდ გაჩუმდეს, – ეუბნება შვილი.

უკვე წვება ნისლი დედა-შვილს შორის. მოხუცის „მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით“ მოქსოვილი წინდა მისი ქალბატონისთვის მხოლოდ ნივთია, რომელიც გამოადგება თუ არა პატარას, სულ ერთია, უნდა მისცეს ბებიამ, რათა ბავშვი გაჩუმდეს. მოხუცის წვალების, მისი შრომის უგულებელყოფას კიდევ უარესი მოჰყვა.

„– რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო! ნუთუ ამის სალირალ პატივს არ გცემთ?“

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „სალირალი პატივი“, – თავსაფრიან დედაკაცს მეხიით დაატყდა ეს სიტყვები. ცხადად დაინახა, რომ ის მართლა სტუმრად ქცეულა შვილებისათვის, უკვე მობეზრებულ სტუმრად. მასთან ურთიერთობას მხოლოდ „სალირალი პატივით“ ზომავენ. დაუძლურებული კი აღარავის სჭირდება.

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის; ვარ სრულიად ზედმეტი“ – ამ მწარე რეალობის შეგრძნებამ გული დაუთუთქა მოხუცს და უჩუმრად მიატოვა ნაჭირნახულევი ქოხი.

„შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა. ერთს მეორესთან

ეგონა. გაიგეს — შეძრწუნდნენ, შერცხვათ“: და აქ გულგრილობა დედისადმი კულმინაციას აღწევს. შეძრწუნდნენ, შერცხვათ არა ნაგვიანევი სინანულის გამო, არამედ მეზობლებში გამოჭენების შიშით. „მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყანაში... რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!

უნდოდათ საძებრათ წასვლა — ეძვირათ; უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება, — „უარესათ მოგვეჭრება თავიო“.

დედას გულმა უგრძნო: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ“. და ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დაწერილი ბარათი გაგზავნა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ სწუხართ, მშვიდობით სამუდამოდ“.

შვილები მართლაც დაწყნარდნენ. გაუხარდათ. სოფელ-ქვეყანაში თავი აღარ მოეჭრებოდათ...

თავსაფრიანი დედაკაცის სიკვდილს გული არავისთვის უტკენია. მას ჭირისუფალი არ ჰყავს. ეს მან სიცოცხლეშივე იგრძნო და დამნაშავესავით თქვა: „დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი“.

ცალად დარჩენილი ადამიანის ტრაგედია

თავსაფრიანი დედაკაცების მსგავს მანდილოსანთა არსებაში სიცოცხლის ხალისი, ბედნიერებისაკენ ლტოლვა დაქვრივებასთან, მეორე ნახევრის სიკვდილთან ერთად კვდება. როგორც ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ისე ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ უარყოფაა იმ აზრისა, თითქოს „სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა“.

ეს ორი ნაწარმოები ცოლქმრული უღლის ერთგულების ჰიმნია.

თავსაფრიანმა დედაკაცმა, ისე როგორც ოთარაანთ ქვრივმა, ქმრის სიკვდილის შემდეგ სხვისი სარეცელის გაყოფა აღარ ისურვა არა მარტო იმიტომ, რომ შვილებს ვერ ულალატებდა, იმის გამოც, რომ სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეეძლო. ქმარი მისთვის მხოლოდ ხსოვნა კი არა, მისი ყოველდღიური არსებობის, მისი სიცოცხლის ნაწილია.

ერთი ბერძნული მითის მიხედვით, როდესაც ადამიანი შექმნა ღმერთმა, იგი ანდროგენული არსება იყო — ოთხი ხელით, ოთხი ფეხით, ორი სქესით. თავისთავში აერთიანებდა როგორც დედაკაცს, ისე მამაკაცს. ამ მითს პლატონი თავის ფილოსოფიურ თხზულებაში „ნადიმი“ იყენებს სიყვარულის განსამარტავად.

ანდროგენი ადამიანი იმდენად ძლიერი იყოო, — ამბობს პლატონი, –

რომ თვით ღმერთს დაუწყო ბრძოლა, რის გამოც განრისხებულმა ღმერთმა მის დასასუსტებლად იგი ორად გაკვეთა. ცალკე დარჩა დედაკაცი და ცალკე მამაკაცი. ეს ორი განკვეთილი ნახევარი მარადიულად დაეძებს ერთმანეთს, რათა კვლავ შეერწყან ერთ სულ და ერთ ხორც, კვლავ აღიდგინონ დარღვეული მთლიანობა და ჰარმონია. ეს ძიებაა საფუძველი სიყვარულისაო, — დასძენს პლატონი.

სხვათა შორის, ჩვენში ცოლის ან ქმრის სახელდება – „მეორე ნახევარი", შესაძლოა, ამ მითიური გადმოცემიდან იღებს სათავეს.

ამ მითის დედააზრი ის არის, რომ, თუ ცოლი მართლა წყვილია ქმრისა, ერთ-ერთის გარდაცვალება შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს, რადგან ადამიანს სულიერად და ფიზიკურად აკლია მისგან ჩამოჭრილი მეორე ნახევარი.

სწორედ ამ აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ სამუდამოდ ვერ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა. და ეს ხსოვნა არსებობს მანამდე მაინც, სანამ ცოცხალია გადარჩენილი ნახევარი ერთარსებისა– ამ ხსოვნის გარეგნული გამოხატულებაა შაი სამოსელი თაქსაფრიდან წულებამდის, რომელსაც ქვრივი სიკვდილამდე ატარებს.

ამ გაუხუნარი ხსოვნის დასტურია თაქსაფრიანი დედაკაცის უწუმარი, სხვათაგან შეუმჩნეველი გოდება, როცა მარტოდმარტო რჩება საკუთარ სატკივართან. „შავად მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში გაშალა და დაიწყო ტირილი– მოთქმა.

წრფელად გულამომჯდარი ისეთ ნაზ სიტყვებს, ისეთის მშვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადალმა მე ავტირდი", – ვკითხულობთ ნოველის ჩანართში.

იგივე რიტუალია აღწერილი „ოთარაანთ ქვრივშიც".

– „ვაი მე უბედურსა, სადედაბროდღა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი,– უმე!– განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!– ხომ მეც მომიკვდა, მეც!– წაიღო შავმა მიწამ ჩემი თვედორე. წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი. გატყდა შუაზე ჩვენის წუთისოფლის უღელიცა. მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად–"

აი, სწორედ ეს, ცალად დარჩენილი ადამიანის ტრაგედია იკითხება „თაქსაფრიან დედაკაცში".

ნიკო ლორთქიფანიძე ნოველის დასაწყისში თაქსაფრიანი დედაკაცისა და მისი მეუღლის საქმე ოჯახის აღწერას ამ სიტყვებით ამთავრებს:

„უღელი ხარი;

წელმაგარი კომლი".

წელმაგარი კომლი აქ უღელში შებმულ, ცხოვრების ჭაპანს შეჭიდებულ ცოლ-ქმარსაც გულისხმობს. საკმარისი იყო „უღელს“ ერთი გამოჰკლებოდა, რომ „იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ“. ცალად დარჩენილი ქალი ფრთამოტეხილივით დადის — „თავმდაბალი“, „საჩიერით“, „მუდარით“, რადგან მისი პატრონი და ქომაგი ალარავინაა ამქვეყნად.

როდესაც თავსაფრიანმა დედაკაცმა ზედმეტად იგრძნო თავი, პირველი, რაც გაახსენდა, ქმრის საფლავი იყო. მივიდა. ბალახში მიმალულ ქვას ხელი გადაუსვა და მკაცრად უთხრა: „ჰო, მოვალ... მოვალ, ჩემო ფილიპე“.

„მკაცრად“ - ეს ის ერთადერთი სიტყვაა, რომლითაც გმირის სულიერი განწყობა ხასიათდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ქალი თითქოს ბრალს სდებს მეუღლეს უღელში ცალად მიტოვებისათვის, ბრალს სდებს საკუთარ თავსაც თავის მეორე ნახევართან დროზე მიუსვლელობისათვის და ერთადერთი იმედიღა რჩება. ეს იმედი მისი გარდაცვლილი მეუღლეა, მასთან მისულის წინათგრძნობის სიხარულით განათებული.

ნოველა თავსაფრიანი დედაკაცისა და მისი ქმრის შეუღლების რიტუალით იწყება. ნოველის ფინალში კი კიდევ ერთხელ გაიხმიანებს ამ კაცის სახელი — „ფილიპე“, რომელიც მიცვალებული, უპატრონოდ მიგდებული თავსაფრიანი დედაკაცის ნიშნობის ბეჭედზე ამოიკითხეს. ეს არ არის შემთხვევითი. ადამიანს, როგორც ჩანს, არსთა გამრიგემ მხოლოდ მის ტოლსწორთან მიუჩინა მისთვის განკუთვნილი წუთისოფლით „სარგებლობის“ უფლება. მომდევნო თაობის წუთისოფელში მას უკვე წილი ალარ უდევს.

უკვე გერად გრძნობს თავს.

ძნელია ლიტერატურიდან მეორე ისეთი ამაყი გმირის დასახელება, როგორიც ძალამილეული და წელში მოხრილი, თვალისჩინგამოლეული თავსაფრიანი დედაკაცია.

იგი ოჯახიდან არავის გაუგდია.

„უბრალოდ“, ზედმეტ ადამიანად, წუთისოფლის გერად ცხოვრება არ ისურვა, რასაც ეს უსამართლო წუთისოფელი სთავაზობდა...

ამ სოფლის გერობას იმ სოფლის კანონიერი მკვიდრობა არჩია...

«ტრაგედია უგმიროთ»

„ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკუღმართობის შემზარავი სურათი დაგვიხატა ნიკო ლორთქიფანიძემ ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ". – ვკითხულობთ ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელზეც მრავალი თაობა აღიზარდა.

სამწუხარო ის არის, რომ იგივე აზრი ნიკო ლორთქიფანიძის განსახილველი ნოველისადმი მიძღვნილ სამეცნიერო წერილებშიც დომინირებს.

სამწუხაროა იმ თვალსაზრისით, რომ, თუ ქართული ლიტერატურის იმ სახელმძღვანელოს, რომელსაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ავლდიდნენ სკოლას, ქვეყნის იდეოლოგთა მიერ განსაზღვრული ჰქონდა, შავი თეთრად გაესაღებინა ანდა – პირიქით, და ახორციელებდა კიდეც ამ ამოცანას, სამეცნიერო წერილებსა და გამოკვლევებში მეტი შესაძლებლობა იყო იმისა, რომ იდეოლოგიური დეკლარაციები არ ასახულიყო.

არადა, ერთხმად გვარწმუნებენ იმაში, რომ მწერალმა ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ" ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკუღმართობის შემზარავი სურათი დაგვიხატაო.

ეს არ არის სწორი.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკუღმართობის შემზარავი სურათი ჩვენ დაგვიხატა დავით კლდიაშვილმა თავისი დიდებული მოთხრობებით.

რაც შეეხება ნიკო ლორთქიფანიძეს, მან განაგრძო სოციალურ თემატიკაზე მუშაობა და დაგვიხატა სოციალისტური წყობილების პირველიველ წლების გამაოგნებელი სიდუხჭირის, უკუღმართობის, სისასტიკის სურათი.

ეს სურათი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მწერლის ნოველებში: „ტრაგედია უგმიროთ", „შეგირდი", „ბედნიერება", „მწერლის ხვედრი", „ბედის ვარსკვლავი".

შემთხვევითი არ არის, რომ ეს თხზულებები ნიკო ლორთქიფანიძეს ერთ ციკლად ჰქონდა ჩაფიქრებული და თავდაპირველად გამოაქვეყნა საერთო

სათაურით „გველეშაპის რკალში“. არც ის არის შემთხვევითი, რომ ყველა ამ ნაწარმოებს დაწერის თარიღად უზის 1922 წელი.

არც ერთ დასახელებულ თხზულებაში არავითარი ნიშანი არ ჩანს იმისა, რომ მწერალი წარსულ დროზე საუბრობს, 1922 წელს კი საქართველოში სოციალისტური წყობილება არსებობდა და არა „მემამულურ-კაპიტალისტური“.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რუსეთსა და მის მიერ ანექსირებულ რესპუბლიკებში, როგორც ცნობილია, მძვინვარებდა არნახული შიმშილობა. ეს იყო ე.წ. „ნეპის“ წლები, როცა სილატაკე ყოველგვარ „დასაშვებ“ ზღვარს გადასცდა და ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ, როცა რუსეთის ერცული ტრამალები ულუკმაპუროდ დახოცილთა გვამებით იფინებოდა.

შიმშილი მძვინვარებდა ღვთივკურთხეული საქართველოს მიწაზეც. სწორედ ამ გაჭირვების საყოველთაობა გამოიხატა ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის „ტრაგედია უგმიროთ“ სათაურში. ამ ნოველის მიხედვით, არ არის დაპირისპირებული ორი კლასი – მჩაგვრელი და ჩაგრული, რაც დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის სოციალური პრობლემატიკის ამსახველი ლიტერატურისათვის.

ამ ნოველაში არ ჩანან, ერთი მხრივ, შიმშილით დაუძლურებული და, მეორე მხრივ, ფაშვგადმოგდებული მაძღარი. ყველა უბედურია, ყველა დამშეულია, ყველა გაბოროტებულია, ამიტომაც ჰქვია ნოველას სათაურად „ტრაგედია უგმიროთ“, რაც გულისხმობს ტრაგედიას საყოველთაოს და არა კერძო კაცისას ან ადამიანთა ცალკეული ჯგუფისას. ნოველის მთავარ გმირს სახელი სწორედ ამიტომ არ ჰქვია. იგი არ შეიძლება იყოს ვინმე პეტრე ან ვინმე პავლე, რადგან მის ბედშია ყველა, მთელი სოფელი, შესაბამისად – მთელი ქვეყანა.

უსახელობა გმირისა და ნოველაში აღწერილი კონკრეტული დეტალები გაჭირვების საყოველთაობაზე მიგვანიშნებს.

ნოველაში აღწერილი ტრაგედიის გმირი არის არა კონკრეტული პერსონაჟი, არამედ შიმშილი, რომელიც ერთი თხზულებიდან მეორეში გადადის.

პირველ ყოვლისა, გავეცნოთ ამ თხზულებათა სქემატურ სიუჟეტებს.

„ტრაგედია უგმიროთ“: მამას შიმშილით შვილები უკვდება. გულმოწყალე ნათლიამ, მოხუცმა დედაკაცმა, ნახევარი ჯამი ფქვილი მისცა დედით დაობლებული ბავშვებისათვის. პატარები სიხარულით ასხმარტალდნენ. კაცმა მჭადი გამოაცხო, ლუკმა გასინჯა, დამშეულ სხეულში უსაზღვრო ნეტარებამ დაუარა და– ველარ მოთოკა სურვილი. ჩამოთხოვილი ფქვილით გამომცხვარი მჭადი ერთიანად შეჭამა.

როცა გონს მოეგო, გვიან იყო. ბავშვების საცოდაობამ და მათ წინაშე ჩადენილმა დანაშაულმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

„შეგირდი“: მასწავლებელი საუბრობს ილიას მოთხრობაზე „კაცია — ადამიანი?!“ მოწაფეს კითხვას აძლევს - „რაზე ფიქრობდა ხშირად ლუარსაბი?“ - მოწაფე სდუმს და ფერი ეკარგება.

- ჭამაზე! - მოისმოდა აქა-იქ შეგირდებში.

- უკაცრავად- თქვა ბავშვმა და თავის ადგილზე წავიდა. ცრემლი ერეოდა. გაირკვა, რომ მოსწავლეს სამი დღეა თითქმის არაფერი უჭამია.

გულდათუთქული მასწავლებელი შეგირდს დაეხმარება კოლეგებში მოგროვილი მცირეოდენი თანხით და შინ გაუშვებს. მასწავლებლებიც იმავე დღეში არიან - „ერთ დღეს სადილი, ორ დღეს უჭმელობა“-

„ბედნიერება“: შიმშილით მისავათებული პატარა ავად გახდა. დედა ზღაპარს უამბობს, რათა შვილს პურზე ფიქრი დროებით მაინც დაავიწყოს. პატარა იძინებს და საშინელ სიზმარს ხედავს. წამლის წყაროები, პურის მთები, რძის მდინარეები, მაგრამ, როცა ბავშვი მათთან მიდის, ყველაფერი უმალ ქრება-

„მწერლის ხვედრი“: პროვინცია. ორი მწერალი. ორი სრულიად საწინააღმდეგო ბუნება, მაგრამ არც ერთს აკლდა თაყვანისმცემელი და არც მეორეს. ერთი მეოცნებე იყო, მეორე — რეალისტი.

ტაში და აპლოდისმენტი. ასე იყო ჩვეულებრივ დროს. მაგრამ, აი, დარბაზში უკვე მშიერ-მწყურვალი, მოღუშული ადამიანები სხედან.

„ღმერთმა გაშალა ხელი და ბედნიერება დაწვიმა ქვეყანას“ - იწყებს თხზულების კითხვას მეოცნებე მწერალი.

ძველი თაყვანისმცემლები აბუზღუნდნენ;

- რა ნამუსსხდილობაა ჩვენს დროში ასეთი რამ! ღმერთი ვის სწამს და ბედნიერება სად არის? რისთვის არაკუნებს ნეტავი?

რეალისტი რეალურ სურათს აღწერს:

„-ბნელ ოთახში თვალცრემლიანი ქალი მოვლით, ალერსით უპირებს გამხმარ, მშიერ ბავშვს დამშვიდებას-“

„გაათავე, მამა ნუ წაგიწყდება - ვერ ითმენს მსმენელი, - რალა შენი თქმა გვინდა, ჩვენც კარგად ვუყურებთ მაგ ამბებს!“

როგორც ვხედავთ, ყველა ამ ნოველის სათქმელი ერთია - როცა შიმშილი მძვინვარებს, ადამიანებს არ აინტერესებთ არაფერი, რაც აზროვნებასთან, სულიერებასთან არის დაკავშირებული. მათი გაღიზიანებული და აფორიაქებული გონება მთლიანად მოუცავს ერთადერთ საზრუნაეს, იმას, რაზეც ფიქრობდა ხშირად ლუარსაბი - ჭამაზე ფიქრს.

თანქარიძეობის ერთ-ერთი ნიშანი გახლავთ ფანტაზიის სიღარიბე. ლუ-

არსების ოცნება შემწვარ-მოხრაკულის წარმოდგენაზე შორს ვერ მიდის. ეს სენი, ფანტაზიის სიღარიბე, შიმშილით მისაკუთებულ ადამიანებსაც ემართებათ. აქედან გამომდინარე, ზედმეტად მაძღარ-გაფიქვინებული და შიმშილით მისაკუთებული საზოგადოება ერთნაირად საშიშია.

როგორც პირველს, ისე მეორეს0 ავიწყდება ყველა და ყველაფერი, გარდა საკუთარი თავისა და ადამიანურ საწყისს სძლევს ცხოველური.

იშვიათია მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ეს პროცესი - ადამიანში ცხოველური საწყისის გამარჯვება — ისე მაღალმხატვრულად იყოს მოტივირებული, როგორც ამას ნიკო ლორთქიფანიძე აღწერს ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“.

მაგრამ ნოველა ამით არ მთავრდება.

ნაწარმოები პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ.

I ხორცის ტკივილი

ასე შეიძლება განვსაზღვროთ ის საწუხარი, რაც ნოველის პირველ ნაწილშია განფენილი. „შეუგნებლად დაერიდა ბავშვების სივილს - გამოვიდა ქოხიდან_ გადაიარა ეზო_ უკუნო-უკლოდ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში_ ცალცალკე სიტყვები გაიელვებდნენ ნაპერწკალივით: „ჭადი_ ბავშვები_ ხარი_“ - ასე იწყება ნოველა და სულ რამდენიმე ფრაზა: „შეუგნებლად დაერიდა ბავშვების სივილს“, „ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში“. „ჭადი_ ბავშვები_ ხარი“ — უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქოხში, სადაც ბავშვები სივიან, სრული სილატაკე სუფევს. კაცი უძლურია იმ სილატაკის წინაშე, ხოლო ის ფაქტი, რომ სამი სიტყვიდან „ჭადი“, „ბავშვები“, „ხარი“, პირველ ადგილზე „ჭადი“ წერია და არა „ბავშვები“, სიტუაციის მთელ საშინელებაზე მიგვანიშნებს. კაცის არსება იმდენად გაუთანგავს შიმშილის განცდას, რომ მისდაუნებურად, მის გონებაში ჯერ „ჭადი“ წამოტივტივდება და შემდეგ „ბავშვები“. სიტყვათა ამ, ერთი შეხედვით, უბრალო განლაგებით - „ჭადი“, „ბავშვები“ მწერალი ამბობს უფრო მეტს, ვიდრე ეს რამდენიმე გვერდზე გადმოცემით მოხერხდებოდა_

ძლიერ შიმშილს ოჯახის მამა სრულ აპათიაში ჩაუგდია, აპათიაში და არა დეპრესიაში, ამაზე მიგვანიშნებს ფრაზები: „შეუგნებლად დაერიდა ბავშვებს“, „ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში“.

დეპრესია ადამიანის სულიერი დაძაბუნების გამომხატველია, ამ სურათზე კი არა მხოლოდ სულიერად დაძაბუნებული ადამიანი, არამედ უფრო მეტი, უკვე ყველაფრისადმი გულგრილი, უინტერესო, უხალისო, გაჭირვებისაგან აზრ და ფიქრდაკარგული, უმოქმედო, უუნარო კაცი ჩანს. აი, სწორედ ეს

სამნელი მდგომარეობა გამოიხატება აპათიით. ეს ის ვითარებაა, როცა კაცისთვის ყველაფერი სულ ერთია. ამ დროს კი ადამიანი საკუთარ თავს ყველა მართავს, მას იპყრობს ქვეშეცნეული ინსტინქტები.

სწორედ ამიტომ შვილების საცოდაობით გულშეძრული მამის გონებაში ნაპერწკალივით გაიელვებს არა „ბაგშვები“, პირველ ყოვლისა, არამედ „ჭადი“, რადგან აპათიურ მდგომარეობაში მყოფ პერსონაჟს მართავს ინსტინქტი ხორცის ტკივილის დაამებისა, შიმშილის მოკვლისა. ბავშვებისადმი მოვალეობის გრძნობა კი თითქოს მეორე პლანზე ინაცვლებს.

კიდევ ერთი სურათი: „შარაგზას გაყვა, მერე ორღობეში შეუხვია: დაუძახა ვილაცამ. მობრუნდა.

- გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი, ღმერთია მოწმე, არ მქონდა, აი, დღეს ქე მაქ ცოტა და ნახევარ ჯამს გიზიარებ...“

ასეთი მოულოდნელი წყალობა ცის გახსნა უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ არავითარი სიხარული. იგი იმდენად მოშლილია სულიერად, რომ თითქოს მექანიკურად მოქმედებს.

„- მომეცი! - მოკლედ მოუჭრა და ღობეს მიადგა“.

„ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა“.

როგორც ვხედავთ, ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ის ერთადერთი სიტყვა და ფრაზაა, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. პერსონაჟის აპათიური მდგომარეობა თანდათან უფრო მკვეთრად იხატება. არავითარი მადლიერების განცდა, არც ერთი სამადლობელი სიტყვა კეთილი ნათლიისადმი: „ნელა შემობრუნდა, უხმოდ მოშორდა მოხუც დედაკაცს“.

სურათი მესამე: ვიდრე ნოველის პერსონაჟი ქოხამდე მიაღწევდა, გამოერკვა, გამოფხიზლდა. მჭადის ფქვილის ასე მოულოდნელად შოვნამ ენა ამოადგმევინა და ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა. ეს არ წერია ნოველაში, ამას მკითხველი გრძნობს მამის უკვე ალერსიანი მიმართვიდან ბავშვებისადმი.

„- მამა, ფქვილი მოიტანე? - ასხრიალდნენ ბავშვები.

- გაჭმევ?

- კი, შვილო, კი, ბიჭო, - ეუბნებოდა ხან ერთს და ხან მეორეს.“

ფიქრისა და განსჯის უნარი დაბრუნებია. „ბავშვების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდე მათი თავიდან მოშორება.

- აბა, ბიჭებო, წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუში გამოართვით - ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშვები გაიქცნენ.“

მჭადის სუნმა მამა აიტაცა. კეციდან მჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩაიდო. მთელ სხეულს განუ-

ზომელი მადა აღეძრა_“

და აქ იფეთქებს ხორცის ტკივილის, ანუ შიმშილის მოკვლის დაუთრგუნავი სურვილი. კაცს სრულად დაეუფლება ინსტინქტი და უცრად ადამიანი იქცევა ცხოველად. „გადით, თქვენ გასაწყვეტებო“, „ბავშვები გალახა და ლაფაროში გაყარა“. მჭადებიც, ბავშვების მიერ მოტანილი ოხრახუშიც თვითონ შეჭამა. მერე „წავიდა_ გადავიდა ტევრში_ მიწვა_ კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემავი“.

შეადარეთ ეს სურათი კაცის ქოხიდან გამოსვლის პირველ ეპიზოდს.

„სადღაც ყანაში ჩამოვკდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში“.

შიმშილს, აპათიას უუნარო გაუხდია ადამიანი.

„ტევრში მიწვა. კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემავი“.

თითქოს იმავე კვლავ უუნარო მდგომარეობაში ეხედავთ პერსონაჟს. განსხვავება ერთია, ხორცის ტკივილმა, შიმშილის განცდამ და შვილების საცოდაობამ იგი აპათიაში ჩააგდო. შიმშილის მოკვლამ, სიმაძღრემ და შვილების წუთიერმა გადავიწყებამ გააცხოველა და ცხოველივით წევს თვალგახილული, მთვლემავი, უაზრო_

ერთი შეხედვით, ერთ მდგომარეობაშიც საბრალოა ადამიანი და მეორეშიც. პირველ შემთხვევაშიც დაბინდული აქვს გონება, წართმეული აქვს მოქმედებისა და აზროვნების უნარი და მეორეშიც.

პირველ შემთხვევას - პერსონაჟის აპათიურ მდგომარეობას, ანუ უგრძნობლობას, შიმშილის უკიდურესი გრძნობა ბადებს.

მეორე შემთხვევას - ცხოველურ მდგომარეობას — კი ხორცის ტკივილის „დაამება“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნოველა პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ. აღწერილი ვითარების შემდეგ ხდება პერსონაჟის გამოფხიზლება და ნამოქმედარით შეძრწუნებულ მამას ეწყება სულიერი დეპრესია. ასე რომ, მეორე ქვეთავი ასევე პირობითად შეიძლება დაგასათაუროთ.

II სულის ტკივილი

დიახ, ნოველაში ხორცის ტკივილს სულის ტკივილი ცვლის. ეს უკანასკნელი უფრო მწარე, უფრო დამთრგუნველი, უფრო გამაუბედურებელი ყოფილა ადამიანისათვის.

„მე შევჭამე_

ბავშვებს არაფერი ვაჭამე_

ღმერთო, რა მომივიდა?..

სირცხვილი! ხალხს რაღა ეუთხრა?! ვაი, თუ დაიხოცენ...

ადგა, მივიდა ბავშვებთან...

შტრუცული ბეღლის ძირში მიგდებულიყვნენ... ეძინათ. მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა.

არ გაეღვიძო მაინც! რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!"

რამდენი რამ არის თქმული ამ ერთ ფრაზაში - „დედა ხომ არ იზამდა"... ისიც, რომ ბავშვები ობლები არიან; ისიც, თუ რა არის დედა შვილებისათვის; ისიც, თუ რამდენად გაათკეცებულია ტკივილი უნებლიე დამნაშავისა.

„უმცროსს გამოელვეიძა. გაუკვირდა, ჩაჩერდა მამას.

- მამა! - წყნარად დაიწყო ბავშვმა.

- რა შვილო? - ნაზათ უპასუხა".

მამის სულიერი მდგომარეობა კარგად ჩანს სამ სხვადასხვა სიტუაციაში. ამ სულიერი მდგომარეობის ცვალებადობას საოცარი ოსტატობით ფიქსირებს მწერალი სულ უმნიშვნელო დეტალებით.

ავიღოთ შვილებთან საუბრიდან სამი ფრაზა:

1. „- კი, შვილო, კი, ბიჭო - ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს".

2. „- გადით, თქვე გასაწყვეტლებო!"

3. - „რა შვილო? - ნაზათ უპასუხა".

„კი, შვილო, კი, ბიჭო" - ამ ფრაზას ამბობს, არც მეტი, არც ნაკლები, გახარებული და თან გულაჩვილებული კაცი.

„გადით, თქვე გასაწყვეტლებო!" - ეს უკვე გამხეცებული, გონებაარეული პერსონაჟის სიტყვებია. დაბოლოს -

„რა შვილო?" - შვილს უკვე სინონიმი აღარ მოსდევს. „ბიჭო" აქ უკვე ზედმეტია, რადგან კაცი იხრჩობა, ცრემლი და სინანული ახრჩობს და ერთადერთ სიტყვაში უნდა გამოიხატოს მთელი ტკივილი. ამიტომ კი არ უთხრა, კი არ მიუგო, არამედ, „რა შვილო?" - ნაზად უპასუხა. ეს „ნაზად" უნებურად გახარებულ კაცსაც გვიხატავს, გახარებულს იმით, რომ შვილმა ისევ ძველებურად მიმართა - „მამა". მაგრამ ბატარა ბავშვის მომდევნო ფრაზა განაჩენად იქცევა სინანულის ცრემლით განწმენდილი ამ უბედური კაცისათვის.

„მთლად შეშამე?" „მამა, ცოტა იქნებ დაგრჩა - მომეცი... მუცელი მტკივა - არ გაგამხელ"... მეტის ატანა შეუძლებელი გახდა.

სულის ტკივილს ამათიაში არ ჩაუგდია კაცი. ყველაფერი, რაც შემდეგ მოიმოქმედა, სრულიად გააზრებულად მოხდა. „ბაწარი ტოტს მაგრად მიამა, მარყუჟი გამონასკვა მეორე ბოლოში, გასინჯა - კისერზე თუ მოიჭერსო და..."

როგორც ვხედავთ, გაუაზრებლად კი არა, კაცი შეგნებულად მოქმედებს. ბაწარი ტოტს მიაბა. გასინჯა კიდეც, არ მომიტყდესო...

რაზე მეტყველებს ამ ორი ნოველის პირველი ნაწილისა და მეორე მონაკვეთის შედარება?

ხორცის ტკივილს, რაოდენ აპათიაშიც უნდა ჩაგვაგდოს, კიდევ ეშველება რამე. ან ღმერთი გვიშველის, ან კაცი და შიშილით სიკვდილს გადაგვარჩენს. სულის ტკივილი კი გაუსაძლისია, იმდენად გაუსაძლისი, რომ ადვილი შესაძლებელია ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

III რაღა ჩემს ვენახში

ნოველის უკანასკნელი ნაწილი სულ ორი წინადადებისაგან შედგება. თვითმკვლელის საქციელზე ორი ადამიანის რეაქციას გვამცნობს მწერალი. ერთი მოხუცი ნათლიაა, დედაკაცი, რომელმაც დამშეულ ბავშვებს მჭადის ფქვილი უწყალობა, მეორე კი ის მეზობელი, რომლის ვენახშიც ჩამოიხრჩო თავი ნოველის გმირმა.

„კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა: – ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა...

ვინ მოუვლის ობლებს?!“ – ამ სიტყვებში საკმაოდ ბუნებრივი და ადამიანური რეაქცია ჩანს მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებული ადამიანისა.

„– რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა!“ — კეთილი ნათლიისაგან განსხვავებით, ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი. ეს კი, ერთი შეხედვით, სრულიად არაბუნებრივი და არაადამიანური რეაქციაა მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებული მეზობლისა.

დიახ, მეზობელიც შეძრწუნებულია ტრაგედიით. და, თუ ეს ასეა, რისთვის იწყევლებოდა და ბრაზობდა მიცვალებულზე იგი?

საქმე ის გახლდათ, რომ მოხუცი ნათლიის შეძრწუნების საფუძველი სხვისი ტრაგედიის გულთან მიტანა იყო.

მეზობელი კი თავისი მომავალი უბედურების წარმოდგენით შეძრწუნებულა და, რაკი ამ მომავალ უბედურებაში „წვლილი“ მიცვალებულს მიუძღვის, ამიტომ იწყევლება და ბრაზობს. აქედან გამომდინარე, მისი რეაქცია ტრაგედიისადმი ასევე ბუნებრივი ჩანს.

„– რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა! ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი“. ამ წინადადებას

მოდევს ნოველის უკანასკნელი ფრაზა, რომელიც სრულიად სხვა განზოგადებას აძლევს ნაწარმოებს. აი, ეს ფრაზაც – „რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა“.

ახლა კიდევ ერთხელ გაიხსენოთ განხილვის შესავალში თქმული, ნიკო ლორთქიფანიძემ ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“ დაგვიხატა სოციალისტური წყობილების პირველივე წლების გამაოგნებელი სიდუხჭირის, უკულმართობის, სისასტიკის სურათები.

მართალია, ნოველაში ერთი სიტყვითაც არ არის თქმული წყობილებისა და სახელმწიფოს სამართლიანობა-უსამართლობის შესახებ, მაგრამ ეს ფრაზა, - „ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა“ - გვაფიქრებინებს, რომ ნაწარმოების პერსონაჟები არა მხოლოდ ეკონომიურად დუხჭირ, არამედ უსამართლო ქვეყანაშიც ცხოვრობენ. არა მარტო უპურონი და უფულონი, არამედ უუფლებონიც არიან. ამიტომ იყო შეძრწუნებული მეზობელი. მან, უდანაშაულო კაცმა, არ იცოდა, ამ შემთხვევის გამო რა მოელოდა_



მიხეილ ჯავახიშვილი

ცხოვრება და მოღვაწეობა

1937 წლის 17 აგვისტოს თბილისში, მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში, საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი.

მსოფლიო სამართალწარმოების პრაქტიკაში ეს იყო ერთ-ერთი უნიკალური პროცესი. უნიკალური იმით, რომ მოსამართლე და მსაჯულნი იყვნენ არა იურისტები, არამედ ხელოვანნი. სასამართლო სავსე იყო ბრალმდებლებით და არსად ჩანდა დამცველი. რაც მთავარია, სხდომას ბრალდებულიც არ ესწრებოდა... (არ დაასწრეს).

დიახ, ეს იყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი უნიკალური პროცესი, რადგან იმ წელიწადს ასეთი სხდომები მრავლად იმართებოდა მთელს სსრკ-ში. 17 აგვისტოს კი მორიგ მსხვერპლს სწირავდნენ...

ოფიციალურად ამ პროცესს ერქვა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, მაგრამ, არსებითად, იგი მართლაც სასამართლო პროცესი იყო. ტირანულმა სახელმწიფომ მწერალთა დიდი ნაწილიც დამსჯელებად აქცია. მწერალს ჰუმანისტური მისია ყასაბის ფუნქციით შეუცვალა.

ამჯერად განაჩენი უნდა გამოეტანათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ-

იატის (შინსახკომის) მორიგი მსხვერპლის, მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის, მე-20 საუკუნის დიდი ქართველი მწერლის მიხეილ საბას ძე ჯაფარიძისათვის, რომელიც სამშობლოს მოღალატისა და ხალხის მტრის იარლიყით აიყვანეს ეშაფოტზე.

განაჩენი იმავე დღეს იქნა გამოტანილი, დაიწერა „სასამართლო პროცესის" ამსახველი სხდომის ოქმი. აი, ეს ჩანაწერიც: „ოქმი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომის 1937 წ. 17 აგვისტო. მწერალთა აქტივთან ერთად.

მოისმინეს — ინფორმაცია გამომჟღავნებული ხალხის მტრის მიხეილ ჯაფარიძის შესახებ (ამხ. დდემეტრაძე). იგი აღნიშნავს, რომ_"

ვიდრე იმას ჩავიკითხავდეთ, თუ რა „აღინიშნა" იმ ავადსახსენებელ სხდომაზე და რა განაჩენი იქნა გამოტანილი, მანამდე თვალი გავადევნოთ „ხალხის მტრისა" და „სამშობლოს მოღალატის" ცხოვრების გზას. ვნახოთ, თუ როგორი გულმხურვალე მამულიშვილი და შეუდარებელი მოქალაქე იყო მიხეილი თავისი ქვეყნისა და შემდგომ უფრო შემაძრწუნებლად აღიქმება ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ტირანულ სახელმწიფოში შექმნილ-შეთითხნილი ამ სამარცხვინო დოკუმენტისა.

ბავშვობა და ყრმობა

მიხეილ საბას ძე ჯაფარიძეები დაიბადა 1880 წლის 20 ნოემბერს (ძველი სტილით 8 ნოემბერს), მიხეილობა დღეს, ქვემო ქართლის სოფელ წერაქვში. რაკი ვაჟიშვილის დაბადება წმინდა მიხეილის დღესასწაულს დაემთხვა, მშობლებმა, საბამ და ელენემ, ახალშობილს მიხეილი დაარქვეს.

საბა, მიუხედავად იმისა, რომ წვრილშვილის პატრონი იყო (მას ექვსი შვილი ჰყავდა, ოთხი ქალი და ორი ვაჟი — მიხეილი და ფრიდონი. პირველი ვაჟიშვილი იოსები ჩვილობაშივე გარდაიცვალა), სოფლელი გლეხკაცის კვალობაზე შეძლებულად, გამართულად ცხოვრობდა. გლეხკაცის კვალობაზეო, რომ ვწერ, — შესაძლოა, გაგიკვირდეთ, ჯაფარიძეები ხომ თავადიშვილები იყვნენ და საბა რატომ გააგლეხკაცათ — იკითხავთ. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი.

დიდი მწერლების ბიოგრაფიიდან მკითხველს, როგორც წესი, ყველაფერი აინტერესებს - მწერლის ნინველობიდან დაწყებული, მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთებით დამთავრებული. არავინ იცის, როგორი იყო მიხეილ ჯაფარიძეილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები და წუთები, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მწერლის ქალიშვილმა, ქეთევან ჯაფარიძემა მამის შესახებ

დაგვიტოვა მოგონებათა დიდი და მშვენიერი წიგნი, რომელშიც თითქმის სრულყოფილადაა წარმოდგენილი მიხეილის ცხოვრების გზა. ეს წიგნი ყველაზე უტყუარი წყაროა შემოქმედის გარეგანი და სულიერი ცხოვრების წარმოსადგენად. ქეთევან ჯავახიშვილს, საკუთრივ მამისა და ნათესავების გადმოცემით, მწერლის ბავშვობის წლებიც აღუდგენია. ამ წიგნის მიხედვით, მიხეილის ნინველობის პორტრეტი ასეთია:

„დაბადებიდანვე სუსტი აღნაგობისა იყო. გარეგნულადაც არ ჰგავდა თავის დებს, რომლებიც ფერ-ხორცით, ძალ-ღონით გამოირჩეოდნენ, სოფლის ბიჭუნებისგანაც განირჩეოდა. მორჩილი ტანისა იყო, სუსტი, გამხდარი. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა და ხელის შეწყობა ჰქონდა, მაინც ხშირად ხდებოდა ავად...

ერთთავად თვალებში შესცქეროდნენ, რომ შეუძლოდ არ გამხდარიყო და რაიმე ავადმყოფობა არ შეხვედროდა. მოიწყენდა თუ არა, ახლობლებმა აღარ იცოდნენ, როგორ გამოერკვიათ მოწყენის მიზეზი და მისი გულჩათხრობილი განწყობილება. მოწყენა კი ბავშვმა ხშირად იცოდა...“

„პატარაობიდანვე გულადი და უშიშარი ბუნებისა იყო. თავისუფლად შეეძლო მარტოს ღამე ტყეში გაეტარებინა. მტკიცე ხასიათი და მაგარი ნებისყოფა ჰქონდა. ჯიუტიც იყო. ამასთან იყო თავმდაბალი, ხალხის მოყვარული, ადამიანური და კეთილი. სიყალბეს ვერ იტანდა. ტყუილი სასტიკად ეჯავრებოდა“.

„ბავშვობაში ჯიუტი ხასიათი ჰქონდა. რომ გაჯიუტდებოდა, ვერავინ მოტეხავდა. თავის თავზე იტყოდა ხოლმე: მე რომ გავჯიუტდებოდი, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ გამწევდაო. მისი ასეთი მოუსვენარი და ჯიუტი ხასიათი ბევრჯერ გამხდარა მისთვისვე საბედისწერო. ბევრჯერ ძვირად დასჯდომია თავისი სიჯიუტე. შეუპოვარი და უშიშარი ბუნების გამო თავისთავის გაფრთხილება არ იცოდა. წინ მიიწევდა და იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ სადმე ხიფათი ელოდა. უკან დახევა არ უყვარდა. გულადობამ ბევრჯერ კინალამ დაღუპა“...

სიგულუბე, უშიშრობა, სიმტკიცე, სიყალბის სიძულვილი, სიჯიუტე, შეუპოვრობა, საკუთარი თავისადმი გაუფრთხილებლობა და დიდი სიკეთე, მოყვასის სიყვარული, თავმდაბლობა — აი, ის თვისებები, რომლებითაც გვიხასიათებენ მწერლის სიყრმისდროინდელ პორტრეტს. როცა მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებას თვალს გავადევნებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ დახასიათებაში არ არის მიკერძოება შვილისაგან მამის სიყვარულის გამო. მიხეილ ჯავახიშვილი მართლაც ასეთი იყო. ამ სუსტი და ტანმორჩილი კაცის გამხმარ სხეულში ღვთიური მადლი, მტკიცე თანაგრძნობა, რაინდული სული გახლდათ დაბუნებული.

7 წლის მიხეილი, რაკი წერაქვში სკოლა არ იყო, პრივილნოეს სასწავლებელში მიუბარებიათ. ერთი წლის შემდეგ, 1888 წელს იგი გადაიყვანეს ჯულალ-ოღლის (ახლანდელი სტეფანავანი) სასწავლებელში. პრივილნოეშიც და ჯულალ-ოღლის სკოლაშიც ბავშვებს რუსულად ზრდიდნენ. ჯავახიშვილი ოჯახიდან 40–45 ვერსით იყო მოცილებული და შინ კვირაში ერთხელ ან ორჯერ თუ უწევდა ყოფნა, რის გამოც რუსული ენა ზედმიწევნით კარგად ისწავლა. ქართული კი წლების განმავლობაში თანდათანობით ავიწყდებოდა.

1892 წელს მიხეილმა სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და დროებით კვლავ წერაქვში ჩაიყვანა საბამ. კიევის სამხედრო სასწავლებლიდან დაბრუნებული დავით კლდიაშვილივით, რომელსაც მშობლებთან საუბრისას თარჯიმანი სჭირდებოდა, ჯულალ-ოღლიდან დაბრუნებულ მიხეილსაც უკვე უჭირდა ქართულად ლაპარაკი. ამას ხაზს იმის გამო ვუსვამ, რომ, როგორც ვხედავთ, დიდი სხვაობა არ იყო. იმ დროს ბავშვი საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულ კიევში გაიზრდებოდა თუ აქვე, საქართველოშივე, რადგან სწავლა-აღზრდის მიზანი იქაც და აქაც ერთნაირი იყო — არარუსის გარუსება. ესეც არ იყოს, ქვემო ქართლი — ისტორიული საორბელიანო და საბარათიანო – „პრივილნოებითა“ და „ჯულალ-ოღლებით“ იყო საკუთ და ქართველი კაცი თავის ისტორიულ მიწაზე ფაქტიურად არაქართულ გარემოში ცხოვრობდა (სამწუხაროდ, ასეა დღესაც). ყოველივე ამან გონებაგახსნილსა და სამშობლო ქვეყანაზე ბალღობიდანვე უსაზღვროდ შეყვარებულ მიხეილ ჯავახიშვილს იმთავითვე მწარე საფიქრალი გაუჩინა.

ერთიც უნდა ითქვას. დავით კლდიაშვილმაც და მიხეილ ჯავახიშვილმაც, ქართული სიტყვის ამ ბრწყინვალე ოსტატებმა, ჭაბუკობის ჟამს, ფაქტობრივად, ხელმეორედ შეისწავლეს მშობლიური ენა, ანუ ჭაბუკობიდანვე დაიწყეს ცხოვრებისაგან შემოთავაზებული ხელოვნური დინების საწინააღმდეგოდ სვლა, რითაც თავიც გადაირჩინეს, არ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს და მაგალითიც აჩვენეს იმისა, რომ არასოდეს არ არის გვიან, თუ ნებით ან უნებლიეთ მშობლიურ წიაღს მოსწყდი, გაუცხოვდი, კვლავ დაუბრუნდე ქვეყანას არათუ რიგით ქართველად, არამედ დიდ და მისაბაძ მამულიშვილადაც კი.

1893 წელს მიხეილი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში მიაბარეს. ამ სასწავლებელში ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ. იგი ილიას მიერ იყო ნაკურთხი და თვით სასწავლებელსაც ილია ჭავჭავაძის მეგობარი, დიდი პატრიოტი და შესანიშნაი სწავლული ილია წინამძღვრიშვილი განაგებდა, რომელმაც შვილივით მიიღო ნიჭიერი ყმაწვილი.

თავისი მოწაფეობის ხანიდან მიხეილ ჯავახიშვილი იგონებს ილიასთან შეხვედრის ერთ ეპიზოდს: „სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ

სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავწიეთ.

წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომღერალთა გუნდი მისდევს. ხუთიოდე კილომეტრი გავიარეთ და, ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავძახეთ:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

წინ ილია გამოგვეგება. გარს შემოვეხვიეთ და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაოცებული შევცქეროდი. მეგონა, ახოვანი, ჩოხოსანი და ქუდაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუა ტანის 57 წლის კაცი იდგა — სრული, პირსავსე, ჭალარაშერეული ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერმე წინ გაგვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემამდე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ვკერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა: ილიას ჩემი ნაკლი წასჩურჩულა (ლაპარაკია ქართულის უცოდინარობის შესახებ — ნ.გ.).

— აბა ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, — მითხრა ილიამ. მეტი გზა არ იყო, წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

„მორბის არაგვი, არაგვიანი
თან მოსძახიან მთანი ტყიანი“

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე: ილიამ გაიცინა, არც სხვებში ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი. ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვილაცამ უთხრა ჩემზე, ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო.

— მართლა? აბა შენ იცი, — მითხრა ილიამ, — ვინძლო არ შეგვარცხვინო. იმ ვილაცას ენამ უყივლა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამსვლია“.

არათუ მწერლობა, ბევრი რამ არ შეეძლო მაშინ ეფიქრა ყმაწვილ მიხეილს. არ შეეძლო ეფიქრა, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ მისი ბედი,

მისი ცხოვრება, მისი მრწამსი მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული იმ ღმერთკაცთან, რომელიც ახლა ღიმილით თავზე ხელს უსვამდა. არ შეეძლო ეფიქრა, რომ მისი სიცოცხლე იმ მრწამსს შეეწირებოდა, რაც იმ ღმერთკაცმა დაამკვიდრა საქართველოში. არ შეეძლო ეფიქრა, რომ ილიას ნათელ შუბლში გატარებული ტყვია წლების შემდეგ მის ოჯახში დაიდებდა ბინას, როგორც რენეგატთა სისასტიკის სამხილი და დასტური. დაბოლოს, არ შეეძლო ეფიქრა ის, რომ მასაც იგივე რენეგატები აცვამდნენ ჯვარს, რომლებმაც ილიას წიწამური გოლგოთად უქციეს.

წერაქეული ყმაწვილი საგურამოში ილიას დღეობაზე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს ხედავს: პეტრე უმიკაშვილს, ნიკო ხიზანიშვილს, გიგა ყიფშიძეს, დავით მიქელაძეს, გრიგოლ ვოლსკის, გიორგი ზდანოვიჩს, ნატო გაბუნიას. აქვე არიან უცხოელი სტუმრები: და-ძმა უორდროპები, არტურ ლაისტი. მოწაფენი ოლიმპზე გრძნობენ თავს და მათთვის ილიას სახლი ქცეულა იმ წმინდა ადგილად, სადაც ისე მოწიწებით მიდიან, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმანი ქააბში.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი მიხეილ ჯავახიშვილმა წარჩინებით დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად 1897 წელს იალტაში, საბაღოსნო და მელვინეობის ინსტიტუტში გააგზავნეს.

ყირიმის სასწავლებელში

მიხეილის მამა მეურნე კაცი იყო და შვილისათვის მომავალი პროფესიის არჩევა მისი ინიციატივით მოხდა. ეს საბას სურდა, რომ ვაჟიშვილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას დაუფლებოდა. თავის მხრივ, ილია წინამძღვრიშვილიც ამასვე ურჩევდა თავის ნიჭიერ მოწაფეს, რადგან, მისი აზრით, საქართველოს არ სჭირდებოდა ამდენი პოეტი და პროზაიკოსი. ვინც ორიოდე სიტყვას გარითმავს და ორიოდე უხეირო მოთხრობას გამოაცხობს, სიტყვიერად ყველა ერისკაცობასა და საზოგადო საქმიანობას ჩემულობს, ნამდვილი მუშაკები კი ხელიდან გვეცლებაო, — ასე ფიქრობდა წინამძღვრიშვილი და არც ცდებოდა ამაში. მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილისათვის მწერლობა ბედისწერა იყო, ბედის განაჩენს კი ვერავინ შეცვლიდა. ყმაწვილობიდანვე გრძნობდა მიხეილი, რომ მის სულს რაღაც სხვა სწყუროდა. თავის პროფესიას, აგრონომიას, ფაქტობრივად, იძულებით ეუფლებოდა, ყირიმის სასწავლებელში ყოფნისას უხვად იტოვებდა თავისუფალ დროს, ხოლო ამ დროს „გახარჯვისას“ ყმაწვილკაცურ თავდავიწყებაზე უკაცრავად არ გახლდათ.

ახალგაზრდა ჯავახიშვილი შესანიშნავად მღეროდა, ცეკვავდა, მოსწრებუ-

ლი სიტყვა-პასუხი ჰქონდა და სტუდენტის კვალობაზე, ყირიმში ყოფნის ჟამს, ადამიანური სიამენი არ დაუკლია. ლიტერატურულ და პოლიტიკურ ცხოვრებასაც თვალს ადევნებდა. თუ წინამძღვრიანთკარში სოფლელ ყმაწვილს შესაძლებლობა ჰქონდა დიდ მოღვაწეთა ხილვისა, ამ მხრივ, ყირიმშიც გაუღიმა ბედმა. ყირიმში პირველად ნახა ვკავახიშვილმა რუსი მწერლები: ჩეხოვი, ტოლსტოი, კუპრინი, გორკი და სხვ.

იალტაში იმ დროს ჩამოდიოდნენ სამეფო კარის მინისტრები: ერმოლოვი, ნარიშკინი, კურაპატკინი, ობოლენსკი, ვიტე და სხვანი. ამ უმაღლესი კასტის წარმომადგენლებთან ქართველ სტუდენტებს და მათ შორის მიხეილ ვკავახიშვილს პირადი ნაცნობობაც კი დაუმყარებიათ.

ყირიმში ვკავახიშვილი იმპერატორსაც შეხვედრია, ოღონდ ეს შეხვედრა, ცოტა არ იყოს, უცნაურად, ნიკოლოზისათვის არასასიამოვნოდ, დასრულებულა– „ერთხელ მეფე თავისი ამალით გზად მიდიოდა — ვკითხულობთ ქ.ვკავახიშვილის ზემოთ დასახელებულ წიგნში, — მეფე ცხენზე მჯდარა. ნელა მიჰყავდა თურმე ცხენი. ამ დროს გზაზე ქართველი ახალგაზრდები მოდიოდნენ. მათ შორის მიხეილიც ყოფილა. მეფე რომ დაინახეს, მიხეილმა და მისმა მეგობარმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და რალაც ანიშნეს. ცხენი, რომელზეც მეფე იჯდა, მიუახლოვდა თუ არა მათ, ბიჭებმა ქუდები მოიხადეს და ზევით აისროლეს. ცხენი დაფრთხა და განზე გახტა. მეფე წატორტმანდა. კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა. უჩა დადიანი, რომელიც მეფესთან ახლოს იმყოფებოდა, მიეშველა მას, უნაგირზე გაასწორა. ცხენი კი ალარ გაჩერდა და მხედარი გაიტაცა. მეფის ბიძამ, რომელიც უკან მოაჯირითებდა ცხენს, თითი დაუქნია ახალგაზრდებს და დატუქსა ისინი. კარისკაცნიც, თავიანთი მხრივ, მოსწავლეებს გაუჯავრდნენ“.

ახლა ერთი წუთით ფანტაზიას მოვუხმოთ და წარმოვიდგინოთ, ასეთი რამ საბჭოთა სტუდენტებს რომ ჩაედინათ პროლეტარიატის რომელიმე ბელადის მიმართ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა წარმოუდგენელი რისხვა დაატყდებოდათ მათ თავს. იმპერატორის მხლებლებმა კი სტუდენტებს თითი დაუქნიეს და გაუჯავრდნენ, ეს იყო და ეს. მომავალში რუსეთის ცხოვრება ისე „განვითარდა“, რომ მხოლოდ თითის დაქნევა და გაჯავრება მოფერებად აღიქმებოდა წამიწამ სიკვდილის შიშით გათანგული მოქალაქეებისაგან.

მეფის რუსეთში დათრგუნულ ადამიანებს მცირეოდენი უფლებები მაინც ჰქონდათ. ასე, მაგალითად: 1899 წლის ერთ მშვენიერ დღეს მიხეილ ვკავახიშვილი და მისი მეგობრები გემ „ოლღაში“ ჩასხდნენ ზღვაზე გასასეირნებლად. თურქეთის სანაპიროებს მიადგნენ. სტამბოლს ეწვივნენ. ქალაქი დაათვალიერეს, როგორც იტყვიან, თვალს წყალი დაალევინეს და შემდეგ უკანვე

იალტაში, დაბრუნდნენ. ალბათ, არც ის არის ძნელი წარმოსადგენი, საბჭოთა ქვეყნის „თავისუფალ“ მოქალაქეს ამგვარი გასეირნება რომ მოჰბრიანებოდა, სტამბოლის მაგივრად სად ამოყოფდა თავს.

ერთი სიტყვით, მხიარულად რბოდა ეკატერინეშვილის ყმაწვილკაცობის დღეები. ზაფხულობით ოჯახში, დედ-მამასთან ისვენებდა (ამ დროისათვის მისი მშობლები გადმოსული იყვნენ სოფელ სიონში). ახლობლები განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ მონატრებულ მიხეილს, მაგრამ მალე ბედმა მას პირველი საშინელი ტკივილი მიაყენა. მერე და მერე კი ფათერაკი, ბედის სავე მისი ცხოვრების თანამგზავრად იქცა.

ოჯახის ტრაგედია

1899 წლის 26 დეკემბერია, ქრისტეშობის მეორე დღე. შუაღამე გადასულა. საბას ეზოში ორი ჩაბალახახვეული, იარაღში ჩამუქდარი მამაკაცი გადაიპარა. ისინი არც მტრები არიან ამ ოჯახისა, არც გადამთიელები, აქვე ცხოვრობენ, სოფელ სიონში, მაგრამ დაუპატიჟებლად, თანაც იარაღასხმულნი, უჩუმრად მიიპარებიან სახლისაკენ...

მათი მიზანი იყო მიხეილის უმცროსი დის – სოფიოს გატაცება – 14 წლის სოფიო მის მეზობელ ვაჟს, ვინმე სანდროს, ჩავარდნოდა გულში. არც სოფიოსა და არც მის მშობლებს ეს ვაჟი მოსვენებას არ აძლევდა. ქალი მტკიცე უარზე იდგა. აბეზარი მთხოვნელისაგან შეწუხებული და შეშინებული მშობლები იძულებულნი გახდნენ, ქალიშვილი მეზობელი სოფლის მკვიდრზე, მათთვის სასურველ ვაჟზე, დაენიშნათ და ამით ჩამოეცილებინათ თავიდან არასასურველი „სასიძო“. წინა დღეს მათ ოჯახში ნიშნობა იყო. ნიშნობის შემდეგ სოფიოს საქმროც, ახლობლებიცა და სტუმრებიც წავიდ-წამოვიდნენ. საბა სადახლოში დაბრუნდა, სადაც იგი მსახურობდა. უკვე გათხოვილი უფროსი ქალიშვილებიც თავიანთ ოჯახებში წავიდნენ. მიხეილის უმცროსი ძმა, ფიდო, თბილისში სწავლობდა. ასე რომ, შინ ოჯახის დედა ულენე და ქალიშვილი, სოფიო, დარჩნენ.

როცა სანდრომ შეიტყო ნანდაურის დანიშვნა, გულგახეთქილმა მეკუთლად გადაწყვიტა, იმ ღამესვე გაეტაცებინა ქალი.

ჯერ ოჯახიდან გაიხმეს საბას მოკამაგირე, ასკვს, დაათვრეს და გადაიბირეს. სთხოვეს, ღამით ღია დაეტოვებინა კარი, მოკამაგირე ასეც მოიქცა.

შემდეგ ელენეს ეახლნენ და თოფი სთხოვეს, ვითომცდა, სანადიროდ წასვლის მიზნით_

და, აი, ნაშუაღამევს კარგად შეზარხოშებული სანდრო მეგობართან ერთად ქალების საწოლ ოთახში შეიპარა.

დედა-შვილი ერთად დაწოლილიყო და მშვიდად ეძინათ, მაგრამ როცა იარაღასხმული მამაკაცები თავს წაადგნენ, დედას უცებ გაელვიძა, ელდა-აცემმა მსწრაფლ გაიაზრა, რისთვის შეიძლებოდა დაუპატიჟებელი „სტუმრე-ბის“ მოსვლა და, სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, ქალიშვილს ისე ჩაეხვია და ჩასჭიდა ხელები, რომ სოფიოს წართმევა მისთვის მხოლოდ მკლავების დაჭრის შემდეგ თუ შეეძლოთ. გამოღვიძებული, შიშს ატანილი სოფიოც, თავის მხრივ, აკანკალებული მიჰკვროდა და მისწებებოდა დედის სხეულს. დედა-შვილი ორმა ვაჟკაცმა ერთმანეთს ვერ მოჰგლიჯა. ქალები გააფთრებით იცავდნენ თავს. კიოდნენ, შველას ითხოვდნენ.

თავგანწირულ დედა-შვილს გაბოროტებულმა მომხდურებმა რომ ვეღ-არაფერი მოუხერხეს, იმის შიშით, ოთახში ვინმე არ შემოგვიხტესო, დედა გაწირეს. ელენეს თავში ნაჯახი ჩაარტყეს და იქვე გაათავეს.

„ამის შემდეგ ისინი სოფიოს მიუბრუნდნენ, მაგრამ აქაც სასტიკად მოტყუვდნენ. საცოდავი ქალი, რომელსაც თვალწინ დედა მოუკლეს და მის სიკვდილს აყურებინეს, თავგანწირულად შეებრძოლა ავაზაკებს. სოფიო ღო-ნიერი ქალი იყო. მან საწოლის თავს ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მთელი ტანით საწოლს ზედ დააკვდა. ვერასგზით ხელი ვერ აშვებინეს, საწოლს ვერ აგლიჯეს. ისინი უკვე ძალზე შეშინებ-ულები იყვნენ. გრძნობდნენ, რომ მათი გეგმები იფუშებოდა და ახლა თავის გადარჩენაზეღა იყო ფიქრი საჭირო. გრძნობდნენ, რომ ქალი ხელიდან ეცლებოდათ. მათ, კი თავმოყვარეობა ელახებოდათ და ღვინოც თავში აყარ-დნილი ჰქონდათ. ამიტომ გაბრაზებულებმა და გამხეცებულებმა, სოფიოც საწოლს დააკლეს. ცულის ტარი გულში დაარტყეს და თავიც ცულით გაუპეს“.

ამ ორომტრიალში მოჯამაგირის ცოლს გაელვიძა, ღვინით გამობრუჟუ-ლი ქმარიც წამოაგდო ლოგინიდან, დაფეთებულმა მოჯამაგირემ თოფს წამოავლო ხელი, თუმცა დაასწრეს. ისიც სასიკვდილოდ დაჭრეს. იმ ღამით საბას ოჯახში კიდევ ერთ მამაკაცს ეძინა, ვილაც გერმანელს, რომელიც ოჯახის უფროსთან მეგობრობდა და სტუმრად გამოეცალა. სროლა და კივილი რომ გაიგო, დაფეთებული გერმანელი წამოვარდა და ფეხშიშველი თოვლში გაიქცა.

სროლის ხმაზე წამოშლილი მეზობლები როცა ელენესა და სოფიოსთან

შეკვედნენ, ყველაფერი უკვე მოთავებული იყო. საბას ოჯახში ცოდვის კალო ტრიალებდა. მათ საზარელი სურათი ნახეს — ერთ მხარეს ლამფის შუქზე სოფიოს და ელენეს სისხლით შეღებილი გვამები მოსჩანდა, იქვე კი მათი მოკამაგირე ღაფავდა სულს.

მოკამაგირემ სიკვდილის წინ თავისი დანაშაული მოინანია, მკვლელები დასახელა და სული განუტევა.

ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა ოჯახის მამას, როცა თავს დმტყდარი უბედურება შეიტყო. მეხდაცემულმა უკანასკნელი ვალი აღასრულა. მეუღლე და ქალიშვილი მის მიერ აშენებულ სიონის ეკლესიაში დაკრძალა და ამის შემდგომ ყველაფერი სულ ერთი გახდა მისთვის. სამ დღეში მოტეხილსა და დაბერებულ ოჯახის თავკაცს ახლა ერთადერთ იმედად და მხსნელად სიკვდილიღა ეგულებოდა.

საბამ ყველას სთხოვა, ის ტრაგედია მიხეილისათვის არ შეეტყობინებინათ. სურდა, რაც შეიძლებოდა გვიან გაეგო შვილს ამ დიდი უბედურების შესახებ, რათა ცოტა კიდევ გახანგრძლივებოდა ლაღად ცხოვრების დღენი.

მკვლელები მეორე დღესვე დაუჭერიათ. ქეთევან ჯავახიშვილი გვიამბობს: „პატიმრების საქმე ასე წარიმართა: ამბობენ, რომ ისინი მაშინვე ციხეში წაუყვანიათ. გზაში წყალი უნდა გაეკლოთ და როცა გადიოდნენ, შუა წყალში, უცქრად, მკვლელი ორივე თვალით დაბრმავდაო. ციხის მაგიერად ის პირდაპირ საავადმყოფოში წაუყვანიათ. სამი თვე იცოცხლა და გარდაიცვალა. ამ ამბავს, თურმე, თვითონაც მწარედ განიცდიდა და მასაც ასევე მოეღო ბოლო.

იმ უბედურებიდან კარგა დრო იყო გასული, როცა ერთ დღეს მიხეილმა მოულოდნელად შეიტყო თავის ოჯახში მომხდარი უბედურების შესახებ. ეს ასე მოხდა: ერთ-ერთმა ამხანაგმა სახლიდან ამანათი მიიღო. ხილთან და ტკბილეულობასთან ერთად, მშობლებს, თაყიანთი ვაჟიშვილისთვის ჭაჭის არაყიც გაეგზავნათ... ოთახში მხიარული ჟრიამული იდგა.

მიხეილი უგუნებოდ ჩანდა... რაღაც იდუმალი სევდა აწვებოდა... საღამო რომ მოვიდა, ამხანაგებთან გავიდა, მაგიდის ირგვლივ, სადაც ამანათი იდო, ქალაღდები ეყარა, რომელშიც მშობლებს ხილი შეეხვიათ. მიხეილი ყოველთვის ინტერესით ათვალიერებდა საქართველოდან გაგზავნილ გაზეთებს და ახალ ამბებს იქიდან იგებდა. ახლაც, სანამ სხვები ამანათით იყვნენ გართულები, ის გაზეთებს დასწვდა და თვალიერება დაუწყო, სხვადასხვა ამბები ამოიკითხა გაზეთების ნაგლეჯებიდან და ბოლოს, მისი ყურადღება ერთმა განცხადებამ მიიპყრო. მოკლედ იტყობინებოდნენ სოფელ სიონში მომხდარი უბედურების შესახებ...

ამ დღიდან, ამ თავზარდამცემი წუთიდან, მიხეილ ჯავახიშვილი სრულიად გამოიცვალა. ერთბაშად მიღებული დიდი ტრავმის კომპენსაცია უკვე აღარაფერს შეეძლო, მით უფრო, რომ სიხარულის დღეები წინ ძალიან მცირე ელოდა. ტკივილი და უბედურება კი ყველგან, ყოველ ნაბიჯზე აედევნა. ერთი წლის შემდეგ მამაც გარდაეცვალა. დაობლებულმა ჭაბუკმა სწავლის გაგრძელება აღარ ისურვა და სამშობლოს მოაშურა, მაგრამ სიონში ცხოვრება მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. „ერთხელ კიდევ თვალი მოვავლე ჩვენს ძველ კერას, — წერდა ჯავახიშვილი — სადაც აღვიზარდე და ამდენი რამ მოგონებით მიკრობილი ვიყავი, როგორც საკუთარ დედის მკერდზე. ველარ გავძელი, ავიკიდე გუდა-ნაბადი და სამუდამოდ მოვშორდი იქაურობას. მშობლების სისხლით შეთითხნილ ჭერქვეშ მუდამ საშინელი ლანდები დამკრთოდნენ თავზე და მოსვენებას არ მაძლევდნენ.

სულ ცრემლად ვდნებოდი. ასე იღვრებოდა და ცარიელდებოდა ჩემი სულის საუნჯე. ხსნა გაქცევაში დავინახე“.

ცხოვრების პირისპირ. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა. ადამაშვილი თუ ჯავახიშვილი?

მიხეილმა მიატოვა მშობლიური სოფელი და დასთან დასახლდა ალავერდში. აქ მან სამსახური დაიწყო მადნეულის ქარხნის მთავარი კანტორის გამგედ. ამ ქარხნიდან დაწყებული სად და რა პროფესიით არ უმუშავია მას. ცხოვრება დიდ სკოლად ექცა. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება საფუძვლად დაედო მომავალი მწერლის შემოქმედებითს შრომას. 21-22 წლის ასაკში უკვე, მშობლიურის გარდა, კარგად ფლობს რუსულ, აზერბაიჯანულ, სპარსულ და ფრანგულ ენებს. კითხულობს სხვადასხვა სახის ლიტერატურას და ემზადება სამწერლო მოღვაწეობისათვის.

1903 წლიდან მიხეილი თბილისშია. მას ჯერ კიდევ 1901 წელს, ყირიმიდან დაბრუნებისთანავე, სურდა დედაქალაქში დამკვიდრებულიყო, მაგრამ მაშინ ეს არ მოხერხდა, რადგან ქალაქად ცხოვრებისათვის არავითარი სახსარი არ გააჩნდა.

ახლა კი, ალავერდში მუშაობის შემდეგ, ცოტაოდენი ფული დააგროვა, რითაც დამოუკიდებლად შეეძლო არსებობა. ვიდრე რედაქციებს მიაკითხავდა, მიხეილმა არჩია ქართული ენის ღრმად დაუფლების მიზნით ქართლის რომელიმე სოფელში გაეტარებინა ზაფხული. იგი შიდა ქართლში, ვანო

მაჩაბლის მშობლიურ სოფელში, თამარაშენში გასწევს. აქ მას მასპინძლობს განათლებული, პატრიოტული სულისკვეთების პიროვნება, გიორგი მაჩაბელი. ამ კაცის ოჯახი მიხეილისთვის თავისებურ პოლიტიკურ აკადემიად იქცა. იგი ამის შესახებ წერს: „თვალი მეხილებოდა როგორც პატრიოტს. იმ ხანებში დეკანოზი ვოსტორგოვი დიდ როლს თამაშობდა ჭეშმარიტ რუსების სულისკვეთების განმტკიცებაში. მან კარგად იცოდა, რომ კავკასიაში ქართველები უფრო წინ წასულნი იყვნენ და ამასთან კეთილგანწყობაში იმყოფებოდნენ მეზობლებთან. მან ჩაიხედა ქართველთა ისტორიაში და ნახა, რომ ებრაელთა დარბევა არასოდეს არ მომხდარა, თუმცა საქართველოში კომპაქტურ მასებად ცხოვრობდნენ ებრაელები... ურთიერთობა სომხებთან და ოსებთან ჩინებული გქონდა, მან, ვოსტორგოვმა, ოსებიდან დაგვიწყო შემოტევა. ქართველებზე აღიზიანებდა. ჩემი მასპინძელი გიორგი მაჩაბელი ფიცხი კაცი იყო, თავის ბინაზე ლიახვის ხეობის მოწინავე ინტელიგენცია ქართველებისა და ოსებისა მოიწვია და დაადგენინა კრებას, რომ ვკავიდან დაბრუნებისას ვოსტორგოვი მოგკლაო და ლიახვში გადაგვეგდო, როგორც მოძმე ხალხთა ამრევ-დამრევი და ქიშპობისა და შუღლის ჩამომგდები ადამიანი. გიორგი მაჩაბლის დედას, ბაბალეს, ეშვი აეღო, რაზე ბჭობენო და ყური მიეგდო. ჩვენი კრება მისმა ტირილმა ჩაშალა. მუხლებქვეშ ჩაგვივარდა, ფიცი ჩამოგვართვა, რომ ადამიანის სისხლში არ გავხვეულიყავით. სამი დღე კარჩაკეტილში გვამყოფა, სანამ ვოსტორგოვი სამშვიდობოზე არ გავიდა“.

თამარაშენიდან დაბრუნებულმა მიხეილმა ერთ ღამეში დაწერა მოთხრობა „ჩანჩურა“. ეს მოთხრობა მისთვის მწერლობაში შესვლის საგზიტო ბარათად იქცა. ნაწარმოები პირველად წაუკითხავს ნიჭიერი ახალგაზრდების ქომაგსა და ხელისგამმართველ იოსებ იმედაშვილს, რომელიც მოთხრობით აღფრთოვანებულა. მისი რეკომენდაციით მიხეილი გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას მიადგა.

ახალგაზრდა, უცნობი მწერლის თხზულება იმდენად მოსწონებიათ „ცნობის ფურცელში“, რომ მიხეილს არათუ დაუბეჭდეს ნაწარმოები, მუდმივი თანამშრომლობაც შესთავაზეს. ასე რომ, 1903 წელს ფედერალისტების გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება მომავალი დიდი მწერლის მოთხრობა „ჩანჩურა“. ამით იშლება მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების თავფურცელი.

„ჩანჩურა“ ხელმოწერილია არა ჯავახიშვილის, არამედ ადამაშვილის გვარით და არა მარტო ეს მოთხრობა – ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე ქართული მწერლობა იცნობდა მწერალ ადამაშვილს და არა ჯავახიშვილს.

ადამაშვილი მიხეილს ფსევდონიმად არ აუღია, იგი ახალგაზრდობაში ადამაშვილის გვარზე იწერებოდა, ისე როგორც მისი მამა. თუმცა არც

ჯავახიშვილია ფსევდონიმი. საქმე შემდეგში ყოფილა. თვით მიხეილ ჯავახიშვილი ამ საქმეს ასე განმარტავს: „ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს, ვინმე ჯავახიშვილს, ქართლში კაცი შემოკვდომია. იქიდან გამოქცეულა. ქიზიყში გადასულა და იქაური გვარი, ტოკლიკიშვილი აუღია. შემდეგ ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვარით ვცხოვრობდით. პაპაჩემი ხომ ადამა იყო და გვარად ადამაშვილი ავიღეთ. მე აღვადგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი“. ყველაფერი კონკრეტულად და ლაკონიურადაა თქმული. ამ განმარტების შემდეგ, ალბათ, აღარც ის უნდა იყოს გაუგებარი, თუ რატომ ცხოვრობდნენ მიხეილის მამა და ბაბუა, წარმოშობით თავადები, გლეხკაცის ცხოვრებით.

ჯავახიშვილი — „ივერიის“ რედაქტორი, გამგზავრება საზღვარგარეთ, ილიას მკვლელობა

ჯავახიშვილმა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე არნახული ენერგიულობა და შრომისმოყვარეობა გამოიჩინა. მისი პუბლიცისტური წერილები მკითხველთა განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა. „ივერიის“ რედაქციის მუშაკების თხოვნით 1904 წლიდან მიხეილი „ცნობის ფურცლიდან“ „ივერიაში“ გადადის, ცოტა ხნის შემდეგ „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორიც გახდა. ასე რომ, იმ ყმაწვილს, რომელსაც ერთ დროს საგურამოში „ილიაობა“ დღეს დიდმა ილიამ გზა დაულოცა, ახლა უკვე თვით ილიას დაარსებული გაზეთის რედაქტორად ვხედავთ. უნდა ითქვას, რომ მიხეილი იყო ერთი იმათგანი, ვისაც არასოდეს განელებია ერის დიდი მოძღვრის სიყვარული და ყოველთვის ისეთივე მოწიწებით ახსენებდა მის სახელს, როგორც ბავშვობაში. მიხეილ ჯავახიშვილს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა იმდაგვარი თაყვანისცემა ილიასადმი, როგორიც მორწმუნეს შეიძლება ჰქონდეს წმინდანისადმი.

1906 წელს ადამაშვილი გაზეთ „გლეხს“ რედაქტორობს. მეტისმეტი გაბედულებისათვის ახალგაზრდა მწერალი პასუხისგებაში იქნა მიცემული. მეგობრების დახმარებით, კერძოდ კი, ფილიპე გოგიჩაიშვილის თანადგომით, მიხეილი მოახერხებს საზღვარგარეთ გამგზავრებას და ამით სასჯელისაგან თავის დაღწევას.

მგზავრობისას მას ერთი კურიოზული ამბავი შემთხვევია: რაკი საკუთარი პასპორტით წასვლა სარისკო იყო, ვინმე მიხეილ ლობჟანიძის პასპორტით მიემგზავრება. მაგრამ დახეთ უბედურებას – საზღვარზე გადასვლისას, როდესაც პასპორტები გასინჯეს და მგზავრებს უკან უბრუნებდნენ, მიხეილს

თავისი კეთილისმყოფელი ლობჟანიძის გვარი დავიწყებია. დავიღუპე, გაუელვა გონებაში, მაგრამ გაჭირვება რას არ მოაფიქრებინებს კაცს, მიხეილს ღუღლული დაუწყია ჟანდარმებთან, აქაოდა მუნჯი ვარო და განსაცდელს ასე გადარჩენია.

1906-1907 წლებში მწერალი ჟენევასა და პარიზში ცხოვრობს. ისმენს ლექციებს და ცდილობს სრულყოფილად დაეუფლოს ევროპულ კულტურას. წერს პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებს, რომელთაც სამშობლოში გზავნის.

1907 წლის მარტში მიხეილი კვლავ თბილისშია. ამჯერად სამსახურს იწყებს გაზეთ „ისრის" რედაქციაში. ეს ის რედაქციაა, რომელმაც პირველმა შეიტყო 1907 წლის 30 აგვისტოს მომხდარი ეროვნული ტრაგედიის შესახებ. საღამოს, 8-9 საათზე, რედაქციაში მოვიდა ცნობა ილია ჭავჭავაძის ყარაულად მოკვლის შესახებ. „ისარში" გამოქვეყნებულმა ცნობამ თავზარი დასცა მთელ საქართველოს. ჯავახიშვილმა და საქართველოს პატრიოტებმა იგრძნეს, რომ სწორედ იმ დღეს, 30 აგვისტოს, გადაწყვიტეს კაცობრიობის უბოროტესმა მტრებმა საქართველოს ბედისწერა. გაოგნებული მწერალი მეორე დღესვე საგურამოში აიჩქარა, სადაც მისთვის ბავშვობიდანვე მშობლიური იყო ყველაფერი. ის ღამე იქ გაათია საშინელი და მტანჯველი ფიქრებით. „არასოდეს არ დამავიწყდება ის ღამე, — იგონებდა მწერალი, — სხვებმა დამასწრეს და ლოგინები დაარიგეს, დარჩა მხოლოდ ერთი ბალიში, ილიას სისხლით მოსვრილი ბალიში, რომელიც მოკვლის დროს ზურგის უკან ედო. მცირე ყუმანის შემდეგ ძლივს გავბედე: ის ბალიში კაკლის ქვეშ წყაროსთან დავდე, სადაც მრავალი დაუვიწყარი საათი მქონდა გატარებული, ზედ ცხვირსახოცი დავაფარე და ფსიქიურად დატანჯულმა მამლის ყივილისას ძლივს ჩავიძინე".

რა იცოდა მაშინ ილიას სისხლით გაჟღენთილ ბალიშზე თავმიდებულმა, მწარე ფიქრებით შეპყრობილმა მიხეილმა, რომ ზუსტად 30 წლის შემდეგ, სწორედ აგვისტოს თვეში, ის ხალხი იმსხვერპლებდა მასაც, რომელთაც ილია მოკლეს, იმ განსხვავებით, რომ თუ ილიას ბურჭებს უკან ჩასაფრებულნი უგებდნენ მახეს, მიხეილ ჯავახიშვილს უკვე სახელმწიფო ხელისუფალთა საარძელში გამოჭიმულნი დაემუქრებოდნენ და კანონისა და ხალხის სახელით აუგებდნენ ანდერძს.

კვლავ იძულებითი ემიგრაციები. ჟურნალი „ერი“. გაზეთი „საქართველო“. საქართველოს დამოუკიდებლობა.

ილიას გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ ჯავახიშვილი იძულებულია კვლავ საზღვარგარეთ, საფრანგეთში გაემგზავროს. უკან ბრუნდება 1909 წელს და სათაურში უდგება ახლადგამოცემულ ჟურნალ „ერს“.

1910 წელს, არც მეტი და არც ნაკლები, სამშობლოს სიყვარულისთვის დაასატიმრეს, მოუსაჯეს ერთი წლით ციხე და 5 წლით საქართველოდან გასახლება. პატიმრობის ვადა მეტეხის ციხეში მოიხადა, შემდეგ როსტოვში იქნა გასახლებული.

1912 წელს გადასახლებაში მყოფმა მიხეილ ჯავახიშვილმა ჯვარი დიწერა ვლადიკავკაზში მცხოვრებ ივანე ჯაჭვაძის ქალიშვილზე. ლუბა (ასე ერქვა მწერლის მეუღლეს) და მიხეილი მცირე ხანს როსტოვსა და ვლადიკავკაზში ცხოვრობდნენ. ერთი წლის შემდეგ კი არალეგალურად გადმოდიან თბილისში, სადაც მიხეილი ბინას დაიდებს ეკატერინე გაბაშვილის ოჯახში.

1914 წლის 3 ივნისს მშობლებს პირველი შვილი, ქეთევანი შეეძინათ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებით უნდა ეცხოვრა ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს, მაგრამ სიყვარული ყველა სატკივარსა და შეწუხრებას სძლევდა. უნდა ითქვას, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ მიხეილის გონება წვრილმან საზრუნავში არ ჩაფლულა. მისი ნიჭის თაყვანისმცემელი მეუღლე ყოველმხრივ ხელს უწყობდა, რომ თაყის ძირითად საქმიანობას, სანუკვარ მიზანს არ მოსწყდომოდა. მიხეილის მიზანი კი თანამგრძნობ პატრიოტებთან ერთად ილიას ანდერძის აღსრულება — სამშობლოს განთავისუფლება იყო. და, აი, 1915 წელს რადიკალურად განწყობილმა ერთგულ მოღვაწეთა ახალგაზრდების ჯგუფმა გამოსცა იმ დროისათვის ყველაზე მძაფრი, თავისუფლების ზარების დამრეკი გაზეთი „საქართველო“, რომლის ფაქტიური რედაქტორი იყო ადამიშვილი (ოფიციალური რედაქტორობის უფლება მას სასამართლოსაგან აკრძალი ჰქონდა). კვლავ გაიხსენეს ადამიშვილი იქ, სადაც ჯერ არს. და კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა, გენერალმა ვოლსკიმ, „ურჩია“, კავკასიას გაშორებოდა_ იძულებული გახდა, ლიტერატურულ საქმიანობას ჩამოშორებოდა და სამსახურს იწყებს წითელი ჯვრის საზოგადოებაში. 1916 წლიდან წითელი ჯვრის საზოგადოების სახით მიხეილი სპარსეთ-ოსმალეთის ფრონტზე გაემგზავრა და მთელი წელიწადი სპარსეთში დარჩა.

ამ მშრალი ფაქტებისა და თარიღების უკან სისხლსავსე ცხოვრება იგულისხმება, სიხარულიანიც, მწუხარეც, შემთხვევებით, ფათერაკებით საკმე ცხოვრება, რომლის შესახებაც მკითხველს დაწვრილებით შეუძლია შეიტყოს ქეთევან ჯავახიშვილის ზემონახსენები წიგნიდან.

სამშობლოში მიხეილი 1917 წელს ბრუნდება. ამ წელს არსდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის წევრები და მათ შორის მიხეილი დაუცხრომლად იბრძვიან საქართველოს თავისუფლებისათვის. და, აი, 1918 წლის 26 მაისიც. მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის თავზე საქართველოს ეროვნული დროშა აფრიალდა. 117 წლის შემდეგ ერმა მოიპოვა ნანატრი თავისუფლება. მიხეილს თავისუფლების მზის ამონათებისათვის ბრძოლაში ლომის წილი ედო, მაგრამ კვლავ ბედის ირონია: საქართველოს მთავრობა ფაქტიურად სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) შეადგინეს, იმ ხალხმა, ვინც თავის დროზე სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ჩასაკლავად იბრძოდა. ჯაჯანაშვილი და მისი მეგობრები ამჯერადაც ოპოზიციის კუთხეში იქნენ მიგდებულნი. პარლამენტში, როგორც ითქვა, უმრავლესობას სოციალიზმის მქადაგებელი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, რომლებისაც ჯაჯანაშვილს არაფერი სწამდა. ერთგან მას ჩაუწერია: „სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს ხიფათს უქადის".

პარლამენტში გარკვეულ ძალას წარმოადგენდნენ ფედერალისტებიც, რომელთა პარტიის წევრიც იყო ჯაჯანაშვილი 1906-1907 წლებში.

ალარც ამ პარტიასთან ჰქონდა მწერალს გულითადი ურთიერთობა. „1907 წლის ფედერალისტების პარტიიდან გავედი ოთხი მიზეზის გამო, – წერს მწერალი:

1) პარტიამ გამოკვეთის ეთნოგრაფიული პრინციპი ალიარა, ეი. რამდენიმე მაზრას სომხებს უთმობდა;

2) პარტიაში მრავალი ანარქისტი შემოეშვა;

3) სოციალიზმის არა მწამდა და

4) ილია ჭავჭავაძის მკვლელის, სოციალ-დემოკრატის პასუხისმგებლობა მოხსნა".

ასე რომ, მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს, რომელთა პარტიის წევრიც მიხეილი იმჟამად იყო, შეეძლოთ ერის ინტერესების შესაბამისად მომსახურებოდნენ თავისუფალ საქართველოს, მაგრამ მათი რიცხვი პარლამენტში ერთობ მოკრძალებული იყო და ამიტომაც, როგორც ვთქვი, ბედმა ჯაჯანაშვილი და მისი მეგობრები ოპოზიციის კუთხეში მიაგდო.

მენშევიკურ მთავრობასთან დაკავშირებით მიხეილს ჩაუწერია: „ფიცი – ამ მთავრობასთან არ ვიმსახურებ-მეთქი"– „არ ვენდობი მენშევიკებს, ეს არის ჩემი გზა". მაგრამ რაკი თავისუფალ საქართველოს ელირსნენ, განზე მაინც არავინ გაძვრა. ჯაჯანაშვილი სხვადასხვა დაწესებულებაში მსახურობდა, კალამი გვერდზე გადადო და ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებას უწყობდა ხელს. თუმცა მალე შეწყდა 117 წლის შემდეგ აღდგენილი საქართველოს

სახელმწიფოებრიობის არსებობა. 1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ერი კვლავ დაპყრობილი აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ.

გზანი წამებისანი

დამოუკიდებელი საქართველოს მარცხს ქართველი ერი არ შეჰგუებია. 1921 წლიდანვე შეიქმნა სხვადასხვა ეროვნული დაჯგუფების და პარტიის გამაერთიანებელი „პარიტეტული კომიტეტი". მენშევიკები, მოხდარი უბედურების შემდეგ, თუ დამოუკიდებლობამდე ასე არ იქცეოდნენ, დამოუკიდებლობის შემდეგ მთლიანად დადგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე.

„პარიტეტულ კომიტეტში" საქართველოში დარჩენილ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილიც შედიოდა. კომიტეტის მიზანი იყო დაპყრობილი საქართველოს გამოხსნა. 1923 წელს კომიტეტის წევრები დააპატიმრეს, მათ შორის მიხეილიც.

ერთ დროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ჯავახიშვილი ახლა უკვე ბოლშევიკებმა შეაგდეს მეტეხის ციხეში. მიხეილის ყველა მეგობარი დახვრიტეს. დახვრეტა ელოდა ჯავახიშვილსაც, მაგრამ განაჩენის აღსრულებამდე საჭირო იყო დანაშაულის აღიარება და ხელმოწერა. მწერალი მტკიცედ უარზე მდგარა, მაგრამ ასეთი საშინელი საშუალებებისათვის მიუმართავთ ჯალათებს: — „ერთ დღეს დედისათვის ნახვის უფლება მიუცათ. — წერს მიხეილის ქალიშვილი. — რამდენიმე წუთიანი პაემანი რომ დამთავრდა და მამა საკანში დაბრუნდა, საწოლზე მიწოლილა და მწარე ფიქრები მოსძალებია. ერთ საათს არც კი გაუვლია, რომ ქალის საშინელი კივილი შემოესმა თურმე. ყური მიუგდო და დედას ხმა მოსჩვენებია. გაგიჟებული მივარდნია კარებს, რომელშიც ჭუჭრუტანა ყოფილა გაკეთებული და დაუნახავს, რომ ორ-სამ კაცს გაკავებული მიჰყავთ ქალი, ისეთივე კაბაში გამოწყობილი, როგორიც იმ დღეს დედას სცმია. საცოდავ მამას უფიქრია, რომ დედა დაკითხვაზე შეიყვანეს, გამოტეხის მიზნით აწამეს და საშინელ დღეში ჩაგდეს. სასოწარკვეთილებაში მყოფმა კარებს მუშტების ბრახუნი დაუწყო. ზედამხედველები რომ საკანში შემოცვივდნენ, უკვე იცოდნენ, რომ მათმა ინსცენირებამ გაჭრა. მამას კი მოუთხოვია: ახლავე შეწყვიტეთ ყოველგვარი ინკვიზიცია, მე მეტის ატანის თავი აღარა მაქვს, მომიტანეთ ჩემი ჩვენება და რაც გინდათ, ყველაფერზე ხელს მოგიწერთო, ოღონდ სასწრაფოდ დამთავრდეს ჩემი წამებაო. ასე მოუწერინებიათ მისთვის ჩვენებაზე ხელი.

ასეთივე ბარბაროსული ხერხი მამას მიმართეს, როგორც შემდეგ გადმო-

ცეს, მათ ერთხელ კიდევ 1937 წელსაც გაუმეორებიათ, როცა მამა ყალბ ჩვენებაზე ხელს არ აწერდა. გამომძიებელს უთქვამს მისთვის: თუ ახლავე არ მოაწერთ ხელს, თქვენ ცოლ-შვილს აქ მოვიყვანთ, თქვენს თვალწინ ვაწამებთო და ამ სურათს თქვენ გაყურებინებთო".

20 წლის შემდეგ, ანუ მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაციის შემდეგ, ჯავახიშვილის „საქმეს" გაცნობილი და მწერლის მტარვალებთან ნასაუბრები სპეცსთა კავშირის გენერალური პროკურორი იტყვის: „დაკითხვის დროს ჯავახიშვილს ისე აწამებდნენ, რომ ის ასეთ ჩვენებაზე კი არ მოაწერდა ხელს, რომელიც ერთ გვერდს შეადგენს, არამედ იმაზედაც მოაწერდა ხელს, რომ ის არის ირანის შაჰი, ასეთ წამებას ის ვერ გაუძლებდაო".

დაეუბრუნდეთ კვლავ 1923 წლის მოვლენებს. მას შემდეგ, რაც მიხეილმა ჩვენებაზე ხელი მოაწერა, მას დახვრეტა გადაუწყვიტეს. გაიყვანეს სიკვდილმისჯილთა საკანში და აქ ყოველ ღამეს ჯალათების მოკითხვას ელოდა...

3 აგვისტოს, დილით, მოულოდნელი რამ მოხდა. სიკვდილმისჯილს კარი გაუღეს და 6 თვის ტანჯვის შემდეგ მოულოდნელად გაათავისუფლეს. ეს ამბავი ასე მომხდარა: მიხეილის რამდენიმე მეგობარს, მათ შორის პავლე ინგოროყვასა და ექიმ ნიკოლოზ ყიფშიძეს თავი გადაუდვიათ და იმხანად თბილისში მყოფ სერგო ორჯონიკიძისათვის უთხოვიათ, ქართველი ხალხისათვის ერეკებინა ნიჭიერი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლე. „რკინის კომისარი" იმ დღეს კარგ გუნებაზე ყოფილა...

ასე რომ, იმჟამად ბედმა დაინდო მიხეილი. მას ხომ ჯერ არ ჰქონდა დაწერილი თავისი თხზულებების უდიდესი ნაწილი, თავისი ბრწყინვალე რომანები და მოთხრობები. არც „ჯაყოს ხიზნები", არც „დამპატიჟე", არც „ტყის კაცი", არც „კვაჭი კვაჭანტირაძე", არც „ქალის ტვირთი", არც „არსენა მარაბდელი", არც „თეთრი საყელო", არც „გრიგოლ შადური", სხვანი და სხვანი. განსაკუთრებით შემზარავია იმის წარმოდგენა, რომ ეს თხზულებები ქართულ მწერლობაში არ იარსებებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „ხალხის ქომაგები", რომელთაგანაც ხალხს რეპრესიებისა და სისხლისღვრის მეტი არაფერი ახსოვს, დახვრეტდნენ მას, როგორც „ხალხის მტერს", ვითომდა ხალხის საკეთილდღეოდ, ისე, როგორც აწამეს და დახვრიტეს მრავალნი.

თუ ვინმე დარჩა ცოცხალი მიხეილის ძველი მეგობრებიდან 1921-1923 წლების რეპრესიების დროს, 1924 წლის აჯანყების შემდეგ ისინიც დახოცეს. სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ და წამებულ გმირებს აჯანყების წლისთავზე, 1925 წლის 28 აგვისტოს, მარიამობა დღეს, მიხეილმა პანაშვიდი გადაუხადა.

ეს ნაბიჯი იმ დროში, როცა დახოცილთა ნათესავებიც ვერ ბედავდნენ პანაშვიდზე მისვლას, მოქალაქეობრივი გამბედაობისა და გმირობის დიდი მაგალითი იყო.

1924 წლის ამბების შემდეგ, როცა სისხლში იქნა ჩახშობილი ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მიხეილ ჯავახიშვილი იძულებული ხდება ხელი აიღოს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ქვეყნის ხსნის უკანასკნელი იმედი ამოიწურა. მიხეილმა მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. ცხოვრობს, როგორც პროფესიონალი მწერალი, და ცდილობს, გარიდებული იყოს ყოველგვარ ორგანიზაციულ საქმიანობას, მაგრამ ბედი მშვიდად ცხოვრებას არ დააცლის.

მწერლის იმ ფიქრებმა და ზრახვებმა, რომელთაც პოლიტიკურ ბრძოლაში არ ეწერათ გამარჯვება, სადინარი პოვეს ჯავახიშვილის მხატვრულ შემოქმედებაში. მართალია, ძალზე ფრთხილად, ალეგორიული ფორმით ახდენს თავისი სატკივარის მხატვრულ სიტყვაში გაცხადებას ჯავახიშვილი, მაგრამ არც „დამპატიჟესა“ და არც „ჯაყოს ხიზნების“ პათოსი ხელისუფალთ და მათ დაქირავებულ პროლეტკულტელებს შეუმჩნეველი არ რჩებათ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჭეშმარიტი მწერლების მიმართ ჯერ მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობს.

ხელისუფლება ცდილობს ძველი ინტელიგენციის ხელახლა „აღზრდას“ და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაყენებას.

სამუშაო ცნებებად იქცა ფრაზები: „ხალხის მტერი“, „თანამგზავრი“, „ხალხის ერთგული“.

ვინც ხელისუფლების ინსტრუქციებს ეწინააღმდეგება, „ხალხის მტერია“. ვინც ჯერ კიდევ ორჭოფობს ძველსა და ახალ სამყაროს შორის — „თანამგზავრი“.

ძველი თაობის მწერლები იბრძვიან იმისთვის, რომ თანამგზავრის სახელი მაინც დაიმსახურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის „ერთგული შვილები“ მათ „ხალხის მტრებად“ მონათლავენ და დალუპვა არ ასცდებათ. ასეთ საწყალობელ მდგომარეობაშია მიხეილ ჯავახიშვილიც, მაგრამ იმხანად მას „თანამგზავრის“ პატივი არგუნეს და როგორც „თანამგზავრსა“ და „მერყევს“, იდეოლოგიურ გაკვეთილებს უტარებენ სასახლის კარის მსახური კრიტიკოსები. ამ მდგომარეობით შეშფოთებული მწერალი ერთგან წერს: „ვინ მომცა ნება, რომ დღევანდელი ყოფიერება ისე ავწერო, როგორც ვხედავ და მესმის?“

მიუხედავად ამ დაძაბული ვითარებისა, მწერალი დიდი ენერგიით განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას.

20-იან წლებშიეე იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროზაიკოსი ხდება საქართველოში.

ერთი მხრივ, მკითხველთა დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი, მეორე მხრივ კი, პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები უტევენ და მის ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებენ, რის გამოც ჯაჯანიშვილს ერთერთი გამოსვლის დროს მათი მისამართით უთქვამს: „ჩვენი ადმინისტრაციული დაშინებითა და მუქარით პროლეტარულ მწერლებს წინ ვერ წასწევთ. გაუნათლებელი და უშრომელი მწერალი, კლასიკოსი ვერ გახდება. თქვენ მწერლის ფსიქოლოგიას არავითარ ანგარიშს არ უწევთ. შემოქმედებითი შეკიბრის გეშინიათ და იმიტომ მებრძვით. კვაჭი დაჭხატე, მითხარით: ეს შენა ხარო, ჯაყო და თეიმურაზიც შენ თვითონ ხარო, გიგი შადური შენი პორტრეტიაო, ახლა ისღა დამრჩენია, ორსული დაჭხატო და იმაზედაც მეტყვით, ესეც შენა ხარო“.

როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით მწერალს თავის მართლების უფლება მაინც აქვს. რამდენიმე წლის შემდეგ ამ უფლებასაც წაართმევენ და, ზემოთნახსენებ პროკურორ რუდენკოს თქმისა არ იყოს, რომ დააბრალონ, ირანის შაჰი ხარო, ამაზედაც ხელი უნდა მოაწეროს. რომ უთხრან, მდინარე ალმა მიდისო, მიდის და მერე როგორ, მიჩუსჩუსებსო — უნდა დასძინოს...

იმხანად, 20-იან წლებში, მწერლებს ჯერ კიდევ ჰქონდათ საშუალება შექმნათ ლიტერატურული დაჯგუფებანი, კორპორაციები და გამოეცათ საკუთარი ჟურნალ-გაზეთები. ერთი ასეთი დაჯგუფებათაგანი იყო 1927 წელს აღმოცენებული რამდენიმე მწერლის მიერ შექმნილი საძმო „არიფიონის“ სახელწოდებით. ასოციაციის თავმჯდომარე მისხელ ჯაჯანიშვილი გახლდათ. ასოციაციის წევრებმა 1928 წელს გამოსცეს ჟურნალი „არიფიონი“ (რედაქტორი გერონტი ქიქოძე). ამ ჯგუფის პოზიცია გამოხატულია გერონტი ქიქოძის წერილში „არიფიონი ჰერეთში“. „ჩვენ არ გვინდა „კარის მგოსნების“ როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღად ვაქციოთ. ამ მხრივ დიდად განვსხვავდებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთის ეჯიბრებიან შაბლონურ ოდების წერაში.ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ, თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიციით მისდიო და უშისვინო რევოლუციის ეტლს“.

ჯაჯანიშვილს „არიფიონის“ კრიტიკოსთა შესახებ უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ბევრ ქართველ მწერალს მოსდის მოსკოვიდან ბრძანება, თუ როგორ უნდა სწერონ მან ფორმითაც და იდეოლოგიურადაც. „არიფიონი“ კი მაგრად დგას ქართულ მიწაზე და მისი აზროვნებაც ამ მიწიდან ამოდის. სხვა

რომ არა იყოს რა, ესეც საკმარისია ჩვენი გამარჯვებისათვის". მოლენები კი სხვაგვარად განვითარდა.

„არიფიონის" არსებობა დღემოკლე აღმოჩნდა. 1928 წლის მარტში ჩატარდა საქართველოს მწერალთა მე-2 ყრილობა, რომელზეც მოხსენება გააკეთა ფილიპე მახარაძემ. ამ ყრილობაზე დაგმობილ იქნა „არიფიონის" საქმიანობა და ეს ჯგუფი მალე დაიშალა კიდეც.

ოპონენტების თავდასხმებისაგან დაღლილი ჯავახიშვილი დროდადრო მეგობრების წრეში იოხებდა გულს. ერთ-ერთი პურობის ჟამს პაოლო იაშვილს მიხეილისთვის სალაღობო ექსპრომტი დაუწერია. მიხეილი სუფრიდან წასვლას ჩქარობდა, რადგან შინ ფეხმძიმე მეუღლე ელოდა. მეგობრებს იგი ძალით დაუტოვებიათ სუფრაზე, სამაგიეროდ ასეთი „ცნობა" გამოუტანიათ:

მოწმობა
ეძლევა ესე მოწმობის ცალი
„ჯაყოს ხიზნების" და „კვაჭის" ავტორს,
რომ ის დავტოვეთ ვახშამადე ძალით
და ტიციანი მას ძალით ათრობს.
რომ დავამშვიდოთ იმისი ცოლი,
რომელიც ქმარს და ვაჟიშვილს ელის
(ალბათ იქნება არსენას ტოლი
და ნიჭით მსგავსი ანდრეი ბელის)
1929 წლის იელისის 5-ს.

ანდრეი ბელი იმ სუფრის თანამეინახე ყოფილა და ამ ექსპრომტშიც აქედან აღმოჩნდა მისი სახელი და გვარი. ორი თვის შემდეგ მიხეილს და ლუბას მართლაც შეეძინათ მეორე შვილი, მაგრამ არა ვაჟი, ამჯერადაც ქალიშვილი დაიბადა — რუსუდანი.

1932 წლის თებერვალში გაიმართა ქართველ მწერალთა პლენუმი. ამ პლენუმზე დიდი რისხვა დაატყდა თავს მიხეილს, როგორც ძნელად „გარდასაქმნელ" მწერალს. გაგაცნობთ ერთ მონაკვეთს ბ.ჟღენტის გამოსვლიდან:

„თუ მიხეილ ჯავახიშვილს თავისი მუშაობის პირველ პერიოდში განვიცდით, როგორც გარკვეული რევოლუციონური თანამგზავრი ტენდენციის მატარებელ მწერალს და ვფიქრობდით, რომ მისი განვითარების დიალექტიკა მოგვცემდა საბჭოთა ლიტერატურის ერთ მაგალითს, მისმა შემდგომმა განვითარებამ მოგვცა საწინააღმდეგო. ეს დამახასიათებელია მისთვის. მიხეილ ჯავახიშვილი თავის განვითარებაში, ისე როგორც გამსახურდია, ისე როგორც შანშიაშვილი, ინგოროყვა და მთელი რიგი მწერლები აკადემიური ჯგუფი-

დან, „არიფიონიდან“, მოექცნენ მოწინააღმდეგე კლასის პოზიციებზე. მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ეს მწერლები სამუდამოდ დაკარგულნი არიან საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. ყველა მათ აქვთ საშუალება გადამუშავდნენ რევოლუციის მხარეზე“.

ორი თვის შემდეგ, აპრილში, მიხეილი კვლავ „დაამუშავებს“: „ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ჯავახიშვილის შემოქმედებას რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ღირსება ახასიათებს. ეს არ არის მართალი. ჯავახიშვილი ცდილობს, მკითხველის ყურადღება მიიპყროს იაფფასიანი ხერხებით, სენსაციებით, შემთხვევითი სიუჟეტებით, ჯავახიშვილის შემოქმედება არის „ბულვარშინა“. (გ.ნატროშვილი).

ამ სხდომაზე კვლავ კრიტიკულად გამოვიდა ბესო ჟღენტიც. მაგრამ დებუნაშვილმა კრიტიკოსს, პირიქით, ლმობიერება უსაყვედურა. „ის (იგულისხმება ბ.ჟღენტი) მას აფასებს, არა როგორც რეაქციონურ მწერალს, არამედ ისეთს, რომელსაც აქვს ცალკეული შეცდომები“.

ფრიდონ ნაროუშვილს კი უთქვამს: „ჟღენტმა წამოაყენა მიხეილ ჯავახიშვილის გარდაქმნის, მისი საბჭოთა მწერლობაში შეზრდის თეორია. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალია, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მის გარდაქმნის შესახებ“_

ასე, თანდათანობით, იძაბებოდა სიტუაცია და ხელოვნურად აჩქარებდნენ იმ დღის მოახლოებას, როცა მწერლის სიცოცხლე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ცნობილი მოღვაწეებისადმი ოფიციოზის დამოკიდებულებაც მკვეთრად ცვალებადი იყო. იმ დროისათვის აღზევებულსა და ბედის ნებიერს უცრად საპირობილეში უკრავდნენ თავს, ეშაფოტისთვის გამზადებულს კი ზოგჯერ უცებ პატივს მიაგებდნენ. ყველაფერი მმართველთა გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ცოტა ხნით ჯავახიშვილისადმი მიმართებაც შეიცვალა. 1934 წელს იგი მწერალთა საკავშირო ყრილობის დელეგატია. მოსკოვში ყრილობის პრეზიდიუმშიც აირჩიეს, ფულადი ჯილდოც მისცეს. კრემლში პატივით შეხვდნენ. 1935 წელს მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს ცაკ-ის წევრად იქნა არჩეული, დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით. ყველაფერ ამან მიხეილ ჯავახიშვილს იმედი ჩაუსახა, რომ მკაცრ და ცვრაგ დროს გადაურჩებოდა, მაგრამ არსთა გამრიგეს სხვაგვარად ჰქონდა მისი ბედი გადაწყვეტილი_

1935 წელს ცაკ-ის წევრად კი აირჩიეს მწერალი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ დაიწყო მის წინააღმდეგ ლაშქრობა. 1936 წელს მიხეილის მშობლიურ სოფელ სიონში, სადაც მისი ძმა ფიდო ცხოვრობდა, „აქტივისტებმა“ დაანგრიეს ჯავახიშვილთა საგვარეულო აკლდამა და მასალა მი-

ითვისეს. შეურაცხყვეს საფლავი, სადაც დაკრძალული იყო მიხეილის დედ-მამა და და.

1937 წელს დააპატიმრეს მწერლის ძმა ფიდო. მიხეილს დიდი დღე აღარ ჰქონდა. ახლა ჯერი მასზე იყო მიმდგარი.

1937 წელს ივნისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ყრილობა. ყრილობაზე თავის სიტყვაში ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ ჯავახიშვილიც ავად მოიხსენია. ამით გამოჩნდა, რომ მიხეილის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ბერია გაბოროტებული იყო ჯავახიშვილზე, რადგან მან რამდენიმე მოღვაწესთან ერთად პროტესტი განუცხადა პირველ მდივანს იმის გამო, რომ იგი მეტეხის პლატოზე ძველთაძველი ტაძრის დანგრევას აპირებდა. ტაძარი გადარჩა, თამამი ნაბიჯი კი მწერალს არ აპატიეს. გაუხსენეს პარიტეტულ კომიტეტში მოღვაწეობა, გაუხსენეს „დამპატიჟე" და „ეკაფოს ხიზნები", გაუხსენეს ახლობელთა წრეში ნათქვამი ყოველი პოლიტიკურად „მოუზომავი" სიტყვა. აღარ უშველა მწერალს საჯარო განცხადებამ, რომლითაც წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა: „რაც დრო გადის ჩემი კრიტიკული თვალიც თანდათან იხუჭება, ვინაიდან ჩემი ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება... მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ ჩემს თაყს ადვილად დავძლევ და იმ მეშჩანურ ჭუჭყსაც ჩამოვიშორებ, რომელიც აქამდე შემრჩა"-ო.

რა „მეშჩანურ ჭუჭყზეა" ლაპარაკი, რა ჰქონდა მოსანანიებელი ამ წამებულ კაცს? გავეცნოთ იმ ანდერძს, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა თავის ქალიშვილს ჩაუწერა ალბომში და რომელსაც ჩვენი დროის ათი მცნება უწოდა:

„1) შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

2) შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, — შენი პირადი მეგობარია.

3) ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.

4) მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

5) მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

6) განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.

7) გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს

ადრე თუ გვიან უეჭველად დაჰლუპავენ.

8) სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ეჯერეჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.

9) თავმოყვარეობა შეიძინე და თავის თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადაჭარბებ. არ გაამაყდე.

10) ბოლოს და ბოლოს ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი — შრომა, მეორე შრომა და მესამე — ისევ შრომა."

ამ ზნეობრივი პრინციპებით იცხოვრა თვითონ მიხეილ ჯავახიშვილმაც, ამ ზნეობით მცხოვრები კაცი კი უზნეო საზოგადოებისათვის უცხო სხეულად აღიქმება და ისიც, როგორც „უცხო", ქვეყანას მოაშორეს.

1937 წლის 14 აგვისტოს ჯავახიშვილი მესამედ და უკვე უკანასკნელად დააპატიმრეს.

ახლა კი კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ და იმ დოკუმენტს გავეცნოთ, რაც 17 აგვისტოს „სასამართლო პროცესზე", ანუ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, იქნა წაკითხული:

„მიხეილ ჯავახიშვილი ქართველი ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების ხროვის აქტიური მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურყევი ფაქტებით იქნა დადასტურებული. მიხ.ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი, სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენილბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს".

გამომსყელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ჯავახიშვილი „იცავდა ფაშისტურ სისხლის თეორიას, წინააღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზაციისა. კულუარებში იმეორებდა ანდრე ჟიდის ცილისწამებას საბჭოთა ხალხზე"—

„ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გარიცხულ უნდა იქნეს მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღგვილი დედამიწის ზურგიდან.

დაადგინეს: მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული".

არავინ იცის, როცა ეს დადგენილება გამოჰქონდათ, იმ წუთებში მიხეილ ჯავახიშვილს ჯერ კიდევ აწამებდნენ, თუ უკვე მოკლული ჰყავდათ...

«არსენა მარაბდელი»

აწმყო წარსულში

თუ მისეულ ჯავახიშვილის ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელი“ უკეთ შეცნობა და შეგრძნება გვსურს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ რომანში აღწერილი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, არამედ ის დროც, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა.

და, აი, რატომ: XIX და XX საუკუნეების საქართველოში ქართველ მწერალს არ ჰქონია იმის ფუფუნება, რომ, ვთქვათ, ფრანგი რომანისტების დარად მასიური მკითხველის მისაზიდად და თავშესაქცევად აღეწერა ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი მძაფრი კოლიზიები და ლეგენდარულ გმირთა თავგადასავლები.

ერთი მხრივ, დაბეჩავებული, დამონებული და, მეორე მხრივ, თავისუფალი ერის შვილები საკუთარი ქვეყნის შორეულ წარსულში სხვადასხვა საზრისს ეძიებენ.

თუ ალექსანდრე დიუმა და ონორე დე ბალზაკი წარსულის ლეგენდარულ გმირთა თავგადასავლების აღწერით ერთგვარად ლიტერატურულ მოდას უხდიან ხარკს, ფათერაკებისა და მოულოდნელობების, უცნაურობებისა და პიკანტური თავგადასავლების დასურათხატებით მათი თანადროული მკითხველი საზოგადოების ცნობისმოყვარეობას აღიზიანებენ და წიგნის ბაზართან დაკავშირებულ კომერციულ მიზნებს ითვალისწინებენ, ქართველი მწერლები თავს ამგვარი ფუფუნების უფლებას ვერ აძლევენ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას — ჩვენს სინამდვილეში ისტორიული თემატიკისადმი ყურადღება უკუღმართმა თანამედროვეობამ განაპირობა.

ასე იყო XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ძირითადად იგივე საფუძველი უდევს XX საუკუნის ისტორიული ჟანრის თხზულებებსაც.

უფრო კონკრეტულად ზემოთქმული ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1) ქართველი მწერალი წარსულიდან არჩევს წინაპართა გმირულ თავგა-

დასავლებს, რასაც ზნეობრივი მაგალითის ძალა ექნება დაკნინებულ, გათითოკაცებულ, დამონებულ თანამედროვეთათვის („მოხუცს ცრემლ მოედინება, ჭაბუკი ხმალსა მისწვდება“).

2) ქართველი მწერალი იძულებულია ამოეფარის ისტორიულ თემატიკას, წარსულში მოიძიოს ისეთივე ამბები და სიუჟეტები, რაც ჩვენს თვალწინ ხდება. იძულებულია წარსულის სახელით ილაპარაკოს იმ პრობლემებსა და საფუძარზე, რომელიც თანამედროვეობას აწუხებს და ვერ გამოუთქვამს ცილკობის თვალით მზირალი, ცერბერივით მიდარაჯებული სახელმწიფო აპარატის შიშით.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა დროში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა მიხეილ ჯავახიშვილს. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „არსენა მარაბდელი“ მან 1925-1932 წლებში დაწერა, ნათელი გახდება, თუ რატომ გაუჭირდა საზი იმას, რომ „არსენა მარაბდელის“ უკეთ შეცნობა და შეგრძნება რომ შეეძლოთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ რომანში აღწერილი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, არამედ იმ დროისაც, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა-მეთქი.

ეპოქა, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა თავის რომანში აღწერა, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, არსებითად იგივე მოვლენებით ხასიათდება, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიაში. წერილში „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, მართალია, მწერალი აცხადებს: „ჩვენი ისტორია ჯერ სისტემატურად არ არის დაწერილი, ხოლო მე-19 საუკუნის ისტორია სულაც არ დაწერილა. ამიტომ იძულებული გავხდი, მე თვითონ შემესრულებინა ჩემთვის ეს უმადური შრომა. ვსწავლობდი კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრაციულ წყობილებას, ბატონყმობას, ეთნოგრაფიას, ხალხურ პოეზიას, ლექსიკას, გრამატიკას, ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, მოქმედ პირთა ბიოგრაფიას, გენეალოგიას, იმ ეპოქის საერთო სტილს და ამგვარ მსხვილმანსა და წვრილმანსაც. რომანისტს ათასი რამე სჭირდება და მეც მჭირდებოდა ზოგიერთი ბოტანიკური, ზოოლოგიური, ჩაცმა-დახურვისა და ამგვარი ცნობების მოგროვება. ამისთვის საჭირო იყო მრავალი დაბეჭდილი მასალის წაკითხვის გარდა, მუზეუმებისა და ხელნაწერების გაჩხრეკა, ზოგიერთ სოფელში მისვლა, კორესპონდენციების შოვნა და ზეპირგადმოცემათა მოგროვება“.

მაგრამ ამ განცხადებამ არ უნდა დაგვაბნიოს. ისტორიული თემატიკისადმი ამდაგვარი დამოკიდებულება ყოველი პროფესიონალი მწერლის მოვალეობაა. ეს განაცხადი, უბრალოდ, მიხეილ ჯავახიშვილის პატიოსან დამოკიდებულებაზე მიგვითითებს საკვლევი მასალის მიმართ. მთავარი სხვაა, XIX

საუკუნის I ნახევრის საქართველოს კატაკლიზმები და ბედუკუღმართობანი მწერალს მტვერწაყრილი საარქივო მასალების კითხვითა და სამუზეუმო მასალების მონახულებით არ განუცდია. მისთვის აღნიშნული ეპოქა ისედაც მტკივნეულად ახლობელი იყო, რადგან იგი ზუსტად ისეთივე ეპოქის წვენში იხარშებოდა, როგორშიც მისი ისტორიული რომანის გმირები.

თვალი გავადევნოთ „არსენა მარაბდელში“ აღწერილ ამბებსა და XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე მოვლენებს.

რომანში ასახულია ეპოქის ძირითადი ნიშნები:

1. საქართველო ანექსირებულია რუსეთის მიერ.

2. უცხო ხელისუფალნი თავს ახვევენ ადგილობრივ მკვიდრთ უცხო კანონებსა და ცხოვრების უცხო წესს.

3. დამპყრობელი, რუსული ორიენტაციის მქონე ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილზე დაყრდნობით, ახორციელებს თავის იმპერიალისტურ ზრახვებს.

4. ახალი ხელისუფლების ადგილობრივი მსახურნი ახალი მეფისა და ახალი „სამშობლოსადმი“ ერთგულების დასამტკიცებლად უსასტიკესად ეპყრობიან საკუთარ თავისტომთ.

5. დამპყრობელი სიტყვით ერთმორწმუნე ქართველი მოსახლეობის დაცვასა და მშვიდობის დამყარებას ქადაგებს, მკვიდრი მოსახლეობის მხსნელისა და გადამრჩენის როლს იჩემებს, საქმით კი თავებედს აწყევლინებს ერთმორწმუნე მკვიდრ მოსახლეობას.

6. დამპყრობლის ჭოფილ მსახურთა ნაწილი ქართველი ერის ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად შეთქმულებას აწყობს.

7. ქართველი გლეხკაცობა გმინავს უცხო მომხდურთა და ადგილობრივ რენეგატთა უღელქვეშ და იძულებულია მოსწყდეს ოჯახს, მიწას, გუთნისდედობას. იძულებულია იარაღს მოჰკიდოს ხელი და ტყეს შეეფაროს. არსენა ქმნის „ტყის ძმების“ რაზმს.

8. ადგილობრივ მკვიდრთა დაუმორჩილებლობა და წინააღმდეგობა ხელისუფალთა მხრიდან იწვევს რეპრესიებს. ციხეები გადატენილია პატიმრებით. სოფლებში ჩამდგარია საეგზეკუციო რუსული ჯარები. ამ ჯარებს მხარში უდგას ქართული მილიცია.

აღმართულია სახრჩობელების ტყეები. არ არსებობს კანონი. სამხედრო პირს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, თავისი ხუშტურის მიხედვით გადაწყვიტოს ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

9. იჭერენ, აპატიმრებენ, ხოცავენ არა მარტო აჯანყებულთ, არამედ მათდამი თანაგრძნობაში ეჭვმიტანილ პირთ.

10. დაგეშილი ეძებენ საქართველოდან გადასხვეწილი ალექსანდრე ბა-

ტონიშვილის მომხრეებსა და ერთგულ კაცებს.

11. ახალი ხელისუფლებისადმი საყოველთაო შიშის დანერგვის მიზნით აწიოკებენ და არბევენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს.

თანმიმდევრულად, პუნქტობრივად, ზუსტად ასევე შეიძლება დახასიათდეს ის ეპოქა, როდესაც „არსენა მარაბდელი“ იწერებოდა. მართალია, გამეორება გამოგვდის, მაგრამ მეტი მკაფიოობისათვის დავახასიათოთ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველოც:

1) 1921 წლიდან საქართველო ოკუპირებულია საბჭოთა რუსეთის მიერ.

2) უცხო ხელისუფალნი თავს ახვევენ ადგილობრივ მკვიდრთ უცხო კანონებსა და ცხოვრების უცხო წესს (გაუქმებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, ისე როგორც მე-19 საუკუნეში ძველი საქართველოს სახელმწიფო, ზნეობრივი და ადათობრივი სამართალი).

3) ოკუპანტები თავის ზრახვებს ახორციელებენ ადგილობრივი რენეგატების საშუალებით.

4) ახალი ხელისუფლების ადგილობრივი მსახურნი (საქართველოს ბოლშევიკები) ცენტრისადმი ერთგულების დასამტკიცებლად უსასტიკესად ეპყრობიან საკუთარ თვისტომთ.

5) ოკუპანტები სიტყვით გაიძახიან, ჩვენ მოძმე ქართველი ერის მენშევიკი ავანტიურისტებისაგან მხსნელი და გადამრჩენელნი ვართო, საქმით კი თავებდს აწყევლინებენ თავიანთი სამწყსოს მოსახლეობას.

6) ყოფილი სოციალ-დემოკრატები (ნაწილი) თავიანთ ყოფილ თანამოაზრეებს განუდგებიან და საქართველოს ინტერესების დასაცავად იბრძვიან.

7) ქართველი ხალხი გმინავს უცხო მომხდურთა და ადგილობრივ რენეგატთა უღელქვეშ და იძულებულია იარაღს მოჰკიდოს ხელი, ტყეში გავიდეს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქმნის „ტყის ძმების“ რაზმს — „შეფიცულთა საძმოს“ — და 1924 წლის აგვისტოში აწყობს აჯანყებას.

8) ადგილობრივ მკვიდრთა დაუმორჩილებლობა და წინააღმდეგობა ხელისუფალთა მხრიდან იწვევს განუწყვეტელ, პერმანენტულ რეპრესიებს. ციხეები გატენილია პატიმრებით. დემობილიზებულია ქართული არმია. ყველგან ჩამდგარია რუსული ჯარები, ამ ჯარებს მხარში უდგას ქართული მილიცია.

დაუცველია ადამიანის უფლებები. მოქმედებს რევოლუციური საგანგებო სამხედრო ტრიბუნალის კანონები, ანუ გაუსამართლებლად ადგილზე დახვრეტის წესი.

9) იჭერენ, აპატიმრებენ, ხოცავენ არა მარტო აჯანყებულთ, არამედ მათდამი თანაგრძნობაში ეჭვმიტანილ პირთ.

10) დაგეშილი ეძებენ საქართველოდან გადახვეწილი მენშევიკური მთავრობის მომხრეებს.

11) ახალი ხელისუფლებისადმი საყოველთაო შიშის დანერგვის მიზნით აწიოკებენ და არბევენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს.

დაბოლოს, მიხეილ ჯავახიშვილი ხომ თავად იყო იმ პარიტეტული კომიტეტის წევრი, რომელსაც აჯანყება უნდა მოემზადებინა. მწერალმა ამის გამო ციხე იწვნია და სიკვდილს, როგორც იტყვიან, ბეწვზე გადაურჩა.

ერთი სიტყვით, აღნიშნული ორი ეპოქა დიდად ჰგავს ერთურთს. აქედან გამომდინარე, თავისი დროის სატკივარ-საფიქრალის მხატვრულ სიტყვაში გაცხადებას მწერალი, როგორც ჩანს, ისტორიულ თემატიკაზე ამოფარებით ეცადა. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მწერლის მიერ დახატული სამყარო უაღრესად ცოცხლად, შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი. ყველაფერი, რაც შემოქმედმა „არსენა მარაბდელში“ აღწერა — ეგზეკუციები, რბევა, აწიოკება, ღალატი, ქედუღრეკელობა — მას გულით აქვს განცდილი და არა მტვერწაყრილი საარქივო ფურცლებიდან ამოკითხული და გონებით წარმოდგენილი...

ცხადია, თვით მიხეილს ყოველივე ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. პირიქით, მოსალოდნელ ოპონენტთა დაბნევისა და გაცურების მიზნით, ცდილობს აქცენტი გადაიტანოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლეხკაცთა სოციალური მდგომარეობის ასახვაზე. ბატონისა და ყმის ურთიერთობის საკითხი ის თემა იყო, რომელსაც მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული მახარაძეებისა და ორჯონიკიძეების დროში. სწორედ ამიტომ წამოსწია წინა პლანზე ბატონყმური ურთიერთობის ასახვა მიხეილ ჯავახიშვილმა.

უფრო მეტიც, „არსენა მარაბდელის“ მიხედვით საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სოციალური და ეროვნული თავისუფლების გზაზე უპირველესად გადასაწყვეტი საკითხი კლასობრივი უთანასწორობის აღმოფხვრა იყოს და არა ეროვნული ჩაგვრისა. რუსეთის წინააღმდეგ შეთქმული თავადაზნაურები შალვა ბარათაშვილისა და ფილადელფოს კიკნაძის პირით არსენას მომავალ აჯანყებაში გლეხკაცთა გამოყვანას, დახმარებას სთხოვენ. მარაბდელი კი მათ ეკითხება — ბატონყმობაზე რას იტყვით?

არსენასთვის ჯერ ბატონყმობის საკითხის მოგვარებაა მთავარი, ჯერ სოციალური თავისუფლებაა მიზანი, შემდეგ კი ეროვნულ ჩაგვრასაც ეშველება...

მიხეილ ჯავახიშვილი ერთგან წერს: „არსენა მარაბდელს“ ამ ათითხუთმეტი წლის წინ სხვაგვარად დავწერდი. ამ „სხვაგვარად“ დაწერაში,

პირველ ყოველისა, ალბათ, იმას გულისხმობდა მწერალი, რომ ყველა თემას ისე გააშუქებდა, როგორც თავად სწამდა. რწმენით კი, მიხეილს, როგორც ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრეს, არ შეიძლება ის ერწმუნა, რაც თავის რომანში უწერია — თითქოსდა ვეღარ კლასობრივი საკითხის გადაწყვეტაა უმთავრესი, შემდეგ კი ეროვნული პრობლემისა.

ილია პირიქით ამბობდა, ილიას აზრს მიხეილიც იზიარებდა და თუ რომანში ვაჟა-შვილი თავის რწმენას ღალატობს, ეს აუცილებელი, მისატ-ყვებელი მწერლური ეშმაკობით იყო გამოწვეული, რადგან ახალი დროის ხელისუფალნი სწორედ კლასთა ბრძოლასა და სოციალური საკითხის პირვე-ლადობას ქადაგებდნენ.

ერთი სიტყვით, ვაჟა-შვილმა, ჩვენთვის ცნობილი მძიმე კონიუნქტურის გამო, ზოგი რამ დასთმო, ბატონყმობის საკითხი წინა პლანზე წამოსწია, ამ იძულებითი ხერხით კი მისთვის უმთავრესი მტკივნეული საკითხებიც „შა-პარა" რომანში.

სამედნიეროდ, სწორედ ეს „შეპარული", ვითომდა მეორეხარისხოვანი სა-კითხები, თავდაპირველად სალიტერატურო კრიტიკის ყურადღების გარეშე დარ-ჩა. „არსენა მარაბდელი", „დამპატიჟება" და „ვაჟკაცის ხიზნებისაგან" განსხვავე-ბით, მწერალს შემოქმედებით წარმატებად ჩაუთვალეს და იდეურად მის „გამოსწორებას" მიესალმნენ. ის ფაქტი, რომ რომანის ძირითადი პრობლემა კრიტიკოსთა მიერ დაყვანილ იქნა მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის ასახვამდე, მიხეილ ვაჟა-შვილისათვის იმდროინდელ ვითარებაში მართლაც რომ „სამედ-ნიერო" გაუგებრობას წარმოადგენდა. რომანი ოთხი წლის განმავლობაში სამჯერ გამოიცა და ხელისუფლებამაც „გამოსწორებულ" მწერალს ცოტა უფრო შემწყნარებლურად გადმოხედა. მაგრამ ეს „სამედნიერო" გაუგებრობა ვაჟა-შვილისადმი ეჭვს სრულად ვერ აქარწყლებდა. 1931 წელს პროლე-ტარულმწერალთა ასოციაციის მე-6 პლენუმზე ბენიტო ბუაჩიძეს, პროლეტ მწერალთა ნაფიც კრიტიკოსს, მოხსენებაში უთქვამს: „ხაზგასმით უნდა აღინ-იშნოს, რომ მარტო წარსულის მასალის დამუშავებით დღეს მოკავშირეთ გახდომა ძნელი არ არის, თუ ვაჟა-შვილი ფიქრობს, რომ „არსენა მარაბ-დელით" ასწორებს თავის ძველ გზებს და ხდება მოკავშირე მწერლად, ის ძალიან სცდება. შეიძლება ვაჟა-შვილისთვის ეს დიდი ნაბიჯი იყოს წინ, მაგრამ არაფერი დიდი რევოლუციონერობა არ არის ბატონყმობის გაკიცხვით დღეს თანამგზავრი მწერლის სახელის დამკვიდრება". ამ სიტყვებიდანაც ირკვე-ვა, რომ მაშინდელ სალიტერატურო კრიტიკას „არსენა მარაბდელში" მხ-ოლოდ ბატონყმობის გაკიცხვა დაუნახავს, ეს მწერალს დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაუთვალეს, მაგრამ დიდ რევოლუციონერობად — ვერა...

ასეთი მოწოდებების ფონზე, როცა შემოქმედისაგან „დიდ რევოლუციონერობას“ ითხოვდნენ, გასაგები უნდა იყოს საუკეთესო ქართველ მწერალთა მდგომარეობა, რომელთაც იძულებით უწევდათ ხარკის გაღება და ზოგიერთი საკითხის ისე გაშუქება, როგორც მოითხოვდნენ...

სამწუხაროდ, ის „საბედნიერო“ გაუგებრობა, რომელიც რომანთან დაკავშირებით 30-იან წლებში სუფევდა, დღემდე გრძელდება. მკვლევართა დიდი ნაწილის ყურადღება „არსენა მარაბდელის“ ანალიზის დროს გადატანილია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად ასახა მიხეილ ჯავახიშვილმა ფეოდალურ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობა და გლეხკაცთა ბრძოლა მებატონეთა წინააღმდეგ.

არადა, ამ სქელტანიანი რომანის წერის დროს „ბატონყმობის გაკიცხვა“ მწერლის ძირითადი ამოცანა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ბატონყმობა კარგა ხნის გადავარდნილი იყო და უკვე არარსებულ სატკივარზე წერა, ცხადია, ღია კარის მტვრევა იქნებოდა.

საქმე იმაშია, რომ ბატონყმური ურთიერთობის ასახვა მხოლოდ ფონია იმ ძირითად საკითხთა გამოსაკვეთად, რომელთა შესახებაც, საკითხის დასმის წესით, ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, უფრო დეტალურად კი რომანში აღწერილი მხატვრული სამყაროს ანალიზისას ვისაუბრებთ.

ზნეობრივი გმირი

„არსენა მარაბდელის“ მთავარი პერსონაჟი, როგორც ამ ნაწარმოების სათაურიდანვე ჩანს, არის ცნობილი სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი.

ამ პერსონაჟის ხასიათზე მსჯელობა დიდი ამოცანის გადაწყვეტასთან არ არის დაკავშირებული. მიხეილ ჯავახიშვილს წერილში „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“ თავისი გმირის შესახებ თითქმის ყველაფერი აქვს ნათქვამი. „1925 წლის დასაწყისს მე და ჩემს მეგობრებს საუბარი გვქონდა ყაჩაღებზე — გავარდნილებზე. — წერდა მწერალი. — ბევრი რამ ვუამბეთ ერთმანეთს. ჩემი ყურადღება ერთმა რამემ დაიპყრო: ჩვენ ტყე-ღრეში ბევრ გავარდნილს უცლია და ზოგ მათგანს არსენაზე უფრო დიდი საქმენი საგმირონი ჩაუდენია, მტერიც მრავლად დაუხოციათ, უფრო მეტიც დაურბევიათ, მაგრამ ოძელაშვილის გარდა თითქმის ყველას სახელი მოკვდა, მინელდა. არსენა კი უწინდებურად ღვიოდა და ცოცხლობდა.

ნათქვამია, ჯერ არც ერთ მეფეს პოეტისთვის უკვდავება არ მიუნიჭებია, პოეტებს კი ბევრი გვირგვინოსანი და უგვირგვინოც უკვდავუყოფიათო. ეს

მართალია, მაგრამ დაუჯერებელია, რომ მარტო „არსენას ლექსს“ შესძლებდა ამოდენა ხანს ეცოცხლებინა „მარაბდელი ბიჭი“. ცხადია, რომ არსენამ დიდი ზნეობრივი ძალის წყალობით მოიპოვა სახელი. მას სისხლით არ მოუპოვებია ვაჟკაცობა... სხვა მის მაგიერ ფარსადან გოდბისხეველს კბილებით დაგლეჯდა, მარაბდელმა კი ზეკაცური სულგრძელობა გამოიჩინა და უპატიებელი დანაშაული აპატია. ვაჟკაცობის კულტი და ერთგვარი სულიერი კეთილშობილება — აი, რამ მომცა ოძელაშვილის ხასიათის გასაღები.

მეორე მხრივ, არსენას დროშაზე პრიმიტიული და უძლიერესი სოციალური სიმართლე ეწერა — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა!“ ამ ორ ბურჯზე წარმოიშვა და დამკვიდრდა ოძელაშვილის უკვდავება და ამანვე გამოჰკვეთა მისი ტიპიც“.

ამ სიტყვებით ყველაფერია თქმული. მწერალს სრულყოფილი, ზნეობრივი გმირის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული. სწორედ ასეთად წარმოგვიდგება არსენა რომანის მიხედვით. შესაბამისი მაგალითების მოტანა ალბათ არ არის საჭირო, რადგან ასეთი გზა რომ ავირჩიოთ, თითქმის მთელი რომანის გადმოწერა მოგვიწევს. ზოგადად კი არსენა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ამაღლებული, ღვთაებრივი მადლით ცხებული პიროვნება, სპეტაკი სულით და ხორცით, მაღალი, ახოვანი, ლამაზი, ძლიერი, მოხერხებული, გონიერი, უშიშარი, თავმოყვარე, კეთილშობილი, მიმტევებელი, რაინდული.

ერთი სიტყვით, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მთავარი გმირი ლეგენდარული პიროვნებაა, რომელიც კრიზისულ სიტუაციებშიც ინარჩუნებს სულის სიდიადესა და კეთილშობილებას. ამასთან უნდა ითქვას, რომ ასეთი ტიპის დახატვა მწერლისათვის თვითმიზნური არ არის. რას ვგულისხმობ ამ ფრაზაში? არსენა ისტორიული პიროვნებაა და მის შესახებ ილიას, ალექსანდრე ყაზბეგისა და განსაკუთრებით ხალხური „არსენას ლექსის“ მეხსიერებით, ქართველ მკითხველს მისი ჯავახიშვილის რომანის შექმნამდე ჰქონდა წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, მიხეილ ჯავახიშვილის წინაშე, არსენას სახით, არ შეიძლება მდგარიყო მხოლოდ ლეგენდარული გმირის, გნებავთ, ზნეობრივი გმირის დახატვის პრობლემა, რადგან ეს გმირი ხალხის სხვენაში მზამზარეული სახით არსებობდა.

მაშ, რატომ მიაქცია მწერალმა სახალხო გმირს ესოდენ დიდი ყურადღება, რატომ განიზრახა, იგი თავისი მომავალი რომანის მთავარ გმირად ექცია? თითქოს ეს კითხვა ზედმეტიც უნდა ჩანდეს, რადგან ჯავახიშვილს, როგორც ზემოთ ვნახეთ, განმარტებული აქვს — არსენა, ერთი მხრივ, ყაჩაღის ცხოვრებით ცხოვრობდა, ნადირივით ტყეს იყო შეფარებული („ერთი გაყარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა“), მეორე მხრივ, კი იგი უსისხლო

გმირია ,,კაცის ცოდვა არ აძევსა". ასეთი პიროვნების ცხოვრება მწერლობისათვის მიმზიდველი თემაა და აკი იქცა კიდეც ოძელაშვილი ლიტერატურულ გმირად.

ამ სქელტანიანი მხატვრული ტილოს გადაკითხვა ერთ აზრს გამოჰკვეთს: მისთვის ჯვაჯანიშვილისთვის მთავარია არა არსენას სახის კიდევ ერთხელ გაცოცხლება და თუნდაც უფრო მონუმენტურად მისი პორტრეტის შექმნა, არამედ სულ სხვა რამ.

მწერალი ,,არსენა მარაბდელში" იღებს ზნეობრივი გმირის სახეს იმდენად, რამდენადაც მას სურს გვიჩვენოს, თუ როგორია ზნეობრივი გმირის ბედი უზნეო ქვეყანაში, როგორია უსისხლოდ სახელმოპოვებული ვაჟკაცის ბედი სისხლით მოთხვრილ, მოძალადე და უკანონო სახელმწიფოში.

ამ ნაწარმოებში მწერლისთვის მთავარია არა გმირის ხასიათის ჩამოყალიბებისა და თანდათანობით ჩვენების პროცესი, რაც იქიდან ჩანს, რომ არსენას სრულყოფილ პორტრეტს ნაწარმოების პირველსავე გვერდებზე ვეცნობით, არამედ ის, თუ უკვე ჩამოყალიბებულ, ძლიერსა და ზნემაღალ პიროვნებას თანდათანობით რა სასტიკი გამოცდების წინაშე აყენებს ცხოვრება. ასე კი სწორედ იმიტომ ხდება, რომ გმირი ვერ დაემსგავსა სხვებს, ამყოლს ვერ აჰყვა და დამყოლს ვერ დაჰყვა. უსამართლობას ვერ გაუყუჩდა. მოყვასის ბედისადმი გულგრილი ვერ დარჩა.

ერთი სიტყვით, ქვეყანაში, სადაც ადამიანი პირუტყვზე მეტად არ ფასობს, სიყვარული, კეთილშობილება, თავმოყვარეობა, რაინდობა და თავისუფლებისადმი ლტოლვა — ეს ჭეშმარიტად ადამიანური თვისებები — ადამიანისავე ტრაგედიის საფუძვლად ქცეულა.

ვერ შეელია თავის ლაღ ბუნებას, ადამიანურ თვისებებს ოძელაშვილი და, ყოველდღე სულში რომ არ ეფურთხებინათ მისთვის გადაგვარებულ ზაალ ბარათაშვილებსა და გვარიანად გაცხოველებულ არლოველებს, მოსტაცა ბატონს მოახლე, თავისი ნანდაური და სხვა ყმებთან ერთად ტყეში გაიხიზნა.

მარაბდელს პირველ ხანებში ფორტუნა თითქოს სწყალობდა. ტყის საძმო ერთ მუშტად შეკრა. თვითონ მოუსელთებელია, მდევარს კი იქით აწყევლინებს სვე-ბედს. ,,ტყის ძმები" თავდაპირველად ბელადს სრულ მორჩილებას უცხადებენ, მაგრამ თანდათანობით აბუზღუნდნენ. თავისუფლება მათ ყველა წადილის ასრულების უფლების სინონიმად მიაჩნდათ, მარაბდელი კი უკრძალავს კაცთაკვლას, თვითნებურად ოჯახების დარბევას, ძარცვას, ქურდობას, სასტიკ შურისძიებას. მაშ, რანაირი ყაჩაღია გორდა მარაბდელი? ტყის ძმებისთვის ეს კაცი გამოცანად იქცა.

შარაგზის ყაჩაღი დალი ჰასანი ოძელაშვილისაგან შეიტყობს, რომ მას კაცი არ მოუკლავს.

„— არ მოგიკლავს? — გაშრა გაოცებით დალი ჰასანი, — ჯერ არ მოგიკლავს? მაშ... როგორ გაიკეთე ეგ სახელი?

უსისხლო სახელი ბორჩალოელი ყაჩაღისთვის მართლა გაუგებარი რამ იყო“.

არსენა ოძელაშვილი თვით განსწავლული და ყოველისმნახველი ადამიანებისთვისაც გამოცანადაა ქცეული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე თავადებს ეკითხება:

— მთელი ქვეყანა არსენაზე ლაპარაკობს და ვერ გამიგია, ვინ არის, რა კაცია და რამ მოუპოვა ამოდენა სახელი?

პასუხი ყოველ მხრიდან მოაყარეს:

— ყოჩაღი ბიჭია.

— ნამდვილი ვაჟკაცია.

— უძლეველი მოჭიდავეა.

— ძალიან ლამაზია...

— მარდია და თამამი.

— საქართველო სავსეა ყოჩაღი ბიჭებით, მოჭიდავეებით და ლამაზებით, მაგრამ მათი სახელი არსენას სახელს ოდნავადაც კი ვერ დაეტოლება. — ამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძე და შემდეგ დასძენს. — არსენა მარტო ყოჩაღი არ გახლავთ, გლეხებს ლამაზი თვალებით ვერ მოხიბლავდა და ვერც ჭიდაობით ახდევინებდა პარაკლისებს. რახან ხევი ძლიერ ხმაურობს, სჩანს შიგ დიდი წყალიც ყოფილაო.

ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით რომ უცხო რამ მადლით არის ცხებული ოძელაშვილი, ამას ყველა გრძნობს. რიდი, სიყვარული და პატივისცემაც აქვთ მისი, მაგრამ როცა არსენა სხვათა ცხოვრების წესის შეცვლასაც მოინდომებს, როცა სხვებსაც ისეთსავე საქციელს მოსთხოვს, რასაც თავად სჩადის, ისეთივე ზნეობისკენ უბიძგებს, როგორი ზნეობაც თავად გააჩნია, მაშინ კი აიმრიზებიან, მისი გაგება უკვე უჭირთ...

რა შედეგი გამოიღო არსენას სიკეთემ?

„ვისაც ის აქამდე მიეკარა ან ხელი გამოიღო, თითქო ჭირი გადასდოო, ყველას იჭერდნენ, ღუპავდნენ, სწვავდნენ და აციმბირებდნენ“.

„ტყის ძმები“, რომელნიც უსამართლობას აუჯანყა ოძელაშვილმა, ძალა იგრძნეს თუ არა, ბოროტებაში თავიანთ ბატონებს გადააჭარბეს. უსამართლობას გამოქცეულნი, თვით იქცნენ ახალ-ახალ უსამართლობათა ჩამდენებად.

ოსი მეშთა, ენაგადმოგდებული რომ მისდევდა ამხედრებულ ბატონს, რათა საჭიროების შემთხვევაში მისთვის ცხენი ჩამოერთმია და ესიამოვნებინა, ახლა მგზავრებს უსაფრდება და დაჰკივის: „მე არსენა ხარ და ვკიბეების გადმოგიბრუნე, თორე ტყვია მოხვეს!“ უკეთ არც კარპიჩა იქცევა, არც დალი ჰასანი, არც ლაცაბიძე და არც სხვა ვინმე „ტყის ძმათაგანი“.

ხალხი, ვის გადასარჩენადაც მარაბდელი იბრძვის, ზაალ ბარათაშვილს სახლ-კარს გადაუწვავს, შურისძიებით ანთებულნი ზაალის ვჟალაბს ცეცხლში გამოხრუკვას დაუპირებენ. შემდეგ ბატონის ქონებას შეესევიან. აი, სწორედ ეს დეტალია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი — „ზაალის ქონებას რამდენიმე თავიკაცისა და დედაბერის გარდა მთელი მარაბდა მოედო. ზოგი ბეღელს სცლიდა, ზოგი საკუჭნაოს ეცა. ზოგიც მარანს დაეტაკა და ზოგიც ოთახებს შეესია. დოქებით, ტომრებით, ქილებით, კოკებით და კასრებით მოათრევდნენ ღვინოს, ხორბალს, ერბოს, ყველსა და ყოველგვარ სარჩოს. აივნიდან სირ-ბილით ჩამოაქვთ ხალიჩები და იარაღი, ფარდები და სუფრები, ჭურჭელი და ბოხჩები და თანაც მოტაცებულს ხელმეორედ სტაცებენ ერთმანეთს და გაჰკივიან: (აი, ეს არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, — რას გაჰკივიან! ნ.გ.).

— ჩემია! ხელი გაუშვი.

— მე უფრო მომიხდება!

— ჩემზედაც უპრიანია, მეც შემერგება!

და ნასყიდამ პელოს სამოყარი გამოჰგლიჯა, მართამ თეკლეს ანაფორა მოსტაცა“—

ასე წეწეს და გლიჯეს ერთმანეთი.

რით არის ეს ხალხი ზაალებზე და არლოვებზე, დავით ბარათაშვილსა და გიორგი კუჭატნელზე უკეთესი? როგორც კი საშუალება მიეცათ, როგორც კი ძალა იგრძნეს გუშინდელმა საწყალმა დაჩიავებულმა გლეხებმა, გუშინ-დელმა „კეთილმა“ პელომ და ნასყიდამ, იგივე ჩაიდინეს, რისთვისაც თავიანთ ბატონებს წყევლიდნენ—

ეს არის მარაბდელის წრე. ამ ხალხის გასანთავისუფლებლად ააფრიალა დროშა. და, აი, შედეგიც.

რა უნდა ჰქნას ოძელაშვილმა, რა გზას მიმართოს, ხელისუფალთაგან შერისხული ვის შეიძლება შეეკედლოს იგი? „თუ შენი ამხანაგი კუზიანია, შენც მოიკუზე, თორემ ეწყინება, — ვკითხულობთ რომანში, — ასე უნდა მოქცეულიყო მარაბდელი, მაგრამ მას საამისო ბიწი არ შესწევდა. მისი სული არასოდეს არ ჩადიოდა ბნელ ჯურღმულში და მუდამ იმას ლამობდა, რომ იქ ჩავარდნილი მოძმე ზევით მწვერვალზე ამოეყვანა. მძარცველებს კი ისევ წყევდიადი ერჩიენათ“.

ვერაფერიც ვერ შეცვალა მარაბდელმა. ერთი „ორმოდან“ ამოყვანილი კაცი მეორე „ორმოსკენ“ გარბოდა. სასაცილო გახდა მისი რწმენა, მისი სწორედება. აკი მოიწერა კიდეც ნაქართველარმა, საფრანგეთში გადიდკაცებულმა როსტომმა, არსენას თხოვნასთან დაკავშირებით — ჩამოდი და ქართველ გლეხკაცებს გვიწინამძღვრეო—რუსეთის იმპერიაში საგიჟეთებს არ აშენებთო?

დიმის ველზე გლეხებმაც ზურგი შეაქციეს ოძელაშვილს და სიცილ-ხითხითით გაშორდნენ ამ უცნაურ კაცს.

„მე ან ნაადრევად დაებადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანია“, — გმინავს ბორდა მარაბდელი და რაკი სხვებს ვერ წაბაძა, რაკი არც არავისი ბატონობა ინდომა და არც ვინმეს მონობა, სრულიად მარტო აღმოჩნდა. მონებისაგან სულიერად გარიყული, ამა სოფლის ძლიერთაგან კი ნადირსავით ტყეში შეგდებული.

ზნეობის ადგილი უზნეო საზოგადოებაში არ არის. არც არსენას ადგილი აღმოჩნდა ამქვეყნად. როცა ეს იგრძნო, მისი ქვეყნად ყოფნის მისიაც დასრულდა.

უსისხლო გმირმა სისხლით შეიღება ხელი. ჯერ ჯაშუში გიგოლა მოჰკლა, შემდეგ კი—მაიორი არლოვი. აქამდე რამდენად იყო არსენა უსისხლო გმირი? მას ხომ ორგზის მოუხდა შეტაკებაში მონაწილეობის მიღება, ჯერ ბირთვისის ციხესთან, ხეობაში, შემდეგ კი ახალციხის ომში და თუ ამ ბრძოლებში მტერს არ კლავდა იგი, მაშინ ხომ უსისხლო გმირის კომიკური პორტრეტი დაიხატება? — ალბათ, გაჩნდება ასეთი კითხვა. ამ კითხვის პასუხად რუკაზე გაბაშვილის მოგონებებიდან ერთი ამბავი მინდა გაგახსენოთ: ახალგაზრდა გაბაშვილისთვის რევოლუციონერებს დაუვალებიათ, ჩვენს პარტიაში რომ მიგიღოთ, წინასწარ, ჩვენი დავალებით, ერთი-ორი ტერორისტული აქტი უნდა ჩაიდინოო. გაოგნებულ გაბაშვილს უთქვამს: ასე მიპარვით, ჩასაფრებით კაცს ვერ მოვკლავ, მკვლელი ვერ გავხდები, ბრძოლაში კი წამიყვანეთ და მიმსახურეთო. ამ სიუჟეტით, ვგონებ, ყველაფერია ნათქვამი. ქართველ კაცში ბრძოლის ველზე გამოსული მეომარი, მტრის წინააღმდეგ მებრძოლი სრულიადაც არ აღძრავს მკვლელის ასოციაციას. ამდენად, არსენა, როგორც „ყაჩაღი“, უსისხლო გმირი იყო. კაცის ცოდვა მას არ ჰქონდა. და, აი, მან მოჰკლა ჯაშუში გიგოლა. „ჯერ კაცი არ მომიკლავს და რაღა ეს წუნკალი შემომაკვდა? სამარცხვინო საქმე მომივიდა და უნდა დავიმალო, თორემ იმ ლირწი კაცის მოკვლას არავინ მომიწონებს. იმაზედაც მეტყვიან კაცი მოჰკლაო?! ფუჰ, გაუწყრეს ჩემი გამჩენი“.

როცა გიგოლას არლოვიც მიაყოლა არსენამ, თითქოს იგრძნო, რომ წუთისოფლის გამოცდას მან ვერ გაუძლო. ძველი სენტენციაა — ის, რაც

ეპატიება მარსს, არ მიეტევება იუპიტერს. არსენა იდეალური გმირია, რჩეულია, ღვთის კაცია. მისი ბედი ჰგავს ვაჟა-ფშაველას მინდიას ყისმათს. მინდია იმ „დანაშაულს“ ჩადის, რაც მის თანამოძმეთათვის ჩვეულებრივი საქციელია (ხის მოჭრა, ნადირის მოკვლა), მაგრამ რაც მიეტევება რიგით ადამიანებს, არ ეპატია მინდიას, როგორც ღვთის რჩეულს და დაჰკარგა მადლი ღვთიური.

გიგოლასა და არლოვისთანა წუპაკების მოკვლა, არსენას თანამოძმეებისთვის ალბათ ბუნებრივი საქციელიც იქნებოდა, მაგრამ რაც მიეტევება მარაბდის სხვა მკვიდრთ, ის არ ეპატია უსისხლო გმირს, არსენა ოძელაშვილს, და მანაც დაკარგა უმთავრესი, რაც შეუვალსა და დაუმარცხებელს ხდიდა — ქრისტიანული იდეალისადმი ერთგულება.

ზნეობრივი გმირი უზნეო საზოგადოებაში გაბოროტდა. გაბოროტდა და დამარცხდა. ხსნის გზას იგი უკვე მხოლოდ სიკვდილში ხედავს, რადგან ცოცხალთა შორის ზნეობრივი გმირის ადგილი არ ყოფილა. „ვნახე წუხელი სიზმარში, სისხლში ვიღებავდი წვერსა, ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა. თუ ძალად არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა“. ეს იყო თავისუფალი კაცის უკანასკნელი თავისუფალი არჩევანი.

ბედმა მდევარმაც არ დააგვიანა. დიახ, გიორგი კუჭატნელი ბედი მდევრის სიმბოლოა რომანში, აკი ფიქრობს კიდეც ოძელაშვილი კუჭატნელზე: „იქნებ ამ ძალის ტყავში ჩემი ავი ბედი მდევარი შემძვრალა“. არსენასა და კუჭატნელის შეჭიდებით იწყება რომანი. შემდეგ მთელი ნაწარმოების მანძილზე ავი ძაღლივით დასდევს კუჭატნელი ოძელაშვილს. ბოლოს კი მისი ხელით განიგმირება გორდა მარაბდელი.

რაკი კუჭატნელი ავი ბედის, ბოროტების სიმბოლოა, არსენა კი — სიკეთისა, უნდა გამოვიტანოთ ერთობ პესიმისტური დასკვნა:

უზნეო საზოგადოების წესია — კეთილსა სძლიოს ბოროტმან და არა პირიქით.

„ურვა ქვეყანასა ზედა“

„ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც გმირები ჰყავს“, ნათქვამს უფრო ჭკვიანური და ლოგიკური დებულება უპირისპირდება — „უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები სჭირდება“. მართლაც, თავისუფალ, უბატონო, ზნეობრივ საზოგადოებაში გმირებისა თუ ბელადების საჭიროების პრობლემა არ დგას.

არსენა, მშრომელი გლეხი, იმ ვითარებამ გააგდო ტყეში, რომელიც

იმდროინდელ საქართველოში სუფევდა.

„ურვა ქვეყანასა ზედა“ — ამ სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს რომანში აღწერილი ეპოქა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო.

ქვეყნის ურვა და კირთება მოსახლეობის ორმაგ უბედურებაშია გამოხატული — სოციალურ ჩაგვრას თან ერთვის ეროვნული ტანჯვა.

„არსენა მარაბდელის“ მიხედვით წარმოდგენილი სურათი ბატონყმობისა გულის შემძვრელია მთელი თავისი საშინელებით. თუ ძველ საქართველოში გლეხსა და ბატონს შორის შედარებით ნაკლებკონფლიქტური ურთიერთობა სუფევდა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენში გლეხთა აჯანყებებს არ ჰქონია ადგილი, XIX საუკუნიდან უკვე ბატონისა და ყმის ურთიერთობა სასტიკად დაიძაბა.

არსად ისე უუფლებო არ ყოფილა გლეხი, არსად ისეთი დიდი უფსკრული არ გათხრილა ბატონსა და ყმას შორის, როგორც რუსეთში. რუსული ბატონყმობის ფორმა თანდათანობით ფეხს იკიდებდა საქართველოშიც. „ამა რა საკადრისია თავადისა და გლეხის დაძმობილება და ლაზღანდარობა! ბატონებო, გთხოვთ დაიხსომოთ, — მიმართავს ბასილა მაიორი ქართველ თავადებს, — რომ რამდენადაც უფრო მეტია მანძილი დიდებულთა და მდაბიოთა შორის, იმდენადვე უფრო ძლიერია სახელმწიფოც და კულტურაც, ხოლო სადაც ეს მანძილი მოკლეა, იქ არც სახელმწიფოა და არც ცივილიზაცია, არამედ ანარქიაა და შინაურობა. ბატონებო, გირჩევთ ჩემი ნათქვამი დაიხსომოთ და შეასრულოთ“. ნაწილობრივ დაიხსომეს და შეასრულეს კიდეც.

ევროპულ ცხოვრებას დახარბებულ, ჩაცმა-დახურვასა და სიმდიდრეს გადაგებულ ბატონებს, ახალი დროის შესაბამისი მოთხოვნილებები რომ გასჩენიათ, უკვე აღარ აკმაყოფილებთ ძველებური ღალა და გადასახადი. ყველაფერს ფული სჭირდება, ფულის შესაძენად კი ყიდიან მამულებს, ყმებსა და სინდისს. გულადუღებული მარაბდელი, რომლის ნანდაურის გაყიდვაც სურს ზაალ ბარათაშვილს, სატრფოს მიმართავს: „ქათმები ვართ, ცხვრები თუ მარილი? ვითომ სული არ გვიდგია? ქრისტიანები არა ვართ? მართლა სხვანაირი სისხლი გვაქვს? შენ რითი გჯობია შენი სნეული ქალბატონი? ან მე რაში დავუვარდები ტუტუც ელიზბარს. ან შენს ბატონს დავითს? მაშ ჩვენ მირონი არა გვცხებია? მაშ ჩვენი ტანჯვა აღარ თავდება?“.

სხვაგან არსენა თანასოფლელებს მიმართავს: „ჩვენს თავს ერთმანეთს მიმინოსავით აჩუქებენ. ნივთსავით მზითევში ატანენ, ცხენსავით გვყიდიან, გვაგირავებენ, ძაღლებში გვცვლიან და ამ ძაღლებზედაც უარესად გვინახავენ“.

კიდევ უფრო გულისმომკლელია სურათი, როცა თავისი გლეხური წარმოშობის გამო დასჯილი და გაუბედურებული არსენა, ეს დევივით ვაჟკაცი, ლურჯასა და ყურშას შესჩივის მდუღარე ჩურჩულით: ,,ეჰ, მეგობარებო, რომ იცოდეთ რა ამბავი ხდება ამ ქვეყანაზე! რა ბედენაა, რომ ჩვენ გლეხებს, სიტყვის თქმა შეგვიძლიან. სამაგიეროდ თქვენზე უფრო უბედურებიც ვართ. შენ, ძაღლს, ლეკვებს ან ძუკნას წაგართმევენ ხოლმე. მერე რას! მესამე დღეს აღარ გახსოვს გყავდა ვინმე თუ არა. შენ კი, ჩემო ლურჯაო, კვიცს გაგიზრდიან და გაგიყიდიან. ქოფაკი ორიოდე დღეს მაინც იდარდებს, შენმა ჯიშმა კი არც დარდი იცის, არც ბოლმა, არც ჩვენისთანა სიყვარული. ამ ქვეყნად დედ-მამის გარდა ორი ვინმე მიყვარს — ფიქრია და მარინე. და ორივეს გაყიდვას უპირებენ". შესჩივის ასე მარაბდელი ვაჟკაცი ერთგულ ცხენსა და ერთგულ ძაღლს თავის გასაჭირს და ადამიანთა ორგულობით გულგატეხილს ადამიანად ყოფნა მოსძულებია.

არსენას შეუძლია თვითონაც აჯანყდეს და რამდენიმე კაციც აიყოლიოს ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. ხალხი, უმრავლესობა, შიმშილს, გაჭირვებას, ძალას მოუტეხია, წელში მოუხრია და ცხვრის მორჩილ ფარად გადაუქცევია. წინააღმდეგობის გაწევის გამო, როცა უარესად აიკლეს და ააწიოკეს გლეხები, ისინი იძულებულნი გახდნენ ,,მოთვინიერებულიყვნენ", უკანასკნელი ლუკმა პირიდან გამოეღოთ და ბატონისათვის მიერთმიათ.

რომანში არის ერთი დეტალი, რომლის სიმბოლური გააზრებაც სრულყოფილად წარმოგვიჩენდა შიმშილით გასავათებული ადამიანების ცხოვრების მთელ სიმკაცრესა და სულიერ აპათიას.

აი, ეს დეტალიც: კუჭატნელმა არსენას სიკვდილის შემდეგ მარაბდელის იარაღი და ბედაური დაიჩემა. ,,მრავალჯერ სცადა ლურჯაზე შემჯდარიყო, მაგრამ ცხენი ახლოსაც არ იკარებდა. თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა, აყად უბღვერდა, ანჩხლად ჭიხვინებდა, ყალყზე დგებოდა და კუჭატნელზე ტორებითა და კბილებით მიიწევდა. ერთხელაც ჩაიგდო ფეხქვეშ და ისე მისჩერქვა, რომ სეფისკვერაძეს კიდევ მრავალი არტაშანი დასჭირდა.

გაკაპასებულმა ურიადნიკმა იმ დღიდან ლურჯას ქერი მოუსპო და წყალიც და თივაც გაუნახევრა. ლურჯა დნებოდა. მკვრივი ტანი დაჰყარა, ამაყი თავი ჩაჰქინდრა, თვალებში ცეცხლი ჩაიქრო, ნელი-ნელ მოთვინიერდა და იქამდე დაცხრა, რომ მის ფეხქვეშ პატარა ბავშვებიც კი თამაშობდნენ. ასე მოჰხნა შიმშილმა აღმართი და მხოლოდ ასეთი სასტიკი ხერხის მეხებით შეუძლია კუჭატნელი ლურჯაზე".

აქ კაცისაგან ცხენის დამორჩილებაზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ სიუჟეტში

მთელი ფილოსოფიაა კაცთა ცხოვრებისაც. ოდესღაც დაუმორჩილებელი და ამაყი ქართველი გლეხკაცი, რომელსაც ქომაგი და პატრონი ახალ სახელმწიფოში უკვე აღარ ჰყავდა, ასეთივე სასტიკი ხერხის მეოხებით დაიმორჩილეს და კისერზე მოაჯდნენ.

შინაურ ბატონს მომხდური დაემატა. რუსმა ჩინოვნიკებმაც ქართველი გლეხის ზურგზე მოიკალათეს და სისხლსა სწოვდნენ, იმ განსხვავებით, რომ ისინი იარაღის ძალით აჩოქებდნენ ხალხს და ყელში ხიშტებმიბჯენილებს სულს ართმევდნენ. ეს პროცესი უკვე ყოველგვარი მოიარების გარეშეა რომანში დახატული.

სოფელში საეგზეკუციო ჯარით შემოყინჩებულ მაიორ არლოვს ბატონის სასახლის წინ, ეზოში, სკამი და მაგიდა დასჭირდა. ერთიცა და მეორეც მაშინვე იშოვა.

„— დაიჩოქე! — უბრძანა მან ერთ გლეხს.

გლეხმა იუკადრისა.

— დააჩოქეთ!

გლეხი ხიშტებმა დააჩოქეს და ოთხზე დააყენეს. მეორე გლეხიც ასევე დააკუზეს მის გვერდით. მაიორი ერთ მათგანზე დაჯდა, მეორე მათგანი მაგიდად გამოიყენა და მის ზურგზე დიდხანს რალაცას სწერდა და ასწორებდა.

ცოცხალმა „სკამმა“ და „მაგიდამ“ ლანძღვა და წამოწევა სცადეს, მაგრამ ცხვირ-პირთან ხიშტები დაუხვდათ და მიყუჩდნენ“...

მართალია, აქ გლეხთა წამოჩოქება სიმბოლურად კი არა, რეალურადაა დახატული, მაგრამ ეს სიუჟეტიც ერთგვარი სიმბოლოა იმისა, თუ როგორ წამოაჩოქეს მთელი ქვეყანა მომხდურთა. წამოიწევდნენ და ცხვირ-პირთან ხიშტები უხვდებოდათ... თავს ზემოთ დამოკლეს მახვილი ეკიდა...

სკვითმა წაგვართვა სამშობლო

ამ სიტყვებით იწყებოდა ახალი, პანაშვიდური სიმღერა, რომელსაც საიდუმლოდ, უცხოთა დაუსწრებლად მღეროდა უფლებააყრილი ქართველი კაცი. მიხეილ ჯავახიშვილი უდიდეს მოქალაქეობრივ გამბედაობას იჩენს და სრული სისავსით ხატავს დამპყრობლის ზნესა და დაპყრობილი ხალხის ვარამს. როგორც ზემოთ ვთქვით, ბატონყმობის პრობლემის ამოფარებით მწერალი ახერხებს იმ საერთო ეროვნული სატკივრის წარმოჩენას, რაც მისი დროის საზოგადოებასაც სტკიოდა. „რუსი ღენერლები ასპიტი ყაჩაღე-

ბიეით შემოიჭრნენ. ჰხოცეს, ანგრიეს, სწვეს, სძარცვეს და სამშობლოს ერთგულები ათასობით გააცომბირეს. განა შახაბასს ამაზე უარესი უქნია?! თქვენ არ მომიკვდეთ, არ უქნია. თათარი მტრად მაინც მოდიოდა, აგინი კი მეგობრებად მოგეველინენ და სახარების ქვეშ ჩვენი დასაკლავი დანა მოიტანეს". — ამ სიტყვებს ნაწარმოების პერსონაჟი, ბერი ფილადელფოსი ამბობს, მაგრამ არსებითად მწერლის პოზიციის გამომხატველია.

რუსის ბატონობით ერთნაირად უკმაყოფილოა თავადიცა და გლეხიც. ალექსანდრე ორბელიანი ჩივის: — „უწინ ჩვენი მთავრობა გვყოლია. ერთმანეთისა ენაც ვიცოდით, ხასიათიც და ადათიც, ახლა კი უცხო მთავრობა შემოგვესია და ურთიერთისა არც ენა ვიცით, არც კანონი, არც ხასიათი. მათი კანონი ჩვენ არ გვიდგება და არც იმათ იციან ჩვენი ავანჩავანი".

მარაბდის გლეხებს რა გაჭირვება არ შეხვედრიათ, რა დოლაბი არ დატრიალებულა მათ თავზე, მაგრამ უძლებდნენ, მშრომელი კაცი მიწას ვერ სწყდებოდა. და, აი, მაიორმა არლოემა ცხრა ძმა ხერხეულიძეთა საფლავზე ცხრა ვაჟკაცი წამოაქცევინა, გააშიშვლა და გაჯოხა. ასეთი აქცია რუსული ბატონყმობისთვის ჩვეულებრივი, ყოველდღიური, დამახასიათებელი რამ იყო. ცხრა ძმის საფლავზე გაჯოხილი ქართველები კი გადაირივნენ. ქართველი გლეხისთვის სიშიშვლე ტკივილზეც უფრო მძიმე სირცხვილი აღმოჩნდა. ზარბაზანს არ უფრთხოდნენ, წკეპლას კი ვერ შეეგუენ და ტყეს მისცეს თავი— თუ ჯოხისა და როზგის ხმარება ქართველისთვის იყო გაუგებარი, რუსს ის აოცებდა, გაროზგვასა თუ გაწკეპვას, სასჯელის ამ „ჩვეულებრივსა" და შედარებით „მსუბუქ" ზომას, რატომ უნდა ექცია არსენები და ზაქროები ყაჩაღებად... კარპიჩას, ერთგებით რუსს, არსენა ეკითხება:

„— ერთი მითხარი, რა უფრო გეტკინა, ჯოხი თუ გაშიშვლება? ხაბაზს ეს სიტყვა ეუცხოვა.

— რა ტკმა უნდა, ჯოხი. ხვალ შენც გაგაცვინეს და მაშინ ნახავ.

არსენა შეკრთა და უარესად გაფითრდა...

— თუ ხვალამდე დაეაცდევინე, მირჩევნია ორმოცის ნაცვლად ასი დამკრან, თუნდაც ორასი, ოღონდ ნუ გამაშიშვლებენ, თორემ... — და გაჩუმდა.

— შე კაი კაცო, გაშიშვლებამ მაგრე როგორ შეგაშინა? — გაოცდა კარპიჩა.

— შემაშინა, რუსო, ძალიან შემაშინა. ვაჟკაცისათვის გაშიშვლებას თაყის მოჭრა სჯობია. სირცხვილია, ჩემო კოჭლო, სირცხვილი კი ჯოხზე უფრო მწვავეა. გაიგე?

ვერაფერიც ვერ გაიგო და სხვანაირ ზნეობაზე აღზრდილი კარპიჩა გაოცებული დარჩა ამ უცნაური კაცის „ფილოსოფიით".

ეს რომ ბუნებრივი გაოცება იქნებოდა ჩრდილოელისათვის, კარგად ჩანს ერთი კონკრეტული ფაქტიდან, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1903 წ. №2100): „ცნობილი თავადი მეშჩერსკი, შარშან რომ მთელი რუსეთისაგან მისი იუბილეს გადახდას თხოულობდაო — გვამცნობს „ცნობის ფურცელი“, — უმთავრესად იმით ასაბუთებდა თავის თხოვნას, რომ მუდამ დღე „როზგს“ ვქადაგებდი და მის მაღალ პედაგოგიურ მნიშვნელობის აზრს ვავრცელებდი საზოგადოებაშიო. თ.მეშჩერსკი „როზგის“ უპირატესობას იმით ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე, მეფე მანუ თხოულობდა თავის კანონებში ბავშვების ცემას და ჩვენ ხომ არიელები ვართ, მანუს კულტურის მემკვიდრენი“.

ასე რომ, მანუს კულტურის „მემკვიდრენი“ სრულიად უცხო თვისებისანი აღმოჩნდნენ დავითისა და თამარის მემკვიდრეთათვის...

მაიორმა არლოვმა არსენას დაჭერის მიზნით მარაბდელის დედ-მამა და ძმა დაიბარა და მოსთხოვა:

— ან ციმბირში წადით, ან არსენა მომგვარეთ. აირჩიეთ!

ცალთვალა ვერ მიუხვდა და როცა თარჯიმანმა გიგოლამ განუმარტა, რომ დედ-მამას შვილი და ძმას ძმა უნდა გაეცა, გაოცდა და ნაბუშარს სამჯერ ჰკითხა:

— იქნება ვერ გაიგე, ბიჭო? აბა ერთხელ კიდევ ათქმევინე და ხეირიანად გადმომითარგმნე. — და როცა სამჯერვე ერთი და იგივე მოისმინა, იკითხა: — დაივიჯერო რუსეთში მამა შვილს დასაკლავად იმეტებდეს?

თავისი ქვეყნისა და ტრადიციების ერთგული ცალთვალა ღვთისავარი კი არა, თვით რუსული ორიენტაციის მჭონე ზაალ ბარათაშვილიც კი გაკვირვებულია, როცა სასიძო არლოვი „ჰარამხანისთვის“ უსირცხვილოდ ორ მოახლე გოგოს მოსთხოვს. „ვეჟო, ეს სადაური წესია! თითქო დარო უნდა ითხოვოს, ეს კი ორ მოახლეს მთხოვს და ჰარამხანას წესი მოინდომა“.

რუსებისა და თათრების ქართველებისადმი დამოკიდებულების ერთგვაროვნებას მრავალგზის აქვს რომანში ხაზი გასმული. თათართა „გამომცველად“ ერთმორწმუნე რუსნი მოსულან, ამით კი ქართველებისათვის არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ჩალმიანი დამპყრობელის ადგილი ფრაკიანმუნდირიანმა დაიჭირა. როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე იტყოდა — „ცვლილე შთება გველად“.

„უწინ ქართველებს უარესი ჭირიც ენახათ, — ეკითხულობთ რომანში, — მაგრამ ხატების ხელის ხლება მაინც ვერ გაებედათ. ახლა კი ერთმორწმუნე რუსის მოხელემ ეკლესიები დააცარიელებინა და ოქრო-ვერცხლი მეოთხედ ფასად მიიღო“. რუსების ნამოქმედარით გაოგნებული მოხუცი ხორეშანი

გიგოლას მიმართავს — მგონი რუსული იცი და მაგ ვაჟბატონს ჰკითხე, ეს ჯარი სპარსეთშია თუ საქართველოში?

ოფიცერმა თარგმანი მოისმინა, გაიღიმა და გიგოლას პირითვე უპასუხა: ჩვენთვის სპარსეთიც და საქართველოც სულ ერთია.

— ოლონდაც, — მაშინვე დაეთანხმა ხორეშანი, — მაინც გაახსენე, რომ ჩვენ და რუსები ერთად ვეომებით სპარსელებს. თუმცა, ნუ ეტყვი, სულ ერთია ვერ გაიგებს_"

თუ აქამდე ბატონი ფიქრობდა, ყოველივე გლეხისა ჩემი არისო, ახლა ჩინოვნიკი და ყაზახ-რუსი იჩემებს — ყოველივე გლეხისა ეგზეკუტანტებისაო. მაგდანას ყაზახები ჩაუსახლეს. „ოთახში შესული სალდათები მაშინვე დაეპატრონენ ქვრივის სკივრს, ლოგინს, ტახტს, ჭურჭელსა და კაბა-კუბასაც.

— პორტიანკებისთვის გამოგვადგება. — განაცხადა ერთმა და კაბა ჰაერში აიფრიალა. მერე სიცილით დაუმატა: — შენც გამოგვადგები, ბაბა_ მათუშკა. — და მაგდანას მიეტანა".

მაიორ ბასილა არლოვს, თავის ყაზახ-რუსებითურთ და ადგილობრივი მოღალატეებით, ცეცხლი და სიკვდილი მიაქვს ყველგან, სადაც კი შეივლის. ყოველივე ეს კი „კანონიერების" აღდგენის მიზნით ხდება. სისხლიანი მაიორის გამკითხავი არა თუ არავინ არის, პირიქით, უიარაღო ადამიანებზე ყოველი ახალი ოპერაციის ჩატარების შემდეგ ბასილას თანამდებობრივად აწინაურებდნენ.

არლოვის ბრძანებით, კუჭატნელი ბარათაშვილის შინაყმებითურთ სოფელს შეესია და ყაზახების ზედამდგომობით ვენახებიც აურჩეა გლეხკაცთ. „მწიფე ვენახში ჩახუნი ასტყდა. ყმები მწკრივებად მიდიოდნენ და ვაზს ყანასავით მკიდნენ".

ეგზეკუტანტების ნამოქმედარის შემდეგ „აკლებული ალგეთი უფრო ვეება სასაფლაოს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალი ხალხით დასახლებულ სოფელს. დედებს შიშით და უჭმელობით ძუძუები დაუშრათ, ბალღები ხბოსავით სძოვდნენ ბალახს. მამაკაცები საფლავიდან ამოსულ ლანდებს დაემგვანენ. აქამდე ალგეთზე ხუთიოდე გიჟი იყო, ახლა კი ორმოციც იქნება. „ზეკუცის შემდეგ ვინ იცის, რამდენმა დედაკაცმა გაიფუჭა მუცელი და რამდენი გადაჰყვა თან. ოლონდ მურდალი თესლი მოეშორებინათ და მზად იყვნენ სიცოცხლეც კი გაეწირათ. საბას ცოლმა, სხვა რომ ველარა მოახერხა რა, მუცელზე ხელსაფქვავი დაიტრიალა და წამებაში მოკვდა. ბერუას რძალი ადუღებულ ბალახ-ბულახში ჩაწვა და გაიფუფქა. პაპუნას გასათხოვარი ქალი ალგეთში გადავარდა. ნასყიდას ქეთომ თავი ჩამოახრჩო". ამ ერცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს ერთმორწმუნე „მფარველთა" ნამდვილი სახე.

კარგად ჩანს ქართველი გლეხის უსასოო მდგომარეობა და ჩვენი ქალების გმირული სული, რომელნიც შერცხვენილად ცხოვრებას სიკვდილს არჩევენ. ქართველი ქალის ასეთმა სისპეტაკემ და თავგანწირვამ ნაცარში შენახული ნაღვერდალივით შემოინახა ქართული სული, ქართული პატიოსნება და ამ აზრით, დედათა გადარჩენილია საქართველო. საქართველო, რომლის ბედს ჩრდილოეთიდან ჩამოთესლილი ბასილა მაიორები წყვეტენ.

„ბასილა იწვა და ფიქრობდა, ვინ გაეციმბირებინა, ვინ ჩამოეხრჩო და ვინ დაეკლილდოვებინა“ — ვკითხულობთ რომანში და მწარე სინანული აღგეძვრის სამშობლოს ბედისადმი, რომელსაც უპატრონო ეკლესიასავით ეშმაკები დაეპატრონებიან_

რენეგატები

ჩვეულებრივი მტრისაგან განსხვავებით მოყვრის ღიმილით შენიღბული მტერი იმითაც არის საშიში, რომ ადგილობრივ მკვიდრთა შორის რენეგატთა კასტის შესაქმნელად უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის. თუ მოსისხლე მტრის მხარეს გადასულ ყორღანაშვილებს ხალხის რისხვა და მოღალატის სახელი ვერ ასცდება, „მოყვარე მტრის“ მსახური, პირიქით, ზოგჯერ წამებულის, ტრაგიკული კაცის ნილაბსაც ირგებს, აქაოდა, სხვა გზა არ არის, ჩემი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებისათვის იძულებული ვარ სული ეშმაკს მივყიდო. ზოგჯერ მართლაც ხდება ასე, გავიხსენოთ ჩვენი ჩალმამობურვილი რამდენიმე მეფე, რომელნიც იძულებულნი გახდნენ მაჰმადის რჯული ელიარებინათ, მტრის ნებას დროებით დაჰყოლოდნენ და ამ რისკით საბოლოოდ იმაყე მტრისთვის შესძლებოდათ ბოლოს მოღება. ლიტერატურულ პერსონაჟთაგან ამ მხრივ საინტერესო სახეა, მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგის სეიმონ ჩოფიკაშვილი. ასე რომ, „მოყვარე მტრის“ მსახურთ, თავის დასაზღვევად თუ გასამართლებლად, ისტორიული რეტროსპექტივით ერთგვარი საფუძველი გააჩნიათ. არის ერთი მომენტიც: „მოყვარე-მტერი“ იმიტომაცაა ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნებით სახელდებული, რომ იგი თავისი ნამდვილი მიზნის შენიღბვას ცდილობს ყოველთვის და ხალხს სიტყვით მფარველობასა და მეგობრობას ჰპირდება. მისი პოლიტიკის საძირკველი ცბიერებაა. რენეგატთა კასტა ამ ცბიერებას „ვერ“ ხედავს. რაკი უცხო ძალა სიტყვით მფარველობასა და მეგობრობას უცხადებს მის ქვეყანას, რენეგატიც საკუთარ თავსა და ხალხს ავკერებს, რომ იგი მტრის კი არა, მფარველის თანამდგომია. ხოლო ისინი, ვინც არ რენეგატობენ და სამშობლოს სამსახურს „მოყვრად“

მოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავენ, რენეგატთა თვალსაწიერიდან ნამდვილი პატრიოტები კი არა, ემოციებს აყოლილი ნაციონალისტები არიან, რომელნიც ქვეყანას ღუპავენ და, ამდენად, სწორედ ისინი ინათლებიან სამშობლოსა და ხალხის მტრებად.

რენეგატობა მარტო პოლიტიკაში არ იკიდებს ფეხს, რენეგატობის ბაცილა გადადის ლიტერატურაში, მეცნიერებაში. რენეგატი მწერალი რენეგატ მოღვაწეს წამებულად აცხადებს, ასე იქცევა რენეგატი ისტორიკოსი და საბოლოოდ სამშობლოს მოღალატე სამშობლოს მსახურად ცხადდება. ასეთ მოღვაწეებს პოლიტიკაშიც, ლიტერატურაშიც და მეცნიერებაშიც ხელს უწყობს და მართლა მეგობრობასა და მფარველობას უცხადებს დამპყრობელი.

ერთი სიტყვით, „მოყვარე" მტრის მორჩილი ქვეყანა ივსება რენეგატებით, რომელთაც კარგად იციან თავიანთი ნამდვილი ბუნების შესახებ, მაგრამ არც თავს უტყუებიან და არც სხვას, რომ მათი ნამდვილი მიზანი უზრუნველყოფილად ცხოვრებაა, სხვა დანარჩენი კი, სამშობლოცა და „მოყვარე მტერიც", სულაც ფეხებზე ჰკიდიათ. ამდენად, მტრის სამსახურში მტრის სიყვარულის გამო კი არ დგანან, არამედ იმიტომ, რომ იქ მეტ გამორჩენას ხედავენ, ვიდრე გაუბედურებული სამშობლოს ჭირისუფლობაში. ასეთი ხალხი ზნესა და ხასიათს ადვილად იცვლის. თუ პატრიოტობის გამო ალარაფინ დასჯით და ერის სამსახურში იშოვნიან სახელსა და სარჩენს, ქამელეონივით სასწრაფოდ გამოიცვლებიან კიდეც და გუშინდელი რენეგატები ახლა ერისკაცებად მოგვევლინებიან.

საუბედუროდ, საქართველოს უკანასკნელი ორი საუკუნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს რენეგატების მრავალრიცხოვან კასტას. „არსენა მარაბდელში" ეს პრობლემაც მთელი სიმწვავით დგას.

სამშობლოს ბედით შეწუხებული შალვა ბარათაშვილი არსენას ეკითხება:

— იცის არსენამ რა არის მარშალი და თავად-აზნაურთა საკრებულო?

— ვიცი, შენი კვნესამე, რუს ხელმწიფეს და ბატონს ჰშველიან. — მოურიდებლად პასუხობს გორდა მარაბდელი.

„არც ერთი მთავარმართებელი არ ყოფილა, რომ ბარათაანთ სამიუთაობის მკერდზე, ვითარცა კანკელზე, ჯვარი ან ვარსკვლავი არ ჩამოეკიდნა. ყველამ ღირსეული საჩუქარი მიიღო, რადგან სამთავე მკერდის ქვეშ ახალი ტახტისა და ახალი სამშობლოსადმი მართალი გული ჰფეთქავდა" — ეკითხულობთ რომანში.

— ყოჩაღად და მხნედ იყავით შვილებო, — არიგებს ზაალ ბარათაშვილი ომში მიმავალ ახალგაზრდა თავადებს, — ხელმწიფე იმპერატორი გეისახლეთ, ჯვარ-მენდლები ჩამოიტანეთ.

ჩვენი თავად-აზნაურობა მართლა ყოჩაღად და მხნედ იბრძოდა რუსული ხიშტის დიდებისათვის, თავის მხრივ, არც იმპერატორი იშურებდა ჯვარ-მედლებს_

რენეგატობა მხოლოდ სათავადო სენი არ არის. რაკი ქვეყნის სათავე აიმღვრა, ბოლოც დაბინძურდა და ამტუტდა. გიორგი სეფისკვერაძე ქართული მილიციით თავისივე თანამოძმე გლეხებს ცეცხლითა და მახვილით ებრძვის. „ძმობილო, მარაბდის ასაკლებად მოხვედით?“ – ეკითხება მარაბდელი შეცბუნებულ ქართველ მილიციელს და ეს სიტყვა – „ძმობილო“, ალბათ, არასოდეს ისე ტრაგიკულად არ აჟღერებულა, როგორც ამ კონტექსტში. რენეგატობისადმი ზიზღი ავტორს გადმოფრქვეული აქვს ორიოდე ფრაზით.

– შენ რომ იარაღის ხმარება იცოდე, – მიმართავს არსენა ლეკ გამზათს, – იქ მოიხმარდი. – და არსენამ დაღისტნისაკენ გაიშვირა ხელი. – შენი ქვეყანა სისხლით იცლება, შენ კი აქაურ ბატონებს და რუს ხელმწიფეს ემსახურები, გხედავ ვინცა ხარ. ფუჭ შენს კაცობას“.

რენეგატებისა და მათი ბატონების კეთილი ურთიერთობა მოჩვენებითია, რადგან მათი „მეგობრობის“ საფუძველი პრაგმატისტულია, გამოყენებითი. დამპყრობელი რენეგატების საშუალებით მკვიდრ მოსახლეობაში ძალაუფლებას ინარჩუნებს და განიმტკიცებს. რენეგატი კი დამპყრობლის მეოხებით ძალაუფლებით აღიჭურვება და თავისი ხალხისაგან განსხვავებით უზრუნველყოფილად ცხოვრობს. მაგრამ მათ შინაგანად სძულთ ერთმანეთი, რადგან დამპყრობლისათვის რენეგატი იმ ხალხის სისხლი და ხორცია, რომელსაც შეჭმას უპირებს, მაგრამ თან შიშიც აქვს, ყელში არ გამეჩხირისო. ამ შიშის გამო, იმ „დანაშაულის“ გამო, რომ ხალხი თავისით არ უვარდება დამპყრობელს პირში და ცოტა პრობლემებს უქმნის, ეს ხალხი იმსახურებს მომხდურთა ზიზღსა და სიძულვილს. ეს სიძულვილი, ნებით თუ უნებლიეთ, რენეგატზეც ვრცელდება, თუმცა, გაუმეღლაუნებელია და უთქმელი.

თავის მხრივ, გულში რენეგატსაც სძულს დამპყრობელი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მისგან მრავალ სიკეთეს ღებულობს, სულ შიშის ქვეშ არის. საკმარისია მეორე, უფრო ენერგიული რენეგატი გამოჩნდეს, რომ მას ადვილად გასწირავენ. ხალხთან მისასვლელი პირიც აღარ ექნება. ამიტომ, რენეგატი მშვიდი ცხოვრების შენარჩუნების მხრით იძულებულია გაათკეცებულად იმსახუროს და ირენეგატოს, რის გამოც ფარულსა და გამოუთქმელ ბოლმას ატარებს გულში. საკმარისია, კრიზისული სიტუაცია შეიქმნას, რაღაც ისეთი გაუთვალისწინებელი მოხდეს, რაც ორივე მხარის მშვიდ ცხოვრებას დაამუქრებს, ამით რენეგატებმაც და მათმა ბატონებმაც ურთიერთისადმი სიძულვილი

და ფარული ბოლმა ამოანთხიონ, მშიერი მგლებივით მიესიონ ერთმანეთს ეს ოდესღაც კეთილად მომღიმარი, გონიერი და მშვიდი ბატონები...

როცა მაიორის ჩაყვანილმა ყაზახებმა სოფელს მოთმინების ფიალა ამოუწურეს, გაბოროტებულმა ბრბომ ზაალს სახლ-კარი გადაუწვა და ოჯახიანად სასიკვდილოდ გაიმეტა. ახლა კი მიხვდა ზაალ ბარათაშვილიცა და მისი ვაჟი დავითიც, მესამე ძალის გამოძახებით სოფელთან ერთად საკუთარი თავიც რომ დალუპეს.

სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი დავითი მაიორ არლოვს მიუვარდება და გაცოფებული უყვირის: „თქვენი წყალობით დაგვემართა ყველაფერი, თქვენ დაერიეთ მარაბდას შაჰ-აბაზივით: თქვენ გაროზგეთ უდანაშაულო ხალხი. თქვენ არ მიგვაცემინეთ არსენასათვის მოახლე, თქვენ უპირებდით არსენას გაროზგვას; თქვენ ჩააყენეთ ეგზეკუცია; თქვენ აიკლეთ და დასწვით რამდენიმე სოფელი...

— მომითმინეთ, კნიაზო დავით, მომითმინეთ, — რამდენჯერმე გააწყვეტინა თავზარდაცემულმა მაიორმა. ბოლოს ისიც გაბრაზდა და ნაცემი ძალლებივით მიესიენ ერთურთს.

— ეგზეკუციის ამოყვანას მამათქვენი მეხვეწებოდა და არზაც კი მიართვა ერმოლოვს...“

— თქვენი ხარბი და უსაქმური თავადების წყალობით ვხდებით იძულებულნი, საწყალი გლეხობა ვაწიოკოთო. — მაიორმა გულისნადები გაამჟღავნა, თავადს აქამდე რომ უღიმოდა და ესიყვარულებოდა, ახლა ზიზღით მიაფურთხა. მაგრამ მაშინვე მიხვდა, უფროსები არ მოუწონებდნენ ასეთ გულწრფელობას და ინანა. მაიორის გულახდილობას დავითის აღსარება მოჰყვა. აღშფოთებული რენეგატი, სულ რომ რუსეთის მზეს ფიცულობდა, უცებ ალაპარაკდა:

„— როგორა სთქვით, ხარბი და უსაქმური ბრბო გავაძღოთო? ჩვენა ვართ უსაქმურები? თქვენ შველას დაგვპირდით, ნამდვილად კი უსინდისოდ მოგვატყუეთ და ყველაფერი წაგვართვით — ჩვენი მთავრობაც, სახელმწიფოც, მართვა-გამგეობაც, პატიოსნებაც და ახლა უსაქმურსაც გვეწოდებთ? როზგი თქვენ გვასწავლეთ, გაციმბირება თქვენ შემოიღეთ, გლეხთან ადამიანობაც კი აგვკრძალეთ და ახლა კი ამაყე „საწყალ“ გლეხს ესარჩლებით? ვის ატყუებთ? ვინ არ იცის თქვენი ორპირობა? თქვენ მუდამ იმას ცდილობდით, რომ გლეხი და თავადი ერთმანეთს გადაგეკიდნათ, რომ ჩვენი გლეხი გაგესრისნათ, ჩვენზე აგემხედრებინათ და ახლა კი თავადებსაც გადმოსწვდით? კმარა ამდენი სიყალბე, მაიორო“.

დასრულა ეს მონოლოგი დავითმა, მაგრამ ბასილას გაღიმებულ სახეს

რომ შესდა, მიხვდა, დაბეზღების შემთხვევაში სამუდამოდ რომ დაასრულებდა თავის კარიერასაც. რადგან საქმის გართულება არც ერთს არ აძლევდა ხელს, იმპულსური აღშფოთება ჩაიხშო და კვლავ მორიგება არჩია, რადგან პირველს ბოლომდე უნდა ეთამაშა „მფარველისა“ და „მეგობრის“ როლი, მეორეს კი ბოლომდე უნდა ეტარებინა სანაქებო ოინბაზობით რუსული მუნდირი.

საკუთარი ხალხის წინააღმდეგ უცხო ძალის გამოძახებით, როგორც ვთქვით, ხეირი არც გამომძახებელს ეყრება. მას ერთხელ და სამუდამოდ ხალხის დაშინება სურს, მგელი კი ცხვრის ფარაში როცა შეივარდება, თანაც კანონიერად, მწყემსის ნებართვითაა და მოწვევით, დაშინების ნაცვლად იგი მუსრს ავლებს ფარას. ხალხთან ერთად გაუბედურებულ მწყემსს მერმე ისღა რჩება, თავისი თავქარიანობა ცრემლმორეულმა გაამართლოს.

„— ღმერთი, რჯული, მე ამ საქმეში უბრალო ვარ, — ამბობს ზაალ ბარათაშვილი, — არც კი ვიცოდი მაიორი რას აპირებდა. მითხრა, ცოტაოდენს დავაშინებო, მერმე კი... მერმე ცოტა მეტიც მოუვიდა“.

ილიამდე სისხლში ჩაფლული კაცი უმანკოების ფირმანს ეძებს, მაგრამ რაკი იგივე ფირმანი მფარველის სახელით მოვარდნილ მომხდურსაც სჭირდება, ყოველნაირად ცდილობს ყოფილ მოკავშირეს სისხლი შეაწმინდოს.

— ეგზეკუციის ამოყვანას შენვე მეხვეწებოდით. — მუქარით ჩაუსისინებს ადგილობრივ მმართველს და ისიც იძულებულია ხმა ჩაიგდოს, რათა დუმილის ფასად თავი გადაირჩინოს...

ამრიგად, კრიზისულ სიტუაციაში რენეგატის ბედი მეტისმეტად ტრაგიკულია, ამიტომ რენაგატის წადილი ერთადერთია — „ოლონდ „ბუნტი“ ნუ იქნება“, რადგან „ბუნტის“ დროს იგი „მოყვარე-მტერსაც“ თვალში ეჩხირება და არც ნამდვილი მოყვარე ჰყავს. ყოფილი მლიქნელები დაფრთხებიან, თვითონ კი მარტო რჩება საზარელი ნამოქმედარის წინაშე... ამიტომაც იყო, ზაალ ბარათაშვილს „ბუნტის“ ხსენებაზე სული რომ უფრთხოდა, ამიტომაც იყო, არსენას დაუმორჩილებელსა და ამაყ ხასიათს თავიდანვე რომ ვერ იტანდა. ქედუხრელ ადამიანებში რენეგატები „ბუნტოვშიკს“ ხედავენ, ამიტომ თავისუფალი აზრისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი მტრები სწორედ რენეგატები არიან.

თავკაცის ზნეობრივი პოზიცია

დაჩაგრული ხალხის ცხოვრებაში ზოგჯერ დგება მომენტი, როდესაც მოთმინების ფიალა პირთამდე იცსება და გუშინდელი თვინიერი ადამიანების

აჯანყებული სული ყოველგვარ ჯებირებს არღვევს. გამწარებული, აჯანყებული ხალხი უიარაღოდ, შიშველი ხელებით, ცხელი გულით უპირისპირდება კბილებამდე შეიარაღებულ, დაუნდობელ მტარვალს. სიმართლის დიდი და ადამიანური რწმენა მათ შეუძლებლის შესაძლებლად ქცევის ილუზიას უქმნის. ასეთ დროს ადამიანებს იმპულსური გრძნობები მართავს და იმ შემთხვევაშიც, თუკი გაიცნობიერებენ, რომ მტარვალი მათ არ დაინდობს და უიარაღო ხალხს დაერევა, უკან მაინც არ იხევენ, ამით კი ადამიანები ფაქტიურად თვითმკვლელობაზე მიდიან. იმდენად გაუსაძლისი ხდება ცხოვრება, რომ საშინელ ცხოვრებისადმი ზურგშექცეულ ადამიანებს უკან მოხედვა აღარ სურთ, თუნდაც წინ მხოლოდ უფსკრული ილანდებოდეს_

პიროვნებას აქვს თვითმკვლელობის უფლება, მთელ ხალხს კი — არა! მაგრამ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში წარმმართველია ემოციები, ვნებები, რომელიც თავისთავად ღრმად ადამიანურია და სიმართლეს ეფუძნება. ასეთ დროს ცივი განსჯა და გონიერება გაძევებულია. სწორედ ამ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავკაცის ზნეობრივ პოზიციას_

თუ როგორი უნდა იყოს გონიერი კაცის პოზიცია ემოციებით აფეთქებულ მოძრაობაში, ამის პასუხი შეგვიძლია მოვიძიოთ — „არსენა მარაბდელში“. როცა სოფელ მარაბდას საეგზეკუციო ჯარი შეესია, მოთმინებადაკარგული სოფელი ცხრა ძმა ხერხეულიძეთა საფლავზე შეიყარა. ახალგაზრდა არსენა დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებს სოფელს. მისი მამა, მრავალჭირგადანახადი, ცხოვრების სისასტიკეში გამობრძმედილი ღვთისავარი, კი გამოსავალს ისევ მოთმინებაში ხედავს.

არსენას არგუმენტები:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

„ჩვენს წინაპრებს რომ შაჰ-აბასების წინაშე კისერი მოეხარნათ, ამ ცხრა ძმასაც და ათას ამისთანას სიცოცხლეს რომ არ გაეწირნათ, აღარც საქართველო იქნებოდა და აღარც ჩვენ გავჩნდებოდით, ან გავჩნდებოდით, მაგრამ თათრები ვიქნებოდით“.

„მარაბდელებო! ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ შელონებასა, და ქსუც უთქომთ, ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო“.

„ვინც იბრძვის, სიცოცხლის ღირსიც ყოფილა, ვინც არა და — კაცადაც არ ჩაითვლება“.

„თუ ადამიანი სიმართლის ძებნაში მოკვდება, იმას მაინც იტყვიან, ნუ გეშინიან სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა“.

„სიმართლის ნერგი იხარებს დარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო; ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეშინდებიანო“.

„მამა-ჩემი გვაშინებს, მოგვერევიანო, მე კი ვიტყვი: ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წასდგი გასწვდება“.

ყოველივე ეს მარაბდელმა ღვთისავარის არგუმენტების დასარღვევად თქვა, თქვა კი ისე, რომ შვილს მამისადმი რიდი და პატივისცემა არ დაუკარგავს.

ახლა ღვთისავარის არგუმენტებიც მოვისმინოთ:

„მარაბდელებო, ფიცხი ხალხი ვართ და მოთმინება არ გვყოფნის. უწინ მარაბდაში თურმე ცხრაასი კომლი ცხოვრობდა, ეხლა კი მეათედიც აღარ დარჩა, სულ მტერს შეელია. ფიცხები ვართ-მეთქი. თითი რომ დაგვიქნიონ, თოფის წამალივით ვიფეთქებთ, ზედ შევასკდებით და მერმე ფათერაკს დავაბრალებთ“_

„მარაბდელებო, ასეთი სეტყვა ბევრჯელ გვინახავს და მოგვინელებია, ახლა კი რალაც ეშმაკი შეგვიკდა და გვადუნებს, ჩვენც ბალღებივით ავყოლილვართ და ლამის დედიან-ბუდიანად გადავცვივდეთ ალგეთში“.

„ნათქომია, ამყოლს აჰყე და დამყოლს დაჰყეო“.

„მარაბდელებო, სალმრთო წერილში ნათქომია, მიეცი კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსაო, და ისიც მოგეხსენებათ, რომ ვინც მალე სჭრის, ის დიდხანს ნანობსო“.

„სამგლე გოჭივით ნუ ავტყდებით“_

ღვთისავარმა იგრძნო, რომ მის სიტყვებს აღელვებულ ხალხზე არავითარი ზემოქმედება არ ჰქონდა და გამწარებულმა უკანასკნელად გაიბრძოლა:

„მარაბდელებო, არ გაგიჟდეთ, ჭკუა არ წაგოთ, თორემ ამ სოფლის ხსენებაც კი აღარ დარჩება. თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასა. ისეთ დღეს დაგვაყრიან, რომ საფლავშიაც კი არ დაგვაცონწყდეს“.

„წესი არის მამაცთაგან მოჭირვება ჭირთა თმენა; არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდაელენა. ჩვენც ასე მოვიქცეთ და სოფელი გადავარჩინოთ“.

„თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობია სიჩქარე ქებულსაო“.

„კარგი იქნებოდა ის დღე არ გაგვთენებოდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, როცა ჯოხი არა გაქვს, ძაღლს ლუკმა მიუგდეო.

— ლუკმა თუ ხალხის ტყავი? — ჩაურთო ლაცაბიძემ.

— მარაბდელებო, უკვე უომედოდ გაიძახის ცალთვალა და ჰგრძნობს, რომ ანდაზებიც ველარ უშველის, მაგრამ მაინც ფანდს ეჭიდება. — მარაბდელებო, საკოცნელ ლოყას საფურთხებლად ნუ გაიხდით. სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან, და ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“.

„სხვა რომ არა იყოს რა იარაღი არა გვაქვს და კეტებით ხომ ვერ შევებმებით. მამალს უთქომს, მე კი ვიყიჟლე და თუნდა გათენდეს და თუნდ არაო. მეც ჩემი სათქმელი ვთქვი და გავათავე“.

არ დაუჯერა ხალხმა ღვთისავარს, არსენას სიტყვებმა უფრო აანთო ისედაც აღელვებული ადამიანები. მაგრამ ვიდრე ისინი კამათობდნენ, მტარვალი სასაფლაოს მიადგა. უიარაღო ხალხი სასტიკად გვემეს. სოფელს სულში ჩაფურთხეს და ილუზიებით ძალამიცემული, შემართული ხალხი იარაღის ძალით გამოაფხიზლეს_

სოფელმა იგრძნო თავისი უსუსურობა და ტკივილზე მეტად ამ უსუსურობის განცდა აწუხებდა. როგორ მოიქცა ამ დროს ღვთისავარი? ის ღვთისავარი, რომელიც აქამდე ხალხს „შეცდომაზე“ უთითებდა, აფრთხილებდა, ბოლოს იმედდაკარგულმა ისიც კი თქვა: „მამალს უთქომს, მე კი ვიყიჟლე და თუნდ გათენდეს და თუნდ არაო“. არა, ღვთისავარი არ მიჰყოლია ამ ანდაზისეულ აზრს. იგი გვერდზე არ გამდგარა, პილატესავით ხელი არ გადაუბანია_ არადა, ასე ხშირად ხდება ხოლმე. გონიერი კაცი თავის სიმართლეს იტყვის, თუ დაუჯერებენ, ხომ კარგი, თუ არადა, ვალმოხდილი იმით, რომ ხალხს შეცდომაზე მიუთითა, გააფრთხილა, თავის გზას ეწევა. ასეთი პოზიცია არ გახლავთ ზნეობრივი. ღვთისავარმა ურჩ თანასოფლელებს ზურგი კი არ აქცია, მათთან ერთად დარჩა და პირველმა სწორედ მან გაიზიარა ემოციებს აყოლილ თავის თანამოძმეთა თავს დატეხილი უბედურება.

თუ საკუთარი ხალხი ცდება, ამას კი თავკაცი გრძნობს, მაგრამ უმრავლესობასთან დაპირისპირების შიშით არ ამბობს, — ეს დანაშაულებრივი, მოღალატური დუმილია.

თუ საკუთარი ხალხი ცდება, თავკაცი კი ამას ხმამაღლა იტყვის და „ვალმოხდილი“ განზე გადგება, ესეც დანაშაულებრივი, მოღალატური განდგომაა.

ღვთისავარის საქციელი გვასწავლის — როდესაც ერი ცდება, თავკაცის ზნეობრივი პოზიციაა, მაშინაც თავის შემცდარ ერთან იდგეს.

კიდევ ერთი ზნეობრივი გაკვეთილის გამოტანა შეიძლება აღნიშნული სიუჟეტიდან:

არსენა მარაბდელმა ითავა თანამოძმეთა ცხრა ძმის საფლავზე შეკრება. ეს მან მოუწოდა გლეხებს, არ დამორჩილებოდნენ ბატონისა და მაიორის ბრძანებებს, მტრულად დახვედროდნენ სამტროდ და საძარცვაოდ მოსულ ეგზეკუტანტებს. არსენა შინაგანად მართალი იყო, როცა თანასოფლელებს დაუმორჩილებლობას უქადაგებდა და, ცხადია, ამას თანასოფლელთა სიყვარულითა და მათივე სიკეთისთვის ჩადიოდა, მაგრამ მისმა საქციელმა უფრო

დააზარალა ხალხი. არაადამიანურად გვემეს და დააწიოს ურჩნი. თვით არსენა კი იმ დღეს დაინდეს, სხვებთან ერთად არ გაურისხგავთ. როგორც ჩანს, შეგნებულად, გამიზნულად იმოქმედა მაიორმა. ამ ხერხით იგი ალბათ ცდილობდა სოფელი აეყაყანებინა, არსენას წინააღმდეგ განეწყო: ჩვენ გაგვაბრიყვა, თვითონ კი ერთი ეკოხიც არ მოხვედრიაო — იტყოდნენ გაავებული ადამიანები, მაგრამ ამ სიტუაციაში არსენას ზნეობრივი პოზიციაც სამაგალითო აღმოჩნდა. მას პასუხისმგებლობა არ მოუხსნია. არსენას არ ეგონა, რომ უიარაღო ხალხს ასე სასტიკად მოექცეოდნენ, მაგრამ რაკი მოსახდენი მოხდა, პასუხისმგებლობა თავად იტვირთა: უკვე საპატიმროში შემწყვდეულ, „აკაწრილ მეგობრებს დასცქეროდა ოძელაშვილი და უცნაურად იღიმებოდა და ამ ოდნავ ღიმილში მრავალი რამ ჩაექსოვნა — თავის დანაშაულიც და ღრმა სიბრალულიც“.

„ეჰ, ნეტა არსენაც ამათთან ერთად გაეწვინათ და მისთვისაც დაეკრათ! ხორცი ეტკინებოდა, მაგრამ ჯანდაბას ხორციც და მისი კვნესაც! ხორცი ისევ ხორცია და მეტი არაფერი, გული კი— გულიც ხორცია და კიდევ „რალაც ტიელი“, და სწორედ ეს ტიელია, რომ დაბალ ჭერს ასე უხმოდ შეჰბღავის და შეჰღრიალებს“.

— ჩემი ბრალია. მე ავაფორიაქეთ და მზღვარიც მე ვიქნები. — მწუხარედ მიმართავს ძმებს „უდანაშაულო დამნაშავე“.

— რა შენი ბრალია! — ჰკითხა როსტომმა. — ის უღმერთონი რომ მოგვესივნენ, ჯერ არც კი იცოდნენ, სამტროდ შევიკრიბენით თუ სამშვიდობოდ.

— არც გაძალიანებულვართ, არც ხმა ამოგვიღია. — დაუმატა ქავთარმა.

— პურ-მარილი რომ მიგვეტანა, მაინც ქე გვირტყამდნენ. ის მაინც შეგვრჩება, რომე პაწია ვიყვირეთ და გული ვიჯერეთ. აწი დრო მოტრიალდება და იგინი იყვირებენ. არსენ, შენ აფერი ბრალი არა გაქვს და ტყუილა ნუ ლაპარაკობ“. — ამხნევებს წინამძღოლს სევასტი ლაცაბიძე.

არსენას გულს მოეშვა. ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. როდესაც თაკაცი თავისი ხალხის წინაშე ზნეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობს, იგი კლავე თავკაცად რჩება. ხალხს კი წინანდებურად უყვარს. ამის შემდეგ არსენა უფრო ფრთხილი ხდება, ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ფიზიკურად ძლიერ და დაუნდობელ მტერთან ემოციასაც და გონიერებასაც ერთი ფასი აქვს. მწარე ჭეშმარიტებად გაისმის სევასტი ლაცაბიძის სიტყვები: „პურ-მარილი რომ მიგვეტანა, მაინც ქე გვირტყამდნენ“. ასე რომ, ჩაგრულთა ტრაგედია ის კი არ არის, რომ მათ სწორი გზისთვის ვერ მიუგნიათ, არამედ ის, რომ ასეთი გზა არ ჩანს. თუ უხმოდ,

მორჩილად იცხოვრებენ, პირუტყვსავით ჩაგრავენ, ხოლო თუ ხმას აიმაღლებენ ადამიანურ უფლებათა დასაცავად, მათზე მხეცებივით ინადირებენ, ამიტომ ჩაგრულთა ერთადერთ თავშესაფრად ოცნება რჩება...

ტყის ძმები

ადამიანს შეიძლება ყველაფერი წაართვა, გარდა ფიქრის თავისუფლებისა, გარდა ოცნებისა. უილაჯო საქციელსა და მოქმედებაში ნებაწართმეულ ხალხს, სხვისი დიქტატით მოქმედთ, ადამიანურად ცხოვრებისადმი ნოსტალგიის გამოვლენა დაუსჯელად მხოლოდ ოცნებებში შეუძლიათ. ვინ იცის, იქნებ ჩვენმა ტანჯულმა ისტორიამ განაპირობა ის, რომ ქართველი კაცი ოცნებებით ყელთამდე სავსეა, იქნებ ჩვენმავე უუფლებობამ შექმნა ქართული ხასიათის ხაზგასმულად რომანტიკული ბუნება. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საქართველო პოეზიის ქვეყანაა. პოეზია ოცნებების სფეროა. ოცნებებისათვის კი, იქნებ, სწორედაც იძულებით ვიცლიდით. მიწაზე მწარე ხვედრისანი, ცისკენ ვიყურებოდით. ამ აზრის დასტურად ისიც გამოდგება, რომ რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, სწორედ XIX საუკუნის დასაწყისში დაიბადა, მაშინ, როდესაც ქართველ კაცს საკუთარი ნების გამოხატვის შესაძლებლობა რეალურ ცხოვრებაში აღარ ჰქონდა, როდესაც „გუშაგნი" მოგვეელინენ „ნებისა წარმტაცეელად". ერთი სიტყვით, ოცნების უფლება პყრობილი ადამიანისაგან ადამიანურობის შენარჩუნების წაურთმეველი, ხელშეუხებელი შესაძლებლობაა. ადამიანი, თუ სრულ ამაოთიას არ შეუპყრია და მისთვის ყველაფერი სულ ერთი არ არის (ასეთი გმირიც გვხვდება „არსენა მარაბდელში" დათუნა ბარნაველის სახით), ოცნებით ცდილობს უილაჯობის კომპენსაციას...

„არსენა მარაბდელის" გმირები, რაკი ვერც მორჩილებითა და ვერც ტყეში გაჭრით, დაუმორჩილებლობით ვერ ჰპოვებენ ადამიანურ ბედნიერებას, იძულებულნი არიან ოცნებებით მოიკლან ამ ბედნიერების წყურვილი.

არსენას თანამებრძოლებზე, ტყის ძმებზე, ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა. აქ თავისებური მიკრო სამყაროა ქვეყნისა. არის ერთგულება, არის ღალატიც, არის სიყვარულიც, შურიანობაც, მორჩილებაცა და გახელებაც, მაგრამ მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა იძულებით განდეგილთა ოცნებით წარმოდგენილისა და მათი რეალური ყოფის კონტრასტული სურათი: „მათი ზღაპარი მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა ერთ ღერძზეა გამოჭრილი: ბოროტი მუდამ მარცხდება, კეთილი კი იმარჯვებს; ძლიერი

ილუპება, საწყალი კი რჩება; ავი კაცი ადუღებულ კუპრში ვარდება, მართალი კი ბედნიერად ცხოვრობს". არადა, მათ ცხოვრებაში ყველაფერი პირიქით ხდება. ეს კი აბოროტებს ადამიანებს. „არსენა მარაბდელი" იმითაც არის საინტერესო ნაწარმოები, რომ იგი პასუხს იძლევა კითხვაზე, როგორ სჯობია: ვირწმუნოთ ზღაპრის შინაარსისა, მივყვეთ სიკეთის გამარჯვების თუნდაც ილუზიურ რწმენას, თუ დავთრგუნოთ ბოროტება ბოროტებითვე? ეს პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის არა ერთ ნაწარმოებში იჩენს თავს. მწერალს საკითხის ირგვლივ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. ეს პოზიცია ქრისტიანულ მრწამსს ეფუძნება.

„არა კაც კლა"

სახარებისეული შეგონება „არა კაც კლა" მიხეილ ჯავახიშვილის ზნეობრივი პოზიციაა, რაც ძალზედ შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი „არსენა მარაბდელში".

ზემოთ უკვე ვთქვი იმის შესახებ, რომ არსენას, როგორც სახალხო გმირის, მხატვრული სახის შექმნისას მწერლის ყურადღებას განსაკუთრებით ის ფაქტი იქცევდა, რომ ოძელაშვილი „უსისხლო გმირი" იყო. მაგრამ „არა კაც კლას" მოტივი ნაწარმოებში უფრო მძაფრი სიუჟეტებითაც არის გამჟღავნებული.

მას შემდეგ, რაც კაენმა აბელი მოკლა, ადამიანი ცოდვის შვილად ითვლება, კაცთაკვლა კი — შეცოდებათა შორის ერთ ყველაზე დიდ ცოდვად და დანაშაულად. ეს სალი გონების კაცმა იმდენად კარგად იცის, რომ უსამართლობის ჩამდენი უსამართლობას ისევ სიმართლის სახელით ჩადის. ჭირის ოფლს იწურავს, თავისი ჩანაფიქრი თუ ნამოქმედარი რომ გაამართლოს (ცხადია, თუ პათოლოგთან არ გვაქს საქმე). საცნაურია ის, რომ მკვლელს მკვლელის დაძახება სწყინს, სისხლში მოთხვრილს სისხლის ჩამობანა ეჩქარება_ ყოველივე ეს მხოლოდ სასჯელის შიშით არ ხდება. მკვლელი შესაძლოა სასჯელს გაექცეს, მაგრამ ვერსად გაურბის იმ პატარა ღმერთს, რომელსაც სინდისს ეძახიან_ სინდისის სრულ ამოშანთვას კი ზოგჯერ თვით ნებადართული, პროფესიონალი მკვლელებიც ვერ ახერხებენ და ისინი შინაგან ქენჯნას გალოთებამდე, გაგიჟებამდე, სრულ განადგურებამდე მიჰყავს.

მე-20 საუკუნემ, კაცთა შორის ტოტალურმა გაუცხოებამ, სახარებისეულ ცნებათა დავიწყებამ, განსაკუთრებით ჩვენს ათეისტურ საზოგადოებაში, ადამიანთა დიდი ნაწილი სრულ გადაგვარებამდე მიიყვანა. სახელმწიფო მანქანა

20-იანი წლებიდან სწორედ იმაზე მუშაობდა, რომ ადამიანს „დახმარებოდა“, შინაგანი ხმისაგან თავი დაეღწია. იდეოლოგიური მოსაზრებებით, მოქალაქეებს სისასტიკის სრული თავისუფლება მიეცათ და კაცთაკვლა საქებარ და ჯილდომისაგებ საქმედ იქცა. ამ ფონზე მწერალი მიდის მდინარის დინების საწინააღმდეგოდ და ადამიანებს აფრთხილებს — თუ ადამიანი დაივიწყებს სინდისს და ღვთის ხატად და მსგავსად ქმნილი მეორე ადამიანის სისხლში ამოითხერის ხელებს, თვით სინდისი გაახსენებს მას თავს და ეს გახსენება ყოველგვარ ტანჯვაზე უმწარესი იქნება, მით უფრო, თუ მოკლული უმწეო ბავშვია ან უმწეო დედაკაცი...

გააკაცებულმა გლეხებმა ქვეშხეთელი თავადის, სუმბათაშვილის, ოჯახში კალო დაატრიალეს. ბატონი სტუმარ-ჯალაბიანად ამოაგდეს. „ექვსი გააქებული მამაკაცი სასადილო ოთახში შევარდა და სანთლების შუქზე ექვსი ხანჯალი ექვს მოკლე ელვასავით დატრიალდა“.

—დაჰკა! დაჰკა, აჰკუწე!

და კრიალა ფოლადები ერთ წუთში მუქი სისხლით დაიბინდა.

— არ დაინდო! ასჩეხე! არ გაუშვა!

სამი გალადრულ-გამოფაშული ქალიც სასოწარკვეთილი კივილით და განწირულთა უიმედო ბღავილით დაეცა იატაკზე. ოთხი წლის გაფითრებული ბალღი კედელს აჰკროდა და ცახცახით ჰბუტბუტებდა:

— ძია, მე პატარა ვარ და ნუ მომკლავ... შემიბრალეთ.

არ დაინდეს. ხანჯალ ამოღებული სიმონა ბალღისკენ გაემართა. ბავშვი თვითონვე გამოიქცა მისკენ, მუხლებზე მოეხვია და ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— მე პატარა ვარ და ნუ... ნუ... ნუ!

და ვეღარ დაამთავრა. მამაკაცის გაეშებული ხელი ყანყრატოში მისწვდა და მოუჭირა. ბავშვმა თვალები გადმოჰყარა და ენა გადმოაგდო.

სიმონამ კი ერთხელ კიდევ აღმართა სატევარი...

შემაძრწუნებელია ეს სურათი. უსაზღვროა გაბოროტებული მამაკაცის სისასტიკე, მაგრამ მკვლელად ქცეული გუთნის დედა ყველაზე უბედურად ახლა ქცეულა. შურისძიების ობიექტად როცა უდანაშაულო ადამიანები ხდებიან, შურისმაძიებელი, გულზვაობის დაცხრომის ნაცვლად, კიდევ უფრო გაწამებული ხდება თურმე.

ტყეში გაქცეულ მკვლელებს დროდადრო სიმონა ჩამორჩება და საწყალობლად ყვირის:

— ძმებო, ენა!

სხვებიც შესდგებიან და ეკითხებიან...

— რა ენა? რის ენა?

ცხოვრებაძე ხმას არ იღებს და ქშენით მირბის. მერმე ისევ შესდგება და შემკრთალი ხმით დაიძახებს:

– ძმებო, ენა!

რიყრაყზე სიმონა ერთხელ კიდევ წამოვარდა და ყველანი წამოშალა:

– ძმებო, ი ბალღი მომაშორეთ, თორემ გავგიჟდები! სულ თან დამდევს, ენას მიყოფს და ალარ მშორდება. – წამოიძახა მან და ხანჯალ ამოწვდილი ეცა ფოთლიანს, ეცა და გავეშებული ჰაფავდა ყლორტებს, ჰაერს და თან ჰკიოდა:

– დაიჭი, არ გაუშვა! ესეც შენ! ესეცა! არც ახლა მომშორდები? – და ის ბალღი ერთხელ კიდევ ასჩეხა და მის ენას ღრმა ხევში დაემალა.

ისევ დაიჭირეს, შეჰკრეს, წყალი მიასხეს და პირქვე დააგდეს. მაგრამ ბავშვი მიწაში ჩაწოლილიყო და თავის მკვლელს იქიდანაც აწვალებდა“.

ვერ დაემალა ცხოვრებაძე იმ პატარა ღმერთს, სინდისს რომ ეძახიან, რადგან იგი ჩვენშია, სულში სახლობს და ვერსად გაექცევით. მრავლისმეტყველია ეს დეტალი. ამ სიუჟეტით მწერალმა წინასწარმეტყველურად თავის მომავალ მკვლელებსაც გამოუტანა თითქოს განაჩენი...

ბედი მდევარი დროულად რომ არ წამოსწეოდა სიმონას და მისი სიცოცხლე არ დაემთავრებინა, კიდევ უფრო უბადრუკი იქნებოდა მისი ცოდვიანი არსებობა...

როცა არსენამ ტყის ძმების ნამოქმედარი და მათი ჩამოხრჩობა შეიტყო, მთრთოლვარე ხმით თქვა: ,,ვაი შენ, ჩემი ცოდვით სავსე სევასტი! ვაი შენ, საწყალო სიმონავ! აბა რა ვაკაცობაა, რომ დედაკაცები და ბავშვები დაგიხოცნიათ! რა მალე დაგწევიათ მათი ცოდო! თქვენ უბედურებო, განა არ იცოდით, რომ ბავშვებისა და დედაკაცების სისხლი არასოდეს იკარგება?“.

სულის სიღრმემდე შემძვრელია ეს სიტყვები, მით უფრო ჩვენი დროის ქართველი მკითხველისთვის, რომელმაც თავისი თვალით იხილა ალესილი ნიჩბებით კისრისძარღვებგადაჭრილი ბავშვებისა და დედაკაცების დაქცეული სისხლი...

ხომ უბედურებაა ადამიანისაგან ადამიანის ღვთითბოძებული სიცოცხლის ხელყოფა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უბედურება გახლავთ, როცა ეს აქტი დანაშაულად კი არა, კანონის აღსრულებად აღიქმება. თუ კაცი კაცს ჰკლავს, იგი მკვლელია, ხოლო თუ სახელმწიფო ჰკლავს ადამიანს კანონის სახელით, ამას მართლმსაჯულების აღსრულება ჰქვია. ალბათ გახსოვთ ილია ჭავჭავაძის ,,სახრჩობელადან“ კეთილი პეტრეს სახე, ვერაფერით რომ ვერ დაუკერებია მოხუცს, საკვარიდ, მილეთი ხალხის წინაშე მართლა თუ შეიძლება ადამიანის ხატასავით ჩამოხრჩობა. ამ მოთხრობის ასოციაციას აღძრავს ,,არსენა მარაბ-

დელის“ ერთი სიუჟეტი. მილიციელ როსტომ ყოჩაშვილს გამოუცხადებენ: რადგან საომარი წესების დროს დიდი დანაშაული ჩაიდინე — დახვრეტა გამოგიტანეთო. მერედა, ვინ უნდა დახვრიტოს როსტომი, მასთან თანშეზრდილმა ბიჭებმა? ან იქნებ ძმამ, მილიციელებში რომ შემდგარა თოფმომარჯვებული? ან რა დააშავა ისეთი, ტყვია რომ ესროლონ? ეს იმდენად წარმოუდგენელია ყოჩაშვილისთვის, რომ ეჭვადაც არ გაუვლია გუნებაში, მართლა ხომ არ მკლავენო. იღიმებოდა. იმგვარი ღიმილით მოისმინა განაჩენი, რომ მტკიცედ იყო დარწმუნებული — მეხუმრებიან, მატყუებენ, ჩემი ვაჟკაცობის გამოცდა სწადიათო.

მის პირდაპირ მილიციელთა რაზმი იდგა. როსტია ყველას იცნობდა. მწყობრს თვალი მოავლო და ამათაც ჩაულიმა.

— დედ-მამასთან ხომ არაფერს დამაბარებ? — ჰკითხა მას მისმა აფიცერმა და მეზობელმა ჯორჯაძემ.

— რა უნდა დაგაბარო? — გაოცებით უპასუხა როსტიამ და დაუმატა: —სააღდგომოდ ენახავ და თვითონვე ეტყვი.

ჯორჯაძემ გაოცებით შეხედა როსტიას და გატრიალდა.

როსტიამ უცებ თავის ძმას სულხანს მოჰკრა თვალი და იმასაც გაუცინა. სულხანიც მწყობრში იდგა და ისეთი ფერი ედო, თითქო ეს არის ალგეთიდან ამოიღესო, იდგა და ვითომ იმასაც თოფი უნდა ესროლა ძმისთვის. ეს კი მეტისმეტი იყო. „არც ასეთი ხუმრობა ვარგა, — გაიფიქრა როსტიამ, — თუმცა, სულ ერთია, ჰაერში გაისვრიან, გამოცდიან როგორი ვაჟკაციაო და მერე ამის მიხედვით დამსჯიან“.

არ იფიქროთ, რომ ტყვიის წინაშე ჭკუანაკლული კაცი დგას. არა, მისი ფიქრები საკმაოდ ლოგიკურია, ჭკუიანურიცა და ადამიანურიც. აბა, როგორ უნდა წარმოიდგინოს კაცმა, რომ საიდანღაც ჩამოთრეული ვილაც ბასილა მაიორის სიტყვაზე მეგობრები და ძმა თოფებს გადმოიღებენ და მეგობარსა და ძმას ესვრიან. განა ამის წარმოდგენა უფრო ალოგიკური და არაადამიანური არ არის? მთელი ტრაგიზმი სიტუაციისა სწორედ იმაშია, რომ ის, რაც ამ კონკრეტული ვითარებისათვის ალოგიკურია და არაადამიანური, იმავდროულად „კანონიერია“. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ყოჩაშვილი კი კანონის წინაშე დამნაშავეა. როსტომის მეგობრები და ძმა კანონს ასრულებენ_

„სულხანი ვერსვივით თრთოდა. უმცროს ძმას რალაც ეჭვი შეეპარა და შემზარავი ხმით შესძახა უფროს ძმას:

— ბიჭო სულხან ეს რა ამბავია? მართალია თუ გატყუებენ?

„პასუხი ბარაბნების რახუნმა ჩაჩქმალა_“ —ათმა თოფმა ერთად იგრიალა“.

ეს სიუჟეტი ყველაზე მძაფრი და ღრმად ფსიქოლოგიურია რომანის მხატვრულ ქსოვილში. სადღაც, ვილაცის მიერ დაწერილი კანონით დათრგუნვილი სულხანი ახლაღა გამოერკვა. ახლაღა მიხვდა, ადამიანის ხელით დაწერილი კანონის ძალამ დაუწერელი, ღვთიური კანონი რომ დაარღვევინა, ძმას ძმა მოაკვლევინა, მეგობარს — მეგობარი. მიხვდა და აბღავლდა.

— ოოჰ, ძაღლებო!.. მხეცებო! მე თქვენ გაჩვენებთ როგორ უნდა უბრალო კაცის მოკვლა! საოცარი სისწრაფით შეუდგა თავისი თოფის გატენას და მაიორზე გაიწია. სულხანი შეჰკრეს, დაამწყვდიეს. არა ნაკლებ გაოგნებულ მაიორს კი აუხსნეს მოკლული ძმა იყო მისი და „მა რა ჰქნას"-ო.

არლოვს წარბიც არ შეუხრია.

— მერე რა რომ ძმა იყო? რაკი ბრძანება მიიღო, ძმა კი არა, თავის ცოლ-შვილიც უნდა დაეხოცნა და დედ-მამაც.

ეს სიტყვები მხოლოდ ბასილა მაიორის სულიერ ავლა-დიდებას რომ ახასიათებდეს, ერთი კერძო შემთხვევის ფიქსირებასთან გვექნებოდა საქმე, მაგრამ, საუბედუროდ, იმას, რასაც თახსირი ბასილა ამბობს, ჩვენი დროის სახელმწიფო სამართალიც იმეორებს, სამართალი, რომელმაც პავლიკ მოროზოვობა გმირობასთან გააიგივა...

ორთაბრძოლის ასპარეზი

„არსენა მარაბდელს", გარდა მხატვრულ-ესთეტიკურისა, დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს გასული საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარების სწორად წარმოსადგენად. ყოველ მხატვრულ თხზულებას, თავისთავად ცხადია, შემეცნებითი ღირებულებაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ ფაქტს განსაკუთრებით იმის გამო ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ისტორიკოსთა და მწერალთა უდიდესი ნაწილი მე-19 საუკუნის ისტორიას ცალმხრივად და ყალბად წარმოაჩენდა. რაკი საქართველო მე-20 საუკუნეშიც ფაქტიურად რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად დარჩა, ისტორიკოსებსაც და მწერლებსაც, სახელმწიფო ინტერესებიდან, ანუ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, კონცეფციების შემუშავება და პროპაგანდა ეკისრებოდათ. ერთი ასეთი კონცეფცია გახლდათ შემდეგი: 1801 წლიდან, რუსეთის მფარველობის მეოხებით, მრავალტანჯულ საქართველოს მშვიდობა ეღირსა. რუსის ჯარი გარეშე მტრისაგან იცავდა ჩვენს ქვეყანას.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანი გაბედულად არღვევს ამ ყალბ კონცეფციას. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ჯავახიშვილს დაპატიმრების წინა დღეებში, სხვა უამრავ ბრალდებასთან ერთად, დანაშაულად ისიც წაუყენეს, რომ „არსენა მარაბდელი" ნაციონალისტური რომანი არისო... არ უშველა მწერალს კარპიჩას, მეშთას, ოსტაპის, დალი ჰასანის, ამ „ინტერნაციონალური ოთხეულის" „ტყის ძმებში" გარევამ...

ნაციონალისტური პათოსი მაშინ დიდ დანაშაულად ითვლებოდა, თორემ, ისე, მწერალი სწორედაც ეროვნული, ნაციონალური პოზიციიდან აღწერს ისტორიულ სინამდვილეს. ეს სინამდვილე კი ასეთი იყო: რუსეთის კავკასიაში შემოჭრის შემდეგ საქართველო იქცა ორთაბრძოლის „პოლიგონად". რუსეთს, ერთი მხრივ, ომი აქვს მთის ტომებთან, მეორე მხრივ, თურქეთთან და იმავდროულად სპარსეთთან. მართალია, ყველა ესენი ისტორიულად საქართველოს მტრები იყვნენ, მაგრამ ახლა, დიდი იმპერიების ორთაბრძოლაში, საქართველოს ტერიტორია ასპარეზად იქნა გადაქცეული და ყველაზე მეტად ისევ ქართველი ერი ზარალდებოდა, მშვიდობის ნაცვლად კი კლავ სისხლისგან იცლებოდა. ისიც მართალია, რომ საქართველომ ამ ომების შედეგად ისტორიული ტერიტორიების ნაწილი დაიბრუნა, მაგრამ ამ გამარჯვების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ცარიზმს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა აღმოსავლეთში და ქართველთა გასახარებლად არ გზავნიდა ჩრდილოეთიდან ყაზახ-რუსების ათასეულებს. ამ ვითარებას სავსებით ესადაგება ოძელაშვილის შემდეგი სიტყვები: „რუსი თათარს ეომება, ქათამს კი უთქომს: ცხვარი დაკლეს და მე წამაკლეს, ღორი დაკლეს და მე წამაკლეს, ძროხა დაკლეს და ისევ მე წამაკლეს". ეს ანდაზა ჩვენში შეიქმნა და ჩვენსავე ბედზეა ზედგამოჭრილი.

ახალციხის ომის დაწყების წინ მთავარსარდალი პასკევიჩი ქართველ თავადებს ასეთი „მხურვალე" სიტყვით მიმართავს: „ქართველები არც აქამდე ჩამორჩენილხართ რუსებს, ახლა კი ნამეტანი მხნეობა და ვაჟკაცობა გმართებთ. თქვენ ძველადაც შეჩვეულები ხართ და ახლაც წესად დაიდეთ, რომ ციხის გალავანზე ასვლის პირველობა არავის არ უნდა დაუთმოთ... ბატონებო, სამხედრო ისტორიაში წამიკითხავს, რომ ნადირ შაჰმა დიდი საჩუქარი დაუნიშნა იმ სამხედრო ნაწილს, ვინც პირველი ავარდებოდა გერათის და ყანდაარის გალავანზე. და როცა ათი თვის ალყის შემდეგ ციხეს მიესიენენ, პირველობისათვის ყველანი გააფთრებით იბრძოდნენ — ქართველები, თათრები, სპარსელები, ლურები, ბახტიარები, კაშკაველები და კიდევ სხვანი მრავალნი, მაგრამ ჩოლოყაშვილის სახელოვანმა ათასეულმა გერათშიაც და ყანდაარშიც ყველას აასწრო და პირველობა დაიჩემა. მე მრწამს, ქართველებო, რომ დღეს

თქვენს წინაპრებს არ ჩამორჩებით და პირველად თქვენ შეცვივდებით „თქვენს“ ახალციხეში“.

„პასკევიჩი ქართველებს უწყალოდ უქონავდა თავს და ისინიც მზად იყვნენ თუნდაც ზარბაზანში შემძვრალიყვნენ გასასროლად, — მწარე ირონიით დასძენს მწერალი, — ოღონდ კი ერთი ჯვარი კიდევ მიეღოთ და მათი გვარი პასკევიჩს თავის „რელაციაში“ ჩაეწერნა, რომელსაც „ჩვენს სათაყვანებელ მეფეს“ უგზავნიდა ხოლმე“. შემთხვევით არ გახსენებია ცბიერ მთავარსარდალს ნადირ შაჰი და მის ჯარში პირველობისათვის თავგადაკლული ქართველები. ისტორიულად სხვის ომში ბრძოლა ხომ თითქმის ჩვენს ავადმყოფობად იქცა. ვის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ რუსული ხიშტის დიდებისათვის ორბელიანებსა და ერისთავებს, ანდრონიკაშვილებსა და ჩოლოყაშვილებს, ამილახვრებსა და ჭავჭავაძეთ, ბარათაშვილებსა თუ გაგრატიონ-მუხრანსკებს? ხიმშიაშვილების, ბერიძეების, ჯაყელების, თმოგველების წინააღმდეგ. დიახ, ერთ მხარეს მაჰმადიანი ქართველობა იდგა და ქრისტიანთა დასახვედრად ემზადებოდა, მეორე მხარეს კი ქრისტიანი ქართველობა იკრებდა ძალებს, რათა „ურჯულო მესხებს“ გასწორებოდნენ. ერთი მხარის უკან თურქი იღიმებოდა ცბიერად, მეორე ჯარს კი რუსი ამხნევებდა ღიმილით_ „ეს ქართველები, — ამბობს ძმათა შორის სისხლისღვრით გულდამწვარი მარაბდელი, — ან ღმერთმა გაატუტუცა, ან რუსები და თათრები ძალით აჭლეტინებენ ერთმანეთს“. საუბედუროდ, არც ერთი აზრი იყო უსაფუძვლო და მით უფრო, არც მეორე_

„მეწინავე“ ქართველები მართლაც პირველები შეცვივდნენ ჩვენს ახალციხეში და ეს ძმათა შორის სისხლისქცევა იმით მაინც გაამართლეს, რომ ისტორიული მესხეთის ნაწილი კვლავ დაიბრუნეს, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვი, სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან მესხები, მაჰმადიანებიცა და ქრისტიანებიც, სათათრეთისკენ გაყარეს ხელისუფალთა და გამთავისუფლებულ სამხრეთ საქართველოში ხონთქრის სამფლობელოდან სომხები გადმოიყვანეს. სომხები მოდიოდნენ და მესხების ნაბუდარში სხდებოდნენ_

ასეთი იყო ისტორიული სინამდვილე, ამ სინამდვილის ასახვის დროს „არსენა მარაბდელის“ ავტორს სინდისისთვის არ უღალატია, რის გამოც მას ისევ ქართველთაგან დაატყდა რისხვა, როგორც ნაციონალისტ მწერალს!_

1832 წლის შეთქმულება „არსენა მარაბდელის“ მიხედვით

„არსენა მარაბდელის“ მოცულობა მწერალს თავდაპირველად სამ წიგნად, ტეტრალოგიად ჰქონია ჩაფიქრებული. ამ მიზნით მას წლების განმავლობაში უმუშავია ისტორიულ წყაროებზე, განსაკუთრებით, 1832 წლის შეთქმულების მასალებზე. ტეტრალოგიის შექმნაზე მწერალმა ბოლოს ხელი აიღო, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ისტორიის პირველწყაროებში გაცნობამ ის სიკეთე გამოიღო, რომ რომანისტი უაღრესად სანდო ისტორიკოსადაც გვევლინება. თუ რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია 1832 წლის შეთქმულების მასალების კვლევისას, ამაზე თვით მიხეილ ჯავახიშვილი გვაწვდის ცნობას. წერილში — „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“ — ვკითხულობთ: „ისტორიული მასალის მხრივ მე უხვად ვიყავი დატვირთული და არა ენანობ იმის გამო, რომ მრავალი ზედმეტი მასალა დამრჩა გამოუყენებელი და მოგროვებაზე უამრავი ზედმეტი დრო და ენერგია დამეხარჯა. მაგ. რუსეთიდან ჩამოტანილი 28 ხელნაწერი ტომი 1832 წლის შეთქმულების შესახებ ყველაზე ადრე მე წავიკითხე (ამის გარდა ჩვენს არქივშიც ინახებოდა 8-9 ტომი), მაგრამ თითქმის ვერაფერი ვერ გამოვიყენე, და რაც გამოვიყენე, ის ადრეც ვიცოდი“.

ის, რაც გამოიყენა მწერალმა რომანში, ზედმიწევნით ესადაგება 1832 წლის შეთქმულების შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებს, რომელიც სამ დიდ ტომადაა გამოცემული გ.გოზალიშვილის მიერ.

შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური ალექსანდრე ორბელიანი მოგონებაში წერს: „ეს შეთქმა ასე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გაერთიანებულიყავით და ერთიანად აღრეულობა მოგვეხდინა“. შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ ფრანგებთან, ინგლისელებთან, პოლონელებთან, ეგვიპტელებთან. მოქმედების კონკრეტული გეგმაც იქნა დასახული. გადაწყდა—აჯანყება დაეწყოთ 1832 წლის 20 დეკემბერს, რადგან ამ დღისთვის იქნა გადატანილი თავად-აზნაურთა ყრილობა და, ამდენად, 20 დეკემბრისთვის ყველა დიდგვაროვანი ქართველი ერთად იქნებოდა შეკრებილი.

აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ სპარსეთში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილისთვის, სოფლებში კი უნდა დაეყარათ ხმა — ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარებით ქალაქში შემოვიდა და ყველას გთხოვთ, რომ ჩამოხვიდეთო. გლეხკაცობა ალექსანდრეს ელოდა ისე, როგორც მესიას.

დაიწერა „პირველი ღამის განკარგულება“, რომელშიც დაწვრილებით არის ფიქსირებული მოქმედების გეგმა. აჯანყების წინა დღეს ქართველი თავადაზნაურობის სახელით უნდა გამართულიყო წვეულება, სადაც მოწვეულ უნდა ყოფილიყვნენ ყველა სამხედრო და სამოქალაქო რუსის მოხელენი. აქვე უნდა გაჩენილიყვნენ შეთქმულთაგან ყველაზე გაბედულნი. ისინი ჩაცმულნი იქნებოდნენ ეროვნულ ტანსაცმელში. თან უნდა ჰქონოდათ ხმალი და ჯიბეში ორ-ორი გატენილი დამბაჩა. წვეულება ლუარსაბ ორბელიანის დიდ სახლში უნდა შემდგარიყო. როგორც კი ღამის პირველ საათზე რაკეტებით ნიშანს მისცემდნენ, უნდა დაეწყოთ მოქმედება და იქიდან არცერთი რუსი არ უნდა გამოეშვათ. ხოლო თუ ვინმე ქართველთაგანი გაბედავდა წინააღმდეგობას, ისიც რუსებთან ერთად უნდა მოეკლათ.

ყველა სამხედრო დანიშნულების ობიექტთან წინა ღამით უნდა ჩაეყენებინათ ქართველნი. 20 დეკემბერს შესაკრებ ადგილად დათქმული იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა მუსიკას. აქ თავს მოიყრიდნენ თბილისში გადმოსახლებული თანამგრძნობი პოლონელებიც. ეკლესიებში ატყდებოდა ზარების რეკა. სიონის ტაძრიდან უნდა გამოეტანათ ღვთისმშობლის ხატი, რომლითაც დაიძრებოდა სამღვდელოება და ხალხი ძახილით: — „საქართველოს განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთ“. შეთქმულებს ევალებოდათ ქალაქში ყოველგვარი უწესრიგობის აღსაკვეთად წინასწარი ზომების მიღება.

აჯანყების დაწყების დღე იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ ზამთარში კავკასიის მთებში გაყვანილ რუსის ჯარებს გაუჭირდებოდათ მსწრაფლ თბილისში ჩამოსვლა. გაზაფხულამდე ბუნებრივად გადაიკეტებოდა დარიალის ხეობა და საზღვაო შემოსასვლელებიც.

მეფედ უნდა მოეწვიათ ალექსანდრე ბატონიშვილი. წინასწარ იყვნენ დასახელებულნი მომავალი მინისტრებიც.

1832 წლის 9 დეკემბერს გენერალ-მაიორმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეთქმულთა დავალებით აჯანყების გეგმა გაანდო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანდიშვილს. იმავე დღეს ნიკოლოზის ძმამ იასემ, შეფიცულთა ერთ-ერთმა მეთაურმა, შეთქმულება გასცა და ყველანი დააპატიმრეს. ასეთია ისტორიული დოკუმენტების მიხედვით 1832 წლის შეთქმულების სქემატური ისტორია. ასევეა წარმოდგენილი ეს შეთქმულება რომანის მიხედვით, მაგრამ მწერალი მთელს ამ ისტორიაში საკუთარი ფანტაზიით ერთხელ ერევა და ამ ჩარევით ნათლად შეიძლება დავინახოთ, თუ რაშია გამოხატული მწერლის მისია ისტორიკოსისაგან განსხვავებით: სამოქალაქო გუბერნატორმა შეიტყო რა, რომ შეთქმულებაში მისი ძმაც იყო გარეული, იგი აიძულა გამცემის როლი ეკისრა: მთავარ შტაბში წაიყვანა,

გენერალთან შევიდა და მოახსენა: ღმერთმა დამსაჯა, ძმად ხელმწიფის მოღალატე მარგუნა, მაგრამ ჩემი დახმარებით ახლა სურს წრფელი გულით მოინანიოს და ახლავე გეახლებათო.

„ოთახიდან გამოვიდა და კედელზე ატუზულ ძმას უთხრა:

— ყველაფერი მზად არის... გენერალი გიცდის და შედი.

იასე გასაქცევად მოსხლტა:

— არ შემიძლიან! ვერ შევალ!

ნიკომ ხელი სტაცა და მიატრიალა:

— რამ გაგაგიჟა? შედი მეთქი — თან ხელს ჰკრავდა კარებისკენ და გაბრაზების ეუბნებოდა: — შედი მეთქი! ხომ არ შეგჭამს! სირცხვილია! რას იტყვიან! შედი, შედი მეთქი!

— ნიკო რას მიშვრები? ძმა ხარ და შემიბრალე.

არ შეიბრალა და ღვიძლი ძმა დასაკლავი ხარივით შეუგდო გენერალს. შეუგდო და რომის იმ სენატორივით გამოვიდა გარეთ, ვინც ეს არის ახლა უმძიმესი და უზენაესი ვალი მოიხადა ცეზარისა და სამშობლოს წინაშე. გამოვიდა და ერთი წუთით რომაულ ტოგას მაგივრად ოქროს მკერდით მოქარგული რუსული სენატორის მუნდირი მოელანდა.

იქ კი, შიგნით, გენერლის წინაშე მისი ღვიძლი ძმა შეტორტმანდა. გულწასულივით დაეშვა სკამზე და კაეშნით საცოდავი თვალები იატაკს ჩააბჯინა“— ჩეხოვი ერთგან წერს: მე არ ვარ მოვალე გითხრათ, ცხენის ქურდობა კარგია თუ ცუდი, მე უნდა აღვწერო ცხენის ქურდობა.

განხილულ სიუჟეტში მიხეილ ჯაბახიშვილი ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს ღალატს, არაფერს არ სჯის, არ გვმოძღვრავს, არ აანალიზებს, რა ამოძრავებდა ძმის მოღალატეს. არ კიცხავს იასესაც, რომელმაც ასობით ოჯახი დალუპა. „უბრალოდ“ აღწერს, როგორც პირველი, ისე მეორე მოღალატის ფიქრსა და საქციელს და ამ აღწერაში ჩვენს თვალწინ იშლება შემზარავი სურათი მოღალატური აქტისა, ქვენა გრძნობები კარიერისტისა, იასე ფალავანდიშვილისადმი კი ზიზღთან ერთად შებრალების გრძნობაც კი გვიჩნდება. იგი ძე შეცთომილია. ძე შეცთომილისადმი კი ამგვარ გრძნობის გაჩენას მკითხველში დიდი მწერლები ახერხებენ.

ერთი სიტყვით, იქაც კი, სადაც მიხეილ ჯაბახიშვილი კვალში მიჰყვება და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს ისტორიულ ფაქტებს, მოულოდნელი, თუნდაც მცირე დეტალის შეთხზვით სრულიად ახალ რეალობას ქმნის.

1832 წლის შეთქმულების მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება გარეშე მტერთაგან და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ ფაქტს აღნიშნავს ყველა შეთქმული. იმპერიის იმდროინდელი სამხედრო მინისტრი

ჩერნიშოვიც, რომელიც საქართველოს მთავარმართებლის ბარონ როზენისადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში წერს: „პირველ დამნაშავეებად და ბოროტ-განზრახულების დასაბამის მიმცემად, ეჭვს გარეშეა, უნდა მიჩნეულ იქნან: ბატონიშვილი ოქროპირ და თავადი დიმიტრი, რომელნიც მხილებულნი არიან შეთქმულთა მრავალი ჩვენებებით. ისინი შთააგონებდნენ ახალგაზრდა ქართველ თავადებს შეედგინათ საიდუმლო საზოგადოებანი იმ მიზნით, რომ მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“.

ცხადია, „არსენა მარაბდელის“ მიხედვითაც შეთქმულებს იგივე მიზანი ამოძრავებთ, მაგრამ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში 1832 წლის შეთ-ქმულების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად წარმოდგენა არ ითვ-ლებოდა მიზანშეწონილად... ამ შეთქმულების მიზეზად ხელისუფლების მორ-ჩილი ისტორიოგრაფია მიიჩნევდა თავად-აზნაურთა არა ეროვნულ, არამედ კლასობრივ ინტერესებს... აქაოდა, თავად-აზნაურებს სამშობლოს ბედი კი არა, პირადი ამბიციები აწუხებდათ, გლეხობა რომ მარტო მათ ეღვლიპათ და რუს ჩინოვნიკთა სახით მოზიარენი არ ჰყოლოდათო.

„არსენა მარაბდელში“ კი ავტორი ისტორიულ სინამდვილეს არ ღალა-ტობს, რისთვისაც კრიტიკის საყვედური დაიმსახურა... ჟურნალ „მნათობის“ 1933 წლის მე-5 ნომერში დაიბეჭდა შ.რადიანის წერილი „არსენა მარაბდე-ლი“. წერილში სხვა შენიშვნებთან ერთად ნათქვამია, რომ მწერალმა ვერ მოახერხა 1832 წლის შეთქმულების კლასიკური ხასიათის გადმოცემა. ვერ გვიჩვენა შეთქმულების სწორი შეფასებაო.

მიხეილ ჯავახიშვილი კი თავის მხრივ იმაზე იყო გულდაწყვეტილი, რომ თავისი პოზიციის გამოხატვა, შექმნილი ვითარების გამო, სრულყოფილად ვერ შეძლო და რიგ შემთხვევებში ხარკის გაღება უხდებოდა. მის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის: რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება, და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“. ამ სიტყვების შემდეგ უფრო საცნაური ხდება შარადიანის უმართებულო შენიშვნის გასწვრივ მწერლის მინაწერი: „ბევრი რამე მაკლია: რაც ვთქვი, ჩვენი დროისათვის ესეც ბევრია“.

ეს უკანასკნელი ფრაზა მიხეილ ჯავახიშვილის მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმართ შეიძლება განზოგადდეს. ჭეშმარიტად რაინდული სული უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ იმ დროში ეთქვა ის, რაც მან გაბედა და შეძლო.

«ლამბალო და ყაშა»

წინათქმა

ქართული მწერლობის დიდ პანორამაში მომხდურის, მოძალადის სახე ხომ თითქმის მოუცილებელ ატრიბუტად მოჩანს, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არც ერთ მწერალთან და თვით ვკავახიშვილის სხვა თხზულებებშიც არ არის ისე მძაფრად, ისე მოურიდებლად, ისეთი პირდა-პირობით ნაჩვენები ჩრდილოელი დამპყრობლის ვერაგული სახე, როგორც „ლამბალო და ყაშაში“.

ამ ვრცელ მოთხრობაში ნაჩვენებია რუსთა თარეში დაპყრობილ ირანის ტერიტორიაზე, ურმიაში, ძველ ალბანელთა მიწა-წყალზე...

მწერალი წითელ ჯვარში მსახურობდა და მოთხრობაში აღწერილი ამბების თვითმხილველი გახლდათ.

ნაწარმოები დაწერილია 1925 წელს.

როგორც მიხეილის ბიოგრაფიიდან ვიცით, მის ზურგზეც გადაიარა 1921-1924 წლების უბედურებებმა, რაც ჩრდილოელმა საქართველოში დაატრია-ლა.

მან სულ რაღაც შვიდიოდე წლით გადასწია მეხსიერების ფარდა და ის საშინელებანი, რაც მოთხრობის წერის პროცესში ხდებოდა, უკანა რიცხვით აჩვენა, რუსეთის წინა ხელისუფლებას დაუკავშირა.

მწერალი ხომ ორივე რეჟიმის ავკაცობათა მომსწრე იყო.

ამდენად, „ლამბალო და ყაშა“, ერთი მხრივ, დოკუმენტური მოთხრობაც არის და, მეორე მხრივ, სიმბოლურად ახალი რეჟიმის არსის ამსახველი და განაჩენის გამომტანიც (ამაზე ქვემოთ).

მოთხრობაში ბედი ერისა და პიროვნებისა თანხვედრილია.

„ლამბალო და ყაშა“ იმ ადამიანის მონათხრობია, რომელიც მის პერსონა-ჟთან ერთად ერთხელ უკვე ძიძგნეს. მთხრობელი გადარჩა. ახლა სხვა ცრუ ექიმები დასევიან, ის კი საოპერაციო მაგიდიდან, წინარე ცრუ ექიმების ბედის მაგალითზე, დოკუმენტური სიზუსტით უხატავს მათ მომავალ განაჩენს_

წარსულით წინასწარმეტყველება

„ლამბალო და ყაშას“ ურმიის შფოთიანი ტბის პეიზაჟის აღწერითა და სპარსეთის ისტორიული ექსკურსიის გადმოცემით იწყებს მწერალი. ნაწარმოების ბოლოს კი ირკვევა, ამ შესავალს უფრო ღრმა დატვირთვა აქვს, ვიდრე ბუნების სურათის ოსტატური აღწერა ან ისტორიული ანალების მკითხველებისათვის გაცნობაა.

„ვისის, რამინისა და ზარატუშტრას სამშობლო ათჯერ მაინც იყო მონათლული: მიდია, ასურეთი, პართია, ადარბადაგანი, ადარბაგანი, აზერბაიჯანი, ადერბაიჯანი და კიდევ რამდენიმე სახელი ჰქონდა — დღეს უკვე დაკარგული და მივიწყებული“.

ბედმა მდევარმა იმ ტომებს, რომელთაც ურმიის მიდამოებში მცხოვრებთ მოუღეს ბოლო და თავად დამკვიდრდნენ, იგივე მიაგო, რაც წინამორბედთ: „მიდია ბრძოლაში გატეხილ ოქროს თასივით გადადიოდა ხელით ხელში: ალექსანდრე მაკედონელი, მისი მემკვიდრე პარმენიონი და პიფონი, სელევკიდები, სირიელნი, ანტიოხი და მიტრიდატი — ყველამ გასთელა და გასწიწკნა წაქცეული რაინდი და მის უზარმაზარ საფლავს თითო მუჭა მიწა მიაყარა. მერმე იმ საფლავს ირანი და ოსმალეთი დაასხდნენ და მისი სამარის წარწერაც კი წაშალეს“.

„ასიოდე წლის წინათ კლდეზე ვკერ კიდევ იწოდა თურმე შვიდიოდე სიტყვა.

„მე ალექსანდროს... ყოველივე აქაური ემორჩილების ნებასა ჩემსა“.

ახლა კი მრისხანე დამპყრობლის, ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვების მაუწყებელი წარწერიდან მხოლოდ სამი ბერძნული ასო შემორჩენია დრო-ჟამს — „ა... ოს“, რომელიც იმ კლდის მკერდიდან ისე მოისმის, „როგორც წყალწაღებულის უიმედო ძახილი:

— აა... ო-ო-ო-ო-ოს!“

აქ მთავრდება შესავალი და იწყება ამბავი ოდესლაც ძლიერი, სხვათა მპყრობელი ირანის წყალწაღებული და ტრაგიკული ყოფისა, რომელსაც ბედმა მდევარმა წარსულ ცოდვათა სასჯელად მასზე ვერაგი დამპყრობელი მოუვლინა.

ოდესლაც ძლევამოსილი მაკედონელის უიმედო ძახილს — ა...ოს, ახლა ირანის „ლომის“ საწყალობელი ხავილი შერთვია. ახალი მტაცებელი — იმპერია ჩრდილოელთა, სისხლიდან ცლის მსხვერპლს. მტაცებელი კი ადრე თუ გვიან თავად იქცევა მსხვერპლად. ნაწარმოების ფინალით ამ კანონზომიერებას ამტკიცებს ჯავახიშვილისეული ბედი მდევარი, რომელიც ურმით დადის და ჭრის სამართალს.

სიუჟეტების ისტორია, ანუ დანაშაული და სასჯელი

უკვე ვთქვით, „ლამბალო და ყაშა“ ის ნაწარმოებია, რომელშიც ერისა და პიროვნების, გნებავთ, სახელმწიფოსა და პიროვნების ბედია თანხვედრილი. ლაყე კვერცხივით ფუყე და წამხდარი ურმიის გუბერნატორი ითიმად უდ დოულე განსახიერებაა დაცემული, რუსეთ-ინგლისის მიერ დაფურთხებული, დამფრთხალი და შეშინებული სპარსეთისა.

გენერალი ჩერნოზუბოვი, ეპისკოპოსი პაველე, კომენდანტი ბერეზოვსკი, კონსული ნერატოვი — ყველა ესენი დამპყრობელ რუსთა სახელმწიფოს ხორცშესხმული ხატებანია.

რუსეთს სპარსელებთან ომში ადრე დაპყრობილი, აწ მონური ერთგულებით თვით რუსებზედაც დიდ რუსებად ქცეული „იანიჩრებიც“ ეხმარებიან.

სომეხი ბაბალიანცი სხვათა მიწაზე ვაჭრათად მივლინებულა, ხოლო ყაშა-ლაზარე, აისორი მღვდელი, სისხლით ხორცამდე სადისტი, მის მბრძანებლებს შეუდარებლად აჭარბებს კაცთმოძულეობასა და სისასტიკეში.

მთხრობელი, ქართველი ექიმი, რომლის პროტოტიპი უთუოდ თავად ვაჟა ხიშვილია, და ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი — გიორგი მინდიაშვილი, სხვის ომში ძალით ჩათრეული, თავიანთი ქვეყნის ტკივილებს განასახიერებენ.

ქართველი ექიმი გვიამბობს იმ სისასტიკეზე, დაუნდობლობასა და ცინიზმზე, რითაც ძლიერის „სამართალი“ საზრდოობს.

მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“ ერთ მხარეს დგანან ძალადობის განმასახიერებელი პერსონაჟები, რომელნიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავკაცობას სჩადიან, რომელნიც პერსონიფიცირებულად იმავდროულად თავიანთი ქვეყნის მტაცებლურ ბუნებას განასახიერებენ, თუმცა ბედი მდევარი მათ დანაშაულს ბოლოს მაინც აზღვევინებს სასტიკი განაჩენით.

მეორე მხარეს დგანან უბრალო ადამიანები, რომელთაც სასტიკ დროში მსხვერპლის როლი ერგოთ. მსხვერპლის როლი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იქცნენ მგლებად–

სიუჟეტი №1

გარეთ მხდალი და შინ ძლიერი მმართველის სახე

ეს გახლავთ ითიმად უდ დოულე, ურმიის ახლად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი, კაცი სპარსი, „დამშვენებული“ რუსის გენერლის სამხრეებით, ტიპური წარმომადგენელი მტრის სამსახურში ჩამდგარი ადგილობრივი მმართველ-რენეგატისა.

თხრობის დასაწყისშივე მწერალი მას დამახასიათებელი შტრიხით გვაცნობს – მატარებლიდან გადმოვიდაო „დიდი ამალით და ფახით“.

ახლა ის ვნახოთ, რა პომპეზური შეხვედრა მოუწყეს ურმიის ახლად დანიშნულ გენერალ-გუბერნატორს – ვალი ითიმად უდ დოულეს:

„უცხო სანახავს წავაწყდი, – გვიამბობს მთხრობელი, – ვალის ასიოდე მაშალა – ჟინჟღალი მოსდევდა ორ რიგად. სამიოდე ათასი ქალაქელიც ჟინჟღლებით და ფერადი ფარნებით გამოეგება. ათნაირი შუშხუნა ტკაცუნით და შუილით სერავდა ცას. გზის ორივე ნაპირზე ცეცხლის ორი ლარი იყო გაჭიმული...

ზემოთ ორი წარწერა კამკამებს: „იცოცხლოს მარადის ირანის შაჰინშაჰმა“ და „მშვიდობაში შენი მობრძანება, ვალი ითიმად უდ დოულე“, მოედანზე სპარსელი სალდათები – სარბაზები ცეცხლმოკიდებული ლანდებივით დარბიან ანთებულ რომაულ სანთლებით, უცებ ვჯერ ერთ ცოცხალ მაშალას მოეკიდა ცეცხლი, მერმე მეორეს, მესამესაც და სამივენი ისე ჩაცეკვდნენ დიდ აუზში, როგორც გადასროლილი მუგუზლები.

– ვალი-ი-ი, ხოშ გელდი-ი-ი! – გრიალებდა ხალხი“.

აღწერილი სცენის მიხედვით წარმოგვიდგება ძალაუფლებით აღჭურვილი ძლიერი მმართველი, რომელსაც ძალა შესწევს ქადილისა და ნამდვილი ბატონ-პატრონია თავისი საგანმგებლოსი. სინამდვილეში კი იგი თავიდან ბოლომდე ბუტაფორია გახლავთ. მისი სიძლიერე მხოლოდ საკუთარი დაბეჩავებული ხალხის კიდევ მეტი გათელვით გამოიხატება.

„დამხდურთა შორის ერთ ახოვან გენერალს მოეკარი თვალი. – განაგრძობს ქართველი ექიმი თხრობას. – ზიზილ-პიპილოებით იყო მორთული და ითიმად უდ დოულეზე უარესად იბღინძებოდა. ლაშქრის სარდალი ჩერნოზუბოვი არსად არა ჩანდა, ხოლო იმ გენერალის იქ ყოფნა ამბობდა: „მე რუსეთი, – გენერალი ჩერნოზუბოვი, – ამ ქვეყნის ნამდვილი ბატონი, აქა ვარ და აქვე დავრჩები, შენ კი, ითიმად უდ დოულე, ჩემი პატარა სტუმარი ხარ და მეტი არაფერი“.

და მართლაც, ეს გაბღენძილი, ეს დიდი ამალის პატრონი, ეს ფახიანი გუბერნატორი თავისივე სამკვიდროში სტუმარია და მეტი არაფერი. გემრიელი ლუკმა რომ არ დაკარგოს, თავისი ხალხის ყვლეფის უფლება რომ ჰქონდეს, ამისათვის რუსთა ყურმოჭრილ ყმად ქცეულა. ხანდახან ძალიან ჩუმად, გაუბედავად თუ წამოიკნავლებს:

— ვილუპებით_ სპარსეთის ლომი დაბერდა... ურუსი და ენგლიზი საბოლოოდ გაიყოფენ ირანსო, მაგრამ ქვეყანასთან ერთად თავადაც რომ არ დაილუპოს, მზად არის საკუთარ თვისტომთ, თუკი ურუსის მითითება იქნება, უყოყმანოდ გამოუყვანოს წირვა. რუსისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ეს ფუყე გუბერნატორი მოუსავლეთში გაგზავნოს და მმართველად, პირველ პირად, უშუალოდ რუსი დანიშნოს, მაგრამ რუსს სწორედ ტომით სპარსელი, თუმცა გამანქურთებული, რენეგატი სჭირდება პირველ კაცად. ეს მისი პოლიტიკაა: ზედმეტად არ გააღიზიანოს დაპყრობილი ხალხი. შეუქმნას ილუზია, რომ თავიანთ ქვეყანას თავადვე მართავენ. სინამდვილეში კი ჰყავდეს გუბერნატორად ის, ვისაც ბოჩოლასავით გამოაბამს თოკს და, საითაც უნდა, იქით წაათრევს. ეს რენეგატი მმართველი ერთი იმათგანია, იმათი განსახიერებაა, რომელთა მბრძანებლობის სუსხს, გარეთ მხდალობასა და შინ სიძლიერეს ყოველდღიურად საკუთარ ზურგზე გრძნობდა ამ მშვენიერი მოთხრობის ავტორი.

სიუჟეტი №2

ბოროტება სიკეთის სახელით

(ეპისკოპოსი პავლე)

პოეტის სიტყვები — „ქვეყნად ყოველი უსამართლობა ისევ სიკეთის სახელით ხდება“ — ზედმიწევნით მიესადაგება იმას, რასაც რუსეთის იმპერია დაპყრობილ ხალხებში ქრისტიანობის სახელით სჩადიოდა. ქრისტიანობა სიკეთეა, მაგრამ მისი საბურველით პოლიტიკოსები ხშირად ბოროტებას თესავდნენ.

ეპისკოპოსი პავლე ანაფორაგადაცმული მგელია, რომელიც იმპერიის მგლურ კანონებს ლოცვითა და ჯვრით, ხოლო იქ, სადაც ლოცვა და ჯვარი არ ჭრის, დასმენებითა და ანაფორის ქვეშ გადამალული ხანჯლით განამტკიცებს.

ეპისკოპოსს ძალის ყველაფერი არარუსული, მისთვის ადამიანები არ

არიან არა მხოლოდ მუსულმანები, „წუპაკი პერსიუკები“, არამედ — ერთმორწმუნე ქართველებიც.

ეპისკოპოს პავლეს ეკვარი იმდენად სწამს და ემსახურება, რამდენადაც ამ „კეთილი იარაღით“ თავისი უკიდურესად შოვინისტური ხუშტურების განხორციელება შეუძლია.

გაიხსენეთ ქართველი ექიმისა და ეპისკოპოს პავლეს პირველი შეხვედრისას შემდგარი ღირსსახსოვარი დიალოგი:

ეპისკოპოსი პავლე: „თქვენ ქართველი ბრძანდებით, არა?

ექიმი: „დიაღ, ქართველი გახლავართ“.

„მან თანაგრძნობით და ნუგეშით მიპასუხა:

— ქართველობა დიდი უბედურება არ არის, რადგან ქართველიც ადამიანია და კეთილი ქრისტიანი ქართველებშიც მოიპოვება.

მე თვალებში შევხედე, მაგრამ ამარიდა.

— მართალს ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, — ეპისკოპოსის ლმობიერ კილოზევე დავუდასტურე მე, — კეთილი ადამიანი როგორც ქართველებში, ისე რუსებშიც მოიძებნება.

ერთმანეთი თვალებით დავხვრიტეთ. ჩემმა სიტყვამ გაკრავებული მგელი შიგ გულში დასჭრა...

— გულწრფელად მოგახსენებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ ქართველობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება გახლავთ.

— ვოოტ კა-ა-ა-კ? — მაშ აგრე? — წრფელის გულით გაიკვირვა ბერმა“.

ეპისკოპოსს ყველა ქრისტიანი იმდენად უყვარს, რამდენადაც ქრისტიანი რუსი იქნება, ყველა არარუსი კი სძულს და ბარბაროსად მიაჩნია, სულ ერთია, მართლმადიდებელი ქართველი იქნება ის, თუ „წუპაკი პერსიუკი“.

აი, კრედო ამ ანაფორაში გადაცმული სისხლიანი დამპყრობლისა: „არა, სად გაგონილა, რომ ურმიაში, „წმინდა რუსეთის განუყრელ აზერბაიჯანში“, აქვე, თავრიზში, სპარსეთის ტახტის მემკვიდრე „ვალიაგდი“ ოჯდეს და ჰფიქრობდეს, ვითომ თავრიზი და ურმია სპარსეთს ეკუთვნოდეს! როგორ არა! ვერ მიეართვით! რუსებმა აქ იმიტომ კი არ დაღვარეს ქსოდენი სისხლი, რომ მერმე ბარგი აიკრიფონ და უკანვე დაბრუნდნენ. სანამ ეპისკოპოსი პავლე ცოცხალია, „პერსიუკები“ ამას ვერ მოესწრებიან!“

ეს იყო ტიპური იდეოლოგია, რომელიც ჰქონდა დამპყრობელს — ჯარისკაციდან დაწყებული ეპისკოპოსითა და თვით დიდი ჰუმანისტი მწერლებით დამთავრებული.

ეპისკოპოსი პავლე (მოთხრობაში აღწერილ მის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებს რომ თავი დავანებოთ) თუნდაც ამ იდეოლოგიით არის

ცოდვილი, ამ იდეოლოგიით არის ანტიპოდი ჭეშმარიტი მორწმუნისა, მით უფრო ეპისკოპოსის ხარისხში ამაღლებული მორწმუნისა.

სიუჟეტი №3

ცრურწმენა რწმენის წინააღმდეგ

რწმენასთან, როგორც წესი, აპირისპირებენ ხოლმე ურწმუნოებას, ათეიზმს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ურწმუნობა პირობითი ცნებაა, სინამდვილეში კი იგიც ოპოზიციაა.

რწმენასთან მიმართებაში უფრო საშიშია არა რწმენის უქონლობა (შესაძლოა ეს თვით ადამიანისთვის იყოს ნაკლი), არამედ ე.წ. ცრურწმენა.

ასე მაგალითად, რელიგიას ბოლშევიზმი დაუპირისპირდა არა ურწმუნობის, არამედ ცრურწმენის ნიადაგზე. ბოლშევიკებმა ცოცხალი ბელადებისგან შექმნეს ბომონები და მათთვის რომ უზენაესი ძალა მიენიჭებინათ, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს თვით უზენაესს.

ცრურწმენის საშინელი გამოვლინება გახლავთ რელიგიურობის ფორმით აღჭურვა, თუმცა რელიგიურობის შინაარსში სრული უვიცობა.

რწმენა სიყვარულის გარეშე უბედურების წყაროდ ან სულაც თვით რწმენის კარიკატურად იქცევა.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ნაწარმოების ერთ სიუჟეტს, რომელიც ტრაგიკომიკურობის იშვიათი ლიტერატურული ნიმუშია:

გზაზე ერთმანეთს ხვდება ორი „მორწმუნე": მაჰმადიანთა მოლა და ქრისტიანთა მღვდელი:

„იმ გზაზე თვალი კაიდარ მოლასაც მოჰკარი... მისი თავწაღუნული ვირი მარდად მიაბიჯებს, კაიდარ მოლაც თავწაღუნულია. ცალ ხელში გადაშლილი ყურანი უჭირავს და კითხულობს, მეორეში კი გაშლილი ქოლგა აღუმართავს.

ქვევიდან მეორე ვირი გამოჩნდა. ზედ წითელი ყაშა ზის. იმასაც ქოლგა და ლოცვანი უჭირავს. ორივე ღვთის მსახური ისეა გართული ქრისტესა და მაჰმადის ნაქადაგარით, რომ ვერც ირგვლივ არჩევენ ვინმეს და ვერც ერთმანეთს ხედავენ...

ბოლოს ერთმანეთს თავებით დაუტაკნენ და შედგნენ:

ყაშამ და მოლამ ერთსა და იმავე დროს მოსწყვიტეს თვალები წმინდა წიგნებს და ერთმანეთს შეაჩერდნენ. მერმე, როგორც მოწმენი ამბობდნენ, ასეთი ბაასი გაბეს:

— რატომ გზას არ მაძლევთ? — გაიკვირვა ყაშამ.

– რატომ თქვენ არ მაძლევთ? – გაოცდა მოლაც.

– მე წმინდა სახარებას ვკითხულობ. – რიხით გაახსენა კაიდარ მოლას მართლმადიდებელმა.

– მე კი წმინდა ყურანს ვკითხულობ. – აისხლიტა ყაშას საბუთი მუსლიმანმა.

– რომ კიდევაც დამენახეთ, ქრისტიანი ყაშა წარმართ მუსლიმანს გზას არ დაუთმობდა – შეუტია წითელმა მღვდელმა".

ციტირება რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი – ამ ორმა „წმინდა კაცმა" ჯერ ვირები გაუთათხეს ერთმანეთს და ამ პატიოსან ცხოველებს ქოლგები ატაკეს, შემდეგ კი ერთმანეთს უბრაგუნეს.

ყაშას ქრისტიანები მიეშველნენ, მოლას – მუსულმანები. შეიქმნა ცემა-ტყეპა და ორომტრიალი. ეს ამბავი კი იმით დამთავრდა, რომ ყაშა ლაზარემ თავის ამალას დაკლული ქათმების სისხლი წაუსვა. მათხოვრებიც შეირთა. ისინიც ქათმების სისხლით გათხუპნა და ასე „ნაბრძოლ-დასახირებული" ლაშქარი მიადგა ეპისკოპოს პავლეს, აქაოდა, ქრისტეს სჯულისთვის გავწირეთ თავი „წუპაკ პერსიუკებთან" ბრძოლაშიო. ცხადია, მათ მადლობები, კაიდარ მოლას „ლაშქარმა" კი საჯაროდ გაროზგვა დაიმსახურა...

ამ ინციდენტს შეეწირა ლამბალო – ადამიანი, რომელიც თავისი ადამიანურობითა და უბრალოებით, სიკეთით შეგვახსენებს, რომ მიზანი რწმენისა სიკეთისა ადამიანია, ხოლო თუ ეს ასე არ არის, საქმე გვაქვს არა რწმენასთან, არამედ ცრურწმენასთან, რომელიც ბოროტების სათაყვანო და არა სიკეთისა.

ჯავახიშვილის ეთიკური მრწამსი აკი ასეც გამოიხატა (გადმოცემული მთხრობელის პირით) – „მე ჯერ ადამიანი ვარ, შემდეგ ექიმი და შემდეგ ქრისტიანი", ანუ ქრისტიანობა – ადამიანისთვის, მიზანი – ადამიანი, როგორც ხატი ღვთისა...

სიუჟეტი №4

სადიზმი, როგორც ნორმა მოძალადეთა საზოგადოებაში

(ყაშა ლაზარე)

ნაწარმოების ერთი მთავარი გმირთაგანი არის ყაშა ლაზარე, მამისმკვლელი, უზნეობის ჭაობში ბოლომდე ჩაძირული, მღვდლად მოვლენილი სადისტი. „ყაშა ლაზარეს – სადისტს – მწერალი აკვირდება, როგორც

განსაზღვრული პოლიტიკური, იდეოლოგიური ტენდენციების თანმდევ მოჯლენას, მათი წყალობით აღზევებულ ტიპს.

სადისტები ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენ, მაგრამ იმისთვის, რომ ცხოვრებას დაეპატრონონ, მათ განსაკუთრებული პირობები და ვითარება სჭირდებათ.

სწორედ ასეთია ვითარება, რომელიც მოთხრობაშია წარმოდგენილი" (თ.ვასაძე). ყაშა ლაზარე, პათოლოგიური ტიპი, ოდნავ ნორმალური საზოგადოებაც კი კეთროვანივით რომ მოიცილებდა, პაულე ეპისკოპოსისთვის სიამის ტკუპისცალია, ყველაზე მეტად სანდო ადამიანია. ეპისკოპოსი მას ყველაფრის უფლებას აძლევს, რათა ყაშას სადისტური ბუნება ნორმად იქცეს, ვინაიდან იმ ქვეყნის სამართალი, რომლის იდეოლოგიური უზრუნველყოფა პაულეს ავალია, ძალმომრეობაზე დგას. აქ გულჩვილობას, მიტევებას, ჰუმანურობას ადგილი არ რჩება. ყველაზე უკეთ ეს წარმოჩნდა დამნაშავე მუსულმანების გაროზგვის სიუჟეტით.

მართლმადიდებელთა ეკლესიის ეზოში (!) ჯალათები ,,დამნაშავე" მუსულმანებს ცოცხლად ტყავს აძრობენ.

გმინვამ და ღრიალმა გატენეს მართლმადიდებელთა ეზო და შენობები. ,,თათრები თევზებივით ფართხალობენ. მათი ხორცი ვეღარ წითლად იზოლება, მერმე ლურჯდება, იბურცება და სკდება. ზურგები, გავები და ბარკლები სისხლით ირწყვება და იკეპება".

ამ ცოდვის კალოს შემყურენი კი:

,,კომენდანტი ბერეზოვსკი პაპიროსს აბოლებს და ისე არხეინად სცემს ბოლთას, თითქოს საკუთარ ბაღში დასეირნობსო.

ვალის მოხელე ულვაშებს იკვნეტავს და შენობების კედლებს ათვალიერებს. კონსულის მდივანი ბაბალიანცი ფრჩხილებს იპრიალებს.

ჩერნოზუბოვის მხლებელი გალაკებულ ჩექმების წვერებს იშინჯავს".

ამ გულქვა მეთვალყურეთა შორის კი ძლევამოსილი კიჟინით გახარებული დარბის მთავარი სადისტი ყაშა ლაზარე.

სიუჟეტი №5

ნარის გლეჯა სხვისი ხელით

,,ლამბალო და ყაშა" ისეთი მოთხრობაა, რომლის დეტალები, ძალმომრეობასთან დაკავშირებული, ისე აქვს გაშიფრული ავტორს, თითქოს რენტგენი მიუშუქებია იმპერიის შინაგანი მექანიზმისთვის.

ხომ ასე სასტიკად ისჯებიან „ბუსურმანები“, მაგრამ ისჯებიან სხვისი ხელით, იმ ადამიანების ხელით, რომელნიც დასასჯელთა გვერდით ცხოვრობენ, რომელნიც ოდესღაც მათი კეთილი მეზობლებიც კი იყვნენ და, აი, მოვიდა უცხო ძალა, რომელიც ორ კურდღელს იჭერს, სასტიკად ამხობს დამხვდურის წინააღმდეგობას და ამხობს დამხვდურისავე ხელით.

მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში 15 მუსულმანი თათარი რუსებმა კი არა, ქრისტიანმა ასურელებმა გაჟლიტეს.

საკუთარი ნამოქმედარის ხილვამ ჯვალათები თავადვე შეზარა. „ძალიან დაეშვით, რომ გამოვყევით“, — ნაგვიანევი სინანულით ბუტბუტებენ ისინი, მაგრამ გვიანია, მეზობლებს შორის უკვე სისხლია, საკმარისია უცხო წაიდეს და მათ ამ მიწაზე მშვიდობიანი თანაცხოვრება აღარ უწერიათ. ურუსსაც ეს უნდა — თუ წასვლა მოუწევს, მუდმივი ქიშპით დაუძლურებული მეზობლები ისევ მას დაუძახებენ საშველად ან დაძახების გარეშეც ოლად შემოაღწევენ ძალადმაცხონე მომრიგებლებად, ცხადია, არა უანგაროდ...

სიუჟეტი №6

დიდ არს ძალა ბედი – მდევრისა

„ლამბალო და ყაშა“ — ეს არის მოთხრობა დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. ის გაუგონარი ავკაცობა, რომელსაც სადისტი ყაშა სჩადის, საზარელი განაჩენით ისჯება. ლამბალოს მკვლელზე, ლამბალოსი, რომელიც ბუნების ლაღი შვილი იყო, თითქოს თვით ბუნება იყრის ჯავრს. გველებით დაგესლილს, ბაყაყივით გასიებულს ამოხდება ყაშას შხამიანი სული.

განგების ეთიკამ განაჩენი გამოუტანა ყველას, ვინც მოძალადე ქვეყნის პერსონიფიცირებულ განსახიერებას წარმოადგენდა.

1918 წელს, „როცა ქალაქში ერთი სალდათიც აღარ დარჩა... მრისხანე და ჟინიანი პავლე ისევ თავისას გაიძახოდა:

— არ წავალ! სადაც რუსის წმინდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის გულიც იქ არის. არ წავალ! ვერ გამიბედავენ!

გაუბედეს, მართლმადიდებელთა კლდეს მუსლიმანთა ადუღებული ზღვა მიადგა“. ეპისკოპოსი პავლე იმავე ეკლესიის ეზოში გამოიყვანეს, სადაც მისი წყალობით 15 უდანაშაულო ადამიანი აწამეს — მაშადი იზათ, ეს მხეცი შენია. — უთხრეს ლამბალოს მამას. მაშადი იზათმა იმავე ადგილს დაკლა ეპისკოპოსი, სადაც ამ უკანასკნელმა ლამბალოს ამოხადა სული.

„ბედი-მდევარი სხვებსაც ურმით დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ჟინკლზე დასწვა:

გენერალ ჩერნოზუბოვს ულმობელმა ბედმა კავკაზში ჩასჭიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახერიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერატოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხრჩო.

საზარელ არს ყივილი განგების ეთიკისა!

დიდ არს ძალა ბედი-მდევრისა“!

ამ სტრიქონებით მთავრდება ნაწარმოები. ამ ფინალით კი „ლამბალო და ყაშა“ გვეულინება სწორედაც ქრისტიანული მრწამსის ნაწარმოებად. მიუხედავად იმისა, რომ აქ ღვთისმსახურნი საშინელ ფერებში არიან წარმოდგენილნი, ეს სწორედაც ქრისტიანული ნაწარმოებია, ვინაიდან მწერალი თხზულების ფინალით სწორედ განგების, უზენაესის ყოვლისშემძლეობას უსვამს ხაზს, რომ ცოდვა დაუსჯელად არ ჩაუვლის არავის, თვით სახელმწიფოსაც კი, და თუ ეს უკანასკნელი ძალადობას, სადიზმს ამკვიდრებს, როგორც ცხოვრების წესსა და ნორმას, ისტორიას მისგან მხოლოდ განწირულის ძახილი თუ შემორჩება, როგორც ოდესღაც ძლიერი მაკედონელის ხავილი „ა-ას“-

დაბოლოს, „ლამბალო და ყაშა“, ჩრდილოელი დამპყრობლის მიმართ ბუნებრივი ზიზღით აღსავსე ნაწარმოები, არ არის ანტირუსული სულისკვეთებისა. აეტორი ამათრახებს იმპერიის ბოროტებას და იმავდროულად პატიოსან რუს ადამიანს, სამკურნალოს ყოფილ გამგეს, ეპისკოპოს პავლესაგან განსხვავებით ასე ათქმევინებს: „რუსი ვარ, მაგრამ არა ვმალავ: ახლა ჩემი რუსობისა მრცხვენიან“.

სიუჟეტი №7

მსხვერპლი

ლამბალო მსხვერპლია ძალმომრეობისა, იმავდროულად ლამბალოც პერსონიფიცირებული სახეა ჩაგრული ქვეყნის. ქართველი ექიმი იცავს ლამბალოს და იცავს მის ხალხსაც, მიუხედავად, იმისა, რომ ამ ხალხს ზღვა სისხლი მართებს ექიმის მშობელი ქვეყნის, მაგრამ ჩაგრული ქვეყნის შვილმა ყვე-

ლაზე უკეთ იცის, რას განიცდიან მის ბედში მყოფნი და თანაგრძნობაც მათი უწდება.

მთხრობელს ასეთი სიმბოლური სიუჟეტი ახსენდება:

ბავშვი ვიყავი, ოთხი თუ ხუთი წლისა ვიქნებოდი, ჩემს მეზობელ გლეხს ბოძზე საბელით ძაღლი მიება და სქელ ჯოხს უწყალოდ ურტყამდა. ძაღლი საზარლად ყმუოდა და თან მილეული თვალებით, უძირო მუდარით ეევდრებოდა გლეხს შენდობას. მაგრამ გლეხი ბრმა და გულდახშული იყო.

უცებ იდუმალმა ძალამ ძაღლზე მიმაგდო, ზედ დავეცი, ჩემი ტანით დაეუფარე ჩამტვრეული ნეკნები, ორივე ხელი მოვხვიე კისერზე და გლეხს შეღაღადე:


— ეყოფა, ძია, ეყოფა!.. ეყოფა!.. ეყოფა!..

გლეხმა ჯოხი დააგდო და მოგვშორდა.

ეს სიმბოლური სიუჟეტი ცხოვრებამ უფრო მკაცრი რეალობით წარმოადგინა. სინამდვილეში „გლეხი", მოთხრობის მიხედვით „წითელი ეშმაკი", არც შედგა და არც ჯოხი დააგდო...

ფინალში კრიტიკოს თამაზ ვასაძეს მინდა დავესესხო: „მიხეილ ჯავახიშვილს, გადმოცემით, უთქვამს: „მინდა ერთი მოთხრობა დავწერო თემაზე: ჩემი რომანების და მოთხრობების გმირები ჩემს ოთახში შეგროვდნენ და სასამართლო გამიმართეს, ავტორს ასამართლებენ მისი ნაწარმოებების გმირები... რა დღეს დამაყრიან, ვინ იცის, რამდენ საყვედურს მეტყვიან, მე მგონი, საინტერესო ჩანაფიქრია, როგორმე ამისათვის მოვიცალი".

ამ ჩანაფიქრს მოთხრობის ნაცვლად ცხოვრებაში ეწერა განხორციელება. პერსონაჟებმა გაასამართლეს ავტორი, ოღონდ საყვედურებს არ დასჯერდნენ — არ აპატიეს, რომ მან ისინი ადრევე შენიშნა და გააშიშვლა".



გალაკტიონ ტაბიძე

ბიოგრაფია

„არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე შენ გაიარე სიცოცხლის ახლო“

არაფერი დაშავდება, თუ პოეტის ბიოგრაფიის თხრობას ლექსით დავიწყებთ. ლექსის სათაურია „ლეგენდა“. ავტორი მისი გახლავთ შოთა ნიშნიანიძე.

„თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა — როგორ დავბადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედურიც,
რა დავაწყევლოთ, ან ისეთი რა დავანათლოთ,
ათასჯერ ბედის თქვას მადლობა და საყვედურიც?
პირველად თეთრმა ანგელოსმა წარსდგა ნაბიჯი:
დავბადოთ კაცი მდიდარიო, მაგრამ მახინჯი.
წითელმა: ის სჯობს, ყრმა ოცნებებს ნუღარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს მაგრამ უღარიბესიც.
ბოლოს კი შავი ანგელოსი წამოიმართა
და შავი სიტყვა განუცხადა ცათა ბინადართ:

სასჯელი გინდათ? მაშინ დიდი კაცი დაებადოთ,
სახელ-დიდებით შესწვდებოდეს ცათა კაბადონს.
ოღონდ დაებადოთ სულთა მედროშე,
უთუოდ მგოსნად
და უთუოდ –
საქართველოში...
იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი,
თურმე იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი".

და იგი იქცა მართლაც ყველაზე ბედნიერ და უბედურ კაცად–

გალაკტიონი ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა, როგორც პოეტი. ქართული პოეზიის უკვდავ მგოსანთა თანავარსკვლავედს: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას – ერთი მნათობი აკლდა და მეოცე საუკუნემ ქართული პოეზიის პარნასზე კიდევ ერთ პოეტს მიუჩინა ადგილი.

7 – საკრალური ციფრია და ეს თანავარსკვლავედი გალაკტიონით შეივსო–

მაგრამ უბედური იყო იგი პირად ცხოვრებაში. გზააბნეული, მიუსაფარი, უმეგობრო, „მარტოობის ორდენის კავალერი", – როგორც ტიციან ტაბიძე იტყოდა. თითქოს შემთხვევით მოხვედრილიყო ამ ქვეყანაზე. უყვარდა სიცოცხლე, თან მუდამ გაურბოდა მას.

„არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო", –

უფრო მწარედ ამოთქმა საკუთარი ცხოვრების არსისა შეუძლებელია. ან ამ თვითირონიას დაუკვირდით:

„სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოფილა თითქმის,
არყოფილზე საყვედური
მითხარ, როგორ ითქმის?".

არადა, იყო სინამდვილე – „მწარე და ძვირფასი". მწარე, მისი მოუწესრიგებელი ცხოვრებისა და დროის უკუღმართობით გამოწვეული. ძვირფასი კი იმით, რომ პოეტის დაწვამ ტკივილების ცეცხლზე წმინდა ნათელი გამოსცა, რომლითაც შეფენილია ფიქრთა მისთა მოზიარე მკითხველი–

გალაკტიონის წინაპრები

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წლის 17 ნოემბერს სოფელ ჭყვიშში (ვანის რაიონი). მამამისი, ვასილ ტაბიძე, ვერ მოესწრო გალაკტიონის ხილვას. როცა სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ვასილი მიიცვალა, მისი მეუღლე – მაკრინე ადეიშვილი ორი თვის ფეხმძიმე იყო. ოჯახი ობლად დარჩა. ორი შვილის აღზრდა, გალაკტიონის და მისი უფროსი ძმის აბესალომისა, ქვრივ ქალს მოუხდა, მაგრამ ბავშვები ისე წამოიზარდნენ, გაჭირვება არ უგრძნიათ. „მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა“, – იგონებდა გალაკტიონი.

მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩემი წინაპრები – მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული მე-14 საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელობითი უერთგულესი მღვდელმსახურება. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, მე-17 საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნსაცავის მოსაწესრიგებლად. ეს იყო საუკეთესო მცოდნე ბერძნულისა და არაბულის ენების, სთარგმნიდა პლატონის დიალოგებს და ეხლაც ხშირად მხვდება ეს თარგმანები ინტიმური ზედწარწერებით: „მათს უმაღლესობას დედოფალს ანნას – სვიმეონ ტაბიძისაგან“. დედოფალ ანნასთან ერთად მიემგზავრება შემდეგში იგი მოსკოვში და იქ მონაწილეობას იღებს ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების, შერვაშიძეთა გვარიდან – ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზების, გურულისა და იმერლის“.

მწიგნობრული ტრადიციების მქონე ოჯახში, ცხადია, ყმაწვილებიც წიგნის სიყვარულით იზრდებოდნენ. მით უფრო, გალაკტიონს და აბესალომს მამისაგან დარჩათ საკმაოდ ერცელი წიგნთსაცავი მე-18 და მე-19 საუკუნის გამოცემებით.

„დედა ნანობს, რომ დამღუპა და ნამდვილ გზას აშაცდინა“

დედამ რვა წლის გალაკტიონის ქუთაისში წაყვანა და სასწავლებელში

მიბარება გადაწყვიტა. ქალაქად შვილის რჩენა იმ დროს თვით თავადების ოჯახებსაც კი უჭირდათ. ამიტომ, დედის გადაწყვეტილებას მისი მაზლი, იუსტინე ტაბიძე კმაყოფილი ვერ შეხვდა, გალაკტიონმა ამის შესახებ პატარა მოგონება დაგვიტოვა:

„– მახსოვს: მე — პატარა, დედაჩემი და ბიძაჩემი ვართ ბიძის აივანზე. ბიძა წამოწოლილია სკამლოგინზე. მე და დედაჩემი ფეხზე ვდგავართ.

– კარგია, მიდიხართ, მიგყავს ბავშვი ქუთაისში. შენ მას იქ თავს უნდა დაადგე, აქ სახლს რას უშვრები?

– სახლს ჩავკეტავ, შინ მაინც არაფერია ისეთი.

– არის, ვიცი, რომ არის.

– სახლი თქვენი სახლის წინ დგას. თქვენ მიხედავთ ხოლმე.

– არაფერსაც არ მივხედავთ. არავითარი საშუალება თქვენ არა გაქვთ, რომ ბავშვები აღზარდოთ. დარჩით სოფელში. ბავშვი ნურსად მიგყავთ. ეს არის ჩემი რჩევა.

- არ შემიძლია. საწყალი ვასილის სიკვდილის წინ უკანასკნელი სიტყვები იყო: ბავშვებს მიხედე, ბავშვები გაუნათლებელნი არ დატოვო, ჩემი ძმა იუსტინე დაგეხმარებაო_

მახსოვს, დედაჩემს თვალთაგან ცრემლი გადმოსკდა.

- მე არაფრის დახმარება არ შემიძლია. მე თვითონ საშინელ გაჭირვებაში ვარ.

– მე თქვენ არაფერს გთხოვთ, – უპასუხა დედაჩემმა, – მე მხოლოდ რჩევისათვის მოგმართეთ“.

ვინ იცის, რამდენჯერ ინანა გალაკტიონის დედამ, რომ მაზლის რჩევა არ მიიღო, რომ შვილი შინ არ დატოვა და თუნდაც მეხრედ არ გამოზარდა. მაკრინე სოფლელი ქალი იყო. დაქვრივებულსა და ფრთამოტეხილს ვაჟები „ნასტავლ“ კაცებად სურდა გამოეზარდა, სასულიერო სასწავლებელს დაამთავრებდნენ, ანაფორას ჩაიცვამდნენ და სოფელსაც არგებდნენ და უკაცო ოჯახსაც ფეხზე წამოაყენებდნენ. უფროსმა შვილმა გაუმართლა კიდეც, მაგრამ გალაკტიონი? გალაკტიონს არ ეშველა არაფერი. ვერა და ვერ მოიწყო ცხოვრება. თვითონ გახდა მისახედი. „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“-ო, ამბობდა. სხვაგან ქროდა მისი გონება. მართალია, სასახელო კაცი გახდა, პოეტების მეფედაც აღიარეს, მაგრამ პირად ცხოვრებას ბოგანოსავით ატარებდა. დადიოდა სამოსელშელახული, უფულო, უპურო, დედის სანახავად ვეღარ იცლიდა. წლები ისე გავიდოდა, სოფელში ფეხს არ შემოადგამდა_

ყანაში თოხის ტარზე დაყრდნობილ მძიმედ ჩაფიქრებულ დედას, ვინ იცის,

რამდენჯერ აჰკვნესებია გული, რომ უცნაური შვილი უბიდან მოიცილა...

„დღეს დედაჩემისაგან მივიღე წერილი. საწყალი დედა! იგი შერიგებას მთხოვს, იგი ნანობს, რომ დამღუპა და ნამდვილ გზას ამაცდინა", – ვკითხულობთ გალაკტიონის პირად წერილში...

* * *

ცოტა არ იყოს, წინ წავუსწარით მოვლენებს. იმას ვამბობდი, დედამ ბავშვის ქუთაისში წაყვანა გადაწყვიტა-მეთქი. 1899–1907 წლებში გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. „იქ ვცხოვრობდი ანდრო წერეთლის სახლში, – წერს ავტობიოგრაფიაში, – ვსწავლობდი ძალიან საშუალოდ, მაგრამ მასწავლებლები კარგად მეპყრობოდნენ მაინც, როგორც ახალგაზრდა მგოსანს (როდის დავიწყე წერა ლექსების, მოთხრობების, რომანების, არც მახსოვს)".

შვილის „ძალიან საშუალოდ" სწავლის გამო მაკრინე გულმოკლული იწერებოდა სოფლიდან: „ფიქრიდან განუშორებელო შვილო ჩემო გალაკტიონ! პირველად შენ მშვიდობას და კარგად ყოფნას ჩვენ მოწყალე ღმერთს ვთხოვ. ამას გარდა ჩვენ, შვილო, კარგად ვართ. შენი ჯავრის მეტი არა მიშავს: შენ რაკი ჩემთან იყავი მიჩოლილი და მე შენთან, და ეხლა განშორებული მყავხარ. თუ ივარგებ, არა მგონია... აბა შენ იცი, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერმეთ კარგი სწავლა. კარგი, თვარა გაჭირვებული სწავლა რა არის!"

გალაკტიონისთვის კი „თავი საქმე" ლექსების წერა გახლდათ. პოეზიის გარდა არაფერს ფასი არ ჰქონდა მის თვალში. დროს კი არ კარგავდა, კი არ ზარმაცობდა, დღესა და ღამეს ასწორებდა. ოლონდ ეს იყო, სასწავლო საგნების პედანტურად გაზეპირებას ლიტერატურის კლასიკოსთა წიგნების კითხვას არჩევდა. ის დღე დღედ არ მიაჩნდა, თუ რაიმეს არ ჩაიწერდა, რამეს არ წაიკითხავდა. ამიტომ იყო, 1908 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიაში გადმოსვლისას, საკუთარი ლექსებით უკვე სქელი რვეული ჰქონდა სავსე. 1908 წელსვე დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები: „მთვარე კაშკაშებს" და „ღრუბელი". მას შემდეგ გალაკტიონმა 7 ათასზე მეტი ლექსი დაბეჭდა, მაგრამ უკვდავებასთან წილნაყარი პოეტი ისევ ისეთი ბავშვური, წმინდად გულუბრყვილო დარჩა, როგორიც იმ დღეს, როცა პირველად შეაბიჯა „ახალი კვალის" რედაქციაში.

1910 წელს გალაკტიონმა სემინარია მიატოვა და ხარაგოულის მახლობლად სოფელ ფარცხნალში დაიწყო მასწავლებლობა. მცირე ხნით გათუმის

სიახლოვესაც იმუშავა პედაგოგად, 1911 წელს კი კვლავ ქუთაისს დაუბრუნდა. ასე რომ, ორი წელიც არ გაუტარებია სამსახურში. კონფლიქტით დაასრულა პედაგოგობა. დაწყვეტამდე დაძაბული ნერვებით მას არ შეეძლო ცხოვრების რკინის კანონებს მინდობოდა. მისი „ურო“ და „გრდემლი“ ფანქარი და საწერი ფურცელი იყო...

ქუთაისის გაზეთებმა ფართოდ გაუღეს კარი. მართავს ლიტერატურულ სალამოებს. ქუთაისში პოეტის სახელი უკვე ყველამ იცის. ყველა გრძნობს, რომ მისი სახით დიდი პოეტი მოდის. დედა მაინც უკმაყოფილოა. სხვებს არც სახელი აქვთ, არც დიდება, ვერც ნიჭიერებით შეედრებიან მის შვილს, მაგრამ ცხოვრება ნორმალურად აიწყეს, დაოჯახდნენ, მსახურობენ. გალაკტიონის კბილა ყმაწვილები უკვე „საჭირო“ კაცები არიან. გალაკტიონი კი კვლავ მშიერი დადის, კვლავ სხვისი ხელის შემყურე, დედა საყვედურს საყვედურზე უგზავნის ქუთაისში.

„ფიქრიდან განუშორებელო საყვარელო შვილო ჩემო გალაკტიონ. პირველად ვისურვებ შენთვის ყოველივე კეთილს, რაიც ჯობია შენთვის... ამას ვხედავ ჩვენს მოწყალე ზეციურ მამას, რომ შენი თავის საქმე კარგად წაიყვანოს... მარტო შენ ჭკუაზე ნუ მიდიხარ და ჩვენიც დაიჯერე. ნასწავლი კაცი ტყუილათ უსარგებლო ნუ გაარონინებ შენს დღე და მოსწრებას. არც შენ თავს არგიხარ სასიკეთოდ და არც ოჯახს. თუ რა გაქვს საქმეები, იმის ჯაერი არა გაქვს, ასთე არ შეიძლება ცხოვრებაი. ნუ იქნები თავის და ოჯახის უსარგებლო...“

დიდი გზის დასაწყისი

ამ თავის თავისა და ოჯახის „უსარგებლო“ კაცმა 1915 წლამდე სხვა მრავალ ბრყინვალე ლექსს შორის შექმნა ისეთი შედევრები, როგორებიცაა: „გურიის მთები“, „რაც უფრო შორს ხარ“, „უსიყვარულოდ“, „მესაფლავე“, „ლეგია“, „ჰამლეტის ქნარით“, „მე და ღამე“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, „სიბერე“ და სხვა. ამ ლექსებით გალაკტიონმა თავი დააღწია შეგირდობის ხანას (შემოქმედებითი გზის დასაწყისში იგი განიცდიდა ბარათაშვილის, ილიას, აკაკის და ახალგაზრდა იოსებ გრიშაშვილის გავლენას) და ერთბაშად მოგვევლინა, როგორც თვითმყოფადი, საკუთარი ხმის მქონე ორიგინალური პოეტი. 1914 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი. ვასილ ტაბიძის ობლობაში გაზრდილი, გზადაბნეული და ღარიბ-ღატაკი შვილი პოეზიის ქვეყანაში აღიარებულ პოეტად იქცა. მისი გამორჩენა სალიტერატურო სალამოებზე უკვე იმას ნიშნავდა, რომ სალამო ანშლაგით ჩატარდე-

ბოდა. 24-25 წლის გალაკტიონის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ერთი ფაქტი: იმხანად დიდად ცნობილ პოეტს, იროდიონ ევდოშვილს, ქუთაისში სალიტერატურო საღამოს გამართვა მოუწადინებია. მატერიალურად შეჭირვებულ ევდოშვილს საღამოს შემოსავლით ცოტა სულის მოთქმა სურდა. მსმენელთა მიზიდვის მიზნით მას სწორედ ახალგაზრდა გალაკტიონისთვის მიუმართავს თხოვნით, — მონაწილეობა მიეღო მის საღამოში.

— ჩემი სახელით ძალიან საეჭვოა რამე შემოსავალი მიიღოს საღამომ, — თავმდაბლურად უთქვამს ახალგაზრდა პოეტს.

იროდიონი კი თავისას არ იშლიდა. ახალგაზრდობა შენით გაგიჟებულია, თეატრი გადაიჭედებაო.

ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება 1915 წელს ახალგაზრდა გალაკტიონისაგან რედაქციისადმი მიწერილი ერთი განცხადების გაცნობაც:

„ამას წინათ შემთხვევით ერთ პატარა დაბაში მოვხვდი და ქუჩებში გაკრულ აფიშებზე ჩემის თვალით წავიკითხე: გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს მწერლებიო — ჩამოთვლილი იყო რამდენიმე მწერალი და მათ შორის მეც. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მე არავისთვის პირობა არ მქონდა მიცემული საღამოში მონაწილეობის შესახებ. ეს იყო მხოლოდ შანტაჟი. საღამოს ინკოგნიტოდ დავესწარი და გავიგონე, თუ როგორ გამოაცხადა ერთმა ჩემთვის უცნობმა პირმა: გალაკტიონ ტაბიძე ავადმყოფობის გამო საღამოში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. ეს ხდება პროვინციაში. მოგეხსენებათ, ქუთაისშიდაც ხშირად იმართება საღამოები და ძალიან ძვირად ნახავთ აფიშებს, რომელზედაც ჩემი სახელი და გვარი არ იყოს გამოცხადებული. ყოველ ამგვარ აფიშის წაკითხვის შემდეგ მე სახტად ვრჩები: არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის და ისე კი მაცხადებენ. ეს არის მხოლოდ შანტაჟი.

ამჟამადაც ხელში მიჭირავს ქუთათური გაზეთ „სამშობლოს“ ერთი ნომერი, რომელშიდაც სწერია: გაიმართება გრიშაშვილის საღამო, მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს პირნიო და იმათ შორის მეც“.

კაცი, რომლის სახელისა და გვარის წარწერაც სალიტერატურო საღამოზე ხალხმრავლობის გარანტია იყო, კლავე ობოლი და მიუსაფარი, კლავე მარტოსული და უღარიბესი დაეხეტებოდა ქუთაისის ქუჩებში. თუმცა, ამ პერიოდისათვის მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხაც მოხდა. მისივე ლექსის სტრიქონით თუ ვიტყვით, „მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“. 1912 წელს ქუთაისში გაიცნო და დაუახლოვდა ოლია ოკუჯავას, რომელსაც 1916 წლის აგვისტოში თავისი ბედი დაუკავშირა. მაგრამ აქ სიტყვა „დაკავშირებას“ მხოლოდ სულიერი მიმართებით თუ ვიტყვით, რადგან ამ ორმა, ერთმანეთზე

უგონოდ შეყვარებულმა ადამიანმა ვერ შოახერხა ნამდვილ ცოლქმრულ ულელში შებმა. ოლღა ოკუჯავების ცნობილი რევოლუციური ოჯახიდან იყო და, თავადაც რევოლუციონერს, ოჯახისათვის, არ ეცალა. გალაკტიონი კი საერთოდ არ იყო ოჯახისთვის დაბადებული კაცი. ისინი გამუდმებით შორიდან სწერენ ერთმანეთს წერილებს, სასიყვარულო მოკითხვის ბარათებს, ერთ ჭერქვეშ ყოფნას კი იშვიათად ახერხებენ. რომ არ შემოგვრჩენოდა გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას პირადი მიმოწერა, ეჭვიც კი შეეპარებოდა ადამიანს მათ ნამდვილსა და წრფელ სიყვარულში, იმდენად ხშირად იყვნენ ისინი ერთმანეთს მოცილებულნი. მაგრამ, ვინც მათ სატრფიალო ეპისტოლეებს წაიკითხავს, ცოცხლად წარმოუდგება ორი მგზნებარე სულის თავდაუწყებამდე მისული ლტოლვა და სიყვარული ერთურთისადმი.

განგების ნებით ყველაფერი, ალბათ, მართლაც ცაში წყდება. გალაკტიონი ოჯახის კაცად, მზრუნველ მეულლედ და მამად არ იყო დაბადებული. მეულლეც ასეთივე უცნაური შეხვდა–

დრო მიდიოდა. ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ქუთაისი პოეტების სატახტოდ იქცა. გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე გამსახურდია, ლელი ჯაფარიძე, თეოფილე ხუსკივაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დავით მებუკე, აკაკი სვანი (მარგიანი) და სხვანი და სხვანი – ეს ახალგაზრდები ამშვენებდნენ იმდროინდელი ქუთაისის სალიტერატურო სალამოებს, აწყობდნენ ორგიებს კაფეებსა და რესტორნებში. დროდადრო მათთან ერთადაა ნაოფიცრალი დავით კლდიაშვილი. ქუთაისის არცთუ იშვიათი სტუმარია მოხუცი აკაკი.

მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ცხოვრება გამოიცვალა. „ამ ომის დასაწყისიც ძალიან კარგად მახსოვს — იგონებდა შემდეგში გალაკტიონი, – მე და ტიციანი სოფელში ვიყავით (ტიციან ტაბიძე და გალაკტიონი ბიძაშვილები იყვნენ) ჭყვიშში. ერთხელ ტირიფების ქვეშ წამოწოლილი ვსაუბრობდით. საქონელს ვაძოვებდით.

— რა წელიწადი დადგა, რანაირი წელი ერგო ჩემს პირველ წიგნს — ჩუბნები ტიციანს. — გამოვიდა თუ არა წიგნი, ომიც გამოცხადდა. ბედი არ ჰქონია, ტიტია ჩემო, ბედი.

ტიტია სავსებით იზიარებდა ჩემს მწუხარებას. მე ვფიქრობდი ამ წიგნით ქვეყნის აფეთქებას. აქ კი იაპონია შეუდგა ჩემს მაგიერ ქვეყნის აფეთქებას. არა, შევცდი, იაპონია კი არა (იაპონია წინად იყო), გერმანია, ამხანაგებო, გერმანია– დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ჩვენ ყველანი დავიშალენით. ილია ბახტაძემ მიაშურა თავის ხონს. ია ეკალაძემ ცოტა ხანს დაჰყო და მერე მოსკოვში შემხვდა. ნემო ქუთაისს შერჩა, თეოფილე ხუსკივაძეც. კონსტანტინე

გამსახურდია საზღვარგარეთ გაემგზავრა, ჯაჯუ თბილისში გადმოვიდა, ტიტამ მოსკოვისაკენ უტია, ვეშაპელმაც. ევდოშვილი ტფილისს დაუბრუნდა, ვარლამ რუხაძემ გაჰყიდა თავისი ხის საწყობი. დავით კლდიაშვილი სიმონეთს დაუბრუნდა, ლადო დარჩიაშვილი ტფილისს, ლელიკო ჯაფარიძე და დავით მებუკე სადღაც წავიდნენ, არ ვიცი, აკაკი სვანმა, სვანეთს, ალბათ, მიაშურა. დავრჩით მე და ოლია ოკუჯავა. ჩვენ სულ მალე მოსკოვისაკენ გავწიეთ–"

„წესრიგის" მტრები

1916 წლის აგვისტოში გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა მოსკოვს გაემგზავრნენ. გალაკტიონი იმავე წლის ნოემბერში მობრუნდა უკან. სულ რამდენიმე თვეში კი ახალმა ამბავმა მსოფლიო შეძრა. დაემხო რომანოვების სამასწლიანი ბატონობა. გალაკტიონს, ისე როგორც ნებისმიერ ქართველ პატრიოტს, რომანოვების ყოფნა-არყოფნის საკითხი იმდენად აღელვებდა, რამდენადაც მათი ბატონობის არეალი საქართველოზეც ვრცელდებოდა და, თუ მთელმა საქართველომ აღფრთოვანებით მიიღო პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშა –„მთავრობაძე სკანჩალსია ვ პეტროგრადე", ეს იმიტომ, რომ თვითმპყრობელობის დამხობა სამშობლოს განთავისუფლების წინაპირობად იყო აღქმული.

სხვათა შორის, თებერვლის რევოლუციამ გალაკტიონი ერთი ფათერაკიდანაც იხსნა. რევოლუციის წინა დღეებში მისი დაპატიმრების შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ბრძანება ჰქონდა გაცემული. აი, რა მიზეზით:

ქუთაისის ერთ-ერთ რესტორანში სხედან გალაკტიონ ტაბიძე და ბეგლარ ახოსპირელი. პოეტი იგონებს:

„– ბატონებო, თქვენ წესრიგს არღვევთ, – მოგვმართა უცნობმა.

– მტერი ვარ ყოველგვარი წესრიგის, – უპასუხა ახოსპირელმა, თან ამ ჩია კაცმა არსენას პათოსით შესძახა: – „მაგ შენსა აპელატებზე შენით აიღე ხელია" და უცნობ პოლიციელს სწვდა აპელატებში, – მტერი ისეთი წესრიგის, როგორსაც თქვენ იცავთ, ბატონო პოლიციელო.

პოლიციელმა იმ წამში რატომღაც გაცლა არჩია. ჩვენ კი ბაღს ზევით აუყევით ქუჩას, რომელსაც სახელად პოლიციისავე ქუჩა ერქვა, და სადაც მოთავსებული იყო თვით პოლიცმეისტერის სამმართველო. გავუთანასწორდით თუ არა სამმართველოს, უცრად, თითქო მიწიდან ამოძვრაო, ჩვენს წინ აღიმართა ისევ ის წყეული პოლიციელი. სინათლეზე შევამჩნიეთ, რომ ცალი აპელატი აგლეჯილი ჰქონდა. თურმე მეორე მხრიდან კვალდაკვალ მოგვდევ-

და

– ოჰო, მიცანით? ეხლა კი მობრძანდით ჩემთან სამმართველოში...

– მიცანითო? როგორ ვერ გიცანით. ეს იყო ლავრენტი მახარაძე, პოლიცმეისტერი, რისხვა დასავლეთ საქართველოსი...

იმ ღამეს იქ გვამყოფეს, დილით მახარაძემ გუბერნატორთან წარსადგენად შეადგინა ოქმი და ჩვენ გაგვანთავისუფლა.

დაეუსახელეთ ფიქტიური ბინები და იმ დღიდან აღარ გამოვჩენილვართ.

ველით, რითი გათავდება საქმე.

საგუბერნიო სამმართველოში ერთი პატიოსანი კაცი მსახურობდა, დადიანი. სწორედ მას მიუვიდა ის ჩვენი ოქმი გუბერნატორთან წარსადგენად. „ეს რა მოსვლია ჩვენს გალაკტიონს", – უფიქრია და მახარაძის ოქმი, რომელშიდაც წერია, ალაჰმა უწყის, რა ამბები. ამოუდვია უამრავი ქალალდის ქვეშ, რათა დაგვიანებოდა საქმეს და შემდეგ, შესაძლებელია, სულ მივიწყებას მისცემოდა?

ერთ დღეს დადიანს იბარებს გუბერნატორი. ეხლა ჩემთან პოლიცმეისტერი იყოო, მას ჩემთან დასკვნისათვის ოქმი გამოუგზავნია, მე კი ის ოქმი თვალითაც არ მინახავსო. ეხლავე საქმეს გადავხედავო, უპასუხნია დადიანს. მეტი რომ საქმეს აღარ ეშველებოდა, აიღო ის ოქმი და წარუდგინა გუბერნატორს. მან კიდევ ზედ წააწერა რეზოლუცია ჩემისა და ახოსპირელის დაპატიმრების შესახებ.

დადიანმა იმწამსშივე ეტლი დაიქირავა, მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილა, თუ როგორ იყო საქმე. მაშინ ბინად გადავედი ერთ მეგობარ მხატვართან და ქუჩაზე დღე არ ვჩნდებოდი, ასევე მოიქცა ახოსპირელიც– მაგრამ მალე მოხდა ისეთი მოვლენა, რომელმაც არათუ ასეთ უბრალო, ბევრ მომავალ ხიფათს გადაგვარჩინა: ეს იყო რევოლუცია!"

იმ დღეს, როცა ქუთათურებმა თებერვლის რევოლუციის შესახებ შეიტყვეს, პირველ რიგში ქუთაისის პოლიცმეისტერი, ლავრენტი მახარაძე დაიჭირეს და, ევგენი გეგეჭკორი რომ არა, მისგან შეწუხებული ხალხი მას ასო-ასოდ აქნიდა. ასე გადარჩა გალაკტიონიც ორკვირიან პატიმრობას.

დახვრეტილი თავისუფლება

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე კვლავ მოსკოვს მიემგზავრება. იქ ეგულებოდა მეუღლე და მოსკოვისაკენ ეწეოდა აგრეთვე უმაღლესი განათლების მიღების წყურვილი. ჯერ კიდევ 1915 წლის 25 მაისს გალაკტიონს თხოვნით მიუმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ-

ავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის – დახმარე-ბოდნენ მატერიალურად, რათა შესძლებოდა სწავლის გაგრძელება.

„საშინელ მატერიალურ გაჭირვებას ჩვენში ბევრი ახალგაზრდა მწერალი განიცდის - მიმართავდა საზოგადოების მესვეურებს გალაკტიონი – მაგრამ სულ სხვაგვარია ჩემი მდგომარეობა. მე შვილი ვარ ულარიბესი მშობლების. ვერავითარ დახმარებას ოჯახიდან ვერ ვიღებ, არც მეგობრები, არც დამხმა-რეები მყავს ისეთი, რომ შემეძლოს თავი დავაღწიო ამ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ვიმყოფები. ჩემი ბავშვობიდანვე გულში ჩანერგილი სურ-ვილი – უმაღლესი განათლება მიმეღო, სურვილადვე დარჩა და საუკეთესო იმედები სიღარიბემ სრულიად გაანადგურა. ერთადერთი გზა, რომლის მიღ-წევასთან სრულიად გამოიცვლება ჩემი ცხოვრება, ეს არის სტიპენდიის დანიშვნა ჩემთვის ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებისაგან. თავისუფალია ათი სტიპენდია. ამით მე შეძლება მომეცემა შევიძინო განათლება მოსკოვში, ბანიასკის უნივერსიტეტში. უმორჩილესად გთხოვთ, ქშწკგ-ს ქუთაისის განყოფილება შევიდეს ჩემს მდგომარეობაში და მიშუამდგომლოს თბილისის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

მე დარწმუნებული ვარ, ქუთაისის წკგ საზოგადოების განყოფილება ყურადღებას მოაქცევს ჩემს თხოვნას და უარს არ მეტყვის დახმარებაზე".

ნუ დავივიწყებთ, რომ ეს განცხადება 1915 წელს არის დაწერილი. მისი ავტორი უკვე საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული პოეტია, მაგრამ დახეთ ბედის ირონიას! მაინცდამაინც გალაკტიონის თხოვნამ არ გაამართლა. ბევრ ახალგაზრდას გაუმართა ხელი წერა-კითხვის თუ სხვა საქველმოქმედო ორ-განიზაციებმა, მრავალი ქართველი აღიზარდა რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ცალკეულ მეცნიერთა ხარჯით. გალაკტიონი ამ მხრივაც უსასოო აღმოჩნდა.

არიან ადამიანები, რომელთაც სულ პატარა მიზნის მისაღწევადაც კი გრძელზე გრძელი გზის გავლა უწევთ. ზოგს ადვილად გამოსდის, ზოგნი კი მხოლოდ ტანჯვით, მხოლოდ ნერვების წყვეტით მიიწევენ წინ ნაბიჯ-ნაბიჯ. გალაკტიონის ცხოვრება სწორედ ასე აეწყო. ერთადერთი, რაც მისთვის ყველაზე უხვად გამოიმეტა განგებამ, ნიჭი იყო, ნიჭი და სულიერი სიწმინდე. პარადოქსია, მაგრამ პირველიცა და მეორეც იმ სახელმწიფოში, რომელშიც გალაკტიონმა გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრება, ხელისშემშლელი პირობა იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი არსებობისათვის.

ასე გახლდათ თუ ისე, გალაკტიონი მაინც ჩადის მოსკოვში და იქ სარეპეტიტორო კურსებს ამთავრებს. ესეც პოეტის ახირებულ სურვილად უნდა ჩაეთვალოთ. ძნელია გალაკტიონ ტაბიძის წარმოდგენა რეპეტიტორის ამპლუ-

აკი ერთი დღეც არ უმუშავია მას თავისი პროფესიის მიხედვით.

ოქტომბრის რევოლუციის მომდევნო დღეებში პოეტი მოსკოვიდან პეტრო-ადს ჩადის. მან თავისი თვალით იხილა ის მოვლენები, რაც რუსეთში ებოდა. 1918 წელს კი, უკან დაბრუნებისას, თვალწინ გადაეშალა არაადამი-ური სისასტიკის შედეგები: რუსეთისა და უკრაინის ტრამალები დაფენილია ამებით. გადამწვარია დაბა-სოფლები, ქალაქები, მძვინვარე სამოქალაქო ს ნაცარ-ტუტად უქცევია ყოველი. გალაკტიონ ტაბიძე შეძრწუნებულია დევით, ნამოქმედარით, რევოლუციის სისასტიკით. პოეტი წერს ლექსს რასოდეს ბედი არ ყოფილა ასე ცბიერი", რომლის უკანასკნელი სტრიქონებით, ამ ალარაფერი ვთქვათ სათაურზე, განაჩენი აქვს გამოტანილი ბოლშე-კური რევოლუციის მოპოვებული „თავისუფლების" პარადოქსურ ბუნებას.

„გაჰქრა, დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება
თავისუფლება, დახვრეტილი თავისუფლება".

და „დახვრეტილი თავისუფლების" ქვეყნიდან გალაკტიონი თავის სამ-ბლოს მოაშურებს, სადაც თავისუფლება ჯერ კიდევ არ არის დახვრეტილი.

პოეზიაში უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბ-ნეული

იმ დროს თბილისისაკენ დაიძრა რევოლუციას გამოქცეული მთელი უსეთის ინტელიგენცია – მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები. თბილისი ხე-ოვანთა საასპარეზოდ იქცა. გალაკტიონმაც თბილისს მოაშურა. ამ ტკბილ-არე ქალაქს იგი ველარასოდეს მოსცილდება. „თბილისი ჩემთვის არის ლგოთა, გილიოტინა და ეშაფოტი" — აქვს მას ასეთი სტრიქონები, გრამ თბილისი პოეტების სატახტოდაც იქცა და გალაკტიონს სწორედ აქ ნდა გაემარჯვა ხელოვანთა ცხოვრების თაებრუდამხვევ ორომტრიალში.

მისი ქუთათური თანამოკალმენი უკვე თბილისს გადმობარგებუ-იყვნენ. „ცისფერყანწელთა" დიდი ნაწილი თბილისშია. ლიტერატურულ ბორებაში სწორედ „ცისფერყანწელები" აქტიურობენ. გალაკტიონს თავდა-რველად მათთან მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა. სი ლექსი „ცისფერი ყანწების" პირველსავე ნომერში დაიბეჭდა 1916 წელს, გრამ შემდეგ პაოლო იაშვილსა და ვალერიან გაფრინდაშვილს წაეჩხუბა, ჯარე-მწარე სიტყვები აკადრეს ერთმანეთს და გალაკტიონი ცისფერ ორდენს მოსცილდა–

1919 წელს გამოსცემს თავისი ლექსების მეორე წიგნს ,,არტისტული ყვავილები'', რომლის ბადალი კრებული მე-20 საუკუნის საქართველოში აღარ დაწერილა. გალაკტიონი ერთბაშად შედგა დიდი პოეზიის კვარცხლბეკზე. საკუთარი თავის ფასი მან კარგად იცოდა, უკვე ოლიმპის სიმაღლიდან დამზერდა მის თანამედროვე პოეტთა ამქარს. თავის მხრივ, ,,ცისფერყანწელებს'' პრეტენზია ჰქონდათ ქართული ლექსის ევროპული რადიუსით გამართვაზე. ამ მისიას ისინი აღასრულებენ კიდეც. ,,ცისფერი ორდენი'' უნიჭიერეს პოეტთა საძმოა. მათ გალაკტიონის უპირატესობის აღიარება უჭირთ. კი გრძნობენ, რომ ამ გამოუსწორებელი მეცნიერების სახით ქართულ პოეზიაში გენიოსმა შემოაბიჯა, მაგრამ, როგორც იტყვიან, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. გალაკტიონსა და მის თაობელ პოეტებს შორის აშკარაა შემოქმედებითი მეტოქეობა და ამ ნიადაგზე შექმნილი დაძაბული პიროვნული ურთიერთობა.

თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, საცნაური გახდება იმ ირონიული დამოკიდებულების საფუძველი, რომელსაც გალაკტიონი 40-იანი წლების ერთ ჩანაწერში ამჟღავნებს ,,ცისფერყანწელებისა'' და ფუტურისტებისადმი. აი, ეს ჩანაწერიც: ერთ პოეტს სახელად რაჟდენი ერქვა. ასოთამწყობმა ,,რაჟდ'' აწყო შეცდომით ასე — ,,რაუდ''. ხსენებული პოეტი აღტაცებული იყო ამ კორექტურული შეცდომით. მიიღო ეს სახელი და შემდეგ ყოველთვის ხელს ასე აწერდა — რაუდ გოგოხია.

,,ცისფერყანწელები'' კორექტურულ შეცდომებს აღმოჩენად თვლიდნენ — წერილს ამშვენიერებსო. ისინი არათუ ტოვებდნენ ხელშეუხებლად ამ შეცდომებს, განგებ ამახინჯებდნენ სიტყვებს, ეგების, უფრო გაუგებარი იყოსო.

გაუგებრობას კი მიღწევად თვლიდნენ. ლექსი, რომელსაც ყველა გაიგებს, ლექსი არ არისო, ამბობდნენ ისინი...

ჯგუფის ერთმა წევრმა, რომელიც ავიშების კორექტურას ასწორებდა, ნახა, რომ ,,ულადოსნური სალამურების'' მაგიერ ასოთამწყობს ,,ჭიდოსნური სალამურები'' აეწყო. კორექტორმა განგებ დატოვა ეს გაუსწორებლად და მეორე დღეს მთელ თბილისში გაკრული იყო ავიშები ,,ჭიდოსნური სალამურები''. ერთ მივარდნილ კაფეს, რომელშიც იკრიბებოდნენ, სახელად ,,ჭიდოსნური სალამურები'' დაარქვეს და არავინ კი, ამ კორექტორის მეტმა, არ იცოდა, რა იყო ეს ,,ჭიდოსნური სალამურები''.

შემოღებულ იქნა უქუდოდ სიარული — ნიშნად პროტესტისა ანდაზისათვის: ,,კაცი ვარ და ქუდი მხურავს''.

ვიღაც შეშლილი პოეტი რუსთაველის თეატრის უზარმაზარ შუშებს

ქვებით ამსხვრევს, ნიშნად პროტესტისა, რომ მის სალამოს არავინ დაესწრო და შემოსავლის იმედი არ გაუმართლა.

და რაც ყველაზე მთავარია, საშინელზე საშინელი მატერიალური სივიწროვე. მწერლები შიმშილისაგან სულს ღაფავდნენ. უმწეო მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილნი ხანში შესული მწერლები: ვასილ ბარნოვი, შიო მღვიმელი, ზაქარია ჭიჭინაძე, შიო არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, განდეგილის ქალი, ეკ.გაბაშვილისა და სხვა.

პაოლო ხშირად იყო კონფერანსიედ — ეს ძალიან შემოსავლიანი რამ იყო.

ამ ვრცელ ამონარიდში, მართალია, ცოტა არ იყოს, ტენდენციური დამოკიდებულება ჩანს 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრებისადმი, სხვადასხვა მოდერნისადმი, მაგრამ მოგვყავს იგი, რადგან იმავდროულად მთელი ეპოქის სურათი და ლიტერატურული პანორამაა დახატული.

გალაკტიონი მარტოსული იყო და განმარტოებულ ცხოვრებას ჩვეული, „ცისფერყანწელები“ კი უერთმანეთოდ, როგორც იტყვიან, პურს არ გატეხდნენ.. ხასიათის ასეთი სხვადასხვაობაც იყო მიზეზი იმისა, რომ პაოლოსა და გალაკტიონს, თუნდაც ბიძაშვილებს — ტიციანსა და გალაკტიონს — შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარება ვერ ხერხდებოდა. ახალგაზრდა „ცისფერყანწელები“ თავდავიწყებამდე მისულ ისეთ ორგიებს აწყობდნენ, რომ ქუთაისის მენშევიკურმა ადმინისტრაციამ პაოლო იაშვილს ქუთაისიდან გასახლება მიუსაჯა, როგორც პოეტების ბოჰემური გამოსვლების მეთაურს. გალაკტიონი კი სუფრაზედაც მარტოხელად გამოიყურებოდა...

თუ გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკას გადავავლებთ თვალს, ერთი შესედვით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს ქრონიკა შთამბეჭდავი წარმატებებისა და გამარჯვებათა მაუწყებელია.

აი, თარიღების მშრალი ნუსხა:

1922 წ. გალაკტიონი აქტიურად მუშაობს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში. გალაკტიონის რედაქტორობით გამოდის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ლიტერატურული ჟურნალი „ლომისი“.

1923 წ. გამოდის ჟურნალი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“.

რუსთაველის თეატრში ეწყობა პოეტის მოღვაწეობის 15 წლის იუბილე. საიუბილეო კომიტეტი აქვეყნებს მოწოდებას:

გალაკტიონ ტაბიძე ეპოქალური მოვლენაა საქართველოში... თხუთმეტი წლის წინათ მკითხველმა საზოგადოებამ ერთბაშად აღიარა მასში შეუდარე-

ბელი პოეტური ნიჭი. თხუთმეტი წლის განმავლობაში მისი ლექსი იწვევდა არაჩვეულებრივ გამოხმაურებას. უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღელვებული მიესალმა ამ წიგნის გამოსვლას. გალაკტიონ ტაბიძის პირველი სალიტერატურო სალამო იყო პოეტის ნამდვილი დღესასწაული... მან შექმნა მთელი შკალა და დაუფასებელი ღვაწლი დასდო თანამედროვე ლექსის ტექნიკას... ასეთი პოეტი საუკუნეში ერთი იბადება...

1924 წ. გალაკტიონი ერთ-ერთი დამფუძნებელია ჟურნალ „მნათობისა". ამ ჟურნალის პირველ გვერდზე თითქმის ყოველთვის გალაკტიონის ლექსები იბეჭდება.

1925 წ. „მნათობის" მეათე ნომერში იბეჭდება გალაკტიონის ასი ლექსი.

1927 წ. გამოდის ერთდღიური გამოცემა „გალაკტიონი", რომელშიც მოთავსებულია წერილები და ლექსები გალაკტიონის შესახებ. პოეტი სცემს ლექსების დიდ კრებულს.

ქსოხუმში იმართება პოეტისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო სალამო, სადაც მას მიართმევენ ლირას წარწერით: „გალაკტიონს — პოეტების მეფეს".

1928 წ. ჩატარდა პოეტის სალიტერატურო მოღვაწეობის 20 წლის იუბილე.

1932 წ. გალაკტიონს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

1933 წ. სახელმწიფო ოპერის თეატრში დიდი ზეიმით გადახდილ იქნა პოეტის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. მთავრობის დადგენილებით გალაკტიონ ტაბიძეს მიენიჭა საქართველოს სახალხო მწერლის წოდება.

1934 წ. გალაკტიონი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

1935 წ. გალაკტიონი მიემგზავრება პარიზში, როგორც მწერალთა პირველი მსოფლიო ანტიფაშისტური კონგრესის დელეგატი.

გამოდის პოეტის ნაწერების მეორე ტირაჟი. ასევე იცემა მისი ლექსები და პოემები რუსულ ენაზე.

1936 წ. გალაკტიონი იღებს ლენინის ორდენს.

1938 წ. აღინიშნება გალაკტიონის სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

1943 წ. ზეიმით აღინიშნება დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50-ე წლისთავი და ლიტერატურული მოღვაწეობის 35-ე წლისთავის იუბილე.

ალბათ, მოსაწყენია ამ მშრალი ფაქტებისა და თარიღების კითხვა.

ასე გაგრძელდა მწერლის გარდაცვალებამდე. იუბილეები, ზეიმები, შეხვედრები, ახალ-ახალი ტომეულების გამოცემები. ასე რომ, ვინც გალაკტიონის ბიოგრაფიის ქრონიკას წაიკითხავს, სხვათა შორის, მის მიერვე შედგენილსა და ჩამოწერილს, ერთობ სვებედნიერი და ქუდბედიანი კაცის პორტრეტი წარმოუდგება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. როგორც პოეტის ბიოგრაფიის შესავალშივე აღვნიშნე, სწორედ ყველაზე ბედნიერი, მაგრამ ყველაზე უბედურიც იყო თანამოკალმეთა შორის. მისი ნამდვილი ყოფის სურათს არა მშრალი საგაზეთო ქრონიკები, არამედ დღიურები, გრძელ ღამეებში გამოტანჯული დღიურები გვამცნობს. გაგაცნობთ ერთ მათგანს, რომელსაც, ალბათ, კომენტარი აღარც დასჭირდება:

31 დეკემბერი, 1932 წელი.

„1932 წლის უკანასკნელი დღეა. საათი დავაყენე სწორედ თორმეტზე და მისი რეკვა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ოთახი შეძლებისდაგვარად დავასუფთავე. ოთახშიაც და აივანზეც ანთია ელექტრონები. მე მინდა მხიარულად შევხვდე ახალ წელს. არ მინდა მახსოვდეს უკანასკნელი დღეების კოშმარები, საღამო რომ გადაიდო ქართულ კლუბში, ვინაიდან არავინ დამეხმარა. შემდეგ მწერალთა პლენუმზე რომ გამოვედი სასტიკად გაბოროტებული, ყველა მწერლები რომ დავიმდურე, საშინელი კრიზისი რომ იყო და ხელი არავინ გამომიწოდა, რომ ისევ ავადა ვარ და ახალ წელს ვხვდები ჯიბეგაფხეკილი, რომ არც ერთი „პიასტრი“ არ გამაჩნია, რომ ყველა მისაყვედურებს რაღაცას, დავდივარ უფეხსაცმლოდ. ერთი მიღწევა ეს პალტოა, როგორც იქნა, ვიშოვნე. სხვა უკანასკნელ დღეებში არავითარი კარგი რამ არ ყოფილა ჩემთვის. რაც ყველაზე საშინელია, ისევ მაწვალებდა თვითმკვლელობაზე ფიქრი, რომელიც მეგონა, რომ სამუდამოდ ჩამოვიშორე. საათი დაყენებულია სწორედ თორმეტზე და მისი რეკვა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ღირს კი რაიმეს გახსენება მიმავალი წლის ამბებიდან? ძალიან ცოტა რამ იყო კარგი. ჩემის მხრივ შეცდომები იყო უამრავი. მთელი წლის განმავლობაში საზიზღრად ვსაზრდოობდი და ალბად იმის ბრალია, რომ ყველაფრის ხალისი მეკარგება. ათასჯერ გამძარცვეს. ერთხელ პალტო წამართვეს, მეორეჯერ პიჯაკი, დოკუმენტებით, ორ, ეს საშინელება იყო. მესამეჯერ ფეხსაცმელები და კალოშები, მეოთხეჯერ ქუდი. სულ სამი ქუდი დავკარგე ამნაირად. სოფელში რომ ვიყავი, ვიქცეოდი ისე, როგორც აქ, საზიზღრად. ვთვრებოდი, მივეჩვიე არაყს. ჩამოვიშორე ბევრი კარგი მეგობარი და დავიახლოვე ისეთები, რომლებიც ყოველდღე მძარცვავენ.

სხვადასხვა დროს დავკარგე ორი ახალთ-ახალი შარფი, კრიზისის დროს გავყიდე უკანასკნელი შარვალი. „საქართველოს ჩაიმ“ ხუთასი მანეთი მომცა შემოქმედებითი მიელინებისას. ის ფული ხუთ დღეში გავაქრე და ვერსადაც ვერ წავედი. პენსიის ფულს ყოველთვის წინდაწინ ვიღებდი, მარა ორ დღეს იქით არ გამყოლია. „ეპოქა“ უნდა გამოსულიყო. ფული ნაწილ-ნაწილ ავიღე და არაფერი არ დამრჩენია, რადიომ სამასი მანეთი მომცა ავანსად და ისიც უცებ გაქრა, ასი მანეთი აჭარისტანის ცაკს გამოვართვი და დღემდე ვერ დავუბრუნე, ასი - ბარონს სალამოსათვის, ასი კიდევ - სხვა ორგანიზაციას. სახელიც კი არ მახსოვს. დედაჩემმა სოფლიდან წყეველით გამომისტუმრა. აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი ლაი-ლაი გამართა და ისევ წავიდა. ოლია სწორედ მაშინ გაქრება, როდესაც ავად ვარ და წყლის მომწოდებელი კაცი არ არის. ამას წინად მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვიწექი საწოლში და კაცი ჩემთან არავინ მოსულა. მშიერი, ავადმყოფი, უპალტოობის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, 24 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე მარტოდმარტო ვიყავი, კაცი არ იყო ჩემი ამბის მკითხველი, ჩემთან ბინაში სწორედ ხუთი წელიწადია, არც ერთი მეგობარი არ მოსულა. კაცი რომ მოჰკვდე საკუთარ ოთახში, ამას გაიგებენ მხოლოდ 15 დღის შემდეგ, როდესაც გახრწნის სუნი გაანგრევს კარებს და ეზომდე გაატანს“.

ის განწყობილება, ის ტკივილი, რაც ამ დღიურში ჩანს, სამწუხაროდ, წუთიერი განწყობილების შედეგი როდი იყო. თვითმკვლელობაზე ფიქრი არ სცილდებოდა პოეტს. ამ დღიურის დაწერიდან ორიოდე კვირის შემდეგ სოხუმში მიემგზავრება, რათა გემბანიდან ზღვაში გადავარდეს. საბედნიეროდ, იმხანად პოეტმა სძლია საკუთარ თავს.

კიდევ ერთ გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. ზემოთ ჩამოწერილი ბიოგრაფიული ფაქტებიდან, იმ უამრავი საზეიმო სალამოდან, რომლებიც გალაკტიონს გადაუხადეს, ჩანს, რომ იგი დიდად დაფასებული და პატივცემული იყო ხელისუფლებისაგან, მაგრამ ეს დაფასებაც მოჩვენებითი გახლდათ. საილუსტრაციოდ კიდევ ერთ ჩანაწერს გაგაცნობთ: გალაკტიონი კრებას ესწრება. თავისთვის ზის და მომხსენებელს უსმენს. „უეცრად თავს დამადგა მილიციის ფორმაში გამოწყობილი კაცი და მითხრა:

— გთხოვთ ქვევით საქმისათვის.

მე ვაჩვენე, რომ ეხლავე ჩამოვალ. შევამჩნიე, რომ საზოგადოება ყურადღებას მაქცევდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩავედი.

ვიხედები, ვინ მეძახის - მეთქი, არავინ არ ჩანს. ისევ ის მილიციის ფორმაში.

- მობრძანდით ერთი წამით, მიაცილეთ ეს კარებთან, - უთხრა მეორე

მილიციელს.

მე გავოცდი, რაშია საქმე – მეთქი, ვიფიქრე, ვერაფერი ვერ მოვისაზრე და გავყევი მილიციონერს, რომელმაც ჩამატარა კიბეები და მიმიყვანა საკომენდატოში...

– ვაში დოკუმენტი, ვინა ხართ?

ვუჩვენე დოკუმენტები, ვინცა ვარ.

– უკაცრავად, – მითხრა მან, – საზოგადოდ, ვამოწმებთ. არ გეწყინოთ. მიაცილეთ ეს კაცი თავის ადგილას.

და გამომიყვანეს. მიმიყვანეს არა იქ, სადაც ვიჯექი, არამედ სულ სხვა მხრით და სხვა გზით სულ ზევით, უკანასკნელ რიგთან.

ვფიქრობდი, თუ რაღა მე ამირჩიეს – მეთქი ამდენ ხალხში შესამოწმებლად. რა იყო მიზეზი? ვის მიერ იყო? არაფერი არ ვიცი.

კაცს, რომელიც დოკუმენტებს მთხოვდა, პირიდან ღვინის ოხშივარი ამოდიოდა, არ გეწყინოსო, გალაკტიონ, წამოსცდა ამას ჩემი სახელი.

ვუგდებდი ყურს კალინინს (მომხსენებელს. ნ.გ.)".

შემდეგ თურმე ბანკეტი იყო.

როგორც ვხედავთ, იმ დარბაზში, სადაც მოსკოვიდან ჩამობრძანებული დიდი ჩინოვნიკი კალინინი კითხულობდა მოხსენებას, გალაკტიონის წინა რიგებში უკდომა ეხმაუშათ ხელისუფალთ და იგი უკან „გადასვეს"...

ახლა ისიც გავითვალისწინოთ, რომ ერთადერთი გულშემატკივარი და მეგობარი მეუღლე, ოლია ოკუჯავა, 1937 წელს ტროცკისტისა და ხალხის მტრის ბრალდებით დააპატიმრეს და გადაასახლეს.

თავშესაფარი ნერვებგაფლეთილმა პოეტმა ღვინოში პოვა. განსაკუთრებით 1937 წლის შემდეგ სმას უმატა. ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია. თავისი ყოფის საშინელება შემაძრწუნებლად გადმოსცა ლექსით. აი, ეს ლექსიც:

„შენ არ გინახავს კაცის ღიმილი,
შურმა და მტრობამ ისე მიგინდრო,
შენი ცხოვრება და სიმძიმილი,
არის ეს ქუჩა და სამიკიტნო.
შენი ცხოვრება არის ეს ძაღლი,
რომელიც კვდება ცივი, ბებერი,
მისთვის არ არის ამქვეყნად სახლი.
არც კარებია, შესაღებელი.
შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის.

სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის
შენი ცხოვრება, ვით შემოდგომა,
არასდროს აღარ დაიზამთრება.
აცივდა და შენს გარშემო დგომა
ეხლა არავის არ ენატრება.
შენი ცხოვრება ღონემიხდილი
არის ტალახი, ბოსელი, ქართა.
რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი,
თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა?
ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს,
როცა გაიგებს სიკვდილი ხველას,
შენი ცხოვრება არვის ახარებს,
შენი სიკვდილი ახარებს ყველას.
ეს აზრი უნდა გავიგოთ ესე.
რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას
და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს
წერტილს ტყვიისას.
რას?
თვითმკვლელობას".

ეს დღეც დადგა გატანჯული პოეტის ცხოვრებაში.

„სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი,
და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება".

გაზაფხულის თვე იყო. მარტი. რიცხვი 17. წელი 1959.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება

შესავალი, ანუ როგორ წავიკითხოთ გალაკტიონი

ჩვეულებისამებრ, როდესაც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების კვლევას ვიწყებთ, ვალდებულნი ვართ, გავეცნოთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოვიყენოთ კიდეც ის წერილები, გამოკვლევები და მონოგრაფიები, რომელნიც საკვლევი მასალის ირგვლივ ჩვენამდე შექმნილა, მაგრამ ჭეშმარიტ პოეზიაზე წერისას ეს მხოლოდ „შავი სამუშაოს“ შესრულებას ნიშნავს. ამ აზრს განსაკუთრებით გავუსვამდი ხაზს გალაკტიონის სამყაროს კვლევისას. არა იმიტომ, რომ გალაკტიონის უმშვენიერეს ლექსებზე ღირებული არაფერი დაწერილა, ბევრი რამ გამოქვეყნებულა – ცუდიც და კარგიც, ტრაფარეტულიც და პოეტის შემოქმედების ღირსიც (ამ უკანასკნელ ფრაზაში, ცხადია, არის გადაჭარბება. გალაკტიონის პოეზიის შესაფერი წერილი, ესეი, გამოკვლევა თუ მონოგრაფია, ძნელი წარმოსადგენია..)

და მაინც, ის ღვთაებრივი პოეზია რომ სრულყოფილად იგრძნოთ, რაც ლექსის ამ დიდმა ჯადოქარმა შექმნა, ვერავინ „გიშველით“, თუ თავად თქვენში ვერ მოიძიებთ იმ გრძნობებსა და განცდებს, იმ ტკივილებს, იმ უჩვეულო განწყობას, რაც პოეტს სულს უფორიაქებდა.

ვინც სიყვარულის ცეცხლზე არ დანავლებულა და ძილგამფრთხალს ღამის სიშავე, წვიმის ცრემლები და მარტოობის განცდა მძიმე ლოდივით არ დასწოლია, ვერასოდეს იგრძნობს და ვერც ერთი მკვლევარი ვერ გაანცდევინებს ამ სტრიქონების მაგიურ ძალას:

„ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი
თითქო შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი,
რომელი საათია, რომელი საათია?“

ვინც სრული უმწეობის გრძნობას არასოდეს შეუპყრია, ვისთვისაც უცხოა აპათია და საშინელი განწყობით შობილი უსასოობა, ამ ნიადაგზე „ფარხმალის“ დაყრა და ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულების თუნდაც ხანიერი მდგომარეობა, მას ვერცერთი ნაფიცი კრიტიკოსი ვერ აუხსნის, თუ რატომ არის დიდებული ასე უბრალოდ ნათქვამი ლექსი, ლექსი, რომელშიც „დაჭერილია“ განცდა იმისა, როგორ შეიძლება მოჰგვაროს თავისმკვლელს უკანასკნელი გადაწყვეტილების უეცარმა მიღებამ გამაოგნებელი და დამთრგუნველი სიმშვიდე:

„ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი;
მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი,
მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი.
თითქმის არ გრძნობდა სახლებს და კედლებს,
ძალით დაბურულს არ გრძნობდა მხარეს.
ეტლები ცვლიდნენ მიმავალ ეტლებს,
როგორც სიზმარში მხარე ცვლის მხარეს.
როგორ, საიდან... რა იცის თვითონ.
ის უცნობ ხიდზე დგას, სხვაა ხიდი.
მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი“.

ან ამ ლექსს როგორ აგვიხსნის ვინმე, თუ არ შევიგრძენით მთელი ტრაგიზმი ჩვენი ყოფისა, როცა იძულებით გვაძინებს მოსისხლე „გადია“, სულ ერთია, პირად მტერს ვიგულისხმებთ „გადიაში“ თუ სამშობლოსას. და ჩვენც იძულებულნი ვართ, მძინარედ მოვაჩვენოთ მას თავი იმ ბავშვივით, რომელსაც გალახვა არ ასცდება, თუ ძილის რეჟიმი დაარღვია, თუ უფროსის ბრძანებაზე თვალები მოჩვენებით მაინც არ დახუჭა... მაგრამ მათრახის შიშით თვალმინაბულში მაინც მღვიძარებს ღირსების გრძნობა, კიაფობს იმედი ოდესმე სამაგიეროს მიგებისა, რაც ასატანს ხდის სულის დათრგუნულ ყოფას...

„მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,
დაე, მძინავდეს.
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,
როდესაც ნანა გესმის ძიძების –

ბევრს ეშინოდეს
ჩემი სასტიკი და ულმობელი გამოღვიძების...“

თავის დროზე რომ არ დაეწერა ტიციან ტაბიძეს, იქნებ, ამის თქმა, მეტისმეტი ლირიზმის გამო, მომრიდებოდა კიდეც – გალაკტიონის ლექსთა კითხვისას შეიძლება ბალიში დაინამოსო ცრემლით. მაგრამ თვალის ბადურა არ აუწყლიანდება იმას, ვისაც არასოდეს უგრძნია, არ უფიქრია, რა საშინელებაა, რა გაუსაძლისია, უმზირო იმ ბინის გარმოცარიელებულ კედლებს, სადაც ერთ დროს შენთვის საყვარელი ადამიანის სუნთქვა გესმოდა, სადაც მისი სიცილი იფრქვეოდა.

მეუღლის დაპატიმრების შემდეგ ასეთ ტანჯვასა და მარტოობაში ჩამხრჩვალ პოეტს აღმოხდა:

„სარკმელი საღამომ
და ფარდამ დაბურა,
სანთელი მბჟუტავი
მთლად გაუდაბურდა,
მას შემდეგ, რაც შენი
სახება ბინდბუნდზე
სახლიდან გავიდა
და აღარ დაბრუნდა“

სახლის გამოცარიელებულ კედლებში კი მგოსნის სხეული დარჩენილა მხოლოდ, სული კი, სხეულის მოძრაობაში მომყვანი და სიცოცხლის მიმნიჭებელი, აბარგებულა, სხეულთან ყოფნა აღარ უსურვებია. ადამიანის დატანჯული ყოფის ამაზე უფრო მკაფიოდ გადმოცემა სიტყვებით განალა შეიძლება?

„თვით ჩემი სიცოცხლეც
იმ გზებით წავიდა,
სახლიდან გავიდა
და აღარ დაბრუნდა“.

ერთი სიტყვით, არ დარჩენილა ადამიანურ გრძნობათა გამმაში არაფერი, გალაკტიონის, ამ სულის დიდი მესაიდუმლის მიერ ატეხილ გრიგალში თავის ექოს რომ არ გამოსცემდეს. მოკვდავნი კი ამ ხმებში ვგრძნობთ ჩვენსავე ადამიანურ ვნებებს, უკვდავ ენაზე გარდათქმულს.

ამიტომაც ვამბობ, რომ ჭეშმარიტ პოეზიასთან მიახლოებას „შუამავალი“ ნაკლებად შველის, შუამავალი ჩვენივე სულიერი სიმდიდრე შეიძლება იყოს.

როგორც არ არსებობს გრძნობათა ზღვარის დამდგენი ბარომეტრი, ასევე არ არსებობს ის ლიტერატურული სკოლა, მიმართულება, რომლის თეორიულ არტახებშიც დიდი პოეზიის მოქცევა შეიძლება.

ზღვას მხოლოდ ცალკეულ ადგილებთან შეიძლება ვკებირი აღვუმართოთ, მთლიანი რკალი კი მისი ტალღების ღელვა-ტორტმანს ვერ შეაკავებს.

გალაკტიონის პოეზიაც იმ ზღვას ჰგავს, რომლის მოქცევაც ცალკეულ თეორიულ არტახებში - რომანტიზმი იქნება ის, სიმბოლიზმი, რეალიზმი თუ ბოლშევიკთა მიერ შეთითხნილი სოციალისტური რეალიზმი - შეუძლებელია.

გალაკტიონმა თავისი პოეზიის „გასაღები“ თავადვე შემოგვთავაზა:

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.

ამით პოეტმა თქვა ყველაფერი მათთვის, ვისთვისაც ქართული გენის, ქართული ხელოვნების, საზოგადოდ, სულიერების განცდა ორგანული ნაწილია არსებობისათვის, ვისთვისაც მზის ჩასვლა-ამოსვლა სამყაროს მშვენიერებისა და ჰარმონიის ყოველდღიური სასწაულია და არა მხოლოდ ასტრონომიული სხეულის ციკლური მოძრაობის შედეგი.

ასე რომ, გალაკტიონის ლექსის წვდომას სწორედ ამ განწყობით ვცადოთ.

არის სხვა მეთოდიც, ე.წ. მეცნიერული, სკრუპულოზური კვლევისა, რომელიც ზოგჯერ ისეა გაუკუღმართებული, რომ მეტისმეტი „სერიოზულობის გამო“ კაცს ღიმილს მოჰგვრის. გალაკტიონზე დაწერილი მშვენიერი მონოგრაფიის ავტორი, რევაზ თვარაძე, ირონიულად ამბობს:

„ჭეშმარიტ ლიტერატურათმცოდნეს მუდამ წინ უდევს ლექსიკონი. შეხვდება თუ არა ამა თუ იმ ლექსში საგულისხმო მხატვრული ხერხი, ჯერ თავისთვის დააზუსტებს კარგად - ალიტერაციასთან აქვს საქმე, სინეკდოქესთან თუ პლეონაზმთან. მერე უაღრესად ბუნებრივად, უშუალოდ, შინაურულად გვეტყვის: „ამ პერიოდის ლექსებში პოეტი ხშირად მიმართავს სინეკდოქეს. რაც შეეხება ანაფორას, მრავალი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ დროისა და ადგილის სიმცირის გამო“ და ასე შემდეგ. მერე თქვენ და მე აგრეთვე ხელთ ვიღებთ ლექსიკონს, უკვე ჩვენთვის ვაზუსტებთ ხსენებულ ტერმინთა მნიშვნელობას და თავს ვიმტერებთ: ნეტავ რომელ ლექსებს გულისხმობდა განსწავლული ავტორი, რომელ ლექსშია სინეკდოქე და რომელში

ანაკოლიფსი?"

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ სინეკდოქეებითა და ანაკოლიფსებით „დაყრუებული" ფრაზებით მსჯელობა უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანურად თქმა იმისა, რას წერს, როგორ წერს ავტორი და, რაც მთავარია, როგორ კანონიცდით ჩვენ ამას.

ვახსენოთ ღმერთი და მივაშუროთ გალაკტიონის გენიით განათებულ პოეტურ სამყაროს.

«მე და ღამე»

თუ შემოქმედს საკუთარი ნაწარმოების შესახებ თუნდაც მცირე ჩანაწერი აქვს დატოვებული, ბუნებრივია, ამ ჩანაწერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისმცოდნისა თუ რიგითი მკითხველისათვის. ცნობილია, რომ გალაკტიონს თავისი რამდენიმე ლექსის შესახებ მცირე რეცენზია დაუწერია.

ეს რეცენზია, ცხადია, მნიშვნელოვანია და მკითხველს რიგი საკითხების ანალიზისას დიდად ეხმარება. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება:

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, გალაკტიონი, რიგ შემთხვევებში, საკუთარ ლექსებზე მსჯელობისას ან ამ ლექსების დათარიღებისას, შეგნებულად ჩქმალავს სიმართლეს. ამ ფაქტს კი თავისი მიზეზი ჰქონდა. აი, რა: როგორც ცნობილია, მკვლევარნი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ორ პერიოდს გამოყოფდნენ. დამკვიდრებული იყო აზრი, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე გალაკტიონ ტაბიძე სიმბოლისტი იყო. 1921 წლიდან, ანუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემოჭრის შემდეგ, კი პოეტის შემოქმედებაში თითქოს იწყება მეორე ეტაპი – რეალიზმის და მერმე სოციალისტური რეალიზმის ხანა.

სიმბოლიზმის ხსენებაზე საბჭოთა ხელისუფალნი ცოფებს ყრიდნენ, რადგან სიმბოლიზმი მათთვის ლიტერატურის იდეური გახრწნა, ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმდინარეობა იყო. სოციალისტი მწერლისათვის კი სიტყვა „ბურჟუაზიულის“ ან „დეკადენტურის“, გნებავთ, სიტყვა „პესიმისტურის“ მისადაგება ახალ დროში სახეირო საქმე არ გახლდათ. ამიტომ ჩვენი „ცისფერყანწელები“ 30-იანი წლებიდან გასაგები მიზეზების გამო უკვე თავგამოდებულნი ამტკიცებდნენ, რომ სიმბოლიზმის სენი მათ კარგა ხანია მოიხადეს და რომ ისინი სოციალისტური რეალიზმის ერთგული მიმდევარნი იყვნენ–

აი, ეს გარემოებაც არის გასათვალისწინებელი, როცა სიმბოლიზმის შესახებ გალაკტიონის გვიანდელ ჩანაწერებს ვკითხულობთ.

„მე და ღამეც“ ერთ-ერთ სიმბოლისტურ ლექსად იქნა მიჩნეული. პოეტი გასაგები მიზეზის გამო საჭიროდ თვლიდა, ეს „ბრალდება“ უარეყო. ამიტომაც, თითქოს ოპონენტს ეკამათებაო, გაღიზიანებული წერს: „ისმის თუ არა ამ ლექსში სულიერი სიმტკიცე ახალგაზრდობის, ისმის თუ არა შიგ საიდუმლოების დაცვის ფიცი?“

შეიძლება ითქვას, რომ პოეტი შეგნებულად აუბრალოებს საკუთარი ლექსის სათქმელს. ოღონდ სიმბოლისტობას ნუ დასწამებენ და მზად არის „აღიაროს“, რომ ამ ლექსში ახალგაზრდობის სულიერი სიმტკიცე და საიდუმლოების დაცვის ფიცია გამოხატულიო.

გალაკტიონი მისტიფიკაციების ოსტატი იყო. ამ დაწყევლილი ორი პერიოდის შეკიჟინებით შეწუხებულს ხშირად დასჭირვებია, მეტი „სინათლე“ შეეტანა სიმბოლისტურად მიჩნეული ამა თუ იმ ლექსის შექმნის ისტორიაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საკუთარი ნაწარმოების შექმნის იმპულსად რევოლუციასთან და რევოლუციონერობასთან დაკავშირებულ ფაქტს დასახელებდა ხოლმე. აქაოდა, ამ ფაქტს სიმბოლიზმთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდესო. ასე მოიქცა „მე და ღამეს“ შექმნის ისტორიის გადმოცემის დროსაც. ზოგიერთი ლიტერატორისათვის კი პოეტის შეგნებული მისტიფიკაციები გაუგებარი დარჩა და მისი ნაამბობი ჭეშმარიტად მიიჩნია.

ასე მაგალითად: 1956 წლის აპრილში გალაკტიონ ტაბიძისათვის ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შეხვედრა მოუწყვიათ. შეხვედრაზე მოხსენება წაუკითხავს კრიტიკოს დიმიტრი ბენაშვილს, რომელსაც „მე და ღამე“, ტრადიციისამებრ, სიმბოლისტურ ნაწარმოებად მიუჩნევია. ამ საღამოს დამსწრე ერთი ლიტერატორი იგონებს: „გალაკტიონმა მიგვიხმო და სთქვა – აი, დიმიტრიც შეცდა დღეს, ჩვენი კრიტიკოსები ცდებიან, გალაკტიონი სიმბოლისტი იყოო, ამტკიცებენ, არა, ძამიკო, დიმიტრი, არა, ამხანაგებო, ეს არ არის სწორი. ეს გაუგებრობაზეა აგებული. მე ასეთი გულუხვობა და ასეთი წრფელი სიყვარული არსად არ მიგრძვნია და თქვენ გაგანდობთ, ჩემო ძვირფასო ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩემი დიდი ხნის საიდუმლოს, „მე და ღამეს“ შექმნის საიდუმლოს“.

მტერი ვერ მიხვდეს იმას, რა ირონიაც ამ და ქვემოთწარმოდგენილ სიტყვებშია. მოგონების ავტორი კი სრული სერიოზულობით განაგრძობს თხრობას: „გრძნობდა, რომ ახლა უკვე ის თაკილი შემოქმედების ნამდვილ ეშტაზში შედიოდა, იმ ეშტაზში, რომელშიც წარმოიშობა ხოლმე სულის ყველაზე უსათუთესი ღაღადისი, ყველაზე დაფარული გასანდობარი. უცებ უბის წიგნაკი მოკმარკვა და სიტყვა-სიტყვით ჩაიწერე შემდეგი:

„ეს იყო ახალგაზრდობის დროს, 1912 წელს – დაიწყო ნელი, მკაფიო ხმით გალაკტიონმა, – ქუთაისის საგუბერნიო ცისქვეშ ერთი ჩემი ახლო

მეგობარი რევოლუციონერი იყო. მე და ჩემს ამხანაგს დავალებული გვქონდა, მიგველო მისგან საიდუმლო ნიშანი. წინასწარ გაფრთხილებული ვიყავი, რომ ის ციხის ზედა საკნიდან ქუჩისკენ, სადაც ჩვენ უნდა ვმდგარიყავით, პურის ცომისგან მოზელილ გუნდას გადმოაგდებდა, რომელშიაც პატარა წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. და, აი, ერთხელ, საღამოჟამს, დავიწყეთ სეირნობა ციხის გალავნის ირგვლივ, დათქმულ ქუჩაზე. დიდხანს მოგვიხდა სეირნობა და ლოდინი. ეტყობოდა, ხელსაყრელ დროს ელოდა– ბოლოს ჩემს ახლოს დაეცა პურის გუნდა– უმალ ავიღე და გადაეტეხე იგი. შიგ მართლაც ბარათი იყო: „იარაღი გამომიგზავნეთო“. ეს მე საიდუმლოდ შევინახე. აი, რამ მომცა ბიძგი, დამეწერა ჩემი „მე და ღამე“ – თქვა ეს და ისევ დიმიტრის მიმართა.

– რა აქვს, დიმიტრი, ამ ამბის შემდეგ საერთო ჩემს „მე და ღამეს“ სიმბოლიზმთან? არაფერი, არაფერი“.

პოეტის სიტყვებში:

„დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,

არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ“ –

თურმე მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, კერძოდ კი, დაპატიმრებულ რევოლუციონერებთან საქმიანი კავშირი იგულისხმება. ეს რევოლუციონერი კი, რომელსაც ციხეში იარაღის შეგზავნა მოუთხოვია, კრიტიკოსის აზრით, ოლია ოკუჯავა, პოეტის სატრფო იყო–

რამდენჯერაც უნდა წაიკითხოს „მე და ღამე“ და რა ბოლშევიკური სულისკვეთებაც უნდა ჰქონდეს კაცს, ლექსის ამდაგვარად „გაიდეურებას“ ვერაფერით მოახერხებს. ერთი სიტყვით, კრიტიკოსის „მეთოდოლოგიით“ გალაკტიონის მორიგი ირონია უტყუარ ფაქტად იქცა–

რა წერია სინამდვილეში ლექსში?

პოეტი ახდენს ბუნების პერსონიფიკაციას. ღამის სიმშვიდე, ღამის საიდუმლოება მის დაღლილ და აფორიაქებულ სულს მხსნელივით მოევლინა.

ადამიანი ღამით თითქოს უფრო ფაქიზი ხდება, უფრო რომანტიკული, ღამეს უმჟღავნებს ფიქრს და იდუმალ ზრახვებს. არის წუთები, როდესაც პიროვნება მარტოობით ტკბება და, ამდენად, ღამე საყვარელი ხდება მისთვის, როგორც მარტოობის თაყვანისმცემარი. გალაკტიონი ამ განწყობით წერს „მე და ღამეს“.

არის წუთები, როცა მარტოობა აუტანელია და, ამდენად, აუტანელია ღამის იდუმალება და სიშავე. გალაკტიონის პოეზიაში ღამის ამგვარ პერსონიფიცირებასაც შეხვდებით – „წყეულო ღამევ, გზა დამიცალე“, ან – „ალარ

გათენდება ღამე საზიზღარი“.

„მე და ღამეში“ კი ღამე, როგორც ითქვა, პოეტის სულს ესალბუნება და მეგობარივით მისდგომია მის სარკმელს. ღამის იდუმალების აღწერას მოსდევს პოეტური მედიტაცია:

„დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ,
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.
ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი
ღვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე,
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ“.

და მაინც, რა არის ის საიდუმლო, რაც პოეტს კაცთათვის ვერ გაუნდვია და მხოლოდ ღამეს მიანდო?

„იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე“.

ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია ამ კითხვაზე. შეიძლება ითქვას, მიზანშეწონილიც არ არის, რადგან პოეტი გარკვევით ამბობს, რომ იგი ობლად შთენილი, მარტოსულია და ეს მხოლოდ ღამემ იცის, რადგან თავის ნამდვილ ფიქრთა და ზრახვათ მხოლოდ ღამეს უმჟღავნებს. პოეტის სულიერი განწყობა მსგავსია იმისა, რაც ბარათაშვილის „სული ობოლში“ ჩანს:

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ ჩივის თავისს უთვისტომობას,
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი.“

ობოლი სული კი საბრალოა, რადგან -

„არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;

ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ცელქეირედ მას ნდობა".

ასევე სკეპტიკურად არის განწყობილი გალაკტიონიც. იგი ობოლი სულის ფიქრს ვერავის ანდობს: „არ ეუმჟღავნებ ქვეყნად არვის". არათუ ამ ორ ლექსს შორის შეიძლება დავინახოთ გამოძახილი სულიერი განწყობისა, არამედ ორი პოეტის პირად ბარათებს შორისაც.

ბარათაშვილი მეგობარს, მაიკო ორბელიანს, სწერს: „დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!"

ახლა გალაკტიონს მოვუსმინოთ. პოეტი იოსებ გრიშაშვილს სწერდა:

„იცი, საყვარელო სოსო, ამ ბოლო დროს რალაც უჩინარი სენი მეპარება. საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და ვით სიკვდილით დასჯილი სახრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს - საშინელებაა - აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას_

მე დღეს, შესაძლებელია, ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადავუხსნა კიდეც წუთის გავლენის ქვეშ_ და მაინც მარტო ვარ.

ამიხსენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა!_

მე ვერაფერი გამიგია ამ ჩემთვის უცნობი გრძნობის.

ჩემი სიყვარული შორეულის ტრფიალი არ არის და ვერც ახლოს სწვდება მას.

და მგონია არც კი მიყვარს ვინმე.

მარტო ვარ, მარტო.

რა გაეწყობა

მარტო ვარ, მარტო_"

ეს ბარათი დაწერილია 1912 წელს, რამდენიმე თვით ადრე „მე და ღამეს" შექმნამდე. ლექსში სწორედ ეს განწყობილება აისახა. თუმცა ლექსის მიხედვით პოეტი მარტოობასთან უკვე შეგუებული და, შეიძლება ითქვას, მარტოობაზე შეყვარებულიც ჩანს. ამა თუ იმ სენის „მორჩენის" თავისებური საშუალება ხომ ამ სენთან შეგუება, მისი გაშინაურებაც არის. ამით ადამიანი იქმნის კმაყოფილების ილუზიას, მაგრამ ერთ დღეს ეს ილუზია ინგრევა და

პოეტი კვლავ მკაცრი რეალობის წინაშე აღმოჩნდება. როგორც ხე ჭკნება უფესვოდ, ისე იღვენთება ადამიანის სულიც უთვისტომობაში. ამ განცდას არ შეიძლებოდა პოეტის არსებობაშიც არ ამოეხეთქა და აკი ათქმევინა კიდეც: „ალარ გათენდება ღამე საზიზღარი?..“

«ლურჯა ცხენები»

ადამიანის ყოფნა (ყოფიერება) ორგვარ არსებობაში გამოიხატება - ჟამადყოფასა და უჟამობაში, ანუ წუთისოფელსა და მარადიულ სოფელში. ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, ადამიანის წუთისოფელში ცხოვრება უმცირესი მონაკვეთია იმ დიდი სიცოცხლისა, რომლის ნაწილსაც აქ, სააქაოში, მზისქვეშეთში ატარებს იგი. მართალია, წუთისოფელი ტანჯვითაა აღსავსე, მართალია, ადამიანი განკაცებული მაცხოვარივით გოლგოთას გზას გადის, მაგრამ, თუ ეს გზა ძე ღვთისას მიბაძვით განვლო, იქ, მარადიულ სოფელში, სასუფეველს დაიმკვიდრებს და სამარადისო ნეტარებას ეზიარება. ასე ფიქრობს მორწმუნე და ეს მისი გაუბზარავი სულის ბედნიერებაა.

მაგრამ, როდესაც რწმენას იჭვნეული გონება ამოწმებს, ადამიანი ხშირად ემსგავსება გემბანზე მოქანავე ალბატროსს, რომელსაც საყრდენი არ გააჩნია.

„ლურჯა ცხენები“ სწორედ ასეთი მოქანავე სასოწარკვეთილის სულის კივილია, ამაოების მწარე განცდით ნასაზრდოები.

„როგორც ნისლის ნამქერი ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“.

მომდევნო სტროფიდან ირკვევა, რომ „სამუდამო მხარე“ ის „აღთქმული ქვეყანაა“, რომლის არსებობის რწმენა, როგორც წესი, ადამიანს იმედით აღავსებს და სიკვდილის საშინელებას აქარწყლებს, რადგან სიკვდილი საწყისია გარდაცვალების, ანუ სხვა სიცოცხლის დასაწყისისა. მაგრამ „ლურჯა ცხენების“ მიხედვით ეს ყველაფერი ილუზიაა და სამუდამო მხარის ხატად პოეტს წარმოდგენილი აქვს სიცივე, მიუსაფრობა და მდუმარება, სადაც მხოლოდ მწუხარება სუფევს:

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!

ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია".

ფრაზებით – „ცეცხლი არ კრთის თვალებში", „და არც სულს უხარია" – ძალაუნებურად პროეცირება „იქიდან" „აქეთ" ხდება. რაკი სამუდამო მხარეში მხოლოდ ცივი სამარეა – მდუმარებასა და სიმწუხარეში შთენილი, უნდა ვიფიქროთ, რომ სააქაო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დროებითი მხარე" მიაჩნია პოეტს ადამიანის ყოფიერების ნამდვილ საბრძანისად. მაგრამ ლექსის კომპოზიციური სტრუქტურა სათქმელის მოულოდნელობაზეა გათვლილი. პოეტი „იქიდან" „აქეთ" გვაბრუნებს და ადამიანის ჟამადმყოფობის პერიოდსაც ბნელ ფერებში ხატავს:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან".

ასე რომ, ეს სოფელიც უსულდგმულო დღეების წყებაა, სადაც „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები" ილანდება. აქედან გამომდინარე, უსულდგმულო დღეებით მოწყენილ სულს სხვა სიცოცხლე, სხვა ცხოვრება სწყურია. ამ სურვილის აღსრულება კი იმ ნანატრი „სამუდამო მხარის" ილუზიურობის გამო შეუძლებელი ყოფილა. ამის შეგნება ათქმევინებს პოეტს ნერვიულად: „არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი".

დავუბრუნდეთ სიტყვას „შენაპირი", რომელიც წინა სტრიქონის შიდა რითმას – „ნაპირს" ერითმება:

„ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე".

თუ იმ გარემოებას მიაქცევთ ყურადღებას, რომ „შენაპირს" „ნაპირის" ლექსიკურ მნიშვნელობასთან არაფერი საერთო არა აქვს, რომ შენაპირი გულისხმობს შეპირებულს, წინასწარ აღთქმულს, მაშინ ამ ლექსში ყველაფერი ადვილად გასაგები გახდება. „ლურჯა ცხენები", გალაკტიონის ერთერთ სიმბოლისტურ ნაწარმოებად მიჩნეული, მკაფიოდ გამოკვეთილი სათქმელის მქონე რეალისტურ ლექსად აღიქმება.

პოეტი თავისი ყოფის ტრაგიზმს ხედავს იმაში, რომ სააქაო, როგორც ვთქვი, უსულდგმულო დღეების წყებად მიაჩნია, სამუდამო მხარეში კი ვერ ნახა შენაპირები, ანუ დაემსხვრა ის მრწამსი მარადიული ცხოვრების შესახებ,

რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. აი, სწორედ ამ აზრით „ლურჯა ცხენები“ ადამიანის ყოფიერების ტრაგიზმს გამოხატავს, რადგან მარადიული ყოფიერება, თურმე, არ არსებულა, წუთიერი კი თავისთავად არის ტრაგედია, მით უფრო, თუ წუთიერთან ერთად იგი უსულდგმულოცაა...

ლექსის ასეთი ფინალით გალაკტიონი „ეკლესიასტეს“ უკიდურესად პესიმისტური დასკვნის („ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“) მოკანაკახე (ბანის მიმცემი, მიმდევარი) ჩანს.

ვნახოთ, ასეა თუ არა ეს. დავუკვირდეთ ლექსის სათაურს. რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს „ლურჯა ცხენები“? რატომ მეორდება ტექსტში ესოდენ ხშირად იგი? რას ნიშნავს ლურჯა ცხენები – უბრალო პოეტური სინტაგმაა იგი თუ რაიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს? თუ ამ საკითხს გვერდს აუუვლით, ლექსის შინაარსობრივი ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება.

კიდევ ერთხელ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ნაწარმოების არქიტექტონიკას, მაგრამ მანამდე ჰიმნოგრაფიიდან ერთ ლექსს გაგახსენებთ:

„ცხოვრება ესე წარვალს და განილევის,
შვენიერება და დიდება დაჭნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების.
რაისთვის ცუდად ვმაღლოით, ოდეს ყოველნი
მოკვდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი?!“

საწუთისოფლო ცხოვრებისადმი ამდაგვარი განაჩენის შემდეგ ჰიმნოგრაფი ასეთ სიუჟეტურ წიაღსვლას მიმართავს:

„მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა“.

შემდეგ ისევ სააქაოსკენ ახდენს ჩვენი მზერის პროეცირებას:

„სადა არს შური, საოცრება და ხდომა,
სადა არს ძვირის – ხსენება და ზვაობა
და ხორცთა გულის-თქუმანი“.

დაბოლოს, კვლავ სასაფლაოსკენ გადაიტანს ავტორი ჩვენს ყურადღებას:

„აჰა, ესერა
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.

ახლა ორიოდე სიტყვით ვთქვათ, რა წერია ამ ლექსში? წერია, რომ წარმავალია, უღიერია სააქაო სიცოცხლე. მშვენიერება, დიდება თუ ამპარ-

ტანება, საზოგადოდ, ადამიანთა ვნებები არარაობაა, რადგან ერთ დღეს ყველაფერი წარხდება. ხოლო სიკვდილის შემდეგ „მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.

ლექსის ასეთმა ფინალმა უნდა გვაფიქრებინოს, რომ იგი ურწმუნო ადამიანის დაწერილია. სააქაო ცრუ ვნებათა ჭიდილის ასპარეზად მიაჩნია და არც საიქიო სწამს, რადგან ადამიანისაგან, ნაწარმოების მიხედვით, მიწა, თიხა და ნაცარი რჩება მხოლოდ. არადა, ჰიმნოგრაფს, – ეს ცნება კი უკვე მორწმუნეს გულისხმობს – შეუძლებელია ასეთი რამ ფიქრშიაც კი გაევლო. შეუძლებელია დაესკვნა, რომ ადამიანისაგან სიკვდილის შემდეგ აღარაფერი რჩება.

საქმე ის არის, რომ ლექსს სათაურად ჰქვია „გალობანი სულისანი“. სათაური კი ამ შემთხვევაში უმთავრესი აკორდია. ავტორის პოზიცია, მისი სათქმელი სწორედ სათაურით იხსნება. სათაურზე ყურადღების გადატანა გვათქმევინებს, რომ ჰიმნოგრაფი ხორციელი ცხოვრების წარმავლობაზე წერს. ერთადერთი, რაც წარუვალია ადამიანში, ეს არის სული. კვდება და მიწად იქცევა ხორცი. ჭკნება ხორციელი სილამაზე. ლპება და წარწყმდება ყველაფერი, რაც ხორციელ ვნებას უკავშირდება, მხოლოდ სულია მარადიული. – აი, ეს არის ამ ლექსის სათქმელი, ამიტომ ჰქვია მას „გალობანი სულისანი“.

ეს ვრცელი ექსკურსი საჭიროდ ჩავთვალე, რათა უფრო მკაფიოდ წარმოვადგინოთ გალაკტიონის ლექსის „ლურჯა ცხენები“ სათაურის სიმბოლიკა. როგორც უძველესი ჰიმნოგრაფიული ტექსტის, ისე „ლურჯა ცხენების“ სათქმელიც სულ სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა, რომ არა სათაურის ჩართვა ლექსის არქიტექტონიკაში.

გალაკტიონის ფიქრით (საუბარია კონკრეტულ ლექსთან დაკავშირებით და არა საზოგადოდ), ერთადერთი, რაც მარადიულია, არის ლურჯა ცხენები:

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა – გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი რამ ფაქტია: ლექსის ლირიკული გმირი უსულდგმულო წუთისოფელს ზურგს აქცევს, სამუდამო მხარეშიც ვერ ნახა ვერაფერი და ერთადერთი, რაზედაც მზერას აჩერებს და რაც მარადიულია მისთვის – არის ლურჯა ცხენები.

რას უნდა გულისხმობდეს პოეტი ამ უცნაურ სინტაგმაში? არის აზრი,

რომ გალაკტიონისათვის ლურჯა ცხენები ისაა, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის – მერანი (ბედისადმი დაუმორჩილებლობის სიმბოლო). არის აზრი, რომ ლურჯა ცხენები პოეტისათვის ხელოვნების, შემოქმედების სიმბოლოა (ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი უბადრუკია, მხოლოდ შემოქმედებაა უკვდავი).

ლურჯა ცხენები დროის დაუდეგარი სრბოლის სიმბოლოდაც შეიძლება დავიგულოთ. ჟამის შეუჩერებელ დინებაში ყველაფერი იმსხვრევა და ნადგურდება. უსულდგმულო დღეები, ანუ სიცოცხლე ჩნდება და ქვესკნელდება. ერთადერთი, რაც მარადიულ მოძრაობაშია, რაც არ იბადება და არც კვდება, არის დრო. დროის ვიზუალურ ხატად კი პოეტი ქმნის მეტაფორას – ლურჯა ცხენები.

„ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

თუ დანამდვილებით რისი სიმბოლოა ლურჯა ცხენები – ბედისადმი დაუმორჩილებლობისა, შემოქმედების მარადიულობის თუ დრო-ჟამისა, ამაზე თქვენ თვითონ შეიძლება დაფიქრდეთ. იქნებ ახლებური ახსნაც შემოგვთავაზოთ. ხშირად ესა თუ ის მეტაფორა სხვადასხვაგვარად გააზრების ობიექტურ საფუძველსაც იძლევა.

ჩემი აზრით კი, ლურჯა ცხენები სწორედ დროის მარადიულობის სიმბოლო უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით (იდეურობის თვალსაზრისით) გალაკტიონის „ლურჯა ცხენებმა“ შეიძლება გაგვახსენოს ალექსანდრე ჭაჭავაძის „გოგჩა“. „გოგჩაშიც“ სამუდამო მდუმარება და სააქაო ცხოვრების წარმავლობაა ნაჩვენები დროის მარადიულობის ფონზე:

„მაგრამ რა?!.. დროსა მსვრელის ცელით,
ყოველად წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ
მოსთვლილა“!

არის ერთი ხალხური ლექსიც, სადაც გენიალურად არის გაცხადებული ეკლესიასტეს სიბრძნე დროის დაუსაბამობისა და მარად მედინობის შესახებ:

„ჟამი მივალის-მოვალის
მუცოს თორღვაის კარზედა“.

სწორედ ეკლესიასტესეული მარადიულობის ფორმულით უნდა იყოს აღბეჭდილი „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირის სულიერი განწყობაც.

კერძოდ, ეკლესიასტე აცხადებს: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“.

ამ წარმავალსა და მედინ სოფელში კი „ამაოება ამაოთა - თქუა ეკლესიასტე - ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“.

შეგნება იმისა, რომ თვით დრო უკუნისამდე უცვალებელია, ადამიანის შინაგანი ტრაგიზმის კომპენსაცია ვერ გახდება. პირიქით, ადამიანს კიდევ მეტი სევდით აღავსებს მარადიულობის ფონზე თავისი ჟამადმყოფობის წამიერების შეგნება. ეს სევდა კი სხვა ლექსში ასე ლაკონიურად აქვს გამოხატული პოეტს:

„იქნება, ბევრი რამე იქნება,
მაგრამ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით“.

«მთაწმინდის მთვარე»

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ერთი მცირე ჩანაწერი ასეთი სათაურით - „საკუთარი ლექსების შესახებ". სამწუხაროა, რომ ეს ჩანაწერი ერთობ მცირეა და მასში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოების შესახებ გამოთქვამს პოეტი აზრს. თუმცა, თვით „მთაწმინდის მთვარეზე", სხვა ლექსებთან შედარებით ვრცლად საუბრობს.

ალბათ, თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს გალაკტიონის აზრი საკუთარი ლექსის შესახებ. გთავაზობთ მას სრულად: „რომ მეფე ვარ და პოეტი" - მჭონდა ასეთი ფრაზა „მთაწმინდის მთვარეში". ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე") მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემის შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის და აკაკი წერეთელის პოეზიის მემკვიდრედ. აქ მთვარის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით მოსჩანს მტკვარი და მეტეხი– აქ, ახალგაზრდა პოეტის ახლო, სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი წერეთლის ლანდს. ბარათაშვილსაც ხომ აქ უყვარდა ობლად სიარული, ილია ჭავჭავაძესაც, დიმიტრი ყიფიანსაც და აქ ამბობს პოეტი: „და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად" (ლირიკის კონცეპცია), ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა (კავშირი ბუნებასა და ადამიანის სულს შორის), თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები (ძალა ალმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის), და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები (რომანტიზმი ლურჯის, ცისფერი ოცნების). იალქნები ზღვაზე, სულიც აღზრდილია ამ ზღვაზე, ცხოერების ზღვაზე, „სიცოცხლის ზღვაზე", რომელზედაც ლურჯი იალქნების გზა მიდის, თვით სიკვდილის გზაც არაფერია მასთან შედარებით, ამ სიცოცხლესთან შედარებით და თვით სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და არა საშინელი, საშიშარი (რენიეს თქმით, „მოულოდნელი განცვიფრება ვარდისფერისა და შავი ფერის შეხვედრისაგან"), რომ ამ გზაზე (სწორედ ვარდისფერ გზაზე) მგოსანთ სითამამე,

გაბედული ხმა არის სინამდვილეზე უფრო მეტი სინამდვილე - ჰიპერბოლური, ზღაპრული, „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“.

ცოტა ქვემოთ პოეტი განსაზღვრავს: „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი (ბარათაშვილი, აკაკი, მე).

ალბათ, დამეთანხმებით, გალაკტიონი ზუსტ დეფინიციას გვაძლევს იმ საკითხებისას, რაც „მთაწმინდის მთვარეშია“ განფენილი. პოეტი ცნებების ენით საუბრობს იმაზე, რასაც ლექსში სახეებით გამოხატავს.

როგორც ვნახეთ, ეს საკითხები ფორმულირებულია ასე:

პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის კორიფეების შემოქმედებას.

თუ რატომ არის ეს ხაზგასმული ვკერ ლექსში და შემდეგ „ავტორეცენზიაში“, ნათელი გახდება მას შემდეგ, როდესაც მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ლიტერატურულ პანორამას წარმოვიდგენთ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გავლენა მძვინვარებდა. ახალბედა პოეტები ბაძავდნენ აკაკის ან ილიას და პოეზია ეპიგონობის ნიაღვარმა წალეკა. რამდენადაც მომხიბვლელია ორიგინალი, რამდენადაც დიდი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა აქვს მე-19 საუკუნის რჩეულ მგოსანთა შემოქმედებას, იმდენადვე მოსაწყენია მიმბაძველთა ჟღურტული. ტიციან ტაბიძე წერს ერთგან: ვულკანი ერთხელ ამოაფრქვევს, შემდეგ კი მთის დამშვიდებულ კალთებზე ცხვრის ფარები სძოვენო. ასეთი სურათი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაშიც. ვაჟას, აკაკის, ილიას უკვე ნათქვამი ჰქონდათ თავიანთი სიტყვა, უკვე ამოფრქვეული იყო მათი შემოქმედებითი გენია, ახლა კი მათს ნასუფრალზე მშვიდად იცოხნებოდნენ ეპიგონები.

ამ გარემოებამ 10-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში მე-19 საუკუნის მემკვიდრეობისადმი უკურეაქცია გამოიწვია. „ცისფერყანწელთა“ ნიჭიერი თაობა საკუთარი თავის დასამკვიდრებლად დაადგა უარყოფის გზას. მათ განიზრახეს ქართული ლექსის განახლება და „ევროპული რადიუსით გამართვა“. თავს აცხადებდნენ ფრანგი სიმბოლისტების: ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, მალარმეს, მემკვიდრეებად. ეს ყმაწვილკაცური ასაკში მოსახდელი სენი იყო.

მე-19 საუკუნის ლირიკაში ახალი თაობა ცნობს მხოლოდ ბარათაშვილსა და ვაჟას. სხვა პოეტებთან ლექსის კასტრაციას ხედავენ. აი, რას წერდა ახალგაზრდა დემნა შენგელაია: „ვეფხისტყაოსნის“ უნაზეს აკვნესებიდან საქართველო კერესელიძის „ცისკრამდის“ მივიდა, სადაც გულმოდგინედ სწავლობდნენ

კომბოსტოს დამჟავებას და ბოზბაშის კეთებას.

შემდეგ ილუზია ლიტერატურული რევოლუციისა.

თერგდალეულთა პოეზია.

კეთილშობილური გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა.

ბანკობია და აპელაცია.

კრილოვის იგავ-არაკები და თავის გართობა.

და ასე უდაბნოება და უდაბნოება... ერთი სიტყვით, ის ვითარებაა შექმნილი, როცა იტყვიან: „კაცს დედა დავიწყებოდა და დედინაცვლის მზეს ფიცულობდაო".

წარსულისადმი ახალგაზრდა შემოქმედთა ამდაგვარი მიმართების შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გალაკტიონის განცხადება: „პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მე-19 საუკუნის კორიფეების შემოქმედებას".

იმის მიუხედავად, რომ გალაკტიონმა ყველაზე მეტი სიახლე მოიტანა უახლეს ქართულ პოეზიაში, იგი მაინც არ თვლიდა, რომ სამყარო მისით იწყებოდა და თავდებოდა. მან კარგად უწყოდა, რომ დიდი ადამიანების მხრებზე იდგა.

ჭეშმარიტი კულტურა სწორედ ტრადიციებზე დაყრდნობილი ნოვატორობით იწყება და არა წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. გალაკტიონი გაღიზიანებული წერდა: „ეს პოეტის „მე"-ა, რომ ასე ღუპავს საერთო საქმეს, ვის რად უნდა ცარიელი რახუნი? ვის სჭირდება ხმაურობის ატეხა ამის გამო, რომ „პოეზია იწყება მისით და თავდება მისით?"

როდესაც მასა არ იღებს ასეთ პოეტს, იგი ერთ ყოფას დაათევს, აქაც და, შეხედეთ, როგორ მჩაგრავენო. სწორედ ამაზეა ნათქვამი, იხმაურეს და საქმე კი ვერ გააკეთესო. ვიღაცას, ალბათ, სჭირდება ასეთი ამბავი, ნამდვილ პოეტს კი არასოდეს.

ჩვენი საქმე ნათელია, ვერავინ დღეს ვერ იტყვის: მინდა სიმღერის წამოწყება, მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო, როგორ მოვაბა თავი. სიმღერა დიდი ხანია წამოწყებულია, საჭიროა მხოლოდ მივყვეთ, ხმა ავაყოლოთ, საერთო ხორო შევქმნათ. ყველა უნდა ცდილობდეს საერთო ხოროში გამოსვლას, მაგრამ აქ საჭიროა არა ხრინწიანი ხმა, რომელიც არევს სიმღერას".

ეს არის პოეტის გაკვეთილი, მისი მრწამსი, რაც „მთაწმინდის მთვარეში", როგორც უკვე ითქვა, ლირიკის ენაზეა თქმული:

„აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს. ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული.
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად.
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები".

უკეთუ პოეტი მთაწმინდის უკვდავთა სავანის მკვიდრთა დარად იტყვის „ღამემ სულში როგორ ჩაიხედა", „თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები", ანუ დიდი პოეზიის ენაზე ალაპარაკდება, მაშინ წაჰყვება საუკუნეს მისი ქნარიც. აქედან გამომდინარე, ლექსში შემოდის მეორე თემა, რაც გალაკტიონის მიერ ფორმულირებულია ასე: „ძალა ალმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის".

ახლა გავიხსენოთ პოეტის სიტყვები — „მთაწმინდის მთვარე" ჩემი საპროგრამო ლექსიაო.

რა თვალსაზრისით შეიძლება ეს ლექსი საპროგრამო იყოს? ე.წ. საპროგრამო ლექსებს ქართულ პოეზიაში ხშირად შევხვდებით. მარტო ილია ჭავჭავაძის „პოეტი" რად ღირს, სადაც ილია აცხადებს: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა".

რას გულისხმობს ეს სტრიქონები? ილიასათვის პოეზია (ღმერთთან ლაპარაკი) საშუალებაა, რომ ერს ემსახუროს. პოეტი საპროგრამო ლექსით თავის მოქალაქეობრივ მიზანს, კრედოს განსაზღვრავს.

გალაკტიონისათვის პოეზია (ღმერთთან ლაპარაკი) პიროვნული ხსნის საშუალებაა, უფრო სწორად, საშუალება კი არა, არსებობის ფორმაა. მისი ცნობილი სტრიქონი — „პოეზია უპირველეს ყოვლისა", გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ გალაკტიონისათვის ხელოვნების სხვა დარგებს შორის პოეზია უპირველესია, არამედ იმასაც, რომ არსებულ საგნებსა და მოვლენებში უნდა ვხედავდეთ პოეზიას უპირველეს ყოვლისა! ჩვენი ცხოვრების წესი განსაზღვრული უნდა იყოს პოეზიით უპირველეს ყოვლისა!

გალაკტიონს სწამს და, ამდენად, ხედავს კიდეც გამოგონილ სამყაროს, სინამდვილეზე უფრო მეტ სინამდვილეს.

„ლურჯა ცხენებით" პოეტმა ეკლესიასტეს დამთრგუნველი სიბრძნე გადმოსცა: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო", რომ წუთისოფელიცა და მარადიული სოფელიც არარაობაა. ნუთუ ღვთისაგან შექმნილ ქვეყანაში არაფერი შეიძლება იყოს წარუვალობის ნიშნით აღბეჭდილი? ამის პასუხია „მთაწმინდის მთვარე", ამის პასუხია სტრიქონები ლექსიდან — „რომ წაჰყვე-

ბა საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი", რომ პოეზიის მეტყველი სულისთვის „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა". ახლა წარმოიდგინეთ კაცი, რომელმაც სიცოცხლის საყრდენი ღერძი მოძებნა, რომელიც მისდა, რომ ამ სასიცოცხლო ღერძს ეყრდნობოდნენ წინამავალი დიდი შემოქმედნი და ღვთითბოძებული ნიჭიერების გარდა ამითაც გახდნენ ისინი გამორჩეულნი. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი ორგანულად გრძნობს მათთან გონებრივ და სულიერ სიახლოვეს, თავს გრძნობს მათ ტოლ-სწორად. სწორედ ამ აღმოჩენის სიხარულია ხორციშესხმული ლექსში.

გტაბიძისათვის პოეზია არის ის, რაც თევზისთვის წყალი, რაც ადამიანისათვის ჰაერი. თუ თევზს წყლიდან ამოვაგდებთ, ვერ იცოცხლებს, ადამიანი უჟანგბადოდ სულს ღაფავს. სწორედ ასევე, სულიერი ცხოვრების ელექსირად გალაკტიონი პოეზიას, რომანტიზმს, აღმაფრენის ნიჭს მიიჩნევს. ხოლო ამ ნიჭის გარეშე ადამიანი არსებობს თავისი უბადრუკი ცხოვრებით, მერე მოდის სიკვდილი მთელი თავისი საშინელებით. აი, პოეზიაა ერთადერთი, რასაც შეუძლია შექმნას სინამდვილეზე უფრო მეტი სინათლე.

პოეზიაა ერთადერთი, რაც სიკვდილის საშინელ გზას აქცევს ვარდისფერ გზად, ანუ საუკუნო ქნარის მფლობელს არც სიცოცხლის, არც სიკვდილის არ ეშინია.

პოეზიის ძალმოსილების შეგრძნება და საკუთარ თავში დიდი პოეტური ენერგიის აღმოჩენა პოეტს იმის დაუფარავ სიხარულს განაცდევინებს, „თუ როგორ გრძნობს, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა, სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა".

ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, არ არის ადვილი ამ სტრიქონების სისხლხორცეული განცდა. პოეტი გრძნობს, რომ მთელი სამყარო მასშია და სამყაროშია მისი სული განფენილი. ეს ღმერთკაცის განცდაა, ამაოებაზე ამაღლებული ადამიანის სიხარულია. ამიტომაც ეჩვენება პოეტს ასეთი შეგრძნების წამს, რომ: „ვერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი". ამიტომ წერს: „ასე ჩუმი, ასე ნაზი ვერ ცა მე არ მახსოვს". სამყარო, თითქოს, ხელახლა იბადება მის თვალში და ხელახლა იბადება თავადაც, ისე, როგორც უკვდავებასთან ნაზიარები ზღაპრული მინდია.

ვაჟა-ფშაველას მინდიას სმენაც ჰქონდა და ხედვაც, მაგრამ, როცა ღვთაებრივ სიბრძნესთან წილნაყარი გახდა, ვაჟა იტყვის: „გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუს გაეხსნა".

წარმოიდგინეთ სწორედ ასეთი, ერთ მშვენიერ ღამით სხვა სმენისა და სხვა ხედვის ღმერთკაცად გარდასახული პოეტი, რომელიც ხედავს „სიზმრებს არაჩვენებურს", რომელიც ხედავს ჩვეულებრივში არაჩვეულებრივს, რომელ-

მაც იპოვა ის საყრდენი, საიდანაც მაღლით გადმოჰყურებს ამაოების ბაზარს და საცნაური გახდება მისი სიტყვები – „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“...

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“

ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ გამოიკვეთა ხელოვნების საკითხი, ანუ „ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის“. უპრიანი იქნება „მთაწმინდის მთვარის“ შემდეგ განვიხილოთ „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. ამ ორი ნაწარმოების შექმნის თარიღი სამი ათეული წლითაა დაცილებული ერთმანეთს, მაგრამ ლექსზე „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ვსაუბრობ „მთაწმინდის მთვარის“ განხილვის შემდეგ, რადგან თუ „მთაწმინდის მთვარეში“ აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიკის ძალმოსილებაზეა ლაპარაკი, პირველიც, მეორეცა და მესამეც უკვე საგანგებოდაა ლექსის თემად ქცეული განსახილველ ლექსში.

გალაკტიონს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაუწყია წიგნის წერა, რომელსაც „ქართული ორნამენტი“ უნდა დარქმეოდა. მისი მრწამსით, „ენით გამოხატულ სიბრძნეს – გამოხატავს ხელოვნება, არა მარტო სიტყვიერი, არამედ უენოც, ქვაც, ხუროთმოძღვრება“.

აი, ამ „უენო“, მაგრამ პოეზიის ენაზე ამეტყველებული ნიკორწმინდის ტაძრის ქებათა ქებას აღავლენს პოეტი თავის ბრწყინვალე ლექსში.

1947 წლის ზაფხულში გალაკტიონი რაჭაში ისვენებდა. იქ, შოშაში, დამსვენებლებთან გამართულ შეხვედრაზე ამ ლექსის შექმნის შესახებაც უთქვამს ორიოდე სიტყვა: ნიკორწმინდელი დურგალი მაგიდას მიკეთებდა და თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ. მე დავპირდი მას, რომ ამ მაგიდაზე დავწერ რაიმეს ამ ძეგლის შესახებ – მეთქი. ამ დაპირების შედეგი ჩვენთვის ცნობილია. ლექსის პირველივე ტაეპები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ერთობ საყურადღებოა:

„მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა“.

ასე იწყებს პოეტი ნაწარმოებს. ეს სიტყვის ჯადოქარი ხელოვანის განაცხადია. ხელოვანისა, რომელმაც იცის საკუთარი თავის ფასი და რომელიც ძეგლის უცნობ, გენიოს ხუროთმოძღვარს ამცნობს, რომ ღირსი პოლოგე-

ტი გამოუჩნდა მის ოქროს ნახელავს. საუკუნეებით დაშორებული ორი დიდი შემოქმედი ხვდება ერთმანეთს და ამ შეხვედრის სიხარულის განცდას გამოხატავს მომდევნო ორი ტაეპი:

„ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა“.

პოეტს არ ავიწყდება შემოქმედი, ვინც ქვაში ჩაკირა და საუკუნეებს გაანდო თავისი მღელვარე სული. ასე რომ, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ტაძრის მშვენიერებით აღტაცებასთან ერთად აპოლოგიაა გენიისა, თვით ხელოვანისა.

„გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!“

ლექსი არის აღტაცება და სიხარული ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ახალი დასტურის მოულოდნელად აღმოჩენის გამო:

„რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის ჰარმონია,
დაროჩს რამდი-დარი.
კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა
სიბრძნით გამოჰკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.
აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,

რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო,
სვეტი ნიკორწმინდა!“

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთელი ლექსი ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი. ეს ლექსი გულიდან ამოხეთქილ სიმღერას ჰგავს, სადაც რიტმმა თავისთავად მოიტანა რითმი, ორივემ ერთად -მუსიკა, ევფონია, ჰარმონია და მაინც ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში 40-იანი წლების კონიუნქტურისადმი ანგარიშგაწევა იგრძნობა.

„შენ, ფრთამოღუღუნეს,
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს უახლესი“.

ეს უფრო ოცნებაა, ვიდრე სინამდვილე. ჩვენი უახლესი საუკუნე ძეგლებს აქამომდე არ იცავდა. უახლესი საუკუნე საქართველოში და ყველგან – საბჭოთა კავშირში – ძეგლებს ანგრევდა...

«მზეო თიბათვისა»

პოეზიის ენაზე თქმული ლოცვა

ლექსებში ფილოსოფია კი არ უნდა ვეძებოთ, — პოეზიაო, იტყოდა პოლ ვალერი. უდაოა ეს აზრი, მაგრამ შევთანხმდეთ, ჩემო მკითხველო, რომ გალაკტიონის საუკეთესო ლირიკული ლექსებიდან პოეზიის ისეთი ნათელი იღერება, პირველაღმომჩენი არ არის საჭირო. თვით გულდახშულსაც კი გალაკტიონის შესამეცნებლად ესთეტის შუამავლობა არ სჭირდება...

კი, ბატონო, პოეტიკამ შეიძლება ახსნას, თუ რაოდენ მშვენიერია მოულოდნელობით, ეფექტურობით, ორიგინალურობით, ვთქვათ, ეს ასონანსური რითმა — „მიურიდენ“ — „ციურიდან“. როგორი სადა, ნათელი და ევფონიურია „მზეო თიბათვისას“ მთელი ლექსიკა, მაგრამ ამ ახსნით ვერ მოხერხდება ლექსის ჩვენს სულზე ზემოქმედების მექანიზმის გაცნობიერება.

გალაკტიონის პოეზიის ძალა მხოლოდ იმ მლოცველის ძალმოსილებას შეიძლება შეედაროს, რომელიც ობიექტს ნუსხავს არა სიტყვებით, არამედ სიტყვებს მიდევნებული დემონური დამთრგუნველობით.

ამიტომ განსახილველ ლექსში ნუ დავუწყებთ პოეზიას ძებნას, იგი ყველას დასანახად ფეთქავს. ჩვენ იმას ვეცადოთ, გულით ნაგრძნობი ესთეტიკური სიამოვნება გონების თვალითაც დავინახოთ და გავიხანგრძლივოთ.

„მზეო თიბათვისა“ საუცხოვრებელია, პოეზიის ენაზე აღვლენილი ლოცვაა შეყვარებულისა ღვთისადმი:

„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შეევედრები,
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოავლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,

სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები".

ამაზე დიდი ექსტაზი მხოლოდ რუსთაველთან მაგონდება. რუსთველი ამ „ჟანრშიც" პირველია პირველთა შორის:

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!
ღმერთო, ღმერთო გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესსა.
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!"

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ავთანდილის ამ უკვდავ ლოცვას შინაგანი დრამატიზმის მხრივ გალაკტიონის ვედრება აჭარბებს კიდეც, რადგან ღვთაებას პოეტი სხვის გადარჩენას ევედრება ესოდენ გულმხურვალედ — „იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები"—

იმ ფაქტს კი, გალაკტიონი რომ მზის სახით სწორედ ღვთისადმი აღაელენს სათხოვარს, მხოლოდ შეგახსენებთ იმ ცოდნის გათვალისწინებით, რაც ძველი ქართული მწერლობის შესწავლისას მიიღეთ.

ლექსი მზისადმი მიმართვით იწყება. მზე კი ღვთის ხატია. მზე ღვთაებად იყო წარმოდგენილი წარმართულ ეპოქაში როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხებში („ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი".

მზის კულტი, როგორც ღვთაებისა, შემორჩა ქართულ ზეპირსიტყვიერებას. მაგ„ მეგრულში („ბეჟა დია ჩქიმი" — „მზე დედაა ჩემი"), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ხევსური ან ფშაველი ლოცვის დროს იტყოდა: „დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა და მზის მყოლთ ანგელოსთა".

მზის კულტის შესახებ უზარმაზარი (მოცულობითა და მნიშვნელობით)

ტომი აქვს გამოქვეყნებული ვიკტორ ნოზაძეს („ვეფხისტყაოსნის მზის-მეტყველება"), რომელშიც ეს საკითხები სკრუპულოზურად, გამოწვლილვითაა შესწავლილი.

მზის კულტი ქრისტიანულ საქართველოში დარჩა მოდერნიზებული სახით. წარმართულ ღვთაებას, მზეს, ჩაენაცვლა მზე არა როგორც საკუთრივ ღმერთი, არამედ როგორც ხილული ხატი უხილავისა, ხატი ქრისტესი (ცაშუალების გარეშე ღვთის ხილვა შეუძლებელია). გაიხსენეთ ილიას „განდეგილი": „და ვით ცხოველ ხატს ღვთის დიდებისა შესცქერდა მზესა განცვიფრებული".

გაიხსენეთ გურამიშვილი:

„მზევ, საცნობლად შენსა მჭვრეტსა,
თავბრუს ასხამ, შეაქ რეტსა,
გიმართავ ვერ მართლად თვალსა,
ვერ ვსცნობ შენს გზასა და კვალსა,
შენ შემქმენ და შენ დამბადე,
თვალთა დამაფარე ბადე".

გალაკტიონ ტაბიძე თავის შემოქმედებაში ეყრდნობა მზის ქრისტიანულ-მისტიკურ წარმოსახვას და აგრძელებს მედიევალისტური ლიტერატურის ტრადიციას.

„მზეო თიბათვისა" — ალეგორიული ლექსი

აი, აქ კი მივადექი სათქმელს, რომლის გამჟღავნება, ეშიშობ, ზედმეტ თავისუფლებაში არ ჩამითვალოთ. დიახ, ზემოთ მოგახსენეთ, რომ განსახილველი ლექსი — ეს არის შეყვარებულის მიერ ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა. ლირიკული გმირი ევედრება უზენაესს, დაიცვას იგი, ვინც უყვარდა დიდი სიყვარულით. ბუნებრივია, თქვენ ეს ლექსი სატრფოს გადასარჩენად აღვლენილი ლოცვა გგონიათ და ტექსტშიც სწორედ ეს წერია სიტყვასიტყვით— მაგრამ, მოდით, გაეხსენოთ, სატრფოს ალეგორიით სამშობლოს წარმოდგენა ხომ ქართული ლიტერატურის ტრადიციაა.

„მზეო თიბათვისას" თუ პატრიოტულ-ალეგორიული ლირიკის ნიმუშად გაგიაზრებთ, ეს ლექსი იძენს კიდევ მეტ განზოგადებას, სიმძაფრეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოეტის ლოცვაც — დრამატიზმით აღსავსე, უფრო მეტად გეემუქრინება ყელში.

მოდით, ახლა ამ თვალით წაიკითხოთ ეს ლექსი.

მოულოდნელობის ეფექტი

ალეგორიის, როგორც მხატვრული ხერხის, ძალმოსილებას მოულოდნელობის ეფექტი ქმნის. მოულოდნელობის ეფექტი კი მით უფრო დიდია, რაც ნაკლებად შესამჩნევია ზღვარი მწერლის მიერ დახატულ რეალურ და ალეგორიულად წარმოსადგენ სურათს შორის.

ალეგორიული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია დავით გურამიშვილის „ზუბოვკა“:

„ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მასზე დამრჩა თვალი,
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუხრა ძვალი“.

ამ ლექსის სტროფების კითხვისას წარმოგიდგებათ უმედოდ გამიჯნურებული პოეტი, ლექსის ფინალით კი მოულოდნელად კიდევ უფრო განზოგადდება სათქმელი და წუთისოფელზე შემომწყრალი, ღვთის სიყვარულის იმედად დაშთენილი ლირიკური გმირი იხატება:

„ღვთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,
სხვას უკეთეს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა?
ჩემი სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა.
აწ, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთური მე არავინ მყვანდა,
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;
გეკვლები ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა,
გეკვლები ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!
გეკვლები ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“

ეს არის ნიმუში ალეგორიულ-მისტიკური ლექსისა, რომელშიც სატრფო, ლამაზი ქალი, ესოდენ ხელშესახებად დახატული, მოულოდნელად ღვთისმშობლის ალეგორიად წარმოჩინდება, შესაბამისად უფრო ღრმავდება მისგან მიტოვებული მეტრფის ტრაგიზმიც.

ძნელია დაუნებით მტკიცება, მაგრამ „მზეო თიბათვისაც“, ვგონებ, მსგავსი ხერხით დაწერილი, ოღონდ არა მისტიკური, ალეგორიულ-პატრიოტული ლირიკის ნიმუშია.

ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები

რა არის გრაალი? როგორ გაჩნდა ეს ფრაზა ტექსტში და რატომ უძღვნა პოეტი ღვთის მიმართვის შემდეგ გრაალს?

გრაალის შესახებ მეცნიერებაში დღემდე დავაა. ამ საკითხზე დაობენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალის“ ინტერპრეტატორები. კამათია შუა საუკუნეებში არსებულ „გრაალის ორდენთან“ დაკავშირებით და ა.შ. ამ კამათის არსის გადმოცემა შორს წაგვიყვანს. გრაალი თასი, ბარძიმია, რომელიც სიმბოლურად გამომხატველია სიწმინდისა, სულიერებისა. გრაალი სიმბოლოა ღვთისმშობლისა.

გრაალის მცველნი იცავენ ქვეყნის სულიერებას, გრაალი თავის მხრივ მფარველია ქვეყნისა.

როგორც ოჯახისთვის კერია, კერიის ქვა არის სიმბოლო სითბოსი, სიყვარულისა, ბედნიერებისა და მისი დაკარგვა ოჯახის იავარქმნის მაუწყებელია, აგრეთვე გრაალი მთელი ერის კერიის ქვაა.

აქედან გამომდინარე, გალაკტიონის ლოცვაში შემთხვევით არ ჩნდება გრაალი, მაგრამ უფრო ნიშანდობლივია ლექსის ბოლო სტროფი –

„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები“.

ეს ლექსი 1917 წელს არის დაწერილი, რუსეთის რევოლუციის შემდეგ. რუსეთის პირველ, თებერვლის, რევოლუციას პოეტი მიესალმა ლექსით „დროშები ჩქარა“. იმავე წელს გალაკტიონი იტყვის:

„ამხანაგებო, განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება;
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!“

ქაოსზე შემდგარი ეს იმედი არ გამართლდა. ნახეთ, როგორ ცხრება პოეტის აღფრთოვანება თანდათანობით. იმავე 1917 წელს დაწერილ ერთ ლექსში იტყვის:

„არ არის იგი იმდენად ტკბილი
დრო, დაფარული ცეცხლის ენებით“...

რა გასაკვირია, თუ იმედგაცრუების შემდეგ „ცეცხლის ენებით“ და-

ფარულ დროში, როცა ინგრეოდა იმპერია და ნანგრევებში ითრევდა სხვებსაც, თუ სწორედ სამშობლოს ბედის გამო წერდა ახალგაზრდა პოეტი:

„მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გეეედრები“.

ხოლო თუ ეს ასე არ არის, ხომ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო?..

«თოვლი»

სიტყვები, ალბათ, ისეთივე ტანჯვით იბადებოდნენ, რა ტანჯვაც ახლავს შობის პროცესს. ადამიანი ჯერაც არგანცდილი, რაღაც უცხო გრძნობით წარტყვევნილი ამ გრძნობის გასაგნებას და გარეთ გამოტანას გრძნობათაის სახელის დარქმევით ცდილობს (გაიხსენეთ „განდეგილიდან“ მწირის ტანჯვა – „ან რა უწოდოს, ან რა დაარქვას, ამ ჯერ არცნობილ ნეტარებას“) და დიდი ვნება იმ პირველქმნილი მადლით, იმ მაგიური ძალით ბადებს უკვე ნაცნობ სიტყვას, რა ტკივილითა და მადლითაც იგი პირველად წასცდა კაცთაგანს.

ზოგიერთი სიტყვა თითქოს ბგერებში ინახავს გრძნობის, პირველად ამოხეთქვის განცდას. „მიყვარხარ“ – ამ სიტყვას თითქოს ვულკანი ამოაქვს. ხორხისმიერმა ბგერებმა თითქოს ყველა ძარღვი ამოხია და ისე ამოვიდა გრძნობა სინათლეზე.

განცდები არის მძაფრი და არამძაფრი, ხოლო სიტყვა თავისთავში ინახავს იმ კოდს, ამ განცდების „ხარისხზე“ რომ მიუთითებს.

აბა, შეადარეთ, ვთქვათ, სიტყვა „მიყვარხარ“ და სიტყვა „სასიამოვნოა“.

ამ უკანასკნელის წარმოსათქმელად მხოლოდ ენა წუხდება–

ამ მსჯელობას ვერ დავურთავ მეცნიერულ არგუმენტაციას, სამაგიეროდ, ის კია მეცნიერულად არგუმენტირებული, რომ, ტანჯვით შობის მიუხედავად, თვით სიტყვა სრული ადეკვატურობით მაინც ვერასდროს გადმოსცემს იმ საგნის, იმ მოვლენის, იმ გრძნობის არსს, რის სამოსელსაც იგი წარმოადგენს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, პოეტს რომ წამოსცდება: „სხვას გათქმევინებს წყეული რითმა“. აქ რითმას წარმატებით შეიძლება ჩაენაცვლოს – სხვას გათქმევინებს წყეული სიტყვა, – ვინაიდან სიტყვამ ვერ შეძლო ვნების სრულად გამოხატვა, რასაც ბარათაშვილი სენტენციის სახეს აძლევს: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოეტები ხშირად სიტყვის სემანტიკურ ფუნქციაზე მეტად მის ასოციაციურ შესაძლებლობებს ენდობიან– და ეს პირდაპირ ფორმულის სახით გამოხატა გალაკტიონმა – „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“–

აბა ვინ ნახა „იისფერი თოვლი“ ან „უდაბნო ლურჯად ნახაერდები“, მაგრამ ამ უცნაური სინტაგმებით საერთო კონტექსტში პოეტი სწორედაც საგნობრივ ასოციაციებს აღძრავს:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა“.

ეს პირველივე სტროფი, ისე როგორც მთელი ლექსი, ასოციაციების ბურუსში გვხვევს.

რამდენ ასოციაციას აღძრავს თუნდაც ეს სტრიქონი — „ქალწულებივით ხიდიდან ფენა“:

1) სიწმინდის, 2) სიწმინდის, ანუ ქალწულის, დაცემის (ხიდიდან ფენა), 3) ლირიკული გმირის განწირულების (ხიდის ხსენება თითქოს მასზე შემდგარი ხელჩაქნეული კაცის ხატებასაც წარმოგვიდგენს, რომლის სულიერი პორტრეტი ვირტუოზულად იხატება ასოციაციური სტრიქონებით —

„ოჰ, ასეთია ჩემი ცხოვრება,
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები“.

რა არის იანვარი? — სიცივე, ყინვა, გაუსაძლისობა, რომელიც მასში ჩასახლებულა, რომელსაც მოძმედ არ ეძნელება.

ვიზუალური სურათიც მთელი ლექსისა ასოციაციური შეპირისპირების ხერხით გამოკვეთს სათქმელს. „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“, „ძვირფასო, სული მევსება თოვლით“ — სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლურად ნაჩვენები სურათი ეულად მთენილი სულისა, რომელსაც ახსენდება სულის გაზაფხული — სიყვარული. ეს მონატრება, ეს ყოფილი ბედნიერება სულისა ხაზგასმულია თოვლის ფონზე მინდვრის ფოთლების მოულოდნელი აელვარებით —

„მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლება“.

გალაკტიონის „თოვლის“ თითოეული სტრიქონი პოეზიაა. ლექსიდან ცალკე რომ ამოგლიჯოთ, კონტექსტს რომ მოაცილოთ, გაბნეული ვერცხლისწყალივით მაინც იცნობთ, რომ იგი დიდი პოეზიის ნაწილია. მაგრამ

სულ სხვაა გალაკტიონი, როცა თავის ასოციაციებს საგნობრივ გვირგვინს ადგამს, როცა ძალუმად ჩამოჰკრავს კლავიშს და რამდენიმე ან თუნდაც ერთი სტრიქონით აგვირგვინებს სათქმელს:

„მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს — ყოფნა ბინაში“...

ასეთი დამაგვირგვინებელი სტრიქონები, როგორც წესი, ძალდაუტანებლად იკავებენ ადგილს მკითხველის მეხსიერებაში —

„ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!“

ან

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“

და ასეთი ტაეპები ის კამერტონია, რომელშიც, როგორც ვთქვი, თავს იურის ყველა გამმა, როგორც გულთან სისხლის სადინარები.

გალაკტიონის „თოვლში“ თანაბრად ძლიერია პოეზია, მუსიკა, მხატვრობა. ისფერი თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა ისეთ ცოცხალ სურათს ქმნის, თითქოს გენიოსმა მხატვარმა მოუსვა ფუნჯი.

პოეზიაზე ალარას ვიტყვი, მუსიკა კი ამ ლექსში დომინანტობს კიდეც.

„ძვირფასო სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!“

დიდი დაკვირვება არ სჭირდება ამ სტრიქონების მუსიკის აღქმას, სადაც არათუ თანხმოვნები, ხმოვნებიც კი ისეა გადანაწილებული, რომ მათი მუსიკალურობის კანონზომიერების ჩვენებისას მხოლოდ ალიტერაციულობაზე ხაზგასმა არაფერს მოგვცემს, თითქოს ღვთაებრივი კანონზომიერებით იქმნება მუსიკა, რომელიც თანამდევია საერთოდ გალაკტიონის პოეზიისათვის.

«სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში»

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“.

რამდენადაც ლამაზია ამ საოცარ სტრიქონებში თითოეული ფრაზა, რამდენადაც საგანგებოდ შეურჩევია პოეტს ამაღლებული, პოეტური სიტყვები და სრულიად მოულოდნელი, ორიგინალური რითმებით დაუგვირგვინებია სტრიქონთა მუსიკა, იმდენადვე მოულოდნელობით გვაოცებს ღვთისმშობლისადმი აღვლენილი მავედრებელი დასწყისის მწარე საყვედურით დასრულება.

თითქოს სიცივით გათოშილმა კაცმა ბრდღვიალა მზის ნათელში გამოაღწია, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ შემოდგომის ცივმა მზემ მეტი სიმძაფრით აგრძნობინა სიცივე და უსასოობა. „სილაში ვარდი“ და „სილაჟვარდე“ არათუ ვირტუოზული რითმაა მხოლოდ, არამედ საოცრად კონდენსირებულად გადმოსცემს ლირიკული გმირის სულიერ ტრაგიზმსაც. სილაში ვარდი იმავე ასოციაციას აღძრავს, რასაც სილამაზე, მშვენიერება, რომელსაც აღარ კვებავს სიყვარული, როგორც დედა მშვენიერებისა.

სიცოცხლე უსიყვარულოდ ცუდი სიზმარიაო — ამბობს ერთი იტალიური ანდაზა და ეს მოსწრებული თქმა, ვფიქრობ, კარგად გამოხატავს იმ ტრაგიზმს, რაც საფუძვლად უდევს ლექსს.

პირველივე ფრაზა — „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ“ — ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პოეტს საევდრებელი აქვს აღსავლენი ღვთისმშობლისადმი, ისე როგორც ეს ხდება ლექსში „მზეო თიბათვისა“, მაგრამ, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ვედრება კი არა, მწარე საყვედურია აღუსრულებელ ოცნებათა და, გნებავთ, უშედეგო წინარე ვედრებათა გამო:

„სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?

ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!“

ამგვარი კოშმარული ყოფის ჩვენებას მოსდევს მწარე საყვედური:

„და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!“

ღვთისმშობლისადმი ეს თითქმის მკრეხელობამდე მისული დამუნათება ნეიტრალდება იმ განწირული სულისკვეთებით, რომელსაც ლირიკული გმირი სრულ აპათიაში ჩაუგდია და ადამიანურად თანაგანცდის გრძნობას აღძრავს მკითხველში. „სილაქვარდისა“ და „ლურჯა ცხენების“ ტრაგიკულ პათოსს ერთი და იგივე განწყობა ჰკვებავს.

როგორც ხეს მაცოცხლებელი ფესვები, როგორც სხიეს სითბო, როგორც თევზს წყალი, როგორც ფილტვებს ჟანგბადი, ისე სჭირდება სილამაზეს მშვენიერებას, ბედნიერებას სიყვარული და ამ უკანასკნელის გარეშე სილამაზე მოჩანს, როგორც ნაწვიმარ, შავ სილაში ვარდი, ანუ სიცოცხლე, უსიყვარულობისთვის განწირული. ეს თემა სრულიად სხვა რაკურსით, ლექსი – სენტენციის დონეზე წარმოაჩინა გალაკტიონმა სიყვარულის საგალობლად ქცეულ ლექსში – „უსიყვარულოდ“.

„უსიყვარულოდ“

სიყვარულის ამ ყოვლისმომცველი გრძნობის ადეკვატური გაცხადება სიტყვით ისევე შეუძლებელია, როგორც ღმერთის სახიერი სურათის წარმოდგენა. გერმანული სიბრძნე გვასწავლის: „რასაც უდიდესი ფილოსოფოსი ვერ განმარტავს, მაგრამ უდიდესი ბრიყვიც კი განიცდის, – ამას უწოდებენ სიყვარულს“.

ამიტომ დიდი შემოქმედნიც კი მხოლოდ სიყვარულის ძალმოსილების, მხოლოდ მისი შედეგის ჩვენებით თუ კმაყოფილდებიან ნაცვლად სიყვარულის შინაგანი, იმანენტური რაობის აღწერისა.

ნიშანდობლივია პეტრარკას ნათქვამი: „ვისაც შეუძლია გამოთქვას, თუ როგორ იწვის, მას სუსტი ცეცხლი მოსდებია“.

დიდებულია მოლიერის განმარტება: „ვისაც სიყვარული არ განუცდია, ეს იგივეა, რომ არ უცოცხლია“.

ან სულხან-საბას დაეუგდოთ ყური: „ჰოი, დიდ არს სიყვარული და

ყოლისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მადლთა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებულ!“ მოციქული პავლე იტყვის: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ“. რუსთაველის მიხედვით კი — „სიყვარული აღგვამაღლებს“.

ამ დიდი სახელების მოხმობის მიუხედავად, როგორც ხედავთ, ძალაში რჩება სიტყვები: არავის ძალუძს იმ განცდის განმარტება, რასაც სიყვარული ჰქვია. ეს დიდი შემოქმედნი სიყვარულის სწორედაც გარეგნული მახასიათებლების ჩვენებით კმაყოფილდებიან. იგივე გზა აირჩია გალაკტიონმა ლექსში „უსიყვარულოდ“ იმ განსხვავებით, რომ პოეტი სიყვარულის ყოლისმომცველ, ყოლისშემძლე ძალას გვიხატავს თეზა-ანტითეზის შეპირისპირების გზით:

„უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ“.

გალაკტიონს სიყვარული აქვს წარმოდგენილი სამყაროს იმ ღერძად, რომლის გარშემო ეს მზისქვეშეთი ტრიალებს და ამ უკვდავი გრძნობის გარეშე სწორედაც ჩერდება წალმა ბრუნვა – „სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიოც დაქრის, ტყეც კრთება, ვარსკვლავებიც ამოდიან და ჩადიან, მაგრამ უსიყვარულოდ მთენილი სულისთვის ყოველივე მკვდარია (გაიხსენეთ „ხევისბერი გოჩადან“, ბუნების ერთი და იგივე სურათი როგორ მოქმედებს, ერთი მხრივ, სულში დაჭრილ გუგუაზე და მეორე მხრივ, შეყვარებულ ონისეზე).

„უსიყვარულოდ ბალახიც ვერ აბიბინდება“ - შილერის ეს ფრაზა ეხმიანება გალაკტიონის ბრწყინვალე ლექსის პათოსს.

სიყვარულს, როგორც იტყვიან, ყველა ასაკი ემორჩილება, მაგრამ

„სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს...“

აქ უნდა გავიხსენოთ ჯერალდის ერთი მოსწრებული შედარება, რომელ-

იც გვიანი სიყვარულის დამანგრეველი ძალის გამო დაიწერა: „სიყვარული წითელაა ჰგავს: რაც უფრო გვიან მოდის, მით უფრო საშიშია“.

გალაკტიონს ეს „წითელა“ მოუხდელად სჭირდა, ვინაიდან მას თვით სიყვარული უყვარდა („მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“). მან თავისი სინამდვილე შექმნა, რომელიც ოაზისი, თავშესაფარია ამ სინამდვილეზე შემომწყრალი ყოველი რომანტიკოსის სულისათვის.



ლეო ჭიაჩელი

ცხოვრება და მოღვაწეობა

ადამიანი ხშირად საზოგადო იდეალების სამსახურისათვის საკუთარი ნებით ირჩევს მშფოთვარე და დრამატულ ცხოვრებას.

თუ ეს იდეალები ჭეშმარიტად სიკეთის მომტანი აღმოჩნდა, მისი მსახური ბედნიერია და განვლილ მძიმე ცხოვრებაზე აღარას ნაღვლობს.

მაგრამ პიროვნება ორგზის უბედურია მაშინ, თუ ის, რასაც წარსულში ემსახურებოდა და რის გამოც ათასგვარ ტანჯვა-წამებას გაუძლო, ერთ მშვენიერ დღეს ბოროტებად მოევლინება.

უბედურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამაოდ უტანჯია, უბედურია იმადაც, რომ ეს ტანჯვა არაფის მოუხვევია მისთვის თავს, საკუთარი ნებით აირჩია, რის გამოც უფრო მეტად იპყრობს უსასოობისა და განვლილი ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობა.

ყოველივე ამის გაცნობიერებამ ან უნდა გააბოროტოს კაცი, ანდა თვით-განწმენდის გზაზე შემდგარმა ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს.

მე-20 საუკუნის საქართველოს მრავალად ჰყავს სწორედ ასეთი ბედის მწერლები.

ამგვარი ხვედრი ხვდა წილად, მაგალითად, იროდიონ ევდოშვილს. ეჯ

დოშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ამ პარტიის ერთგული მსახური იყო, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ პოეტმა დასწყევლა ეს პარტია და ახალი ცხოვრება დაიწყო.

ამ მხრივ წინააღმდეგობრივია დიდი მწერლის, ლეო ქიაჩელის, ცხოვრების გზაც.

ქვემოთ, ცხადია, ვისაუბრებ იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა ეს წინააღმდეგობრიობა, მაგრამ ვიდრე მწერლის ბიოგრაფიას გავადევნებთ თვალს, გარკვეული მოსაზრებით, ლეო ქიაჩელის ერთი ნოველის - ,,შეურაცხყოფილის'' შინაარსი მინდა გაგაცნოთ. ეს ნოველა დაწერილია 1918 წელს და განზოგადებული სახით გამოხატავს იმას, რაც ზემოთ ვთქვით. კერძოდ, ადამიანმა შესაძლოა რამდენიმე წელი ან მთელი ცხოვრება იცხოვროს ისე, შემდეგღა აღმოაჩინოს, რომ მისი დამოკიდებულება საგნებსა და მოვლენებთან ილუზიური ყოფილა.

ნოველის შინაარსი ასეთია: (პერიფრაზი ეკუთვნის ლ.ბრეგაძეს): ,,ახალგაზრდა სტუდენტი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ერთ მშვენიერ დღეს მისი ოთახის მომიჯნავე პატარა ოთახი ახალგაზრდა ქალმა დაიქირავა. იგი ჭაბუკს პირველი დანახვისთანავე თვალში მოუვიდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ ამგვარი მეზობლობის პირობებში მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. მით უმეტეს, როდესაც თხელი კედელი ვერაფითარ წინააღმდეგობას ვერ უწევდა გვერდით ოთახში წარმოქმნილ ბგერებს. გადაწყვიტა, პირველ ხანებში დაეინებით ესმინა და ყური შეეჩვია ხმაურისათვის, რათა შემდეგ იქნებ გაადვილებოდა წიგნის კითხვა. წევს და გარკვევით ესმის მცირედი გაფაჩუნებაც კი. თითქოს ხედავს კიდეც ქალის ყოველ მოძრაობას. აი, იგი ადგა, დაუკდა, რალაც ნივთი გადადგა, გაიარ-გამოიარა, შემდეგ გარეთ გავიდა, კარი მიიხურა, მაგრამ, როგორც ჩანს, მალევე შემობრუნდა, რადგან შრიალი გაისმა: აჰა, წიგნს ფურცლავს. მერე რალაც გაწკარუნდა და ისევ შრიალი ესმის. ეტყობა, ჩემოდანი გახსნა და თეთრეული ამოალაგა, ლოგინი გაშალა. საწოლი მათი ოთახების გამყოფ კედელზე მიუდგამს. რალაც ენიშნა ჭაბუკს: ,,ამით ნამდვილად ჩემი ყურადღების მიპყრობა უნდაო'' – გაიფიქრა. ისევ შრიალი. კაბას იხდის, შემდეგ თმებს ივარცხნის, დაწვა– სტუდენტმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას, ზიარ კედლებში დატანებულ ჩარაზულ კარს ეცა, შეამტვრია და ქალის ოთახში ამოყო თავი.

ოთახში არავინ იყო. ლოგინიც აუშლელი დაუხვდა. მიიხედ-მოიხედა და ხელად აღმოაჩინა მისი გამაღიზიანებელი ხმაურის წყარო: ,,ფანჯრის ერთი ნახევარი ცოტაზე გამოღებული აღმოჩნდა, ოთახში სიო შემოდიოდა, მეორე, მიხურული, ნახევრის ფარდას ალმაცერად ხვდებოდა და შრიალ-შრიალით არხევდა''.

ეს სქემატურად გადმოცემული, ერთი შეხედვით ანეკდოტური სიუჟეტი მწერალმა საუცხოოდ გამოიყენა ფილოსოფიური განზოგადებისათვის.

სანამ თაეის ამ „თავგადასავალს“ მოგვიყვებოდა, ნოველის გმირი ასეთ ფიქრებს გვიზიარებს: „იქნებ ის, რაც ჩვენ ასე გვიხიდავს ცხოვრებაში, რაც ამდენ აღტკინებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაწირვინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს“.

„ამხანაგებო, არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად– თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია? რანაირია იგი თავისთავად და რანაირია – იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?“

აი, ამ კითხვას სვამს ნოველის გმირის პირით ლეო ქიაჩელი და, შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ თავისი ახალგაზრდობისდროინდელი ცხოვრების მაგალითიდან გამომდინარეც აწუხებდა მას ეს კითხვები. უფრო სწორედ, 1918 წელს, როცა ნოველა „შეურაცხყოფილი“ იწერებოდა, მწერალმა უკვე კარგად იცოდა, რომ ის, რაც მას ადრე ასე იზიდავდა, რაც ამდენ აღტყინებას იწვევდა და თავსაც კი აწირვინებდა, თავისთავად არაფრად ღირდა– ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სოციალ-დემოკრატთა იდეალებს, რომლის მსახური იყო და რომლისთვისაც ახალგაზრდობის დროს თავს წირავდა ლეო ქიაჩელი.

ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები

ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ქიაჩელი) დაიბადა 1884 წლის 7 თებერვალს (ძვ.სტილით) ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. მამამისი ღარიბი აზნაური იყო, მაგრამ, ძველი ჩვეულებისამებრ, „კეთილშობილი“ აზნაურის ოჯახს ახალშობილი მაინც გაუძიძავებია.

პატარა ლეო 7 წლამდე მეზობელ სოფელში იზრდებოდა ძიძის ოჯახში. შემდეგ მცირე ხანს დედამისთან დაყო ობუჯში. 1892 წელს კი მამამისი საცხოვრებლად ზუგდიდს გადადის და ლეო ჯერ ზუგდიდშია, შემდეგ კი ქუთაისში მიჰყავთ სასწავლებლად.

ქუთაისში ლეო შენგელაია კერძო სასწავლებელში მიაბარეს, რათა რუსული ესწავლა და კლასიკურ გიმნაზიაში შესასვლელად მომზადებულიყო (რუსულის არმცოდნე ბავშვებს გიმნაზიებში არ ღებულობდნენ). ლეო 11 წლის ასაკში, 1895 წელს, შეჰყავთ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ასე დაგვიანებით მისი სასწავლებელში მიბარება განაპირობა იმ ფათერაკმა, რაც ლეო შენგელაიას მამას, მიხეილს, შეემთხვა. მიხეილ (მალხაზ) ზურაბის ძე შენგელაია სასამართლოში მუშაობდა. მას ჩხუბი მოუვიდა მოსამართლესთან

და ამ უკანასკნელს სილა გააწნა, რის გამოც დააპატიმრეს და აზნაურობა ჩამოართვეს.

1893 წელს საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე მესამე. ღურს დედამ, ხვიტიას ქალმა, რომელიც შეძლებული აზნაურის ოჯახიდან იყო, მოახერხა იმპერატორისათვის თხოვნა მიეწოდებინა.

მისი შენგელაია იმპერატორის წყალობით კვლავ ძველ პატივში აღადგინეს, აზნაურობა დაუბრუნეს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ღურს კლასიკურ გიმნაზიაში შესვლაზე ზრუნვა.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მიხეილ შენგელაიას, ისედაც ღარიბ აზნაურს, უკან-უკან წასული ოჯახი წელში ველარ გაუმართავს. ამაზე მეტყველებს გიმნაზიიდან შენგელაიასაგან მშობლებთან გაგზავნილი ერთი ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1895 წლის 30 ნოემბრით: „ჩემო ბატონო დედა!

პირველად ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნას და ღმერთსაც ვთხოვ, რომ თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ. მე, თუ მკითხავ, კარგად ვარ და კარგად ვსწავლობ, ორი და სამი არაფერში მაქ. სუყორფელში ოთხი და ხუთი მაქვს. გიგზავნი ჩემს ბალს, ჩემო, ჩემო დედა, საბანი არა მაქვს, სულ დაწენწილია. სუყველა მოკითხვას გითვლიენ. ჩემ მაგიერ სუყველას ხუთ-ხუთჯერ აკოცე–

თქვენი შვილი ლეონ შენგელაია.“

დღევანდელ მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ის, რომ ეს მცირე ბარათი ლიტერატურული ქართულით არ არის დაწერილი. გიმნაზიაში მოწაფენი რუსულად სწავლობდნენ, მშობლიურ ენას კი არათუ კარგად ასწავლიდნენ მათ, არამედ რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანი ის იყო, რომ ქართველ ბავშვებს საერთოდ დაევიწყებინათ ქართული ენა.

ობუჯელი ყმაწვილი გიმნაზიაში სწავლის ბოლო წლამდე ცოდნის შესაძენად დროსა და ენერგიას არ იშურებდა. დედისადმი გაგზავნილ ბარათებს ქვემ აწერს: „შენი მორჩილი შვილი ლ.შენგელაია“, მაგრამ მის ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა მშობლების მორჩილი შვილი ერთბაშად გამოიცვალა, მისი გულისყურისა სხვა მოვლენებმა დაიპყრო.

90-იანი წლების ქუთაისში, ისე როგორც იმპერიის სხვა ქალაქებში, ახალგაზრდა ყმაწვილები გაიტაცა ახალი დროის, რევოლუციური მოძრაობის ტალღებმა. 1903 წლიდან იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ხდება. „მე არ ვტოვებდი არც ერთ დემონსტრაციას, ვავრცელებდი პროკლამაციებს და ვწვდიდი ქარხნებსა და ფაბრიკებთან არსებულ მუშათა წრეებს არალეგალურ ლიტერატურას“, — იგონებდა შემდეგში მწერალი.

1904 წელს ლეო შენგელაია ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას და სასწავლებლად გაემგზავრება ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც მხოლოდ

ერთი სემესტრი ისწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დახურვის გამო იძულებული გახდა უკანვე ჩამობრუნებულიყო.

1904-1905-1906 წლები იყო შენგელაიასათვის პროფესიული რევოლუციური მოღვაწეობის წლები.

არალეგალური კრებები. გაფიცვების ორგანიზება. დემონსტრაციები და მიტინგები. მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება. იარაღის შეძენა. მოწოდებები მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოსვლებისა და ხელისუფლების გადატრიალებისათვის. წითელრაზმელებთან ერთად შეიარაღებული თავდასხმები, შეძლებულთა „ექსპროპრიაცია" — ყველა ამ საქმეში ლეო შენგელაია ერთი აქტიური და თავგამოდებული რევოლუციონერთაგანია.

დადგა 1906 წელი. დასავლეთ საქართველოს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარები შეესია. რომანში „სისხლი" ამ დროს თვით ლეო ქიაჩელი ასე გვიხასიათებს: „დიდი რეაქციის თარეში იდგა საქართველოში.

სამხედრო წესები. საველე სასამართლოები. სახრჩობელები. ეგზეკუციები. მასიური გადასახლება. ხვრეტა. დარბევა.

აქრობდნენ 1905 წლის რევოლუციის ცეცხლს.

მაგრამ ხალხი მაინც არ ნებდებოდა, ბორგავდა. შფოთს განაგრძობდა. ბევრი შეხიზნებოდა ტყესა და მთებს, უმთავრესად წითელრაზმელები. პროფესიონალ რევოლუციონერებს და პარტიულ მუშებს კიდევ ქალაქებში გაუჩნდათ საიდუმლო ბინები. არ სცხრებოდნენ. ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

დაიწყო ტერორი და ექსპროპრიაცია.

თავდაპირველად ამ ბრძოლას დისციპლინის უღელი ედგა— გამოსვლების სადავეები პარტიებს ეჭირათ ხელთ.

მალე დემობილიზაციამ იჩინა თავი.

მერე გამოჩნდნენ ვილაც-ვილაცეები, რომელთაც შემოიღეს კუბოიანი წერილების წერა და მოუქარით ფულის მოთხოვნა.

გახშირდა ვაჭრების გატაცება ტყეში და მათი დაბეგვრა და სხვა ათასი უწესობა.

მთავრობა პოლიტიკურ პარტიებს აბრალებდა ამ ამბებს, პარტიები კიდევ მთავრობას.

ანარქია იყო გამეფებული".

ლეო შენგელაია, ცხადია, უკვე არალეგალურად ცხოვრობს. მასზე ძებნაა გამოცხადებული.

— რას გვერჩი, შვილო, რა დაგვიშავებია? მოხუცებულობას რატომ მიმწარებ, რომ ასე თავი გაგიწირავს? — მოთქვამს მისი ცალად დარჩენილი,

ფრთამოტეხილი, ავადმყოფი დედა (ამ დროისათვის ლეოს მამა აღარ ჰყავდა. მიხეილი ჭლექით გარდაიცვალა 1902 წელს).

„1906 წლის აპრილში, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, ამნისტიით რევოლუციონერთა დევნა დროებით თითქოს შეწყდა. — წერს ავთოფურია — თვალის ასახვევად ზუგდიდის ციხიდან გაუშვეს ზოგიერთი პოლიტიკური პატიმარი. ამავე დროს შენელდა საქვეყნო პირთა მშობლების, მათი ოჯახების დევნა-შევიწროება. გაძლიერდა მათ მიმართ შემრიგებლობის, გადმობირების, ვითომდა პატიების და ამ გზით რევოლუციონერთა ადგილ-სამყოფელის დადგენის ტაქტიკური ღონისძიებები. ზოგიერთი აჰყვა ამ ცთუნებას. მათ შორის იყო სრულიად ახალგაზრდა ლეო შენგელაიაც. იგი ისე გაიტაცა დედის ნახვის სურვილმა, რომ მაისის ერთ მშვენიერ ღამეს მოულოდნელად სახლში დაბრუნდა. აქ მას არაკეთილი ხიფათი არ შეხვედრია. მყუდროდ გაიარა რამდენიმე დღემ. ყველაფერი თითქოს წარსულს და მოგონებას ჩაბარდა. შინაურების რჩევით 1906 წლის 12 ივნისს იგი თვითონ გამოცხადდა ზუგდიდის სამაზრო პოლიციის სამმართველოში, რათა ამით ეჩვენებინა თავისი „უდანაშაულობა“, მაგრამ ეს იყო საბედისწერო შეცდომა“.

დაპატიმრება. ქუთაისის ციხე

1906 წლის ზაფხულში ლეო შენგელაია დააპატიმრეს. ყველა ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს, სრულიად უარყო და მოითხოვა — მიეცათ მისთვის საშუალება ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა. მაგრამ ადმინისტრაციის გაბრიყვება იოლი არ აღმოჩნდა. ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ვინმე სოლოროვი, სტუდენტ შენგელაიას უმკაცრესად დასჯას ითხოვდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ეხსნათ თავი „ასეთებისაგან“ და „დაემყარებინათ ხალხში მშვიდობა“.

ქიაჩელი ვერ ზუგდიდის საპყრობილეში ჰყავდათ, შემდეგ კი ეტაპით ქუთაისის ციხისაკენ გაუყენეს გზას. პატიმრებს შეიარაღებული ყაზახები „მიაცილებდნენ“. ზუგდიდში ხმა გავრცელდა, რევოლუციონერები „სტოლიპინის ჰალსტუხზე“ ჩამოსაკიდებლად მიჰყავთო. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა ლეოს დედა. საბედნიეროდ, ეს ხმები არ აღმოჩნდა მართალი. ლეო შენგელაიამ ეშაფოტზე არა, მაგრამ ქუთაისის ციხეში კი ამოყო თავი. თუმცა ის პირობები, რაც ქუთაისის ციხეში დახვდა, 22 წლის ახალგაზრდას ეშაფოტისაგან დიდად განსხვავებული არ მოეჩვენებოდა. 3–4 კაციან საკანში შეყრილი იყო 15-მდე კაცი. პატიმრებს ეკრძალებოდათ სარკმელთან მისვლაც კი. წინააღმდეგობის შემთხვევაში ნაბრძანები იყო

ტუსაღისათვის ესროლათ. ერთი ახალგაზრდა სხვების დასაშინებლად სულ უბრალოდ მოკლეს კიდეც.

ციხის მძიმე პირობებს თან დაერთო დატყვევებულთა ტიფით დაავადებაც. „ტიფით ავად გახდა ლეო შენგელაიაც. — იგონებდა ამ ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ მწერალი დავით სულიაშვილი, რომელიც იმხანად ქიაჩელთან ერთად ქუთაისის ციხის პატიმარი იყო. — იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და ცალკე საკანში დააწვინეს. მე მარტო დავრჩი, გული დამეხურა, ღამეები არ მეძინა. „ლეო მარტოა, იქნებ უჭირს, ვინაა მისი პატრონი?! — მიტრიალებდა თავში. გადავწყვიტე ციხის ადმინისტრაციისათვის მეთხოვა — ნება მოეცა ჩავსულიყავი მასთან და მომევლო. უფროსმა ნება დამრთო. მეც ლეოს საკანში გადაებარგდი და, თუმცა ამხანაგები მეუბნებოდნენ — შენ იმას ვერაფერს დაეხმარები, ტიფი აუცილებლად შენც გადმოგედება და ორივეს ვინღა მოგივლითო, მე მაინც ჩემი შევასრულე.

სოფლიდან ლეოს დედა ჩამოვიდა. მას ნება დართეს საავადმყოფოში თავისი შვილი ენახა. მომცრო ტანის მოხუცი დედა წუწუნებდა, რაღაცას მოსთქვამდა, ხან შვილს გადაეხვეოდა, ხან მე მიალერსებდა, ფუსფუსებდა. რა უნდა ემოქმედა, ალარ იცოდა. ავადმყოფ შვილს რომ უკვეროდა, იცრემლებოდა. საკნის კარი ღია იყო. სოფლიდან ჩამოტანილი ხაჭაპურები, მოხარშული ქათამი დერეფნიდან საკანში შემოიტანა, სკამზე დააწყო. ის კი არ იცოდა, რომ მის შვილს არაფერი არ ეშველოდა. კიდევ იკრიახა, კიდევ გადაეხვია შვილს, მეც მხრებზე მომეხვია, შემევედრა — შვილს მიმიხედეო.

ნახვის დრო გათავდა. გულდათუთქული, რომ ავადმყოფ შვილს ციხეში ტოვებდა, მოკლე და ნელი ნაბიჯით გავიდა“.

რამდენიმე კვირის შემდეგ ქიაჩელმა ავადმყოფობას თავი დააღწია. გამოკეთდა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ დედის საცოდაობის წარმოდგენა სულს უფორიაქებდა. ლეო შენგელაია, დედის მორჩილი შვილი, რამდენიმე წლის წინათ კარგ „ატმეტკებზე“ მზრუნველი და აკადემიური განათლების მიღებაზე მეცნებე ყმაწვილი, ახლა ციხის საკანშია გამოკეტილი და დღეს-ხვალ ჩამოხრჩობა ან სამუდამოდ გაციმბირება მოელის. მერედა რისთვის გაიმრუდა გზა? გულისყურით უსმენს პოლიტიკურ პატიმრებს, წითელრაზმელებს, ტერორისტებს. ერთი ბაქიაობს, — შვიდი ტერორისტული აქტი მაქვს მოწყობილიო, მეორე თითხმეტი მკვლელობის ორგანიზატორობაზე დებს თავს. უსმენს ამ ხალხს ჭაბუკი ქიაჩელი და თანდათანობით მისი კეთილშობილი ბუნება ივსება ზიზღით თავისი განვლილი საქმიანობისადმი, ისიც ხომ ამ გზაზე იყო შემდგარი, მასაც ხომ წითელრაზმელთა მეთაურობისათვის უკრეს ცხრაკლიტულში თავი. რას წარმოადგენს ეს ხალხი? რა უნდათ, რა სურთ,

რისთვის ლერიან თანამოძმეთა სისხლს? ნუთუ რომელიმე აბაშიძის ან რომელიმე დადიანისა და მათი ცოლ-შვილის სისხლი, რომელთა მკვლელები ამ საკნებში სხედან, როგორც პოლიტპატიმრები, აუცილებლად უნდა დალურჯილიყო? ნუთუ პატარა ბავშვის მკვლელობა, რომელიმე ოჯახის ძარცვა (ანუ ექსპროპრიაცია რევოლუციონერთა ენაზე) უკეთეს დღეს გაუთენებს კაცობრიობას?

ეს ფიქრები აღარ ასვენებენ ჭაბუკს. წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი მოწყვეტილია სამყაროს და საკუთარ თავთან დარჩა. ციხეში ფიქრის დრო თავზესაყრელად აქვთ პატიმრებს. ლეო შენგელაიამ ბევრი რამ გადაფასა. გადაწყვიტა, აღარ გაჰკარებოდა პოლიტიკას, ჩამოსცილებოდა რევოლუციურ საქმიანობას და სამშობლოს სამსახურის ასპარეზად მწერლობა აერჩია.

ციხეში ერთდროულად მოხვედრილმა, ერთ საკანში მსხდომმა ორმა მომავალმა მწერალმა — ლეო შენგელაიამ და დავით სულიაშვილმა — ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ ამიერიდან სამშობლოს უარმყოფელ პოლიტიკურ პარტიას ჩამოსცილებოდნენ და მაუზერის წილ ხელში კალამი აეღოთ, კალამი — სწორედ სამშობლოს სამსახურისთვის.

მაგრამ ამისათვის ჯერ ამ ჩაჟალტამებული ციხის კედლებისთვის უნდა დაეღწიათ თავი.

ეს დღე, საბედნიეროდ, მალე გათენდა.

საიდუმლო გვირაბი. ციხიდან გაქცევა

ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიზნით, მაგრამ სამწუხარო კია, რომ ხშირად მკვლევარები თავისი სიტყვებით გადმოსცემენ იმ ფაქტის შესახებ, რომელიც თვითმხილველისაგან შეიტყვეს, მაშინაც კი, როცა თვითმხილველს ეს უკვლაფერი მშვენიერად აქვს დაწერილი. ამაზეა სწორედ თქმული ერთი ირონიული ანდაზა: ომიდან მობრუნებულს შინ დახვედრილი ომის ამბავს უკვებოდაო. მეც რომ ამ დღეში არ ჩავვარდე, კუპიურებით შემოგთავაზებთ დავით სულიაშვილის მოგონებას იმის შესახებ, თუ როგორ დააღწიეს პოლიტპატიმრებმა ქუთაისის ციხეს თავი. ეს ამბავი თვით ლეო ქიაჩელსაც აქვს მოთხრობილი რომანში „სისხლი“, მაგრამ რაკი რომანში მხატვრული გამონაგონიც საგულვებელია, ამიტომ აღნიშნული ეპიზოდის გადმოცემა, მეტი სიზუსტისათვის, დ.სულიაშვილის მოგონებებიდან სჯობს. აი, ეს ეპიზოდიც:

„1907 წელს ქუთაისის ციხიდან ტუსაღების გაქცევა გარედან გაყვანილი ხვრელით, ციხის ცხოვრებაში თავისი მოულოდნელი და შესანიშნავი შედეგით

ძალიან იშვიათი მოვლენა იყო.

იმხანად ციხეში მოიყვანეს ერთი პატიმარი, ზაქარია გურული, რომელიც ჭიათურის მაღაროებში შტრეიგერად მუშაობდა. მას მძიმე დანაშაული ედებოდა ბრალად და სასჯელიც მკაცრი მოელოდა.

პოლიტიკურმა ტუსაღებმა მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, ზაქარია როგორმე გაგვეთავისუფლებინა. ამისთვის მოვისყიდეთ ორი ზედამხედველი, რომლებიც მას გაქცევაში უნდა დახმარებოდნენ.

და, აი, ყველაფერი მოეწყო ისე, როგორც განზრახული გვქონდა_

ზაქარიასაგან პირობა გვქონდა, რომ ჩვენს გასათავისუფლებლად ყველაფერს იღონებდა. იგი მაღაროებში იყო ნამუშევარი და არ გაუჭირდებოდა ციხეში გარედან ხერელი შემოეყვანა_

ციხიდან პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს ამხანაგებმა დაიქირავეს ვინმე ფანცხავას სახლი, სადაც გახსნეს ქალის წინდების საქსოვი საამქრო_ ეზოში გაბეს თოკები და მასზე სხვადასხვა ფერის შალის წინდები ჩამოკიდეს. სახლის სარდაფიდან კი ქუჩის ქვეშ ხერელის გაყვანას შეუდგნენ.

ხერელის გასაყვანად ზაქარია გურულმა ჭიათურიდან ჩამოიყვანა დახელოვნებული შტრეიგერი, ბელიაშვილი (ცნობილი მწერლის, აკაკი ბელიაშვილის მამა)_

ხერელი იწყებოდა სარდაფიდან, გაივლიდა ქუჩას, შემოვიდოდა ციხის ეზოში და საძირკვლის ქვეშიდან ქვედა სართულის პირველ „სეკრეტში“ ამოვიდოდა_

როგორი მიმზიდველი, საყვარელი და იმედების აღმძვრელი გახდა ჩვენთვის ის სახლი, წინათ რომ ისე ცივად, ულაზათოდ გამოიცქირებოდა_

ჯერ კიდევ საქმე შუაზე არ იყო მიყვანილი, რომ სახლის პატრონმა, ფანცხავამ, გაიგო მისი სახლიდან ციხეში ხერელის გაყვანის ამბავი_

საოცარია, ეს მაშინ ბევრმა იცოდა ქუთაისში, ხოლო არავის აზრად არ მოსვლია ეცნობებინა მთავრობისათვის.

— რას მიშვრებით, რატომ მღუპავთ. მე თუ არ გეცოდებით, ჩემი ცოლშვილი მაინც შეიბრალეთ! — შეშინდა სახლის პატრონი.

ამხანაგები გაფითრებულნი შესცქეროდნენ მას, ელუპებოდათ ამდენი ხნის ნამოღვაწარი_

ბოლოს შეთანხმდნენ, გიორგი ზდანევიჩს (მაიაშვილს) მოერიგებინა „მდგმურები“ და სახლის პატრონი (ცვირაბის გაყვანის საქმეს ზდანევიჩი ხელმძღვანელობდა). მართლაც, ასე მოხდა. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ზდანევიჩმა ფანცხავას დიდი თანხა მისცა „ბეს“ სახით, საზღაურად იმ შემთხვევისათვის, თუ პოლიცია მას სახლს გადაუწვავდა და

დარბევდა.

დამთავრდა ხვრელის გაყვანა...

შეიცვალა გუნება, ფიქრიც— იმ დღეს დილიდანვე აღგზნებულები დავიარებოდით... დავდიოდით მთვარეულებივით, თითქო მოვცილდით ციხის ცხოვრებას. სხვა ქვეყანაში გადავედით. როგორ დამთავრდება დღევანდელი დღე? სად ვიქნებით ხვალ?"

ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. 1907 წლის 26 სექტემბერს ქუთაისის ციხიდან გაიქცა 38 პოლიტიკური პატიმარი. მათ შორის ლეო ქიაჩელი და დავით სულიაშვილი. ისინი, ფანცხავას სახლიდან გასულნი, ქუჩაში დასცილდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა მიმართულებით გასწიეს... სხვათა შორის, ხუთი წლის შემდეგ ციხის საკანში დამეგობრებული მწერლები საზღვარგარეთ კვლავ შეხვდებიან ერთურთს და კვლავ ერთად მოუწევთ ემიგრანტის მძიმე ხვედრით ცხოვრება.

არალეგალური ცხოვრება მოსკოვში

პოლიცია და ჟანდარმერია გაქცეულ ტუსაღებზე ნადირობდა. საქართველოში დარჩენა შეუძლებელი გახდა. ჟანდარმთა დევნისაგან თავის დასაღწევად ერთადერთი გზა რჩებოდა — გადახვეწა საქართველოდან.

ლეო შენგელაიამ სტეფანე ნიკოლოზის ძე მგელაძის პასპორტით მოსკოვისკენ აიღო გეზი.

ჯერ კანონიერი მოქალაქის ლეგალური ცხოვრება რა იყო იმ გაჭირვებულ დროში და სხვისი პასპორტით, ნამალევ-ნაჩუმათევად მცხოვრები კაცისა რაღა იქნებოდა, თანაც უცხოობაში, უცნობ ქალაქში. მატერიალურ გაჭირვებას, სულიერ უთვისტომობას ახალგაზრდა ჭაბუკი იმ ზომამდე მიუყვანია, რომ ზოგჯერ თავის მოკვლაზეც კი ფიქრობდა. გაგაცნობთ მოსკოვიდან დედისადმი გამოგზავნილ ერთ წერილს, რომლითაც მკაფიოდ ჩანს ჩრდილოეთის ცივ ქალაქში გადახვეწილი მომავალი მწერლის ტრაგიკული ყოფა:

„ძვირფასო დედა!

მივიღე თქვენი გამოგზავნილი 13 მანეთი. დიდად გმადლობ ასეთი გაჭირვების დროს ასეთი დახმარებისათვის. იმედი მაქვს, რომ აწიც არ დამკლებთ ასეთ ყურადღებას და ყოველ თვეს მომაწვდით დახმარებას, ურომლისოდაც მე ვერ გავძლებ და იძულებული ვიქნები დაეტოვო ყოველივე— გარდა ამისა, დედა, ისე მე გვარიანად ვარ. ყოველ დღის გაჭირვება რომ არ მქონდეს, მერწმუნეთ, რომ ჩემს საქმეს კიდევ კარგად წავიყვანდი, მაგრამ ერთის მხრით შიმშილი, უტანსაცმლობა — მეორეს მხრივ შიში და ჯანდაბა შუა მიყოფს მხნეობას და წადილს.

რა გაეწყობა, აწი, რადგანაც ჩავვარდი ასეთ მდგომარეობაში, უნდა ვითმინო ყოველგვარი გაჭირვება, სანამ შემეძლება და შემდეგ კი– თუ აუტანელი იქნა იგი, კვლავ ციხეში ჩაეკლები, ანდა ერთბაშად გაეწყვეტ ყოველგვარ კავშირს ამ შაჰს და უსინდისო ცხოვრებასთან. წარმოიდგინე, დედა, რომ აქ საცხოვრებლად საჭმელი და ოთახი გექონდეს, უკანასკნელი მინდა ოცდაათი მანეთი. უკანასკნელი. მე კი ამის ნახევარი არა მაქვს და წელმოწყვეტილი ღონით, ჯანმრთელობით, ვიწურები. აბა, ვინ არის ჩემი მომხრე? მით– უმეტეს ის, ვინც „იმალება", ვერც საქმეს იშოვნის რასმეს და ვერც სხვა რამეს. ამ ჰაზრით მე კი არ ვცხოვრობ, არამედ „ვძაღლობ" და ჩაძაღლებული ვკვნესი. ვიტანჯები ასეთი ცხოვრების გამო. ამას ისიც დაამტკიცებ, რომ ტანს ჩასაცმელი არა მაქვს, ეს კი– ისეთი რამაა, რომ ვერვის გაუკარები და თავს ვერსად გამოაფენ– ვერც რომ მთლად თავისუფალი ვიყო, მაშინაც გასაჭირია რაიმეს შოვნა აქ, და მე კი– მე კი რომელ დოკუმენტებით ვეძიო საქმე? ჩემი დოკუმენტები ჩემი მახეა. შემიპყრობენ და ისე, აბა, ისე ვინ რას გენდობა? ვცადე ყოველივე და ჰაა, ამდენი ხანი ვიხლაფორთე და აწი მეც მეცოდება ჩემი თავი! თუ ისე გაჭირდა მაქაც საქმე, რომ ვერც მიწა, ვერც ვერაფერი გაიყიდა, მაშინ არაფერი არსებულა ჩემთვის ამ ქვეყნად და უსაშველო, უსახსრო და უთავშესაფრო, ვიმცნობ ჩემს ადგილს! გაგონილა, დედაჩემო, კაცმა ორი წელი ვერ გაძლოს ქვეყნად? განა უბოგანო, ობერი ვარ, რომელსაც საჭმელი არა აქვს და არც ეშოვება? განა ისე დავიბადე ცის და მიწის შუა, რომ ჩემდა წილად ფეხის დასაბჯენელი ადგილი არ არსებობს: არც ნივთიერად, არც კაცთა გულში, არც ღვიძლთა მშობელთა გრძნობაში? მაშ, დავტოვო ყოველი? მაშ, უმედროდ დავუბრუნდე ტყეს, სოფელს, სამუდამოდ დაღუპული, თუ ტყედ მივეცე გახელებულ მგელთა ბანაკს? ან იქნება– მართლაც წინასწარ გადაწყვეტილია ჩემი არა ცხოვრება?! ოჰ! რა მინდა შეჩივლება შენსა, დედა, შეჩივლება ტანჯულ შვილისა დედისადმი! დაე შენ– (სიტყვა არ იკითხება), გადმოგეცეს მთელი ბოლმა სასოწარკვეთილი გულისა– ასე მგონია შენ მეტს გამიგებ, შენ მეტს იგრძნობ შვილის ჭმუნვას, გულის და სულის ვაებას!–

შენი შვილი ლეუჩქა" (ლეოს ბავშვობაში შინაურები „ლეუჩქას" ეძახდნენ).

მოსკოვში მცხოვრები ქართველი მეგობრების თანადგომითა და დიდი ხლაფორთის შემდეგ ქიაჩელმა მოახერხა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლის ქირა ვერ გადაიხადა და ამჯერადაც მოუწია სასწავლებლის დატოვება.

მის გაჭირვებას ისიც დაერთო, რომ უკვე სხვისი პასპორტითაც ვეღარ ისარგებლებდა. რადგან სტეფანე ნიკოლოზის ძე მგელაძეს, რომლის სახელსა

და გვარსაც აფარებდა თავს ლეო შენგელაია, 1909 წლისათვის ჯარში გაწვევა უწევდა, ამდენად, ამ პასპორტის გამოჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ამჯერად ძმამ იხსნა (ლეოს ერთი ძმა და ერთი და ჰყავდა) — საქართველოდან გაუგზავნა ბიძაშვილის, რაჟდენ კოსტას ძე შენგელაიას, პასპორტი.

მიდიოდა წლები. ქიაჩელმა ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. როგორც მწერალთა უმრავლესობა, ყმაწვილობიდანვე ისიც ლექსებს წერდა, მაგრამ პოეზიაში ხელი მოეცარა. სამაგიეროდ, მეგობართა წრეში დიდი მოწონება ხვდა მის პროზაულ თხზულებებს. და, აი, 1909 წლის 7 მაისს გაზეთში „ჩვენი აზრი“ ლეო შენგელაიას მოთხრობა გამოქვეყნდა. ეს მოთხრობა გახლდათ „წარსული აწმყოში“ ანუ „სურათები ჩვენი თავადაზნაურობის ცხოვრებიდან რევოლუციის წინადღეს“.

კატორღამისჯილი და ციხიდან გაქცეული შენგელაია მოთხრობას თავის გვარს, ცხადია, ვერ მიაწერდა. ამიტომ იგი გამოქვეყნდა ლ.მისხაძის ფსევდონიმით. ლეო შენგელაიამ მოსკოვში დაყო 1912 წლამდე, შემდეგ კი იძულებული გახდა აქედანაც აბარგებულიყო. მიზეზს მისივე კერძო წერილიდან ვგებულობთ:

„ძვირფასო დედა!

ამ წერილით მინდა გაცნობო ერთი საქმე. დამიგდე ყური, დედა. ისეთი დრო დამიდგა, რომ ჩემი რუსეთში მოცდა ახლა არ შეიძლება. დგება ისეთი დღეები, როცა ჩემისთანა კაცებიდან სწმენდენ, მე რომ ვცხოვრობ, იმისთანა ქალაქებს. ემზადებიან სადღესასწაულოდ, გაიგონებდით, რომ მეფის გვარეულობა თავის მეფობის სამას წლის იუბილეს აწყობს 12 და 13 წლებში. ჩემი აქ დარჩენა მეტად საშიშია, რადგანაც თითოეულის პიროვნებას არკვევენ. ამისთვის მე, დედა, უკანასკნელს ორ ზომას უნდა მივმართო: ან უნდა წავიდე რუსეთიდან ერთის წლით საზღვარგარეთ, ან უნდა — თუ ეს არ მოხერხდა — დავბრუნდე ჩვენში, სადაც, ალბათ, ციხეში ამოვყოფ თავსა“. ციხეში ყოფნა რა „სიამოვნებაც“ იყო, ეს ყოფილ პატიმარს კარგად ჰქონდა გამოცდილი. ამიტომ იმავე წლის გაზაფხულზე ლეო შენგელაია ჟენევაში მიემგზავრება.

ჟენევა. „დიდი კომერსანტები“. სამშობლოში დაბრუნება. დაოჯახება

ჟენევიდან გამოგზავნილი წერილების მიხედვით ირკვევა, რომ ვერც აქ აწყო მწერლის ცხოვრება. სიდუხჭირე ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან სდევდა. „უკუღმართმა შავად კერიღმა ცხოვრებამ განმწირა ყოველს. დამკარგა, გაშლახა, და არა მყო! არც თავს, არც სხვას მე არ ვეხმარები! დავწრიალებ

უცხო მიწაზე — ობოლი, ოხერი და არ ვიცი, რას ვურტყა თავი ჩემი, რომ ბოლოს მაინც დავასვენო სული, ხორცი!" — როგორი ტკივილებით არის საკუთარ მწერლის ეს სიტყვები. სადამდე მიჰყავს ადამიანი უპატრონობას, უფულობას, უსამშობლობას.

ქიაჩელი ჟენევაში კლავე შეხვდა დავით სულიაშვილს. ციხეში დაწყებული მეგობრობა საზღვარგარეთ გაგრძელდა. მეგობრებმა საარსებო სახსარის მოპოვების მიზნით გადაწყვიტეს „კომერციულ" საქმეს შესდგომოდნენ.

სულიაშვილმა მაწვნის დაყენება და გაყიდვა მოისურვა. ამ საქმეში ლეოც შეიამხანაგა, მაგრამ ქართველი აზნაურის სავაჭრო საქმიანობა რა დღესაც დაიწყო, იმავე დღეს დასრულდა. დასრულდა, ცოტა არ იყოს, ანეკდოტურად.

აიკიდა მაწვნის ქილებით სავსე ჩანთა შენგელაიამ და ბინებში ჩამოატარა. ერთი პოლონელი ქალიშვილი მოსწონდა. მაინცადამაინც თავის მაწვნებიანად ამ ქალიშვილის ბინას არ მისდგომია? ზარს რეკავს, კარი იღება და– გაწვდილი ხელით მაწვნის ქილა უჭირავს. პოლონელი ქალი გაოცებით უმზერს ქართველ „პანს". „სატრფოს" დანახვაზე შეჩქვიფებულ, დაბნეულ, გაწითლებულ აზნაურს ქილა ხელიდან უვარდება და იატაკზე იმსხვრევა.

გაფითრებული ლეო უკანმიუხედავად დაეშვა კიბეებზე. მისი „კომერსანტობა" ამით დასრულდა.

ჟენევაში იმ დროისათვის მრავლად ცხოვრობდნენ რუსეთის იმპერიიდან გაქცეული რევოლუციონერები, ლენინითა და პლეხანოვით დაწყებული და მიხა ცხაკაიათი დამთავრებული. ბუნებრივია, ყოველი მათგანი ლეომ პირადად გაიცნო, მაგრამ არჩეული გზისთვის ალარ უღალატია. რევოლუციონერთა დისპუტებში მონაწილეობას ბიბლიოთეკაში ჯდომას არჩევდა. შენგელაია იქ უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. წერდა მოთხრობებს, ესკიზებს, ნოველებს, პიესებს და აგზავნიდა სამშობლოში. ლეო ქიაჩელი საქართველოში უკვე საკმაოდ იმედისმომცემ მწერლად ითვლებოდა. წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნიჭიერ ახალგაზრდას სტიპენდიაც დაუნიშნა, თვეში 25 მანეთი, რაც ლეოსა და მისი მოხუცი დედისათვის ღვთის წყალობას ნიშნავდა. როგორც იქნა, ქიაჩელსაც დაუდგა ის წუთი, როცა მრავალტანჯული დედისათვის სასიამოვნო ცნობის გაგზავნა შეეძლო: „ახლა ფული რომ მომდის, დედა, ის იმიტომ დამინიშნეს, რომ წერა მოსწონთ ჩემი. თუ ვიცოცხლე, დედა, მე კარგი მწერალი ვიქნები და იქნება ამან ჩემი საქმე კარგად წაიყვანოს. ასე რომ, ამ მხრივ, დედა, ტყუილა არ გიტარებივარ ცხრა თვეს და ტყუილა არ გომეცადინია ჩემს აღზრდაზე. ხომ კარგია, დედა, როცა შვილი მწერალია და ისიც ნიჭიერი. ამ ჩემს ამბავს უფრო და უფრო გაიგებ აწი– მე ბევრი კარგი იმედი მაქვს".

ამ წერილში ყოველი ფრაზა მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ შვილის ფათერაკიანი ცხოვრებით შეწუხებულ დედას იმედი მიეცეს. ირწმუნოს, რომ შვილი, აწი მაინც, ციხის კარზე სასიარულოდ აღარ გაუხდის საქმეს.

რწმენა თავისი შესაძლებლობების შესახებ მწერალმა იმთავითვე გაამართლა. 1914-1915 წლებში დაწერა რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელმაც მას ერობაშად დიდი სახელი მოუპოვა. რომანის ხელნაწერის სამშობლოში გამოგზავნის შემდეგ მალე თვითონაც საქართველოსაკენ გამოემგზავრა. მასთან ერთად მგზავრობდა თედო სახოკია, რომელიც წლების მანძილზე ასევე პოლიტიკური ემიგრანტის ხვედრს იზიარებდა. მძვინვარებდა პირველი მსოფლიო ომი. სამშობლომონატრებულ ემიგრანტებს მგზავრობისას მრავალი ფათერაკი გადახდათ თავს, მაგრამ მოულოდნელად ლეონს სიხარულიანი დღეც გაუთენდა მგზავრობისას. თავისი რომანის ხელნაწერის ბედი გაურკვეველი იყო. შიშობდა, ამ არეულ დროში სულაც ხომ არ დაიკარგაო და, აი, ნორვეგიის სანავსადგურო ქალაქ ბერგენში თედო სახოკია ეწვევა მარჯორი ურრდროპის ძმას ოლივერს, რომელსაც გამოწერილი ჰქონია ქართული ჟურნალ-გაზეთები. გემზე მობრუნებულმა თედომ გაზეთები გადასცა ქიაჩელს. მწერალმა გადაშალა „სახალხო ფურცელი“ და თვალებს არ დაუჯერა: „ტარიელ გოლუა“ ამოიკითხა გაზეთის კაბადონზე–

საქართველოში დაბრუნებული ქიაჩელი იმავე 1916 წელს დაოჯახდა. ცოლად შერთო ვერა მოსეს ასული კაკაბაძე, ქალიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას, დაპატიმრებამდე უყვარდა და რომელიც ერთგულად უცდიდა ემიგრაციიდან სატრფოს დაბრუნებას.

1917-1921 წლები. ქიაჩელი – ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარე. ბოლშევიკების შემოსვლა. სატუსაღო. განთავისუფლება

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ლეო ქიაჩელი კვლავ არალეგალურ ცხოვრებას ეწევა. აქ მას ისევ ის ხელისუფლება დახვდა, რომელსაც ჯერ მოსკოვში და შემდეგ ჟენევაში გაექცა. დაჭერის შემთხვევაში კვლავ ის სასჯელი ელოდა, რაც 10 წლის წინ მიუსაჯეს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ კანონგარეშედ გამოცხადებულ მწერალს 1916-1917 წლებში შედარებით მშვიდად შეეძლო ეგრძნო თავი, რადგან იმპერია აგონიაში იყო

ჩავარდნილი. მძვინვარებდა მსოფლიო ომი, რომელშიც რუსეთის არმიები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. იგრძნობოდა, რომ მოახლოებული იყო რევოლუციის დღეები, ამიტომ ,,ერთი გავარდნილი კაცის'' სადევრად ხელისუფლებას აღარ ეცალა. მით უფრო, რომ ასეთი კაცებით საკმე იყო ქვეყანა.

ასე რომ, ლეო შენგელაია, მართალია, კვლავ სხვისი პასპორტით ცხოვრობს, მაგრამ მის მდგომარეობას გაუსაძლისი არ ეთქმის. 1917 წელს ცალკე წიგნად გამოდის რომანი ,,ტარიელ გოლუა'', რომელმაც, გარდა იმისა, რომ დიდი სახელი მოუტანა ავტორს, დასაწყისისათვის მატერიალურადაც უზრუნველყო მწერლის ახლადშექმნილი ოჯახი.

იმავე 1917 წელს ვაჟიშვილი შეეძინა. დაბოლოს, ამ წელსვე დამთავრდა ლეო შენგელაიას არალეგალურად ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები, სახელმწიფოსაგან დევნილი ხალხი, მათ შორის ლეო შენგელაიაც, ერთბაშად საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში მოექცნენ. ახლა უკვე საკუთარი გვარი და სახელი არათუ მისაჩქმალი და დასამალი იყო, არამედ სიამაყითაც შეიძლებოდა წარმოეთქვა, სიამაყით, რადგან ყოფილი ხელისუფლების დამხობაში მასაც ჰქონდა წვლილი შეტანილი. მაგრამ ბედი სხვაგვარად სჯიდა.

გავა რამდენიმე წელიწადი და ქიაჩელს მცირე ხნით, მაგრამ კიდევ ერთხელ მოუწევს დატუსაღება. ამჯერად მისი დამტყვევებელნი ყოფილი თანამებრძოლები გახდებიან.

თუმცა, მოვლენებს ცოტა წინ წავუსწარით. მივყვეთ მათ თანმიმდევრულად.

ჟენევაში ლეო შენგელაიას გამომგზავრების შემდეგ უამრავი პოლიტიკური ემიგრანტი დარჩა. მათ გაზეთებიდან შეიტყვეს, რომ რუსეთში რევოლუცია მომხდარა, რომ მეფე გადადგა, რომ ქვეყანას მართავს დროებითი მთავრობა. მთელი პოლიტიკური ემიგრაცია განუზომელმა სიხარულმა შეიპყრო, მაგრამ საზღვარგარეთ გადახვეწილ რევოლუციონერთა სიხარულს ჩრდილავდა ის გრძნობა, რომ ახალი ხელისუფალნი სახელმწიფო საარძლებს მათ გარეშე ინაწილებდნენ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ლენინი, როდესაც ფაქტის წინაშე აღმოჩნდა – რევოლუცია მომხდარია, იმპერიას მეფე აღარ ჰყავს, ახალი, დროებითი, მთავრობის ძირითად ბირთვს კი მისთვის საძულველი მენშევიკები ქმნიან. ლენინმა განიზრახა, რადაც უნდა დასჯდომოდა, რუსეთში შემოსულიყო, თანაც, რაც შეიძლებოდა ადრე, რათა საბოლოოდ არ დაეკარგა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსი.

მდგომარეობა კი მეტად რთული იყო.

ანტანტის სახელმწიფოები, რომელნიც პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მოკავშირედ გამოდიოდნენ, არ დაუშვებდნენ ემიგრანტი ბოლშევიკების რუსეთში შეშვებას, რადგან ბოლშევიკების დევიზი იყო — „ძირს ომი, გაუმარჯოს სამოქალაქო ომს“. ბოლშევიკებს გერმანიასთან რუსეთის მარცხი ხარებდათ, აქედან გამომდინარე, მათი გადასვლა რუსეთის საზღვრებზე მოწინააღმდეგე მხარის წისქვილზე დაასხამდა წყალს.

ლენინმა მშვენივრად იცოდა რა შექმნილი ვითარების შესახებ, გადაწყვიტა, რუსეთის მტრის, გერმანიის, ტერიტორიაზე გაევლით შეეღწია რუსეთში.

გერმანიის მთავრობა, თავის მხრივ, სიამოვნებით შეხვდა ლენინის წინადადებას. ლენინი და რამდენიმე ემიგრანტი ჟენევიდან გერმანიისაკენ გაემართნენ. პოლიტიკური ემიგრაციის უდიდესი ნაწილი ამ საქციელს განიხილავდა, როგორც რუსეთის ღალატს. ამიტომ გერმანიის გზით სამშობლოსაკენ წამოსული ლენინი, კრუპსკაია, მიხა ცხაკაია და რამდენიმე სხვა ბოლშევიკი მათ გამოისტუმრეს წყეულება-გინებით.

ემიგრანტები გერმანიის გავლით ფინეთში გადავიდნენ. აქ დროებით შეყოვნდნენ, რადგან მათ რუსეთში შემოსვლის შემთხვევაში, როგორც მოღალატეებს, დაპატიმრება ელოდათ...

ლენინმა პეტერბურგში თავის ბოლშევიკ ამხანაგებთან დეპეშები აფრინა. სტალინმა, რომელიც გადასახლებიდან თავადაც ახალი დაბრუნებული იყო პეტერბურგს, ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ ქალაქის პროლეტარიატი ბელადს ღირსეულად დახვედროდა. ლენინს რუსეთისაკენ უკვე გზა ხსნილი ჰქონდა და „ვკავშნოსანი“ რომანოვების ყოფილი სატახტოსაკენ დაიძრა.

ეს მოხდა 1917 წლის აპრილის თვეში.

რა კავშირი აქვს ამ მოვლენას ლეო ქიაჩელის ბიოგრაფიასთან?

ქვემოთ დავინახავთ, რომ, არათუ ქიაჩელის, მთელი საქართველოს ბედი, თურმე, მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული იმით, თუ რა მოხდებოდა რევოლუციის შემდეგდროინდელ რუსეთში და ვინ აღმოჩნდებოდა იქ სახელმწიფოს მმართველობის სათავეში.

რა ხდება ამ დროს საქართველოში?

საქართველო იმპერიის საუკუნოვანი ბატონობისაგან განთავისუფლდა. მთელი კავკასია მოულოდნელად თავისუფალი აღმოჩნდა. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ქმნიან ერთიან მმართველ ორგანოს, — ამიერკავკასიის სეიმს. სეიმში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა ქმნის. ამიერკავკასიის შეკოწიწებული ერთობა მალე იშლება და 1918 წლის 26 მაისს ცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ კვლავ სოციალ-

დემოკრატები (მენშევიკების ფრთა). ლეო ქიაჩელი კი 1903 წლიდან სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. თუ იგი ქუთაისის ციხიდან გაქცევის შემდეგ რევოლუციურ საქმიანობას განუდგა, ეს იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატები, მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც ეროვნულ საკითხს უარყოფდნენ. ბოლშევიკები ასეთებად დარჩნენ ბოლომდე. მენშევიკებმა კი 1918 წლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს წინამძღოლობა იკისრეს, ამიტომ ლეო შენგელაია მთლიანად მიემხრო ამ ფრაქციას და ხელახლა დაუბრუნდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. მის გვარს ვკითხულობთ იმ პირთა შორის, ვინც 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადების აქტს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლეო ქიაჩელი ზუგდიდში მოღვაწეობს. ზემოთ ვწერდი, რომ 1906 წელს აქ იგი ხელისუფალთ დაატუსაღეს. 1917 წლიდან კი, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, უკვე ამ ქალაქის პირველ ხელისუფლად ინიშნება. 1918-1921 წლებში იმავე თანამდებობაზე — ერობის თავმჯდომარედაა არჩევის წესით.

1918 წელს ლეო ქიაჩელს თბილისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ბინა მისცეს. აქ ჰყავდა მას ცოლ-შვილი. თავად კი სამეგრელოში ყოველდღიური, დაძაბული მოღვაწეობა უხდებოდა. მშფოთვარე წლები იყო. დასავლეთ საქართველოს კარს თურქეთი ჰყავდა მომდგარი. სამი წლის განმავლობაში ლეო შენგელაიას საკუთარი თავისთვის და შემოქმედებითი მუშაობისათვის აღარ ეცალა (ამ წლებში მან მხოლოდ ორიოდე ნოველა შექმნა), მთელ ენერგიას პრაქტიკულ საქმიანობას ახმარდა. იმ წლებში ასე იყო ერი და ბერი. საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება იქცა ქართველი ხალხის უპირველეს მიზნად.

და, აი, დადგა 1921 წლის 25 თებერვალი. საქართველოს ხელისუფლება კვლავ სოციალ-დემოკრატებმა იგდეს ხელს, მაგრამ ამჯერად ბოლშევიკურმა ფრაქციამ.

1917 წლის აპრილში რუსეთში დაბრუნებული ლენინის მეთაურობით ბოლშევიკებმა ოქტომბრის თვეში უკვე ხელისუფლების გადატრიალება მოახდინეს. ისინი საქართველოს განზე გადგომას იძულებით ეგუებოდნენ. როგორც კი საქართველოში შემოსვლის რეალური შესაძლებლობა მიეცათ, არ დაყოვნებულან. ეს დღე დაუდგათ 1921 წლის თებერვალში. დამარცხებული დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გადავიდა. 18 მარტს კი საფრანგეთისაკენ აიღო გეზი. ლეო შენგელაიამ ბათუმიდან გააცილა გემი „ჯოზეფ ფერენს მერლი“, რომელსაც ჟორდანიას უკვე ყოფილი მთავრობა მიჰყავდა ემიგრაციაში...

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი ლეო შენგელაია წესით ამ გეგმს უნდა გაჰყოლოდა, რადგან არ ჰქონდა არავითარი გარანტია იმისა, რომ ბოლშევიკები არ დახვრეტდნენ, მაგრამ ემიგრაციის სუსხი მწერალს გამოცდილი ჰქონდა. უცხოობაში თუნდაც სიამეს მან მშობელ ქვეყანაში სიკვდილი არჩია. დიახ, საქართველოში დარჩენა იმჟამად მისთვის სიკვდილის რისკზე წასვლას ნიშნავდა. და მაინც დარჩა...

იმავე დღეს ზუგდიდის ერობის ყოფილი თავმჯდომარე ზუგდიდის ციხეში ჩაგდეს...

მაგრამ მოხდა სასწაული: ქალაქის ახალი ხელისუფლების, ზუგდიდის რევოლუციური კომიტეტის (რევკომი) თავმჯდომარედ დაინიშნა სწორედ ის პიროვნება, რომელიც შენგელაიამ 1919 წელს ამავე ციხიდან გაათავისუფლა – გრიგოლ შამილის ძე როგავა.

სანთელ-საკმეველმა ამჯერადაც თავისი გზა არ დაკარგა.

აი, ამ როგავას ბრძანებით იმავე 1921 წლის 30 მარტს ლეო შენგელაიას სატუსაღოს კარი გაუღეს და თავისუფლება აჩუქეს.

ამ დროისათვის ლეო ქიაჩელი, ჯერ ისევ ახალგაზრდა, 37 წლის კაცი იყო. მან კიდევ 42 წელი იცოცხლა ამქვეყნად (გარდაიცვალა 1963 წელს, ქრისტეშობა დღეს). მაგრამ მისი ცხოვრების ეს პერიოდი, ისე, როგორც საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე სხვა მწერლებისა, უკვე აღარ არის ისე მრავალფეროვანი საზოგადოებრივი აქტივობის თვალსაზრისით, როგორც მანამდე იყო.

ლეო ქიაჩელი, ისე როგორც რევოლუციამდელ მწერალთა დიდი ნაწილი, მთლიანად ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მხოლოდ სალიტერატურო შრომით იყო დაკავებული.

შემთხვევითი არ არის, რომ თავისი ცხოვრების მიმწუხრში შედგენილი გეგმა-კონსპექტი, რომელიც მემუარებს უნდა დასდებოდა საფუძვლად, მთავრდება ქვეთავით „საზღვარგარეთ წასვლა".

ამ ქვეთავით მთავრდება იმის გამო, რომ მწერალი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, ანუ დამოუკიდებელ საქართველოში თავისი მოღვაწეობის შესახებ ვერაფერს დაწერდა... ხოლო საბჭოური ეპოქის წლები საერთოდ არ გაითვალისწინა თავის მომავალ მოგონებათა წიგნისათვის, რადგან ამ წლებზეც რთული იყო წერა. ან უნდა ეთქვა ის, რასაც არ ფიქრობდა, ანდა დადუმებულიყო. მან უკანასკნელი არჩია. სწორედ ამიტომ მოგონებათა წიგნის (რომლის დაწერაც, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო) გეგმიდანაც კი ამოვარდნილია მწერლის ცხოვრების მეორე, ხანგრძლივი, პერიოდი.

ლეო ქიაჩელი, როგორც ყოფილი მენშევიკი, ცხადია, მუდამ იმის შიშში

იქნებოდა, მისთვის წარსული არ გაეხსენებინათ. ამ შიშით იყო დაზაფრული ახალ დროში ძველი ინტელიგენცია და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით ხარკს იღებდა. ხელისუფლებამ ზოგისაგან მიიღო ასეთი ხარკი, ზოგისგან კი არა_

ამ მხრივ ლეო ქიაჩელს გაუმართლა. საკოლმეურნეო მოძრაობაზე დაწერილი მისი რომანი „გვადი ბიგვა“ ერთხმად იქნა აღიარებული და უამრავ ენაზე თარგმნეს. საბედნიეროდ, იმ წლებში ეს რომანი, ისე, როგორც „ჰაკი აძბა“ და მწერლის სხვა თხზულებები, იდეურად მთლად ზუსტად ვერ იქნა წაკითხული_

„გვადი ბიგვას“ ფინალი, ისე როგორც „ჰაკი აძბასი“, სწორედ იმას უარყოფს, რასაც ახალი დროის იდეოლოგები ქადაგებდნენ — სისხლის ღვრას კლასობრივი თეორიის საფუძველზე. ამას მწერალი დიდი სიფრთხილით აკეთებს, ამიტომ იმდროინდელ კრიტიკას შეუმჩნეველი დარჩა.

თუ პირად ცხოვრებაში ლეო ქიაჩელს არ გაუმართლა ბედმა (მას ერთადერთი ვაჟიშვილი დაეღუპა მეორე მსოფლიო ომში), მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა სვებედნიერი აღმოჩნდა. მას არც მკითხველის ყურადღება მოჰკლებია და არც უმაღლესი ჯილდოები.

რაკი მწერლის შემოქმედებითი ბედი ვახსენე, აქვე მინდა ერთ გარემოებაზეც მივაქციო თქვენი ყურადღება:

აქამდე მწერალს ასე მოვიხსენიებდი – შენგელაია ან ქიაჩელი. საქმე ისაა, რომ ქიაჩელი მწერლის ფსევდონიმია. ამ ფსევდონიმს მან თავისი მწერლური ბედი დაუკავშირა_

შენგელაიების გვარს თავისი მფარველი ხატი ჰყოლია — ქიაჩის ხატი. 1912 წელს ძმისადმი გამოგზავნილ წერილში ლეო წერს: ჩვენი ძირი ხატის, ქიაჩის, სახელი დავითქვიო.

ფართო საზოგადოებაში კი თავისი ფსევდონიმის წარმომავლობაზე მწერალი დუმდა. თუ რატომ, ამის პასუხსაც მისივე პირადი წერილიდან ვეცნობოდით (ეს წერილები გამოაქვეყნა მწერლის შვილიშვილმა ნანა შენგელაიამ).

ახალგაზრდა ქიაჩელი ემიგრაციიდან ძმას, აკაკის სწერს: „ბიჭიას უთხარი (იგულისხმება მწერლის ბიძა ბიჭია ზურაბის ძე შენგელაია), ჩემს მაგიერ მაინცდამაინც ნუ შეეშინდება ნურაფრის და არაფერი უშავრს. როცა მოიცლის, ერთი შაურიანი სანთელი იყიდოს და ჩემ ძირ ხატს დაუდგას და დაწვას_ ქიაჩი ხშირად გამახსენდება და ვფიქრობ, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ცხოვრებაში. მე მგონი, რომ ის მე მწყალობს, რადგანაც მე ვფიქრობ და მინდა, ვსაჭიროებ, მესაჭიროება ისეთი ძალა, რომელიც მწყალობს,

თორემ მარტოხელა ობოლს მიძნელდება ცხოვრება_ ეს არავის უთხრა, ბიჭიმაც არავის არ უთხრას, რადგანაც, რაც ნამდვილი გრძნობით კეთდება, ყველაფერი წყნარად, დაფარულად კეთდება. ვინმემ და ბევრმა თუ გაიგო, მერე აღარა აქვს შნო და ლაზათი. მაგ. თუ კაცი შეყვარებულების კოცნას უყურებს — იმას აღარა აქვს მაშინ არაფერი ანდამატები. მე, პირადად, მოგეხსენება, არც ღმერთი მწამს და არც ეშმაკი, მაგრამ მაინც მინდა რატომღაც, ჩემი ძირი ხატი მწყალობდეს. ძალიან მინდა_ სულის მოთხოვნაა".

როცა მკითხველი ლეო ქიაჩელის მშვენიერ სამყაროს გაეცნობა, როცა მის რომანებსა და ნოველებს წაიკითხავს, მათ შორის გამორჩეულად მშვენიერ „ჰაკი აძბასა" და „თაკადის ქალ მაიას", სრული რწმენით იტყვის: როგორც შემოქმედს, მართლაც სწყალობდა არსთა გამრიგე ქიაჩის საგვარეულო ძირი ხატის სახით ლეო შენგელაია-ქიაჩელს.

«ჰაკი აძბა»

ფაქტი და მხატვრული სინამდვილე

„ჰაკი აძბას“ დასაწერად ლეო ქიაჩელისათვის ერთგვარ შემოქმედებით იმპულსად იქცა სინამდვილეში მომხდარი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წელს.

ასე რომ, სიუჟეტს, რომელსაც მწერალი გადმოგვცემს, ისე, როგორც ჭეშმარიტ პროზაულ თხზულებათა უმრავლესობას, თავისი დოკუმენტური წყარო მოეპოვება.

მაგრამ „ჰაკი აძბას“ მხატვრული სინამდვილე სრულიად განსხვავებულია ცხოვრებისეული სინამდვილისაგან.

ნაწარმოების მიზანდასახულობის უკეთ შესაცნობად უმნიშვნელო არ იქნება შედარება იმისა, თუ რა მოხდა რეალურად და მომხდარი ფაქტებიდან რაზე გადააქვს აქცენტი მწერალს ან რა შეთხზა, რა გამოიგონა, რა შეიტანა ნაწარმოებში, როგორც საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი.

რეალური ფაქტი ასეთი გახლდათ: 1918 წლის თებერვალში, უშედეგო დიპლომატიური მისიის შემდეგ, თურქეთიდან უკან ბრუნდებოდა ორი ქართველი პატრიოტი: პავლე ინგოროყვა და რევაზ გაბაშვილი. ისინი მოთავსდნენ გემში „კაროლ-კარლ“. ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით რევაზ გაბაშვილი წერს: „უკან მგზავრობა — ხუთი საათი — უფრო სახიფათო და მნიშვნელოვანი გამოდგა. გემზე დაგვხვდა ერთი „ასეული“ ქართული ჯარის, ოფიცერ დავით მიქელაძეს მეთაურობით და ბევრი საინტერესო ამბავი გავიგეთ და მოხდა. თურმე ეს გემია, რომლის „გაბოლშევიკებულ“ მეზღვაურებს (მატროსებს) გაუცარცვიათ შავი ზღვის სანაპიროები, აქა-იქ დაუხოციათ „კონტრრევოლუციონერები“ და მოუკლავთ ემუხვარი — გემის ორკანის ორთქლში მოხარშვით. სამხედრო გემი მართლაც დატვირთული იყო ხალიჩებით და უადგილო-ადგილას დაგროვილ ტომრებით, საცვეთი შაქრით, ფქვილით და სხვ. და სხვა. ოფიცრები (რუსები და რუმინელები: ეს გემი რუსებმა შეიძინეს

რუმინელებისაგან, ომის დასაწყისში) ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ მეზღვაურნი, რასაც უნდა, იმას უშვრებოდნენ და, საითაც უნდოდათ, თავს უკრავდნენ. განსაკუთრებით დავით მიქელაძის თავდაჭერილობას უნდა მიეწეროს, რომ „ხუთი საათის“ განმავლობაში ათჯერ შეტაკება და სისხლის ღვრა თუ არ მოხდა მატროსებსა და ჯარისკაცებს შორის, ან საერთო ჟლეტაც „ორ ბანკს“ შორის. გახულიგანებული, მთვრალი რუსის მატროსები წამ და უწუმ შემოგვივარდებოდნენ იმ ზალაში, საცა მიქელაძეს დაესხა თავისი ასეული სკამებზედ („სკამეიკა“) და არც განძრევის, არც ხმის ამოღების ნებას არ აძლევდა, როცა რომელიმე რუსი შემოგვივარდებოდა, იწყებდა პროვოკატორულად უშვერ ლანძღვასა, მუქარას და „კონტრ-რევოლუციონერის“ ძახილს. მართლა დიდი მოთმენა იყო საჭირო და მეც კი სულ გული ყელში მებჯინებოდა, არ ამომელო რევოლვერი და ძაღლივით არ დამეგორებინა მორიგი არამზადა... მაგრამ მიქელაძის მჭრელი თვალი, ალბათ ხათრიც და სამხედრო დისციპლინის შეგნება, — თოფებით შეიარაღებულ ჯარისკაცებსაც და მეც — ხმაგაკმენდილად და გაუნძრევლად გვტოვებდა. ვინ ვის აჯობებდა, მგონი, ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რადგან ჩვენ ვიყავით ასნი, მატროსები 250, მათი უფროსებიც ხომ ჩვენს მხარეზედ იყვნენ, მაგრამ ჩემ რჩევაზედ, — აგველაგმა მათი თაყხებოდა — დავით მიქელაძე ჯერ გადაკვრით მეუბნებოდა, —„არა, სხვანაირად უნდა მოვაწყოთ“-ო და მერე გამომელავნა, რომ გემის ოფიცრებთან შეთანხმებით, ბათუმში ჩავალთ თუ არა, — მატროსებს განიარაღებენ და „საქართველოს ჩააბარებენ ჯავშნოსან გემს“-აო.

—ან შენ, დავით, რა იცოდი, ან მე, რეზომ, რა ვიცოდი.

რომ ეს ვარდი... ოცნებისა... ისე მალე დასჭკნებოდა?!“

ზღვა იყო წყნარი, გემის ხალხი კი მშფოთვარე, ჩვენ - სულ-განაბულნი: აქედან წასვლას არა ჰგვანდა, როცა ზღვა შფოთავდა, ნავის ხალხი კი აუღელვებლად ვეკვროდით ფიცრებს.

წყნარად და გედივითი შეცურდა „კაროლ-კარლ“-ი ბათუმის ყურეში და გაჩერდა. ჰაერიც კი თითქო მოეცვა რალაც მოლოდინის სიჩუმეს...

მაგრამ დავით მიქელაძის, სოსო გოგოლაშვილის (და, მგონი, კიდევ ერთი საზღვაო ოფიცრის) მისია, — ნოე ჟორდანიასთან, უნაყოფო დარჩა — „მომზადებულ შეთქმულობაზედ“ დასტური არ მისცა.

ღვთის მადლით, იმ ღამეს, სრულიად მოულოდნელად, რალაცა სხვა საქმეზედ ჩამოვიდა ნოე რამიშვილი და, როგორც კი გაეგო საქმის მდგომარეობა, ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა სადღაც გვარდიელები და განთიადისას, შორიდან ვუყურებდით, როგორ თოფის გაუსროლელად ქართველებმა ჩაიგდეს ხელში პირველად და პირველი ჩვენი ჯავშნიანი გემი.

გამოიყვანეს თვალ-მოუფშენტელი, პირდაუბანელი 250 მატროსი და ბათომის ციხეში უკრეს თავი. მომავალ საქართველოს გაუჩნდა სამხედრო ფლოტი. თუ ეგეგეკორმა თავისი დეპეშით ბათუმი უპატრონო გახადა, – ვკაეშნოსანის დაპატრონებით ნ.რამიშვილმა (დმიქელაძისა, გოგოლაშვილისა და რ.გაბაშვილის წყალობით) ზღვისპირეთს პატრონი გაუჩინა... თითქო.

ჩვენსა და... გემის ოფიცერთა სიხარულსა და კმაყოფილებას... საზღვარი არა ჰქონდა, რომ იტყვიან, და, ერთგულებას გვეფიცებოდნენ, რაკი ასეთ „ხიფათსა, სირცხვილსა და სიკვდილს გადაგვარჩინეთ“-ო.

„აქა ამბავი ფლოტის გაპარვისა“

მაგრამ, მეორე დღიდანვე ისეთი დაუჯერებელი ამბები დატრიალდა, ადამიანს საგიჟეთში ნახული სიზმარი ეგონება: მთელი ბათუმი აღელვებული და გახარებული ლაპარაკობს ახალ ამბებზედ. მე მივდივარ ჩემ სასტუმროში და, სრულიად შემთხვევით შემოსწრებულ ადამიანს მიწვევენ იქვე „საზღვაო თათბირზე“. შევდივარ. თავმჯდომარედ ბრძანდება გიზო (?) ანჯაფარიძე, იქვეა სოსო გოგოლაშვილი და კიდევ რამდენიმე ქართველი; – არც ერთს წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა არის სამხედრო გემი, ან საზოგადოდ საზღვაო საქმე. მსჯელობაა, თუ როგორ უპატრონოთ „ფლოტს“. ვიღაცამ სთქვა: „ბათუმში არის „ადმირალი“ ჭავჭავაძე. დაუძახოთ, ის გვეტყვის, და, შეიძლება ჩაბაროს კიდეც“-აო.

ალბათ იმავე სასტუმროში აღმოჩნდა, რადგან ხუთი წუთიც არ გასულა, მხედრული ბაკუნით შემოვიდა დაბალი ტანის შავ-შავი კაცი, საზღვაო გარსით (ფორმაში) გამოწყობილი, რამდენიმე ჯვრით და ოქროს ბუზმენტებით. პირველად ვხედავდი, მაგრამ ნამდვილ „ზღვის მგელს“ მოგაგონებდათ. მხედრულად გამოგვეჭიმა, საფეთქელზე ხელი მიიდო და მოგვმართა: „რას მიბრძანებთ“-ო?

გიზო ანჯაფარიძემ აუხსნა მდგომარეობა: ჩავიგდეთ ხელში ერთი ჯავშნოსანი და ორი გამანადგურებელი; ოფიცრები ჩვენ მხარეზე არიან, მაგრამ 250 მატროსი დაჭერილია, აღარავინა გვყავს და როგორ მოვიქცეთ, „ფლოტი“ ვის უნდა ჩავაბაროთ? თქვენ ხომ არ იკისრებთ?“-ო.

ჭავჭავაძემ ისეთივე მხედრული სალამით და კილოთი დაიწყო: „ბატონებო, მე ვიცნობ მაგ ხალხს, ეგენი მეზღვაურებად აღარ ვარგანან, არც სანდონი არიან, ოციოდე მატროსი, ნამდვილი კაცისმკვლელნი, ყაჩაღები და მცარცველნი – უნდა გავასამართლოთ და დავხვრიტოთ; სამოციოდე, –

ნაკლები დამნაშაული — ციხეში უნდა დავტოვოთ, დანარჩენნი უბრალონი არიან, უნდა ჩავსხათ ფულუგებში და რუსეთში გავისტუმროთ; მეზღვაურებს ვიშოვით და ფლოტს ჯერჯერობით მე და გემზე დარჩენილი ოფიცრები გაუძღვებით"-ო.

არც კი გაათავებინა სიტყვა, გიზო ანჯაფარიძემ, ყვირილით:

— რას ლაპარაკობთ, როგორ თუ დავხვრიტოთ?! ციხეში დავტოვოთ?! თქვენ ძველი დრო ხომ არ გგონიათ?! ეგენი ჩვენი ამხანაგები არიან და უნდა გაუანთავისუფლოთ—

. ამირბარ ჭავჭავაძემ არაფერი უპასუხა, ისევ მხედრულად „ჩესტი" მოგვცა, გატრიალდა და წავიდა. დავრჩით უამირბაროდ.

მაშინ გიზომ — არ გაიცინოთ! — მიჰმართა სოსო გოგოლაშვილს:

— სოსო, შენ უნდა ჩაიბარო ფლოტი-ო.

— რას ამბობ, კაცო, ნავში ჯდომა არ ვიცი და ფლოტი როგორ უნდა ჩავიბარო?-ო.

სხდომა დაიშალა. მე წამოვედი და ვფიქრობდი: თურმე იმისთანა სოციალისტებიც არსებობენ, რომელნიც მორიდებულად სცნობენ, რომ— რამე „არ იციან" — იმათ ხომ ყველაფერი იციან და ყველაფერი შეუძლიათ და— ამირბარობა რა ისეთი ძნელი საქმეა?-

ჯერ კიდევ ბათუმში ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორი მხედრული რიგით დადიოდნენ გამოშვებული „ამხანაგები" — რუსის კრიმინალი მატროსები და დედას იგინებოდნენ, მუშტების მოღერებით: „დაგვაცათ, გაჩვენებთ სერსა"-ო. და უჩვენებიათ კიდეცაც: რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გემზე დასხმულებს, ცოტა ხნის შემდეგ აიძულებინათ თავიანთი ოფიცრები და ძალდატანებით რუსეთში წაეყვანათ ჩვენი (?) ფლოტი, რაც უკვე თბილისში გაიგეთ. აი, როგორ შევიძინეთ და დავკარგეთ ფლოტი".

ეს გახლავთ ის ამბავი, რომელიც,როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „ჰაკი ამბას" მხატვრული ქსოვილისათვის მასალად გამოიყენა მწერალმა.

რა ირკვევა რევაზ გაბაშვილის მოგონების მიხედვით?

1) გემის „კაროლ — კარლ" გაბოლშევიკებული მეზღვაურები სისხლმოწყურებულ ბანდად ქცეულან. შეურაცხყოფას აყენებენ ოფიცრებს და გემზე მოხვედრილ რიგით ჯარისკაცებს, ეძებენ საბაბს, რათა ყველანი ერთიანად ამოხოცონ. გემის ონკანის ორთქლში მოხარშვით მოუკლავთ კიდეც ვინმე ემუხვარი.

2) გემი „კაროლ — კარლ" თავისი გაბოლშევიკებული „მატროსებიანად" ხელთ იგდეს ქართველებმა ოფიცერ დავით მიქელაძის მოხერხებულობისა და ვაჟკაცობის წყალობით, „მატროსები" კი დაატყვევეს.

3) ქართველ ხელისუფალთა, სოციალ-დემოკრატთა იდეური „სიმტკიცის", ანუ სიბეცის გამო, საქართველომ დაკარგა ბედის ნაწყალობევი ჯავშნოსანი. სოციალ-დემოკრატებმა თავისი კლასობრივი თეორიის საწყაოთი ბოლშევიკ მეზღვაურთა ბანდის წევრები ამხანაგებად მიიჩნიეს, სამტომროდან გაათავისუფლეს და ჯავშნოსანიც „აორთქლდა" თავის ეკიპაჟიანად...

ყველაფრიდან ჩანს ორი რამ: — ქართველ ხელისუფალთა თავმოუბმელობა და გაბოლშევიკებულ მეზღვაურთა ავკაცობა.

ამ მოგონებას რევაზ გაბაშვილი ემიგრაციაში წერდა. მას ცენზორის შიში არ ჰქონდა და, ცხადია, როგორც თვითმხილველი, ყოველივეს აღწერს ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა.

ლეო ქიაჩელი კი ამ მხრივ არ იყო თავისუფალი. მან „ჰაკი აძბა" დაწერა 1933 წელს. ამ დროისათვის კი, ბოლშევიკების უკვე მომძლავრებული დიქტატურის პერიოდში, მწერალს ევალებოდა, ბოლშევიზმი გმირული შარავანდედით შეემოსა.

ლეო ქიაჩელი, მართალია, ამ გზას არ დაადგა, მაგრამ იგი ვერც იმას დაწერდა, თუ როგორ დამსახურებულად დაატყვევეს გემის გათავხედებული მატროსები.

იმ დროისათვის ამ თემაზე პატიოსნად წერა ბეწვის ხიდზე გასვლას ნიშნავდა.

მწერალმა სწორედ ეს გზა განვლო.

ამასთან იგი მოვლენათა აღწერისას ოსტატურად ახერხებს საკუთარი პოზიციის შენიღბვას. სწორედ ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ „ჰაკი აძბაში" ლიტერატურისმცოდნეთა დიდმა ნაწილმა ბოლშევიზმის აპოლოგია დაინახა. მეორეს მხრივ კი სრულიად საწინააღმდეგო დასკვნები შემოგვთავაზეს იპოლიტე ვართაგავამ და აკაკი ბაქრაძემ.

ფლობერი ერთგან წერს: მწერალი ისე უნდა იყოს თავის ნაწარმოებში, როგორც ღმერთი - საზოგადოებაში. ყველგან უნდა იგრძნობოდეს და არსად არ ჩანდესო.

იგივე შეიძლება ვთქვათ „ჰაკი აძბას" მიხედვით ლეო ქიაჩელის პოზიციასთან დაკავშირებით. მწერლის ტენდენცია ნაწარმოებში არსად ჩანს, თუმცა დაკვირვებული თვალისათვის ყველგან, ყოველ დეტალში იგრძნობა...

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გემს „კაროლ-კარლ" მწერალმა სახელი გამოუცვალა და რევოლუციონერთა ლეგენდარული გმირის „შმიდტის" სახელით მონათლა (რევოლუციონერთა მხარეზე გადასული ოფიცერი შმიდტი, რომელიც სევასტოპოლში დახვრიტეს, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ „საუბრების" შესავალ ნაწილში).

ნაწარმოების სქემატური სიუჟეტი ასეთია: ქალაქ სოხუმში თებერვლის 27-ს, დილაადრიან, მოულოდნელად ხმა გავარდა: ბოლშევიკების კრეისერი „შიდტი“ ქალაქის ნავსადგურში შემოსვლას აპირებსო.

წითელ კრეისერს მეთაურად „მრისხანედ“ წოდებული ბოცმანი კუზმა კლავა ახლავსო.

მთელი ქალაქი უმალვე გამოიცვალა. ყველა დაზაფრული და შეშინებული ელოდება ბოლშევიკების გემის გამოჩენას.

გადაწყდა, ბოლშევიკებს მოყვრულად დახვედროდნენ, რათა ქალაქი ეხსნათ მოსალოდნელი საშიშროებისაგან. ასეც მოიქცნენ.

სოხუმში მოიწვიეს მეზღვაურები და საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, როგორც კლასობრივ ძმებს...

მაგრამ მოულოდნელად ქალაქს უბედურება დაატყდა თავს: სოხუმელმა თეთრგვარდიელმა ოფიცერმა უკუში ემხამ თავდაცვის დროს მოკლა „შიდტის“ მეზღვაური ვასილ ხრიტანიუკი და კიდევ ერთი დაჭრა.

გაბოროტებულმა კუზმა მრისხანემ სოხუმელებს შემოუთვალა: თუ ერთ საათში მკვლელს არ ჩამაბარებთ, კრეისერის ეკიპაჟი ისე მოიქცევა, როგორც ამას საჭიროდ ჩავთვლითო.

დამფრთხალი მოქალაქენი ქუჩებს მოედნენ, რათა მეზღვაურის მკვლელი შეეპყროთ, გემის კაპიტნისათვის მიეგვარათ და ამით თავი გადაერჩინათ.

აიყვანეს მძევლები, რის შემდეგაც უკუში ემხა იძულებული გახდა, ნებით ჩაბარებოდა.

უკუშის ძიძიშვილმა ჰაკი აძბამ გადაწყვიტა, დანაშაული საკუთარ თავზე აეღო, თავი გაეწირა და ეხსნა უკუში.

კუზმა მრისხანეს თეთრგვარდიელი ოფიცერი და მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა ერთად მიჰგვარეს.

გემის კაპიტანმა გაარკვია, თუ ვინ იყო ნამდვილი მკვლელი. უკუშ ემხასთვის ჰაკის თავგანწირვა მიიჩნია გლეხის მონური ფსიქიკის გამოვლინებად და შეეცადა, თავადის ერთგული ყმისთვის თვალები აეხილა, მასში კლასობრივი შეგნება გაეღვიძებინა... თავის მხრივ კი ჰაკი აძბას ერთადერთი მიზანი აქვს — როგორმე იხსნას თანამოქალაქეთა და მეზღვაურთა მიერ სასიკვდილოდ განწირული უკუშ ემხა.

ამიტომ მორჩილად ისმენს კუზმა მრისხანეს „გაკვეთილებს“ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ეპირფერება მას.

უშედეგო აღმოჩნდა როგორც ბოლშევიკ კუზმას „გაკვეთილები“, ისე ჰაკი აძბას მცდელობა – გადაერჩინა უკუშ ემხა დახვრეტისაგან.

არც კუზმა მრისხანეს მოულბა გული და ვერც ჰაკი აძბამ გაიგო ამ

ხალხის „კლასობრივი თეორია“–

თავადი უჯუშ ემხა დახვრიტეს, რის შემდეგაც მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა ზღვის აქაფებულ ტალღებში გადაეშვა.

„სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა“ - ასეთი დასკვნა გააკეთა ბოლშევიკმა კუზმა მრისხანემ. ამით მთავრდება ნაწარმოები.

როგორც ვხედავთ, მზა მასალიდან, ცხოვრებისეული სინამდვილიდან მწერალმა აიღო არა თვით ამბავი, არამედ არსი რეალურად მომხდარი ფაქტისა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს?

როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების მიერ ადამიანები დახარისხებულნი არიან კლასობრივი თეორიის მიხედვით. ეს კარგად ჩანს როგორც ნაწარმოებში, ისე მის პირველწყაროში.

იმავდროულად, კლასობრივი ინტერესებით ბოლშევიკები ოსტატურად ნიღბავენ მძარცველურსა და დამპყრობლურ ჟინს, ხოლო მენშევიკები კლასობრივ ძმობას უცხადებენ მომხდურს, სინამდვილეში ამ „ძმობაში“ მონური მორჩილება იგულისხმება.

ბოლშევიკებმა მოკლეს ვინმე ემუხვარი, ნაწარმოების მიხედვით თავადი უჯუშ ემხა, როგორც კლასობრივი მტერი. მენშევიკებმა, თავის მხრივ, ასევე გაწირეს უჯუში, როცა იგი თავის ბოლშევიკ „ძმებს“ გადასცეს. თუმცა ამ „ძმური“ თანადგომის აქტში მათი სისუსტე და უსუსურობაა სინამდვილეში ნაგულისხმევი.

როდესაც კუზმა მრისხანე თავისი მეზღვაურის სიკვდილს შეიტყობს, მას „დაავიწყდება“, სოხუმში მუშები და გლეხებიც რომ ცხოვრობენ, და მთელ ქალაქს დაემუქრება. აქედან ჩანს, რომ მისთვის კლასობრივი ძმობის თეორია თვითმიზანი კი არ არის, არამედ, სწორედაც, ნიღაბია დაპყრობისათვის, ძარცვისათვის. ასეთივე სურათი ჩანს მოთხრობის პირველწყაროში. „კაროლ – კარლის“ გაბოლშევიკებული მეზღვაურები შეურაცხყოფენ არა მხოლოდ გემის ოფიცრებს, არამედ მათისავით რიგით ჯარისკაცებსაც. მზად არიან ყველას ერთიანად გაუსწორონ ანგარიში.

ასე რომ, არსი, საერთო პათოსი რეალური და მხატვრული სინამდვილისა თანხვდენილია, მწერალი მხოლოდ სიუჟეტს ცვლის, მაგრამ, იმავდროულად, „ჰაკი აძბაში“ ისეთი მხატვრული გამონაგონიც, ისეთი სიტუაციაც შეაქვს მწერალს, რომელიც მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია და სწორედ ამ გამონაგონით სრულიად ახლებური კუთხით ნათდება თხზულების მიზანდასახულობა. ვგულისხმობ ჰაკი აძბასადმი გემის მრისხანე კაპიტნის, კუზმა კილგას, დამოკიდებულების ჩვენებას.

ნაწარმოების ფინალში მთელი სიმძაფრითაა წარმოჩენილი ორი განსხვავებული ტიპი, ორი ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი.

კუზმა მრისხანესა და ჰაკი აძბას სულიერი რაობის შეპირისპირების ფონზე თვალნათლივაა დასურათხატებული მრწამსი — ადამიანებს ვერას არგებთ კლასობრივი ერთობა, როცა განსხვავებული ზნისა და ხასიათის, განსხვავებული გენის და ჯიშის, განსხვავებული ადათებისა და ტრადიციების მატარებელნი არიან.

ამ საკითხის შემოტანა ნაწარმოებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მწერლისაგან დიდ გაბედულებასაც ითხოვს და, აი, რატომ: ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს, როდესაც რუსეთმა საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტა, ამოეფარა „რჯულის ერთობის“ ნიღაბს.

რუსეთიც და საქართველოც ქრისტიანული სახელმწიფოებია, ქრისტიანი კი ქრისტიანის ძმაა. ძმობის ამ მაღლა აწეული დროშით მოდის დიდი რუსეთი პატარა საქართველოს დასაპყრობად.

ბევრმა ვერ იგრძნო მაშინ, რომ ქრისტიანული რელიგია, რელიგია მართლა ძმობისა და კაცთმოყვარეობისა, ცარიზმის მიერ, ისე როგორც თავის დროზე ეს ბიზანტიელებმა გააკეთეს, მომხდურთა ხელში დამპყრობლურ იდეოლოგიად იქცა.

ეს გაცნობიერებული აქვს ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილს და პოემაში „ბედი ქართლისა“ იგი სოლომონ ლიონიძეს ათქმევინებს:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმპერიისაგან ჩამოცილებულ საქართველოს რუსეთი ხელმეორედ უპირებდა დაპყრობას. იმ დროისათვის ქრისტიანული რელიგიის თავიანთ სამსახურში ჩაყენება აღარ ეგებოდა, რადგან მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც რელიგიას საერთოდ უარყოფდნენ. ამიტომ საჭირო გახდა ახალი დამპყრობლური იდეოლოგიის ფარზე აზიდვა. ასეთად კი უეჭველ საშუალებას წარმოადგენდა კლასობრივი თეორია, რომლის მიხედვითაც ჰაკი აძბა, როგორც გლეხთა კლასის წარმომადგენელი, უყოყმანოდ უნდა დამდგარიყო რუსი ბოლშევიკების, როგორც „ნამდვილი ძმების“ მხარეს და გაეწირა საკუთარი ძუძუმტე უჯიშო ემხა, როგორც თავადი და „ექსპლუატატორთა კასტის“ სისხლი სისხლთაგანი.

ის, რაც ბუნებრივი და ადამიანურია იდეოლოგიურად „მომზადებული“ კუზმა რუსისათვის, არაბუნებრივი და არაადამიანურია „ჩამორჩენილი“ და იდეოლოგიურად მოუმზადებელი ჰაკისათვის.

მწერალი არ გამოკვეთს საკუთარ პოზიციას, თუ ვის მხარეზეა იგი, მაგრამ თხზულების წაკითხვის შემდეგ მკითხველი ერთადერთი რწმენით დახურავს წიგნს:

ამქვეყნად ყოველგვარ იდეოლოგიაზე, ყოველგვარ თეორიაზე მაღლა ძმობის სიწმინდე დგას. რომ სახელმწიფოს კლასობრივი ერთობის ყბადაღებული თეორია „არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს".

აი, ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება „ჰაკი აძბადან", რასაც მწერალი იმ დროისათვის პირდაპირ და გამოკვეთილად ვერ იტყოდა, რის გამოც მას მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად უფრო დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

კაცმა რომ თქვას, ამით ნაწარმოებმა მოიგო კიდეც. ზოგი ჭირი მარგებელიაო — უთქვამთ. რიგ შემთხვევაში იდეოლოგიური დაწოლა მწერლებს მეტაფორული აზროვნების სილრმისაკენ უბიძგებდა.

ე.წ. „სოციალისტური რეალიზმის" ეპოქაში მხოლოდ „ჰაკი აძბა" რომ დაწერილიყო, ამ ნაწარმოების მიხედვითაც შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ გამორჩეული ნიჭის მქონე მწერალს მაშინაც შეუძლია თქვას სათქმელი, თავისი ნების შესაბამისად, როცა თავისუფლად აზროვნების უფლება არა აქვს, როდესაც შემოქმედს დამოკლეს მახვილივით ცხვირწინ აქვს ჩამოკიდებული ხელისუფალთა დადგენილებები და დეკლარაციები.

ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხშირად მწერლის სიყალბეს სიტუაციის კარნახითა და იძულებით ხსნიან.

რა თქმა უნდა, ინკვიზიციის ეპოქაში, თუნდაც უნიჭიერესი მწერლები იძულებულნი იყვნენ ხარკი გაეღოთ და გაავებული ძალლისთვის ლუკმა მიეგდოთ, მაგრამ მწერლობა იმით არის მძლავრი იარაღი უზნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ აზროვნების მეტაფორული ხერხით ჭეშმარიტი მწერალი მაინც ახერხებს იმის თქმას და ასახვას, რასაც ჩვეულებრივ შემთხვევაში საჯაროდ ვერ გააცხადებდა.

ახლა კი თანმიმდევრულად განვიხილოთ „ჰაკი აძბას" მხატვრული სამყარო.

ძუძუმტეობა და „კორმილიცობა"

„ჰაკი აძბა" ორპლანიანი ნაწარმოებია. მასში, ერთი მხრივ, დაპირისპირებულია ორი განსხვავებული ზნე და ხასიათი, განსხვავებული ეროვნული ნიშნის მიხედვით (ჰაკი აძბა და კუზმა მრისხანე).

მეორე მხრივ, ნაჩვენებია ასევე ორი საწინააღმდეგო ზნე და ხასიათი,

რომელსაც საფუძვლად უდევს არა ეროვნული ფსიქიკის სხვადასხვაობა, არამედ სულ სხვა რამ. კერძოდ, ტრადიციისადმი ერთგულება და ტრადიციის უარყოფა, ეროვნული ფესვის შეგრძნება და ამ უკანასკნელზე ნებაყოფლობით უარის თქმა, რასაც განაპირობებს ახალი „იდეალების“ ერთგულება“ (ამ აზრით საინტერესო იქნება უჯუშ ემხას ფსიქიკის წარმოჩენა მისივე თანამოქალაქეების: სამსონ დავანაძისა და ნარიშ ეშბას, დახასიათების ფონზე).

ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი. ჯერ კი ჰაკი აძბასა და კუზმა მრისხანის პორტრეტი გამოვკვეთოთ.

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ კრეისერ „შმიდტის“ უფროსს, კუზმა მრისხანეს, მისი ულტიმატუმის თანახმად, გემზე წარუდგინეს ოფიცერი ემხა და მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა. ჰაკი საქვეყნოდ გაიძახის: მე ვარ დამნაშავე მკვლელობაში და ემხას არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო. ამ უცნაური კაცის საქციელით გაოგნებულ კუზმა რუსს ქალაქის თავმა, სამსონ დავანაძემ, პატარა „მოხსენება“ გაუკეთა უჯუშ ემხასა და მისი ძიძიშვილის შესახებ. როდესაც კრეისერის მეთაურმა მისივე მეზღვაურებისა და თვით უჯუშ ემხასაგან შეიტყო, რომ ნამდვილი მკვლელი თავად ემხა იყო, ჰაკი აძბა კი დანაშაულს იბრალებდა, ჯერ არ დაიჯერა გლეხის ერთგულება და თავგანწირვა თეთრგვარდიელი ოფიცრისადმი. ეგონა, რომ ეს ძალდატანება იყო თავადების მხრივ, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს აჟალებდნენ, საკუთარი სიცოცხლის განწირვით „ბატონი“ ეხსნა სიკვდილისაგან.

ამიტომ კუზმას არსებაში ჰაკისადმი ზიზღის გრძნობა სიბრალულმა შეცვალა. სიბრალულმა შეუგნებელი, კლასობრივი დაჩაგრული „ძმისადმი“ და მიმართა:

— შენ ხარ მონა, აფხაზო, კრეისერ „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას, წადი და დაივიწყე შენი ბატონი.

მაგრამ ჰაკი არც წავიდა და არც თავისი „ბატონი“ დაივიწყა. როცა კრეისერის მეთაური საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, როცა მიხვდა, რომ ჰაკი, როგორც ძუძუმტე უჯუშისა, სრულიად შეგნებულად სწირავდა თავს, „მისი რევოლუციური შეგნება ისე აღშფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრმავე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და გულში გადაწყვიტა, ამ იშვიათ ტიპს ახლოს გასცნობოდა, რათა ეცადა მისი „დამუშავება“. კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეკიბრების გრძნობამ მოიცვა“.

ამ სიტყვებს, — „ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი

შეკიბრების გრძნობამ მოიცვა", გასაღების ფუნქციაც ენიჭება ნაწარმოების მიზანდასახულობის გასარკვევად.

საქმე ისაა, რომ „ჰაკი აძბასადმი" მიძღვნილ წერილებში ხშირად ის აზრია გატარებული, თითქოს ძველისა და ახლის ჭიდილში (ძველში ძირძველი ტრადიციები იგულისხმება, ახალში კი - რევოლუციური იდეები) ახალი ამარცხებს ძველს. კუზმა მრისხანე უკუნს ემხასა და ჰაკი აძბას სახით ამარცხებს ყოველივე ყავლგასულსა და დრომოჭმულს...

ეს, ცხადია, არ არის მართებული დასკვნა.

იმ „ერთგვარ შეკიბრებაში", რომელსაც ადგილი ჰქონდა რევოლუციონერ კუზმა მრისხანესა და „ჩამორჩენილ" ჰაკი აძბას შორის, კუზმა დამარცხდა_ მართალია, ჰაკიმ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მის არსებაში იოტისოდენა ნიადაგიც არ მოიძებნა ახალი იდეების შესათვისებლად_

მან მისთვის უცხო კუზმა მრისხანის კლასობრივ ძმობას ძუძუმტისთვის თავგანწირვა არჩია.

აქედან გამომდინარე, ამ „ერთგვარ შეკიბრში" კუზმა მორალურად დამარცხდა, მისი სახით კი - ის იდეა, რომელსაც ის ჰაკის უქადაგებდა.

თუმცა ჰაკის სიმტკიცესა და თავგანწირვას იგი სრულიად არ ჩაუფიქრებია. ნაცვლად იმისა, რომ რევოლუციონერ კუზმას ერთხელ მაინც ეფიქრა, რომ რევოლუციურის გარდა არსებობს სხვა რამ მრწამსიც, რომლისთვისაც ადამიანმა შეიძლება თავი გაწიროს, იგი ჰაკის თვითმკვლელობის შემდეგ სრულიად შეუვალად ამბობს:

„სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა"_ ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ მეზღვაურს, რომელიც ვასილ ხრიტანიუკს ახლდა თან და რომელმაც თავს უშველა, რომელმაც თავი არ გაწირა თავისი კლასობრივი ძმისთვის, კუზმა მრისხანე ლაჩრისა და მოღალატის სახელით მონათლავს და მოიკვეთს.

მაშასადამე, კუზმასათვის „კლასობრივი ძმისთვის" თავგანწირვა გმირული აქტია, ძუძუმტისათვის თავგანწირვა კი მონობა_

ჰაკის საქციელის ნამდვილი არსი გაუგებარი დარჩა კუზმა რუსისთვის არა მხოლოდ მისი კლასობრივი შეგნების გამო, არამედ, და პირველ ყოვლისა, მისი განსხვავებული ეროვნული ფსიქიკიდან გამომდინარე.

მას ვერ გაუგია, რა ისეთი მაგია ახლავს ძიძიშვილობას, რომ გლეხს თავადისათვის თავი გაწირვინოს. არადა, მორდუობა-ძიძიშვილობის გრძნობა მართლაც მაგიური ძალით აკავშირებდა საქართველოში ადამიანებს. ჩვენში „საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავდა ერთი, სხვა ისტორიულ

ხალხთათვის თითქმის უცხო ზნე-ჩვეულება, — წერს ი.ვართაგავა — ეს ზნე-ჩვეულება გამოიცდებოდა მორდუობა-ძიძობის სახით. ეს იყო უმაგალითო ერთგვარი კულტი. ამ კულტის არსი ჩამოყალიბებულია ჰაკი აძბას მამის ანდერძში, რომლის წმინდად შესრულება მან შვილს დაავალა, — უყოყმანოდ თავი გაეწირა გაზრდილისათვის.

მამა-პაპათა ანდერძის ერთგული შემსრულებელი ჰაკი აძბა ნამდვილ გმირობას იჩენს, შეგნებულად თავს სწირავს, როგორც ძიძიშვილი.

მისი საქციელი დროებითი სულიერი აფორიაქების, ნერვების აშლის, რაიმე პათოლოგიური ელემენტების გამოვლინება როდია.

ეს შეგნებული აქტია, აწონილ-დაწონილი, გათვალისწინებული და, ამნაირად, უაღრესად კეთილშობილური.

ამას გრძნობენ სოხუმელები, კუზმა მრისხანემ კი ჰაკის თავგანწირვა მონობით, უკულტურობით, ჩამორჩენილობით ახსნა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან „ძიძობა, ძიძიშვილობა, მორდუობა და ამ ძველი ქართული ტრადიციის სფეროში წარმოშობილი უანგარო, პირდაპირ სასწაულებრივი ძალის მქონე სიყვარულის, სულიერ-ხორციელი ნათესაობის გრძნობა მხოლოდ ქართველისთვისაა გასაგები...

ქართველი დედა-ძიძა თავის რძეს არ ჰყიდდა; სხვის შვილს ფულისთვის არ ზრდიდა. გაზრდილი იმისათვის არ უყვარდათ გამზრდელებს, მათი ოჯახის წევრებს და მოგვარეებს, რომ გაზრდილის ქონებით და დახმარებით იყვნენ დაინტერესებულნი.

ძიძა-მორდუს და გაზრდილის ოჯახებს შორის შეუწყვეტელი სულიერი კავშირი მყარდებოდა. გაზრდილის დავიწყება ქართველი კაცის შეხედულებებით წარმოუდგენელი იყო.

სულ სხვას ვხედავთ რუსეთში. რუსეთში იყო ძიძობა, მაგრამ ძიძობამ აქ სულ სხვა ხასიათი მიიღო. რუს ძიძას, „კორმილიცას", ჩვეულებრივ, ქირაობდნენ, ოჯახში მიჰყავდათ და ცხრა-ათი თვის შემდეგ ძიძა ოჯახს და თავის გაზრდილ ბავშვს თავს ანებებდა და მათ შორის კავშირი წყდებოდა.

არავითარი სულიერ-ზნეობრივი, ნათესაური კავშირი არ მყარდებოდა მათ შორის. რუს „კორმილიცასაგან" გაზრდილი ახალგაზრდა (ვაჟი თუ ქალი) სრულებით არ იცნობდა „კორმილიცას" შვილებს და არც „კორმილიცას" შვილები იცნობდნენ მათი დედის რძით გამოკვებილს. მათი სქესობრივი კავშირი დასაშვებია და ბუნებრივ აქტად ჩაითვლება"...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ „ჰაკი აძბაში" ლეო ქიაჩელი ჰაკისა და კუზმა მრისხანის შეპირისპირებით აღწერს არა მხოლოდ ახალისა და ძველის ჭიდილს, არა

მხოლოდ რევოლუციური და კონტრრევოლუციური შეგნების წინააღმდეგობრივ ბუნებას, არამედ იგი უფრო შორს მიდის. ნაწარმოებში დაპირისპირებულია ორი ერის განსხვავებული ფსიქიკა, ხასიათი, ზნეობრივი მრწამსი.

მორდუობა-ძიძიშვილობის ზნეობრივ კოდექსზე აღზრდილ ჰაკი აძბას ვერაფერი გაუგო იმ ქვეყნის შვილმა, სადაც ძუძუმტეობას „კორმილიცობა" ენაცვლება.

„ჰაკი აძბა" იმ დროს იწერებოდა, როცა გარემოებამ ამ ორი ერის შვილები ერთ ხანგზე აამღერა, ერთ ენაზე აალაპარაკა, ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა, როცა მათ ერთმანეთს „გაუგეს"...

ჰაკისა და კუზმას რადიკალურად საპირისპირო ხასიათების ჩვენებით კი მწერალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ერთიანობა, ეს კავშირი, ეს იდეური ერთობა ნაძალადევი და არაბუნებრივი იყო.

ჰაკი აძბასა და კუზმა მრისხანის შეპირისპირებითი დახასიათება კიდევ ერთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს:

უკუშ ემხას მიერ მოკლული რევოლუციონერი მეზღვაური „კონტრრევოლუციონერმა" ჰაკიმ ახლობელივით დაიტირა.

„ააააჰაიტ, რა დიდი უბედურება მოხდა, კაპიტან, დამიკვერე, გული მტკივა მისთვის და უზომოდ ვწუხვარ, ძმასავით მენანება. ვიტირო მინდა, მე კი არასოდეს არ მიტირია, კაპიტან, ახლა კი ვტირი... ვაჰაჰაი, ძმაო, ვაჰაჰაია, ჩემო ძმაო.

და ჰაკიმ ხელისგული რამდენჯერმე შუბლზე ტკაცანით შემოიკრა. ზედ ზმუილი და ქვითინი მოაყოლა. მერე ვაიუიანი მოთქმა დაიწყო მოტირალი ქალივით.

გაკვირვებულმა კუზმამ უცებ მისკენ თავი მოატრიალა. უნდოდა თვალით შეეხედა, რადგან ყურს არ დაუჯერა.

ჰაკის სახე ღრეჭით მოექცია. წარბებით დაჩრდილულ შავ ჯურღმულებში ჩამსხდარი ყვითელი თვალები ულრმესი მწუხარების შუქით აციმციმებინა და ქუთუთოებზე, ორთავ ღაწვის გაყოლებით, ცხარე კურცხლებს ბრჭყვიალა მძივები ჩამოეკიდნა.

ვაჰაჰაია... ვაჰაჰაია, ჩემო ძმაო, — მოთქვამდა იგი და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა".

მართალია, ჰაკი აძბა იმისათვის უფრო გოდებს ისე გამწარებული, რომ კუზმა მრისხანის გული მოიგოს, ერთგულ კაცად მოაჩვენოს თავი და შემდეგ ემხას სიცოცხლე გამოსთხოვოს, მაგრამ მისი გლოვა იმავდროულად არც მთლად დაცლილია გულწრფელობისაგან. ცრემლებს ღაპაღუპით ხელოვნურად ვერ ჩამოიდენდა იგი.

ჰაკიმ, მართალია, იცის, რომ მისმა ძიძიშვილმა მოძალადისაგან დაიცვა თავი და, ამდენად, მეზღვაური სამართლიანად იყო დასჯილი, მაგრამ მკვდარი მას მაინც ეცოდება. მკვდარი მისთვის მტერი აღარ არის და მის არსებაში გაღვიძებული სიბრალულის გრძნობა ბუნებრივია და ადამიანური.

იმავეს ვერ ვიტყვით კუზმა მრისხანეს მიმართ. მისი რევოლუციური შეგნებისათვის მტრის შებრალების, თუნდაც დამარცხებული და დატყვევებული მტრის შებრალებისა და პატიების გრძნობა უცხოა.

კუზმა ნამდვილი რევოლუციონერის სახეა. ამ მხრივ მისი გარეგნული პორტრეტი რევოლუციის შინაგანი არსის ერთგვარ სიმბოლოდაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

კუზმას სახით კრეისერზე მყოფ სოხუმის დელეგატებს საკვირველება გამოუცხადათ: „ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად". „ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა, ძლიერს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქლიდან დაწყებული ნიკაპის მარჯვენა კუთხემდე. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი შუაში გაჭრილ წარბს ქვეშ ჩამოთლილი ჰქონდა და გაშიშვლებული, კაკლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია, ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა.

ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მიყვებოდა და ნესტოჩამოკვეთილ ცხვირთან შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გადავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.

სახის მთელი ეს კანშემოჭიმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინაალმდეგ მეორე მთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა".

იმდენად შთამბეჭდავადაა აღწერილი კუზმა მრისხანის გარეგნული იერსახე, რომ შეუძლებელია ამ საზარელი ჩვენების დავიწყება. სახის ერთი ნახევარი „სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად რისხვის გამოხატულებას ატარებდა წინაალმდეგ მეორე მთელ-ნახევრისა", იმავდროულად კუზმას სულიერ რაობაზეც მიგვანიშნებს. მისი რევოლუციური შეგნებაც ასეთივე იყო. ერთი მხრივ, დაუნდობელი, უსასტიკესი ყველასადმი, ვისაც იგივე შეგნება არ ჰქონდა. მეორე მხრივ კი, თანამოაზრეებისადმი ლმობიერი. ცხადია, კუზმა ჰაკი აძბასავით მტერს ვერ დაიტირებდა, ვერ შებრალებდა.

თვით რევოლუციაც კუზმასავით ორსახოვანი იანუსი იყო. ერთი მხრივ,

სასტიკი და მძვინვარე, სიკვდილის მთესველი, მეორე მხრივ, ახლის დასამკვიდრებლად მოვლენილი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბოროტება და სიკეთე, მძინვარება და ლმობიერება ერთად ვერ ხარობს.

ჰაკი აძბამ იგრძნო კუზმას სულიერ-ფიზიკური ორსახოვნების მთელი საშინელება და ემხას დახვრეტის შემდეგ კრეისერის მეთაურს გაბოროტებულმა მიმართა:

„– კაპიტან, მე შენი მეზღვაური ძმასავით ვიტირე. მით ძმობა შემოგფიცე– შენ კი უკუში მომიკალი, ძაღლი ყოფილხარ, კაპიტან– ჰო, სისხლი! სისხლი!“.

მაგრამ ჰაკი აძბას სისხლის აღება არ შეეძლო. იგი კრეისერის ეკიპაჟს ვერას დააკლებდა და თავი მოიკლა. ასე გაიმარჯვა ძალამ, ასე გაიმარჯვა (ფიზიკურად და არა მორალურად) ახალმა ძველზე, ანუ არაადამიანობამ ადამიანობაზე.

ღალატი და ერთგულება

შეპირებისამებრ, ამჯერად უნდა ვისაუბროთ ორ განსხვავებულ ზნესა და ხასიათზე, რომელთაც საფუძვლად უდევს არა ეროვნული სხვადასხვაობა, არამედ ტრადიციისადმი, საკუთარი ისტორიული ფესვებისადმი მიმართება.

ზემოთ ისიც ვთქვი, რომ ამ მხრივ საინტერესო იქნება-მეთქი უკუშ ემხას ფსიქიკის წარმოჩენა მისივე თანამემამულეების – სამსონ დავანაძის და ნარიშ ეშბას დახასიათების ფონზე.

როდესაც მეზღვაურებმა შეიტყვეს, რომ მათი მეგობარი ვასილ ხრიტანიუკი მოკლა და მასთან ერთად ერთი მეზღვაური დაჭრა ვილაც თეთრგვარდიელმა ყაზახთა ოფიცერმა, სოხუმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეემზადნენ.

თავის მხრივ, შეშინდნენ და შეშფოთდნენ სოხუმის მოქალაქენი– ქალაქის თავმა სამსონ დავანაძემ და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს თავმჯდომარემ ნარიშ ეშბამ ყურადღება მიაქციეს გადარჩენილი მეზღვაურის ნაამბობიდან სიტყვებს: „ყაზახთა ოფიცერი“, „გიორგის კავალერი“, და უმალ მიხვდნენ, ვინც იყო ხრიტანიუკის მკვლელი.

„უკუშ ემხას დაუღუპავართ“, – გაუელვა თავში ერთსაც და მეორესაც ერთდროულად.

„თითქოს საიდანღაც ახალი ძალა და ღონე შემატაო, ისე დატრიალდა ახლა სამსონ დავანაძე– მილიციის უფროსი მოიხმო მისი თანაშემწეებით და

ყველას გასაგონად სასტიკი ბრძანება მისცა: ქალაქი ყველა მხრიდან შეეკრათ. არც ტყვია დაეზოგათ, არც ცეცხლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ეშმა აღმოეჩინათ და მისთვის ცოცხალი მოეგვარათ. მერე თავისი მგრგვინავი ხმის კიდევ უფრო ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა, რათა მისი ყოველი სიტყვა მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:

— მოქალაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულად შემოხიზნული უჯუშ ემხაა ჩვენი დამღუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს სტუმრებს ქუჩაში და საშინელი მკვლელობა ჩაუდენია. ემხა ჩვენი მკვლელიც არის, ამხანაგებო! შინ გვყოლია მკტერი, მოღალატე და დროზე ვერ მივმხვდარვართ. ჩვენი ხსნა საშინელი წყრომისაგან, რომელიც უთუოდ დავიმსახურეთ, მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია: საკუთარი ხელით შევიპყრათ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღავად— თითოეულ თქვენთაგანმა ხმალი უნდა გამოიღოს. აბა, ვინც ვარგა, ახლა გამოჩნდება".

კრეისერის შიშით დაზაფრულმა მოსახლეობამ „ივარგა" და „მოღალატე" მალე მიჰგვარეს „შმიდტის" კაპიტანს.

როგორც ვხედავთ, ხალხს უჯუშ ემხა მოღალატედ გამოუცხადეს. სამსონ დავანაძე და ნარიშ ეშბა კი ერთი შეხედვით ხალხის ერთგული და მისი ინტერესების დამცველნი ჩანან.

არადა, ყველაფერი პირიქით არის.

უჯუშ ემხა თავისი ხალხის ერთგულია, რადგან ამ ხალხის საუკუნეებში გამოტარებულ ღირსებას იცავს.

დავანაძე და ნარიშ ეშბა კი თავად არიან მოღალატენი, რადგან საკუთარი ტყავის დაცვის მიზნით თავისი თუ ხალხის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ.

ასე რომ, ახალ დროში, ახალ მეთაურთა წყალობით აღრეულია ცნებები: ღალატი და ერთგულება, გმირობა და ლაჩრობა.

პირველ ყოვლისა, ვნახოთ, როგორ იქცევა ექსტრემალურ სიტუაციებში ხალხის „მოღალატე" უჯუშ ემხა.

როცა ვასილ ხრიტანიუკმა ქუჩაში თეთრგვარდიელი ოფიცერი დალანდა, გიჟივით თვალები დააბრიალა, რევოლვერის ტარს ხელი მაგრად ჩასჭიდა და დაედევნა, მას ამხანაგებიც მიჰყვნენ.

— ჰეი, შესდექ, უფალო ოფიცერო! — შორიდანვე დაუყვირა ემხას ხრიტანიუკმა.

— მინდა გამოგეცნაურო, უფალო ოფიცერო! კრეისერ „შმიდტის" მეზღვაური გახლავარ, ვასკა-პირატი. აბა, მითხარი, შენ ვინა ხარ? — მიახლოებისთანავე მიმართა გამომწვევი შეყვირებით მეზღვაურმა უჯუშ ემხას.

ემხას მშობლიურ ქალაქში გულდიდად მოსეირნე ეს უცხო კაცი სიძულ-

ვილის სიტყვიერ გამოხატულებას არ დასჯერდა. უჯუშის გარეგანმა სიმშვიდემ ცეცხლი წაუკიდა. მოთმინება არ ეყო ოფიცრის ეპოლეტებისა და ოქროს ორდენისათის კიდევ ეცქირნა.

— პასუხი ჩქარა, ვინ ხარ-მეთქი! — შეჰყვირა ერთხელ კიდევ და მარცხენა ხელი ემხას მარჯვენა მხარს ხმალივით შემოუქნია. კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტებში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია.

რუსეთის სამოქალაქო ომიდან მშობელ კერაზე მობრუნებულ უჯუშ ემხას „სიცოცხლის გარდა ორი რამ განძი ჩამოჰყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი ნაოცნებარი ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისავე წმინდა გიორგის ოქროს ორდენი".

მისი ადამიანური თავმოყვარეობა უკიდურესად შეურაცხყვეს. თავად თავს არიდებდა ბოლშევიკ მეზღვაურებს, ისინი კი მისსავე სამშობლოში, მის მშობლიურ ქალაქში შემოჭრილან და მეძებარი ძალლივით დასდევენ. ოფიცერმა ღირსების შეურაცხყოფა არ აპატია მომხდურს და იმავე წამს მისი რევოლვერი გავარდა. განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირაღმა გაიშხლართა უსულოდ.

ხრიტანიუკის მეორე მეგობარსაც მაშინ ესროლა, როცა მეზღვაურმა რევოლვერი იძრო_

ამ ეპიზოდის მიხედვით ემხა მკვლელი არ არის. უბრალოდ, მომხდურისაგან იცავს თავს. როცა თაის ძიძიშვილს ნახავს, შეწუხებული შესჩივლებს:

— იცოდე, თავს დამესხნენ, ჰაკი_

უჯუშს ბიძის ოჯახში გადამალავს ჰაკი.

— კაც, თავი შეეფარე შენს ჭერს, მაგრამ შენ ეს არ იცოდი და ვითომ არც ახლა იცი, ნუ გაუწყრები ჰაკის.

მიმართავს იგი მოსალოდნელი საშიშროებით შეწუხებულ მასპინძელს და თადარიგს იჭერს, რათა ამ ოჯახს დროულად მოსცილდეს და მოსალოდნელი თავდასხმისაგან დააზღვიოს. საფრთხეში ჩავარდნილი უჯუში სხვის უსაფრთხოებაზე ფიქრობს. ეს ფაქტიც მის კეთილშობილებას ადასტურებს.

როდესაც ემხას დეიდაშვილი, თოუხან მარშანი გამოეცხადა და აუწყა, უნდა ჩაბარდე მტერს, რადგან შენს გამო მძევლები აიყვანესო, უჯუშმა განაცხადა:

— მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე.

ეს გადაწყვეტილებაც მის რაინდულ ბუნებას უსვამს ხაზს.

როცა ჰაკი აძბამ დაინახა, რომ საშველი არსაით იყო, მილიციის უფროსს

განუცხადა: „უკუშ ემხას მე ვახლდი იმ დროს, როცა მას მეზღვაურები თაყვ დაესხნენ. იმისათვის ვატარებ იარაღს და დედაჩემის გაზრდილს იმისათვის ვახლავარ დღედაღამ, რომ ის ყოველი ხიფათისაგან დავიცვა. თავდამსხმელებს მე ვესროლე რევოლვერი და ჩემმა ტყვიამ ორი მათგანი იმსხვერპლა. უკუშ ემხას კი იარაღისათვის ხელიც არ უხლია“.

ჰაკის სიტყვების გაგონებაზე ემხამ ადგილიდან მორღვევა დააპირა, მაგრამ ხუთიოდე თავადის ხელისგული პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა.

— უკუშ, ხმა არ ამოიღო. ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწიროს შენთვის. კარგად იქცევა, იცოდე, სიტყვა არ დასძრა — ეუბნებოდნენ უკუშს მისი ახლობლები.

ემხამ ტოლი არ დაუდო ძიძიშვილს. თავადებს ხელიდან დაუსხლტა და განაცხადა:

— აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით.

იგივე სცენა განმეორდა გემზე, კუზმა მრისხანეს თვალწინ, მაგრამ ემხამ ძიძიშვილის თავგანწირვის ხარჯზე არ ისურვა სიცოცხლის შენარჩუნება.

არც ეს არის მოღალატის საქციელი—

დაბოლოს, უკუშ ემხას პორტრეტი მთელი დიდებულებით გაიელვებს მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. დასახვრეტად გამოყვანილი ემხა „თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავ რხევით მოჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა გამართული თვალებით. გახევებულ და უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავად თვალებში შეფინებოდა. ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივ შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. პირდაპირ ცის კიდურზე გართხმულ მოწითალო სინათლის კრთომას შეჰყურებდა, სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო“.

დიახ, უკუშ ემხასთვის, თანამოქალაქეთა მიერ მოღალატედ შერაცხული ახალგაზრდა ოფიცრისათვის, ნათელი დღის კარი უნდა შეიღოს და არა კუპრივით შავი ჯოჯოხეთისა, რადგან ემხამ ტყვიის წინ მდგარმაც არ დაკარგა უმთავრესი — ადამიანური ღირსება. არადა, ემხა კუზმა მრისხანესთვის მტერია, სამსონ დავანაძისა და ნარიშ ეშბასთვის მოღალატე, უფრო მეტიც, ერთი თანამედროვე ქართველი კრიტიკოსი მას „გაკოტრებულ და გადაგვარებულ“ თავადად მიიჩნევს და ამ პოზიციაზე მხოლოდ ის ერთი ლიტერატორი როდი დგას.

როგორც ჩანს, ღირსების შემჩნევას ულირსებო ადამიანები ვერ ახერხებენ— ისინი, ვინც უკუშ ემხა მოღალატედ მონათლა, სწორედ ულირსებო

ადამიანები იყვნენ, ხალხის ერთგულ მსახურებად კი ასაღებდნენ თავს.

ასეთები არიან, პირველ ყოვლისა, სამსონ დავანაძე და ნარიშ ეშბა. ახლა ხალხისადმი მათი „ერთგულების“ დამადასტურებელ მაგალითებს მოვუხმოთ.

კრეისერ „შმიდტის“ გამოჩენით საგონებელში ჩავარდნილი ქალაქის თავი სამსონ დავანაძე, ნაცვლად იმისა, რომ ქალაქის უსაფრთხოებაზე იფიქროს, პირველ რიგში, შექმნილ სიტუაციაში, პირადი პასუხისმგებლობის მოხსნას ფიქრობს.

„პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა, რომ არავინ უპასუხებდა და, თუ მიიღებდა მაინც რაიმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა“.

ამ მცირე ამონარიდით კარგად ჩანს, რომ უპატრონოა ქვეყანა. ხელისუფლება ნამდვილ გულშემატკივრობას ვერ იჩენს.

სოხუმში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც არსებობდა, რომელსაც ნარიშ ეშბა თავმჯდომარეობდა, მაგრამ ამ ორგანიზაციის მოვალეობას ისღა შეადგენდა, რომ „დროგამოშვებით, როცა მდგომარეობა გართულდებოდა, მომენტის შესაფერის რეზოლუციას მიაღებინებდნენ და გაზეთებში გამოაცხადებდნენ“.

უსაქმური და მხოლოდ მოლაპარაკე, რეზოლუციებს გადაყოლილი ხელისუფლება, ცხადია, სამხედრო გემის გამოჩენაზე დაფრთხებოდა. ასე დაეშართა ქალაქის თავსაც და ნარიშ ეშბასაც.

დავანაძემ გადაწყვიტა, მოქმედების გეგმა ეშბასთან შეეთანხმებინა და ამით პასუხისმგებლობაც მისთვის დაეკისრებინა.

„ეშბამ გულდასმით მოისმინა სამსონ დავანაძის წინადადება, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა ქალაქის თავის განზრახვას. ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ ასეთი მეგობრული პასუხი გასცა:

„პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ, ან რატომ გინდა, რომ მე მაკისრებინო მაინცდამაინც. ხომ იცი, რა მდგომარეობაა. თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია, მისი ტვირთი ისე განაწილდეს, ყოველ შემთხვევისათვის, რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ დაედოს. ჩემის აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ: მოვიწვიოთ ქალაქის საბჭოს და მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმების სასწრაფო გაერთიანებული სხდომა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით და იქ

დავსვათ ეს საკითხი, შეიძლება გავლენიანი მოქალაქეებიც მოიწვიოთ, როგორც დაინტერესებული ხალხი. დეე, ამათ გადაწყვიტონ, თუ რა სახით უნდა დახვდეს ქალაქი სოხუმი ბოლშევიკების სამხედრო გემს".

დავანაძე აღაფრთოვანა ამ აზრმა. სხდომა მართლაც შედგა, რომლის მიერ მიღებული დეკლარაცია „მაღალფარდოვანი და გრძელი პერიოდებისაგან შედგებოდა. დეკლარაციის სიტყვიერ ლაბირინთებში გარკვეული აზრის დანახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ დასკვნა წინდახედულად იყო მოზომილი".

ამ ეპიზოდით არა მხოლოდ სოხუმის ხელისუფალთა უგერგილობა და უგვანობა ჩანს, არამედ ცოცხლად იხატება სოციალ-დემოკრატებისათვის ჩვეული მართვის მექანიზმი. მათ ხალხი და აზრთა დემოკრატიული გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად პირადი პასუხისმგებლობის აცილება სურთ. დემოკრატიასაც საკუთარი უსუსურობის შესანიღბავად იყენებენ.

ერთი სიტყვით, სხდომის გადაწყვეტილებით უცხო სახელმწიფოს სანაპიროსთან მომდგარ რუსეთის სამხედრო გემს მოსახლეობა ტაშ-ფანდურით შეხვდა, ხელმძღვანელობა კი – პირფერობითა და მლიქვნელობით. ამიტომ აღარც გასაკვირი იყო ვასილ ხრიტანიუკის თავგასულობა, ბატონ-პატრონობით რომ დაიწყგიმებოდა სხვის მიწაზე.

გონებაში თუ ერთი წუთით პარალელს გავავლებთ ხალხის წინამძღოლ ხვისბერ გოჩასა და ასევე ხალხის წინამძღოლ სამსონ დავანაძესა თუ ნარიშ ეშბას შორის, სრულიად ანტიპოდური სახეები წარმოგვიდგება.

როგორც დავანაძე, ისე ეშბა მზად არიან, შეასრულონ ყველაფერი, რასაც კრეისერის კაპიტანი უბრძანებთ. ისინი სასიკვდილოდ გაწირავენ ეშბას.

უჯუშმა საკუთარი ღირსება ვაჟკაცურად დაიცვა და მტერს მტრულად დაუხვდა.

დავანაძე და ეშბა კი მლიქვნელური ღიმილით ფიანდაზად ეგებიან მომხდურს. ჰაკი აძბა, უჯუშ ემხა, დავანაძე და ეშბა ერთი ისტორიის, ერთი ფსიქიკისა და ზნეობრივი კოდექსის მქონე ხალხის შვილები არიან, მაგრამ ისინი უკვე აღარაფერით ჰგვანან ერთურთს, რადგან ჰაკი და ემხა წინაპართა დაუწერელ კანონებზე აღიზარდნენ. დავანაძე და ეშბა კი, როგორც ძველი რევოლუციონერები, ანუ სოციალ-დემოკრატები, ამ დაუწერელი კანონების უარმყოფელნი არიან. ემხა საკუთარ „ეპოლეტსაც" კი არ დაუთმობს მტერს და მზად არის, სიცოცხლე გაიღოს პირადი ღირსების დასაცავად.

დავანაძე და ეშბა მზად არიან, მთელი სოხუმი აჩუქონ კუზმა რუსს საკუთარი ტყავის გადასარჩენად.

იმ დროში, რომელიც მწერალმა აღწერა, საქართველოს დავანაძისა და ეშბას ტიპის ხელმძღვანელები მართავდნენ.

იმ ეპოქაში კი, რომელშიც „ჰაკი აძბა“ იწერებოდა, — კუზმა მრისხანეს ტიპის განმგებლები.

ემხასა და ჰაკისთვის, ანუ ღირსებისა და ეროვნული ტრადიციებისთვის, კი ადგილი არ ჩანდა.

ამ მწარე საფიქრალს აღძრავს მოთხრობა „ჰაკი აძბა“.

თუმცა, ერთმა გარემოებამ იმედიც შეიძლება დაგვიტოვოს: ჰაკი ზღვაში იხრჩობს თავს. წყალში დამხრჩვალი კი, ქართული მითოლოგიური წარმოდგენით, კვლავ უნდა აღდგეს, ანუ კვლავ უნდა აღდგეს ის ღირსებები, რითაც თხზულების ორი მთავარი გმირი ხასიათდება.

«თავადის ქალი მაია»

„შავი ზღვის მიმართულებით, ერგეტას გზაზე, სამეგრელოში, მარიამობისთვის შუადღის სიცხეში, გადაფარდაგებული ურემი მიჭრიალებს“.

ფარდაგგადაფარებულ კოფოზე თავწაკრული ხნიერი ქალი ზის, რომლის მბრძანებლურსა და ოდინდელი მშვენიერების მიმქრალი შარავანდედით აღბეჭდილ სახეს მოუთმენლობის ლანდები დასთამაშებს.

— კიდევ არ ჩანს ეს ოხერი ზღვა?

მოთქვამს შუა დღის ბუღით დატანჯული თავადის ქალი მაია, რომელიც შავი ზღვის გრილ ტალღებთან მალე მისვლას ელტვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მზით დახრუკული, ოდესღაც რძის ქაფივით თეთრი და სურნელოვანი, აწ კი დამჭკნარი ტანი განიგრილოს. არა, უფრო დიდი სურვილი კლავს თავადის ქალს ზღვასთან მალე მიახლოებისა.

გარყვნილებით არაქათგამოცლილი მისი სხეული კვლავ სიყვარულის ამბორს ითხოვს. ზღვის ნაპირზე კი სატრფო ელოდება. ახალგაზრდა, ტანმრთელი, ლამაზი და არშიყობის ყველა ხრიკის მცოდნე მეტრფე.

ურემს მეურმე მიაცილებს, ყმაწვილი გლეხი ამბაკო, რომლის სატრფო, დაფინო, ქალაბატონის მოახლეა და მასვე უზის გვერდით.

„მეურმემ თავადის ქალსა და კოფოზე წამოწეულ ფარდაგს შუა ცალი თვალი ურმის სიღრმეში შეაცურა.

თვალი შეასწრო მაიამ.

— ნუ გეშინია, შე უბედურო, აქ არის... ნურც გერიდება: ორივე თვალით შეხედე და გაიხარე. აი... — და ქალმა ზედატანი ისე დახარა, რომ ურემში შესახედი ადგილი გაანთავისუფლა.

მეურმის თვალებმა ერთდროულად აღბეჭდეს: წინ, პირველ რიგზე, კოფოზე გადმოხრილი მაიას ღია მკერდის გაცვეთილი სამკაულები, მის უკან კი — შავი ვარსკვლავივით ანთებული ყმაწვილი ქალის გამწყრალი თვალების ელვარება. — გაიხარე, აი... — გაიმეორა თავადის ქალმა და ორაზროვანი ხმის უსირცხვილო კილოს ისეთი აჟღორციანი გამოხედვა დაატანა, რომ გლეხი ვერ მიხვდა, მეორედ წარმოთქმული „გაიხარე, აი“, რას ეკუთვნოდა: მაიას

გულის პირით უცაბედად გადმოშლილ უტევნო, დაწურულ მკერდს, თუ ურმის სიღრმეში შემავალ შავგვრემან გოგონას — ამბაკოს ნამდვილ ცოცხალ სამკაულს".

— არ მოგწონვარ, გოგო?

შეელაზღანდარა გლეხი დაფინოს და „ისეთი სახე უჩვენა, თითქოს უთხრაო: შენ თუ არა, შენს ქალბატონს ხომ ხედავ, რომ მოვწონვარო.

— მიწა კი გაგისკდა! — ესროლა დაფინომ ურმის სიღრმიდან და თვალები აარიდა.

გამარჯვებულივით თავმომწონე ამბაკომ თვალები მოსწყვიტა უკადრის გოგოს და მაიაზე გადაიტანა. — მაია კი, თითქოს მონადირე უცხო ნადირს თოფს უმიზნებსო, ისე დასცქეროდა კოფოდან მეურმეს და მის არშიყობის უშნო ხერხებს უთვალთვალებდა.

გლეხი შეეთდა, ეს რომ დაინახა, სახეზე ღიმილი უნებლიეთ ჩამოსცილდა. არ მოელოდა: თავადის ქალის თვალებიდან ყველა ხვეულით გამომზირალი, ყოველი მოკრძალებისაგან გაძარცული ნდომის ურცხვი ქარი პირდაპირ სახეში უბერავდა.

შერცხვა მეურმეს, ნაბიჯი შეანელა, მერე ურემსაც ჩამორჩა.

ფარდას მოეფარა მაიას სახე.

„ჰო, რა კაპუეტია, გამიგონია, სისხლი უყვარსო". - მძიმედ წარმოსთქვა ახალგაზრდა გლეხმა, როცა ურმის უკან მარტო დარჩა.

წინ კი, კოფოზე, თითქოს ურმის დანაყრეული, უსაბნო ბორბლის მორგვის შიგნით გაისმაო, ქალის ხმამ ყრუდ დაიჭრიალა:

„უბედურო თავადის ქალო, მაია, ეს რა დროება დაგიდგა".

ეს მწარე ამოოხვრა ქალისა საცნაური ხდება მას შემდეგ, როცა მთელ მის ცხოვრებას გადავავლებთ თვალს.

თავადის ქალ მაიას ჰქონდა ყველაფერი, რაც საშუალებას აძლევდა, ნეტარებასა და სიამოვნებაში განეელო დღენი წუთისოფლისა.

დიდი ქონების მემკვიდრეს გასაჭირი არ უგრძნია, მაგრამ, აი, მოვიდნენ ბოლშევიკები და თავადის ქალს თითებზე წამოცმული ძვირფასი ბეჭდების გარდა ალარაფერი შარჩინეს.

ამ უბედურებას თავადის ქალი შეეგუა, რადგან, პირველ ყოვლისა, მის მთავარ განძს ქონება კი არა, სილამაზე წარმოადგენდა. სწორედ მისი თვალტანადობის გამო ილტვოდნენ მისკენ დარჩეული ვაჟკაცები, როგორც ღრმად მორწმუნენი - ქაბისაკენ.

მაგრამ_ „ალმოვალს მზე და დავალს მზე და ადგილსა თუისსა მიეალს იგი" — ვითარცა იტყვის ეკლესიასტე.

დადგა ჟამი თავადის ქალის მზის ჩასვლისა. მის თვალებს ცეცხლი მოაკლდა, ასხლეტილი და ჰაეროვანი სხეული დაუმძიმდა, მისი სილამაზე წარხდა, რადგან:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების

და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების“.

თუმცა, გული არ დაუბერდა თავადის ქალს. გული მისი კვლავ სიცოცხლის დიდი ნადიმისკენ იწევდა. გულს ყველა ლამაზი ვაქკაცი კვლავ თავისად ეგულვოდა და, აი, უცებ, გლეხმა, ტურტლიანმა მეურმემ მისი ავხორცული ჟინი იუკადრისა, მის ანთებულ, ვნებადდაღვრილ თვალებს მზერა მოარიდა. გაშორდა, გაეცალა, როგორც კეთროვანს.

„უბედურო თავადის ქალო, მაია, ეს რა დრო დაგიდგა“. — თავის თავს შეჰკვნესს ეს გახუნებული ლამაზმანი და შური, სიძულვილი იბუდებს მის არსებაში მისგანვე გაზრდილი მოახლე გოგოს მიმართ. თითქოს ამ ლორთქო ბალახივით ამოხვითქულმა გოგომ წარსტაცა ღვთაებრივი მშვენიერება თავადის ქალ მაიას...

თითქოს ის და მისთანები იმიტომ მოევლინენ ქვეყანას, რომ თავადის ქალის სილამაზე დაეჩრდილათ და იგი ზედმეტ ადამიანად ექციათ.

მაგრამ იმედი ყველაზე ბოლოს კვდება... ზღვის პირას თავადის ქალს სატრფო ელოდება, მისი მოყვარული და დამფასებელი თავადი ბონდო. ეს იმედიც ილუზიური აღმოჩნდა. ბონდოს მასთან მხოლოდ წარსული და დონჟუანური ამპარტავნობა აკავშირებს თურმე.

მაიას არშიყი გლეხის მშვენიერ გოგოს, დაფინოს ელოდა მოუთმენლად. ბონდოს დაფინოს ხელში ჩაგდება და ავხორცული ჟინის მოკვლა სურდა. მაიასთან შეხვედრა კი იმდენად უნდოდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი გზად და ხიდად მიაჩნდა გლეხის ლამაზ გოგოსთან დასაკავშირებლად.

სასიყვარულო ინტრიგებში ნაცადი მაია ბონდოსთან შეხვედრისთანავე მიხვდა, რომ მის ყოფილ კუროს სხვისი ბალისკენ ეჭირა თვალი.

არ გაჭრა თავადის ქალის ხვეწნა-მუდარამ. ველარ დაიყოლია ახალ სასიყვარულო ექსტაზზე ახალგაზრდა თავადი, რომელიც წლების წინათ ფიანდაზად უგებდა გულს, და განწირულმა, სულით ხორცამდე შეურაცხყოფილმა ქალმა უკანასკნელი ხერხი იხმარა – ბონდო საკუთარ კარავში გაუშვა ღამით და შეჰპირდა, რომ მას დაფინოს გაუგზავნიდა.

„მაშინ მაინც მიხვდი, მაშინ მაინც გაზომე, გულქვა ვაჟო, თუ რა დიდია მაიას სიყვარული შენდამი... წადი, ლოდინი არ დაგჭირდება“. მაგრამ მაია არ იყო ის ქალი, ვისაც სხვისი უზნეო ხუშტურის დასაკმაყოფილებლად მსხვერპლის გაღება შეეძლო. მას ერთადერთი სურდა და ძალუძდა, – საკუთარი უზნეო სურვილებისთვის აქეთ მიეღო მსხვერპლი. მზად იყო საკუთარი

ხელით მიეხრჩო ყველა, ვინც მის ვნებიან ლტოლვას აღუდგებოდა...

მოახლე გოგოს თავშალი მოიბურა და თავად მიაშურა ბნელ კარავს. „ზედ კართან, მოულოდნელად, თრთოლვით ატანილმა მკლავმა მკლავზე თითები მარწუხის კბილებივით შემოაკრა და თვალის დახამხამებაში სადღაც გაიტაცა, როგორც ქორმა წიწილი.

ეს იყო ის, რისთვისაც ბედს სცდიდა თავადის ქალი მაია. თითქოს დავიწყებული ქალწულობა დაუბრუნდა და პირველი სიყვარულის განუმეორებელი ტკბობის წუთები გაუცხოველდაო, ისე მიჰყვა იგი ვაჟკაცის ხელებს, ფოთოლივით მსუბუქი და დარხეული.

— დაფი, შენ ხელშია ჩემი სიცოცხლე: გინდა დამარჩენ, გინდა მომკლავ–

ბნედა შეკიდებულ ხმაზე უჩურჩულებდა ბონდო მქშინავ მკერდზე მიკრულ მაიას.

დეე, იყოს მოტყუილებით გამოწვეული ეს ვაჟკაცური გახელება. დეე, იყოს სხვისადმი მიმართული ეს ნდომა მამაკაცური, ოღონდ მაიას ტანმა ერთი წამით მაინც იგრძნოს ეს ცეცხლი, ალერსი ვნებისა. ეს ძალოვანი ლტოლვა სქესური ნებისყოფისა“.

იმდენად დიდია ვნება, აეხორცული აღტყინება ქალისა, რომ იგი გულში იკლავს თავის დიდ ამპარტავნებას, პატივმოყვარეობას, სიზვიადეს, ოღონდ კი მოიკლას ხორცის წყურვილი გლეხის ქალწულად გარდასახულმა, „მაგრამ უცებ, თითქო მეხი გავარდა და ბონდოს გული გაუპობო, ისე შეჰქანდა ვაჟი, გულზე მიკრული ქალი ხელის ძლიერი კერით მკერდიდან მოიგლიჯა და ჩვარივით განზე გაისროლა, კუთხეში მიაგდო.

— ჰო, საზიზღარო, ეს რა მიყავი? მომშორდი–მეთქი ახლავე! — დაიყვირა მან და გულიდან შხამიანი ზიზღი გადმოანთხია.

მაია კედელს მიეხეთქა. შალი გადაძვრა. თავზე თმა აეშალა და ბნელ კარავში უცებ სიჩუმე დამყარდა“.

ლიტერატურაში ათასგვარი სასიყვარულო ინტრიგა და სკაბრეზულობამდე დასული ურთიერთობებია აღწერილი, მაგრამ იშვიათია ისე გაშიშვლებული, ფსიქოლოგიურად ზუსტად დაჭერილი ნიუანსების ჩვენება ორი სულით ხორცამდე შეურაცხყოფილი ადამიანისა, როგორსაც ლეო ქიაჩელი აღწერს.

უკვე ერთმანეთის სიძულვილით გაბოროტებულმა წყვილმა მორიელებივით დაჰკბინა მწარე–მწარე სიტყვებით ერთურთი. მწერალი იმ ერთადერთ ფრაზას პოულობს, რომლითაც ის შთამბეჭდავი სურათი იხატება და სიტყვიერის გარდა, ხელოვნების ვერც ერთი დარგი რომ ვერ გადმოსცემს.

„უცებ გაშიშვლდა სიძულვილი ორივე მხრივ და ბნელ კარავში ყვითელი

ფერის კოცონები დაენთნენ“.

ისე დიდი იყო თავადის ამპარტავან ქალში შურისძიების მძაფრი სურვილი, რომ მას უკიდურესად გათელილმა თავმოყვარეობამ გონი კი არ აურია, კი არ მოადუნა, პირიქით, ერთადერთი და მიზანდასახული გადაწყვეტილება მიაღებინა.

ზეადამიანური ნებისყოფა გამოიჩინა. კვლავ დაუტკბა ბონდოს და დიდი სიყვარულის დასტურად უკანასკნელი მსხვერპლის მირთმევას დაჰპირდა. ,,დაე, აღსრულდეს, რაც ბედისწერისაგან განაჩენია: ჩემი ადგილი ამ ღამიდან დაფინოსათვის დამითმია“-ო.

გაოგნებული, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, გაბრიყვებული ბონდო უკვე დანდობილად ელოდა დაფინოს, რომელმაც არც ის იცოდა, თუ რა მზაკვრული მიზნით გაგზავნა თავისმა ქალბატონმა კარავში და არც იმის შესახებ ჰქონდა წარმოდგენა, რა ქარიშხალიც დატრიალებულიყო მისი ღუთაებრივი სილამაზის გამო.

დაფინომ გულუბრყვილოდ შეაბიჯა ბნელ კარავში, სადაც ჩასაფრებული ელოდა მხეცივით ბორგნეული თავადი ბონდო, მაგრამ შურისმაძიებელმა თავადის ქალმა კარვისკენ მალე დაფინოს სატრფო ამბაკოც გაგზავნა. სამკერ იგრიალა რევოლვერმა სიბნელეში.

,,სულ მცირე ხანში ყველამ გაიგო, რომ ყმაწვილმა გლეხმა ამბაკომ სამი ტყვიით მოჰკლა თავადის ქალის მაიას არშიყი, უცხო ვაჟკაცი, ამ კუთხის უცნობი ვინმე, ყოფილი თავადი...“

ამით რომ დასრულებულიყო ნაწარმოების სიუჟეტი, ჩვენ წინაშე გადაიშლებოდა ამბავი სიყვარულისა და შურისძიების შესახებ, მაგრამ თხზულების ფინალი, როგორც მოთხრობის მთავარ გმირს, თავადის ქალ მაიას, ისე თვით ნაწარმოების მიზანდასახულობას სრულიად სხვა კუთხით წარმოგვიდგენს.

რომ არა ეს ფინალი, თავადის ქალი მაია მკითხველის მეხსიერებაში დარჩებოდა აგბორც, მაგრამ სიყვარულისთვის უკვე მობერებულ, სასტიკ შურისმაძიებელ აგსულად. მაგრამ თავადის ქალი მაია არ არის ასე ცალსახად წარმოსადგენი გმირი. მისი შურისძიებით ანთებულ გულს ჩაცხრომის შემდეგ მწვავე სინანულის გრძნობა იპყრობს, სინანული არა იმისათვის, რომ მკაცრად დასავა მოღალატე სატრფო, არამედ სინანული განვლილი ცხოვრების გამო.

პასკალის ერთ-ერთი დაკვირვება ცხოვრების შესახებ ასეთია: ,,ჩვენი ხვედრის სიმწარე ყველაზე უკეთ გამოხატეს სიტყვით სოლომონმა და იობმა — უბედნიერესმა და უუბედურესმა კაცთა შორის. ერთმა პირადი ცდით შეიცნო განცხრომათა ამაოება, მეორემ — უბედურების სიმწარე“.

იერუსალიმის მეფე დავითმა, რომელსაც სიუხვე და განცხრომა არ დაჰკლებია, „ეკლესიასტეში“ განაცხადა: „ამაოება ამაოთა. ყოველივე ამაო“.

თავადის ქალმა მაიამ სიამენი გააფეტიშა და წუთისოფელი ისე განელო, „წადილთა ნებისათვის“ უარი არ უთქვამს. მაგრამ ცხოვრების მიმწუხრში სიცოცხლის ნადიმზე ისიც ზედმეტ ადამიანად იქცა და პირად მაგალითზე შეიცნო განცხრომათა ამაოება. ამის შეგნებამ ეს ამპარტავანი ქალი მონანიე არსებად აქცია და ახლა ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე გაეცალოს სიცოცხლეს, რომელიც ასე უყვარდა და შინაგანად დაცლილს უკვე ზედმეტ ტვირთად მიუჩნევია.

ამაღლებული ტრაგიზმითაა განათებული სურათი, როდესაც თავადის ქალი მაია ძვირფას ბეჭდებს ყრის ზღვის აქაფებულ ტალღებში. ეს ბეჭდები ხომ მისთვის წარსული ცხოვრების ხსოვნაა, ცხოვრებისა, რომელიც, თურმე, ამაოება ყოფილა. ბეჭდების გადაყრა ერთგვარი ანგარიშსწორებაცაა ქალისაგან მის მიერვე გაფეტიშებული, არსით კი ამაო სიცოცხლისადმი.

„მომეხმარე, კენჭებზე ვერ დავდივარ.

დაფინო შეებჯინა.

ზღვის პირთან ქვიშაზე შესდგა მაია. დაფინოს მთელი ტანით დაეყრდნო.

კიდევ ჯარად აიშალნენ ზღვის ვერცხლის ზვირთები. მწყობრად წამოვიდნენ და ნაპირზე გამოიფანტნენ შურებით.

მაიას წინ ყალყზე შესდგნენ.

— ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყვეს? — კიდევ იკითხეს.

— ჰო, ეს ზღვა დღეს რა რიგ მაშინებს, დაფი! მეჩვენება, თითქოს სიკვდილსაც ლურჯი ფერი აქვს, როგორც ზღვას. და, როგორც ზღვა, ისე დიდია, ისე ღრმაა სიკვდილი. ნეტავი შემეძლოს მისი გული მოვიგო! რა შევწირო, ან რა აღვუთქვა, რომ არ მაშინებდეს? რა გამაჩნია? აი, ეს ბეჭდები შემრჩა მხოლოდ და ეს სამაჯური! მათ თვლებში ჩემი ბედის ყველა საფეხურია აღბეჭდილი და... სიცოცხლე და სიკვდილი იმდენი ვაჟკაცის, რამდენიც ხელზე ბეჭედი მაქვს და სამაჯური.

— ამ სამაჯურით მე დავინიშნე სულ პირველად, დაფინო, როცა შენი ხნისა ვიყავი. აფხაზი იყო ჩემი პირველი საქმრო, სახელად ჰაიდბეი და გვარად ჩაჩბა, მთავრის შთამომავალი. მე მას არ ვიცნობდი. არ მენახა. ამბობდნენ, ღამით მთვარეს ჰგავსო და დღისით მზესო. მოციქულები გამოუგზავნა მამას. როცა თანხმობა მიიღო, ძღვენი მოართვა: მის მორთმეულ ოცდახუთ ცხენში ორი წმინდა არაბული ერია, ახალი თოლიევით თეთრი და ჭკუიანები, როგორც ადამიანი. თავადის ძღვენს ასი ქალი და კაცი მოჰყვებოდა მისი უფროსი დის მეთაურობით, რომელმაც ეს სამაჯური გადმომცა

ძმის სახელით...

დრო დაინიშნა ქორწინებისა. წამოვიდა ჰაიდბეი, ბრწყინვალე ჩაჩა ოდიშისკენ. მაგრამ, დაფინო, ყური დამიგდე... მე ის, როგორც მანამდე, შემდეგშიც აღარ მინახავს... ზამთარი იყო: ინგურში ფონით გადმოდიოდნენ. მამამ უბრძანა ვეფხი ჩიჩუას, ძვირფას სიძეს ინგურზე შეგებებოდა რჩეული ვაჟკაცებისაგან შემდგარი ამალით. პატივი ეცა. ხლებოდა. ვეფხი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. მთელ ჩვენს მხარეში არავინ იყო ისეთი, მას რომ ვაჟკაცობით და თვალტანადობით გატოლებოდა. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა ფარულად. ეახლა ვეფხი სტუმარს. შინ კი ამ დროს საქორწილო მზადება იყო დიდი და გაუგონარი. საზეიმოდ დანიშნული სუფრა მთელი ეზოს სიგრძეს წვდებოდა. ძვირფასი ნოხებითა, ფარდებით და ფარჩით იყო სეფა მორთული... და, დაფი, გაიგონე კარგად, რასაც გეტყვი, არავინ იცის, თუ როგორ მოხდა, რომ ხუთასი კაცის თვალწინ ინგურში დაიღუპა ჩემი თავადი ჰაიდბეი ჩაჩა. ჩემს წინ მუხლმოყრილი იდგა ვეფხი, ამ საზარელი ამბის მომტანი. თავად ხმას არ იღებდა. მის მაგიერ მხლებელი ლაპარაკობდა. უძრავი, უსიტყვო და უსიცოცხლო ვეფხი თვალებში შემომცქეროდა, პირველად ვხედავდი მე ისეთ თვალებს, რომლებითაც მე მაშინ ვეფხი მიმზერდა. მათგან რაღაც საშინელი ძალა გადმოიღვარა. მაგრამ ამავე დროს მიმზიდველნიც იყვნენ ისინი. დედაჩემს ვყავდი მკერდზე თავით მიხუტებული. მეფერებოდა. გარს მეხვეოდნენ საზეიმოდ მორთული ტოლმეგობრებიც. ყველა ტიროდა და ქვითინებდა. მე კი ვეფხის თვალებს ვყავდი დატყვევებული. ვკრთოდი შეშინებული. ცრემლი კი ჩემს თვალებს არ ეკარებოდა...

და ეს სამაჯური ჩემს დასანიშნად იმ უბედური ჰაიდბეის მორთმეულია. ჩემს მაჯას იგი მას შემდეგ არასოდეს მოშორებია, დაფი. მე მას ამიერიდან ზღვას ვწირავ! შეხედე კარგად: მიიღებს თუ არა ზღვა ამ ჩემს შესაწირავს?

— უიმე ქალბატონო!

— სუ... აი, ზღვა როგორ დაწყნარდა. დაყუჩდა. შევდგათ შიგ ფეხი. გამთბარა კიდევაც. მომყევი დაფი. ჰო, და მერე ჩემი ცხოვრება გამოიცვალა, ჩემო პატარავ, მამა მომიკვდა. მერე დედაც— დავრჩი გაუთხოვარი. ეს ბეჭედი, დაფინო, ოდიშის თავადს ეკუთვნის, ვეფხი ჩიჩუას. მე ის მიყვარდა, მაგრამ მე სხვას ვუყვარდი და იმ სხვამ არ მოითმინა, რომ მე თავადი ვეფხი მიყვარდა— და მოჰკლა... აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს, იშვიათი ლალია, დიდი ოჯახის საგვარეულო განძი! დააკვირდი. შეიწირა თუ არა შესაწირავი ზღვამ?.. ჰა, უფრო დაწყნარდა ზღვა. წელამდის გვიწევს წყალი. მაგრამ მუდამ ალერსით სავსე ჩემი ვეფხი ჩიჩუას ტრფიალს მაგონებს მისი შეხება. მომყევი, ჩემო ერთგულო გოგო! ნუ გეშინია. ის „სხვა", რომელმაც ჩიჩუა მოჰკლა-მეთქი,

ნამდვილად სხვა კი არ იყო, არამედ ჩემიანი... ნათესავი. მე ის მძულდა, გარწმუნებ დაფინო... მის სახელსაც არ ვიტყვი, რადგან ახლაც მძულს... და ეს ბეჭედი, ძველი ალმასით დამშვენებული, ახლაც რომ მკითხო, ვერ მოგცემ პასუხს, თუ მას ამდენ ხანს რად ვატარებ? აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს, ჩემო დაფინო. იგი მოჰკლა ჩვენმა ახალმა მოურავმა, უბრალო ლაკადელმა აზნაურმა, ჩემი სიყვარულისათვის. ჯოტო იყო მოურავის სახელი. მისგან მე არაფერი დამრჩენია, გარდა მისი უერთგულესი სიყვარულის მოგონებისა. მაგრამ მის უბედურ სიკვდილს შენც მოსწრებიხარ, დაფი.

— ქალბატონო, ძალიან შორს მიდიხარ, ზღვის სიღრმე აქ საშიშია, გნებავს, დავბრუნდეთ?

— მეც სიღრმეს ვეძებ, დაფინო! მაგრამ თავსაკრავი რომ არ წამომილია! ეს როგორ მოხდა? შენი ბრალია... უნდა გაგიწყრე! ტკივილი ვიცი, თუ თავი შეხვეული არა მაქვს. დაბრუნდი, დაფი, თავსაკრავი მომირბენინე ახლავე. როგორ გაბედე და დაგავიწყდა! მალე-მეთქი, გიბრძანებ, გესმის? თავსაფარი მჭირია!

შეშინებული დაფინო სწრაფად წავიდა ნაპირისაკენ.

აჩქარებისაგან ფეხი ეშლებოდა. წყალსაც ვერ სჭრიდა.

როცა ნაპირს მიაღწია, უკან მოუხედავად გაიქცა, სადაც მაიას ტანსაცმელი ეწყო. დასტაცა ხელი თავსაკრავს და უმალვე ისევ უკან გაბრუნდა.

გახედა:

აღარსად იყო თავადის ქალი მაია“.

შეუძლებელია ამ ვრცელი პასაჟით წარმოდგენილი სურათის დავიწყება. უაღრესად ადამიანურია თავადის ქალის მონოლოგი, მისი აღსარება მოახლე გოგოს წინაშე.

სატრფოთაგან ნაჩუქარი ბეჭდები ზღვის აქაფებულ ტალღებში გადააგდო.

ახლა ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი გავიხსენოთ. ისე, როგორც მაია, ისიც თავს იკლავს, მაგრამ მწერალი ხაზგასმით ამბობს, თითზე ნიშნობის ბეჭედი შერჩენოდაო.

ეს ბეჭედი ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლო იყო. ამიტომაც გაამახვილა მასზე ყურადღება ნიკო ლორთქიფანიძემ.

თავადის ქალ მაიასაგან კი ბეჭდების წყალში გადაყრა იქნებ იმის დასტურიც იყო, რომ იგი სიკვდილის წინ საკუთარ თავს გაუტყდა: არასოდეს უცხოვრია ნამდვილი სიყვარულითა და ერთგულებით. მთელი მისი ჟამადმყოფობა თავის მოტყუება იყო, მისი ბედნიერება კი ცრუ ბედნიერება.

თავადის ქალი მაია საკუთარი ცხოვრების მაგალითზე დარწმუნდა, რომ

ამაოება იყო ყოველი და სწორედ ამ შეგნებით გულშეძრულმა გადაუძახა წყალში იმ ძვირფას თვლებს, წარსულთან, ანუ ამაოებასთან, რომ აკავშირებდა.

თავადაც აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ გასცლოდა ამ ამაოებას. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

კიდევ ერთი პასაჟი მინდა გაგახსენოთ, რომელშიც ასევე ჩანს თავადის ქალის მწარე სინანული თავისი ცხოვრების წესის გამო.

ამბაკო ბონდოს მოკვლის შემდეგ დააპატიმრეს.

მეორე დღეს მაია ამბაკოს საცოლეს, დაფინოს, შემდეგი სიტყვებით ანუგეშებს და არიგებს: „ამბაკოს მალე გაათავისუფლებენ, შეიძლება, როცა დაგკითხავენ, გამოგაყოლონ აქეთ კიდევაც. თუ არადა, იცოდე, მის ხარებს მოუარე. დროზე აჭამე, დროზე გარეკე, დროზე დააბი. რა მამულ-დედულის პატრონები ხართ: ამ ხარებმა უნდა გარჩინონ_

უცებ წამოდგა თავადის ქალი მაია. მეორე მკლავიც მოხვია დაფინოს და გულში ჩაიკრა. სახე თმაში ჩაუმალა და ჩუმი ქვითინი დაიწყო გულამოსკვნილმა“.

მაიამ ცალად განვლო თავისი ცხოვრების დღენი. დროსტარებასა და სიამოვნებაში გართულმა გვიანღა გაისიგრძეგანა, რომ ბოლოს მარტო დარჩა. არ ჰყავდა პატრონი და ქომაგი. აქედან გამომდინარე, მოახლე გოგოს ცოლქმრულ უღელში შებმას ურჩევს. საქმროს ერთგულებისაკენ მოუწოდებს. შემდეგ კი მწარედ აქვითინდება.

ვინ იცის, ეს ცრემლი იქნებ ცალად განვლილი ცხოვრების გამოტირებისა იყო, იქნებ ოჯახური მყუდროების მონატრებისა, იქნებ შურისაც იყო საკუთარი მოახლის უბრალო და მარტივი ცხოვრების გამო. ან იქნებ ყველა ამ გრძნობამ ერთდროულად იფეთქა თავადის ამპარტავანი ქალის არსებაში და მის ლამაზ თვალებს მწარე კაშანის ცრემლი მოსწყვიტა. ცრემლი, რომელიც თანაგრძნობით აესებს მკითხველს ამ ერთდროულად ბედნიერისა და უბედურის, ამ ავკარგიანი პერსონაჟისადმი.



კონსტანტინე გამსახურდია

ცხოვრება და მოღვაწეობა

შესავლის მაგიერ

„ეს აქ ცოდვილებს გაემართათ სასტიკი ბრძოლა
არა ხელებით მარტოოდენ, არამედ თავით,
მკერდით, ფეხებით, — ხორცს აგლეჯდნენ კბილებით ერთურთს“.

დანტე ალიგიერი

ამ სიტყვებით „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი ჯოჯოხეთის ბინადარ სულთა დაუსრულებელ ტანჯვას აღწერს. ეს სტრიქონები ეპიგრაფად შეიძლება წარემძღვაროს იმ მიწიერი ჯოჯოხეთის მკვიდრთა ბიოგრაფიებსაც, რომელ ეპოქასაც ოფიციალურ ენაზე ბედნიერი ლენინურ-სტალინური სანა ერქვა.

ერთი განსხვავებით:

თუ ჯოჯოხეთის ბინადართ სააქაო ცოდვებისთვის სატანჯველად დამსახურებულად მიუჩინა ადგილი არსთა გამრიგემ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში, პირიქით, უკეთურთა და ზნეკეთილთ „გაემართათ სასტიკი ბრძოლა“ და ამ ბრძოლაში სწორედ უკეთურნი — „არა ხელებით მარტოოდენ, არამედ

თავით, მკერდით, ფეხებით, — ხორცს აგლეჯდნენ კბილებით" კეთილთ და მათთვის წუთისოფელი ერთ დიდ ჯოჯოხეთად იყო გადაქცეული.

ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იმ დიდი ქართველი მწერლების ბიოგრაფიები, რომელთა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ მეოცე საუკუნის ქარიშხლებში გამოიარა, თითქმის ერთნაირი დამღით არის აღბეჭდილი. სოციალიზმის ეპოქაში ეროვნული მწერლების ცხოვრების ქარგა ერთი საერთო ფრაზით შეიძლება გამოიხატოს: „მოგზაურობა" დიდი ციხიდან პატარა ციხეში, პატარა ციხიდან ისევ დიდ ციხეში, სადაც უმაღლესი ზედამხედველის მკაცრი მზერა ისევე აწესრიგებს მათს ცხოვრებას, როგორც ამ უკანასკნელთ პატარა ციხეში კამერის შინაგანაწესი ჰკარნახობდათ... ხოლო ვინც დიდი ციხის უფროსის მკაცრ მზერას თუნდაც ხანიერად უგულებელყოფს, უკეთეს შემთხვევაში კვლავ დილეგში გადაბარგება ელის, უარეს შემთხვევაში კი საერთოდ აბარგება ამ წუთისოფლიდან. მე უკვე გიამბეთ დიდიდან პატარა ციხეში და პირუკუ „მოგზაური" მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიის შესახებ, ახლა კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებაზე მოგითხრობთ და თქვენ ამ დიდი მწერლის ქარტეხილიანმა ბიოგრაფიამ ტკივილთან ერთად არ შეიძლება არ აღგიძრათ სიამაყის გრძნობაც, რომ მონური სიცარიელით სავსე თავებს შორის დიდ ნიჭს, დიდ გაბედულებას და ტიტანურ შრომას შეუძლია ავადმდინარი ეპოქის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა ისე, რომ უფრო დიდი კვალი დატოვოს შთამომავლობისათვის, ვიდრე არქიფო სეთურის მთელმა იმ არმიამ, რომელიც მორჩილად თხრის სატყუარა იმედის, ანუ უიმედობის გვირაბს...

პლენუმი, რომელიც კინაღამ საბედისწეროდ იქცა

ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მთელი შენი ცხოვრების განვლილი გზა კინოკადრებივით რამდენიმე წამსა თუ წუთში გაგიელვებს. მწერლები ამ ხერხს ხშირად სიკვდილმისჯილთა სულიერი ვითარების აღსაწერად გამოიყენებენ ხოლმე. რატომ მაინცდამაინც სიკვდილმისჯილი? ნებისმიერ დანაშაულში ბრალდებულსაც შეიძლება ბრალდების ჟამს მსგავსი ფიქრები წამოუფუთფუთდეს. მერე დანაშაულსაც გააჩნია, რითაც თავი მოგწონს, რაც შენი კაცობის გვირგვინად მიგაჩნია, იმისთვის რომ ჩაგწიხლაენ, იმისთვის რომ თავს გამართლებინებენ, იმისთვის რომ თავს გადანაშაულებინებენ, მერედა ვინ, სხვისი კარნახით, სხვისი შიშით შემოსეული შენივე კოლეგები...

1947 წელია, 10 სექტემბერი. კონსტანტინე გამსახურდია დასასჯელად

გაჰყავთ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე.

ჯერ მან არ იცის, არც პრეზიდიუმის რომელიმე წევრმა უწყის, თავმჯდომარის ჩათვლით, თუ რაში გამოიხატება დასჯა, — გაკიცხვით, პრეზიდიუმიდან გარიცხვით თუ იმ მძიმე განაჩენით, რაც 10 წლის წინათ მათს კოლეგებს გამოუტანეს. ამის შესახებ მხოლოდ ერთია საქმის ყურში, იქიდან, პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, მოვლინებული პასუხისმგებელი პირი, ახალგაზრდა კაცი, მთელი საბჭოეთის სიძლიერის პერსონიფიცირებულ განსახიერებად მოვლენილი აქ, პრეზიდიუმის წევრებს შორის.

ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურმა არქივმა ამ სხდომის სრული სტენოგრაფიული ჩანაწერი შემოგვინახა, რომლის სრულიად გაცნობა თქვენთვის არ ღირს. არ ღირს, ნაადრევად გაიტეხოთ გული იმ ადამიანებზე, რომელთა ნაწერების კითხვისას იქნებ ღამეებიც გითენებიათ...

იმას, ცეკადან გამოგზავნილ პასუხისმგებელს, სიტყვა, რა თქმა უნდა, ბოლოს უნდა ეთქვა. მოსამართლეს ბოლოს გამოაქვს განაჩენი... მანამდე კი, მანამდე, ე მანდ არაფერი შეგვეშალოსო, გულჩვილები არ გამოეჩნდეთო, კონსტანტინე გამსახურდიას კოლეგები წაესინენ ყვავ-ყორნებივით, მგლებივით, ასე ითხოვდა ცხოვრების მგლური კანონი, ბებერი „ტოტია“ უნდა დაეგლოჯათ ახალგაზრდა მგლებს, რათა თავი გადაერჩინათ — ჩვენ, აქ იმიტომ შევიკრიბეთ, ამხანაგებო — დაიწყო სხდომა პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დიდებულმა პოეტმა, მაგრამ პროლეტკულტელებიდან წამოსული თაობის მწერალმა, - რომ ამხანაგ გამსახურდიას ულირს საქციელზე ვიმსჯელოთ, რომელმაც მთელი ქართული საბჭოთა მწერლობა შეარცხვინა ამხანაგ პეტრე შარიას (ცეკას მდივანი იყო) წინაშე და ჩირქი მოგვცხო ყველასო.

— დიახ! პასუხი უნდა აგოსო, — კვერი დაუკრა პრეზიდიუმის მეორე წევრმა, ისევ ყოფილმა კომკავშირელ-პროლეტკულტელმა, — ამხანაგმა კონსტანტინე გამსახურდიამ ბოროტად გამოიყენა ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდი ნდობა, ვერა და ვერ მოიშორა წარსულის მავნე ჩვევები, ნაციონალიზმის ავი ტკივილიო.

მესამემ: — ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ ყველაფერი აპატია და მას ნდობას არ უმართლებსო.

მეოთხემ: — რაკი მშრომელთა დიდ ბელად სტალინზე რომანი დაწერა, ჰგონია, პარტია მისგან ყველაფერს მოითმენსო.

მეხუთემ: — ამხანაგ პეტრე შარიას ბრძნული და დამრიგებლური შეგონებები სათანადოდ ვერ შეაფასაო.

ერთადერთი ლეო ქიაჩელი, ძველი, პატიოსანი „გვარდიის“ მწერალი,

იტყვის მორიდებით: ამხანაგებო, გამასხურდია თავადაც გრძნობს თავის მდგომარეობას, ამის შესახებ განცხადებაც წაგვაკითხა უკვე და მეტი დამუნათება რა საჭიროა.

– როგორ თუ რა საჭიროაო, – ახლა კი ამოიღო ხმა ცეკას პასუხისმგებელმა ახალგაზრდამ. ქიაჩელის სიტყვამ სულ გადარია, – მაშ ჩვენ აქ საჭიროების გარეშე შევკრებილვართო, მაშ პარტიის მტკიცე ხაზის გატარება საჭირო არ არისო? ახლა შესვენება გამოვაცხადოთ და, რაც საჭიროა, მე მოგახსენებთ მერეო...

არა, ამჯერად არც იმპერიალიზმის აგენტობაში სდებდნენ ბრალს მწერალს და არც მშრომელთა განადგურების მიზნით სათესლე მარცვლეულის მოწამვლაში. მაშ, რამ გადარია ეს „პატიოსანი“ აუდიტორია და რისთვის აურიან ქოქოლას კოლეგას? საქმე ის გახლდათ, რომ სამი დღით ადრე, 1947 წლის 7 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების მორიგი პლენუმი. პლენუმს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა ცკ-ს მდივანი პეტრე შარია. ამავე პლენუმზე სიტყვით გამოსულმა კონსტანტინე გამსახურდიამ ორი ისეთი ფრაზა თქვა, პრეზიდიუმის ეს საგანგებო სხდომა გახდა მოსაწვევი, კერძოდ, აი, რა: 1) „არათუ სტალინის ეპოქაში, რომანოვების დროსაც არავინ მოჰქცევია ასე უდიერად ქართველ მწერალს“. 2) „ალექსანდრე ფადეევმა, უმჯობესია, ლევ ტოლსტოისგან ისწავლოს წერა და ზნეობა“.

თუ როგორ გასკდებოდა პლენუმზე ოფიციალური ტრიბუნიდან ნათქვამი პირველი წინადადება, რომანოვების დრო რომ ამჯობინა მწერალმა სტალინის „თავისუფალ“ ეპოქას, როგორ ბომბივით გასკდებოდა ეს სიტყვები იმ დროში, ამაზე კომენტარი ზედმეტი მგონია. მაგრამ არანაკლებ მტკივნეულად იქნა აღქმული ქართველი მწერლისაგან ალექსანდრე ფადეევზე თავში ხელისწამოკვრით ლაპარაკი, ვინაიდან ფადეევი იმ დროს გახლდათ საკავშირო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და სტალინის იდეოლოგი. აი, ამ გარემოებამ ჩააგდო ქართველი ადგილობრივი ჩინოვნიკები ისეთ დღეში, რომ საჭირო გახდა, შური ეძიათ გამსახურდიაზე, რათა პირნათლები ყოფილიყვნენ მოსკოვის წინაშე.

განსასჯელი კი განაჩენის მოლოდინში ზის და მძიმე ფიქრებში ჩაძირული ელოდება პრეზიდიუმის სხდომის განახლებას.

მთელი ეს სცენა, უმალ ტრაგიკომიკურ ხასიათს შეიძენს, თუ თვალს გადავავლებთ იმ კაცის აქამომდე გამოვლილ ცხოვრების გზას, რომელიც ახალგაზრდა კარიერისტებმა უნდა დასაჯონ...

კონსტანტინე გამსახურდიას წინაპრები, ოჯახი

კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა 1891 წლის 5 მაისს.

გამსახურდიები აზნაურები იყვნენ, მე-19 საუკუნის ერთ-ერთი წყაროს მიხედვით მათი ფუძე ქართლში ყოფილა (გამსახურდაშვილი) და ქართლიდან გადასულან სამეგრელოში.

ერთი გამსახურდია, სახელად პავლე, თბილისის მიტროპოლიტი ყოფილა მე-18 საუკუნის დასაწყისში. ერთი შტო გამსახურდიების გვარისა ვახტანგ VI-ს გაჰყოლია რუსეთში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შტოს წარმომადგენლები ქართლის მეფის, ვახტანგის, ყმანი უნდა ყოფილიყვნენ. ყმანიო, რომ ვამბობ, არ გაგიკვირდეთ, მეფისთვის ყველა ყმა იყო, გლეხიდან დაწყებული, თავადით დამთავრებული. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნიდან" თინათინის მიმართვა ავთანდილისადმი – „პირველ, ყმა ხარ".

კონსტანტინე გამსახურდიას მემუარულ თხზულებაში „ლანდებთან ლაციცი" პირუთვნელადაა მოთხრობილი მწერლის წინაპართა ხასიათსა და ცხოვრების წესზე. გამსახურდიები, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ ფათერაკიანი ხალხი ყოფილა, არაორდინალურნი, გამორჩეულნი როგორც ფეოდალის სისასტიკით, ისე სიქველით ცალკეულ პირთა.

კონსტანტინე დაიბადა სამეგრელოს ერთ პატარა, ულამაზეს სოფელ აბაშაში. პატრიარქალურ ბუნებასთან შერწყმულ აზნაურის მამულში, რომელსაც ჩამოუდის პატარა მდინარე ზანა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ამ პატარა ბიჭის ქვეყნად მოვლინება მსოფლიოში ამ უმცირესი მდინარის სახელს საყოველთაოდ ცნობილს გახდიდა იმის წყალობით, რომ პატარა კონსტანტინე წლების შემდეგ დუნაისა და რაინის პირას დაბადებულ მსოფლიო კორიფეთა გვერდით დადგებოდა.

მამამისი, სვიმონ გამსახურდია, მე-19 საუკუნის ფუნქციადაკარგულ აზნაურთა ტიპური წარმომადგენელი იყო. ერთხელ მიეღო თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა და– ქართველ თავადაზნაურობას ომისა და მშვიდობის ამბავს სხვა სახელმწიფოს მეფე უკვე აღარ ეკითხებოდა. სვიმონი იჯდა საკუთარ მამულში, წრეგადასულ დროსტარებას ეწეოდა. თავის ნაყმევთა ქალიშვილებთან აშიყითა და ნადირობის აზარტით იქცევდა თავს. 40 წლამდე ჯირითობას, ნადირობასა და დროსტარებას გადაყოლილს წიგნებთან ჭიდილი მაინცდამაინც არ ჰყვარებია. „თავის სიცოცხლეში „ვეფხისტყაოსნისა" და „დავითნის" გარდა წიგნი არ წაუკითხავს და მე აგრე მახსოვს, იგი გულდასმით ამტკიცებდა: რაც დასაწერი იყო, ამ ორ წიგნში უკვე დაუწერ-

ით და სხვა რამ არც არისო საჭირო“ — იგონებდა მამის შესახებ მწერალი.

სვიმონი უშიშარი კაცი ყოფილა. ერთი დეტალი: „მთვარის მოტაცებიდან“ თარაშ ემხვარის სიტყვები, რომლითაც მან ცხენი შეაგდო ადიდებულ ენგურში, მამის ცხოვრების ეპიზოდიდან აქვს აღებული კონსტანტინეს. სვიმონს შეუგდია ცხენი ნაპირებიდან გადმოხეთქილ აბაშაში და მახვევარებს, - ნუ იზამო ამას, - შეუძახა თურმე: მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკანდახევა არ სჩვევიაო.

მწერლის დედა, ელისაბედ თოფურიძისა, ფრიად მორწმუნე, მშრომელი, ქველი ადამიანი ყოფილა. „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია.

დედის მხრიდან ბაბო აფხაზი ჰყავდა კონსტანტინეს, ჯარაშან მაანი (ძველი აფხაზი ფეოდალის მარშანიას ქალი), მეძებრებით მონადირე, ვაჟკაცური ბუნების. ხოლო დედის მამა, სიკო თოფურიძე, მიბმული თეორი წერითა და უჩვეულო სილამაზით მოხიბლულობაშიც კი აცვიფრებდა მზასველს. აზნაური თოფურიძე მუდამ მოლხენილი და ხუმარა, ქორ-მიმინოთი, მეძებრებით, ნადირობით, თევზაობითა და ქალებით თავშემაქცევარი ყოფილა.

სვიმონსა და ელისაბედს 9 შვილი ჰყოლიათ.

ამ პატრიარქალურ ყოფაში, მშობლების, ბებია-ბაბუისა და უფროსი დაძმების, გამდელ ეკას მზრუნველობის ქვეშ უდარდელად იზრდებოდა ბავშვი.

პირველდაწყებითი განათლება მან სოფლის სამრევლო სკოლაში მიიღო, ხანი ესწავლებია დიაკონ ევგენი ქოთაძეს.

„ძალიან პატარა ვიყავი, როცა წიგნების კითხვას მივყავი ხელი. „ქართლის ცხოვრების“ კითხვის დროს თვალწინ მიდგება ვახტანგ გორგასლის, გიორგი პირველის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, სვიმონ მეფისა და ერეკლე მეორის გარდაცვალების გამო.

შვიდი წლის ბიჭი ვიქადნიდი, წამოვიზრდები და ჩვენი ქვეყნის მტრებს გავეკუთვნები. მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ვოცნებობდი დიდი გენერალი გავმხდარიყავი, ლაშქარი შემეკრიბა და საქართველოს მტრები შემემუსრა“ — იგონებდა მწერალი.

ამ სულხვედნიერი ოჯახის თავზე მოულოდნელად ავი ღრუბლები დაიგრაგნა. კონსტანტინეს უფროსმა ძმამ, შესარიონმა, ოთხფეხიანი გირა ცალი ხელით ასწია, სისხლი ჩაექცა და საშინელი წამებით გარდაიცვალა, შემდეგ მეორე ძმის, დიმიტრის, ცხედარი გადატანეს სახლიდან.

ამ უბედურებას სხვაც დაემატა. იმ დროის პოლიტიკურმა ვაკანსიებმა გამსხურდიების ოჯახის თავზეც გადაიარა. რუსეთის გზით შემოსული მარქსიზმის ბაცილა ქართულ ოჯახებშიც მიმოიფრქვა და ძმა ძმას წაჰკიდა,

მამა-შვილს. უცნაურია, იმ ოჯახში, სადაც კონსტანტინე გამსახურდია იზრდებოდა, რომელიც სრული ანტიპოდი იყო სოციალ-დემოკრატებისა, იმ ოჯახში, რომელსაც სვიმონ გამსახურდია უძღვებოდა, უფროს-უმცროსობის წესსა და ადათს ისეთივე ბუნებრივად რომ მიიჩნევდა, როგორც ხელის თითების სიგრძე-სიმოკლეს, ერთი ძმა — ალექსანდრე თავგადაკლული სოციალ-დემოკრატი გახდა, ვკერ ბოლშევიკებს მიემხრო, შემდეგ მენშევიკებს, 1905 წლის ავკანყებას უმეთაურა, სისხლიც დაიდო. მეორე ძმა ვიქტორიც კაზაკებთან ჩხუბის მერე გააბრაგდა, ორი ძმა ოჯახიდან გადაიხვეწა. ჟანდარმებმა მათ ძიებაში მოხუცი სვიმონ გამსახურდია დაიჭირეს და ქუთაისის ციხეში გამოამწყვდიეს, საიდანაც ვკანგატეხილი, ავადმყოფი დაუბრუნდა მამულს.

სენაკის სასწავლებელში

კონსტანტინე და მასზე 3 წლით უფროსი ვანო მამამ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში მიაბარა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მიერ იყო დაარსებული. სკოლის დირექტორი იყო შესანიშნავი პედაგოგი არსენ წითლიძე. აქ ასწავლიდა ნიკო ვკანაშია, პაპა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის ნიკო (ლაშა) ვკანაშიასი.

სასწავლებელში გამსახურდიები დირექტორს შვილებივით მიუღია, მაგრამ ბინად ისინი ლოთ ყასაბთან აღმორჩნდნენ, რომლის ხუშტურებს ბავშვებმა დიდხანს ვერ გაუძლეს და ყასბის მოვკამაგირეობას, რასაც ეს უკანასკნელი უზრუნველად გაზრდილი ბიჭებისაგან ითხოვდა, შინ გაპარვა არჩიეს.

მამამ შვილები სენაკში ალარ დააბრუნა. ვანო ბაქოში გაგზავნა სასწავლებელად, კონსტანტინე კი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში მიაბარა.

ქუთაისის გიმნაზიაში

იმ დროისათვის საქართველოში ორი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი არსებობდა, თბილისის კლასიკური გიმნაზია და ქუთაისის სააზნაურო გიმნაზია. მაშინდელი ქართული ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს სწორედ ეს სასწავლებლები აქვს დამთავრებული.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საფუძველი კონსტანტინეს დიდ ერუდიციას სწორედ ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში ჩაეყარა. აქ ასწავლიდნენ იმ დროის გამორჩეული პედაგოგები. ქუთაისი იყო წმინდა ქართული ქალაქი, რომელიც კულტურის დონით ტოლს არ უდებდა

დედაქალაქს.

ამ სასწავლებელში, მაგალითად, ყმაწვილი კონსტანტინე ისე სრულყოფილად დაეუფლა რუსულ, ლათინურ და გერმანულ ენებს, რომ გერმანულიდან „ზარატუშტრას“ თარგმანისთვის მიუყვია ხელი.

ხშირად ლათინურის მასწავლებლის მაგივრად, რომელიც ბახუსთან მწყრალად არ ყოფილა და გაკვეთილზე ჩაეძინებოდა ხოლმე, კონსტანტინე ლათინურის გაკვეთილსაც კი ატარებდა.

იმჟამად არსებულ ქუთაისის ერთადერთ ბიბლიოთეკაში მომავალ მწერალს გადაუკითხავს მსოფლიო ლიტერატურის შედევრები.

ერთხელო, — იგონებდა მწერალი, — „მამა ჩამოვიდა და ინახულა გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი და აუწყა მას: ჩემი შვილი სკოლიდან უნდა გამოვიყვანო, რადგან მე თავდებითა ვარ ციხიდან გამოშვებული, ალბათ, მალე დამიჭერენ და ბავშვი უპატრონოდ დარჩებაო.

მამაჩემმა დირექტორს არ გაუმხილა, ხოლო მე შეუფარველად მითხრა: ჩვენი დროის სკოლა და წიგნები მხოლოდ რყვნიან ახალგაზრდობას. თუ შენ აქ დაგტოვე, შენ ძმასავით სოციალ-დემოკრატი გახდებიო“.

დირექტორს გაჯიუტებული მშობელი უარით გაუსტუმრებია და ფრიადოსანი მოწაფის უზრუნველსაყოფად მისთვის სტიპენდიაც დაუნიშნავს.

„გათენებისას ვდგებოდი, პალტო არა მქონდა, ცხელ მჭადს ჩავიდებდი უბეში და სკოლისკენ მივრბოდი“. — ეს ერთი ფრაზა ყმაწვილი გამსახურდიას სოციალურ ყოფას კარგად წარმოგვიდგენს. მისი ოჯახი აბაშაში უფრო და უფრო კარგავს მდგომარეობას.

მოწაფეობის წლებიდანვე კონსტანტინე გამოუსწორებელ რომანტიკოსად ყალიბდება. ის ლიდერობს მეგობრებში და ლიდერობისთვის აქვს ყველა მონაცემი — კეთილაღნაგობა, ჭკუა, ნიჭი, სიბეჯითე, სიცოცხლის სიყვარული, ქალებისადმი ტრფიალში გაბედულება, უღალატობა, უშიშრობა, მეგობრებისადმი თანადგომა. დამახასიათებელია ერთი სიუჟეტი მისი ხასიათისათვის: ეჭვიანობის ნიადაგზე კონსტანტინეს თანაკლასელმა ბებუთი დაარტყა. ამსობაში ზარი დაირეკა. დირექტორი შემოვიდა და სისხლის კვალი რომ დაინახა, მერხზე მდუმარედ მჯდარ კონსტანტინეს მიადგა, რომელმაც შეკითხვაზე, ვინ გაგიმეტა, შვილოო, ფეხზე ამდგარმა უპასუხა — არ ვიცი, და უგონოდ დაეცა...

ქუთაისის სასწავლებელშივე იწყებს კონსტანტინე მწერლობაში პირველი ნაბიჯების გადადგმას. აქვე იფეთქა მასში მეამბოხის სულმა და მეგობრებთან ერთად დააარსა პოლიტიკური საიდუმლო ორგანიზაცია „ცხრა მუხა“.

პირველი დაპატიმრება

„ცხრამუხელებს“ თანამზრახველები თბილისშიც ჰყავდათ ქრისტეფორე რაჭველიშვილისა (შემდგომში ილიას ცნობილი ბიოგრაფი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე) და ვინმე კარბელაშვილის სახით. საფიჩხიას ეკლესიაში ღვთისთვის შეუფიცავთ ახალგაზრდებს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ საქართველოს გასათავისუფლებლად. რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეზე, რომელსაც რატომღაც სიხარულით ზეიმობდა ჩვენი ბედოვლათი თავადაზნაურობა, „ცხრამუხელები“ გიმნაზიის სააქტო დარბაზში შეჭრილან და რუსის მეფეთა და გენერლების მოოქროვილ ჩარჩოში მოთავსებული სურათები ძირს ჩამოუყრიათ, დაუფხრეწიათ, ფეხქვეშ გაუთელავთ. „მეორე დღეს ქუთაისის ჟანდარმერია და პოლიცია ფეხზე დადგა, — ვკითხულობთ „ლანდებთან ლაციცში“. - ბევრი იძიეს, მაგრამ ერთ თვეს ვერას გახდნენ.

ამასობაში მოხდა ასეთი ამბავი: ქუთათური კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა, შავრაზმელმა კუსტინოვიჩმა, „ძაღლის ენა“ უწოდა ქართულს.

რევოლვერებითა და ხელკეტებით შევიარაღდით, სადგურზე დავუხვდით ცოლშვილიანად საგარაკოდ მიმავალ კუსტინოვიჩს და ვცემეთ“.

შემდგომ ამისა ახალგაზრდებს პრობლემაციები დაუსტამბავთ და გაუვრცელებიათ, რომლითაც სალხს მოუწოდებდნენ, არ ეზეიმათ დამპყრობელი რომანოვების დინასტიის იუბილე და კუდით ქვა ესროლინებინათ კუსტინოვიჩისმაგვარი რუსი შოვინისტებისათვის. ამჯერად ჟანდარმერიამ ახალგაზრდებში შეგზავნილი აგენტის წყალობით „ცხრამუხელები“ აღმოაჩინა და დააპატიმრა. მოგუსმინოთ მწერალს: „ჩემთვის ეს პირველი პატიმრობა იყო უბედნიერესი მომენტი ჩემი ცხოვრებისა.

ბედნიერი გრძნობისაგან შეპყრობილი ვიმეორებდი ამ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რამეთუ გდევნონ ჩემი სახელით“.

ყმაწვილი კაცის ამ სიხარულს ჰქონდა თავისი საფუძველი: საპატიმროში ის ქურდბაცაცობის კი არა, მამულის სიყვარულისთვის ჩასვეს და მთელი ქუთათური საზოგადოების თანაგრძნობაც ამ ახალგაზრდებისკენ იყო. დაფცურდა გიმნაზიის დირექტორი, მეფისნაცვალს ეახლა და ახალგაზრდა მოჯანყენი ციხიდან გამოუშვეს. გავა რამდენიმე წელიწადი და რუსეთის იმპერატორის სურათების ჩამოგლეჯისა და დაფხრეწისთვის კი არა, „მოუზომავი“ სიტყვის გამო ადამიანს შეუძლიათ ცხრა მთას იქით უკრან თავი, ხოლო მის გამოხსნას გიმნაზიის ერთი დირექტორი კი არა, ათასი ნაფიცი ვექილიც ვერარ შეძლებს. გავა რამდენიმე წელიწადი და მამულის სიყვარულისთვის

საბჭოთა ჯურღმულებში დამწყვდეულ პატიმარს აღარც გმირობის განცდას შარჩენენ. საზოგადოება უკვე ველარ გაბედავს თანაგრძნობას, პირიქით, საზოგადოების წევრებს მხოლოდ ჯალათთა ქმედებისათვის დასტურის უფლება ეძლებათ.

ასე დასრულდა ქუთაისის გიმნაზიაში კონსტანტინე გამსახურდიას მოწაფეობის წლები.

დამავიწყდა მეთქვა, მამა მწერალს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გარდაეცვალა, კონსტანტინე მატერიალურ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი და, რომ არა იმხანად არსებული მეცნიერების ინსტიტუტი, არ არის გამორიცხული, ეს ბრწყინვალე ნიჭის ახალგაზრდა უმაღლესი განათლების გარეშე დარჩენილიყო.

კრიტიკოს კიტა აბაშიძის წყალობით, რომელიც გამსახურდიას ნიჭს დიდად აფასებდა, და გიმნაზიის დირექტორის წარდგინებით კონსტანტინეს ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია დაენიშნა და გზა გაეხსნა პეტერბურგის უნივერსიტეტისაკენ.

პეტერბურგის უნივერსიტეტი

1911 წელს გამსახურდია ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიას და ჩადის იმპერიის დედაქალაქში. იქ იგი აკაკი შანიძესთან დაბინავებულა. სხვათა შორის, სტუდენტობის წლებში დაახლოებული ამ ორი გამორჩეული ქართველის დიდი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

უნივერსიტეტში გამსახურდიას განზრახული ჰქონია საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს, ნიკო მარს, დამოწაფებოდა, მაგრამ ლექციაზე ნიკო მარისაგან მძიმი სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძის აუგად ხსენება ვერ აიტანა და უნივერსიტეტიდან გამოსვლაც განიზრახა, ესეც იყო, კონსტანტინეს გული იმთავითვე დასავლეთ ევროპისკენ მიუწევდა, ჩრდილოეთის ჰავასა და მისთვის სულიერი დისკომფორტის შემქმნელ იმპერიას სურდა გაქცეოდა.

ზოგჯერ მოვლენების დასაჩქარებლად და გადაწყვეტილების მისაღებად უხერხულიც შემთხვევა უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ხანგრძლივი ჭკუსტება ტვინისა. მწერალი ერთ ასეთ ფათერაკიან ღამეს იხსენებს პეტერბურგისა: „ნამუსრევი მივდივარ ნევის პროსპექტზე და „მრავალჟამიერს“ მიიმღერი.

გორდოვოი წინ გადამიდგა.

რას ღრიალებო, მომაძახა და დედა შემაგინა. მე იმ წუთშივე სილა ვკრთავაზე. პირიდან სისხლი წასკდა და წაიქცა ის ოჯახქორი.

შემეცოდა. ავაყენე.

წამოდგა თუ არა, ხმალი იძიშვლა და ყუით შემომკრა ნიკაპზე.

ახლა მე წავიქეცი გასისხლიანებული.

ამიყვანა, ეტლი გააჩერა და საპატიმროში დამტოვა.

აქ გამჩხრიკეს. პასპორტი და ფული ჩამომართვეს, გამაშიშვლეს და ქურდების კამერაში შემაგდეს.

ეს ტატუირებული ჯიბგირები და კაცისმკვლელები რა დავინახე, კარების მტერევა დავიწყე.

უბნის უფროსი მოვიდა, ფული, პასპორტი და ტანისამოსი დამიბრუნა და გამომიშვა.

აკაკის მთელი ღამე არ სძინებია. ჩემს დანახვაზე გაიხარა. ხელ-პირი დამაბანინა, შრამზე იოდი წაუსვა, ვახშმი შემომთავაზა.

მეორე დღეს აკაკიმ მომიტანა ევროპის რუკა. თვალები დამიხუჭა და მითხრა: საეგებიოდ დაადევიო რომელიმე ქალაქს თითი.

თითი მოხვდა კენიგსბერგს.

იმ დღესვე ვამცნე ქუთაისის ქალაქის თავს: ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია აღარ მოეცათ ამიერიდან ჩემთვის (ილიას სტიპენდია ეძლეოდა მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელნიც ილიას მიერ დამთავრებულ უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ნ.გ.).

კიტა აბაშიძე დაფაცურდა. ახლა შავი ქვის საბჭოს სტიპენდია დამინიშნეს".

კენიგსბერგის უნივერსიტეტი

გამსახურდია ჩადის კენიგსბერგში (მეფის მთა), როგორც ამ ციხე-ქალაქს ეწოდა 1255 წელს. მე-13 საუკუნეში პრუსიელთაგან დაპყრობილ ამ ქალაქს დღეს მსოფლიო იცნობს არა თავისი მშფოთვარე ისტორიით, რაც მხოლოდ ისტორიკოსების ცოდნის ობიექტად დარჩა, არამედ იმით, რომ კენიგსბერგში დაიბადა და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ამ ქალაქს არ გასცილებია ფილოსოფიის ისეთი ტიტანი, როგორიც იყო იმანუელ კანტი.

კენიგსბერგი გერმანული ფილოსოფიის ერთი უველაზე მძლავრი კერა გახლდათ.

ფილოსოფიით გატაცებული ახალგაზრდა გამსახურდიასთვის ამ ქალაქის არჩევანი, ცხადია, არ იყო შემთხვევითი. კონსტანტინემ აქ ერთი სემესტრი დაჰყო, ვინაიდან ქალაქის პოლიცია უცხოელ და, განსაკუთრებით, რუსეთის

იმპერიის ქვეშევრდომ სტუდენტებს ეჭვის თვალით უყურებდა. იგი გააფრთხილეს, ერთი სემესტრის შემდეგ დაეტოვებინა ქალაქი. ეს ერთი სემესტრი კანტისა და განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსებს სწავლობდა მწერალი, მაგრამ ცხოვრება რისი გამოცანაა, თუ ფათერაკი მაშინაც არ შეგამთხვია, როცა კანტის „წმიდა გონების კრიტიკაზე“, ლაიბნიცზე ან ვოლფზე ფიქრობ.

ერთი არცთუ სასიამოვნო ფათერაკი ჩვენს ახალგაზრდა სიბრძნისმაძიებელსაც გადახდა.

დუელი

მართალია, არც ახალგაზრდა და, სხვათა შორის, არც ხანდაზმული კონსტანტინე ნიცშეს, გოგოლის ან თუნდაც კანტივით, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ზურგს არ უჩვენებდა და არ გაურბოდა, მაგრამ იმ დღეს ქალის გამო ამტყდარ აყალმაყალში იგი უბრალო გახლდათ. ერთ საღამოს კაფე „იმპერატორში“ შევიდა ლუდის დასალევად ორ მეგობართან ერთად. იქვე არისტოკრატთა წრის სტუდენტები ლოთობდნენ, რომელთათვის ერთგვარ მოდად იყო ქცეული მუდმივი დებოშები, დუელები და სახეზე ნაიარევით კოკეტობა... თანამეინახეთ შუაში ვილაც ლამაზმანი უყვდათ, რომელმაც შორით აშიკი და მანჭვა გაუმართა უცხო ქალაქში მოხვედრილ აბაშელ ბიჭს. ბოლოს ისე გათავხედდნენ, ორი სტუდენტი მოუგზავნეს — რაკი ჩვენს მანდილოსანს ეაშიკები, დუელში გიწვევთო. კანტის თავდაჭერილობა აქ კი დაივიწყა აბაშელ ყმაწვილს, იფეთქა მასში სვიმონ გამსახურდიას სისხლმა და მოძალადეთ პისტოლეტით დუელი შესთავაზა. მათ — რაპირებით ვიბრძოლოთო — აირჩიეს და ასეც გადაწყდა.

მეორე დღეს, ზუსტად პირველ საათზე, დათქმულ ადგილზე გერმანული სიზუსტით გამოცხადდნენ დუელიანტები - კონსტანტინე გამსახურდია სეკუნდანტებითურთ და კურტ ფონ იქსკიულ, ცხადია, სეკუნდანტებისავე თანხლებით. დუელი შედგა რაპირებით და ახალგაზრდები თითო ჭრილობის მიყენების შემდეგ დაშავდნენ.

არ ვიცი, ვინ იყო და რა კაცი დადგა ეს კურტ ფონ იქსკიულ, მაგრამ ის კი ბედის მწარე ირონია იქნებოდა, ასე უბრალოდ, ერთი გაურკვეველი ვინაობის კახპას გამო დუელს შესწირვოდა 20 წლის კონსტანტინე გამსახურდია და ქართულ ენაზე აღარ შექმნილიყო „დიდოსტატის მარჯვენა“, „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ თუ „დავით აღმაშენებელი“.

ლაიპციგის უნივერსიტეტი

კენიგსბერგიდან კონსტანტინე ლაიპციგის უნივერსიტეტში გადადის სასწავლებლად. ლაიპციგში შეხვდა ბიძაშვილი თოფურიძე, რომლის მამა მილიონერი იყო და შვილი გერმანიაში მეფურად ატარებდა დროს. ბიძაშვილმა ვერ აიყოლია განსწავლის ჟინით შეპყრობილი კონსტანტინე, რომელიც შეთავაზებულ დახმარებაზედაც უარს ამბობდა და დედის გამოგზავნილი მოკრძალებული თანხით გაჰქონდა თავი. ცხოვრობდა ვილაც მეწაღის ბინაში და მთელ დღეებს ატარებდა ლაიპციგის უდიდეს ბიბლიოთეკაში, სადაც ეწაფებოდა გოეთეს შემოქმედებას. გატაცებული იყო ნიცშეთი, სწავლობდა ვუნდტის ფსიქოლოგიას, ერდმანის ლოგიკას. დაინტერესებული იყო შტაინერისა და სვედენბორგის ნაწერებით. ლაიპციგელმა ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი სათვისტომოს თავმჯდომარედაც აირჩიეს, მაგრამ მოუცლელობის გამო ამ საქმეს მალევე ანება თავი. ლაიპციგში კონსტანტინე გაიცნობს ფრანგ სტუდენტს რაიმონ მენიოს, რომელთან ერთად იმოგზაურა რაინის ოლქში, შვეიცარიასა და იტალიაში. საერთოდ, განსწავლის წლებში, 1911–1923 წლებში, კონსტანტინემ არაერთხელ იმოგზაურა საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში, ავსტრიაში, სკანდინავიაში, ესპანეთში, ბალკანეთსა და უნგრეთში. ევროპული ენების ცოდნა მწერალს საშუალებას აძლევდა შემოევლო მთელი ევროპა და გასცნობოდა ევროპულ ცივილიზაციას. მისი ფართო თვალსაწიერი და მოგზაურობის მასშტაბები აისახა მწერლის პირველ სქელტანიან რომანში — „დიონისოს ღიმილი“. უკვე კარგა დრო გასულიყო, რაც კონსტანტინე უცხოეთში იმყოფებოდა. მოეძალა ნოსტალგია. ვარშავის გავლით საქართველოში დაბრუნდა, მოხუცი დედა მოინახულა და 1914 წლის მაისში ისევ გერმანიაშია, ამჯერად მიუნხენის უნივერსიტეტში.

მიუნხენის უნივერსიტეტი

მიუნხენში ახალგაზრდა მწერალმა გაიცნო ქართველოლოგი ფრიც ჰომელი, თარგმნა თომას მანის ერთი ნოველა, რაც მოკრძალებული ბარათით ამცნო დიდ მწერალს. თომას მანმა გამსახურდია თავისთან მიიწვია. ამ დიდმა მწერალმა, სამწუხაროდ, მხოლოდ გამსახურდიას პირადი გაცნობის შემდეგ შეიტყო ქართველებისა და საქართველოს შესახებ. თომას მანისთვის თარგმნა

კონსტანტინემ ვაჟას „გველისმჭამელის“ დასაწყისი. გერმანელი მწერლის გაცნობამ ქართველი სტუდენტი შესაძლო უგზო-უკვლოდ დაკარგვას გადაარჩინა.

1914 წელია. ჰაერში დენთის სუნი უკვე ტრიალებს. სარაევოში დამშბაჩიდან გასროლილმა ტყვიამ და ბოსნია - ჰერცოგოვინას მემკვიდრე პრინც ფერდინანდის დაღუპვამ სათავე დაუდო ისეთ მოვლენებს, რომელმაც ევროპის ყველა კუთხეში ოჯახების ბედი უკუღმა დაატრიალა.

დაიწყო I მსოფლიო ომი.

მსოფლიო ომის ავანსცენაზე იდგა გერმანია და რუსეთი.

გერმანიაში დაიწყო მოკავშირეების — რუსი, ფრანგი და ინგლისელი სტუდენტების — დაჭერები, დახვრეტები.

კონსტანტინეს მოუვიდა რუსეთის ელჩის დეპეშა: დაბრუნებულიყო უკან და დაეცვა მამულისა და მეფის ღირსება.

არც თქვენი მამულია ჩვენი მამული და არც თქვენი მეფეა ჩემი მეფეო - კონსტანტინე გერმანიაში დარჩა იმ იმედით, არც რუსი ვარ, არც ფრანგი და არც ინგლისელიო. მაგრამ ბედის ირონია ის იყო, რომ რუსის მეფეთა და გენერალთა პორტრეტების ჩამომგლეჯი და დამფხრეწი ახლა გერმანელებმა დაიჭირეს, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი...

კონსტანტინე გამსახურდიას მეორედ დაპატიმრება. საკონცენტრაციო ბანაკი

ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკები იმდენჯერ არის აღწერილი მეოთხმეტე საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში, იმაზე ყურადღების გამახვილება, თუ რა პირობები დახვდებოდა მწერალს იქ, ალბათ, არც ღირს. მის ყმაწვილკაცობაში ალიხანოვ-ავარსკის ლაშქრობის დროს რომ ხუმრობდნენ, - ალიხანოვი სახლს თუ გადამიწვავს, შიშით გული გაუსკდება, ტილები სულ ტკიცინ-ტკიცინს დაიწყებენო, - აქ სახუმაროდ აღარ იყო საქმე. ტილები ციხის დაუწველადაც ტკიცინებდნენ, ხოლო წყლიანი სუპიდან მწერთა კოლექციას ამოკრეფდი. ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, ბანაკი ბაბილონის გოდოლს რომ დამსგავსებოდა. ვის არ ნახავდით აქ: ფრანგს თუ ინგლისელს, რუსს თუ ბელგიელს, ქართველს, სომეხს თუ უკრაინელს. რაც მთავარია, გერმანელსაც. ერთ ღამეს დატყვევებული გერმანელები მოასხეს, რომელთაც ფრანკოფილობაში დასდეს ბრალი, და, კაცმა რომ თქვას, არც შემცდარან. ერთ გერმანელს, მაგალითად, ფრანგმა ტყვემ არ დაუჯერა, გერმანელების ჯაშუში რომ არ იყო, და იმ გადარეულმა პასუხად ისეთი არგუმენტი ატყაკა,

წელები გადმოაყრევინა: აილო გერმანელმა უზარმაზარი დანა, ფრანგი გამოშიგნა, წელები ხელზე დაიხვია და ფეხზე ამდგარმა „მარსელიოზა“ შემოსძახა. ამის შემხედვარე ფრანგი ტყვეები წამოცვივდნენ და მათაც „მარსელიოზა“ დასცხეს. მწერალი იმაზე აღარაფერს ამბობს, წელებგადმოგდებული მომაკვდავი ფრანგიც აძლევდა თუ არა აკომპანიმენტს.

შემოვარდნენ დარაჯნი და ადგილზე დაცხრილეს ეს იდეური ზვარაკნი ფრანგული რევოლუციისა.

სადაური სადა ვკვდები და ვისთვის ვკვდებიო, - ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ქსლა აღმოხდა ნარს ამოფარებულ გაოგნებულ გამსახურდიას.

მეორე დღეს ტყვეები მინდორში გაირეკეს, ტყვიამფრქვევები აკაკანეს და, რომ ეგონათ, შემოდგომის ცივი მზის ქვეშ, ამ ტრიალ ველზე დასრულდება ჩვენი წუთისოფელიო, სროლა შეწყდა. ტყვეები ბანაკში მირეკეს და დახვრეტის იმიტაციის შემდეგ აცნობეს: თუ გუშინდელი ამბავი კვლავ განმეორდება, სიცოცხლე არც ერთს აღარ გიწერიათო.

რამდენიმე თვის შემდეგ ციხიდან გასული ერთი ტყვე პროფესორის მეშვეობით გამსახურდიამ თომას მანს წერილი მიაწვდინა, — რუსის მეფის მტერი რუსის მეფის მტრების მიერ რატომ უნდა ვიტანჯებოდეო...

თომას მანის რეკომენდაციით კონსტანტინე გამსახურდია საკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლეს და სტუდენტის უფლებებში აღადგინეს.

საზღვარგარეთული საგას დასასრული

1911 წლიდან 1923 წლამდე კონსტანტინე ევროპის ხან ერთ ქვეყანაშია, ხან მეორეში, მაგრამ ის არ იყო ის კაცი, ევროპის ფილისტერულ ყოფას შეჰგუებოდა. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილს ნოსტალგიის გრძნობა ღრღნიდა. „დიონისოს ღიმილის“ მთავარი პერსონაჟის, მსოფლიო გზებზე მოხეტიალე კონსტანტინე სავარსამიძის სულის კივილი მწერლის იმდროინდელი სულიერი მდგომარეობის გამოძახილიც არის. „ტაია შელია. მე მარტო ვარ ამ ულრან ტყეში... ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა... ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ ულრან ტყიდან... თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი“. თუმცა სამშობლო მხოლოდ მონატრების საგანი როდი იყო იქ. უცხოეთში კონსტანტინესთვის, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, სამშობლოსათვის ისიც დიდი სამსახური იყო, რომ 1919 წელს გამსახურდიამ I მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი 3500 ქართველი მოკრიბა და საქართველოში დააბრუნა.

ისიც გმირობის ტოლფასი იყო, გაძსახურდია სამშობლოში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით 1921 წელს რომ ჩამოვიდა. მას გერმანიაში კომფორტული ცხოვრებისათვის უკვე გზა ხსნილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბრუნდება 2 წლის, 9 თვისა და 9 დღის დამოუკიდებლობის შემდეგ რუსთაგან იავარქმნილ საქართველოში, ქვეყანაში, საიდანაც დამპყრობელთაგან შეშინებული, ვისაც საით აქვს გასაქცევი, იქით გარბის. თავი რომ დავანებოთ „სიკვდილის ცელით“ აღბეჭდილ პოლიტიკურ ატმოსფეროს, სულიერ დეგრადაციას, ხალხს პური არსობისაც აღარ აქვს. აი, ერთი დოკუმენტი 1921 წლისა_

22 ივნისი. მწერალთა კავშირში სხდომის ოქმი №10.

სხდომას დაესწრნენ: აბაშელი, კოტეტიშვილი, ტაბიძე, რუხაძე, იაშვილი და აღლაძე. თავმჯდომარეობდა ა.აბაშელი, მდივანი ი.აღლაძე.

მოისმინეს განცხადებანი დახმარების შესახებ, დაადგინეს: მიეცეთ ორმოცდაათი ათასი მანეთი დუტუ მეგრელს, ან.ხოშტარიას. მ.აბრამიშვილს, შ.დადიანს, ზაქარია ჭიჭინაძეს, განდეგილს, იოსებ იმედაშვილს, სანდრო ცირეკიძეს, სოლომონ თავაძეს, ს.კლდიაშვილს, თეოფილე კეკელიძეს, კოწია გამსახურდიას.

ეს ის გამსახურდია გახლავთ, უცხო ქვეყანაში მილიონერ ბიძაშვილს რომ უარს ეუბნებოდა შეთავაზებულ ფულზე. ახლა კი იძულებულია მოწყალება მიიღოს. ამ სიაშია შალვა დადიანიც, სამეგრელოს დიდი თავადის, ნიკო დადიანის, შვილიც_ იქნებ 50000 მანეთი მოგეჩვენოთ დიდ ფულად. არა, ეს ის წლებია, ერთი პურის საყიდლად ტომრით რომ უნდა წაგეღოთ ფული_

მიუხედავად ყველაფრისა, გამსახურდია სწორედ 1921 წელს ჩამოდის საქართველოში, როცა ყველაზე მეტად უჭირს ქვეყანას.

კონსტანტინე გამსახურდიას მესამედ დაპატიმრება

ალარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ დასავლა „გათავხედებული“ საქართველო ლენინმა, როგორ შემოუსიეს წითელი რუსეთის აგაზაკთა ბრბო საკუთარ სამშობლოს სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძეებმა, როგორ ათოხნეს და გადათოხნეს ჩვენი ქვეყანა, როგორ დააყენეს სისხლის გუბეები, როგორ დაიწყეს პერმანენტული დაჭერები და დახვრეტები ქართვე-

ლი მამულიშვილებისა. ასეთ ვითარებაში ტყეში გასულ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე არანაკლებ გმირობას ჩენდნენ რუსთაველის პროსპექტზე მოსიარულე საუკეთესო ქართველი ინტელიგენტები. არ გაგიკვირდეთ, ეს ის დროა, როცა წითელი იმპერია ჯერ კიდევ არ არის მყარი და იძულებულია ოპონენტები აიტანოს.

ცალკეულ მალემრწმენთა საპირისპიროდ, რომელნიც წითლებს ფეხქვეშ გაეგნენ, ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მტრულად შეხვდნენ.

კონსტანტინე გამსახურდია ულიანოვ-ლენინს სწერს წერილს, რომელშიც, როგორც იტყვიან, ქვას ქვაზე არ ტოვებს.

ახალგაზრდა მწერალმა თბილისში ჯერ კიდევ ადრე დააარსა ჟურნალი „პრომეთე" (მიაქციეთ ჟურნალის სათაურს ყურადღება), რომელშიც თანამშრომლობდნენ: იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სიკო ფაშალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე. ასე რომ, 1921 წლისათვის იგი უცნობი გვარი და სახელი კი არ არის ქართული საზოგადოებრიობისათვის, პირიქით, ერთბაშად დგება პირველხარისხოვან მწერალთა და მოღვაწეთა ჯგუფში.

მისი საქმიანობა, ცხადია, ჩეკას ყურადღებიდან არ გამორჩენია, რისთვისაც მწერალი 1922 წელს დააპატიმრეს.

გთავაზობთ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის დოკუმენტს.

ოქმი №16

5 თებერვალი 1922 წელი

დაესწრნენ: ილია აღლაძე, გ.ტაბიძე, ობოლი მუშა, ია ეკალაძე, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი, კოკი აბაშიძე, გრიშაშვილი, არ.რუხაძე, კოტე მაყაშვილი

თავმჯდომარეობდა ლეო ქიაჩელი

განიხილეს: 6) კოწია გამსახურდიას დაპატიმრების გამო.

დელეგაციის არჩევა

დაადგინეს: მიენდოს აბაშელსა და გრიშაშვილს, სთხოვონ ჩეკას თავმჯდომარეს გამსახურდიას განთავისუფლება.

თავის დროზე მეფის მთავრობისაგან დევნილი ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინეს სოციალ-დემოკრატი ძმის მეგობარი, გამსახურდიების ოჯახში

იმალებოდა. – ეს რა მთავრობისთვის ვიბრძოდით, – ვინ იცის, რა მოწამლულ ხასიათზე მიდიოდა აბაშელი გრიშაშვილთან ერთად ჩეკას თავმჯდომარესთან.

მწერლების თხოვნამ იმჯერად გაამართლა, ისე როგორც მომდევნო 1923 წელს გაამართლა დატყვევებულ მიხეილ ჯავახიშვილთან დაკავშირებით. როგორც გითხარით, საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გამოუჩენია ბოლომდე ურჩხულის კბილები. რამდენიმე წელიც და მსგავს შემთხვევაში თხოვნასაც ვეღარ გაუბედავს ჩეკას ძეხორციელი.

კონსტანტინე გამსახურდიას მეოთხედ და მეხუთედ დაპატიმრება

გამსახურდია 1924 წელსაც აღმოჩნდა ციხეში, ფორტუნამ ამჯერადაც გაუმართლა და გამოუშვეს, მაგრამ, როგორც ოფიციოზი იტყოდა, გამსახურდიამ დასკვნა ვერ გამოიტანა – ალექსანდრე აბაშელთან, პავლე ინგოროყვასთან, იოსებ გრიშაშვილთან ერთად დააარსა აკადემიური ასოციაცია. ეს ის ასოციაციაა, რომელიც ყველაზე რადიკალურად უპირისპირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ასოციაციის წევრები, შავ ჩოხებში გამოწყობილნი, დემონსტრაციულ პროტესტს გამოხატავენ დამპყრობლების მიმართ.

1921-1926 წლებში კონსტანტინე რედაქტორობდა ჟურნალ „ილიონს“, „ლომისს“, „ქართულ სიტყვას“.

ყველა ეს გამოცემა იყო ანტისაბჭოური პათოსით გაჟღენთილი, რასაც წერტილი დაესვა კონსტანტინე გამსახურდიას უკვე სამწლიანი პატიმრობით.

მწერალი ჯერ თბილისის ჩეკას ჯურღმულებში ჰყავდათ, შემდეგ მოსკოვის ჩეკას ჯურღმულებში გადაიყვანეს (იხ. მისი ნოველა „ჯამუ“) და იქიდან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისკენ საკონცენტრაციო ბანაკის გზას გაუყენეს. თუ თქვენ წაიკითხავთ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ და საბჭოთა ხელისუფლების წლებში აკრძალულ გამსახურდიას დოკუმენტურ მოთხრობას „მტრების მეგობრობა“, ნათლად წარმოგიდგებათ მწერლის ყოფის ის პერიოდი.

მოსკოვში, ჩეკას დილეგში ყოფნისას, მას ჩააკითხა შავჩოხოსანმა მეგობარმა პავლე ინგოროყვამ. ერთმანეთის ნახვით გამთბარი ეს ორი ჭეშმარიტი მამულიშვილი დიდხანს უმზერდნენ ცრემლმორეული თვალებით ერთურთს. დილეგის სარკმელს აკრული ყინულივით ცივი გისოსი ყოფდა პატარა ციხისა და დიდი ციხის მკვიდრთ.

კონსტანტინე გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვა

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1929 წელს, გამოდის მწერლის სქელტანიანი რომანი „დიონისოს ღიმილი“, რომელიც 10 წლის წინ უკვე დაწერილი ჰქონდა და ხელნაწერი დაკარგა. ერთხელ უკვე დაწერილ რომანზე მეორედ მუშაობა არის არა შემოქმედებითი ტანჯვის გზით სიხარულისკენ სვლა, არამედ ტანჯვა სიხარულის გარეშე. 1930 წელს მწერალმა გამოსცა „მარცხენა თვალით“, „ტაბუ“, „ხოგაის მინდია“.

1931 წელს განიზრახეს მწერალთა ფედერაციის წმენდა-გაცხრილვა და მუშფაკებიდან (მუშათა ფაკულტეტებიდან) მოსულმა „მწერლებმა“, რომელთა გაწვევა შემოქმედების ფრონტზე ისევე ხდებოდა, როგორც ჯარში, არა ღირსწევრებად ცნეს... თუმცა სჯობს ეს ამბავი დოკუმენტური სიზუსტით გადმოგცეთ. აი, არქივის მტვერწაყრილი დოკუმენტი:

ოქმი №5

მწერალთა ფედერაციის წმენდის კომისიისა 9 მაისი 31 წ.

მოისმინეს: მწერალთა ფედერაციის წევრთა გადაცხრილვა და არა ღირსწევრების გამორიცხვა.გარჩეულ იქნა ფედერაციის შემადგენლობა.

დაადგინეს: 1. გამსახურდია კონსტ. გამოირიცხოს (წინადადება ერთხმად იქნა მიღებული).

2. ვარდოშვილი ხარიტონ. გამოირიცხოს, როგორც პასიური წევრი. 4 მომხრე. ერთი თავს იკავებს.

3. ინგოროყვა პავლე. გამოირიცხოს (ერთხმად).

4. კეცხოველი ნიკო. ირიცხება მექანიკურად ფედერაციიდან.

5. რაჭველიშვილი ქრისტეფორე (გამოირიცხოს როგორც პასიური წევრი).

სხვა დოკუმენტი მოწმობს, რომ კონსტანტინე მწერალთა კავშირში აღუდგენიათ ერთი წლის შემდეგ, 1932 წლის 16 ივნისს, პირობის დადების შემდეგ, რომ „მომავალში გააცხოველებდა მუშაობას მშრომელი მასისა და საბჭოთა კავშირის ნდობის დასამსახურებლად“...

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა

ამ სათაურით რატომღაც ყველას მე-19 საუკუნის 60 და 70-იანი წლების მამა-შვილთა ბრძოლა ახსენდება. არადა ეს ბრძოლა თითქმის პირდაპირი

მნიშვნელობით მიმდინარეობდა მე-20 საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში იმ განსხვავებით, რომ, თუ მე-19 საუკუნეში სიმართლე „შვილების" მხარეს იყო, ამჯერად „შვილები" უკულტურობისა და ბნელეთის მოციქულებად გვევლინებიან.

კიდევ ერთი სხვაობა:

თუ მე-19 საუკუნეში მეტი ძალაუფლება „მამებს" ჰქონდათ, ამჯერად ამ უფლებით „შვილები" არიან აღჭურვილნი.

„მამებსა" და „შვილებს" შემთხვევით არ ვსვამ ბრჭყალებში. აქ უფრო ორი განსხვავებული იდეოლოგია იგულისხმება, ვიდრე სხვაობა ბიოლოგიურ ტოლსწორობაში. ასაკის მიხედვით ილია ჭავჭავაძესა და ბარბარე ჯორჯაძეს ან რევაზ ერისთავს შორის დიდი სხვაობა არ იყო, ასაკის მიხედვით ისინი მამებად და შვილებად ვერ ჩაითვლებიან, ისე როგორც განსახილველი პერიოდისათვის მამების ბანაკში აღმოჩენილი, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდია და, მით უფრო, პაველ ინგოროყვა სრულიად ახალგაზრდები არიან.

მე-19 საუკუნეში „შინგაზრდილი თეორეტიკოსები" და თერგდალეულები, რეგრესი და პროგრესი შეეჯახა ერთურთს.

მე-20 საუკუნეში – „მარქსის თუთიყუშები" (ილიას ტერმინია) და ანტიმარქსისტები.

ამ ბრძოლაში 30-იანი წლების I ნახევარშიც კი კალმით შეიარაღებული მამები მაუზერიან შვილებს ჯერ კიდევ არ უხრიან თავს და შიგადაშიგ ჯურსაც უწევენ, თუმცა იმის თქმას უკვე ვეღარ ბედავენ, რომ მარქსი არ მოსწონთ, რომ ლენინი ბელადი არ არის, რომ სოციალიზმი ცუდია. „მამებს" იძულებით ტაქტი აქვთ შეცვლილი და მარქსისა და ლენინის მოშველიებით ცდილობენ „შვილების" პროვოკაციების აღკვეთას. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ჭიატობს თავისუფალი აზრიც.

მე ხელთა მაქვს 1932 წელს ქართველ მწერალთა პლენუმზე „მამათა" და „შვილთა" პაექრობის ერთი სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელსაც დღეს ღიმილის გარეშე ვერ წაიკითხავს მკითხველი.

გთავაზობთ ამ სტენოგრამას შემოკლებით.

ლაპარაკობს პროლეტკულტელთა წარმომადგენელი *კონსტანტინე ლორთქიფანიძე*:

კ.გამსახურდიას უთქვამს თუ არა ოდესმე რაიმე მეორე საბჭოთა მწერლის შესახებ?

კ.გამსახურდია — არ წაგიკითხავთ, მთელი მიმოხილვა მაქვს.

კ.ლორთქიფანიძე — ეს წინეთ.

— აბა ამ ორი წლის განმავლობაში არაფერი მაწერიეთ და–

— მე ვეუბნები ამ ორ კოწიას, ნუთუ ყველაფერში ერთი აზრის არიან. როგორ დავიჯერო ამხ.გამსახურდია, რომ თქვენ ყველაფერში ეთანხმებით კ.ჭიჭინაძეს ან ის თქვენ.

— რასაკვირველია არა.

— რატომ არ სჩანს ეს?

— ორი წელიწადია ჩემთვის პრესის კარები დაკეტილი იყო. ქუჩაში ხომ ვერ ვიყვირებდი.

— პრეზიდიუმს თავიდანვე უნდა მიექცია ყურადღება, რომ მთელი რიგი მწერლები: ჯავახიშვილი, გამსახურდია, არ ლაპარაკობდნენ შემოქმედებით მეთოდზე. ამხ.გამსახურდიამ რეპლიკა მოგვცა, რომ ჩემთვის უკვე გამორკვეულია შემოქმედებითი მეთოდიო, მე მგონია, რომ გამსახურდია ცდება ამ დებულებაში, იმიტომ, რომ თუ მისთვის გადაჭრილია მეთოდი...

— დამწყები ხომ არ ვარ?

— თუ გამსახურდიასთვის გადაჭრილია შემოქმედებითი მეთოდი, მე ვამბობ, რომ გამსახურდია თავის დღეში ვერ გახდება საბჭოთა მწერალი, ვინაიდან ის შემოქმედებითი მეთოდი, რომლითაც წერს იგი, ვერასოდეს ვერ მიიყვანს სოციალისტურ რეალიზმამდე, მარქსისტულ მსოფლმხედველობამდე.

— ვინ დაამტკიცა, რომ სოციალისტური რეალიზმი არის ცეკას რეზოლუციის შედეგი? ტროიანული ცხენია ეგ.

ოო, ეს კი მეტისმეტი იყო. რაო? ეს რა თქვა? ლორთქიფანიძემ კაი მებადურივით მოუსვა ბადე და მსხვერპლი დღის სანათლეზე ამოაგდო...

ლორთქიფანიძე — აა, სოციალიზმი ტროიანული ცხენია არა?

კ.გამსახურდია — (თავადაც აწრიალდა ხაფანგში) სოციალიზმი კი არა, სოციალისტური რეალიზმი-მეთქი.

პროლეტკულტელისთვის არც სოცრეალიზმის გინება იყო დედის გინებაზე ნაკლები. მჭექარედ განაგრძო:

— მე მგონია, ამხანაგი გამსახურდია ძირშივე სცდება სოციალისტური რეალიზმის განმარტებაში, ამხ. გამსახურდიას რომ თავი შეეწუხებინა, უფრო მეტად ჩაფიქრებოდა ამ სოციალისტურ რეალიზმს, რას ნიშნავს ეს რეალიზმი, რომელსაც ეხლა აყენებს მოწინავე კაცობრიობა.

— ვინ აყენებს!

— მაგალითად აყენებს გორკი.

— გორკი ჩემი უფალი კი არ არის!

— აყენებს მარქსისტული აზროვნება, მარქსისტული კრიტიკა აყენებს ამ საკითხს.

ამის შემდეგ „სიკვდილის ავტომობილზე“ დაწერილი ლექსის ავტორმა დაუწყო „დიონისოს ღიმილის“ ავტორს ახსნა-განმარტება იმისა, თუ რა არის სოციალისტური რეალიზმი.

კლორთქიფანიძე — ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, რაც ნათელია, რაც უბრალოა, ცდილობენ აუცილებლად დააბნელონ. ვასილკოვსკი ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვწეროთ მართალი, ვინაიდან ჩვენ არაფერი გვაქვს დასამალი.

ამ შეჩვენებული ვასილკოვსკის ვინაობა ვერც ერთი ენციკლოპედიიდან ვერ შევიტყვე, ვერც ერთ წყაროში ვერ მოვძებნე, საუკუნის ეს აღმოჩენა რომ გაუკეთებია...

როლში შეჭრილ ორატორს *კონსტანტინე ჭიჭინაძე* ესვრის რეპლიკას:

— მე ვარ ელემენტარული და ეგ არი რთული ამბავი?

ლორთქიფანიძე ახლა მიხეილ ჯავახიშვილს გადასწვდება:

— ავიღოთ მიხეილ ჯავახიშვილი, იქ, სადაც ჯავახიშვილი არის რეალისტი, ის უახლოვდება ჩვენს თანამედროვეობას და ამით მიეცა მარქსისტულ კრიტიკას შესაძლებლობა ეთქვა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი არის თანამგზავრი. მაგ. „ჯაყოს ხიზნები“.

აქ *ტიციან ტაბიძეს* ველარ გაუძლო გულმა. ირონიით ჰკითხა:

— „დამპატიჟეში“ რეალისტია თუ რომანტიკოსი?

ალი არსენიშვილმა ჩაიფშლუკუნა: „ეტა ოტბროსი რეალიზმა“.

პროლეტკულტელმა სრული სერიოზულობით განაგრძო ლექცია:

— მართალია, რეალისტია, მაგრამ ისეთი რეალისტი, როგორც ენგელსი უსაყვედურებდა გარკნეს: შენ რეალისტი ხარ, მაგრამ გაკლია ტიპიურობა. შენ პასიურად გამოიყვანე მუშათა კლასი. აი, სწორედ, მიხ.ჯავახიშვილმა პასიურად გამოიყვანა მუშათა კლასის ხელისუფლება.

ხმა — პასიურად კი არა, ძალიან აქტიურად ჩაგრავს ხალხს.

ლორთქიფანიძე — მიხ.ჯავახიშვილი რეალისტია, მაგრამ „დამპატიჟე“ არის არა ტიპიური.

ქუჩიშვილი — შენ თითონ უარყოფ მას, რაც წელან თქვი, რეალიზმი ხან კარგი ყოფილა, ხან ცუდი.

კლორთქიფანიძე — ჩვენ ვიცით, რომ მარქსი...

კ.ჭიჭინაძე — თქვენ იცით, მარქსმა რა დაწერა ბალზაკზე, მაგრამ არ იცით, რა დაწერა ბალზაკმა.

მეორე პროლეტკულტელი წამოეშველა ლორთქიფანიძეს — დაინიშნოს ოფიციალური გამოცდა, ვის არ წაუკითხავს ბალზაკი. ვნახოთ, ვინ არ იცის ბალზაკი.

ჯაჯანიშვილი — ბალზაკს 80 ტომი აქვს და აქედან მეათედი არ არის გადათარგმნილი რუსულ ენაზე. არც ერთი ახალგაზრდა უცხო ენას არ სწავლობთ.

კალაძე — უფრო მეტი სწავლა თქვენ გჭირდებათ, რაც ისწავლეთ, ჯერ ის უნდა დაივიწყოთ.

ლორთქიფანიძე — როდესაც ჩვენ ვეუბნებით ძველ მწერლებს, რომ ჩვენ გვსურს მათ შემოქმედების საკითხებზე გვესაუბრონ, კ.გამსახურდია გვეუბნება, რომ მისთვის ეს საკითხი დიდი ხანია გადაჭრილია.

კ.გამსახურდია — ვასილკოვსკიდან გინდათ მასწავლოთ, უკაცრავათ!

ლორთქიფანიძე — დიახ, უნდა ისწავლოთ.

გამსახურდია — იოხტურ. მე სწავლება გავათავე. ეხლა უნდა ვწერო.

მეორე პროლეტკულტელი — გიოტესგან ისწავლი?

გამსახურდია — დიახაც.

ვფიქრობ, ვერანაირი შტუდიები ამ ორი მხარის გონებრივ ავლა-დიდებას ისე სრულყოფილად ვერ დაგვიხატავდა, როგორც აღნიშნული დიალოგის დოკუმენტური ჩანაწერი.

მაგრამ რად გინდა, უჭკუო ძალამ აჯობა ჭკვიან უძლურებას, ძალამ ალმართი მოხნა და მდინარე მაღლა აიჩუხჩუხა...

ბედი კატებს შორის მოხვედრილი ლომის ბოკვერისა

კონსტანტინე გამსახურდიამ ერთ-ერთ გამოსვლაში მწერალთა თავყრილობაზე ასეთი რამ თქვა: გაგიგონიათ ქართული ლეგენდა, — თურმე ლომს თავისი ბოკვერი დაეკარგა ერთხელ. რამდენიმე წლის შემდეგ ლომმა იპოვა თავისი ბოკვერი ერთი გლახის სახლში. ჰკითხა: შვილო, რამ დაგაჩაგა ასე, შენ ლომის ბოკვერი თუ კატა ხარ? მეო, უპასუხა კატამ, ლომის ბოკვერი ვიყავი, მაგრამ დაჩაგებულმა ადამიანებმა დამაჩაგეს...

მე ვამტკიცებ, დიდი ადამიანებისაგან მოცემული დიდი იდეები ისევე ჩაიდება საცოდავი ადამიანების ხელში, როგორც დაჩაგდა ლომის ბოკვერი...

კონსტანტინე გამსახურდიას მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან გამოყვანა

პირველ სიტყვაზე მოვიდეთ. მწერლის წარსულზე თხრობა იქიდან დავიწყეთ, პრეზიდიუმის სხდომაზე ცეკადან მოელენილმა ახალგაზრდამ რომ შესვენება გამოაცხადა.

ზის ცხოვრებისაგან ლახტით ნაცემი, ამდენ ჯარდაკსა და ფათერაკებს გადარჩენილი მწერალი და მწარე ფიქრებში წასული იხსენებს რომანოვების სურათების ჩამოგლეჯას ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კედლებიდან. I მსოფლიო ომის დროს ტრაუნშტანის საკონცენტრაციო ბანაკს, ჩეკას ჯურღმულებს, ბუტირკის ციხეს, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სუსხს, 10 წლის წინათ დახვრეტილ თანამოკალმეებს.

ეგონა, ყველაფერმა ჩაიარა.

ბელადის ცხოვრებაზე მხატვრული მატიანის დაწყებამ სიცოცხლე შეუნარჩუნა. ბერიამაც წყალობის თვალით გადმოხედა. კრიტიკოსებმა კორტნეს, მაგრამ ბოლოს მაინც აღიარეს. სამი წლის წინ, 1944-ში, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად იქნა არჩეული. იმავე წელს „დავით აღმაშენებლის“ I და II წიგნისათვის სსრკ-ს უმაღლესი ჯილდო - სტალინური პრემია — მისცეს.

უკვე გამოცემული აქვს თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელთა დაწერას კი არა, უშეცდომოდ გადაწერას ვერ მოახერხებს ცეკადან მოლენილი ის პასუხისმგებელი ახალგაზრდა, რომელმაც სხდომის განახლებისთანავე დასჭექა:

— თქვენმა განცხადებამ არ დაგვაკმაყოფილა, ეგ მონანიება სულაც არ არის. თქვენ სტალინურ ეპოქას რომანოვებისა შეადარეთ, მერე და როგორ, თქვენ ამხანაგი ფადეევი გალანძღეთ. ეგ მონანიება არ არის, ვის იგდებთ თქვენ, ამხანაგო, ვის?

— ვის, ვის იგდებთო, — ხმა შეუწყვეს პრეზიდიუმის წევრებმა, ადრე პროლეტკულტელებმა, „ვასილკოვსკელებმა“, ახლა მწერლების უფროსებმა...

— ვინანიებ, ვინანიებ ამხანაგებოო, თუ საშუალებას მომცემთ, გამოვსწორდები, რომანოვების ეპოქა რა სახსენებელია, ფადეევი ჩვენი ძვირფასი ამხანაგია, ვინანიებ, გულწრფელად ვინანიებო, — ყბა აუკანკალდა. ასე, სწორედ ასეა დაფიქსირებული 1947 წლის 10 სექტემბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერში.

გაივლის სულ რაღაც 10 წელი და იგივე ხალხი ალაპარაკდება სტალინური ეპოქის კოშმარზე.

გაივლის სულ რაღაც 12 წელი და ფადეევი, ეს რა სისტემას ვემსახურეო, შებლში იგლეჯს ტყვიას...

მაგრამ ჯერ ისევ 1947 წელია და, როცა კონსტანტინეს გამოუცხადეს, გადაეწყვიტეთ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან გამოგიყვანოთო, სიხარულს ვერ მალავდა, ისე მიიჩქაროდა სახლისაკენ, ამაზედაც გმადლობ, უფალო, ამაზედაც გმადლობო. ხომ შეეძლოთ „დიდი ციხიდან“ კიდევ

ერთხელ...

მიიჩქაროდა და თან ირონიით შეახსენებდა თავს კატებში მოხვედრილი ლომის ბოკვერის ამბავს...

ეპილოგის მაგიერ

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა მწერალმა. რაც მთავარია, ეპოქამ ბოლომდე ვერ გატეხა, ლომის ბოკვერი კატად ვერ აქცია. იგი იყო პირველი, რომელმაც, გრიგოლ რობაქიძესთან ცუდი პირადი ურთიერთობის მიუხედავად, როცა ეს სარისკო იყო, მოითხოვა ემიგრანტი მწერლის პიესების სცენაზე აღდგენა.

იგი იბრძოდა გარუსების წინააღმდეგ, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად.

მან აღიმაღლა ხმა ხრუშჩოვის ანტიქართული პოლიტიკის დასაგმობად. პირადი ტკივილი არ დაჰკლებია. სიბერე მეუღლისა და სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილის სიკვდილმა ჩაუმწარა.

არ უღალატია ფიცისთვის, რომლითაც ქუთაისში, პირტიტველა ბიჭებმა, „ცხრამუხელებმა", საფიჩხიას ეკლესიაზე შეჰფიცეს ერთურთს — საქართველო უნდა გავათავისუფლოთო.

ამ ფიცის აღსრულებას იგი ვერ მოესწრო. ქართული მწერლობის მახვში 1975 წლის 17 ივლისს უკანასკნელ გზაზე გააცილა მთელმა ქართველობამ და მწერლისავე ანდერძისამებრ დაკრძალეს საკუთარ ეზოში, აწ იავარქმნილი კოლხური კოშკის ბაღში.

თუმცა ფიცი მამისა აღასრულა მისმა ვაჟმა, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

სამწუხაროდ, კონსტანტინე ამ დღეს ვერ მოესწრო.

საბედნიეროდ, კონსტანტინე გამსახურდია ერთადერთი ვაჟის სიკვდილსაც ვერ მოესწრო. რა იცოდა მამამ, როცა ტყეში გახვეწილი გიორგი პირველის სიკვდილზე ამბობდა — სიკვდილშიაც არ ჰქონიაო ბედი გიორგი მეფეს, — ამ სიტყვებით საკუთარი შვილის ცხოვრების ეპილოგსაც რომ აღწერდა...

«დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა»

წინათქმა

ადამიანები ტკომურსა და, გნებავთ, ჯოგურ იმპულსებს ვერ გასცდებოდნენ, თანამედროვეთა, განსაკუთრებით კი თაობებს შორის გაუცხოების ყრუ კედელი იღიმართებოდა, გენეტიკურის გარდა რაღაც უფრო დიდის, საერთოს, კოლისმომცველის სულიერი ნათესაობის განცდა რომ არ ჰქონდეთ კაცთა.

ხელოვანი თაობათა სულიერი ნათესაობის ნათლიაა. მშვენიერი წიგნები ბკვლელებსა და ღვთიშეწირულ მონაზვნებს, მცირე ხნით მაინც, საერთო ცანცდებით აღავსებენ.

გოეთეს ახალგაზრდა ვერტერის ვნებებს ისევე ადუღებული კითხულობს დღეს ვკერაც უცადი უფროსკლასელი გიმნაზიელი, როგორც 200 წლის წინ ვწურცლავდა ნაპოლეონ ბონაპარტე, ნაცადი მხოლოდ ომებში და სიკვდილის იჯესვაში... წიგნი, რომელზედაც ვიწყებთ საუბარს, ნახევარ საუკუნეზე მეტია ჩვენი სულიერი ნათესაობის მყარ ხიდადაა გადებული.

რომანის დაწერიდან (1939 წ.) დღემდე, ვინ იცის, რამდენ მკითხველს დაასთენებია შორენასა და არსაკიძის გაუხარელი სიყვარულითა და ადრე ჩაწყვეტილი სიცოცხლის გამო გულშეძრულს.

რამდენი თანამლმობი ჰყოლია მეფეთმეფე გიორგი პირველის სულიერ ბაანკვას თუ ტიტანურ ძალისხმევას მამულისათვის.

ანთებულან ზვიად ერისთავის სიმტკიცით და მოხიბლულან გირშელის სალგულოვნებითა და ალალმართლობით.

რამდენს ასწეწია სული თავკერძა ქართველების მიერ მოძმის ჩოსაკვდინებლად აკვნესებულ ხმალთა ეჭოთი.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ძველი საქართველოსა და ძლიერი ნებებით ატანილი ქართველების მონატრებაა. ეს წიგნი მომდევნო თაობებსაც სცევე წარმატებით შეაბრუნებინებს მზერას ჩვენი შორეული წარსულისაკენ,

რათა გაახსენოს, ვინ არიან, ვისი გორისანი, ვისი ძვლებით გაპოხიერებულ მიწაზე დააბიჯებენ, ვისი ტანჯული სულია დავანებული იმ ეკლესია-მონასტრებში, სადაც პირჯვრის გადასაწერად უნდა შეიარონ...

არაფერია უფრო ლირიკული თაობათა გადაძახილში, ვიდრე ის, როცა ღრმად მოხუცებული იდუმალ უჭრეტს ახლად შეღერებულ შვილთაშვილს, რომელიც სწორედ ისეთივე ანთებული თვალებით ჩაჰკირკიტებს წიგნს, იმავე ენებით შეპყრობილი გადასხლებულა მწერლის მიერ შექმნილ ახალ სამყაროში, როგორც ეს ამ უკანასკნელს განუცდია მის ასაკში იმავე წიგნის კითხვისას, ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ...

სწორედ ეს არის მწერლის უკვდავება.

სხვა ყველაფერი, მის სახელთან დაკავშირებული, დროებითია და წარმავალი...

თავი I
ნაწარმოების პროლოგი და ბოლოთქმა, ანუ „დიდოსტატის მარჯვენის“ დაწერის დრო

ორიოდე სიტყვა სწორედ დროებითსა და წარმავალზე.

ნაწარმოებს უძღვის პროლოგი და ერთვის ბოლოთქმა. როგორც წესი, ლიტერატურაში პროლოგსა და ეპილოგს განსაზღვრული დატვირთვა აქვს. შუა საუკუნეების მწერლობაში ერთსაც და მეორესაც მკაცრი ეტიკეტი განსაზღვრავდა – პროლოგი შემოქმედის პოეტიკის განსაზღვრის, მისი მრწამსის გადმოცემის, ნაწარმოების ადრესატისადმი მიძღვნის ფუნქციას ასრულებდა, ეპილოგი კი აგვირგვინებდა თხზულების რაობას.

შემდგომ ეს ეტიკეტი დაირღვა, მაგრამ პროლოგსა და ეპილოგს თუკი მაინც მიმართავდა მწერალი, მიმართავდა ისევ მხატვრული ამოცანის უკეთ გააზრებიდან გამომდინარე.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენას“ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, ბოლშევიკურ-ტირანულ ეპოქაში წერდა.

კომიკურია, საფუძველი ტრაგიკული რომ არ ჰქონდეს. ამ დროისათვის, ისე როგორც ყველაფერმა ღირებულმა, ამ უწყინარმა ლიტერატურულმა ცნებებმაც, - პროლოგმა და ეპილოგმა — თავისი ფუნქციის საწინააღმდეგო, ანთუ კარიკატურული შინაარსი შეიძინა.

ყველაფერი ღირებული შეიცვალაო – ვამბობთ.

თვალსაჩინოებისათვის ორიოდე მაგალითი გავიხსენოთ.

თუ ადრე მატეო ფალკონემ შვილს უცხო და უცნობი ადამიანების დაბეზღებისათვის ტყვია ჰკრა, ახალ დროში პავკა მოროზოვი საკუთარი მამის გაცემისათვის გმირად მოინათლა მთელს საბჭოეთში.

ოთარაანთ ქვრივის გიორგის თუ ადრე თავადის ქალის სიყვარული მამაკაცურ ვნებად ეთვლებოდა, ახალ დროში მდიდრის ქალიშვილზე შეყვარებული ბოგანო მაშინ ჩაითვლებოდა ნამდვილ მამაკაცად, თუ თავის საყვარელს ჭიტლაყს ამოჰკრავდა და ასე დათრგუნავდა სენტიმენტალურ გრძნობას, ახალ ადამიანად „მოქცეული“.

ერთი სიტყვით, არ გაგიკვირდეთ, იმ უცნაურ ხანაში თუ უწყინარმა პროლოგ-ეპილოგმაც მათთვის გაუგონარი მისია იტვირთოს. კერძოდ, მწერლებმა მათ მხატვრული ამოცანის გაშიფვრის ნაცვლად იძულებით მხატვრული ამოცანის გაბუნდოვნება ან უბრალოდ თავისმართლების მისია დააკისრეს.

არათუ მწერლობაში, ასე იყო ხელოვნების ყველა დარგში, ასე იყო მეცნიერებაშიც - ყოველგვარი შესაფალი ძაღლისთვის მისაგდები ლუკმის როლს ასრულებდა, რათა მშვიდობიანად, ბარკლის გამოგლეჯის გარეშე გაგეცლო.

მკვლევარს კომბოსტოს ჩითილების ახალი ჯიშის გამოყვანის ახალი მეთოდი რომ აღეწერა, შესაფალში აუცილებლად მარქსი, ენგელსი, ლენინი ან სტალინი, ანდა ყველა ერთად უნდა ექო, როგორც დიდი მეკომბოსტოეები.

ახლა წარმოიდგინეთ მწერალი, რომელიც დიდი საქართველოს მონატრებაზე და ნაციონალური გმირების ფართო გალერეაზე რომანის დაწერას განიზრახავდა იმ დროში, როცა წარსულისაკენ გახედვა მხოლოდ ამ წარსულის ლანძღვა-გინებისათვის შეიძლებოდა.

ამ აზრით „დიდოსტატის მარჯვენა“ არა მხოლოდ მხატვრული შედევრია, არამედ იმ დროისათვის მისი შექმნა მოქალაქეობრივი გაბედულების ნიმუშიც იყო.

პროლოგში არის აბზაცი, რომელიც ავგაროზიევით მოიშველია მწერალმა, ეპოქის ავთვალთათვის რომ აერიდებინა თავიცა და საკუთარი რომანიც.

სვეტიცხოველის ტალანებში ჩრდილივით მორიალე თეთრწვერა ექვთიმე ასე ეუბნება მწერალს: „საუკუნე აწვიმდა ტაძარს, ახალ დროშიაც კაცს არ მოჰგონებია მისი შეკეთება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ვინაცვალე მას, გადაახურვინა იგი წლეულს და გალავნის ქონგურები შეაკეთეს“.

ვინც იმ ეპოქას (ტაძართა ნგრევის ხანას) და კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიას კარგად იცნობს, შეუძლებელია ამ სტრიქონებმა და განსაკუთრებით ძალით მოთრეულმა ჩართულმა ფრაზამ „ვინაცვალე მას“ ღიმი არ მოჰგვაროს.

დაისტამბა რომანი, მართლმადიდებლური ბიზანტიისადმი (იგულისხმეთ

მართლმადიდებლური რუსეთისადმი) წინააღმდეგობის სულით გაჟღენთილი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია ქვეტექსტები, შესაბამისი იყო დაქირავებული კრიტიკის რეაქციაც და ახლა მწერალი იძულებული გახდა მეორე გამოცემისათვის ბოლოთქმა, ანუ თავისმართლება დაერთო. „ფარსმანის სოფისტურმა პარადოქსებმა საბაბი მისცა ზოგიერთს, ჩემთვის დაებრალებინა, თითქოს საბჭოურ სინამდვილეში მეკისროს სახელმწიფო შეკვეთის უარყოფა საერთოდ. უთუოდ სასაცილოა ამგვარი მტკიცება“.

ბოლოთქმაში მწერალს უხდება მტკიცება იმისა, რომ რომანის მთავარი გმირი ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძეა და არა მეფე გიორგი. ვინაიდან მონარქის მთავარ გმირად გამოყვანა, მით უფრო, იმ სახით, როგორადაც მან გიორგი მეფე წარმოგვიდგინა – „უშიშარი ვითარცა უხორცო“, თავის ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, – ასევე ფარსაგი საქმე იყო.

სხვათა შორის, მწერლისეული განმარტებების იძულებითი ხასიათი არ გაითვალისწინეს ჩვენი დროის ფილოლოგოსებმა და დღემდე დარჩა საკამათო თემად საკითხი, თუ ვინ არის „დიდოსტატის მარჯვენის“ მთავარი გმირი – კონსტანტინე არსაკიძე თუ გიორგი მეფე, თითქოს გმირების გალერეაში იერარქიის დადგენას სპორტული ჟღილდო ახლდეს...

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლოთქმაში მწერლისეული მსჯელობა ბიზანტიური იმპერიალიზმის შესახებ.

„ნაციონალური ბიზანტიის ოდესღაც მოძულე, ბოლოს და ბოლოს დაერწმუნდი, რომ ბიზანტია იყო არსებითად ნამდვილი ფორპოსტი დასავლეთური დიდი ცივილიზაციისა“.

„თუმცა ქართველები და სომხები ცალკეულ პერიოდში ებრძოდნენ კიდეცაც ბიზანტიურ იმპერიალიზმს, განსაკუთრებით მაკედონური დინასტიის პერიოდებში, იგივე ბიზანტია იყო ოდესღაც დიდი ასპარეზი, ამ ორი ერის საუკეთესო შვილთა პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული უნარის გამოსაჩენი, რამდენადაც ბიზანტიის იმპერია მარტოოდენ ბერძენთა ტალანტის მეოხებით წარმომდგარი სახელმწიფო არა ყოფილა“.

აქ არაფერი წერია უმართებულო, მაგრამ, თუ „დიდოსტატის მარჯვენის“ მთელ რიგ პასაჟებს გავიხსენებთ, განსაკუთრებით მონოლოგს მეფისა „ქურდები არიან ბიზანტიელები“– საეჭვო ხდება, რისთვის დასჭირდა ბოლოთქმაში მწერალს ვრცელი ექსკურსი ბიზანტიის ისტორიიდან, რომელიც, გინდა არ გინდა, არაფრით არ ასხამს წყალს რომანის ძირითად პათოსზე ამ მიმართულებით?

საქმე ის არის, რომ მთავარი და ყველაზე საშიში ბრალდება, რაც ამ რომანთან დაკავშირებით შეიძლებოდა წამოეყენებინათ, ეს სწორედ რომანის

ანტიბიზანტიური, ანტიიმპერიალისტური პასაჟები იყო.

ბოლოთქმაც ავთვალისაგან დამცავ ერთ ავგაროზად მოფიქრებული მონაკვეთი გახლავთ „დიდოსტატის მარჯვენის“ შექმნის ისტორიიდან;

აქ კი მწერალმა დაასწრო და სხვა ბრალდებათაგან განსხვავებით წინასწარ გასცა პასუხი დაქირავებულ ლიტერატურულ შურტებს. თუმცა, მართალი რომ თქვას კაცმა, ანტიიმპერიალისტური ბრალდება მისთვის „დიდოსტატის მარჯვენასთან“ დაკავშირებით არავის წამოუყენებია და, ალბათ, არც იყო მოსალოდნელი ვინმესგან მისი წერილობით დაფიქსირება.

ანალოგიის ძებნა მართლმორწმუნე ბიზანტიასა და წითელ რუსეთს შორის ბრალმდებლისთვისაც საშიში იყო, მით უფრო, ამ ანალოგიით ლოგიკურად გამოიძებნებოდა ძაღლთაპირი კეისრის, „ბულგართმმუსვრელი“ ბასილის პროტოტიპიც...

ის კომიკური სურათი შეიქმნებოდა, ერთი საბჭოური ანეკდოტით რომაა გადმოცემული:

სტალინს შეხედავს ერთი ქვეშევრდომი და გულში გაიფიქრებს – ღორი! მეორე, ფხიზლადმყოფი ქვეშევრდომი, მის გულისფიქრს ამოიკითხავს და ეუბნება:

– ვისი მისამართით გაიფიქრეთ სიტყვა ღორი?

– რა თქმა უნდა, ჰიტლერის მისამართით – წამოიკნავლა მხილებულმა...

– აი, ამხანაგი პეტრე ამბობს, რომ ღორი ჰიტლერია. თქვენ ვისი მისამართით გეგონათ, ამხანაგო პავლე? – ეკითხება სტალინი „ფხიზელ“ ქვეშევრდომს.

ერთი სიტყვით, რა გარანტია ჰქონდა რომელიმე წითელ კრიტიკოსს, კონსტანტინე გამსახურდია რომ აქეთ არ ჰკითხავდა: მე ბიზანტიის იმპერიაში და ძაღლთაპირ ბასილი კეისარში ბიზანტიის იმპერიასა და ძაღლთაპირ ბასილს ვგულისხმობ, თქვენ ვის გულისხმობთ, ამხანაგო ბასა?..

ცხადია, რომანის პროლოგსა და ბოლოთქმაში მწერლის მხატვრული კონცეფციის შესახებაც საყურადღებო დეტალებს ამოვიკითხავთ, ეთქვათ, მისი დამოკიდებულება არქაიზმების შესახებ, მწერლობის როლის, თხზულების ფაბულის გამო, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ ზემოთქმულის გათვალისწინებაც გვმართებს, როცა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ პროლოგსა და ბოლოთქმას წავიკითხავთ, ანუ უნდა ამოვიდეთ იმ „ეპოქის ქერქიდან“, როცა რომანი იწერებოდა.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ფაბულა

სვეტიცხოველის „ჩრდილოის კედელზე ერთი წარწერაა და ქანდაკი ორი კაცისა. შენის თვალისა და მარჯვენის საქმე იქნება ეს, თუ როგორ ამოიკითხავ ცხრა საუკუნის მანძილზე ქვაში ჩაკირულ საიდუმლოს დღემდის შეუცნობს“ – ეუბნება მოხუცი ექვთიმე შელამებისას სტუმრადწვეულ მწერალს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს დიალოგი სინამდვილეში მოხდა თუ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. მთავარი ის გახლავთ, რომ იმ საოცრად ცოცხალ სიუჟეტებს, იმ თითქოსდა ეჭვმიუტანლად ნამდვილ ისტორიას, მწერალმა რომ შემოგვთავაზა, საფუძვლად დაედო ტაძრის ფასადზე ნაქანდაკევი მარჯვენის სურათი, რომელსაც გონიო უპყრია ხელთ და აქვს წარწერა: „ხელი მონისა არსაკიძისაი, რათა შეუნდოთ“, ამასთან ლეგენდა სვეტიცხოველის ამშენებლის შესახებ შემორჩენილი –

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია.
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს.
რატომ კარგი აგიგია!“

სულ ეს არის,რაც ისტორიის მეხსიერებას შემორჩენოდა სვეტიცხოველის ხელთუქმნელი ტაძრის ამშენებელზე, რომლის სახება 9 საუკუნის შემდეგ სიტყვის მაგიით გააცოცხლა მწერალმა, როგორც უკვდავების ბალახით ყამარმა – ამირანი.

ახლა რომანში აღწერილი სისხლსავსე და ფათერაკიანი ცხოვრება წარმოიდგინეთ გიორგი მეფისა.

გული დაგწყდებათ, როცა შეიტყობთ, რომ სინამდვილეში გიორგი პირველის შესახებ „მატიანე ქართლისა“ მხოლოდ ორიოდე ფურცელზე მოგვითხრობს.

ჩვენი ერის წარსულის განმჩხრეკელი არ შეიძლება არ შეწუხდეს იმ აურაცხელი „უსახელო უფლისციხელის“ ბედის გამო. თითოეულის ცხოვრებაზე გმირობის უკვდავი საგა შეიქმნებოდა, მაგრამ მათი სახელები კი არ შემორჩა ისტორიას.

მართალია, ილიას თქმისა არ იყოს, „მატიანე ქართლისა“ სინამდვილეში მეფეთა მატიანეა, მაგრამ პირობითად რომ ვთქვათ, „უსახელო უფლისციხელები“ ჩვენ მეფეთა შორისაც გვყავს. აქ არ ვსაუბრობ იმგვარ მეფეებზე, რომელთა ცხოვრების აღწერაში ღირსშესანიშნავს ვერაფერს ხედავს მემატიანე და, ვთქვათ, ასეთი ანეკდოტური ფრაზით უვლის მათ გვერდს – „დაჯდა ბაკურ დ., მოკვდა ბაკურ“. აქ ის მეფეები იგულისხმებიან, რომელთა შესახებ ჩვენამდე მოღწეული მცირე ჩანაწერებიც გვაგრძნობინებს, რა მონუმენტური ფიგურები გაუმეტებია ისტორიას დავიწყების მორევისათვის.

„არა დიდ იყო აქილევსი, დიდსა მიემთხვია მაქებელსა“-ო. ქართველი მემატიანის ეს სიტყვები არა მხოლოდ ჰომეროსის წინაშე თავმოდრეკის გამოხატულებაა, არამედ იმის დასტურიც გახლავთ, რომ ჩვენი მეისტორიენი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვალში არიან ამ ისტორიის შემქმნელ მძევალ გმირთან.

ერთი ასეთი გმირთაგანი გახლდათ „მეორმოცდათორმეტე მეფე, გიორგი, ძე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ბაგრატიონი“ რომელსაც მემატიანე ასე ახასიათებს: „ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო“.

უცნობი ავტორი რამდენიმე ფრაზით აღწერს გიორგი მეფის ბრძოლებს ბასილი კეისრის წინააღმდეგ და სულმოკლე ქართველთა ღალატის ამბავს, შემდეგ გვაუწყებს მის გარდაცვალებას. გვაუწყებს ისე, რომ სინანული შეგვიპყრობს, ამ დიდებული მეფის შესახებ, აქ თქმულს გარდა, არაფერი რომ არ მოიძიება ფოლიანტებში. „გარდაიცვალა გიორგი მეფე, საკვირველთა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არაჟინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა, ქრონიკონსა ორას ორმოცდაშვიდსა, თვესა აგვისტოსა თექვსმეტსა, ქვეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი. და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა. იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა და სიჭაბუკისა და ახოვანებისა მისისათვის. წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა“.

ეს არის და ეს, რაც ხელთ ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას როგორც სვეტიცხოველის ამშენებლის, ისე იმდროინდელი საქართველოს მეფის შესახებ.

ამ ორი ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი მწირი ინფორმაციით მწერლის ფანტაზია ქმნის ფაბულას:

ხუროთმოძღვარი აშენებს სვეტიცხოველს. დიდი შემოქმედი საკუთარი ღირსების შეგრძნებით თავს მეფესაც უტოლებს, რაკი ნებაყოფლობით არ ამბობს უარს სატრფოზე, რომელიც იმავდროულად მეფესაც შეჰყვარებია სიცოცხლეზე მეტად. ამ მიზეზით და სვეტიცხოვლის ცუდად აშენების საბაბით, მეფის ბრძანებით, მკლავს სჭრიან ოსტატს.

ასე გამოინაკვთა სქელტანიანი წიგნის სქემატური ფაბულა, რომლის სიუჟეტური ხორცშესხმით კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა ბრწყინვალე საგმირო-სატრფიალო რომანი, რომლის ფორმამ – მშვენიერმა და ესთეტიური სიამოვნების მომნიჭებელმა, ერთი შეხედვით ისტორიულ-სათავგადასავლო ჟანრმა, ოსტატურად შეიფარა ისეთი მწვავე თანადროული იდეები, რომ ამ

რომანის საბჭოთა სკოლაში სწავლება საბჭოთა იდეოლოგიის მიერ უეცობაზე შობილი პარადოქსების კიდევ ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

(განა პარადოქსი არ იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ მეფის რუსეთს ხალხთა საპყრობილეს უწოდებდნენ, თავად კი მეფის რუსეთზე შორს გადასწიეს გავლენის სფეროები და დღენიადაგ ტრაბახობდნენ, რომ მათი ჩექმის ქვალი დედამიწის ერთ მეექვსედზე იყო ალბეჭდილი_)

მწვავე თანადროული იდეები „დიდოსტატის მარკვენაში" დაკვირვებული თვალისათვის ძნელი ამოსაკითხი არ არის. დავიწყოთ თუნდაც მწერლობის რაობის განსაზღვრით.

„მწერლობა მიჩქმალული გმირობის გამოსარჩლებაა" - ეს ფრაზა შემთხვევით არ დაუწერია მწერალს. იგი მას კონცეფციის დონეზე აჰყავს. მერედა რა არის ამაში საკვირველი? საკვირველზე რა გითხრათ, მაგრამ ეს უბრალო და მართებული კონცეფცია თავის თავში სწორედ იმ კონცეფციის უარყოფას გულისხმობს, რომელზეც ე.წ. სოციალისტური რეალიზმი იყო დაფუძნებული.

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, -
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია".

ილიას ამ სიტყვებში გამოხატული აზრი ჭეშმარიტი მწერლობის საფუძველთა საფუძველია. აბა გაიხსენეთ, „შუშანიკის წამებიდან" მოყოლებული ვის მხარეს იდგა, ვის ესარჩლებოდა ქართველი მწერალი.

ერთადერთი „რეალიზმი", რომელიც გამარჯვებულის, გაბატონებულის მხარეს დადგა, იყო სოციალისტური რეალიზმი და არის ამ ფსიქოლოგიური მემკვიდრეობით დამძიმებული მწერლობა.

1921 წლიდან მოყოლებული არ გამოქვეყნებულა არც ერთი ნაწარმოები თანამედროვე რობინ ჰუდზე ან თანამედროვე კაკო ყაჩაღზე, ან თანამედროვე სიმონა ძალაძეზე, რადგან მწერლობა უკვე მათი უკან მდევნელების მხარეს იდგა_

მწერლობისთვის დადებითი გმირი იყო ის, ვინც დადებით მოქალაქედ აღიქმებოდა ხელისუფლებისთვისაც, ასეთებს კი გამოსასარჩლებელი არაფერი სჭირდათ.

აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რას უსახავს მიზნად საკუთარ თავს მწერალი. ზემოთქმულის გათვალისწინებით კი მიჩქმალული გმირობის გამოსარჩლების მწერლისეული კონცეფცია მხოლოდ უბრალოდ მართებული

კონცეფცია არ არის, ისე, როგორც ყმაწვილის მიერ ნათქვამი სიმართლე – მეფე შიშველიაო – არ გახლავთ უბრალოდ ფაქტის დაფიქსირება, რადგან ამ ფაქტის დაფიქსირებას სხვა ვერავინ უბედავს მეფეს..

თავი II
ერთმორწმუნე საქართველო და „ბიზანტია“, ანუ კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული მრწამსი

ყველაზე გლობალური და მწვავე თანადროული იდეა, რასაც „დიდოსტატის მარჯვენაში“ ამოიკითხავთ, ეს არის ერთმორწმუნეობის, ანუ ერთი იდეოლოგიის საფარქვეშ დიდი ქვეყნისაგან მცირერიცხოვანი სახელმწიფოს დაპყრობის ცდა.

როცა ქრისტიანულ საქართველოს არაქრისტიანული ქვეყნები ებრძოდნენ, ერი რჯულსა და ქვეყანას ერთნაირი თავგამეტებით იცავდა მომხდურთაგან.

ასეთ ვითარებაში ქართველი კაცის მტრის სამსახურში ჩადგომას გამყიდველობა, ღალატი, გადარჯულება ერქვა.

ერთმორწმუნე ბიზანტია კი უფრო ცბიერად იქცეოდა. იგი ერთმორწმუნეობის ნიღბით მოდიოდა. ეკლესია-მონასტრებით, საერთო რწმენითა და საერთო კულტურული ფასეულობებით უხვევდა თვალს ქართველთ და ასეთ ვითარებაში მტრის სამსახურში ჩადგომა, რასაც ზოგი გაცნობიერებულად, ზოგიც გაუცნობიერებლად სჩადიოდა, უკვე ქვეყნის ღალატად კი არა, ლამის მამულიშვილურ საქმედ ინათლებოდა.

აბა, როგორი საქმეა, თან დიდი მფარველი გყავდეს, იმავე მფარველის წყალობით თან სხვა, ურჩ თანამემამულეზე უკეთ ცხოვრების გარანტია გქონდეს და თან მამულიშვილადაც ინათლებოდე..

ერი და ბერი აჰყვა ამ საცდურს.

იქ, სადღაც, შორს, უცხოეთში, უკეთესი ცხოვრებაა. ის უცხოეთი „გულში გიხუტებს“, ერთად ყოფნას, ერთობლივ „ბედნიერებას“ და საერთო მტრის, ურჯულოთა წინააღმდეგ ერთად ბრძოლას გთავაზობს, თან ცბიერი ღიმილის უკან ცეცხლი და მახვილი აქვს მომარჯვებული.. და აივსო საქართველო

კეისართა ომებში თავგადაკლული რაინდებით, სხვისი ომებიდან წამოღებული ჯილჯილებით.

ყოველგვარ უცხოურს პატივი და დიდება დაედო.

„დედოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ჰხედავდნენ კეისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაეს არსებას, რომელიც, ვითარცა რომის იმპერატორი და „პონფიტექს მაქსიმუმ“, მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამქვეყნად.

ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა თავისი სამეფო გადასცა ბასილი კეისარს სენაქერიმმა, სომხეთის მეფემ“. გიორგი პირველს კი, ქართველთა მეფეს, კარგად აქვს გაცნობიერებული: შარბათით საწამლავს აწვდიან მის ქვეყანას.

„ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“ – ასეთია შეუვალი პოზიცია მეფისა.

მტერი ორჯერ მეტად მაშინ არის საშიში, როცა ძლიერ ხელთან ერთად შენზე მეტი კულტურა და უფრო დიდი წარსული აქვს, ვინაიდან ძლიერსა და ბრიყვ დევს სუსტი და ჭკვიანი ნაცარქექიაც უღებს ბოლოს ადრე თუ გვიან.

ბიზანტია სწორედ ქრისტიანული ფორფოსტის სახელს, თავის დიდ კულტურასაც იყენებდა ერთმორწმუნეთა დასამორჩილებლად. ამ კულტურითა და ბიზანტიონის ბრწყინვალებით დაბრმავებულ თანამემამულეთა გასაგონად წერია რომანში: „საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, შჯული ებრაელებს მოპარეს, ენა – ძველბერძნებს, ბულგარელებს – ცეტინიუმი, სომხებს — ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლოვჯეს, რადგან ასეთი რამ არ სჭირიათ ჯერაც“.

ახლა ლოგიკურად ისმის კითხვა: რისთვის დასჭირდა ეს მგზნებარე ანტიბიზანტიური პასაჟები კონსტანტინე გამსახურდიას. ამ სახელმწიფოს არსებობამ ხომ საუკუნეების წინათ დალია ჩაილურის წყალი და მისი დიდება, მისი წითელწაღიანი იმპერატორები ისევე გაქრნენ ისტორიის კორიდიდან, როგორც მათი წინამორბედი ძლევამოსილი რომაელები?

მე-19 საუკუნეში წითელწაღიან ბიზანტიის იმპერატორებს რუსეთის იმპერატორები შეენაცვლნენ, მე-20 საუკუნეში კი – წითელდროშიანი რუსეთის გენსეკ-იმპერატორები.

მე-19 საუკუნეში რუსეთი ერთმორწმუნეობის ნიშნით შემოიჭრა საქართველოში, მე-20 საუკუნეში კი საერთო პროლეტარულ-ინტერნაციო-

ნალისტური იდეოლოგიით.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენით" გაბედულად ეხმიანება მე-19 საუკუნის 60-იანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ კონცეფციას, რაც აკაკიმ ასე ლაკონიურად გამოხატა:

„დამეხსენი, ჩრდილოელო!..
რა მაქვს შენთან საზიარო!
თვით ოხერო, მოუცლელო,
როგორ გინდა მომიარო?..
შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს
ანუგეშებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დალეწავს ჩემი ბედი!"

„როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას!"

გარეშე მტერს მოსისხლე და დუშმანი იმიტომაც ჰქვია, რომ იგი ყველა ხერხითა და ყველა საშუალებით გებრძვის და, კაცმა რომ თქვას, ეს კაცობრიობის სისხლიანი ისტორიის კანონზომიერებაც კია. მაგრამ გარეშე წინაი ვერ შეედრება იმ დამანგრეველ ძალას, რაც შინაშლილობასა და ზნეობრივ დეგრადაციას მოაქვს ქვეყნისათვის.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ გამარჯვებული მოკავშირეთა ჯარები პარიზში შევიდნენ, მაგრამ საფრანგეთისათვის ამ ომში დამარცხებას არ მოუტანია იმდენი უბედურება, რაც ჯერ ბურბონების გაგდებისათვის, მერმე დანტონების, მარატებისა და რობესპიერების პატიმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის გადახდათ ფრანგებს. კაცთმოძულე რევოლუციონერთა „დემოკრატიას" ნაპოლეონის ტირანია მოჰყვა და ამ ორომტრიალის შედეგად ათიათასობით ფრანგის თავი ფრანგებისავე ბრძანებით დაგორდა გილიოტინიდან.

ასევე, იმგვარი არნახული შინაშლილობა, ძმათაგან ერთმანეთის ჟუჟუა, მე-20 საუკუნის I ნახევრის რევოლუციური სულით გაჟღენთილ საქართველოში რომ სუფევდა, ჩვენი ქვეყნის აწეწილ ისტორიასაც არ ახსოვს.

აღა-მაჰმად-ხანს არ შესწირვია იმდენი ქართველის სიცოცხლე, რამდენიც ბოლშევიკურმა წმენდამ საერთოდ კი არა, თითო ღონისძიებაზე შეიწირა და

ეს კაცთაკვლა, მართალია, სხვაგან დაგეგმილი, ისევ ქართველების ხელით ხორციელდებოდა.

რუსებს სიკვდილის ცელით ისევ ქართველები მიუძღოდნენ თანამემამულეთა დასაღუპავად.

ერთი თანადროული და მწვავე თემა, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენით“ შორეული წარსულიდან გამოიხმო, ესეც გახლავთ – თემა ქვეყნის შინაშლილობისა, თვისტომთა წინაალმდეგ უცხოტომელთა მოხმობისა და ბეზღობისა.

გაიხსენეთ კვეტარის ერისთავი თალაგვა კოლონკელიძე და ქორსატეველას ციხის პატრონი, ერისთავი მამამზე, მისი შვილი ჭიაბერი. რომელნიც ისე არ აუჯანყდებიან გიორგი მეფეს, თუ დიდოელნი, ძურძუკნი და ოვსნი არ იხმეს...

პარალელი შეიძლება გაივლოს 20-იანი წლების საქართველოსთან. გაიხსენეთ შულავერის ან ოსების აჯანყება ქართველი მეთაურებით და ჩრდილოკავკასიიდან გადმოყვანილი ბრბოები...

გაიხსენეთ კრემლში მჯდარ იმპერატორებთან თბილისიდან გაგზავნილი „დანოსები“ და ფარსმან სპარსის მიერ გიორგი მეფის დაბეზღება ბერძენ კასავილასთან, რომელმაც სიტყვასიტყვით მოახსენა ბასილი კეისარს მათდამი ქართველთა მეფის ნამდვილი დამოკიდებულების ამბავი.

რა იწვევს შინაშლილობას, ერისთავთა პარტიკულარიზმს და ცენტრალური ხელისუფლების დასასუსტებლად თანამოძმეთა შორის შუღლის ჩამოგდებას? რა უდევს საფუძვლად იმ გველურ სისინს, რომლის შედეგიც ერთმანეთისაგან განგმირულ ღვიძლ ძმათა სასაფლაოები და პატივაყრილი ქვეყანაა?

მოდით, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი მივადევნოთ „დიდოსტატის მარჯვენის“ იმ პერსონაჟებს, რომელთა ქმედებამაც ათქმევინა მომაკვდავ მეფეს: „როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“.

ამთავითვე ვთქვათ: გამსახურდიას ხელწერა არ არის პერსონაჟთა სქემატური, დადებით ან უარყოფით გმირებად წარმოჩენა. იგი, როგორც სიტყვის დიდი ოსტატი, ისე სისხლსავსედ და ადამიანის ღრმა ცოდნით ხატავს თავის გმირებს, რომ თვით მის ე.წ. უარყოფით პერსონაჟთა შედსაც განიცდის მკითხველი.

თალაგვა კოლონკელიძე

კვეტარის ერისთავი თალაგვა კოლონკელიძე ერთი იმ ტიპურ ქართველთაგანია, რომელნიც საკუთარი დიდების ტკბობით იწყებენ ქვეშევრდომთა მართვას და თანდათანობით ამ ტკბობას ხინკად გასდევს შეგრძნება იმისა, რომ მის თანამემამულეთა შორის კიდევ მოიძიება სხვა კაცი, მასზე მეტი დიდებით შემოსილი. კაცი, რომელსაც პირველდაძახებისთანავე ქედდადრეკილი უნდა ეახლოს და საკუთარი დიდების უზრუნველსაყოფად ისევე უქიცინოს კუდი, როგორც მას მისივე ყმები ემლიქვნელებიან.

მერედა, ვინ დაადგინა, ვინ აქცია კანონად ის, რომ სულ ის უნდა იყოს პირველი და ეს კი მის ჩრდილად იწოდებოდეს?

ღირსება, პატივი, ჭკუა, სიმდიდრე, ძალა – რომელი ერთი აქვს ნაკლები ამ მეორეს პირველზე? ნაკლები კი არა, მის ხელთ რომ იყოს, ქვეყანასაც უკეთ მწყემსავდა და ხალხსაც სწორედ მისი ექნებოდა მეტი შიში და სიყვარული.

არა, პატივი არც ახლა აკლია.

მაღლა ღმერთი ჰყავს ერთი მბრძანებელი, დაბლა კი, მის სამფლობელოში, ყველასათვის თავად არის მეფეც და ღმერთიც.

ვისაც უნდა, ააშენებს, ვისაც უნდა, დააქცევს.

გაბედნიერებულისთვისაც სალოცავ ხატად რჩება, მისგან გაუბედურებულიც ხმამაღლა ისევ მასზე ლოცულობს, სული რომ შეარჩინოს და მთლად ყორნების საკვირგნად არ გაიმეტოს_

კვეტარის ციხე-დარბაზში გამოკეტილს ერთგულად იცავენ მისი ყმანი და კაცთაგან ფეხდაუდგმელი ქარაფები.

მაგრამ მაინც არსებობს ის ერთი, მასზე აღმატებულად წოდებული და, ამდენად, მისი ტკბობა დიდებით სრულყოფილი ვერ არის. სრულყოფილი კი არა, ხანდახან შიში წამოუვლის ამპარტავან ერისთავს – ხომ შეიძლება, მეფეს მისი მამულების სხვისთვის ბოძება მოეხასიათოს, ხომ შეიძლება, მის ერთგულ ქვეშევრდომობაში ეჭვი შეეპაროს და გზიდან ჩამოიცილოს. ჯერ არ უქნიათ მეფეებს ამგვარი რამ, თუ რა?!

ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობილება, ერთი მხრივ, მეფისადმი პირფერობაში აკვიბრებს სხვა პირფერებთან, მეორე მხრივ, ბადებს იმ წინაპირობას, როცა ქვეშევრდომი მუდმივად მზად არის ზურგში მახვილის ჩასაცემად და მბრძანებლისაგან გასათავისუფლებლად. თუ ამ განწყობას ისიც დაერთო, რომ უფრო ძლიერი მფარველი გამოუჩნდა, უცხო და შორეული, ავადმყოფობადქცეულ პატივმოყვარეობას სარქველი ეხდება. თუ მორჩილებაა, სჯობს შორეული მბრძანებლის მორჩილებაში იყო, ვიდრე იმისა, ვინც ცხვირწინ გიზის და მუდმივად უნდა შეჰყურებდე თვალებში_

მყისიერი ფიქრი, და არცთუ უსაფუძვლო, რამაც გიორგი მეფეს გაუცლ

ვა, როცა ფხოველთა აჯანყება შეიტყო, ის იყო, თუ ვისი იმედით სჩადიოდნენ ამას თალაგვა, მამამზე და ჭიაბერი. ვინ იდგა ზურგს უკან: სარკინოზთა ამირა თუ ბიზანტიის კეისარი?..

ამბოხებისათვის კოლონკელიძესა და მასთან შეთქმულთ საბაბიც ჰქონდათ — მეფე ქრისტეს რჯულს ახვევდა თავს მთიელებს, როცა მათ საკუთარი, მამაპაპური ბომონები ეგულვებოდათ სალოცავ კერპებად.

აზვავდნენ ფხოველნი, გაბოროტდნენ ხევისბრები, ისინი ხომ წინაპართა სარწმუნოებას იცავდნენ, ეი. მართლები იყვნენ საკუთარი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში...

დიდი რელიგიების შემოქმედთ: ბუდას, მოსეს, ქრისტეს, მუჰამედს, ვინ იცის, შეძრწუნების როგორი გრძნობა მოიცავდათ, რომ ეხილათ, ადამიანები რა აღტყინებით თესავდნენ სიკვდილს მათივე სახელით.

მამაპაპათა რჯულს გვეცილებიანო — აიყოლია ხალხი და ქარაფებიდან გადააყრევინა ფხოველთ საკუთარი თანამოძმენი — ქრისტიანენი.

პირველი ამბოხი ეპატია თალაგვას, მეორედ კი მწარედ დასაჯა მეფემ.

დამარცხებულ ერისთავს მისსავე ციხე-დარბაზში ისე გულგრილად დაადო თბილისელმა ჯალათმა საღირამ ორთავ თვალზე ორ შამფურზე წამოცმული ორი გაყარვარებული პატარა ფირფიტა, თითქოს მახათით ორ ფოლაქს აბნევდა ტალავარს.

რამდენიმე წუთის წინ ლამაზსა და თაფლისფერთვალება, ჯერაც ახალგაზრდა ერისთავს, ახლა უკვე თვალებამოშანთულსა და წუთიერად გათეთრებულს, ერთიც არ დაუკვნესია, ისე გადაიტანა გაუგონარი ტანჯვა... რისთვის შეელია ასეთი ვაჟკაცის ძალისხმევა საკუთარი მეფის წინააღმდეგ ბრძოლას?

წინაპართა რჯულის შენარჩუნებისათვის?

მეორე ამბოხის შემდეგ მის საერისთავოში მიბრძანებულ მეფეთა -მეფეს გულმოწყალება შეამჩნია თალაგვამ, იმედი გაუჩნდა გადარჩენისა, გადარჩენის კი არა, უფრო წარმტაცმა ილუზიებმაც გაიტაცა — იქნებ მართლა უყვარსო გიორგი მეფეს შორენა, იქნებ მის ხელს მთხოვდესო, და ამ ფიქრმა კოლონკელიძეს ახალი პერსპექტივები გადაუშალა სასახლის კარზე აღზევებისა. აღარ მოეწონა თალაგვას შეთქმულთა დანახვა. ერთ წუთში გამოიცვალა მეამბოხე და ფიქრით უკვე მეფის საშველად ემზადებოდა მის მტერზედა...

ამ ფიქრმა გასცა აქამდე ურჩი ერისთავის ჯანყის ნამდვილი მიზეზი.

აკი წინაპართა რელიგიას იცავდა აქამომდე?

მისგან წასისინებული ათასობით ფხოველი კი იწვა მიწაში და არ იცოდა არც ერთმა მათგანმა, სინამდვილეში წინაპართა რჯულს კი არა, საკუთარ პატივმოყვარეობას რომ შესწირა ისინი მათივე ერისთავმა.

ეს სიუჟეტი მკაფიო სურათია შინააშლილობის ერთი მიზეზისა — როცა ხალხის ბედი ავადმყოფობამდე მისული პატივმოყვარე მმართველის ხელთაა, ეს ხალხი ვულკანზე ცხოვრობს, რომელიც ამოიფრქვევა მაშინ, როცა ამას პატივმოყვარე მმართველი თავისთვის ჩათვლის საჭიროდ.

მამამზე და ჭიაბერ ერისთავები

ეს ორი დიდებულიც იმავე გზას ადგას, რომელმაც ისინი უფრო მეტი დიდების კარიბჭესთან კი არ მიიყვანა, პირიქით, ამ გზით უბედურებამ ტაატით იარა და ბოლოს მათსავე ოჯახსა და ციხე-დარბაზს ეწვია. ქვეყნის მოღალატეს ურმით დასდევს სამართლიანი განაჩენი და ბოლოს მაინც წამოეწევა მას — ესეც ისტორიის კანონზომიერება გახლავთ.

ის, რაც კვეტარის ციხის პატრონის ფსიქოლოგიური პორტრეტის აღსაწერად ითქვა, ქორსატეველას ციხის პატრონსაც მიესადაგება ერთი განსხვავებით — მამამზესა და ჭიაბერს უფრო მეტი მადა აქვთ, ვიდრე კოლონკელიძეს.

მათზე ვერ ვიტყვით, რომ პარტიკულარისტები არიან და საკუთარი საერისთაოს სრული შეუვალობა სურთ ცენტრალური ხელისუფლებისაგან, მათი მიზანი უფრო შორს სწვდება — ცენტრალური ხელისუფლების ხელში ჩაგდება თავად სურთ.

მამამზე ერთგული თანამებრძოლი იყო ბაგრატ მესამისა, ბრძოლის ველზე სიკვდილს გადაარჩინა ბაგრატის ვაჟი გიორგი პირველი.

არც გიორგი ჩანს უმადური. მეფისა და ერისთავის მამაშვილური მეგობრობა თითქოს უხინჯო უნდა იყოს, მაგრამ აქაც თავს იჩენს პირველობის პატივმოყვარე, „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ ჟინი.

მამამზეს ვაჟი ბიზანტიონში ყოფილა. ბასილი კეისარს ბრძოლებში ხლებია და ამ უკანასკნელს ოქროს მუზარადით დაუკილდოებული, იგულისხმეთ, სწორედ პირველობის ჟინით ანთებული, გამოუგზავნია თავის სამშობლოში.

იმპერატორის კარზე ურჩ მეფეთა დასათრგუნად მარად ძველი და მარად ახალი გეგმა მუშავდება.

შეირჩევა ურჩი მეფის ღირსეული მეტოქე და, დიდი იმპერიის მხარდაჭერით ძალამიცემული, იგზავნება ურჩთა ქვეყანაში.

დანარჩენი დროისა და მომენტის საქმეა.

თუმცა ქვეყნის ღალატი ყოველთვის აშკარად რთდია საგრძნობი. ფირმანით გაფორმებულ მოღალატეს არც მიიღებს ერი და არც ამოუდგება გვერდში კანონიერი მეფის დასამხობად.

აკი არც მიიღეს მამის მკვლელი, სწორედ ფირმანით გაფორმებული მოღალატე, კახთა უდღეური მეფე კონსტანტინე და არც აბოგინეს დიდხანს. ისეთი მეტოქე უნდა შეირჩეს, თავადაც ღირსეული რომ არის. თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი არ არის საკმარისი, იმ იმპერიის ერთგული რომ იყო, რომელიც მეფესთან საბრძოლველად დახმარებას გპირდება.

იქნებ ანგარიშში ცდება მტერი?

რა ბედნიერია მისთვის, იმპერიის ერთი მოძულე მეორე მოძულით შეიცვალოს, – არა, არ ცდება და, აი, რატომ:

ულირსს, სამშობლოს გამყიდველსა და იმპერატორის ნაცვალს თუ იმპერატორმა ჯარი არ გამოაყოლა, გამარჯვება არ უწერია. სად საკუთარი ჯარისკაცების სისხლის ფასად რომ დაასუსტებ ქვეყანას და სად თავად ქვეყანა რომ საკუთარი ხელით გამოიჭრის ყელს. ეს კი მხოლოდ შინაომით შეიძლება.

შინაომში კი რაც უფრო ღირსეული და ძლიერი მეტოქე ეყოლება მეფეს, მით უკეთესი იმპერატორისათვის. ეს ომი უფრო ხანგრძლივი და ძლიერი იქნება.

თავის მხრივ, იმპერატორის ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით გათამამებული მეფის მეტოქე ფიქრობს: იმპერიას გამოვიყენებ, მეფეს დავამარცხებ და მერე იმპერატორს გაცუცურაკებულს დავტოვებო (თუ, ვიმეორებ, ფირმანიანი მოღალატე არ არის).

ამ მოტივით შინაომები უმეტესად უკეთესი მერმისის სახელით ხდება. ორივე მხარეს სამშობლოს ბედნიერება სურს_ ორივე მხარე პატრიოტული მოტივით ეუბავს ერთმანეთს_ მეფის ხელისუფლებისათვის ჭოლოკივით ნასროლ მეტოქეს რომ უთხრათ, ქვეყნის მოღალატე ხარო, აღშფოთებულმა შეიძლება თავი წაგაცალოს.

ის ხშირად ისეთივე მსხვერპლია სხვის მიერ გათამაშებულ კორიდაზე, როგორც ის მეფე, რომლის დამხობაც განუზრახავს.

ეშმაკი კი ზის ქანდარაზე და იცინის.

რა მნიშვნელობა აქვს ბიზანტიის იმპერატორისათვის, გიორგი მეფე გაიმარჯვებს თუ ჭიაბერი.

არც ერთია ბიზანტიის ერთგული და არც მეორე.

პირიქით, ბიზანტიის მტრობაში ურთიერთგაჯიბრებულნი უფრო მეტი პატრიოტული აღტყინებით აიყოლიებენ თანამემამულეთ და ამოხოცავენ ერთმანეთს.

გამარჯვებულს ხელთ შერჩება ძმათა ომით სისხლდაცლილი, მისუსტებული, დამარცხებული ქვეყანა_

ასე ხელოვნურად და ვერაგულად დადგმული შინააშლილობის სურათებს

ეხედავთ ჭიაბერისა და გიორგი პირველის დაპირისპირების მაგალითზე.

მაშინ, როცა მცხეთაში საახალწლოდ მეფესთან ჩაბრძანებული მამამზე ერისთავი ფარისეველურად ლოცავდა ტახტისმპყრობელს: „მრავალჟამიერ ჰყოს დამშვიდებელმან ყოველმან მეფობა შენი და ისარნი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა შენისა ორგულსა. წყეულიმც იყოს ყოველი გულბოროტი და ქვეგამხედვარი ტახტისა შენისა“-ო, მისი ვაჟი ჭიაბერი მეფის ჩამოსაგდებად ხალხს აჯანყებდა. რაც მთავარია, აჯანყებდა რომის პაპზე მეტი კათოლიკობის მოტივით, რაც ასეა გადმოცემული მისი ძუძუმტის, შავლეგ ტოხაისძის, მიერ:

„ბერძნებს ეს სწადიათ ჩვენი, ჩვენი ენა დაგვავიწყონ და მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვაძარცვონ, მათი ჩავიცვათ.

ამიტომაც გვინდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა“.

რომელი ბერძენთმოთაყვანე გიორგი იყო?

ტოხაისძის სიტყვებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ არავითარი იდეოლოგიური საფუძველი ამ შინაომს არ ჰქონია (კერპთა აღდგენისათვის ბრძოლა რამდენად იყო ამ ომის საფუძველი, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი). აქედან გამომდინარე, ამ ომის სამწუხარო შედეგი ის იყო, რომ ქორსატეველას ციხეში გვერდიგვერდ ჩაწვნენ ძმების მიერ განგმირული ძმები, რომ მტრის წინააღმდეგ გასაღები სიცოცხლე მოღალატის იარლიყით დასრულეს ბრძოლებში გაჭაღარავებულმა ლომკაცმა მამამზემ და მისმა ვაჟმა, ასევე რჩეულმა მებრძოლმა ჭიაბერმა.

ამ ომს შეეწირნენ მეფის საუკეთესო მხედრები და ერისთავი გირშელ, რომელიც გარეშე მტრებთან ბრძოლებს ცოცხალი გადაურჩა და საკუთარ მოძმეთ აჩეხეს გაუგონარი სისასტიკით.

ამ სიუჟეტითაც შინაშლილობის მიზეზად ისევ ავადმყოფური პატივმოყვარეობა და უცხო ქვეყნის ნებაზე კუნტრუში გვეკლინება, ჭიაბერის მკვლელობის შემდეგ კი – შურისძიების გრძნობა.

ფარსმან სპარსი

ფარსმან სპარსი ერთი სრულიად გამორჩეული და ორიგინალური პერსონაჟია არა მარტო კ.გამსახურდიას შემოქმედებაში, არამედ, საერთოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„დიდოსტატის მარჯვენის“ პერსონაჟთა შორის არავინ არის ისეთი ტრაგიკული, საცოდავი და იმავდროულად საშინელი კაცი, როგორიც ფარსმანია.

ფარსმან სპარსი ცხოვრების ნადიმიდან გაგდებული ადამიანია და თანაც იმ ასაკში, როცა ამ ცხოვრებისთვის არაფერი ჰქონდა მას დაშავებული. ეს ოდესღაც უზრუნველი და ნებიერი, დაუცხრომელი ბუნებით გამორჩეული ჭაბუკი, მტერთან ბრძოლებში გმირობის გამოჩინებაზე მეოცნებე ახალგაზრდა, თავად იქცევა ადამიანთა მოდგმის იდუმალ მტრად.

თავის ფენომენალურ განათლებასა და გენიალურ ნიჭს იმავე ნადიმის მონაწილეთა წინააღმდეგ იყენებს, საიდანაც იგი უცერემონიოდ იქნა გაძევებული.

ხშირად ხდება ასეთი უცნაურობა: ამა თუ იმ პიროვნების შესახებ ოდესღაც ვილაცა იტყვის და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ამ ნათქვამის, — ავის ან კარგის — მიხედვით ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი.

მოულოდნელად კი აღმოჩნდება, რომ ეს აზრი აბსოლუტურად მცდარი ყოფილა.

ლიტერატურულ პერსონაჟებსაც დაჰყვებათ ხოლმე ასეთი ბედი.

ამის მაგალითად ფარსმანის კრიტიკისეული შეფასებაც გამოდგება.

ცოცხალ ადამიანსა თუ ლიტერატურულ პერსონაჟზე მსჯელობისას, თუ ისინი უარყოფით ემოციებს აღძრავენ, მოსაუბრეს, არცთუ იშვიათად, შეატყობთ, — იგი გესლს მომეტებულად გამოურევს საუბარში, აქაოდა, როგორ მძულს ბოროტება, აქაოდა, რა შეურიგებელი ვარ ადამიანის უარყოფითი თვისებებისადმიო. ეს ხშირად ლიტერატურულ კრიტიკასაც ემართება და ობიექტური განსჯის ნაცვლად ისეთ ცალმხრივ უარყოფით ტიპებად წარმოგვიდგენს პერსონაჟებს, თითქოს ისინი ღმერთმა საზოგადოებაში პირდაპირ ჯოჯოხეთის მუგუზლად მოავლინა.

ობიექტურმა თვალმა კი არ შეიძლება ფარსმანი არ აღიქვას საშინელთან ერთად იმავდროულად ტრაგიკულ და საცოდავ კაცად.

ტრაგიკულის განცდა კი გვეუფლება არა იმდენად თვით ფარსმან სპარსთან მიმართებაში, არამედ მისი მშობელი ქვეყნის მიმართ, ვინაიდან, ეს კაცი თავისი გენიალური ჭკუით ისეთივე წარმატებით შეიძლებოდა ქვეყანას დიდ სიკეთედ მოვლენოდა, როგორი წარმატებითაც დიდი ბოროტების ქმნა შეუძლია.

კონსტანტინე გამსახურდიას იგი ქართველ კონდოტიერთა წინაპრად მიაჩნია. რამდენი რამ არის საგულისხმო ამ განაცხადიდან!

ერთია ქვეყნისათვის დაკარგული ნიჭი, მეორეა ამ დანაკარგის ბოროტებად შემობრუნება იმავე ქვეყნისთვის. მსოფლიოს დიდი ქვეყნების ბედს წარმატებით ატრიალებდნენ ქართველი კონდოტიერები. იმავდროულად ან ანგრევდნენ საკუთარ ქვეყანას, ან სულაც დაეწყებული ჰქონდათ მისი

არსებობა. დღემდე გაწვალებს კაცს ფიქრი: რა იქნებოდა, მათ რომ კეთილი ნება ჰქონოდათ და, ამდენი თუ შეეძლოთ, იმის მეათედი მაინც ერგოთ საკუთარი სამშობლოსათვის, რაც აქვს...

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ამ კონდოტიერთა წინაპრის, ფარსმან სპარსის, ცხოვრების გზა.

ეს ყველასათვის უცხო და უთვისტომო კაცი, ვისთვის სპარსი, ვისთვის არაბი, ვისთვის წარმართი, ვისთვის სუფისტი, სინამდვილეში ქართველი გახლავთ, შავშეთის ერისთავის შვილი.

„პაპა სუმბატი — მუდამ მოღუშული, ჟანგისფერი თორიანი ვაჟკაცი.

მამა — ბაქარი, ჭროღათვალება, ქერა რაინდი.

დედა — ნანაი, მუდამ ლოცვებში ჩაფლული, ძილისპირების ტკბილი მგალობელი".

მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევდა სუმბატ და ბაქარ ჩორჩანელების ოჯახში.

მაგრამ სარაინდო საქმეებისთვის შეღერებულ ფარსმანს, შინააშლილობის წყალობით, თანამემამულეთა წინააღმდეგ მოუწია პირველად ხმლის ტრიალ-მა.

ბაგრატ მესამეს არ დაემორჩილა სუმბატ ჩორჩანელი, რისი შედეგიც იყო მისი საერისთავოს იავარქმნა.

სუმბატი სიკვდილით დასაჯეს.

ბაქარი და მისი ვაჟი ფარსმანი სამ თვეს უმკლავდებოდნენ თუხარისის ციხეში მეფის მხედრობას. შემდეგ ათას მონასპასთან ერთად ბიზანტიაში გაქცევით უშველეს თავს.

აქედან კი იწყება მამა-შვილის გმირული საგა სხვათა ომებში...

ბაქარი ბასილი კეისრის მეამბოხე სარდალს, ფოკას მიემხრო თავის ათას მონასპასთან ერთად.

დამარცხდა ფოკა. თავის თავს უშველა. ალყაშემორტყმული ქართველები კი ბოლომდე იცავდნენ ციხეს...

ბაქარს თავი მოსჭრეს გამარჯვებულთა.

ფარსმანი გადარჩენილ სამას იბერიელ მონასპასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს.

ზის ფარსმანი იმავე აქლემზე, რომელზედაც ხურჯინით ჰკიდია მისი მამის მოჭრილი თავი.

წყალი — იხვეწებიან ტყვეები. ერთადერთი ფარსმან ჩორჩანელია, რომ არ ითხოვს წყალს, რადგან სიკვდილი ენატრება ამ ურწყულ და უკაცრიელ ველებზე.

დილეგი.

შემდეგ გაქცევა.

ხეტიალი უდაბნოდან უდაბნოში. ქალაქიდან ქალაქში. სამეფოდან სამეფოში.

დაწინაურდა ხალიფა ალ-ჰაქიმის კარზე.

ბაგრატ კუროპალატისა და ბიზანტიის კეისრის სიძულვილმა რჯული გამოაცვლევინა — აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი დაირქვა.

განსაცვიფრებელ სიმამაცეს იჩენდა ხალიფას მტრებთან ბრძოლაში. ალ-ჰაქიმის მარჯვენა ხელი იყო.

ბერძნებთან ომში მძიმედ დაიჭრა.

განკურნება. ისევ ომები.

ალ-ჰაქიმმა ბიზანტიონში წარგზავნა დესპანები. მათ აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი ხელმძღვანელობდა.

დესპანების ხელმძღვანელი ახლა კონსტანტინოპოლში დარჩა...

ქრისტიანობა მიიღო და მისი რაინდობითა და განსწავლულობით მოხიბლულმა კეისარმა ხუროთმოძღვართუხუცესობა უბოძა.

ვერც აქ გაძლო დიდხანს. ქალაქიდან გაიპარა, ხუროთმოძღვართუხუცესის კვერთხი გლახაკის არგანზე გადაცვალა და, როგორც დერვიშმა, მთელი ეგვიპტე შემოიარა, მათხოვართა ხანაგებში ათევდა ღამეს.

უკვე ხანშიშესულს სამშობლო მოენატრა.

ბაღდადის ხალიფამ თბილისის ამირასთან წარგზავნა (თბილისი ხომ არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი). თბილისში დაირქვა ფარსმან სპარსი. თუხარისის მშობლიურ ციხეში აპირებდა იდუმალ ჩასვლას, როცა ბაგრატ მესამის მეომრებმა შეიპყრეს.

ისევ დილეგი.

შემდეგ ბაგრატ მეფემ იმსახურა თარჯიმნად.

გიორგი პირველმა ხუროთმოძღვართუხუცესობა უბოძა. ასეთია მოკლედ ფარსმანის ქარტეხილიანი ბიოგრაფია.

ახლა მისი განსწავლულობა ნახეთ.

კაიროსა და კონსტანტინოპოლის საუკეთესო ტაძრები უშენებია, როგორც ხუროთმოძღვარს.

ფლობდა უამრავ ენას, უდიდეს ცოდნას. იყო საუკეთესო ექიმი, ვარსკვლავთმრიცხველი, სამყაროს იდუმალებათა შემცნობი.

წამების სიზუსტით გამოთვალა მცხეთაში მოსალოდნელი მიწისძვრა, დაუფლებული იყო ინდოელ ფაკირთა სიბრძნეს, უამრავ მოძღვრებას.

გაბედულება და სულიერი სიმტკიცეც საარაკო ჰქონდა.

როგორც ალ-ჰაქიმის ელჩი, ბიზანტიის იმპერატორთან მიწას არ ემთხ-

ვია. სხვა მხრივ მოუნდომეს დამცირება, სპეციალურად დაბალი კარი გაა-კეთეს, რათა ოთხად მოკეცილი ხლებოდა კეისარს. ფარსმანი კი– შებრუნდა და ჯერ უკანალი შეიტანა ბასილი დიდის დარბაზში–

მეფე გიორგის ირიბად, მოიარებით, მაგრამ ისეთ მწარე სიმართლეს მიახლის ხანდახან, კაცთაგანი რომ ვერ უბედავს გვირგვინოსანს.

გაუგონარ ტანჯვასაც რაინდულად გაუძლო უკვე მოხუცებულმა და რკინისმკვეთელ ხმალთა ჭედვის საიდუმლოც ისევე უთქმელად გაიყოლა საფლავში, როგორც საიდუმლო თავისი ვინაობისა.

ერთი სიტყვით, სხვაზე ალმატებული ყველაფერი ჰქონდა ამ კაცს – ცოდნაც, გაბედულებაც, სიმტკიცეც.

ხელოვანიც იყო, დიდი მეომარიც და დიდი მეცნიერიც, მაგრამ სწორედ ამით, ყოველივე ამით აღჭურვილი, იგი შემაძრწუნებლად საშიში გახლდათ გარშემო მყოფთათვის, ვინაიდან მას ამოძრავებდა მხოლოდ ცინიზმი და სიძულვილი ადამიანთა მიმართ.

ადამიანს, რომელსაც უარყოფილი აქვს ის საყრდენი ღერძი, რასაც სიკეთე ჰქვია, დიდი ნიჭი, დიდი ენერგია და დიდი შესაძლებლობები იმ ქარიშხალს ამსგავსებს, რომლის ამოვარდნას მხოლოდ დამანგრეველი შედე-გები ახლავს–

არანაირი პრინციპი ფარსმანს არ გააჩნია. უფრო სწორად, მისი პრინ-ციპი უპრინციპობაა.

მას შეუძლია ალ-ჰაქიმი ბასილი კეისარზე გაყიდოს, ბასილი ისევ სარკი-ნოზთა ხალიფაზე, ხოლო გიორგი მეფე ყველაზე და სრულიად უსასყიდ-ლოდ– აკი გასცა კიდეც კეისრის მოციქულებთან საქართველოს მეფე, თუმცა, მისი გამყიდველობა მთლად „უანგაროც„ არ არის. ერთადერთი, რაც მას წყალივით სწყურია, ეს შურისძიების გრძნობაა.

იმ საზოგადოებაში, სადაც თვით მეფესაც კი სჯერა, რომ შეცოდებათა გამო ხატი შემოსწყრა და სასახლის პალატიდან ნიკორწმინდის მონასტერში გაიპარა, ყოვლისმცოდნე და სხვათაგან დაწიხლული ფარსმანის ცინიზმს იქნებ ჰქონდეს კიდეც ახსნა, მაგრამ შემზარავია ის სცენა, როდესაც იგი თანამემამულეებს, თვით საკუთარ შვილსაც კი, რომელიც გონჯი მისცა განგებამ და ამითაც დასაჯა, მიწისძვრის დროს დასალუპად იმეტებს.

წინასწარ იცის და არავის, ვარდისახარის გარდა, არ აუწყებს მოსალოდ-ნელი საშინელი უბედურების შესახებ.

არც ამ მიზანტროპ კაცთამოძულედ ქცეული გენიოსის სიცოცხლე დასრულდა ბუნებითი სიკვდილით. ჯერ დადაღეს, როგორც მწვალებელი, შემდეგ წამებაში ამოხდა სული.

ეს კაცი შურისძიების წყურვილმა გააბოროტა. ბაგრატიონების სიძულვილი კი მთელი ქვეყნის სიძულვილად ექცა. ქვეყნის ღალატის მოლიპულ გზაზე ესეც ერთი ნაცნობი სურათია.

სიძულვილზე დაფუძნებული ერთობა

რამდენჯერ დარჩენილა ადამიანი პირშიჩალაგამოვლებული, რამდენჯერ მწარედ უწვნევია ის, რაც საფუძველშივე უზნეო ბრძოლაში გამარჯვების შედეგად მოუმკია. ჩვენს შორეულ და ახლო წარსულზე დაკვირვება მხოლოდ იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანები საკუთარი შეცდომებისაგან ვერაფერს სწავლობენ... აგერ, ტანჯვა-წვალების შემდეგ გადაიგდო კაცმა ერთის უღელი და, ნაცვლად იმისა, თავისუფლებას ზიარებოდა, აღმოჩნდა, რომ ქედი მხოლოდ მეორისათვის გაუთავისუფლებია უღლის დასადგმელად...

„ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შვებას“ — კონსტანტინე არსაკიძის ეს სიტყვები იმ შინააშლილობის შედეგთა ბრძნული განჭვრეტაა, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

მართალია, ცენტრალურ ხელისუფლებას მტკიცე ხელი აღმოაჩნდა და გიორგი პირველმა ბოლო მოუღო შინაურ მტრებს, მაგრამ რომანის ცალკეული პასაჟები იმ წინასწარმეტყველურ შეგონებასაც შეგვახსენებს, რომლის გაუთვალისწინებლობამ შინაური ომების ყველა დროის ალამდარები, გამარჯვების შემთხვევებშიც კი, ეშაფოტამდე მიიყვანა.

კერძოდ, ლაპარაკია სიძულვილზე დაფუძნებული ერთობის ბუტაფორიულობაზე. ერისთავები, ხევისბრები გიორგი მეფის სიძულვილს გაეერთიანებინა და დაერაზმა ერთმანეთის მხარდამხარ, მაგრამ...

მოუსმინოთ თვით მწერალს: „თალაგვა კოლონკელიძეს დროებით უჭერდნენ ხევისბერები მხარს. დაამარცხებდნენ ზვიადის ლაშქარს? მეორე დღესვე თავს წასჭრიდნენ თვალდაწვარ ერისთავს, რადგან გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთიანებდა ხევისბერებსა და ხევისთავებს მასთან“.

ეს სიტყვები, ცხრა საუკუნის წინანდელი ამბებისადმი მიძღვნილი, ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ჩვენი დროის მისამართითაც.

ნუ დავიწყებთ მწერლის წინასწარმეტყველურ ნიჭზე საუბარს. ვინც თუნდაც ქართველ მგზნებარე რევოლუციონერთა ბიოგრაფიებს გადაიკითხავს (მწერალი კი ყოველივეს საკუთარი თვალით ხედავდა), ნახავს, რომ მათგან უმრავლესობა თითქმის ერთდროულად, 1937 წელს არის გარდაცვლილი

სწორედ იმათი წყალობით, ვისთან ერთადაც, ფხოვის ხევისბრებივით, ერთ დროს ერთ მაგიდას უჯდა– სიძულვილზე აგებული ერთობით გამარჯვებულნი გამარჯვების შემდეგ სიძულვილის რეალიზაციას, როგორც წესი, ერთმანეთზე ახდენენ.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია
მტრებისთვის სახრჩობელაო“

მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეს ასე, როცა ამ ერთობას საფუძვლად სიყვარული და ზნეობა უდევს.

თავი III
პიროვნება და სახელმწიფო „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით

ფილოსოფოსები ასეთ დასკვნას გვთავაზობენ: სახელმწიფოს არ აქვს მორალი, სახელმწიფოს არ გააჩნია ზნეობა.

სახელმწიფოს რაობას სხვა ეთიკური კატეგორიები ძიესადაგება – სამართლიანობა ან უსამართლობა.

პიროვნება შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო, სამართლიანი ან უსამართლო. სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო, იგი მხოლოდ სამართლიანია ან უსამართლო და, როცა ჩვენ ხშირად სახელმწიფოს ზნეობაზე ვლაპარაკობთ, მექანიკურად ტოლობის ნიშანს ვსვამთ სამართლიანობასა და ზნეობას შორის.

ის, რაც უზნეობად ითვლება პიროვნებისთვის, შეიძლება სამართლიანობად ჩაითვალოს სახელმწიფოსათვის. მაგალითისათვის: კაცის მიერ კაცის მოკვდინება ყველაზე საშინელი ცოდვაა, მაშინ, როცა იმავე აქტს სახელმწიფო სამართლიანობის სახელით სჩადის.

ამ მომენტის გათვალისწინების გარეშე ალბათ არ უნდა ვიმსჯელოთ „დიდოსტატის მარჯვენის“ ამ პერსონაჟებზე, რომელნიც სახელმწიფოებრივი იდეით, საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის სურვილითა და რწმენით არიან შეპყრობილნი, რომელნიც თავად განასახიერებენ ამ იდეას.

ეს მომენტი, პიროვნებისა და სახელმწიფოს ეთიკური კატეგორიების რაღაც მომენტებში არათანხვედრილობა, ზოგჯერ პიროვნების სახელმწიფოსთან დაპირისპირებას იწვევს.

გაიხსენეთ შორენა, რომელიც ზნეობრივად მართალია გიორგი მეფისად-

მი განზრახულ შურისძიებაში, ვინაიდან ძის თვალწინ ამოუშანთეს მამამისს თვალები, მაგრამ უსამართლოა იმავ მეფისა და სამშობლოს მიმართ, ვინაიდან თალაგვა კოლონკელიძე, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საკვლებით სამართლიანად დაისაჯა.

ზოგჯერ, პირიქით, პიროვნებისაგან უახლოესი ადამიანების ინტერესების უგულებელყოფას იწვევს.

კონსტანტინე არსაკიძე შეთქმულებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად განზე განუდგა საყვარელ ქალს, ვინაიდან შორენას ერთგულება ამ საქმეში ქვეყნის ორგულობას ნიშნავდა.

დაბოლოს, პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესთა არათანხვედრილობა არცთუ იშვიათად პიროვნების შინაგანი გაორების საფუძველია და პიროვნების რაობაც იმით მკლავნდება, თუ საით გადაიხრება მისი გრძნობათა ბარომეტრი: პიროვნულისა თუ სახელმწიფოებრივისაკენ.

გაიხსენეთ მეფე გიორგის სულის მდუღარება მისი საყვარელი შორენას მამის დასჯის წინ.

ახლა კი კონკრეტულად იმ პერსონაჟთა შესახებ, რომელნიც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის დიდი ენებით არიან შეპყრობილნი.

გიორგი I

არათუ მეფე, თავისი ქვეყნის სიმბოლო, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე უზარმაზარი პასუხისმგებლობის ტვირთწამოკიდებული, არამედ რიგითი მოქალაქეც კი, თუკი სხვებზე ნაადრევად დააწვება პასუხისმგებლობის ტვირთი, იძულებულია დაემშვიდობოს ყმაწვილკაცობის უფლებით მინიჭებულ სილაღეს.

„სადა ხარ, სიბერევ, უშენოდ ვბერდები“ — პოეტის ამ სიტყვებში გარემოებათა გამო ახალგაზრდობაწართმეულთა სატკივარი ხმიანობს.

თორმეტი წლისა იყო, როცა მეფედ აკურთხეს:

„მეფე ხარ და ხამს“

„მეფე ხარ და გმართებს“ — ჩაესმოდა დღენიადაგ მზრდელის ხმა, მაშინ როცა მისი ტოლები ჯერაც ბელურებს დასდევდნენ დასაჭერად...

ცოლიც უსიყვარულოდ შერთეს, ჩვეული პოლიტიკური ანგარიშიანობით.

ახალგაზრდობაში დაკარგული თავისუფლების ანაზღაურებას მოწიფულ ასაკში ცდილობს მეფე.

გლახუნა აშშანიძედ გარდასახული ხან სანადიროდ დაეხეტება თანშეზრდილ

ჯებთან ერთად, ხან უზომოდ შეექცევა ღვინოს, ხანაც სასახლის ეტიკეტიდან და დედოფლის „მეურვეობიდან“ თავდაღწეული, მშვენიერ სქესთან ნებიეროზს.

მოკვდავნი დიდებისაკენ ილტვიან, დიდებულთ კი ხშირად ენატრებათ უბრალო მოკვდავთა უბრალო ცხოვრება.

გიორგი პირველი სწორედ იმით არის ახლობელი და მის განცდებთან მკითხველს იმადაც აქვს თანაზიარობის გრძნობა, რომ მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. თუმცა მეფის ტვირთი აიძულებს, მოთოკოს ვნებანი და მხოლოდ დროდადრო სახით, სახელითა და სამოსელით სახეცვლილი გავიდეს ხალხში, მაგრამ როლის გამოცვლა სულაც არ არის პირობა ხვედრის შემსუბუქებისათვის, რადგან სული, მარტოკაცობის მძიმე განცდით შეპყრობილი, ძნელად ემორჩილება გარეგნულ ექსცესებს.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიწურულს მეფეს ნამდვილი სიყვარული ეწვია. ძლიერი მამაკაცური ვნებით შეუყვარდა კოლონკელიძის ასული შორენა. ჭიდილი მეფის მოვალეობასა და სიყვარულს შორის პირველის გამარჯვებით დასრულდა ვკერ კიდევ კვეტარის ციხეში, როცა გიორგიმ უარი უთხრა შორენას, შეეწყალებინა თალაგვა.

მეფე ქვეყნის ინტერესს უქვემდებარებს პიროვნულ სურვილებს, თუნდაც ეს ინტერესი ამ სურვილებზე უარის თქმას აიძულებდეს.

დანარჩენი ცოდვები მისატევებელია.

როცა ამბობენ — რაც ეპატიება იუპიტერს, არ მიეტევება ხარსო — უპირველესად იგულისხმება ის, რომ, თუ თავისი დიდი მოვალეობის წინაშე პირნათელია კაცი, ეპატიება იმათზე მეტი, ვისაც ამ ცოდვათა მოთოკვის გარდა სხვა რამ არცა-რა მოვალეობა აკისრია.

ცხადია, ეს ცოდვათა გამართლებას არ ნიშნავს, გამართლების ნაცვლად უპრიანია აქ სიტყვა გაგება ვიხმაროთ.

ცხადია, დანაშაული იყო არსაკიძისათვის მკლავის წარკვეთა. მაგრამ კურიოზია მტკიცება იმისა, რომ მეფის ამ საქციელის მიხედვით ვიმსჯელოთ ხელოვანის ბედზე ტირანულ სახელმწიფოში, ვინაიდან მეფემ არსაკიძე როგორც ხელოვანი კი არა, როგორც მეტოქე, რაყიფი, სიყვარულში მოცილე - დასაჯა. ისე, როგორც გაიმეტა საკუთარი დეიდაშვილი, გირშელ ერისთავი, მოაწამვლინა ჭიაბერი. ამ ანალოგიით კი შეიძლება ვიმსჯელოთ მეფის დეიდაშვილების ან საწყალი ერისთავების ბედზეც ტირანულ სახელმწიფოში, რაც აბსურდია.

როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის, ისე მეფის ადგილი ამ მზისქვეშეთში იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად გრძნობს იგი საკუთარი მისიის პასუხისმგებლობას.

გიორგი I უპირველესად საკუთარი ღირსების შემგრძნები და ერის ღირსების დამცველია.

მონარქი, რომლის ერთი სიტყვაც საკმარისი იყო, მონასავით მოეგვარათ მისთვის ტყვედპყრობილი შორენა, უსაზღვროდ იტანჯება ამ ქალისადმი ცალმხრივი სიყვარულის გამო.

თავშეკავება მაშინ კი არ გამოხატავს ადამიანის ღირსებას, როცა იგი ამა თუ იმ საცთურის გამო გრძნობებს მოთოკავს, არამედ მაშინ, როცა დაუსჯელად შეუძლია სურვილთა აღსრულება და ამას არ სჩადის.

სვეტიცხოველის დიდებული ტაძრის მშენებლობაც შინააშლილობითა და გარეშე მტრების მუქარით შეჭირვებულ ქვეყანაში გიორგის ეროვნული ღირსების ხაზგასასმელად სჭირდებოდა.

ბიზანტიელებს, როგორც ითქვა, მედიდურობის ერთ არგუმენტად თავიანთი კულტურაც ჰქონდათ, რის წინაშეც ქედმოხრილი იყო მელქისედეკ კათალიკოსი და არაერთი ქართველი.

სვეტიცხოველი ეროვნული ღირსების გამოხატულება უნდა ყოფილიყო, ანუ დასტური იმისა, რომ საქართველო არც კულტურული მეტოქეობის ასპარეზზე დაუდებდა ტოლს იმპერიას.

ახლა ისიც გაიხსენეთ, როგორ აცოფებდა გიორგის ქართველების მიერ ბიზანტიელებისაგან მიძღვნილი ჯინჯილებისა და ხარისხების ტარება, ვითარცა ეროვნული ღირსების შელახვის ფაქტი.

კეისრისაგან ნაბოძები მწვანე ეტლი პირადად მას უქმად ეგდო სასახლის ეზოში და მხოლოდ ერთხელ გამოიყენა ძალლების გადასაადგილებლად...

გიორგიმ ბერძნულიც იცოდა, არაბულიც, მაგრამ სასახლეში მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა უცხოელებს. ეს ეტიკეტიც პურიზმის კი არა, სახელმწიფოებრივი აზროვნების აწ სანატრელი გამოხატულება იყო.

თავისთავად ის ფაქტიც, რომ გიორგი წუთისოფლის სიამეთა საძიებლად სახეცვლილი, გლეხის ტალავარით შემოსილი გადის სასახლიდან, მეფური ღირსების გაფრთხილებასაც ნიშნავს. ის არ არის ასკეტი, მას სწყურია ადამიანური, სისხლსავსე, გნებავთ, ბოჰემური თავდავიწყება და დიაცთა ფერება, მაგრამ მან იცის: როგორც სახლი, მაღალ გორაკსა ზედა დაშენებული, ჩანს ოთხივე მხრიდან, ისე მეფის ცხოვრების ყველა წვრილმანი ჩანს ქვეყნის ოთხივე მხრიდან და მეფე ქვეშევრდომთა თვალში ყოველი ღირსებით შემკულად უნდა გამოიყურებოდეს. ადამიანურ სისუსტეთა საქვეყნოდ დემონსტრირების უფლება მას არა აქვს.

გიორგი პირველი ამითაც განსხვავდება იმ გულნამცეცა მეფეთა თუ დიდებულთაგან, რომელთათვის ძალაუფლება უპირველესად შეუზღუდავი და

მოურიდებელი განცხრომის საშუალებაა.

დიდი მისია დიდ ადამიანს ამ მისიის მონად აქცევს და ყველა დანარჩენს იმ თვალით უყურებს, თუ რამდენად წაადგება თავისი მისიის ღირსეულად აღსრულებაში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოდ გამოიყურება მეფის ამალა, დღევანდელი ტერმინით თუ ვიტყვით, მეფის გუნდი.

ამ გუნდში მეფეს თავის უერთგულეს ზვიად სპასალარსა და გირშელთან ერთად ჰყავს ფარსმან სპარსიც. მეფე შესანიშნავად გრძნობს ფარსმანის ქვეგამხედვარობას, ისიც იცის, რომ მელქისედეკ კათალიკოსი ცამდე მართალია, როცა ფარსმანის უზნეობაზე მიუთითებს და მის გაგდებასაც თუ დასჯას ითხოვს, მაგრამ მელქისედეკი მხოლოდ ზნეობის პრინციპიდან ამოდის. მეფე კი სახელმწიფოს განასახიერებს და, როგორც ზემოთ ითქვა, სახელმწიფო სჯის არა ზნეობა-უზნეობის მიხედვით, არამედ სამართლიანობა-უსამართლობის თვალსაზრისით. მეფემ იცის, რომ ფარსმანი თავისი ცოდნითა და იარაღის ჭედვის საიდუმლოს ფლობის გამო სახელმწიფოს სჭირდება, ამიტომ იმ დიდი მისიიდან ამოდის, რაც მას აკისრია, და, პიროვნული ზიზღის მიუხედავად, ფარსმანს სასახლის კარზე იტანს.

არც არსაკიძე დაუწინაურებია მეფეს პირადი ერთგულების ნიშნით, პირიქით, ტყვეს მოწინააღმდეგის ლაშქრიდან უზარმაზარი თანამდებობა უბოძა, ვინაიდან არსაკიძე მისი ქვეყნისათვის საჭირო კაცი იყო.

არც მელქისედეკი ეხატება გიორგის გულზე მისი გაუთავებელი შეგონებებისა და ბიზანტიური ორიენტაციის გამო, მაგრამ იგი ზნეობრივად სუფთა კაცია, ქვეყნის სულიერ ცხოვრებას კი წმინდა მესაჭე სჭირდება. ერთი სიტყვით, მეფე, როგორც თავისი ქვეყნისა და ხალხის პატრონი, უპირველესად თავისი დიდი მოვალეობის თვალით უმზერს ირგვლივ ყოველივეს.

თალაგვა კოლონკელიძის სასახლეში სიყვარულსაც ამ მოვალეობის შეგრძნებით აკვირდება და, შორენას მუდარის მიუხედავად, არ დაინდო მისი მამა.

ქვეყნის თვალში მეფემ ბოლომდე ზიდა ეს ჭაპანი, მაგრამ თავად ხომ კარგად უწყოდა, რომ აბობოქრებულ ადამიანურ ვნებას მაინც ვერ მოერია. დეიდაშვილი გირშელის სიკვდილს მისი ჩუმი დასტურიც ახლდა, სვეტიცხოველის ცუდად აგების გამო კი არა, ეჭვიანობის ნიადაგზე წარჰკვეთა მარუკვენა არსაკიძეს და შორენას სიცოცხლეც მის ამ ქმედებას შეეწირა.

სიყვარულის ნიადაგზე გამოჩენილ სისუსტეს შეეწირა კიდეც გიორგი. იგი სიკვდილის საძებნელად გავარდა ტყეში და იპოვა კიდეც სიკვდილი.

ამ მოულოდნელი რაკურსით მეფის სახე გამსახურდიამ დაუვიწყარ მხატვრულ პერსონაჟად აქცია.

კონსტანტინე არსაკიძე

ერთიანი საქართველოს იდეის განმასახიერებელია მეფის ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე. პიროვნულად არსაკიძეს ჰქონდა მიზეზი, მეფის ხელისუფლების სიძლიერეზე არ ეფიქრა, პირიქით, საფუძველი სწორედ იმისი ჰქონდა, განაწყენებული ყოფილიყო, მაგრამ დიდმა ხელოვანმა იცის, რომ არ შეიძლება გაუბრაზდე სამშობლოს, მეფე კი ერთიანი სამშობლოსათვის იბრძოდა.

არსაკიძე ფხოვიდან გაკოჭილი წამოიყვანეს. მცხეთაში უპატრონოდ ეგდო. ავადმყოფობამ კინალამ იმსხვერპლა. როცა მეფემ ნადირობისას ნახა და მისი პირვანდელი იერი გაახსენდა, გაიფიქრა, რას დამსგავსებია მშვენიერი ვაჟკაციო. ეს დეტალიც მკაფიოდ მეტყველებს, რა დღეში იყო ტყვეობაში კოლონკელიძის კარზე ოდესღაც გალაღებული ახალგაზრდა. თავისი ხარჭადყოფილის, ვარდისახარის, ღალატშიც დარწმუნდა და საყვარლის წაგვრაც მეფეს მიაწერა. რაც მთავარია, არსაკიძის მამა გიორგის ლაშქარს შეაკვდა ფხოვში. ერთი სიტყვით, კონსტანტინე არსაკიძეს მეფე რომ არ ჰყვარებოდა, არაფერი იყო ამაში უცნაური, მით უფრო, შინაგანად იგი სრულიადაც არ გრძნობდა თავს მეფის მონად და ყმად. არსაკიძე ჭეშმარიტი ხელოვანი იყო, შესანიშნავად იმეცნებდა საკუთარი თავის ფასს.

მან კარგად უწყოდა, რომ მოკვდავ ადამიანს ჭეშმარიტი ხელოვნების ნაყოფი უკვდავებასთან ხდის წილნაყარს და შეუძლებელი იყო, სვეტიცხოველის შემოქმედს შინაგანი მეტოქეობის გრძნობა არ ჰქონოდა ამა სოფლის რაგინდარა ხორცით ძლიერი პირის მიმართ. ის კი არა, ღმერთთან მებრძოლი იაკობის სურათიც კი დახატა, სადაც იაკობში საკუთარი თავი მოიაზრა, ხოლო ღმერთი მელქისედეკის სახით გამოსახა_

აქედან გამომდინარე, ის არ არის უბრალო ხელოვანი, რომელიც შიშით შეიძლება ცახცახებდეს ვისიმე წინაშე. კონსტანტინე შემოქმედია, ახალი სამყაროს შემქმნელი მხატვარი და ხუროთმოძღვარი და მისი, როგორც მეფის ტყვისა და მეფის ყმის, მდგომარეობა სრულიადაც არ არის ადეკვატური მისივე სულიერი ყოფისა.

„განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალიე სვეტიცხოველს ჯანი?

მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი“ — ეუბნება იგი შორენას.

მან იცის საკუთარი თავის ფასი, ამიტომ იყო, ტყვედყოფილმა იწყინა კიდეც, როცა მეფემ მიმინოებით იხმო სანადიროდ — „მე არ შემიძლია

მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა ოსტატის საქმესთან შევითავსო, თუ ხუროთმოძღვრის ხარისხი გაზიერთუხუცესობასაც მოასწავებს, მაშინ იმ ტაძარს მოვამთავრებ და კირითხუროო ვიქნები უბრალო“ — ამ სიტყვებსაც არსაკიძეს ათქმევინებს მწერალი და არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ თვით მწერალს ოფიციალურ, კარისკაცის სამსახურში არასოდეს უმუშავია_

დაბოლოს, კონსტანტინე არსაკიძეს უდგას ალტერნატივა: ხელოვნება, სვეტიცხოველი თუ შორენა, მაგრამ არასოდეს დასცდენია: მეფის შიში თუ შორენა? ქალის სიყვარულს იგი ისე ბუნებრივად ეწაფება, თითქოს მისი მეტოქე მეფე კი არა, ჩალვადარი ყოფილიყო. ესეც ერთი მაგალითი იმისა, რომ კონსტანტინე შინაგანად ნამდვილად არ გრძნობს თავს დათრგუნვილად და ხელოვანის თავისუფალი სული არც არავის ბატონობას ანებებს (გაიხსენეთ ხუროთმოძღვრის ადამიანური ურთიერთობა სვეტიცხოვლის მშენებელ მონებთან) და არც ქვეშევრდომობას.

არც ვაჟკაცობაში უდებს ტოლს არავის ხუროთმოძღვარი. ოთხი კაცის ასწვეი ქვა მარტომ შეიკავა სვეტიცხოვლის ხარაჩოზე, რათა ბოდოკიას არ დასცემოდა, ხოლო ჟამის გაურცელებისას იმ ფარდულში შევიდა, სადაც ავადმყოფი იწვა და საიდანაც ყველა თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა.

ამ სცენის შემდეგ მეფისა და ხუროთმოძღვრის შეხვედრა, როცა მეფე ძალით ჩამოართმევს ლაზს ხელს, რომელიც, თავის მხრივ, მეფეს უფრთხილდება, – ავადმყოფობა არ გადაედოსო, ორი დიდი ადამიანის წარუშლელ პორტრეტს წარმოგვიდგენს.

აი, ამ ღირსებებით შემკულ ლაზს მეფისადმი შიშის გრძნობა ვერ დააკარგვებდა, უკეთუ იგი პირადი განაწყენების გამო მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა ბანაკში გადასვლას მოინდომებდა.

ხურსისეულ სასახლეში არსაკიძე უნებლიეთ შეესწრო შეთქმული ხევისბერებისა და შურისძიებით ანთებული შორენას საუბარს:

„დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის. უჩემოდ ნუ დაიწყებთ ამბოხს_

მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავისურავ, მის ხმალს შეშეოვირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გაუძღვები წითელის დროშით. მაშინ გამოჩნდება ქუდოსანთა სიმამაცე, ცხოველნო!“.

ამ სიტყვების პასუხად მოგვიანებით არსაკიძე ეტყვის შორენას: „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ და არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი, მაგრამ არა მგონია, შენმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შექმნას ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ“.

როგორც ვხედავთ, არსაკიძეც მეფე გიორგიით ყველა მოვლენას ერთი

დიდი გადასახედიდან უყურებს – რამდენად წაადგება იგი სამშობლოს.

სვეტიცხოვლის მშენებლობის დროს ჟამიანობით დამფრთხალ ლაზებს ასე არიგებს ხუროთმოძღვარი: „რას იტყვიან იბერიელები? მშიშარანი ყოფილანო ლაზები, იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გვერიდებოდეს, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო. ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი“.

ამ მონოლოგის ავტორი და მეფე საქართველოსი ერთნაირად და ერთი მიმართულებით იხედებიან, ამიტომ სულაც მეათესარისხოვანია მათი პირადი ურთიერთობა, მათ ისეთი საერთო აქვთ, რის გამოც საყოველთაო სიყვარულს იმსახურებენ და, კაცმა რომ თქვას, რომანის მიხედვით არც ურთიერთსიმპათიის დეფიციტს განიცდიან რომანისა და არა კრიტიკის მიხედვით, რომელმაც მეფისა და მისი ხუროთმოძღვრის ურთიერთობა რატომღაც აბსურდული ფორმულირებით განსაზღვრა – ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში.

კათალიკოსი – კი, მაგრამ მეფე არც კი ჩარეულა ხელოვანის შემოქმედებითის საქმეებში სვეტიცხოვლის მშენებლობისას, რაც შეეხება ეჭვიანობის ნიადაგზე არსაკიძის დასჯას, თუ ეს ფაქტი ხსენებული საკითხის წამოწევის საფუძველს იძლევა, ვიმეორებ, ასეთივე წარმატებით უნდა ვლაპარაკობდეთ დეიდაშვილების ბედზე ტირანულ სახელმწიფოში (გირშელი) ან ერისთავების ბედზე ტირანულ სახელმწიფოში (ჭიაბერი).

გიორგი პირველიცა და კონსტანტინე არსაკიძეც ერთიანი საქართველოს დიდი მხედრები არიან, ამიტომაც უყვარს მკითხველს როგორც მეფე, ისე ხუროთმოძღვარი მისი.

თავი IV
ცოდვა და სიყვარული
(კოლონკელიძის ასული შორენა)

„დიდოსტატის მარჯვენა“ ისეთი წმინდა და ამაღლებული სიყვარულის საგაა, როგორსაც იშვიათად შეხვდებით ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ კაზმულსიტყვაობის ანი და ჰაე სიყვარულია, ეს მარადიული და გაუხუნარი გრძნობაა კაცთა მოდგმისა და მას იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველა მწერალი შეხებია. უიღბლო შეყვარებულთა მრავალრიცხოვან გალერეაში გამსახურდიამ მოახერხა სრულიად ორიგინალური ხატება წარმოედგინა შეყვარებულთა ტრიადისა, რომელთა ვნებებს შემოდგომის ცივ მზესავით

დაჰნათის ცრუ იმედი ბედნიერებისა.

ფერებით უზადო მხატვარს შორენას პორტრეტის წარმოჩენა არ გაუჭირდებოდა და ცოცხლად წარმოგვიდგინა კიდეც პირმშვენიერი ასულის ხატება, მაგრამ არც არაფერი რომ არ ეთქვა მწერალს მისი სილამაზის შესახებ, ერთი ისეთი დეტალი აქვს რომანში, ყველა ეპითეტზე, ყოველგვარ დახასიათებაზე უკეთ რომ წარმოგვადგენინებს ხორცშესხმულ მშვენიერებას.

ჰომეროსმა გამოიყენა ასეთი ხერხი ელენეს სილამაზის გადმოსაცემად: მოხუცები ბუზღუნებენ, ნუთუ ქალის გამო ღირდაო ამხელა ომის ატეხა? ამ დროს ელენეს ჰკიდეს თვალი და... ღირდაო, — დაასკვნეს.

მხოლოდ დიდ მწერალს შეუძლია, ერთი კალმის მოსმით უკვდავყოს კაცი. გიორგი მეფემ „მცხეთას ნახა შორენა პირველად, სავსებით გადაავიწყდა, რომ იგი მეფე იყო და თავდაჭერა მართებდა. კათალიკოსი და დედოფალი ტაძრეულს შეატოვა...

შორენას მიეჭრა, ცხენზე ასვლაში უშველა თავათ, შემდგომ ამისა, უნაგირზე გადამჯდარ ქალს მისწვდა, ცხენი იფარა, საწმერთულის ტოტი აუწია და აკოცა წვივზე“...

ქალის პირველდანახვისთანავე მრავალისმნახველი მეფის ყმაწვილივით აცეტება უკეთ წარმოგვიდგენს შორენას ღვთაებრივ სილამაზეს, ვიდრე ეს სამ-ოთხფურცლიანი აღწერით მოხერხდებოდა.

მშვენიერების წინაშე უძლურია და განიარაღებული ძალა. არსაკიძემ სიზმარი ნახა: ორი უზარმაზარი დათვი მიიწევდა შორენასაკენ, მიუახლოვდნენ და ფეხქვეშ გაეგნენ...

ერთი გირშელი იყო ამ ზმანების იმპულსის მიმცემი, მეორე - თვით მეფე, რომლის ძალაუფლების სუსხი, მეფური პატივმოყვარეობა და მდგომარეობა ცვილივით დაადნო შორენას სიყვარულით ანთებულმა ხანძარმა.

ხმალთა მკვეთელი მეფე უძლური აღმოჩნდა სიყვარულის წინაშე. „ჩემი გული დიდი ხანია სხვას ეკუთვნის, მეფეც ბატონო“ — ყველა ჭრილობაზე მეტად ასტკივდა მეფეს შორენასაგან ეს სიტყვები, მაგრამ მან მეფური მოვალეობის გამო თავად გაწირა თავი უიღბლო სიყვარულისთვის. შორენა არ არის ის ქალი, რომელიც მამის სიცოცხლის გამამწარებელს სარეცელს გაუზიარებს. ესეც არ იყოს, შორენა არც ის ქალია, სხვის უბედურებაზე რომ თავის ბედნიერებას ააგებს. მეფეს ხომ ჰყავს თანამეცხედრე, აკი ასეც უთხრა არსაკიძეს შორენამ.

მეფე კი, წმინდა თაღის სიყვარულში, უდანაშაულო დამნაშავეა.

მეფე იყო და უნდა დაეპყრა თალაგვა; ადამიანია და შეუყვარდა თალაგვას ასული; მეფე იყო და აღრე დაადგეს პოლიტიკური გარიგებით ცოლქმრობის

ულელი. ადამიანია და გვიან, მაგრამ ეწვია სიყვარული.

ცოდვილი მეფის სიყვარული არ მიიღო შორენას უმანკო გულმა.

როგორი ზვიადია მეფე! ყველა ხილული ზღუდე გადალახა სიყვარულისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ უძლური აღმოჩნდა ქალის გულისთქმით აღმართული ბარიერის წინაშე.

არსაკიძეს და შორენას წმინდად უყვართ ერთმანეთი, როგორც ირემსა მწყურვალს წყალი, ესრეთ სწყურიათ მათ ერთმანეთის სიყვარული, მაგრამ მათ შორისაც, გარდა გარეგნული ბარიერებისა, გახიდულია ხუროთმოძღვრისთვის ყველაზე ძნელად უარსაყოფი - სიყვარული ხელოვნებისა.

„ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებაი“ — ან ერთს უნდა მიეცე მთელი არსებით, ან მეორეს. გახსოვთ, რუსთაველი რომ ამბობს, მიჯნურობას მოცალეობა უნდაო. შორენა ეჭვიანობს სვეტიცხოველის გამო და არცთუ უსაფუძვლოდ. დიდოსტატი სვეტიცხოველს ვერ ცვლის ვერანაირ ადამიანურ ვნებაში.

მიწისძერის შემდეგ მცხეთიდან თავდაღწეულ შეყვარებულთ გაუჩნდათ შესაძლებლობა, ერთად განრიდებოდნენ ყველას და ყველაფერს და თავდავიწყებას მისცემოდნენ. მაგრამ მეფისთვის მიცემული სიტყვა და ჯერაც დაუმთავრებელი სვეტიცხოველის ტაძარი უკან უხმობს ხუროთმოძღვარს.

რაც მთავარია, შორენას სისპეტაკის გვერდით არსაკიძესაც ცოდვილის შეგრძნება უჩნდება. „ქენჯნიდა თავისთავს მამაკაცური გულარძნილობის გამო. ბიზანტიონის სამეძავო სახლების სიბინძურე თვალწინ დაუდგა.

ბერძნის კახპები. თურქის დიაცები. ბიზანტიაში გაყიდული ლაზი გოგონები მოაგონდა.

ბალღობიდანვე გაკახპებული, უპატრონო დედაკაცები. გული აურიეს ამ სახეებმა... ბოლოს შემოეყარა იგი, ვისაც პირველი სიყვარული უნდა რგებოდა, უკანასკნელი შეაძლიეს უკვე განწირულს და განიკითხეს არსაკიძე თავის ყმაწვილურ შეცოდებათა გამო.

ასე გამოდის ცხოვრებაში. სიყრმიდანვე იხეტიალებს სიძვის დამრეცილ ბილიკებზე ვაჟი, მერმე უცილოდ მას უნდა წაეპოტინოს, ვინც ისე სპეტაკია, როგორც თოვლი რომკას მწვერვალის, ვინც ისე შეურყვნელია, როგორც ველის ყაყაჩოები.

ოჰ, რა სასტიკად განმკითხველია სიცოცხლისა და სიკვდილის უფალი!“

ცოდვის შეგრძნება მთელი სიგრძე-სიგანით უჩნდება ჭაბუკს, როცა შორენას ანგელოზური სიწმინდით გამოხედვას შეაგებებს მზერას და, როგორ არ გავიხსენოთ აქ გალაკტიონი — „არის ამქვეყნად დაგვიანება, მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?“.

თვითონ შორენაც, ეს ფხოველი ბეატრიჩე, როგორი სალია, როგორი თავისუფალი ეგოიზმის მარწუხებისგან. ისიც საკუთარ თავში ეძებს ცოდვას უილბლო სიყვარულის წინაპირობად და არ ამუნათებს სიყრმის მეგობარს მსხვერპლის არგაღების გამო.

მასაც ცოდვილი ჰგონია თავი ჭიაბერის ცოლობაზე დათანხმების გამო, რომელიც არ უყვარდა. მაგრამ საკუთარი გულისთქმის გამჟღავნებაც არაკისთვის შეეძლო, რადგან მისი რჩეული მის ძუძუმტედ ითვლებოდა.

როგორი თანაგანცდის მომგვრელია ამ სამი შეყვარებული გულის ტკივილი თავიანთი უდანაშაულო დანაშაულის ჩათვლით.

შორენას საყვარელი ნებიერა გაექცა ტყვეობას, შორენა - ვერა. ბაგინეთის დედათა მონასტერში აღკვეცილი შუშანიკი, შემთხვევით შეიტყო რა არსაკიძისათვის განრისხებული მეფის მიერ მკლავის წარკვეთის ამბავი, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისკენ და გაფრენილი ანგელოზივით მხრებგაშლილი გადაეშვა უფსკრულში...

ასე დასრულდა სიყვარულის ისტორია მეფისა, ხუროთმოძღვრისა და ფხოვის ერისთავის პირმშვენიერი ასულისა, სიყვარულისა, რომელმაც ეს ისტორიულ თემაზე დაწერილი რომანი ყველა თაობის შეყვარებულთა სასთუმლის წიგნად აქცია.



ტიციან ტაბიძე

ცხოვრება და მოღვაწეობა

1925 წლის ნოემბრის სუსხიანი დღეებია. წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს გასათავისუფლებლად აღმდგარი ქართველი ერი გატეხა და აჯანყება სისხლში ჩაახშო ახალმა ხელისუფლებამ.

გასული წლის აგვისტოს მოვლენების მოგონებით გულშეძრული მამულიშვილნი ბოლმით იხრჩობიან, მაგრამ გულისნადებს ვეღარავის უმჟღავნებენ. ქვეყანა საჭეა შინსახკომის აგენტებთა და გაურკვეველი ეროვნების მსტოვრებით.

ტიციან ტაბიძემ კარგად იცის, რომ „საკუთარ ძმასაც ვეღარ გაუმხელს, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი“, მაგრამ ტკივილის დაყუჩება და სიტყვისათვის ლაგამის ამოდება აგრე რიგად ადვილადაც არ ხერხდება. და, აი, 1925 წლის ნოემბრის დღეებში იგი წერს ნაწყვეტს პოემიდან „ჩალატარ“, სადაც ახსენებს აღა-მაჰმად — ხანს. პოეტი წერს:

„ჩემო თბილისო — როცა ვიგონებ,
რომ გალეწიეს ბავშვების კალო,
მეც მინდა ტანჯვა გავიზიარო,
მეც მინდა ცრემლით რომ დავიღალო“.

არადა, არც ჩალატარია აქ არაფერ შუაში, არც აღა-მაჰმად-ხანის ნაგვი-

ანევი წყველა აქვს განზრახული და ვერც საუკუნის წინათ თბილისში გალეწილი ბავშვების კალოზე ტირილით მოიოხებს გულს.

ტიციანი ახალი აღა-მაჰმად-ხანების შესარისხავად იღებს ხელში კალამს. მათ მიერ აოხრებულ საქართველოს მისტირის. მაგრამ 1925 წელია. მტარვალნი გამარჯვებულნი არიან. გამარჯვებულებს კი პოეტი ვერ გაასამართლებს... ამიტომ მკითხველს ყურადღება წარსულში გადააქვს, თუმცა დაკვირვებული თვალისათვის ძნელი შესამჩნევი არ არის, თუ ვისკენაა პოეტის მრისხანე მზერა მიმართული:

„ვიღაცა დადის ხმალამოწვდილი,
ვიღაც დაჰყეფავს ცოფით დარიალს,
კელაპტარივით დგას მთა მყინვარის –
თერგი ქაჯების ისმენს დაირას“.

თერგთან ქაჯების ტაშ-ფანდური, დარიალთან ვიღაცის ცოფიანი ყეფა აღმოსავლეთიდან მოსული მტრის ასოციაციას არ აღძრავს. დარიალთან აღა-მაჰმად-ხანს ფეხიც არ დაუდგამს. დარიალიდან მეთერთმეტე არმიის ურდოები შემოიჭრნენ საქართველოში. დაბოლოს, პოეტი ფიცს დებს:

„ამ საშინელ და უიღბლო ღამეს
მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი,
რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი
ბატონიშვილის ალექსანდრესი“.

ასეთი იყო ტიციან ტაბიძის ეროვნული პოზიცია, რის გამოც კარგად უწყოდა, რომ მალე მასაც გამოასალმებდნენ წუთისოფელს. აკი „იწინასწარმეტყველა“ კიდეც სერგეი ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში –

„ჯერ არ მომკვდარა ხომ პოეზია,
მუზები ცისკრის კარებს აღებენ.
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ალბათ ჩვენც მალე ჩაგვაძაღლებენ“.

თუმცა, ბუნებრივია ისიც, რომ სიცოცხლის დათმობა ადვილად არ ძალგვიძს ადამიანებს. პოეტის მოსწრებული თქმისა არ იყოს, „რაც არ უნდა იყო გმირი, სული მაინც არის ტკბილი“.

სიკვდილის აჩრდილი 1921 წლის შემდეგ მუდამ თავს დასტრიალებდა ჩვენს უკეთეს მწერლებს და მათ შორის ტიციან ტაბიძესაც. სიკვდილის შიშმა ერთიანად გათანგა ყველა და საშინელი ტირანიის წლებში მათ განიზრახეს

„თანამგზავრებად“ მაინც მოეჩვენებინათ თავი ხელისუფლებისათვის. როგორც ძალლს მიუგდებენ ლუკმას, ისე გაიღეს ახალ ჰანგებზე ამღერებული ლექსები. თქვენ იცით, რომ „თანამგზავრს“ ახალი ქვეყნის, ახალი ხელისუფლების მტერსა და მოკეთეს შორის შუალედურ ადგილს მიაკუთვნებდნენ. „თანამგზავრის“ სახელის მოპოვება თითქმის სიცოცხლის შენარჩუნების გარანტია იყო. ამიტომ წერდა ტიციანის მეგობარი და თანამოკალმე ნიკოლო მიწიშვილი ასე მწარე ირონიით:

„... თანამგზავრის სახელი, ჩინი,
მე, სულ ერთია, არ მეღირსა, ვერ შევიძინე,
მომაკვდინებელ გადახრების დამჩემდა ჟინი —
მე გადახრილად ვჭამე, თურმე ვსვი, დავიძინე...
მინდა გავსწორდე. გავაშეშო, ბრძოლა — ყიჟინით...
მაგრამ ერთხელაც გადუხრელად ვერ გავიცინე,
ვშიშობ, რომ ახლაც უსაშველოდ გადავიხარე,
მოდით, მიშველეთ, თავს ნაცარი გადავიყარე...“

ამ დღეში იყო ყველა პოეტი, არაკომკავშირელი პოეტები, ცხადია. ამ დღეში იყო ტიციან ტაბიძეც და ამიტომ „თანამგზავრის“ მხსნელი სახელის მოსაპოვებლად დაწერილ მის ლექსებსაც თუ გაეცნობით, ნუ გაიკვირვებთ. 20-იან და 30-იან წლებში, მერმეც, ისიც უხდებოდათ ჩვენს მწერლებს, „ერთი ეფიქრათ და მეორე დაეწერათ“, „თავს ნაცარი გადაეყარათ“. ამ სიტუაციის დასახასიათებლად, უპრიანია, გავიხსენოთ ლეო ქიაჩელის ერთი ხუმრობა:

მწერალმა ივანე ყიფიანმა შექმნა ფანტასტიკური რომანი სათაურით „ამონი“. რომანის ერთ-ერთი გმირი გამოიგონებს ისეთ ბეჭედს, მიაშუქებ თუ არა კაცს, მაშინვე გაიგებ, რას ფიქრობს გულში. როცა ამ მოთხრობის საჯარო განხილვის შემდეგ მწერლები შინ ბრუნდებოდნენ, გზად ლეო ქიაჩელს უხუმრია: მართლა რომ გამოიგონონ ასეთი ბეჭედი, მერე „თანამგზავრის“ ცხოვრება არაფრად ეღირებაო.

ყოველივე ეს ერთი გარემოების გამო მოგახსენეთ. 1936 წელს ტიციან ტაბიძე დაწერს თავის ბიოგრაფიას. ამ ბიოგრაფიას ქვემოთ გაგაცნობთ, მაგრამ მწერლის ნამდვილი ცხოვრების სურათს, სრულყოფილსა და მართალ სურათს ამ ბიოგრაფიიდან ვერ აღიდგენთ, რადგან 1936 წელს ტიციანი იძულებული იყო ის ეწერა და ის დაებრალებინა საკუთარი თავისთვის, რაც არ იყო და არც ეწერებოდა...

ამდენად, როცა ე.წ. „თანამგზავრი“ მწერლების ჩანაწერებს და, გნებავთ,

ბიოგრაფიებს კითხულობთ, უნდა გაიხსენოთ და მოიმარჯვეთ ის ყოველისშემძლე „ბეჭედი“, რომელზედაც „დემონში“, — ი.ყიფიანის ნაწარმოებშია ლაპარაკი.

ადრე რომ ეს ექნა კრიტიკას, ამით მწერალს დაღუპავდა.

ახლა კი ეს ადვილი შესაძლებელია. ამიტომ ტიციან ტაბიძის ქვემოთ წარმოდგენილ ავტობიოგრაფიას კრიტიკული თვალის გარეშე ნუ წაიკითხავთ...

აი, ეს ავტობიოგრაფიაც:

„დავიბადე 1895 წლის 2 აპრილს, დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში — ორპირის მახლობლად. ორპირი საჩინოს თემში შედიოდა. ჩემი ბავშვობის წლებში უკვე აღარავის სჯეროდა, რომ საჩინო საქართველოს ბელლად ითვლებოდა, იმდენად დაცარიელდა ეს ოდესღაც მდიდარი მხარე, რომელსაც ხშირად იხსენებდნენ ძველი ბერძენი გეოგრაფები და ჩვენი მემატიანეები.

ადრეული ბავშვობიდანვე უცნაური პეიზაჟით ვიყავი გარემოცული. ტროპიკული გვიმრები, ლიანები, ჭადრებისა და ალვის ხეების ხშირი რიგები და ალაგ-ალაგ ჭაობიანი სახნავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ მაინ რიდისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს. სხვათაშორის ალექსანდრე დიუმამ გასული საუკუნის 60-იან წლებში იმოგზაურა კიდეც ჩვენს მხარეში და ორპირისა და ფოთის ჭაობების შესანიშნავი აღწერა დატოვა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მზის ჩასვლა რიონისპირა ველებზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე და ცას სანახევროდ კოლოები ჰფარავდნენ.

მოხუცები წელთა სიმრავლეს ანგარიშობენ იმ დღიდან, როცა ქვეყანას შავი ჭირი მოედო და რიონის წყალდიდობამ ყველაფერი წალეკა. ადიდებულ მდინარეს თან მიჰქონდა დანგრეული სახლები, აკვნები, გარღვეული საფლავებიდან წამოღებული კუბოები. ხალხი მთელი კვირეების განმავლობაში ელოდა, როდის ჩადგებოდა რიონი კალაპოტში და ბოლო მოეღებოდა ამ საშინელ მეწყერს.

ორპირი უხსოვარი დროიდან რიონის ნავსადგური იყო. მახსოვს, სამდინარო გემები შემოდიოდნენ ორპირში და გაჰქონდათ სიმინდი და ხმელი ხილი.

უფრო მოწიფულ ასაკში ორპირი და რიონის დელტა მაგონებდა მითს მამაც ოქროსმაძიებლებზე — არგონავტებზე, რომლებიც ამ მიდამოებში გადმოსახლდნენ, დააძინეს დრაკონი და კოლხეთის მეფე აიეტს ოქროს საწმისი და მზეთუნახავი ქალი მედეა მოსტაცეს.

ჩემს თვალწინ ციებისაგან იჟლიტებოდა მთელი სოფლები, წყევლა-კრულვით სტოვებდა ხალხი შეჩვეულ ადგილებს. ამ ამბის ხილვა მაგონებდა ფრანგი პოეტის ლოტრეამონის ლექსებს. გომბეშოს მონოლოგი „მალდარორის სიმღერებიდან“ — ეს იგივე ორპირის ბაყაყების ყოველდღიური ორკესტრი, იგივე გადაგვარების სიმღერა იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ეს რაიონი ახლა ციტრუსების ბაღნარად აქცია. კოლხეთის ჭაობების ამოშრობამ და შავიზღვისპირეთში სუბტროპიკული კულტურების დანერგვამ საუკუნეებით შეცვალა ქვეყნის ელფერი და შორეულ მოგონებად აქცია მითი ოქროს საწმისზე.

მამაჩემი თბილისის სასულიერო სემინარიაში იზრდებოდა, მაგრამ მოწაფეთა არეულობაში მონაწილეობის გამო, მეექვსე კლასიდან გამოაგდეს. მთელ თავის სიცოცხლეში იგი თაყვანს სცემდა რუს სამოციანელებს — ნ.ჩერნიშევსკის, ნ.დობროლიუბოვს, დ.პისარევს და სიცოცხლის ბოლომდე ზეპირად ახსოვდა მთელი ნეკრასოვი. მაგრამ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ცდებიდან არაფერი გამოვიდა — ბაბუაჩემის დაჟინებით იგი იძულებული იყო სოფელში დაბრუნებულიყო და მღვდელობა დაეწყო.

მე არ მახსოვს, როგორ ვისწავლე წერა-კითხვა. ოთხი წლისა ვიყავი, როცა ჩვენსავე შენობაში მოწყობილ სკოლაში დავდიოდი და ადვილად ვერკვეოდი ანბანში. ეს ძალიან ახარებდა დედაჩემს — ელისაბედ ოქროპირის ასულს. ეს იყო შესანიშნავი და დიდად შრომისმოყვარე ქალი, რომელმაც აღგვზარდა ადრე დაობლებული ბავშვები.

1905 წელს მამამ კლასიკური გიმნაზიის პირველი კლასისათვის მოსამზადებლად ქუთაისში წამიყვანა. მახსოვს, რევოლუციურად განწყობილი ხალხით სავსე მატარებელში მოვხვდით — ოდესიდან შავრაზმელების მიერ მოკლულ პროფესორ საბა კლდიაშვილს მოასვენებდნენ. ქუთაისის სადგურში მატარებელს დროშებითა და მარსელიოზის სიმღერით შეხვდნენ. საბა კლდიაშვილის დაკრძალვა მრავალათასიან დემონსტრაციად იქცა.

ჩვენმა გიმნაზიამ რევოლუციას და უახლოეს მემარცხენე პოეზიას თავისი ხარკი გადაუხადა. ბევრმა მკითხველმა იცის ამის შესახებ ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც ჩვენს გიმნაზიაში აღიზარდა და თითქმის ჩემი ტოლი იყო.

ყველა მეგობარს, რომელიც შემდეგში „ცისფერი ყანწების“ ჯგუფში შევიდა, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვიცნობდი. მოზარდები ვიყავით და უკვე ვოცნებობდით ახალი სიტყვა გვეთქვა ქართულ პოეზიაში. ქუთაისის გიმნაზიაში, ისევე, როგორც ყველგან, რუსეთის ყოფილ იმპერიაში, მკაცრი რეჟიმი სუფევდა. ბევრი იყო ჩვენთან „პერედონოველები“, მაგრამ იყვნენ

მასწავლებლები, რომელთა მადლიერიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაერჩი. მაშინ ქართული ენა იდევნებოდა და კვირაში ერთი გაკვეთილი გვქონდა. მაგრამ ჩვენთან ამ დროს ფართოდ გავრცელებულ იატაკქვეშა ლიტერატურულ წრეებში წარმატებით მიმდინარეობდა მშობლიური ენის სწავლება.

ლექსების წერა ძალიან ადრე დავიწყე, ბეჭდვა კი მეექვსე კლასიდან. თავდაპირველად ქუთაისის გაზეთებში ვბეჭდავდი, შემდეგ თბილისშიც. ორიგინალური ლექსების გარდა მაშინ მთელი რიგი თარგმანებიც დავბეჭდე: ა.ბლოკისა, ვ.ბრიუსოვისა, თუ სოლოგუბისა, ი.ანენსკისა და ფრანგი პოეტებისა, აგრეთვე თ.დოსტოევსკის „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე“.

ქუთაისი მაშინ წარმოგვედგინა როდენბახის მკვდარ ბრიუგედ. ამ მკვდარი ქალაქის ფონზე ცოცხლდებოდა „აჩრდილები“ და ჩვენც ლიტერატურული სახეებით ვიყავით დატყვევებულნი. ქალაქი გალატაკებული წვრილი მემამულეებისა, რომელთაც უკვე კარგა ხანია გაენიავებინათ საკუთარი მამულები, ქალაქი ეშმაკობაში გაწვრთნილი ხალხისა, ოხუნჯობისა და უსაქმო მუქთახორებისა — იწვევდა ჩვენში მეშჩანობისადმი ბოჰემურ ოპოზიციურ განწყობილებას და გვამხნევებდა „საზოგადოებრივი გემოვნების“ წინააღმდეგ.

1913 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში შევედი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ამ დროს უნივერსიტეტის ავტონომია საბოლოოდ გააუქმა განათლების მინისტრმა — ბნელეთის მოციქულმა კასომ. მოწინავე ლიბერალმა პროფესორებმა დატოვეს ჩვენი უნივერსიტეტი. მე ვისმენდი ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის ზოგიერთი პროფესორის ლექციებს, ვუსმენდი ნიკო მარს, რომელსაც დღემდე ვთვლი არა მარტო საუკეთესო ლინგვისტად, არამედ ქართული მეცნიერული ლიტერატურათმცოდნეობის ფუძემდებლადაც. ჩვენი პროფესორებიდან განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებ აკადემიკოს მ.ნ. როზანოვს, რომელიც ლოპატინის სახელობის ინსტიტუტში კითხულობდა აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქის კურსს. მწყინდა, რომ მიწყდა ტიუტჩევის უკანასკნელი სიყვარულით გამთბარი ვ.ო. კლიუჩევსკის სიტყვები, რომელიც ვერაფერით ვერ შესცვალა რეაქციონერმა რექტორმა მლიუბავსკიმ — კასოს დანიშნულმა ცალთვალა ციკლოპმა.

ამასობაში მსოფლიო იმპერიალისტური ომი ახლოვდებოდა და ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა. ბეილისის სამარცხვინო საქმე განსაკუთრებულად აღაგზნებდა სტუდენტობას. ბოლოს, ავსტრიის ერც-ჰერცოგის მკვლელობა ჩვენი ცხოვრების წყალგამყოფი აღმოჩნდა. 1914-1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო, თუმცა უკვე იგრძნო-

ბოდა სიმბოლიზმის კრიზისი. შვეიცარიიდან ახლად დაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ჟესტ-მიმიკის თეატრზე. მასსუნდება სკრიაბინის სიკვდილი და მისი დაკრძალვა, სკრიაბინისვე მუსიკის კულტი, იგორ სევერიანინის პოეზიის უთვალავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომები და ფორმულა „კანტიდან პრუდონამდე", რუსეთის ჯარის წასვლა გერმანიის ფრონტზე, მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების" სხდომა ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აკმეისტებისა და „ადამისტების" შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ, ნაცნობობა გალმონტთან, რომელიც მაშინ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" თარგმნიდა, გატაცება ბლოკითა და ინოკენტი ანენსკით, და ბოლოს, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის, ხოლო უფრო გვიან — ხლებნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მაღელვებდა და მიტაცებდა, და ასე თუ ისე აისახა კიდეც ჩემს შემდგომ მუშაობაში. პოლიტიკურ ამბებში საკუთარი ნათლად ვერ ვერკვეოდი. ჩემი დამოკიდებულება რუსულ და ფრანგულ სიმბოლიზმთან სრულიად არაკრიტიკული იყო.

1915 წელს მე და ჩემმა მეგობრებმა — საქართველოს ახალგაზრდა პოეტებმა ქუთაისში ჩამოვაყალიბეთ პოეტების სიმბოლისტური სკოლა უცნაური სახელწოდებით „ცისფერი ყანწები". მე მომიხდა ორი მანიფესტის დაწერა ჟურნალისათვის, რომელსაც აგრეთვე „ცისფერი ყანწები" ვუწოდე, და წლების განმავლობაში ერედაქტორობდი გაზეთ „ბარიკადს".

მიუხედავად იმისა, რომ მოწყვეტილნი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარონი აღმოვჩნდით, სწორად გავრკვეულიყავით სოციალ-პოლიტიკურ ამბებში, მაშინდელი გაღარიბებული ქართული ლექსის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო, ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა, ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს. ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემებისა და სახეების არე. ქართულმა ლექსმა ახლებური ელერადობა შეიძინა.

მაგრამ, თუ თვალს გადავავლებ განვლილ გზას, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი, „ცისფერი ყანწები", წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტურ შეზღუდულ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა ქართველი პოეტები, მეტის-მეტად დიდ ხარკს ვუხდიდით არაჯანსაღ, ბოჰემურ არტისტიზმს, ვქადაგებ-

დით „ხელოვნებისათვის“, მხატვრულ შემოქმედებას ვაფასებდით მცდარად — როგორც რაღაც თვითსაკმარს. ძალიან ბევრი გვქონდა წინააღმდეგობანი.

საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების სამი წლის ბატონობამ და საბჭოთა რუსეთისაგან მოწყვეტამ კიდევ უფრო მეტად გაართულა და დახლართა ჩვენი შემოქმედება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჯერ კიდევ სიმბოლიზმი, ფრანგი სურეალისტები და დადაისტები გვიზიდავდნენ.

მაშინდელ პერიოდს ეკუთვნის ჩემი დიდი ლექსი „ცხენი ანგელოზით“, რომელიც დავწერე, როგორც ერთგვარი დისერტაცია „ქართული პოეზიის მეფის“ წოდების მოსაპოვებლად. ლექსი დადებითად მიიღო ქართული საზოგადოების ნაწილმა. ეს ლექსი არ შევიდა ჩემი რჩეული ნაწარმოებების წიგნში: იგი მოწყვეტილია სინამდვილეს და გაჟღენთილია ქართული „მესიანიზმის“ იდეებით.

სამმა წელმა, რომელმაც განვლო ოქტომბრიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, და სიახლოვემ ახალგაზრდა ბოლშევიკ მეგობრებთან, რომლებიც საქართველოში იატაკქვეშ მუშაობას ეწეოდნენ, შეგნებაში გარკვეული სინათლე შეიტანა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ნამდვილი ხელახალი იდეურ-შემოქმედებითი შეიარაღებისათვის. მაშინდელი განწყობილებისათვის დამახასიათებელია ქართულ გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი ჩემი ღია წერილი — მიწერილი ცნობილი სომეხი პოეტის, ოვანეს თუმანიანისადმი, რომელიც სომეხ-ქართველთა ომის დროს თბილისში თავმჯდომარეობდა სომხურ სათვისტომოებს. წერილში დაგმობილია მენშევიკების და დაშნაკების მიერ ნაციონალური საკითხის გადაჭრის მაკედონური მეთოდი და ისმის მოწოდება ინტერნაციონალური მეგობრობისადმი. თბილისის გაზეთებში დაბეჭდილი ოვანეს თუმანიანის პასუხი — იგი დიდი პოეტის ამაღლებული სიყვარულისა და გულწრფელობის ნიმუშია მეზობელი მოძმე ხალხების მიმართ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან დაიწყო ქართული ლიტერატურის რიგების შეცვლა.

ჩემი პირველი დიდი საბჭოური ნამუშევარია „რიონი-პორტი“. ორპირის ბუნების ფონზე, სადაც ხალხი გადაგვარდა ტროპიკული მალარიისაგან, მე აღვწერ საბჭოთა ხელისუფლების გიგანტურ სამუშაოებს, რომელმაც ახალ სოციალისტურ საფუძველზე შეცვალა ქვეყნის სახე და ცხოვრება.

ამას მოყვება ლირიკული ლექსების ციკლი „გულდაგულ“, სადაც მოქმედებაშია ნაჩვენები პირველი ხუთწლედის საქართველო. შემდეგ — ციკლი „სომხეთში“, სადაც შევეცადე ამესახა ლენინის დიდი პარტიის ნაციონალური

პოლიტიკის გამარჯვება. ციკლში „სამშობლო“, ვფიქრობ, ყველაზე უფრო ვუახლოვდები სოციალისტურ რეალიზმს.

ბოლო დროს ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. განსაკუთრებით მიზიდავს შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული კულტურების ზონა, სადაც აშრობენ ორასი ათას ჰექტარ ჭაობიან მიწას და აშენებენ ციტრუსების გიგანტურ ბაღს. ბევრი ვიმოგზაურე საბჭოთა კავშირშიც — ბევრჯერ ვიყავი მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში, ვეცნობოდი სოციალიზმის მშენებლობას, ახალ ხალხებს, მათ შორის პოეტებსაც.

ასე მზადდება ჩემი ახალი წიგნი დიდ საბჭოთა კავშირზე — „სამშობლო“.

ტიციან ტაბიძის ზემოწარმოდგენილ ავტობიოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ მწერლის ცხოვრების ქრონიკა ზუსტად არის წარმოდგენილი, თვით ცხოვრება თავისი შუქ-ჩრდილებით ნაკლებად ჩანს. ეს გასაგებიც არის, რადგან რამდენიმე ფურცელზე ჩამოწერილი ავტობიოგრაფია მაინც მშრალი ფაქტების ნუსხაა. ესეც არ იყოს, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში დაწერილი ავტობიოგრაფიები ბრალდებულთა მიერ სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ თავის დასაცავ სიტყვებს უფრო ჰგავს. ტიციანიც, უდანაშაულო დამნაშავე, თითქოს თავს იმართლებს და თავისი ცხოვრების ამბებს ისე ალაგებს, ისე ჰყვება, თითქოს მოსალოდნელი რისხვის აცილება აქვს განზრახული. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში პოეტი მიზნის შესაბამისად შეეხება ტექსტსაც. სწორედ ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ ავტობიოგრაფიის „იდეურ ხაზთან“ დაკავშირებით.

ახლა კი ტიციან ტაბიძის ცხოვრების გზას მის თანამედროვეთა და უახლოეს მეგობართა მოგონებების მიხედვით მივადევნოთ თვალი.

1914 წელია. მოსკოვიდან ახალდაბრუნებული ტიციანი სოფელს მიაშურებს. რიონის პირას ორი ყმაწვილი მზეს მიჰფიცხებია. ერთი ტიციან ტაბიძეა, მეორე — მასზე ცოტა უფროსი ბიძაშვილი გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონს ამ დროს შეყვარებული ჰყავს ქუთაისში და მას მისწერს:

„მე არასდროს, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი ჩუმი და მყუდრო ბედნიერება არ გამომიცდია, რამდენიც ეხლა, სოფელში ყოფნის დროს. წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალუწვდენელი მინდვრები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია. მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებობას არა სჯობს-რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიტე დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე შიგ, დილას,

შუადღისას და საღამოს, ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონს გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს; მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიტე მიამბობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას. ხანდახან გამოდის, რომ ქუთაისის ამბები ჯობნებია მოსკოვისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიტე. ტიტე გულზე სკდება.

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეშია ასული: ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას.

შემდეგ მივსეირნობთ ნავით. ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს.

ტიტემ ანკესები იყიდა თევზების დასაჭერად. მე კიდევ ანკესები ვიშოვე. დავდივართ და ვიჭერთ თევზებს. ხანდახან, როცა ანკესებს დაეაგებთ და ზედ თევზი მოეკიდება, პატარა ბავშვები მოგვპარავენ_ ტიტემ არ იცის, რა ქნას ამ დროს. პირდაპირ უნდა მთელი ქვეყანა ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს, მაგრამ, როცა შეხედავს, რომ მე სრულიად გულდამშვიდებული ვარ, უფრო უარესად ცეცხლდება. მე ყველაფერი ეს მიხარია ძალიან_

სხვა აქ არაფერს ვაკეთებთ".

ერთი ბუდიდან აფრენილი ამ ორი ყმაწვილის გულისცემას სულ მალე მთელი საქართველო მიუგდებს ყურს. ლექსი ქართული გაიმართება „ორ-პირის ხაზით". მოგვიანებით ტიციანი გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვნის ლექსს, სადაც დაწერს:

„ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი,
ერთად ლპებიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი.
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ ჟუმურები,
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...
გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა.
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით".

გალაკტიონის ბიოგრაფიიდან უკვე ვიცით, რომ მას მატერიალურად ძლიერ უჭირდა. ყმაწვილკაცობაში არც ტიციანი ყოფილა უკეთეს დღეში. 1914 წელს ქუთაისის ბაღში მწერალთა ჯგუფთან ერთად გადაღებულ ერთ სურათთან დაკავშირებით გალაკტიონს პატარა ჩანაწერი გაუკეთებია:

„ტიციანს ახლად შეკერილი კოსტუმი აცვია. გიმნაზია ეს-ესაა დაამთავრა.

ტიტია! მაშინ ტიციანი არ ეოქვა. ათი წლის განმავლობაში ის ხელს აწერდა ტიტე ტაბიძე, ტტაბიძე, ტიტია!.. იმ სურათზე აღბეჭდილთა შორის ყველა უზრუნველყოფილი იყო, მე კი იმ დღეს, მახსოვს, სადილის ფულიც არ მქონდა. მაგრამ თავს ლორდივით ვიჭერდი, საბრალო ტიციანიც ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ისიც თავს იჭერდა".

ასე რომ, როცა ახალგაზრდა „ცისფერყანწელთა" ბოჰემურ ცხოვრებაზე ჩამოვარდება სიტყვა, არ იფიქროთ, რომ ასე ცხოვრებას მათ სიმდიდრის გამო მიჰყვეს ხელი. ზოგჯერ,. პირიქით ხდება — კაცს გაჭირვება აიძულებს, ღვინოში ეძიოს გამოსავალი დარდის განსაქარვებლად.

ქუთაისში ტიციანმა გაიჩინა განუყოფელი მეგობრები. ლეგენდასავით დარჩა მისი და პაოლო იაშვილის ძმობა. საერთოდ, „ცისფერი ორდენის" წევრებს, გარდა იმისა, რომ ერთი ესთეტიკური მრწამსი აერთიანებდათ, უპირველეს ყოვლისა, საძმო ფიცი კრავდათ და აერთიანებდათ. ქრისტესა და მისი მოწაფეებივით ისინიც ცამეტნი იყვნენ. ეს რიცხვიც, ცხადია, სიმბოლური იყო. ზოგიერთ მათგანსაც ქრისტესავით გოლგოთის გზის გავლა მოუწია... საქართველოს დედაქალაქში გადმოსული „ცისფერყანწელები" დაუმეგობრდნენ გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც მათი საძმოს აღიარებულ თავკაცად იქცა. თბილისში გაიცნო ტიციანმა ნინო მაყაშვილი, — თავისი ცხოვრების განუყრელი მეგობარი. ილია ჭავჭავაძის ბიძა და ნინო მაყაშვილის ბაბუის მამა ძმები იყვნენ. ნინო არისტოკრატული ოჯახიდან გახლდათ. ნინოს დედას გული გადმოუვარდა, როცა მისი ქალიშვილისა და ტიციანის სიყვარულის შესახებ შეიტყო. მას ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე პოეტისათვის შვილი არ ემეტებოდა. ნინო კი „ცისფერყანწელთა" ორდენის „არაოფიციალურ" წევრად იქცა. მათთან ერთად იყო საღამოებზე, სუფრებზე, ტიციანი ერთი წუთით ალარ იშორებდა სატრფოს. წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები" ნინო იგონებს:

„—მე მაშინ ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდი. დიასახლისი დიდი ყურადღებით მექცეოდა, მარიგებდა, ასეთი ბოჰემური ყოფა დაგღუპავსო.

დილით სამსახურში მივდიოდი. საღამოს კი პოეტებთან ვატარებდი. ყოველივე ამას, ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაემჩნია ჩემზე და, მართლაც, ჭკვიანი შემეყარა.

ტიციანი ძალიან შეშფოთებული იყო და ექიმები დამახვია. პაოლო ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ოლონდაც რითიმე ესიამოვნებინა ტიციანისთვის: ზღვა ყვავილები მოჰქონდა, ჩემთან ერთად სვამდა წამლებს, როცა მე გავკიუტდებოდი, ჩემთან ერთად იკეთებდა ნემსებს. შემცბარი ტიციანი კი იჯდა და ხმას არ იღებდა.

ახლა ჩვენი მეგობრები ჩემს ოჯახში იკრიბებოდნენ. სურათების გამოფენებიც კი ჩემთან იმართებოდა. თავს დამტრიალებდნენ ჩემი მეგობრები: თამარ წერეთელი, ნადია შალიკაშვილი და თამარ ჯაფარიძე. მალე დედაჩემიც ჩამოვიდა. სწორედ აქ, ჩემს ოთახში გაიცნო პირველად ტიციანი და პაოლო. ერთი თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მეორე ენას არ აჩერებდა. დედამ მაშინვე გუმანით იგრძნო, რომ პირველი შეყვარებული იყო და მალე დაქორწინდებოდა.

ჩემი არჩევანი დედას დიდად არ მოსწონდა, რადგან პოეტები დღენიადაგ ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდნენ და თავი გამომწვევად ეჭირათ...

ხომ არ გაგიჟდი, — მარიგებდა დედა, — მაგისთანას როგორ უნდა გაჰყვე!.. პოეტი და ცოლი ვინ გაიგონა? მალე შენ თვითონ მიხვდები!..

— დედა, თავი დამანებე! ჩემი საქმისა მე უკეთ ვიცი.

ექიმებმა აბასთუმნის სანატორიუმში გამგზავნეს. სანატორიუმში ჯერ ჩასული არ ვიყავი, რომ ტიციანის, პაოლოს, ვალერიანისა და ლელის დეპეშა მივიღე. მალე გამოჯანმრთელებას მისურვებდნენ. ქილა-სალამოს ქუთაისიდან დეპეშებს ვიღებდი. ერთხელ დეპეშას 75 კაცი აწერდა ხელს. ზოგიერთებს არც კი ვიცნობდი. ოთახში, სადაც მე ვიწექი, ორი ავადმყოფი შემოვიდა. ზეზე წამომაყენეს და ფანჯარასთან მიმიყვანეს. ეზო ხალხით იყო სავსე — რაშია საქმე-მეთქი, დავინტერესდი. სიცილით ამიხსნეს, ეს ფოსტის მუშაკებია, რომლებსაც თქვენი ნახვა სურთო. შევცბი...“

1920 წლის 14 იანვარს, ნინოობა დღეს, ტიციანმა და ნინომ იქორწინეს. „პაოლო დატრიალდა — იგონებს ნინო, ტიციანის მეუღლე — ყვავილებისათვის ბათუმში გაემგზავრა. ფატა პარმის თეთრი იებით დამიმშვენა. მენიუც თვითონ შეადგინა, მზარეულები და ოფიციანტები „ქიმერიონიდან“ მოიყვანა. ჩემი ბინაც თავისი გემოვნებით დაალაგა. ქორწილი გრიბოედოვის ქუჩაზე №18-ში, ბიძაჩემის ბინაზე გადაიხადეთ.

ტიციანი შეუძლოდ იყო და პაოლო თავს დასტრიალებდა.

ორასმა კაცმა მოიყარა თავი...

ნათესავების გარდა ქორწილს ტიციანის მეგობარი პოეტებიც ესწრებოდნენ. ყველას გულზე მიხაკები დაებნია. მთელი ქორწილის ხარჯი პაოლომ გაიღო, თავად კი დახეული შარვალი ეცვა“.

ასეთი იყო პაოლო არა მხოლოდ ტიციანის, არამედ ყველა მეგობრისათვის, საზოგადოდ, მოყვასისათვის. ასეთი იყო ტიციანიც — ბავშვივით ალალი, უშურველი, სხვათა დასახმარებლად მუდამ მზადმყოფი.

არა მხოლოდ მათი ლექსებია ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშები, არამედ თვით ცხოვრებაც მათი ნამდვილი პოეზია იყო. მათი შეხვედრა დღესასწაული

გახლდათ, „ცისფერყანწელთა“ ხალხში გასვლა უცნაურობებით სავსეა. აი, თუნდაც ერთი დღე აღვადგინოთ ორდენის წევრთა ყოველდღიური ყოფიდან. სერგო კლდიაშვილი იგონებს:

„მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო:

1919 წელი იყო. პაოლომ არგვეთიდან ქუთაისში ჩამოიარა. ერთი დღითო, თქვა, მაგრამ თბილისიდან ტიციანის დეპეშა მივიღეთ — ჩამოვდივარო და პაოლო დარჩა. რა თქმა უნდა, ტიციანის ჩამოსვლა აღვნიშნეთ. იმ დღეს ყველანი ერთად ვიყავით. ლეონიძე გვაკლდა და თბილისში მყოფს მეგობრული დეპეშით მივესალმეთ. ნასადილევს კი, პაოლოს წინადადებით, ქალაქგარეთ გავედით.

ქუთაისის აღმოსავლეთით, მდინარე წყალწითელაზე რომ ძველი ხიდია, ის ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს. მიუახლოვდებოდით თუ არა იმ ადგილს, მკაფიოდ გაიგონებდით წისქვილის ბორბლებზე მიშვებულ ღარის წყლის ხმაურს. მდინარის გასწვრივ ორივე ნაპირზე რამდენიმე წისქვილი იყო აგებული. აქ ყოველთვის დაინახავდით ურმებს, რომლითაც საფქვავი მოეტანათ. ეკერის მოლოდინში გლეხები დამსხდარან ხის ქვეშ და საუბარი გაუბამთ. ღამდებოდა, როცა იქ მივედით. ერთი განაპირა წისქვილი ავირჩიეთ და შევედით. ჭალარა მეწისქვილემ გაკვირვებით შეგვავლო თვალი ქალაქურად ჩაცმულ ახალგაზრდებს. მისი გაკვირვება ბუნებრივი იყო. საფქვავის მომტანს არ ვგავდით. გამომცდელად შეგვათვალიერა და ფრთხილად იკითხა, ვინ ვიყავით, რა საქმეზე მივედით. ტიციანის პასუხმა, რომ პოეტები არიან და აქ ღამის გათევას აპირებენ, მეწისქვილე საგონებელში ჩააგდო. არა, ასეთი ახირებული ხალხი არასოდეს არ სწვევია. სიტყვა პოეტებიც მას არაფერს ეუბნებოდა. მაგრამ რაიმე შიშის საბაბიც არ ჰქონდა:

მართალია, არეული დროა, მტაცებლები თავისუფლად დათარეშობენ, მაგრამ, თუ ესენი ავაზაკები არიან, აქედან წასაღებს ვერაფერს იპოვნიან, რას უნდა დაეხარბონ? ფქვილსა და ტომრებს?

— კი, ბატონო, შემოდით, — არცთუ სტუმართმოყვარეობით შეგვიშვა წისქვილში.

სწრაფად ბრუნავს ოთხი წყვილი ქვა, რაკრაკებს სარეკელა, იატაკქვეშიდან ღარის წყლის ხმაური ისმის და დაკბილული ბორბლების ტრიალთან ერთად წისქვილის ხის შენობა ზანზარებს.

ჩამოვსხედით სიმინდით სავსე ტომრებზე. ეკერ კიდევ სანდრო ცირეკიძემ საიდუმლოდ მითხრა, რომ გამზადებული აქვს სიურპრიზი ტიციანისათვის და პაოლოსათვის. გახსნა პატარა შეკრა და ჩამოგვირიგა მის მიერ გამოცემული მალარმეს ლექსების წიგნი ქართულ ენაზე. პირველი ეგზემპლარები იყო,

რომლებიც სახელდახელოდ დაამზადებინა სტამბას და აქ წამოელო მეგობრებისათვის დასარიგებლად.

— ღმერთო ჩემო! — ლამაზად გამოცემულ წიგნს ფურცლავს ტიციანი და ჩუმად ამბობს: — სად წისქვილი, სად მალარმე... რამ გაფიქრებინათ ქუთაისში მისი გამოცემა?..

ტიციანის ტუჩებს ღიმილი არ შორდებოდა. კიდევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ ამის ნაცვლად სანდროს ისე ეხვევა, თითქოს დანაშაულს პატიობდეს.

მგონი რაჟდენ გვეტაძეს წინადადება შემოაქვს, მალარმეს ლექსები იქნას წაკითხული.

არავითარი მალარმე! — წამოიჭრა აქამდე ტომარაზე წამოწოლილი პაოლო. — ქუთაისში ამის გამოცემა პროვინციალიზმია და ობსკოდობა! არავითარი მალარმე! აქ ქართული ლექსები უნდა ვიკითხოთ!

პირველი თვითონ იწყებს. მისი დიდი ხმა წისქვილის ქვების ხმაურს ერთვის. ჯერ წაიკითხა ტიციანისადმი მიძღვნილი თავისი ახლად დაწერილი სონეტი. მატარებლით ნამგზავრ, მთელ დღის განმავლობაში მოუსვენებელ ტიციანს დაღლილობა ემჩნეოდა, მაგრამ პაოლოს ლექსმა უეცრად ხალისი მისცა, გამოცოცხლდა და თვითონაც დაიწყო კითხვა:

„...ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“.

მართლაც ისეთი მღელვარებით იტყოდა ხოლმე ლექსს ტიციანი, რომ გულის ნაწილს გაატანდა თვითეულ სიტყვას. როცა დაამთავრებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გული დაცალაო.

ტიციანი, პაოლო, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და წისქვილში მათი ხმა დიდხანს ისმოდა. ამ უჩვეულო ამბავმა, როგორც ჩანს, გარეთ მყოფი გლეხების ყურადღება მიიქცია. ისინი ჯერ კარებთან შეკუზუფებული დგანან, შემდეგ თითო-ოროლად შემოდიან და მალე წისქვილი ხალხით ივსება. სოფლელებისათვის ბევრი რამ ალბათ გაუგებარი იყო, მაგრამ მაინც ყურადღებით და კმაყოფილებით უსმენდნენ. ეს უჩვეულო სანახაობა ისე იტაცებს მათ, რომ ერთმა გლეხთაგანმა ნეშომი თავდაცმული დოქი შემოიტანა, მეწისქვილეს ჭიქა აღმოაჩნდა და სადღეგრძელოებიც ითქვა. გლეხების პატივსაცემად ჩვენმა პოეტებმა კიდევ წაიკითხეს ლექსები. და, აი, მოულოდნელად, ერთი კომიკური უხერხულობა შეიქმნა.

პაოლომ წაიკითხა თავისი „წერილი დედას“. გლეხებს ესმით სიტყვები: „ბზის განიავება, კალო და კვერი, და სოფლის სიწმინდე მართალი ბათმანი“...

ეს სტრიქონები ადვილად აღწევს მათ გონებამდე, ცხადად ჩანს, რომ იწონებენ. ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედეს. პაოლოსაც სიმპატიით შესცქერიან. უეცრად ესმით სტრიქონები: „...და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა“. შემდეგ: „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ“_ და ბოლოს „დედა, ინახულე შენ წმინდა ხახული! წადი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე“_

ეს სიტყვები გლეხებმა, როგორც ჩანს, თავისებურად გაიგეს. გაიგეს როგორც აღსარება და სინანული. აქამდე თუ გახარებული თვალით შესცქეროდნენ, ახლა დაეჭვებით და ერთგვარი შეცოდებით შეჰყურებენ. ასეთი ლამაზი ვაჟკაცი, კარგად ჩაცმული და, თურმე, ყოფილი ქურდი... უეცრად ტიციანის სიცილი გვესმის_ მეწისქვილეს მისთვის ეკითხნა: — დიდი ხანია, რაც ის ყმაწვილი გამოუშვეს? მაშინვე პაოლოს გააგებინა, რაც მოხდა. ჩვენი ალიბის აღსადგენად საჭირო გახდა განმარტების მიცემა, რაც მეურმეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. არ ვიცი, დაიჯერეს თუ არა საბოლოოდ, ოღონდ ის კი იყო, რომ ისევ ხალისიანად შემოგვცქეროდნენ.

დაღლილებმა, ბოლოს, ტომრებზე მოვიკალათეთ და წავთვლიმეთ. ცისკარზე კი დავტოვეთ იქაურობა“.

იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, რაც ტიციან ტაბიძეს თავისი საძმოს წევრების მიმართ ჰქონდა, იგი უკომპრომისო და მკაცრი იყო, როცა საქმე ლექსის შეფასებას შეეხებოდა. მწერლობასთან მიტმასნილ ყველა უნიჭოს იგი დოსტოევსკის ერთი პერსონაჟის, სმერდიაკოვის გვარით მოიხსენიებდა. თავის გაზეთ „ბარიკადში“ მან შემოიღო ე.წ. „ბაზელის ქრონიკა“. თუ ვინმე არ მოსწონდა მწერალთაგან, ამ ქრონიკაში მოათავსებდა. ბაზელი კრეტინიზმის სინონიმი იყო.

აკაკი გაწერელია იგონებს:

„ერთი მწერალი ხმამაღლა აქებს მეორეს:

— ხილვა აქვს, ხილვა!

— რა იხილა მაინც ასეთი მაგ სულელმა, ტიტიჩ, ა? — იქედნურად ეკითხება ტიციანი.

— როგორ მოგწონს № პოეტი — ეკითხებიან მას.

— ისე უყარს ფეხები, რომ დამფუძნებელ კრებას დაშლის!“

ტიციანის ასეთი ენამწარეობის გამო ერთხელ თვითონ და მისი მეგობრები ერთი კურიოზული ამბის მონაწილენი გამხდარან. გაგაცნობთ ტიციანის მეგობრის, პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის მონათხრობს:

„ტიციანს ძალიან კიმატი ენა ჰქონდა. მისმა ასეთმა ხასიათმა ერთხელ

თბილისში მყოფი სერგეი ესენინი შეცდომაში შეიყვანა, რაც კინალამ ტრაგიკულად დამთავრდა.

მაშინ თბილისში ცხოვრობდა ახალგაზრდა პოეტი რაულ გოგოხია. ის იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში და საკუთარი ლექსების კრებულიც ჰქონდა გამოცემული, სახელწოდებით „ზამთრის ჩუქურთმა“. პოეტობის გარდა ის კარგა ხელგამართული სპეკულანტიც იყო. ხშირად ჰპატიჟებდა იოლად ნაშოვარი ფულებით ქართველ და რუს პოეტებს და მსახიობებს, მათ შორის ძალიან ხშირად — პაოლოს, ტიციანსა და მეც.

რაულ გოგოხია დაუახლოვდა სერგეი ესენინს და ერთხელ ესენინი, თურმე, შეჰპირდა: მომიტანე შენი ლექსების პწკარედები და რუსულად გადავთარგმნიო (საერთოდ კი ის არაფის თარგმნიდა).

იმ დღეებში ესენინი ტტაბიძეს შეხვედრია და უკითხავს, როგორი პოეტია რაულ გოგოხიაო. ტიციანი კარგ სიტყვას გოგოხიასათვის, აბა, როგორ გაიმეტებდა. მან, თურმე, ისიც არ მოისურვა, რომ ეთქვა, სუსტი პოეტია. არც აცია, არც აცხელა და უთხრა: გოგოხია პოეტი სულაც არაა, იგი სპეკულანტია, მოუტყუებიხარო.

ესენინმა ეს დაიჯერა. ის, საერთოდ, ეფექტის კაცი იყო და დიდად ეჭვიანი. იფიქრა, ის სპეკულანტი საერთოდ პოეზიას დასცინის, მეც გამაბრაზაო და მისადმი შურისძიების სურვილი გულში ჩაიმარხა. ერთ დღეს, მაშინდელი ქართული კლუბის შესასვლელთან (ახლანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრი) არსებულ რესტორან „კაფე-დეპარი“-ში ერთ სუფრას უსხდნენ: პაოლო, ტიციანი, სერგეი ესენინი და გიორგი ლეონიძე, მახლობელ სუფრას უკვდა ვანიჩქა ნანიშვილი ვილაც მსახიობებთან (ნანიშვილი იყო კარგი მოქეიფე, პოეტებს მეგობრობდა და ხშირად მონაწილეობდა ჩვენს სერობებში). მე ჩემს მეგობართან ვიყავი მათგან მოშორებით. ამ დროს რესტორანში შემოვიდა რაულ გოგოხია. ესენინი სწრაფი ნახტომით მიეკრა მას და დაუწყო საშინელი ლანძღა-გინება (ესენინი უკვე შეზარხოშებული იყო), ეუბნებოდა, ჩემი მასხარად აღებისათვის მე შენ ცხვირ-პირს დაგამტვრევო და საცემრად იწვევდა. ესენინი გავაკავეთ. გოგოხია დაბნეული, განცვიფრებული შეჰყურებდა, ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. არ იცოდა, რა ექნა. ხმას ვერ იღებდა. გიორგი ლეონიძე მისი ამხანაგი იყო სემინარიიდან, მივიდა და ჩაურჩურჩულა: დუელში გამოიწვიეო. გოგოხიამ გაისწორა სათვალეები და მტკიცედ დაუყვირა: დუელში გიწვევო. ესენინს ნანიშვილმა გადაურჩურჩულა: გაჰყევიო.

დაინიშნა დუელი. ესენინის სეკუნდანტი იყო ვანიჩქა ნანიშვილი, გოგოხიასი — გიორგი ლეონიძე. ჩვენ, იქ დამსწრეებს, ეს სერიოზულად არ

მიგვილია. ვფიქრობდით, როცა ესენინი გამოფხიზლდება, ბოდიშს მოიხდის, რადგან ტყუილად გამოლანძღა მისი პატივისმცემელი კაცი და შერიგდებიანო, მაგრამ ნანიშვილმა მოინდომა ეს შემთხვევა თავის გასართობად გამოეყენებია, გიორგი ლეონიძეც აიყოლია. მოლაპარაკდნენ — მოდი, ორთავე შევაშინოთ და მერე შევარიგოთო.

მეორე დღეს, თურმე, გაუარეს ვერ გოგოხიას, უთხრეს: ხომ გახსოვს, გუშინ დუელში რომ გამოიწვიე ესენინი, ახლა უკან დახევა მთელი ქართველი ხალხის შერცხვენა იქნება, უნდა წამოხვიდეო, ჩვენ რევოლვერები უკვე მოვამზადეთო. გოგოხიას, თურმე, საკმაოდ ეცვალა ფერ-ფური, მაგრამ ჩაიცვა და გაჰყვა „სეკუნდანტებს“. შემდეგ ესენინთან წავიდნენ, ის სასტუმრო „ორიანტში“ ცხოვრობდა, მესამე სართულზე. ლეონიძემ და გოგოხიამ ქუჩაში დაიცადეს. ნანიშვილი მიადგა ესენინს: გოგოხია და მისი სეკუნდანტი ლეონიძე ქუჩაში გველოდებიანო. ესენინიც კარგა მაგრად შეშინებულა, მაგრამ ხელადვე მოუფიქრებია დუელიდან თავის დაღწევის ხერხი. ნანიშვილისთვის უთქვამს, წამოვალ, მაგრამ აქვე, გვერდით ნომერში მეგობარი მყავს და მას დავემშვიდობებიო. დაუკაკუნებია კარებზე, გამოსულა ჩეკისტი, რომელსაც ნანიშვილი შორიდან იცნობდა. ესენინი გადაეხვია, თურმე, იმ ჩეკისტს და გულაჩუყებით უთხრა: მშვიდობით, სამუდამოდ მშვიდობით. ჩეკისტი, თურმე, გაოცდა და ჰკითხა: რა მოგვიდა, ძვირფასო სერიოჟა, სად მიდიხარო. ესენინს უპასუხია: დუელში ვარ გამოწვეული და ჩემი სეკუნდანტიც აქ არისო. მაგრამ ნანიშვილი მიმხვდარა, საქმე სახუმაროდ ალარ იყო. ჩეკისტი გამოდევნებია ლანძღვა-გინებით, მაგრამ ველარ დასწევია. ასე დამთავრდა ეს ამბავი...“

ტიციანის თანამედროვენი ისე არ ახსენებენ პოეტის სახელს, ისე არ წარმოიდგენენ პოეტის პორტრეტს, თუ წითელი მიხაკიც არ გაიხსენეს. მთელი ცხოვრება ტიციანი გულზე დაბნეული წითელი მიხაკით დადიოდა. რა იყო ეს, ორიგინალური ჟესტი, მიხაკის სიყვარული, უაილდის მიბაძვა, თუ წითელი მიხაკის სახით გულზე მიმხმარი სისხლის ლაქის ტარება?

„ნუთუ სისხლისფერი მიხაკი ბრდღვიალა
მისნურად ამხელდა გადახსნილ იარას?!
ნუთუ ბედისწერამ წინასწარ განჭვრიტა
და ბრმად გაიაზრა მისი დასასრული?“

(შ.ნიშნიანიძე)

ასე იყო თუ ისე, გულს დაჩნეული წითელი მიხაკი პოეტს მართლა გულზე მიმხმარ სისხლის ლაქად ექცა.

თევზს წყალი უნდა სიცოცხლისათვის, ადამიანს — სიყვარული. პოეტის

ფილტვებს უსიყვარულო საზოგადოებაში ჟანგბადი აღარ აქვს, იგი უწყლოდ დარჩენილ, ქვებზე მოფრთხიალე კალმახს ჰგავს. თუ გამოჩნდება ვინმე მადლიანი, აიყვანს თევზს და მშრალი ქვებიდან კლავ მდინარეში შეაცურებს. ხომ გაგრძელდება სიცოცხლე, თუ არა და, თავი მაინც არ უნდა გავუჩქარ-ოთ ისედაც მომაკვდავ კალმახს.

დიდი ინკვიზიციის წლებში „უჟანგბადო", უსიყვარულო გარემოცვაში აწრიალებული ტიციანი დაწერს:

„გარჩენილი ვარ ქვაზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები".

ვერ გადაურჩა. 1937 წელი მისთვისაც უკანასკნელი წელიწადი აღმოჩნდა. წაიყვანეს და კაცმა არ იცის, სად ჩაკლეს იგი. საფლავიც არ გვაქვს ტიციან ტაბიძისა_

«ლექსი - მეწყერი»

შესავალი არარსებულ შესავალთა გამო

ჩემო მკითხველო, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ამ ქვესათაურის წაკითხვისას, ვიდრე იმას იტყოდე, ეს რალა დარდუბალაა, რა ორიგინალურობის ხვაშიადი აგტეხიათ, ბატონო ჩემოო, მოდი, მცირე ხნით ირონიის ჭინკები უკან გამოიძახე და წინ ერთმანეთს გავუძღვეთ, — მე - შენ, შენ - მე. მონაცვლეობით ვიფიქროთ, ერთმანეთს გავუზიაროთ და ერთურთს შევუვსოთ სათქმელი, თორემ, თქვენი არ იყოს, მეც კაი დაბნეული და დათრგუნვილი ვარ ამ ,,ლექსი-მეწყერის'' გამო.

ისეთი ლექსია, რომ უნდა დადუმდე, ისმინო და აღფრთოვანდე.

პატივცემული მასწავლებელი კი ვკიუტად ითხოვს, ილაპარაკო ლექსზე, დაწერო მისი განხილვა.

სხვა რა ჩარაა, უნდა დავწეროთ!

მაგრამ როგორია ილაპარაკო იმაზე, თუ რა არის საწყალი კაცისთვის, ,,სიცივისაგან რომ გორავსა'', მაცოცხლებელი მზის ამონათება ან სულაც ნაზამთრალ გულში სიყვარულის მზის ამოსვლაზე წერა როგორია? თუმცა ერთი კია, მშვენიერზე, მით უფრო, ხელოვნების მშვენიერზე საუბარი მისი ტკბობით პროცესს ახანგრძლივებს.

მაშ, მომყევ, მკითხველო, ვწერ და მომყევი, იფიქრე და მოგყვები...

დიახ, არარსებული შესავლების გამო მოგახსენებდი.

ორიგინალურობის ხვაშიადი აგიტყდაო, არა?

ვკერ ერთი, რა უჭირს მერე, განა ჩვენ ტიციან ტაბიძის სამყაროში არ ვტრიალებთ?

ეს ,,ცისფერყანწელები'' ორიგინალურობის გამო თუ ხეებიდან კითხულობდნენ ლექსებს და შუაღამით, ძილშიდაც ბოლოლილშეკრულ ფილისტერ მოქალაქეებს სიმშვიდეს ურღვევდნენ, ამ წყნარი ბაასის გამო რალა ჩვენ შეგვაშინოს ამ ერთფეროვან ყოფაში ლამის მკრეხელობად მონათლულმა ორიგინალურობამ?

მეორეც, ბატონო ჩემო, შევთანხმდეთ, რომ ლიტერატურაში დაშტამპულ აზროვნებას ყველაფერი სჯობს.

დაბოლოს, არაფერია ორიგინალური იმაში, თუ ვიტყვით, რომ ტიციანის „ლექსი-მეწყერი“ ტექსტში არარსებულ, მაგრამ საერთოდ არსებულ პრობლემაზე პასუხით იწყება და მთავრდება.

ეს თეზისი რომ უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ სიმონ ჩიქოვანის საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონები:

„ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი“.

ამ სტრიქონებს შესავალი, სხვა ტაეპები წინ არ უძღვის, მაგრამ სწორედ იმის პასუხია, რაც აქ არ წერია, მაგრამ რაც ყველა ჩვენგანისათვის აბრევიატურულად ივარაუდება.

ეს .იმ პატკანოვების, ეს იმ იანოვსკების, ეს იმ ვოსტორგოვების, ეს იმ მუხრანსკების პასუხია, რომელთათვისაც საქართველო პატარა ქვეყანაა, გნებავთ, პატუა, რომელთათვისაც საქართველო თავშიხელწამოსაკრავი ქვეყანაა. ეს იმ ჭკვათამყოფლების პასუხია, რომელთათვისაც პატარა და მცირერიცხოვანი ერი იდენტური ცნებებია, რომელნიც მრავალრიცხოვნობაში დიდსა და სიდიადეს ხედავენ, მცირერიცხოვნობაში კი — პატარასა და კნინს.

აი, ასეთი, თავისი სახელი რომ დავარქვათ, „ტარაკანების“ თეორიაა დაგულვებული იმ წინათქმად, რომლის გამო პოეტი გაგულისებული შეძახილით იწყებს ლექსს —

„ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი“.

მსგავს სტრუქტურაზეა აგებული ტიციან ტაბიძის „ლექსი-მეწყერი“, იმ განსხვავებით, რომ მის „არარსებულ“ წინათქმაში როგორც ყოფითი, ისე ესთეტიკური შინაარსის მქონე სათქმელი უნდა დავიგულვოთ. თვით ლექსი კი ტექსტში არარსებული, მაგრამ ნაგულისხმევი წინაისტორიის მაღალმხატვრული და ორიგინალური პასუხი გახლავთ.

ყოფითი წინაისტორიის ექო

„ლექსი-მეწყერი“ დაწერილია 1927 წელს. ეს არის დრო პრაგმატიზმის, უტილიტარიზმის, ეს არის ეპოქა ბოლშევიკური „ესთეტიზმის“, როცა პროლეტკულტელებს სიამაყით შეუძლიათ გაიმეორონ რუსი მოსოციალისტო

სამოციანელების „გენიალური“ აღმოჩენა — ერთი ჩექმა მირჩევნია მთელ პუშკინსო.

ეს არის დრო დაკვეთების, ინსტრუქციების, მუშფაკებში პოეტების „არჩევისა“, როცა კალამს ხარაჩოებზე სამსახური ევალებოდა...

როცა ხდებოდა პოეზიის სრული პროფანაცია.

აბა, ყური დავუგდოთ თვითონ ტიციანს: „საქართველოში ყოველ ჭორფლიან ქალს თავისი საკუთარი ჰყავდა პოეტი. დღეს ღვთისმშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს, მითხარით, მართლა ვინ ეტყვის ლექსს? ლექსებისათვის ვინც მოიცლის, ის რა კაცია? ჰკითხეთ თქვენ ნაცნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაურია, ვინ უფრო აღელვებს: სტეფან მალარმე თუ დანიელა ურია?“ ლექსში „უმური კვირა“ კი იგი დაწერს: „ყველაფერი წინ მიდის, პოეზიის გარდა, იწყება ლექსის უკუღმა ელექტროფიკაცია“.

ამ სიტუაციაში, როცა პოეტს ლამის ელსმენით კარნახობს შინსახკომელი თუ პარტიის ინსტრუქტორი, რა და როგორ წეროს, როცა პოეზიის ლექსიკის განსაზღვრაც კი ლამის ზემოდან ხდება, შეძრწუნებული პოეტის საპროტესტო ყვირილად ისმის „ლექსი-მეწყერის“ პირველივე სტრიქონი:

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს“.

ესთეტიკური სათქმელის წინაისტორიის ექო

ტიციან ტაბიძე „ცისფერი ორდენის“ სხვა წევრებთან ერთად კარგა ხანს ნიჰილისტურად იყო განწყობილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მგოსნების (იგი თაყვანს მხოლოდ ვაჟა-ფშაველას სცემდა ამ პერიოდიდან) ესთეტიკური პოზიციისადმი, რაც ასახულია მის წერილში „ცისფერი ყანწებით“ („ცისფერი ყანწები“ №2), რომელშიც მიმოიხილავდა ქართულ მწერლობას, რუსთაველიდან მოყოლებულს.

ტიციანი მიიჩნევდა, რომ 60-იანელებმა „ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად... მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ხალად და პოეზია გაზეთად“.

თავის მხრივ კი აცხადებს: „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“, რაც სიმბოლურად ქართული პოეზიის ევროპული რადიუსით გამართვას ნიშნავდა ისე, რომ ქართულ ლექსს ნაციონალური სული არ დაჰკარგვოდა.

მაგრამ დგება დრო (დაახლოებით 20-იანი წლების შუახანებში), როცა ტიციან ტაბიძე ახალი არშინით ზომავს ჩვენს დიდ სამოციანელთა პიედეს-

ტალებს და როცა სიმბოლიზმსა თუ ყოველგვარ „იზმს“ იგი მაღლიდან გადმოხედავს.

ყოველგვარი „იზმი“, ყოველგვარი ესთეტიკური კრედო არსებობს მწერლობისთვის, როგორც ახალი რეალობისთვის და არა პირიქით. „ლექსი-მეწყერით“ ტიციან ტაბიძე ახალ ესთეტიკურ პრინციპსაც ამყარებს პირველივე სტრიქონით — არა „იზმით“, არა ესთეტიკური კრედოთი ლექსის წერა, არამედ „უბრალოდ“ –

„მე არ ვწერ ლექსებს– ლექსი თვითონ მწერს“,

ანუ იგი იმ პოეტური კრედოს გამცნობიერებელია, რომელიც პლატონის „იონიდან“ იღებს სათავეს და რომლის მიხედვით პოეტი ღვთის რჩეულია, მეტყველი ღვთის პირით, ღვთის რუპორი...

ტიციანი მემკვიდრე ხდება ადრე მის მიერვე უარყოფილი ილიასა და აკაკის ესთეტიკური პრინციპებისა („დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში“ ან „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა“ (ილია), „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა“ (აკაკი). ტიციან ტაბიძეც არა მხოლოდ ღვთის რჩეულად, გნებავთ, ღვთის რუპორად წარმოიდგენს თავს, რომელიც ტკბილ ხმებს გამოსცემს, არამედ კაცად, რომელსაც ეს ბედი იმადაც ხვდა, რომ –

„აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა“.

ბედნიერება მან ლექსებს მისცა

ახლა, ერთი წუთით, ჩემო მკითხველო, შევწყვიტოთ მსჯელობა და ეჭვის თვალით შევხედოთ ყველაფერ იმას, რაც აქამდე ითქვა.

დასაეჭვებელი კი, გაგიხარია, მართლაც გაქვს.

ნუთუ ეს ლექსი მხოლოდ იმისთვის დაიწერა, რომ პოეზიის „დახურდავების“ წინააღმდეგ გაელაშქრა პოეტს ან თავისი ესთეტიკური მრწამსი გადაესინჯა? ამით ჩვენ ხომ არ ვაუბრალოებთ და ვავულგარულებთ, ზედაპირულს ხომ არ ვხდით ლექსის სათქმელს, ესთეტიკური ტკბობის ნაცვლად ხომ არ შემოვაძარცვეთ ის იდუმალი რიდე, რომლის მიღმა პუბლიცისტური პათოსის გარდა ველარა დაგვინახავს რა?

აქ რომ გაგვეწყვიტა მსჯელობა, ჩათვალეთ, რომ თქვენი ეჭვი საფუძვლიანია. არათუ ლექსის, ყოველგვარი მშვენიერების ანალიზს თუ სინთეზიც არ ახლავს, მშვენიერის ნაცვლად მხოლოდ ჩონჩხს, უკეთეს შემთხ-

ვევაში მხოლოდ მის აჩრდილსღა თუ დაეინახავთ.

აბა, კიდევ ერთხელ ჩავიკითხოთ:

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“...

იშვიათად წაიკითხავთ პოეზიის მაგიური ძალის შესახებ ასე ვირტუოზულად დაწერილ სტრიქონებს. სიტყვის ქურუმი იგლეჯს საკუთარ გულს და შესაწირავად დებს პარნასზე.

„ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“ — ამ წრფელ ამოძახილს ეხმიანება ლექსის შემდეგი სტრიქონები: „ბედნიერებას მას უმალავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა“.

ტიციანის ამ ლექსით პოეტი კი არის ღვთის რჩეული, გნებავთ, ღვთის რუპორი, რომელიც არ წერს ლექსებს, რომლისთვისაც ლექსი მხოლოდ ღვთაებრივი საჩუქარია, მაგრამ იმავდროულად იგი, ღვთის რჩეული, სულაც არ არის ნებიერი, უფრო ზუსტად, მისი რჩეულობის პირობა კაცთა შორის სწორედ მისივე მარტოსულობაა.

ბედნიერება მან ლექსებს მისცა — როგორ არ გაგვახსენოს ამ ფრაზამ დორიან გრეი, რომლის ტკივილი, ცოდვა, წელთა სიმძიმე მისსავე პორტრეტზე გადადიოდა, თავად კი ბედნიერი რჩებოდა...

აქ პირიქითაა, პოეტი ყველაფერს—სიხალისეს, სიყვარულს, სიცოცხლეს, ბედნიერებას — ატანს ლექსს და რჩება წვიმის თქეში, ცრემლად საწური მისი თვალებიდან.

„ლექსი-მეწყერის“ ავტორი იმ კაცს ჰგავს, რომელსაც ცოცხლად ხარშავენ სპილენძის ქვაბში, მის განწირულ ყვირილს კი საამო საგალობლის ხმებად გამოსცემს სპილენძის ცეცხლმოდებული კედლები.

ასე იქმნება ჭეშმარიტი პოეზია.

სარჩევი

წინასიტყვაობა — 3

ძართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი — 5

ისტორიის გზაჯვარედინი, ანუ 1890–1900-იანი წლების ზოგადი მიმოხილვა — 10

დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში — 14

ბრძოლა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ — 18

ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ — 23

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ — 25

რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგები — 27

გზა სწნისა — 38

პირველი დასი — 40

მეორე დასი — 47

სალხინები — 50

სოციალ-ფედერალისტური პარტია — 52

მესამე დასი — 54

ეგნატე ნინოშვილი

ცხოვრება და მოღვაწეობა — 59

ოჯახი. წინაპრები. ინგოროყვათა გვარის ისტორია — 61

ბავშვობა. ყრმობა. სიჭაბუკე — 65

ბრძოლა არსებობისათვის. ეგნატე მასწავლებლად. „თოდრაჩიკი“ — რკინიგზის მოხელე, ტელეგრაფისტი, ასოთამწყობი, კანცელარიის მწერალი — 73

გამგზავრება საფრანგეთში. იმედების გაცრუება — 76

ეგნატე — გრიგოლ გურიელის მდივანი. სამსახური ბათუმში, ზესტაფონში. „საფილოქსერო დასი“. გომის კანტორა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა — 78

უიღბლო სიყვარული. ეგნატეს ცხოვრების უკანასკნელი წლები — 82

ნაშრომი და მოგონილი ეგნატე ნინოშვილის შესახებ — 87

„სიმონა“ 91

გაბრიელ ძლაძე 93
საყვარელა ძლაძე 94
საყვარელას მეუღლე ქეთევანი 94
სიმონა ძლაძე 95
სიმონას მეუღლე დარია 97
დავით დროიძე 97
დავითის ვაჟი ტიტიკო 99
ეგნატე ნინოშვილის სოფელი 101
ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობს 106
მქამე ძალა 108

დავით კლდიაშვილი

ცხოვრება და მოღვაწეობა 112

გზის დასაწყისი 112
დავით კლდიაშვილი ბათუმში 119
სისხლიანი სიუჟეტები 123
მწერლის ხასიათი, ოჯახი 129
შემოქმედება 135

„სამანიშვილის დედინაცვალი“ 142

ტრაგიკომიკური „სამანიშვილის დედინაცვალში“ 148
ქსოვილური უდარდელობა, ანუ სიბრძნე კვლნისა და ბაქიობისა 152
არსებული, როგორც შესაძლებლის კარიკატურა 153
სიყვარულის კარიკატურული არსი 155
მოყვასის ცრუ სიყვარული 156
სიძულვილი სიყვარულის წილ 157
სნინის ეშმაკური გზა 159
ღვთის შიში 160
კმაყოფილება 161
„ძამუშაძის გაჯირვება“ 163

რა სჭირს ადამიანს? 165
გაუცხოება წიგნებთა შორის 167
„ჩვენ ალარც კი ვცარცებით ერთმანეთს" 169
გაუცხოება ოჯახის წევრთა შორის 170
თვითგაუცხოება 173
ზედმეტი ადამიანები 177
ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს 179
„სულიერმან მორბელმან" 181
ბედნიერება-უბედურებას შორის არჩევანის უფლებაწართმეული ადამიანი 181
ცოდნა სიკეთისა და სინათლის წინააღმდეგ 185

ნიკო ლორთქიფანიძე

ცხოვრება და მოღვაწეობა 189
მწერლის პორტრეტი თანამედროვეთა თვალით 189
წინაპრები 192
ბავშვობისა და ყრმობის წლები 195
ნიკო ლორთქიფანიძე განსასვენების საკმეზე 196
ორი დიული 199
სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა. დაოჯახება
პედაგოგიური მოღვაწეობა. „სამშობლოს სამსხვერპლოზე" 203
„თავსაფრიანი დედაკაცი" 208
სათაურის სიმბოლიკა 214
„დედა არ გეახსოს შვილებსა" 216
ცალად დარჩენილი ადამიანის ტრაგედია 218
„ტრაბედია უბგიროთ" 221
I სორცის ტკივილი 224
II სულის ტკივილი 226
III რალა ჩემს ენახში 228

მეხვეულ ჯავახეთში

ცხოვრება და მოღვაწეობა — 230

ბაგშვობა და ყრმობა — 231
ყირიმის სასწაულებელში — 235
ოჯახის ტრაგედია — 237
ცხოვრების პირისპირ. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა.
ადამაშვილი თუ ჯაკაძეშვილი? — 240
ჯაკაძეშვილი — „ივერიის" რედაქტორი. გამგზავრება საზღვარგარეთ.
ილიას მკვლელობა — 242
კვლავ იძულებითი ემიგრაციები. ჟურნალი „ერი".
გაზეთი „საქართველო". საქართველოს დამოუკიდებლობა — 244
გზანი წამებისანი — 246

„არსენა მარაბდელი" — 254

აწმყო წარსულში — 254
ზნეობრივი გმირი — 260
„ურეა ქვეყანასა ზედა" — 266
სკვითმა წაგვართვა სამშობლო — 269
რენეგატები — 273
თაყაიშვილის ზნეობრივი პოზიცია — 277
ტყის ძმები — 282
„არა კაც კლა" — 283
ორთაბრძოლის ასპარეზი — 287
1832 წლის შეთქმულება „არსენა მარაბდელის" მიხედვით — 290

„ლაშგასლე და ცაშა" — 294

წინათქმა — 294
წარსულით წინასწარმეტყველება — 295
სოციალების ისტორია, ანუ დანაშაული და სასჯელი — 296
გარეთ მხდალი და შინ ძლიერი მმართველის სახე — 297
მოთხრობება სიკეთის სახელით (ეპისკოპოსი პაულე) — 298
ცრურწმენა რწმენის წინააღმდეგ — 300
სადიზმი, როგორც ნორმა მოძალადეთა საზოგადოებაში (ცაშა ლაზარე) — 301

ნარის გლეჯა სხვისი ხელით ... 302
დიდ არს ძალა ბედი მდევრისა ... 303
მსხვერპლი ... 304

გალაკტიონ ტაბიძე

ბიოგრაფია ... 306
„არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლო" ... 306
გალაკტიონის წინაპრები ... 308
„დედა ნანობს, რომ დამლუპა და ნამდვილ გზას ამაცდინა" ... 308
დიდი გზის დასაწყისი ... 311
„წქარიგის" მტრები ... 314
დახვრეტილი თაყვანუფლება ... 315
პოეზიაში უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული ... 317
31 დეკემბერი, 1932 წელი ... 321
გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ... 325
შესავალი, ანუ როგორ წაიკითხოთ გალაკტიონი ... 325
„მე და ღამე" ... 330
„ლურჯა ცხენები" ... 336
„მთაწმინდის მთვარე" ... 342
„ძებათა ძება ნიკორწმინდას" ... 348
„მზეო თიბათვისა" ... 351
პოეზიის ენაზე თქმული ლოცვა ... 351
„მზეო თიბათვისა" – ალეგორიული ლექსი ... 353
მოულოდნელობის ეფექტი ... 354
ლოცვად მოხლმოკრული გრაალის შეცდრები ... 355
„თოვლი" ... 357
„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში" ... 360
„შინჭვარულლოდ" ... 361

ლეო ქიაჩელი

ცხოვრება და მოღვაწეობა — 364

ბავშობისა და სიჭაბუკის წლები — 366
დასტიმრება. ქუთაისის ციხე — 369
საიდუმლო გვირაბი. ციხიდან გაქცევა — 371
არალეგალური ცხოვრება მოსკოვში — 373
ქენევა. „დიდი კომერსანტები". სამშობლოში დაბრუნება. დაოჯახება — 375
1917-1921 წლები. ქიაჩელი — ზუგდიდის მაზრის ერობის
თავმჯდომარე. ბოლშევიკების შემოსევა. სატუსაღო განთავისუფლება — 377

„ჰაპი აბგა" — 384

ფაქტი და მხატვრული სინამდვილე — 384
„აქა ამბავი ფლოტის გაპარვისა" — 386
ძეძუმტეობა და „კორმილიცობა" — 392
ღალატი და ერთგულება — 398
„თავადის ძალი მგია" — 405

კონსტანტინე გამსახურდია

ცხოვრება და მოღვაწეობა — 414

შესავლის მაგიერ — 414
პლენუმი, რომელიც კინაღამ საბედისწეროდ იქცა — 415
კონსტანტინე გამსახურდიას წინაპრები, ოჯახი — 418
სწავლის სასწაულებელში — 420
ქუთაისის გიმნაზიაში — 420
პირველი დასტიმრება — 422
პეტერბურგის უნივერსიტეტი — 423
კენიგსბერგის უნივერსიტეტი — 425
ღუელი — 425
ლაიპციგის უნივერსიტეტი — 426
მიუნხენის უნივერსიტეტი — 426

კონსტანტინე გამსახურდიას მეორედ დაპატიმრება.
საკონცენტრაციო ბანაკი 427
საზღვარგარეთული საგას დასასრული 428
კონსტანტინე გამსახურდიას მესამედ დაპატიმრება 429
კონსტანტინე გამსახურდიას მეოთხედ და მეხუთედ დაპატიმრება 431
კონსტანტინე გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვა 432
„მამათა" და „შვილთა" ბრძოლა 432
ბედი კატეს შორის მოხვედრილი ლომის ბოკვერისა 436
კონსტანტინე გამსახურდიას მწერალთა კავშირის
პრეზიდიუმიდან გამოყვანა 436
ეპილოგის მაგიერ 438
„დიდოსტატის კონსტანტინეს მარკვენა" 439
წინათქმა 439
თავი I. ნაწარმოების პროლოგი და ბოლოთქმა, ანუ
„დიდოსტატის მარკვენის" დაწერის დრო 440
„დიდოსტატის მარკვენის" ფაბულა 444
თავი II. ერთმორწმუნე საქართველო და „ბიზანტია", ანუ
კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული მრწამსი 447
„როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც
ვერ გაამარკვევინებს მას!" 449
თალაგეა კოლონკელიძე 451
მამაშზე და ჭიაბერ ერისთაველი 453
ფარსმან სპარსი 455
სიძულვილზე დაფუძნებული ერთობა 460
თავი III. პიროვნება და სახელმწიფო „დიდოსტატის მარკვენის"
მიხედვით 461
გიორგი I 462
კონსტანტინე არსაკიძე 466
თავი IV. ცოდვა და სიყვარული (კოლონკელიძის ასული შორენა) 468

ტიციან ტაბიძე

ცხოვრება და მოღვაწეობა ____ 472

„ლექსი – მეფუძრე“ ____ 490

შესავალი არარსებულ შესავალთა გამო ____ 490

ეროვნული წინასტორიის ეკო ____ 491

ქართველური სათქმელის წინასტორიის ეკო ____ 492

ბედნიერება მან ლეშსებს მისცა ____ 493

ნოდარ ოთარის ძე გრიგალაშვილი

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

თბილისი – 2004

რედაქტორი – **ამირან გომართელი**
რეცენზენტი – **თამაზ ვასაძე**



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@posta.ge